

ISSN 0182-599 X



# 新學園



9

---

1988



# ენათმეცნიერება



სსრკ-ის მეცნიერული ცენტრის ენათმეცნიერების განყოფილება და საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამომცემლობის მიერ

ფილიალი 64-0

№ 9

სექტემბერი, 1988 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### პროზა, პოეზია

მარგინა ლიხაინიძე — ლექსები	3
მთარ ჩხიძე — ბავშვთა ლექსები, რომანი, დრამატული	11
თამაზ ჩხიქაძე — ლექსები	34
ლალი ტოთაძე — ლექსები	42
სოლომონ სამხარაული — ბავშვთა ლექსები, მკვლევარი დღი, მოთხრობა	45
აფიკან ქალაძე — ლექსები	56
დავით შავლაძე — ლექსები	58
ირაკლი ჩარკვიანი — თეორიული მოთხრობა	61
იმიდგატარებელი ადამიანის საშუალო თავის სწავლა, თარგმანა მანანა ნოზაძე	67
ნანული გომეზაძე — და იმჟამა იმი, რომანი, გაგრძელება	71

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

გურამ ბებუშიძე — მონოლოგი დიპლომატიდან	116
გონდო აკვალიძე — საიათნოვას არასრულწლოვანი მიჯნური	127
ალექსანდრე აბაღაძე — მკაცრობის სინი იმჟამა მკვირვარებას	138

### მეცნიერება

დონალდ კიტილიძე — დონდოლოგიები და კამკაიტირ ენათა ურთიერთობა	146
კეკელი ბარბაქაძე — „საბჭოთავი ენათმეცნიერება მკვირვარების მკვირვარებას არს და არა თვალსაზრს მკვირვარებას“	151
მათე ციხეაშვილი — საქართველოსა და ჩინეთ-ინგოლის კოლიტირები ურთიერთობა უმეცნიერ დროიდან 80-10 საუკუნეებამდე	162

ი. მელიქიანი





### წიგნების მიმოხილვა

სოლომონ ხუციშვილი — „სახე დიდნი ქართველისა“  
ლევან ფრთხია — კარგი წიგნი მივიწყებულ თემებზე

---

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაძე

სარედაქციო კოლეგია:

პრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამავუბელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გო-  
შიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასური, მ. ლიბანიძე,  
ე. მალარაძე, ლ. მრავალაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქ-  
ტორის მოადგილე), რ. პატარაძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულუიშვილი, ი. ში-  
ლაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

---

## ახალი ფიგნიდან

• • •

თოფო! წრიაპო!  
თოფის კვამლში — არჩვო და ჭიხვო! —  
ის გულისძგერა  
სადღა არის,  
რომელიც იყო?!

ალაზნის ნისლო,  
ზღვაო პონტის, შენც მთაო ლიხო! —  
ის ფრთოვანება  
სადღა არის,  
რომელიც იყო?!

დამცხრაღა გული,  
არ გაპასუხობს მტრობაზე, ბრიყვო! —  
ის გულისმოსვლა  
აღარ არის,  
რომელიც იყო!...

ეგ — არაფერი,  
ბრიყვი ბრიყვად! წლებს წლები მიჰყვენენ,  
თქვენ ეს მითხარით,  
ჩემო ლექსო და ჩემო მიხო,  
ის ძმაკაცები  
სად არიან, რომლებიც იყვნენ?!  
ის მეგობრობა  
სადღა არის,  
რომელიც იყო?!

• • •

პოეტის გზებზე — ბარგო,  
ტვირთო მწარე და ტკბილო,  
რამ ჩაგაფიქრა, კარგო,  
ჩემო ცოლო და შვილო?!  
რაო, მხარდამხარ მბრძოლო,  
ცოლო კი არა — გმირო?!  
შვილო და მერმე ცოლო,  
ცოლო და მერმე შვილო?!  
თქვენ ჩემსას სწუხართ, ვიცი,  
მსტუმრე ყოველი სახლის, —

მაგას არ უნდა მტკიცი, —  
მოვა როსმე და გაგვყრის!  
ჯერ კი — აჩეხილ ნეკნით,  
ჯერ კი — გაფატრულ მკერდით,  
ხომ ფეხზე ვდგავარ თქვენგნით,  
ხომ ვართ ერთთურთის გვერდით?!  
მაშ, თავი მაღლა, ხალხო!  
მაშ, წინ, მწარე და ტკბილო,  
ნუ ჩაფიქრდები, კარგო,  
ჩემო ცოლო და შვილო!

\* \* \*

(იუმორესკა)

მიყვავი ხელი  
 წიგნის წერას, — გული მძიმდება,  
 ცოლ-შვილი  
 მყავს და  
 შენც ქე იცი,  
 ფული მჭირდება...

რა ვთქვა, რა ვწერო,  
 რა ვქნა, თავში რა ქვა ვიხალო, —  
 ვთათხო დროება,  
 თუ, პირიქით,  
 ცად ავიყვანო?!

სამაგალითოდ  
 გარდაქმნილი მე ვარ ამჯერად,  
 ის უნდა ვწერო,  
 რაც მჭერა და  
 კიდევ არ მჭერა....

მე ერთხელ ვწერდი:  
 კი, სიკეთეს ესვრიან იებს,  
 მაგრამ სულძაღლი  
 ბოროტბაიც  
 მარადეამს ჰგებეს!

ებოჭა ჩვენი,  
 კი, ბატონო, ნამეტანს ცდილობს,  
 მაგრამ, მე მგონი,  
 გაცხავებულს  
 აკერებს ჭილოფს...

ღმერთმაც ჰქნას,  
 კურდღელს დაეჭიროს ჩვენსას მწვევარი!  
 ჰა, ჩემი ლექსი,  
 ჩემი ხმა და  
 შესაწვევარი!

არა მგონია,  
 რომ აქამდე მე ვწერდი ტყუილს!  
 მოვეშვათ დუელს!  
 აპრილია,  
 მზე წითლად ღუის!

დიდი ამბავი,  
 თუ მეც ერთხელ ლეში ვალაღო,  
 ვთქვა „რაშოვრერა“,  
 დავუარო  
 წრეში „შალახო“!

**ეროსი**

ამ კრელმა ყუთმა —  
 (იქმს სასწაულს კვლავ როსლა აწი!)  
 ერთი საათით  
 გამიცოცხლა  
 ძვირფასი კაცი...

საზარელია —  
 გარდაცვლილი მღერდა ჰარალეს,  
 ჩაქრა ეკრანი,  
 მე ხომ ვიცო:  
 იყო — არ არის!...

მთელი საათი  
 მე აუგზი ვიყავი ღმერთის, —  
 ენთო ეს კაცი,  
 იწვოდა და  
 ცხოვრობდა ჩვენთვის...

ამ კრელმა ყუთმა  
 (იქმს სასწაულს კვლავ როსლა აწი!)  
 ერთი საათით  
 მიცოცხლა და  
 მომიკლა კაცი...

**პავლე ინგოროყვა სურათზე**

„გამოხვეულხარ ფარ-შუბშიო!“ — ვაყვაცზე ბრძანებს,  
 მხედარზე ბრძანებს დალოცვილი ხალხური ლექსი,  
 ხოლო შენ,  
 პავლე ინგოროყვა რომელსაც გქვია,  
 „გამოხვეულხარ... წვერ-ულვაშში!“ — ეს უნდა გკადრო,  
 ლომო ბებერო, კლანქდამცვდარო და მიინც ლომო!..  
 ჩალამებული მახსოვს შენი  
 კუბოსავით ბნელი სენაკი!  
 ნამუშავევა და მაშვრალმა დროსთან კიდილში,  
 სიკვდილისკენ პირი ჰქენ რაკი,  
 არ იკადრე და არც აკადრე  
 ლოყატიტვლად წინაპრებს ხლება...  
 მარხვაზე დადექ, აიკრძალე ერთ დღეს დალაქი,  
 შეიბი წვერი, ვალამაზდი საგულდაგულოდ,  
 განემზადე გრძელი სოფლისთვის...  
 „ქარს გაუღებენ მას წინაპრები:  
 — გელოდით! ვიცით!  
 ხომ შიატოვე ის ნაპირები  
 ჩვენი სიმტკიცით?!“ —  
 კარგად იცოდი, ეკუთვნოდი შენ რომელ დასტას!  
 წმინდა კაცებს მიუხველ წმინდად,  
 დაგვიტოვე სახსოვრად სურათი...  
 ამ სურათში შენ ის ხარ — რ ა ც ხ ა რ!  
 აჭამომდელი — დროებითი გზა იყო მისკენ...  
 რარიგად შეენი!  
 „გამოხვეულხარ წვერ-ულვაშში!“ — ერთხელაც გატყვი,  
 გაგიხვევია  
 წვერ-ულვაშში გრანიტის სახე!  
 რაიცა ფარ-შუბს შეეხება,  
 აგე, შენი დიდი წიგნები!  
 რით, რით არ არის,  
 რით არ არის წიგნიც ფარ-შუბი!!!

## ტრიალებს დედაკაცი...



ტრიალებს დედაკაცი, —  
ჭიშინი, ლომკაცის ღირსი, —  
ხელმძღვანელობს

ქმარ-შვილის პურობას...

ტრიალებს დედაკაცი, —

შენი იყოს, თუ გინდა, სხვისი —  
რა სჯობია

მაგის ყურებას!

მოაქვს ხაჭაპური,

შემოგცქერის ალერსით პირში,  
ახალისებს

სტუმრის გუნებას...

ტრიალებს დედაკაცი, —  
შენი იყოს, თუ გინდა, სხვისი, —  
რა სჯობია

მაგის ყურებას!

ტრიალებს დედაკაცი,

დედაკაცი, შენით ვართ ლხინში!  
მადლი მაღალ ღმერთს და  
შენს გამჩენ ბუნებას!

ტრიალებს დედაკაცი, —

შენი იყოს, თუ გინდა, სხვისი, —  
რა სჯობია (თუ კაცი ხარ!)

მაგის ყურებას!

\*\*\*

გაგპარსეს მკვდარი, —

ზღვა მიხაკის, სასახლე მუხის!  
გარეგვილიან

ჩასვენებულს ჭურჭელში პეწით;  
ელერს რეკვიემი,

ვიზიარებთ „სამშობლოს“ წუხილს,  
ძველი თაობა

ბანთეონში

მოგმართავს „რეჩით“...

ხოლო ახლები —

შეცბუნებას უხერხულს გრძნობენ —  
რადაც დაგსახეს,

შენ ის არ ხარ ახლების აზრით...  
მტყუანს და მართალს

გრძელ სოფელში უტყუვრად ცნობენ,  
ამოღებულთ

ვერ მიუხვალ

წინაპრებს ხანჯრით!

\*\*\*

არაერთს აჭიაქებდა:

„ოხ, ეგ ბითური მთლადო!“

მოხუც რაფიელს აქებდა  
ლადო...

რითმას, სიტყვის მადლს უქებდა

სინდის-ნამუსთან ერთად,

თითის ანაბეჭდს უღებდა

ლაშის და მოკლედ წერდა:

თეთრზე ნუ ვიტყვით შავსო!

ნაღდს — გზა და სარბიელი

„კარგი ოსტატი გვყავსო

მოხუცი რაფიელი!“

კაი ყმა, კაის დამცველი

(ლექსი ზომ გულში სჭირდა),

თვითონაც კაის დამწერი,

საქმეს კაცურად სჯიდა...

ხოლო დღეს თბილის-ქალაქად

ერთი მარაქა უსტევენს,

რის რაფიელი! — ვაგლახად

ქუდს არ მოუხდის რუსთველს...

არაერთს აჭიაქებდა,

ახლებს: „დამპლები ხართო!“

მოხუც რაფიელს აქებდა

ლადო.

\* \* \*

არ ვიცი ეს აზრი ვისი არის, —  
სხვისია! — მავანი აყვირდება, —  
მე ჩემსას, მე ჩემსას გიზიარებთ:  
სიკვდილი — სიბერით ადვილდება...

მინახავს ნოკაუტით წყეულის  
ხროტინი, სიცოცხლით სავსის,  
სიკვდილი ჭანმრთელი სხეულის, —  
ოცი წლის თოფიანი ბავშვის...

ოთხმოცი მომიზომეს მაღლით,  
თქვენი—ასის, მით უფრო დასჯერდით!  
სიკვდილი — ადვილდება დაღლით,  
სიცოცხლის საკისრების დაცვეთით...

ყოველგვარ გაკვირვების გარეშე  
მე ერთხელ მშვენივრად მოგვედი  
და ისეთს აღმოვჩინდი მხარეში  
და ისეთ კაცებში მოვხვდი,

ვერ ვამბობ ჩემი თავმდაბლობით,  
გულში კი, გულში მეცილება, —  
სიგლახით, სირეგვინით, თან დამპლობით  
ერთ-ორს, ან ორ-სამს ეწყინება...

ვიცხოვრე ოცნებით ცისფერით,  
ვიხარე დროებითი სახლით,  
სიკვდილი — ადვილდება სიბერით,  
სიკვდილი — ადვილდება დაღლით...

...მიყვარდა ზედ ლიბთან ბორცვი,  
ვოცნებობ, გადიან წლები,  
იქ — ამათრევიანა ზორცი,  
იქ — დამაყრევიანა ძვლები!

## ძველი რვეულთან

\* \* \*

არის ხარებიც  
პოეზიის, არის მოზერებიც,  
უფრო მეტად კი —  
ძროხები და ბოჩოლებია...  
მოწაფე ჩვენი,  
ვინც ტახტისკენ მაღლა მოძვრება,  
შენ, ხელმწიფეო,  
მეტისმეტად მოგწონებია...

ვარ გაკვირვებას!  
ხამს გარჩევა კატის და ჭიჭის!  
უფალო ჩვენო,  
შავი — თეთრში აგირევიან...  
რა ვთქვა? რა გკადრო?!  
არჩევანი ხელმწიფის მიკვირს,  
მეტი რომ არ ვთქვა,  
ხელმწიფისგან გამკვირვებია!



მარიამ ანტიკოპოტენსული  
გინგლინიძე

არის წაკითხვა  
ორნაირი: გონებით, კრულით,  
წაკითხვა ერთი  
და მეორე —  
წაკითხვა გულით!

რადგან ჩემს წიგნებს  
შენ კითხულობ ჭერ გულის რეჩხით  
და მხოლოდ მერე  
წაკითხავ...  
ცენზორის ეჭვით...

ჩემო მარიამ,  
ჩემო კარგო მარო-ცენზორო,  
კაცი არ ვიყო,  
თუ მეწყინოს,  
ქვა რომ მესროლო,

კითხვის ნიშნების,  
გმადლობ, დაო, ხენეშით წამშლელო,  
მარიამ ჩემო,  
ჩემს წიგნებზე  
ბეკედის დამსმელო!

შენზე იტყვიან:  
თამაშობსო ეს კაცი პოეტს,  
მეგობრობსო  
ათასგვარ ოხერს,  
ხშირად აცდენსო  
პარაკლისებს ლიტერატურულს  
და პანაშეიდებს  
მათ დიდთა გვამთა,  
რომელთა ყოფნით

არაფერი გათეთრებულა  
და არყოფნითაც,  
აღმათ, ცოტა დაშავდებოდა...

შენ, ხატი-სყული, მამულის შტერი  
არცა — გიძმია,  
არცა — გიქია...  
შენ, მაღლობა ლმერთს,  
საქართველო არ წაგიგია!

ეს გზაც, ეს ხიდიც, ეს კაშხალიც, ეს მძლავრი არხიც,  
„ზღვაც“ — ჩინებულია!  
ამ ხალხის ხელით, აყრით, სახრით და კისრის წახრით  
აშენებულია...  
ხმას რომ არ იღებს, არც იფიქრო, ვერაფერს ხედავს, —  
გაწბილებულია...  
მოტყუებული არ გეგონოს, თუ ძმა ხარ, ხალხი —  
დაშინებულია!

რამსიგრძე სოფელია! სახელი რა ჰქვია?!

ხომ ხედები,  
რა გკითხე?!  
საზღვარი  
აქვია...

სახელს რა ჰქვია აქვს! ბაღლები ქვას გვაყრიან,  
სოფელი —  
ქართულია,  
ხალხები —  
ასახლიან!

## ქალღიანთ წევრი, დიდგორის ახლოს

ქალღიანთ-ხევში.

დიდგორის ახლოს.

თვალი დავადგი

მშვენიერ მაღლობს;

მივმართე საბუკოს.

ჩახედეს დავთარს —

კორღზე ალია-

თათარი სახლობს...

მითხრეს: „ეგ ერთი

კომლია მარტოდ,

ნუ განვიხილავთ

მაგ საკითხს ფართოდ,

ფულის საქმეა,

გაყიდის ნაღდად —

გაგიფორმებთო

საბუთებს სანდოდ“...

ვთქვი: „რა იქნება,

მეც ქობი მქონდეს!

ქობს კი არა და,

ვიყიდი ოდეს,

მივანგრ-მოვანგრეე

წვირიან კვიტყირს,

კორღზე წამოვდგამ

გვარიან კოტეჯს!“

არმიღწეული

ბევრეთს და დიდგორს,

მკითხველო ჩემო,

თუ ვინმემ გკითხოს,

ხევში ხელმარჯვნივ

ჩაუხვევს „ვოლგა“,

უცხად — ჭუნგლებში

აღმოჩნდი თითქოს!

შემომეგება

ალია ხალხით —

ძმებით, ცოლებით,

თოთხმეტი ბაღლით,

სინზე გაბმული

ჭაქვის ჩხრიალით,

კაციკამია

ვეება ძაღლით...

„ინტელიგენტი

გეტყობა კაცი, —

მითხრა. — ჩონ-ჩონი

უთხარი ფასი!“

დავსხედით ჩრდილში.

მოკლეა პირი,

თოფით მესროლა

ათასი ასი...

და კვირა დილით

ოტიას „ვოლგით“,

ლილილოებში

ყაყაჩოს კოკრით,

გულჩაბოღმილნი,

ყურჩამოყრილნი

თბილისისაკენ

უკანვე მოვქრით...

ოცი წლის ბიჭს რომ

დაგემართება,

გულში ქალი რომ

ჩაგივარდება,

ტლუბიკობით რომ

დაგიწუნებენ.

სიღარიბე რომ

განგემარტება, —

კაცს დამემართა

ასეთი რამე!

შენს მტერს. რაც იმ დღეს

სირცხვილი გვამე!

და დიან წლები,

და დიან წლები —

იმ კორღზე ვფიქრობ

მე დღე და ღამე...

მანტერესებს

(ცოლ-შვილიც ნაღვლობს!)

ქალღიანთ-ხევში.

დიდგორის ახლოს,

გაუჩნდა მკვირცხლი

მყიდველი ვინმე

ჩემს შეყვარებულ

მშვენიერ მაღლობს.



თუ ზედ ალია-  
 თათარი სახლობს,  
 მაინცდამაინც  
 დიდგორთან სამხრობს,  
 ტყისმცველის ტოვით,  
 (ტყისპირად — ჯოვით!)  
 ქოხმახის გვერდით  
 ქოხმახებს ამყნობს?!  
  
 და მამასისხლად  
 შემოდის ქართლით  
 გოდორი — შვინდით,  
 გოდორი — ზღმარტლით,  
 ღვთის მოცემული  
 ტყიური ხილით,  
 და შინ ბრუნდება  
 ალია ფართლით...  
  
 ბრიყვნი იტყვიან:  
 „მხატვრის ვალია,  
 თქვას, რომ მონღოლის,  
 სპარსის ბრალია,

თავს ქართველისას, <sup>ეროვნული</sup>  
 თავს ქართველისას <sup>გინჯილიყმის</sup>  
 საფიქრებლების  
 რაც სიმრავლეა“...

ხოლო ჭკვიერი  
 ძველსა და მწარეს  
 სიბრძნეს ხალხისას  
 საქმეში ჩარევს:  
 „მტერი ვერ უზამს, —  
 რასაც რეგვენი  
 თავის თავსაო!“ —  
 ანდაზას ბრძანებს...

თავი ქუდში გაქვს,  
 ალიავ, სანდოდ!  
 ფესვი გაიდგი  
 მაგ კორღზე ფართოდ!..  
 ჩვენც შენთანა ვართ,  
 ჩვენც შენთანა ვართ! —  
 არამც და არამც  
 არა ხარ მარტოდ!

## გამოცხადებაი

რომანი

XX

„...რამეთუ მოვიდა დღე იგი დიდი რისხვისა მისისაი და ვინ შემძლებელ არს დადგომად...“

არ გასჭრა სიტყვაში მიქელისმა. არც ცრემლმა გასჭრა, არცა ცახცახმა აღარც შეეღვენენ. გუნდადაც აიშალნენ, გაიციცივნენ. გუნდადვე შეყოვნდნენ, გუნდადვე შესძახეს. გალაკტიონო, კომპოზიტორი რო აღარ მოეშვა, სიტყვები მომეციოთ, ლექსი მომეციოთ, უპიპინოდ ნუ ვივლით. არ შეგეფერისო, ამიტომ შესძახეს გალაკტიონი. გუნდად შესძახესო. ეს უკვე გათხარო. და გუნდადვე ეკვეთნენ გალაკტიონსა. ეკვეთნენ მართლაცა, სხვა დროს ასე ვერ შეპბედავდნენ. ზარაც ასტებეს, ბრაბუნიც ასტებეს გალაკტიონის კარებზედა. თითქოს ელოდაო, ისე გაუღო კარი გალაკტიონმა. შიგნით შეიწვია მასპინძლური რიხითა, მაგრამ არ მიჰყენენ, გუნდად პო იდგნენ. გუნდადვე სოხოვეს, ლექსი მოგვეციოთ, თქვენა ხართ მეფე პოეტებისა. სწორედაც თქვენო ლექსი შეგეფერისო.

— რა ვარ, ძამიყო?! — ვითომც გაიკვირვა გალაკტიონმაო.

— მეფე პოეტებისა!.. — გაიმეორეს

ისევე გუნდადა. აჰყვა გუგუნო სადარბაზოსი. აჰყვა, გაგრძელდა.

— იციოთ, პო?! — თითქოს ეტყობსო გალაკტიონი, თითქოს სტკებზო თაეისივე გამოგონებითა.

ვიციოთ, მყისვე დოგუგუნეს.

— უნდა იცოდეთ რაღა თქმა უნდა, — მოუწონა გალაკტიონმა. — პირველ ყოვლისა ეგ უნდა იცოდეთ, მერე ისიც უნდა იცოდეთ, მე არა ვწერ მაგ ლექსებსა, გოგლა წერს. გოგლას მიმართეთ, პო, პო, გოგლას მიმართეთ, გაეზარდებ... —

მიმართეს, მაგრამ ვერსად მიავნეს, ინსტიტუტს მიაკითხეს, შინ წავიდაო, შინ ეწვივნენ. წყნეთში იქნებოთ, წყნეთამდის მაინც აღარ უვლიათ. — ავიდეთ ავერ გოგებაშვილზეო, წამოიძახა ისევე კომპოზიტორმა, ქვას ფეხი წამოხკრა, პოეტი წამოხტება, იქ იმდენი პოეტი არისო. ავიდეთო და ავიდეთო, დასძახეს გუნდათ. მრავალ ხმაზედა, ოღონდ ერთადა. ერთობლივადა რაღა თქმა უნდა, ოღონდ აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, იზარდა გუნდი იგი, იმატა და იმატა მიქელიდან გალაკტიონამდისა, გალაკტიონიდან რუსთაველის ინსტიტუტამდისა. იქიდან გოგლას ბინამდისა, უკეთთუ. ადრინდელ სასოფლო ინსტიტუტამდისა, სად უკებ იმდენი შემოემატა, დემონსტრაციად გადაიქცა

გლნდი იგი მცირეი, უწყინარი, ლექსის საძებრად გამოსულ გუნდი, მხოლოდ ესაა, არ მოუტანდათ ლოზუნგები, არცა დროშები, არცა წყობის გამწესებელი, მაინც ისე ერთბაშად აპყვნენ, თითქოს ვიღაცა ჩააგონებდათო, აპყვნენ ისე უყოყმანოდა, ავიდეთო და ავიდეთო. — ბედისწერა თუ შთააგონებდათ. ჩემი, უხილავი, შემპარავი და დუნდობელი, თორემ მამ რაო, რა ლექსს დაეძებდნენ, რა ჰიმნის ტინი წამონთებოდათ... — სხვაგანაც იყო რიყე პოეტთა, მაინც იქით მიაგდო გუნდი იგი უმოწყალო ბედისწერამ, გუნდი ყმაწვილთა, გუნდი უამრავთა. ატანილთა ერთნაირადა და დობნულთა ერთნაირადვე: იქით მიაგდო. იქამდის აღარა. — ლექსით თურმე მიიტყუებდა, ლექსამდის იყო სსახელე იმისი, მაშინ მბრძანებლისა რაღა თქმა უნდა, მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, თუმცა აღბათ არც ისე ბევრმა, არა, ისეე მახლობელია ისიცა და ის ამბებიცა. გუშინდელივით ახსოვს ყველასა, გუშინდელივით წარმოუდგება და ატყვენსდება გული, მწარედ ატყვენსდება: ჰო ახსოვთმეთქი, თანამდებობასაც მკაფიოდ არ გამოვთქვამ. ახლა მაინც ესედაც იციან. მერე მაინც ველარ გაიგებენ ისე, დაწერილებით აუხსნელადა, ვითარც ამჟამად უკვე ძნელია გაგება იმისა, მთავარმართებელი თუ რა ყოფილა, მეფის ნაცვალის თუ რა ყოფილა, ანთუ ხან ასე რაღა ყოფილა, ანთუ ხან ისე რაღა ყოფილა, ვინ რა ყოფილა, როგორა ყოფილა, რა ზნისა ყოფილა თუ რა ჩაუდგენია, ყველა დიდებით რად აუყვანიათ, ყველა სამარცხეინოდ რად ჩამოუტგდიათ. — ძნელია და აუხსნელი ხოლმე, ამასაც აუხსნიან მერე და მერე უფრო ნათლადა თუ მართებულადა, ახლა ისედაც მოეხსენებათ, ვინ იყო, რა იყო, ვით აღზევებულყო, ვით ევლო დიდებოთა, ვით დამხობილიყო სამარცხეინოდა.

ამიტომ გამოძიებთქვამს ასე, უხეველად, აქა პირველიმეთქი. წებჭებჭებუხეხეხეხე. ჩინების გაჩეხე, განმასხევეებელი აღმატებულების გაჩეხე. — აქა პირველიმეთქი, რადგან რა მაინც პირველი არ გახლდათ. ბრძანდებოდა სხვადა: იქა პირველი, იქაპირველი, — და აქაპირველი თითისაც ვერ გასძრავდა იქაპირველის თანხმობის გაჩეხე, და სწორედ ის იყო, ლექსამდის იყო სსახელე იმისმეთქი, სსახელე-სსახეობისი, არათუ საგანგებლოი, არა, არა, ის სხვაგან გახლდა, — და ზედ დადანებაზე გამოჩნდა ისიცა, მაქანა ელოდა, საგანგებლოს მიეშურებოდა გამოჩნდა და იხუვლეს გუნდადა, იხუვლეს მართლაც აღტაცებითა, ვითომდა რაო, მორჩა და გათავდა, გადაწყდა უკვე ყველაფერიო, იხუვლეს და გარს შემოერთყვნენ. გუნდად შემოერთყვნენ, გულში მოიქცეს, უცება, უეცრადა, თვიოთნაც არ იცოდნენ თუ რას სხადიოდნენ, იმანაც არ იცოდა თუ რა დამართოდა, დაცვასაც ვერ გაეგო თუ რა ელონა, ასუსულყოყვენ დოჟლაბიებივითა. განგებამს დაეხლართა ფორგალი იგი, დაეხელანჯა ბედისწერასა, ადვილად ევლარ გამოიხსნებოდა.

ის მაინც თავისასა ცდილობდა, იმაზე ვამბობ, აქაპირველზე, გამბატრეთო, მშვიდად მიმართავდა, დარწმუნდა თუ არა, მოსაკლავად არ დამსხმინ თავისთა საგანგებო თათბირი გვექნება, მივილებთ სასურველ გადაწყვეტილებასა, უსათუოდ სასურველსა და მისსაღმებელსაო. სხვა საფიქრალი არცა აქვს ხელისუფლებასა, მხოლოდ ხალხის სიკეთეზე ფიქრობს, ზრუნავს ხალხის კეთილდღეობაზე, ახალგაზრდობა ჰო იმედია ჩვენი, ჩვენი ხვალინდელი დღეა, ახალგაზრდობას შეეკხარით, ახალგაზრდობაზე ამოგვდის მზე და მოვარეო. თქვენ მხოლოდ დაიმიადენით, მოხედეთ თქვენს საქმეს, ისწავლეთ, ჩამოყალიბდით, გამოიბრძმედეთ ღირსეულ ცვლად თქვენი მამა-პაპებისა, თქვენ უნდა მიიღოთ ესტაფეტა, თქვენ უნდა გადასცეთ შთამომავლობასაო, სხვა და-



ნარჩენი ჩვენ მოგვანდეთ, ყველაფერს მოვარიგებთ, გადავწყვეტთ ისე, სათქმელი არ გექნებათ აღარაფერიო. სულ ტყუილად აღელვებულხართ, ცული არავის განუზრახავს, შეურაცხყოფელი არავის წარმოუთქვამს, მხოლოდ რაღაც გაუგებრობაა, გაუგებრობას ნუ აპყვებითო, დაიშალენით, დაიშალენით, თქვენ ოღონდ წადით, თქვენს საქმეს მოჰხედეთ, ჩვენ კეთილბერებთ, ჩვენ მოვავგარებთო, ფაშატარეთო, გამატარეთო, — და მიმართავენ ხანთუ ერთ მხარესა, ხან მეორესა, ბრუნავენ, ტრიპალბდა, ხელითაც ანიშნებდა, გაიწიეთო, გზა მომეციო მანქანამდისაო. არავინ იძვროდა, დგენ გუნდადა, გაუვალ გუნდადა, გუნდადაც შეჰყვირებდნენ, აელავლებოდნენ ეგრევე გუნდადა, იტვრენდნენ კიდევაც, უსმენდნენ კიდევაც ეგრევე გუნდადა, ურჩევე გუნდადა, უსმენდნენ და არ ერწმუნებოდნენ, რამეთუ ისიც დაშლას ურჩევედა, სხვაგვარად ეტყოდა, სხვაგვარად აუხსნიდა, მაინც ურჩევედა მიქელიციოთა, — მიქელს გაექცენ, ამას აღარა, მიქელს არაფერი ეკითხებოდა, ამას რაღაცა ეკითხებოდა, ამბის მიტანა მაინც ეკითხებოდა, შევატყობინებთო, ვითაობინებთ და შევატყობინებთო, აღიარებდა, თქვენ ოღონდ წადით, დაიშალენითო, სხვა ჩვენ ვიცით, ჩვენ გადავწყვეტთო.

ჩვენც დაგესწრებითო.

რასა ბრძანებთო, რა საქიროა, თქვენს საქმეს მოჰხედეთ, ყველამ თავისი საქმე აეთოსო.

თქვენს საქმეშიც ჩაგვახედეთო.

ყველამ თავისი ადგილი იცოდესო. ყველა არც მოუშვიათ თავის ადგილამდეო.

ვინ სად თუ მისულა, იმისი ადგილიც ის არისო.

ჩვენც მოვალთ იმ თქვენ თათბირამდისა და შეტყობინებამაც დავესწრებითო.

ეგ არ იქნებაო.

იქნებაო.

და აღარ იცოდა თუ რა ეღონა აქა-

პირველსა, გარს ერტყა გუნდის უტრები, გაუვალ, შემონთებოდნენ, გუნდის უტრები, თვალუბი, ბრძალა თვალუბი, ნაწიროვლიანი, გამზადებულნი ცეცხლისფრქვევად, გამოთიშულიყო აქაპირველი, ვერავის ბრძანებას ვერ მიაწვდენდა და იყო უძალო, ვერცთუ ვერავინ ვერას იღონებდა უიმისოდა და იყვნენ უძალონი ერთი გუნდისგანა, მგზნებაზე გუნდისგანა, აფორიაქებულ, აციფრებულ ყმაწვილითა გუნდისგან. ამით შეეძლოთ, უყვე მოეგოთ ნიშნი მიქელინათვისა, ოღონდ მიქელი ისევე ზევით მითუთიბდა: ძვედა ბოინობს, ისევე ყაშყაშებს თუ ბოინობს, ყაშყაშებს, სუნი სეცეს სისხლისაო, — მაგრამ მიქელი იქ არსად იყო, არც გაუგონებდნენ რაღაც თქმა უნდა, არც სხვა აღმოჩნდა, არავინ აღმოჩნდა, თუნდაც ისეთი, ცხრამსხუთის ყაზახ-რუსებივით რო შემოსეოდა, მათრახშემართული, ყალბხე შემდგარი ცხენებითა, შემოსეოდა იმ ვიწროებში, იქვე გაეფანტა გუნდი იგი აფორიაქებულთა, დაეფრთხო ისე. შემოგროვება ველარ მოეხერხებინათ, ველარ მიებედნათ ყაფლანიანთ კუნძულამდისა; ვერავინ ფაშებდა, ვერავინ მოიფიქრა, იხვლანჯებოდა ბედის გორგალი, გამომხსნელი აღარავინ იყო, იხლართებოდა, იხვლანჯებოდა, — კაციც დასჯას რო მოინდომებს ღმერთი, ჭერ ჰქუას წაართმევსო, რაღაც კაციო და რაღაც ვერიო, ღმერთისთვის ერთია, ერთი ტოლიაო, ჰქუა აღარ იყო, ჰქუა არ მოსჩანდა, იხლართებოდა, იხვლანჯებოდა, სისხლი სწყუროდა ბედისწყერასა.

ის მაინცა ცდილობდა, აქაპირველი ცდილობდა თავისასა თუ რაც შეეძლო, იმასა ცდილობდა: რახან არ დაიშლით, დაგვესწარითო, ოღონდ მიმიშვით მანქანამდისაო.

უკაცრავადო, შეგვასწრებ და ვილა შემოგვიშვებსო.

შემოგვიშვებენო.

არა გვეკრათო, ერთად წავიდეთო. კეთილიო, რამდენიც ჩაეტევიო ჩემს მანქანაშიო.

ყველანი ვერ ჩავეტყვიით.

რამდენიც ჩაეტყვიით.

არაო, ვიარათ ყველამ ერთადო.

ერთად როგორაო.

ფეხითაო.

ფეხით როგორაო.

როგორაო და აი ასეო.

და დაიძრა გუნდი, დაიძრა, აგორდა, აყრა იგი აქაპირველიცა, აყრა, აყო-  
ლა სხეაცა და სხეანიცა კიდევა და კო-  
დევა, ოღონდ დამაფიქრელი მინც ეს  
იყო, ეს აყოლება აქაპირველისა, სხვა-  
ნი სათითაოდ არც დახსმობიათ, გუნ-  
დი იყოო და გუნდს მიაკერეს, წინ მი-  
უძღოდა, არცთუ სურდა. არცთუ არა-  
ვის წაექეზებინა თუ გაებრიყვებინა,  
ძალით ჩაეთრიათ, ძალით მიეჩეჩებო-  
ნათ გადაგდებულნი ხატი, ძალით მიპ-  
ყავდათ, — მაგრამ რას იზამო, უცნა-  
ურია წუთისოფელიო, იცის უცნაური  
მომსგავსებანიცაო. ხელახალ გამო-  
ცხადებას თუ ელოდნენ. — და აი  
ვითომ გამოცხადდაო, უკეთუ მსგავსი  
გამოცხადდაო, ან არცა მსგავსი, ან მა-  
ინც მსგავსი გამოცხადდაო. რაც იყო,  
იყო, ამას აქ შეაჩქვეს, იქაც ძალიან  
მოსწონებოდათ, ბევრი უცინიათ. ყვე-  
ლაზე მეტი უცინია აქაპირველსა, ანთუ  
მთლადპირველსა, პირველთა პირველსა,  
მაშინდელსა რაღა თქმა უნდა, იქაც  
უცინია და აქაც ჩამოაყოლია სიცილი  
იგი, სიცილი შემზარავი, ჩამობრძანე-  
ბულა და ჩამოაყოლია, — ეს მერეო,  
ვითომ რომ დამშვიდდა აქაობაო, ვი-  
თომ სისხლი რომ დაივიწყაო, ვითომ რომ  
დაივიწყაო, ვითომ რომ გადაირია უმა-  
ღლესი ჭილდოთიო, რახან თვითონვე  
იმან მოართვა, იმა უმაღლესსაო, ჰო  
მაშინაო, აქაპირველი რომ შეეგება, აქა  
მასაჩქელი და აქა მორჩილი პირველი,  
ქართულ მიწაზე ფეხის დადგმა რომ  
მიუღოცაო, უცებ აფეთქდა სიცილი

იგიო, ფუნჯულა თითებზე მიუტანდა აქა-  
პირველის პატარა ლაზარესი და  
ტარასა და გადაეფრქვა მოალერსე სი-  
ტყვებიცა. — ძვირფასო, როგო-  
რა მყავხარო, — მოსწონებოდათ რა-  
ღა თქმა უნდა, თორემ იმდენხანს  
ვინ დაიხსომებდაო. ამას ისიც ახლდა,  
ის დიდი სიამოვნებაო, ტყემლის სა-  
წებელს რომ გამოეწვია: ოპოი რა სა-  
წებელი გქონიათ, ლუქსმენს გადაეყ-  
ლაპე ამ საწებლითაო. ისიც ახლდით,  
ის სიამოვნებაცაო, ის ნეტარებაცაო,  
მთლად განცბრომით წარმოსთქვამდაო.  
ოღონდ ეს მერეო, ხოლო იმ უმაღლა,  
გუნდს რომ აყრა და რომ მიართევდა,  
ეხვეწებოდა ყელგამორწეული: ე, ბიჭო,  
გეყოფათ, ე, ბიჭო, წადით, დაიშალე-  
ნით!.. ე, ბიჭო, გამიგონეთ, ემანდ არა-  
ფერი მოიწიოთ, დაიშალენით ბიჭო,  
დაიშალენით!.. ე, ბიჭო გეყოფათ, არა-  
ფერი მოგვეწიოთ ე, ბიჭო!.. ე, ბიჭო,  
გეყოფათ ე, ბიჭო, ე, ბიჭო, ე, ბიჭო,  
გეყოფათ!.. — ეხვეწებოდა ამაირადა,  
მამაშვილურად ეხვეწებოდა, ასეც ამა-  
ბობდნენ მერე ზოგ-ზოგები, გამოძებ-  
ნიდნენ ვითომ სხვა რამ გამამართლე-  
ბელსაცა თუ ახსანსა სხვაგვარსა, მაგ-  
რამ და რაო, წუთისოფელი უღმობე-  
ლიაო...

ამასაც ემწარა, ემწარა ყველა-  
ზე მეტადა, ემწარა და, ვინ ელო-  
დაო, — ოღონდ და ამინც მოუხე-  
რბდა თუ არა, გადაუხადა მწარედ-  
ცაო, იმასვეო ცხადია, თვით იქაპირ-  
ველსა, პირველთაპირველსაო: ჰო და  
ჰო ვინ ელოდაო, ოღონდ და რაო, მა-  
ინც ისე დაბრუნდა წუთისოფელი, გა-  
დაწყდა იმისი დამხობაცაო, იქ ეს გა-  
დაწყდა და აქ ამათ ასე შემოუთვალე-  
სო, — გააკოტეთ და ჩამოგვეგვარეთო,  
ამათაც გააკოტეს ბიჭვინთის ტყეშიო,  
განცბრომაშიო, უკეთუ ტყის პირასაო  
და ზღვის პირასაო, სველ ქვიშაზე რომ

გატყაპულიყო და ზღვა თვითონ მოდიოდა, თვითონ გადასდიოდა ღიბზედა, ზღვით მორჩილი თუ დაპყრობილი, ზღვა გადასდიოდა დუნდულზედა და გაფუებული ნესტოებიც მიეშვირა ფიჭვებისთვისაო, აი მაშინაო, მაშინ გაპკოკეს, განცხრომაშო, ეგრევე გაპკოკეს და ეგრევე ჩაპგარეს, ეგრევე ჩაპგარეს და ჯერ თვითონვე დაადგა პირზეო, ველარა ვარგობ და ვერ გაუფროსებთო, — გადაუხდა აწიარადაო, ასე მწარედა და მწარეზე მწარედაო. მეტი გადახდა არც იქნებოდა, მაგრამ და რაო... ოღონდ ეს მეორე, ხოლო იმჟამად: ე ბიჭო, გეყოფათო, — ვინ იცის მერამდენედ იმეორებდა, ვინ იცის, ვინ უწყისო, ანთუ რაღა დათვლა უნდოდა, — ასე მიატანეს სააჭაო საბრძანებლომდისა, გუნდად მიატანეს, ანთუ მივარდნენ დაუთმინარნი და ცოტა შეყოფდნენ, ცოტა განიბნენ, რადგან გუნდადვე ვერ შეიტევოდნენ, ჰოდა განიბნენ, ცოტა განიბნენო და ჯერ ის შეუშვეს თავისი ჯვარ-ხატითა თუ გადაგდებული და მიჩეჩებული ჯვარ-ხატითა, ჯერ ის შეუშვეს და, ეს უკვე ველარ გათვალისწინეს, კარი მოიგმანა, გუნდი ველარ შეჰყვა, ვერც თუ ვერაინ შეაღწია შიგნითა.

ავარდა და დავარდა გუნდი იგი, აქეთ ეცა და იქით ეცა, აკვლდა და აკოწიწდა, დაიქუბა, დაიგუგუნა, ბანი გამოსცა მთაწმინდამაცაო, ოღონდ და რაო, მაინც არ განიხვნა კარნი, მაინც ვერ გამოიტყუა იგი პირველი, აქაპირველი რაღა თქმა უნდა, ვერც სხვა ვერაინ გამოიტყუა, მხოლოდ დუმილი გამოსცემდა შიგნიდანა, არათუ კარგობ მომასწავებელი დუმილი, — არათუ კარგისაო და ესენიც ჰო ავად აღებოლიყვნენ... იქ მაინც ვერაფერი გააწყეს და უეცრადაც მოსწყენენ იქაობასა, მოსწყენდნენ და მიმართეს ისევ თავიანთ ციხე-სიმაგრესა, იქ იყვნენ ძლიერნი, ღრმად დაჭრებულნი, ჰოდა მიმართეს, ანთუ დავორდნენ ვეება გუნდადა, უშ-

ველებელ გუნდადა, ანთუ ჩამთხვედნენ რუსთაველზედა და მთაწმინდის ქუჩაც რო აღარ ეცხათ, იქვე ბალსაც გადაუარეს ეგრევე ზევადა, გადაუარეს და ჩაიფშხვნენ, ჩაიშალნენ ყაფლანიიანთ კუნძულზედა.

## XXI

„და პირველმან მან დასცა, და იქმნა სეტყვითა და ცეცხლი, შეერთებული სისხლითა, და მოვიდა ქუეყანად, და მესამედი ქუეყანისაი დაიწუა და მესამედი ზეთაი დაიწუა და ყოველივე თივაი ნედლი დაიწუა.“

„და მეორემან ანგელოზმან დასცა საყვირსა და ვითარცა მთაი დიდი მოტყინარე ცეცხლითა, შთავარდა ზღუად, და მესამედი ზღვისაი იქმნა სისხლ.“

ყაფლანიიანთ კუნძულზედაო... უამრავ ხალხში ასე ჩაიწიწნენ, თითქოს არაფერი მიმატებიაო, მხოლოდ ფუსფუსმა იმატა ძეგლთანა; ისინი გამოეყვნენ, მოთავეობა ვისაცა ზედმოდა წილადა, ანუ ვინც მიმხვდარიყო, თუ რაოდენ საცოდავი იქნებოდა ხალხი ასე უპატრონოდა, უთქმელადა, უნუგეშებლად; თუმცა ვილაცა მაინც აბობლებულიყო და ქაჯანებდა, არავის ესმოდა ქაქანი მისი, მიკროფონი ჩაწყვეტილიყო, თუნდაც აეხსნათ, არ მოუსმენდა მაინც არავინა, ისეთი პირი არ უჩანდა, ნათქვამი რომაა, ვისაც მოუკლავს ის მოკლავსო, — ისინი ახლალა დაბრუნებულებს, დაბრუნებულებს და ფუსფუსებდნენ, ისინი ბუბობდნენ, ვისთვისაც მოესმინათ, ვისაც ჩამოეტანა ვეება ზევი, იგი ზღვა ხალხი ვისაც ელოდა, ბუბობდნენ და ბრძანეს აღდგენა მიკროფონისა. და აღდგა მიკროფონი. ბრძანეს ანთება შუქურებისა და აენთო შუქურები, დღიურვე აენთო, აენთო ეამსა კრიბირაბოსი. იდევილად ჩამოკყარეს ბედოვლათი ორატორები კვარცხლბეციდანა, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები რო დაეპატრონებიაო, ის ეშმაკები თუ ის ორატორები, ისინი ჩამოკყარეს და თვითონვე აბობდნენ

სათითაოდა. და შესახა ხალხმა, იცნო და შესახა, დისცხო ტაშიცა. ტაში იუ- არეს, ზეენ არა ვართ ტაშის მწყურვალ- ნიო, პო ტაში იუარეს და აუწყეს საჩ- ქაროდა, ეს არის შევხვდით აქაბირვე- ლსაო, ცოტა გვიმტუნა, ოლონდ ეგეც არაფერიო, რამეთუ აღგვიტყვა, რა აუწყებს ჩვენს მოთხოვნასა და უმაღ- ვე შეგვატყობინებს ბრძანებასა უმაღ- ლესსაო. და კიდევ შესახა ხალხმა, შესახა იმედითა, მხურვალე იმედითა, და კიდევ შემოაქრეს ტაში. და კიდევ იწყინეს, და კიდევ განაცხადეს, ტაში მაცდურია და მაცდურისაო.

და სწორედ ის იყო, იმეფე ახალგაზ- რდამ დაიმარტოებელა ლენტოი, შარვ- ლის ტოტებზე კანტები რა ესხა, დაი- მარტოებელა და არ გაუსწორებია არცა თვალს, კრინტიც არ დაუძრავს, მხო- ლოდ ოდნავ წასწია მკლავი და ხილა მოტეხა ისე სხარტადა, ამოაყვეო, იგუ- ლისხმებოდა.

და ლენტომაც ამოაყვა ერთი ფირო, ამოაყვა და ჩაუღო მუტაშია.

და იმან ახედა ცერადა, იგულისხმე- ბოდა, არა ქარაო.

და ლენტომ აიწურა მხრები, კისე- რიც გადასქიმა, ვითომდა რაო, ბევრი არაფერი გადაიღია, ორიოდ შეინაც მგულება, იმასაც მოგიტანო.

და უფრო გამომცდელად მიაჩერდა იგი.

და უფრო აიწურა ლენტოი.

და არ მოეშვა ისა, გაუყარა თვალი თვალშია.

და იდგა ლენტოი მხრებაწურვილი, ოდნავ ნოკამამოვდებულოვითა, ვითომ და რაო, მერტიც რა იყოს, არ ევარგე- ბაო.

და წარბი შესტეხა იმანა.

და მხრები დაუშვა ლენტომ, ვი- თომდა რაო, ყველას მოვიტანო.

და თავი დაუქნია იმანა, დაუქნია და გამოარდა, დაყაბულდა თუ დაემუქრა, ძნელი სათქმელია, ოლონდ ამან მაინც თავისი გაივლო გულშია: სამს თუ მო- ვიტან, ცალცალკე რა არაინ გამოირ- ჩევი, ერთად რომა ხალხი ათქვეფი-

ლიო, ბოლო დანარჩენი თუ რაღაც უნ- დოდა, ეს არ იყოდა, ვინაშითა და- და, არცთუ ბევლარი ეუბნებოდა რაი- მესა, არცთუ კოტესგან მოსდიოდა ამ- ბავი.

ანთუ რა უნდა შემოეთვალა კოტე- სა, — მოეთავებინა თავისი სპექტაკლო, ერთი სცენა ძეგლთანაც გაეტანა, იქვე, გაშია რალა თქმა უნდა, მერე ერთ მომ- ცრო ავტობუსში ჩაესხა მონაწილენი იმა სცენისა, თბილისისავენ გადავარდ- ნილიყო ავტობუსს ავტობუსი გამოკ- კიდებოდა, სატვირთოს სატვირთოი, მსუბუქს კიდევ მსუბუქი მანქანაი, ან- თუ არეულიყო ერთმანეთშია ყველა სახისა თუ ყველა მარკის ავტომობილი, გამოტენილიყო აღგზნებული ახალგაზ- რდებითაო, ვითარცა მტკვარი გაზაფხუ- ლობითაო; ოლონდ და რაო, მტკვარი მაინც ვერ მოდიდებულოყო, მშრალი ზამთრები გადააბმოდა ერთიმეორესა, გატრეცილიყო მწვერვალები თუ ხეო- ბები, დუნედ მოერთოდა თუ ძლიეს მოწინაწარება ხეობებს, წყლებიცა, დუნედ მოერთოდა და დუნედაცა დი- ოდა მტკვარი, დედამდინარე დიოდა დუნედა, სამაგიეროდ ახვირთებულოყო კაწრო გზები ხეობებისა, მოდგაფუნე- ბდა თავბირსმტვრევითა, შარავზას მო- ერთოდა მღვრიედა, მღვლეარედა, კი- დეცა უფრო აღლეკვებდა, კიდევაც უფრო აჩქარებდა ისედაც ატეხილსა თუ ატორტმანებულ შარავზასა. და შე- მოვიდა მდინარეი გზისა, შემოვიარდა და შეიყალყა ორბელიანთა კენძულზე- და, შეიყალყა და შთაინთქა, შთაინთქა ისიცა, ოლონდ და მაინც მოიტანა მგზნებარება თავისებური, მაინც შეენ- თო, ააბურბურა ისედაც აღგზნებული ხალხი.

და შენიშნა ლენტომ ეს შემოვარდ- ნაცა, აღბეჭდა კიდევცა კოტეს შენიშ- ნა, ოლონდ ისეთი რამეც შენიშნა, გაქ- ვავდა უეცრად, ვერცთუ კოტეს უბ- მო, ველარც დაიძრა აღგლიდანა, ვერც ვერას მიხვდა, ვერაფერი-მოიაზრა, ვე- რცა ეგრე გამშრალმა თუ გაქვაებულ- მა, ვერცა მერეო, დუნდგომი რა გა-

დაეწეა, იდაყვებითა თუ მხრებით რო მიიწევდა წინა და ვერ მიიწევდა, რამეთუ ყველა მიიწევდა, გადმოცვივოდა ერთბაშად მოხროვილი ავტომანქანებიდანა, ერთბაშად ცვივოდა და ერთბაშად ც მიიწევდა მოსული ხალხიცა, ანთუ ბრუნავდა ერთ ადგილასა, ანთუ ტრიალებდა გრებილები მანქანათა ირგვლივთ, ტრიალებდა და ისლართებოდა ერთიმეორეშია. როგორც იქ მოჰყვა, იმა გრებილებში ლენტოცა კოტე შორდებოდა, ადვილად აღწევდა თავსა იმა გრებილებსა, შორდებოდა და შორდებოდა, ანთუ შორდებოდნენ ისინიცა, ვისთა დანახვამ ჭერ გააქვავა და მერე ასე გააბელა ლენტოი, ასევე სხვებიცა, ასევეც რო ეხლებოდნენ ერთმანთსა, ეხლართებოდნენ ერთიმეორესა, წინ მიიწევდნენ და ბრუნავდნენ, ბრუნავდნენ, ალილავებდნენ ერთიმეორესა. ადგზნებამ ტყვილებში როდღილა იცისო, არ იცისო და არცა სტაიოდათ, არცა ბრაზობდნენ, ოღონდ გაელწიოთ, წამოსწეოდნენ ოღონდა, ძეგლითან მიმდგარიყვნენ უფრო აბლოსა, მიმდგარიყვნენ წინა მხრიდანა, პირისპირა, — დამავიწყდა მეთქი, ეს ჭერ ძეგლის ზურგითა ხდებოდა, იქით მოვარდნილიყო ახალი მდინარეი, იქიდან გადმოდიოდა ზვირთი ზვირთხედა, გადმოდიოდა და ვერც ეგრე ადვილად გადმოდიოდა, — წინანი, დამხედურნი იდგნენ წყნარადა, მიტმასნილნი ერთიმეორესა, ერთიმეორეში ამოჰედლინი, ერთად შეკრულნი თუ შეზედილნი, და იდგნენ წყნარადაცამეთქი, ვიდრე დადგებოდა ფაში შეძახილისა თუ ტაშისცემისა, ვიდრე ისინი წამოდგებოდნენ, მოსულთა ზვირთები ვისაც მოსდევდა; და იდგნენ წყნარადა, და მოისმენდნენ: ველოდებითო, მერე გადაეწყვეტთ თუ როგორ მოვიქცეთო, — მოისმენდნენ რიხით ნათქვამსა, იმეორებდნენ ახლომდგომნიცა, ისე მტკიცედა, გულითადა, ვითომდა მართლაც რაიმე ძალუდითო, — დაჭერებულოყვნენ, გათამამებულოყვნენ, გაზრდილიყვნენ თუ გამაღლებულოყვნენ ამ დღეებშია,

აბა მამ რაო, ამითთან მომდგარი რო ხალხი, ხალხი უსმენდა, ესეუროცეუროცეამდნენ ხალხის სურვილმამდგომეუროცემსა და ვარდაუვალსა, — ასეც დაესწავლათ, ამაღლებულოყვნენ ამნარადვე, ხმაში კაეი მომატებოდათ. უნთებში ფოლადი, ლამის ერთმანეთიც ველარ ეცნოთ, ზოგს ალბათ თავიც ველარ ეცნო. ხმა მაინც ვერა, ხმა თავიანთი ველარც თუ ეცნოთ, ვერც წყობა სიტყვათა, ველარც თუ აზრი. თითქოს თვითონ იყვნენ და იყვნენ სხვანიცა, თითქოს თვითონ ამბობდნენ და შორითაც მოესმოდათ, უნდოდათ ეთქვათ და უნდოდათ ესმინათ, და თითქოს ასწრებდნენ ერთსაცა და მეორესაცა, ოღონდ ეს სხვადა სხვა რამეს გავყვებით და სჯობიან რო იმავე მივეუბრუნდეთ. — თამამად რო იდგნენ იგი წინანი, ბოლო დღეების მოვლენებმა რო წაჰყარა წინა, უნებურადა, შეუცნობლად, თავისთავადა. და თვით იმათაც დააღეს მიზრი, გაქვავდნენ ისევე, ლენტო რო გაქვავდა მოულოდნელადა, ისევე გაქვავდნენ, იმანვე გააქვავა ისინიცა, იგი წინანი, კვარცხლბეკისანი... კოტე აღიოდა იმა სახელდახელო, იმა კინკებურა კინებზედა.

და კოტე მაინც იმდენი არაფერიო.

და მაინც კოტე მიუძლოდა, გზას უყავდა და მიუძლოდა, აღიოდა და აწყავდა...

და ეგება მიმიხედე:

პრემიერა წარმოადგინამეთქი „ტამერფორსის შეხვედრები“ ერქვა იმ სპექტაკლსმეთქი;

ერთი სცენა იქაც გაიტანა, გ-ში, ძეგლითანამეთქი;

იმ სცენის მონაწილენი ჩაისხა და წამოიყვანამეთქი;

აყვნენ და წამოჰყვნენ სხვანიცამეთქი, — თუმცა ეს არა, ეს არაფერიო. ითქვა და მოჩა, მთავარი ესაა: მონაწილენი წამოიყვანამეთქი;

და მიმიხედები, შენ მიმიხედები,

ამდენი რამ გითხარი,

ამდენი რამ გაგიმეორე,

შენ მიმიხედები რაღა თქმა უნდა,





ოლონდ ისინი რას მიმხვდარიყვნენ, — კოტე აღიოდა, რეჟისორი აღიოდა კვარცხლბეკზედამეთქო, ეს არაფერი, კოტე მიუძღოდამეთქო, იმათ მიუძღოდა, მონაწილეებს იმა სცენისამეთქი, — ეს იყო, რაც იყო, ამან გააქვავა კვარცხლბეკზე ისინი, მოთავენი თუ მოპირველენი, ძირს ის ზღვა ხალხო, გააშეშა და გააქვავა: ჭერი გააქვავა და მეტი არც იოქმის. გაქვავებდა გაქვავებდა, ხოლო თუ მერე რა დატრიალდა, ამის აღწერას ვერ შევუღვებო, ვერც გავებდავ, ვერ შევძლებ და იმიტომ, რა ექნა, ვერ შევძლებ, სხვამ ვინც უნდა დაიტრაბახოს, მე ამას ვიტყვი და გავიმეორებ, ვერ შევძლებმეთქი; უთქმელობაც არ იქნებაო, ცხადზე ცხადია და ვინც ანი თქვაო, ბანიც იმან უნდა მოადევნოსო. პოდა მიუძღოდაო, არა?... მიუძღოდა და წარადგინა: ერთი იგი, განსახება იმა ძეგლისა, განსახება და გამოცხადებაი ცოცხლობრივი, მეორე იგი, ვისთანაც ერთად აღზევებულყო, ვისაც დროშად დააფრიალებდა, ვისი სახელითაც იღწოდა, ვიდრე აღმატებოდა თავისი სახელითა, — ასე წარმოსდგა ორივე ერთად აღზნებული ხალხის წინაშე, სცენიდან გადმოვიდა, სცენიდან მოველინა აფორიაქებულ მოედანსა და უფრო მეტად ააფორიაქა, უფრო მეტადაც დააბნია, გაახელა, აიტანა და დაფლითა სულიან-ხორციანად. ამა და ეს იყოს ბანიცა, დანარჩენი წარმოიდგინე როგორცთუ შეგეძლოს, ზღვა წარმოიდგინე თუ გენებოს, ზღვაი აღეღებულნი, ტალღა ტალღას შეჭახებულნი, გრიალი შემზარავი, — მოთქმა, ტირილი, ხარხარი, ღმუღილი, წივილი, წიქუტუნნი, აღრეული ერთიმეორეშია და შეღეწილი კლდოვან ნაპირებზედა. დანარჩენს ნუ მომთხოვ, დაწვრილებით ნულარას მომთხოვ ქუჩებისასა და მოედნებისასა, აფორიაქებულ სხვა მოედნებისასა, ამას რო მოჰყვა, გამოცხადებასა ამათსასა, ყოვლად მოულოდნელსა, ყოვლად გაუთვალისწინებელსა ამა ურწმუნო სატუენშია. რაც უნდა იყოს, ჩაიარა უეცრობის წუთებშია.

— ამას მიინც გეტყვი, — ანთუ მიკროფონებმა წააჭარბა ხალხს, გეტყვი, ანთუ მოთქმა-ლრიალსა, ანთუ სხვა-სხვა შეხვედრამ, ვითომ პირველმა შეხვედრა-გაცნობამო, გადააჭარა ყველა და ყველაფერი, გადააჭარა და მიაყუჩა, თითქოსდა მტკვარიც მიაყუჩაო, მიაყუჩაო და ისღა გაისმოდა, ხმაი იმათი, იმათი ხმაღა გაისმოდა გაღმით გამოღმა:

„— დაგინახეთ თუ არა, მივხვდი, თქვენ უნდა იყოთ მგზნებარე კოლხიდელი!“

„— დიახ მთის არწივი, თქვენი ალო შეუმტდარიია!“

„მთის არწივი — მამ გამარჯვებათ მგზნებარე კოლხიდელი!“

„მგზნებარე კოლხიდელი — გავამარჯვოთ მთის არწივი!“

„მთის არწივი — რა ამბავი ჩამოგვიტანეთ კავკასიიდან?“

„მგზნებარე კოლხიდელი — რუსეთის რევოლუციის გამარჯვების ურყევი რწმენა და კავკასიის პროლეტარიატის მარადიული მეგობრობა რუსეთის პროლეტარიატთან.“

„მთის არწივი — მოხარული ვარ მოხარული ვარ! მგვრამ კავკასიაში არიან აღამიანები, სხვანაირადაც რო ფიქრობენ. მიმიხვდებით, მე ვგულისხმობ ქართველ სეპარატისტებს.“

„მგზნებარე კოლხიდელი — ჩვენ დავამსხვრევთ მათს წინააღმდეგობას და ნიდავს აღმოვფხვრით მათი იმედებისა.“

„მთის არწივი — მოხარული ვარ და მჯერა თქვენი, მგზნებარე კოლხიდელი!“

„მგზნებარე კოლხიდელი გჯეროდეთ და მტკიცედ იარეთ, მთის არწივი.“

„მთის არწივი — მომეცით ხელი, მგზნებარე კოლხიდელი!“

„მგზნებარე კოლხიდელი — აი ჩემი ხელი მთის არწივი!“

და შემოჰკრავენ ხელი-ხელსა, მაგრადაც ჩაბლუჯადნენ რაღა თქმა უნდა, პიესაშიც ასე ეწერა: „მხურვალედ ხელს ართმევენ. აღტაცებული შეჰყუ-



რებენ ერთმანეთსა“-ო, მაგრამ არ აკმარეს ნაბერწყლები აღტაცებისა, შეუძახეს და შეუძახეს, დაიგუგუნეს და დაიგუგუნეს, გადააკოცნეთ ერთმანეთით, დაიგუგუნეს და გადაეხვივნენ ისინიც ერთიმეორესა, გადაეხვივნენ და გადააკოცნეს, ისეთი ზენეშითა, ისეთი ეინითა, ერთილი აფტყდა მიკროფონსაცა, ხალხშიც დაიქუხა და მიწა იძრა თითქოსაო, მიწა იძრა და თითქოს ზეცაც შეტორტმანდა, არწივი ცაში ამოტრიალდა, ვერც წამოვიდა ფეხებაპარკუული, მერე უცერად ფრთა ფრთას შემოჰკრა, დაიყვილა და გადაიკარგა კოჭრისაყენა თუ შევანბადისაყენა, მყინვარისაყენა თუ საით გადაიკარგა, ვერავინ მიადევნა თვალის არცთუ არავის ეკითხებოდა, არცთუ არწივიო, არც სხვა არაფერიო, ისინი ეხვეოდნენ, ისინი ჰკოცნიდნენ ერთმანეთსა, ისინი, ორნი, ანთუ ერთნი, — ვისთუ დაცალება მოედლომებინა, ვითომ გაწბილებულიყო ასე თვალსაჩინოდა, — მარადის ერთნი, მარადის განუწყრელნი და ბლაოდა ხალხიც ერთადვე იმათს სახელებსა, ბლაოდა გაბმულადა, გადაბმულადა, ბლაოდა და შესევნებასაც არ დააცდიდა იმა ორთა, ანთუ ერთთა, აკოცევითო და აკოცევითო, და ჰკოცნიდნენ ისინიცა, ერთმანეთსა ჰკოცნიდნენ უთვალავად, გაუთავებლად, ჰკოცნიდნენ და ჰკოცნიდნენ: გრიმი აეჭოყუნათ, პარიკები მოეჭყათ, კოსტუმები მომოტეჩათ, აღარცთუ ჰგავდნენ, ვისაც თუ ჰგავდნენ, მაინც შეპბლოდნენ, კიდევ აკოცეთო, მაინცა ჰკოცნიდნენ კიდევ და კიდევ, ამასთან ისიც არ დაგავიწყდეს, ხელები ჩაბლუჯოდა იმათს კალთებსა, არ გადაცვივდნენ კვარცხლბეკიდანაო. და ბლაოდა ხალხი, თუ ტოროდა, თუ იცინოდა, ძნელი სათქმელია, მაინც ბლაოდაო უკეთ გამოდის, ჰოდა ბლაოდა ხალხი, ისინი ჰკოცნიდნენ, არწივი ჰო გადაკარგულიყო, კოტე ბლოელი გადმოშდგარიყო არწივივითა, ის იყო მეუფე, ის იყო განმგებელი, მფლობელი გახლდა იმა ეამისა და ტებებოდა იგი მფლობელი, შემოქმე-

დი იგი, ტებებოდა თავისი ხელქმნილითა.

და იყო იგი ხელოვანი იშვიათობებში.

და ლენტო უვლიდა გარსა, ჩხრიალებდა ლენტოს აპარატი, ბზრიალებდა და ჩხრიალებდა, — კიდევაც შესძახებდა ლენტო, კოტეს შესძახებდა, მაგრამ არაო, ასე ცალ-ცალკე ვერც ვერავის დაინახავდა კოტეი, ვერც ვერავის გაუგონებდა, რა ვუყოთ თუ ვერ გაუგონებდა, არ დაიძრახებოდა, მაინც არაო, ტებებოდა ხელოვანი თავისი ხელქმნილითა.

და ბლაოდა ხალხი, და ჰკოცნიდნენ... ოლონდ თუ ვინაო, აღარ ეტყობოდამეტეი, ისე აეშალათ გრიმი თუ პარიკი, კოსტუმები ისე აეჩეჩათ, მაინც ჩაებუჯა რამდენიმე ხელსა, არ გადაცვივდნენო, მაინცა ჰკოცნიდნენ და თუ მაინც გადმოცვივდებოდნენ, დაფლეთდა ხალხი, ნაკუნებად გაიტაცებდა, ვითარცა წმინდა ნაწილებსაო: მადლობა ღმერთსა, არ გადმოცვივდნენო, თორემ და რაო, გაიწირებოდნენ უტიინარი თუ სახელგაუთქვამი თეატრის მსახიობები ამ უჩვეული წარმატების ეამსაო, — რა უცნაურად გაიწირებოდნენ!..

და მხოლოდ ეს იყო, — ერთს ყელსახევეი მაინც ჩამოუვარდა, ჰრელი იგი ცნობილი ყელსახევეი, ციხის სურათიდან რა გადასულიყო მხატვართა ტილოებზე, ჩამოუვარდა და ის დაეწყესო; ოლონდ თუ როგორაო, — ამის აღწერისაგან მაინც გამოიხსნია თავი.

XXII

„ვიცინი საქმენნი შენნი და შრომი შენი და მოთმინებანი შენი და ვითარმედ ვერ ძალ-გიც ტვირთვად უკეთურთა მათ და გამოსცადენ იგინი, რომელნი იტყვიან თავთა თვისთა მოციქულად, და არა არიან, და ჰპოვენ იგინი მტყუვარ“.

რაც უნდა იყოს, ეს იმ წუთსაო, ეამსა იმ უჩვეულო წარმატებებისაო, თო-

რემ მერეო, თანაც სულ შალეო, აღარც აღარავის ეყითხებოდა, ვინ იყვნენ ისინი თუ ვის განასახიერებდნენ, რა იქნენ თუ სად ჩაიყლაპნენ. — აღარავის ეყითხებოდა, ყველას თავისი გასჭირებოდა... ეს ისე მოხდა, ვერცთუ გაიგეს, ვერცა წინასწარა, ვერცა მაშინვე, ტყვიამ რო იწვიმა, — შიშმა გააფანტა, გააბნია, შიშმა გადაამალა, გაგებამ არა გაგებით მაინც მერედა გაიგეს, ჭეჭა-ჭეხბლმა რო გადაიარა, თუ გადაიარა, ხოლო თუ ვინცთუ ტყვის ქვეშ მოპყვა, იმათ მაინც ველარა გაიგეს, წავიდნენ ისე გაუგებრად: თუმცა იმათაც უნდა გაეგოთ, ახლა ვილა გამოიკოთხავს, თორემ უთუოდ უნდა გაეგოთ, რადგან რო ტანკები ვერ შემოიპარებოდნენ უჩუმრად, ვერც შემოიპარებოდნენ და არც შემოპარულან, გრუბუნით შემოურტყნენ ორბელიანთა კენიულსა, გაიკუმნენ სანაპიროზედა, ზევით-ქვევითა, გაღმა-გამოღმა, უნდა მიმხვდარიყვნენ რალა თქმა უნდა, მაგვამ მიხვედრა მოდუნებულყო, ანთუ ეგონათ, საზეიმოდ გამოსულანო, ჭაროც ჩვენთანაა, თანავეგრძნობსო, ანთუ ეგონათ, ამა მაშ რაო, სწავლითაც პო ასე დაესწავლებინათ. — ჭარი ხალხისაა და ხალხი ჭარისაო, ერთნი არიან და ერთი სულიაო, ერთი სწამთ და ერთს ესწრაფვიანო. — პოდა მიხვედარა მოდუნებულყო, ანთუ ასელა მიმხვდარიყვნენ და ხალხი რო ბლაოდა, გადაეხვიეთო, ტანკებიც ეხვეოდა კუნძულსა, გრუბუნით ეხვეოდა, ღრიალში იბრჩობოდა გრუბუნი, ანთუ გრუბუნი ამძაფრებდა ღრიალსა, ასე შეერწყო და ასე შეეპარა, და რო განლაგდა ტანკები თავთავის დადგილასა, და რო მიყურდა, ესეც ვითომ არაფერიო, მითუმეტეს არაფერიო; საარქველები რო აპხადეს ტანკებსა და ზედ გაღმოსხდნენ მეტანკები, ესეც ვითომ არაფერიო, ანთუ თანაგრძნობა სწორედაც ეს არისო; და რა გასაცვირია, ველარა გაეგოთ, როდის თუ როგორ ჩაიხუფებოდა ტანკები, როდის თუ როგორ გაისმოდა ბრძანება საროლისა, როდის თუ

როგორ დაეცემოდა პირველი მსხვერპლი, რა გასაცვირია? — ველარა ველარა, ბლაოდა ხალხი, ხალხი ბლაოდა და ჭკოცნიდნენ ისინიცა: ერთნი არიან, განუყოფელი არიან, ვერავენ გაპყრისო, ბლაოდა და მხნეობდა ხალხი.

დაე ეუწყოს ქვეყნიერებასაო, დაიგუგუნა ბეგლარმაცა მიკროფონშია.

მოსყოფს ეუწყოსო, იწივლა ნახიყომა.

ეუწყოსო, დაიგუგუნა ხალხმაც, დაიგუგუნა და დასცხო ტაშიცა, ვითომ და რაო, ესააო და გადაიყუდა უკვე სამარადისოდაო, ერთნი არიან და ველარც გაპყვირანო.

და მოითმინეთო, — მაინც სხვა ვინმე დაეუფლა მიკროფონსა, სხვა ფეხიც აირია კვარცხლბეჭედა, ისედაც ვიწროზედა, ისედაც მოუხერხებელზედა; სხვა ფეხი აირია და შეავიწროვა მანამდელი, თვით ის მკოცნავებიცა, აბა, აბა — მკოცნავებიცა!.. შეავიწროვა და სულაც მიაფურჩია, აღარც გამოჩინილან, არც თავი ჭკონდათ გამოჩინისა; სხვა ფეხი აირია და სხვა უფლებით მოვიდა, სხვა დავალებითა, სხვა ბრძანებითა, ხელისუფალთა ბრძანებითა, წესრიგი რო აღედგინა, ამ ბრძანებითა, აქამდე რაც იყო, უთავბოლოდ ითქმოდა თუ რადაც ითქმოდა, თავისთავად იყო, თავისთავად იქმნა, ამიერიდან ბრძანება იწყება, ზეგარდმო ბრძანებაი. და მიტინგს ვიწყებთო, გამოაცხადა მოთავეთაგანმა იმათ შორისა, იმა შემორეულ ფეხთა შორისა, რიხიანად გამოაცხადა, საზეიმო-სამგლოვიარო მიტინგს ვიწყებთო. მოითმინეთო, იმანვე ბრძანა, და აი ვიწყებთო, იმანვე მოაყოლა, მოაყოლა იმადგვარადა, ვითომც ნამამდე არცრა მომხდარიყოს, თუ მოგროვილიყვნენ, ამათთვის მოგროვილიყვნენ, თუ ელოდნენ, ამათ ელოდნენ და ვითომ ამათი ლოდინსათვის იყო ის იმოდენა ტაშიცა და ღრიანცელიცა, ეგება მართლაც ასეცა სჭობდაო, რაც იყო თუ როგორც იყოო, სჭობდა ამგვარად გადაბრილიყო, ამბობდნენ ზოგნი, კიდევაც ეგუგუნათ, კიდევაც შემო-

ეკრათ ტაში, თუნდაც ხელები დაემტ-  
ვრიათ ტაშითა, ხმა ჩაბლუჩოდათ შემა-  
ხილებითა და დაშლილიყვენ ნება-ნე-  
ბათ კმაყოფილნი და ხმაჩაბლუჩოლნიო;  
ეგება თუ არცა სჯობდაო, ზოგნიც დას-  
ძენდნენ, რაც თუ მოხდა, ისა სჯობდაო,  
ანთუ ვინ იცის, ანთუ ვინ უწყისო,  
აღარც ვაირჩევა, — რატომაც არა!.. —  
აღარც შემობრუნდება აღარაფერო,  
აღარცა ახლა რაღა თქმა უნდა, აღარ-  
ცა მაშინა, აღარაფერი შემობრუნდებ-  
ოდა, ველარც დაიწყებოდა უკვე დაწ-  
ყებულა ველარც ისევე, იმნაირადა,  
ველარც სხვაგვარად, სხვანაირადა, ვე-  
რა, ველარა, უბალო გამხდარყო სიტ-  
ყვაი, თუნდაც რიხიანი, თუნდაც მბრძა-  
ნებლური, დაუძღურებულოც გათელი-  
ლი სიტყვაი, სწორედაც გათელილი და-  
უძღურებულოც, ცოცხალი სიტყვა  
მომალებულოც, რაღაც ახალი მოძა-  
ლებულოც, ველარას გააწყობდა გათე-  
ლილი სიტყვაი, სწორედაც გათელილი.

ველარც რა გააწყო... თუმცა ეგონათ  
ადვილადვე ავიყოლებითო, ვებოძით,  
რაც თუ მოხდომებიათო; ვებოძით იგი,  
მიტ-ნგი იგი საზეიმო-სამგლოვიაროთ,  
ჩავერიოთ და ავიყოლიოთო, აგვდევდ-  
ნენ და აგვევებიანო. მაგრამ და რაო  
უკაცრავადო, აგდევდით და ველარ აგ-  
ყვებითო, ანთუ ბოძება რაღას მიქვიან,  
რაც თუ ჩვენვე მოგვიბოვებიაო, ანთუ  
სად იყავით აქამდისაო, დაგაკვიანდა-  
თო, დაგაკვიანდათო... და შეგვიანებამ  
იმსაერა სწორედაცა, იმოქმედა გასა-  
ოცრადა; გარდაქმნა, გამოსცვალა, გა-  
დასხვაფერა ხალხი, ანთუ დაუბრუნა  
ფერი თავისი, თვალისი აწოუწმინდა, ყუ-  
რი გამოუჩიჩქნა, მტვერი გამოუბერტყა  
თავიდანა, ანთუ, აენთო, და აღიოდა,  
და აღიოდა მტვერი, აღიოდა და  
ბრჭყვილებდა ძლიერ შეუზდა. იქ  
იმას ეყრებოდა თვალეშია, იმა მოთა-  
ვესა წარმოგზავნილთა, მიკროფონთან  
რო მიმარჯვებულოც, ქალაღებს რა  
ჩეჩავდა, გამოტანებულ ქალაღებსა,  
მტვერიც ეყრებოდა თვალეშია და  
ისედაც ველარ გაერჩია, ჭერ თუ რო-  
მელი წაეკობხა, მერე თუ რომელი,

ვერ გაერჩია და უნდა გაერჩევა, უნდა  
ფესადა, თორემ იქვე უნდა იქნებოდა  
რაც არ ჩამოცვენილიყვენ იგი მესიტ-  
ყვენი, უქალადონი, იგივე მფლობე-  
ლენი მოზღვავებული ხალხის ვნებათა,  
იდგენ და აედიდნენ, აბა თუ რას გვე-  
ტყვი, რა ამბავი მოგიტანიაო.

თქმით ჭერ ეს ეთქვა: აი და ვიწყე-  
ბთო.

ოლონდ მოტანითა. — კიბე მოეტა-  
ნათ მოხერხებულა, ის კიბე მიედგათ  
კვარცხლბეკებდა, იმითი ასულოყვენ.  
ჭერ ის ასულოცო, მოთავე თუ ქალაღ-  
დებჩაბლუჯული, ასულოცო თუ აერბი-  
ნა რიხიანადა, — აღბათ აერბინა, ან-  
თუ სულერთია, — მერე ჩარიგებულ-  
ყვენ სხვანი და სხვანი საფეხურებზე  
სათითაოდა, ჩარიგებულოყვენ იმა  
წყობისადა, ვითარც თუ იგი ამოციო-  
ხვდა, იგი წინ წამდგარი, სიტყვა ეკუ-  
თენის ამასო, ამასო და ამასო; წარ-  
ჩინებულ მუშასა რეინიგზის ქარხნებ-  
დანაო, წარჩინებულ მეცნიერსაო, წარ-  
ჩინებულ სტუდენტსაო, წარჩინებულ  
პოეტსაო და სხვა და სხვაო, წარჩინე-  
ბულსა და წარჩინებულსაო, და ქალაღ-  
დებივე ჩაებლუჯა იმათაცა, იმა წარჩი-  
ნებულთა თუ გამოჩენილთა, ჩაებლუ-  
ჯათ ერთმანეთიცა, არ გადაეცვიდეთო,  
წყუდებოდნენ იმა კიბესაცა, ეჭაფგურე-  
ბოდნენ, ვილაცანი იგერიებდნენ, იგე-  
რიებდნენ დაარბმულნი, ჟან-ლონიანი  
ბიჭები იცავდნენ, „ბერსაბეტოული ახა-  
ლგაზრდაც“ იცნო ლეტომა, იცნო და  
წაავლო ხელი, გაუსხლტა იგი, მყისვე  
გაუსხლტა, სხვა ვილაცა შეატოვა ხე-  
ლშია. მოქმელებიც ეცნო ხალხსა, ნა-  
ფიცო მოქმელები, ეცნო ჩაბლუჯული  
ქალაღდებიცა და არ გვინდაო, დაიგუ-  
გუნა ხალხმა ერთბაშადა, ერთობლი-  
ვადა, იგივენი გვინდა, უქალადლოდ რა  
ლაპარაკობდნენო, უჩვეულოდ რა ლა-  
პარაკობდნენო, აქამდის რა არ ვიცნო-  
ბდითო, დაიგუგუნა და დაიგუგუნა.

გუგუნე იგი უცებ ჩასტრა ბეგლარის  
ხმაში, ცოტა ამათაც დავაცადოთო, გა-  
დაუციათ ჩვენი სურვილი უმაღლესთა-

თვისა, განკარგულებაც მოუტანით, ჰოდა ცოტა დაეცადოთო.

დაეცადოთო. ოღონდ და მალეო, ბრძანეთ თუ რა მოიტანეთო.

მიტნგიო.

არ გვინდაო, დაიგრილა ხალხმა, ჯერ დაიზმუნდა და მერე იყო რომ დაიგრილა. ყველა მანამდეღუ ზუნსურად თუ შემზარავდა, დაიგრილა და დაიზმუნდა კიდევ და კიდევ, მერე არია ერთმანეთშია, ზმუილიაო თუ გრიალიაო, ველარ გაიგებდი, ციდანაო თუ მიწიდანაო, ვერც ამას გაიგებდი, აღამიანურს მაინც არა ჰგავდა, ამას მაინც გაიგებდი როგორმე და მაინც ვერაფერს გაიგებდი. მიწისძვრა იყო თუ ცის ჩამოქცევაო, ვერ გაიგებდი, ვერ გაიგებდი. ხოლო იქ ისევ დაქანაობდა ის ქალღმებო, ჩაბლუჯული ქალღმებო, იქა ძეგლთან თუ მიკროფონისა და ძეგლის შუა, დაქანაობდა და გაიშლებოდა და ჩაბლუჯებოდა ისევ და ისევ, ცხვირიც ჩაირგვებოდა ბლუჯებშია, ამოვარდებოდა და ჩაირგვებოდა ისევ, ანთუ განიყოფოდა ბლუჯები ქალღმეთსა და ქანობდა ბლუჯები აქეთ-იქითა, ცხვირი შუაშია, ბლუჯების შუაშია, ქანაობდა და ქანაობდა, ეს იყო და ესა, ცა და დედამიწი იქცეოდა და ქანაობდა ცხვირი ბლუჯების შუა, არაფერი ეშველებოდა, რაღაც სხვა უნდოდა, ვიღაც სხვა უნდოდა მიმდგარიყო, ვთქვათ რომელიმე წარჩინებული თუ დაწინაურებული, ანთუ სხვა რაღაც ღონისძიება, სხვა რაღაცაო, სხვა ვიღაცაო, და ცხვირი გაჩინდა, იყნოსა, მოუხვდა, იმასაც მიხვდა, არ ივარგებდა გამოცხადება იმა სიტია, იქ თუ როგორც დემეტრიკებინათ, იქ თუ როგორც ჩარიგებულებიყვნენ სახელდახელო კიბეზედა, არ ივარგებდა და—იკისრა პირადი პასუხისმგებლობა—ო, ასე ამომიკითხავს და ასევე გადმოამქვს, ჰო „იკისრა პირადი პასუხისმგებლობა“ და ჯერ პოეტს გამოაცხადა, წარჩინებული რაღა თქმა უნდა, ისევ თუ ლექსი იმარჯვებდა, ლექსი გაიტანდა გასატანსა პოეზიის ქვეყანაშიო.

ჰო იკისრა და გამოაცხადა:

— სიტყვა გაუთონის, სიტყვა სიტყვად რელ პოეტს... — და დასასხელა, ვისაც რო ხელისუფალნი ანეჩებდნენ ხალხსა.

— არ გვინდა! — არ დაცადეს და შეაჭრეს ისე, — არ გვინდა!.. არ გვინდა!... არ გვინდა!... არ გვინდა!... — ვისაც რო ხელისუფლება ანეჩებდა ხალხსა, რო გამოვგზავნათ და რო არ იცოდა, საით გამძვრალიყო.

იმანაც რო არ დაიშალა:

— ...თქვენს საყვარელ პოეტს...

ამთაც იქვე გადაუჭრეს სახელი:

— არ გვინდა, არაააა, ააააარ ვვინდა!..

და მაინც პოეტის სახელი მოვარდა უეცრად:

— გალაკტიონი გვინდა, გალაკტიონიიიიი...

— გოგლა გვინდა, გოგლაააა...

ორი სახელი მოვარდა ერთად, ერთად აიტანა ისედაც ადუღებული კუნძული.

მიკროფონი მაინც მძლავრობდა და მაინც ის წაყენეს, ისა თუ იკი, რამდენჯერმე სახელგადაჭრილო წაყენეს რაღა თქმა უნდა, წაყენეს და ძლივს წაყენეს, ძლივს მოუცალეს ადგილიცა, ხელიც წამშველეს, არ გადავარდესო, — ეს იყო, იმაზე აღარას ვამბობ, ოღონდ იმათ თუ სხვანი მიამშველებდნენ ხელსა, ამას სულ სხვანი რაღა თქმა უნდა, — წაყენეს და იდგა ძიცა, დიდად წარჩინებული და დიდად ცნობილი, დამშვევებული დაფნის გვირგვინითა, მკერდმოკირწყლული ჭილდოებითა, თავაწეული, ამაღლებული, მხრებგაჭიმული, ამაყი, ზვიადი, მოღერებული, თვალად ბრიალა, საღმჯე ღიმილითა და ანეგლოტებით გამოტენილი აბგებითა და ვითარც ამბობდნენ, ანეგლოტები ერჩივნა ყველაფერსა, ანეგლოტები და ნარდია აგრეთვე, — ასე გავგონა, ვისაცათუ გავგონა, ასე იცნობდა, ვინცათუ იცნობდა, ოღონდ იქ ვერა, ველარ იცნობდა, იგივე გახლდა თუ წარმოუდგინათ ვიღაცა სხვაი, ვე-

ღარ იცნობდა, მობუზულიყო, მოკუნ-  
ტულიყო ცხრაეკეცადაო, თვალთა ბრი-  
ალი სადღაც გაჰპარვოდა, ხმაც გაჰპარ-  
ვოდა, მაგრამ წააყენეს და რაღას იზამ-  
და, — ამბობდა ისიცა, — პოეტი იგი  
თქვენი საყვარელიო, — ამბობდა ისი-  
ცა:

— მე წაგვიტოხავთ საყოველთაოდ  
ცნობილ ლექსს...

- ააააარ გვინდა!
- და ვითომ არც ესმოდა:
- დიახ, წაგვიტოხავთ...
- და მაინც არ უთმობდნენ:
- ააააარ გვინდა!

და მბრებს იჩეჩდა იგი, რა ექნაო,  
განდგომა უნდოდა, არ გაუშვებდნენ,  
ხელში ეჭირათ, საით წავიდოდა? და  
ჩასძახოდა ისევ მიკროფონსა:

- მე...
- ააააარ გვინდა!

ფრიალებდა ისე, ქარი მოდიოდა ისე-  
თი, ქარი თუ გრიალი, ლამის ყველანი  
აეტანა კვარცხლბეკიანადა, ძეგლიანადა.

- ...წაგი...
- მაინცა ხაოდა ხმაწასული მიკროფონი.
- აააარ გვინდა!

მოჰქროდა ისევა, ხორშაკიანი ქვენი  
ქარი მოჰქროდა.

- ...პო... წაგვიტოხავთ... — სცადა  
იგივე გაპარულმა ხმამა, დაჰხეთ, მაინ-  
ცა, მაინცა სცადა, ეს მაშინ მართლაც  
ვაეკაცობად ითქმოდა, ხელითაც ეჭი-  
რათ და ვაეკაცობადაც ითქმოდა, დაუ-  
გდეს კიდევცა ვაეკაცის სახელი, კიდევ  
და კიდევ ჭილვაც უბოძეს მალე მომ-  
დევნო წლისათვებზედა, ის არც ახსოვ-  
დათ და არც მოიგონებდნენ, იქ თუ რა  
მძინეწარედ შესძახა ხალხმა:

- აააააარ გვინდაააააა, აააარააააა...
- „მამავ ძვირფასო“ გვინდა!
- და ის მაინც:
- ყეთილი, ყეთილი!.. მე...
- მაინც და ესენიც მაინც:
- ააარ გვინდა, ააარ გვინდა!
- „მამავ ძვირფასო“ გვინდა!
- „მამავ ძვირფასო!“...
- „...მამავ ძვირფასო!“...

აქ ვიდაც ჩაერია, ალბათ იგივე ქა-

ლადებჩაბლუჭული თუ...  
ცხვირო, იმჯერად უკვე გამეშებული:

- ძვირფასო ხალხო, მოუსმინეთ.
- ძვირფასო ხალხო, მიკროფონთან არს  
თქვენი საყვარელი პოეტი...
- არ გვინდა!
- ააარ გვინდაააა!
- გალაკტიონი გვინდა!
- გოგლა გვინდა!
- სიმონი გვინდა!
- იოსებო!.. იოსებო!..

ამას მაინც აღარ ელოდა, იმათთან  
კიდევ დასდებდა თავსა, ამას მაინც არ  
მოელოდა, — იოსებო, არ მოელოდა  
და იფრიბებოდა იგი ზვიადი, იეცეებო-  
და და იმტერეოდა, იხლანებოდა თუ  
რაღაცას ეძებდა და თუ ეძებდა, ალ-  
ბათ გასაძრომსა, მოსაფარებელსა, —  
ხმა პო გაჰპარვოდა, ტანიც უნდა გაე-  
პარებინა, ოღონდ და ვერაო, ვერა და  
ვერ გაეპარებინა, იგი ზვიადი, ვინც წინ  
არავის დაიყენებდა საზეიმო შეხვედრე-  
ბზედა, ვიდრე ყავლი გაუფიქროდა რაღა  
თქმა უნდა, რაღა თქმა უნდა!.. თუმცა  
ყავლი ჭერ არ გასვლოდა, მაგრამ არ  
ემცხეთა ზეიმი იგი, გუგუნებდა ხალხი  
საბედისწეროდა, საავებედოდ აშლილი-  
ყო ხალხი, გასწრება სჯობდა, მიმაღლე  
სჯობდა, თავვის სორო ერჩინა ყველა-  
ფერსა. ტალღებიც ურტყამდა, ტალღე-  
ბი ჰაერისა:

- გალაკტიონი გვინდა!
- გოგლა გვინდა!
- სიმონი გვინდა!

იოსებოც გვიჩვენებინაო, შენ არაო,  
არ გვინდინარო.

და გუგუნებდა, გუგუნებდა სასტიკი  
მსჯავრი. ასეთი მსჯავრი პოეზიაში  
ბევრს მოსწეოდა, ბევრს ზურგთუცანა  
სიცოცხლეშივე, სიკვდილის მერეც ბე-  
ერსა და ბევრს, ასე პირდაპირ იშვიათ-  
თაგანს თუ მოსწეოდა და ვერც გადაე-  
ტანა თუ მოსწერდა. ამან გადაიტანა,  
გმირულად გადაიტანა, კიდევაც ამბობ-  
დნენ აფერტუმ შენს ვაეკაცობასაო. მა-  
რთლაც და მართლაც ძნელი ყოფილა  
ბედისწერასთან შეჭიდება, ძნელი ყო-  
ფილა და იშვიათიც შესაჭიდებია, ესეც

შევიდა დიდების მწვერვალზედა, თუმცა დაეძებდა თავის სიბრძნის, მაინც ესეც კიდელი გამოიღო. მითუმეტეს რო გადაურჩა, გაუძვრა, გაასწრო და მერე პყვებოდა ანგდორტებადა იმ სისხლიანი ღამის ამბავსა... სისხლიანი ღამის ამბებსა... არავინ ელოდა, ხალხი არ ელოდა რაღა იქმა უნდა, ხალხს სჯეროდა თავისი სიმაართლე და სიმაართლე ხელისუფლებისა. — აი ჩაგონებაც ამას მოქვიან, — სჯეროდა და ვერას იქვეებდა თუ რა მზადდებოდა, სჯეროდა და ბლაოდა, შეუძახებდა, ასეც გაეგონა, შეძახილმა ხე გააბმოო, ოღონდ იმდენი ველარ გაეგო. ის სხვა ხე რო იყო და სხვა იყო შეძახებელიცა: რაც იყო თუ როგორც რო იყო, ესენი მიხვდნენ, ესენი, ეს წარმოგზავნილნი, რაღაც რო გაწყდა და რაღაც რო გადაწყდა და რო ესენი რო ვერაფერს რო ვერ მოაგვარებდნენ, მხოლოდ იმას თუ, თავი რო ემაართლებინათ ხელისუფალთა, ვიღონეთო ყველაფერიო, სხვა გზა არ იყო. უნდა გვესროლო, მიხვდნენ, იგრძნეს, იხლანებოდნენ, იხვეწებოდნენ, — ე ბიჭო, ხერელი საით არისო, — ხერელსაც პო დაპირდნენ, გამოგაყვანთ მანამდისო, მაგრამ ვინ იცისო, მაგრამ ვინ უწყისო: პირველი ტყვიაც მაშინ გაეარდა, გაეარდა, ოღონდ ჯერ იქვე არა, ზევით გაეარდა. რუსთაველზედა, ჯორჯიაშვილის ქუჩის თავშია, კავშირგაბმულობის სახლი რო დარქმევია, იქიდან გაეარდა პირველიცა და უამრავიცა. ჯერ იქ იწვიმა ტყვიამა თუ ცეცხლმა, იქიდან გადმოიფრქვა, ყველა ფანჯრიდანა, ყველა საიკმლიდანა, სახურავიდანა, გადმოიფრქვა და დიოდა, დიოდა, აღინდა სისხლიცა რაღა იქმა უნდა, ავარდა მტვერიცა, სისხლი და ცეცხლი მტვერში გამოეხვია, ხოლო ხალხი — მტვერშიცა, სისხლშიცა, ცეცხლშიცა ცხადია, ვინცთუ დაეცა ისინიცა, ვინცთუ გაბოდა თავდაღმართზედა ჯორჯიაშვილისა, ანთუ გაიჭრებოდა ნინოშვილის ძეგლისაყენა, ანთუ შეაწირებდა კაფე „თბილისშია“, ანთუ საბინკლე „თბილისშია“. თან შე-

იტანდა სისხლსაცა, მტვერსაცა, ცეცხლსაცა აგრეთვე, სადღესმისღესა, იქ შეიტანდა. ზრიალებდა შემები კაფესი თუ სასტუმროს სადარბაზოსი, ზრიალებდა, იფშხენებოდა, წიოდა ნაფშხენიცა: ტყვიასავითა წიოდა და სჭრიდა აგრეთვე ტყვიასავითა, კედლების ნატყვიცა, გრანიტის ნატყვიცა, ეგრედვე წიოდა და ბზრიალებდა გახელებული თუ გაეარებებული, — ეს იქა, ზევითაო, ხოლო იქ, ძეგლთან, თითქმის არაფერი გაიგონებოდა ისე ბლაოდა თუ გაბრუებულებოდა ხალხი, ანთუ მაინც გაიგონებდა. არც დააჩერებდნენ ტყვიის წვიმასა. ჯერ მაინც არ დაიჭერებდნენ, ჯერ არ გვიდაო, ბლაოდნენ ისეცა, ხოლო იქ ზევით უკვე დაეცა პირველი მსხვერპლი, უკეთუ მსხვერპლი პირველი უკვე დაეცნენ: დაეცნენ ისინი, საუწყებლად ვინც გაეშურნენ, მოსაკოვს ეუწყოსო, აქ რო ითქვა და იქ გაეშურნენ საუწყებლად, გაეშურნენ და ვერ მიალწიეს, მაიჯანეს და ვერ მიალწიეს, შიგ არ შეუშვეს არ გაეაყრეს ტელეგრაფსა თუ რადიოსა, იმათ არ შეუშვეს, ესენი არ მოეშვენ და იწვიმა ტყვიამა ფანჯრიდანა, სახურავიდანა, იწვიმა, მოსკდა ნიაღვარიცა. აქ ისეცა ბლაოდა ხალხი, იქ ვითომცა არაფერიო, ბლაოდა და ისეცა სჯეროდა, ისეცა სჯეროდა, ისეცა სჯეროდა.

იქ მალე შეწყდა წვიმი იგი, იმ ერთბაშად წამოუგერისა და ერთბაშადვე გადაეყრა.

აქ მტრეაყლები ჩაცვიოდნენ ტანკებშია, დაგმანეს ხუფები, წაუშარჯდნენ სამიზნეებსა. წაუშარჯდნენ და როგორ წაუშარჯდნენ. — გაღმით გამოღმა, ივკალიდან სოღანლულამდე მიზანში იჭდა მტვერის ნაპირები: და დიოდა მტვეარი, დიოდა თუ მიდღუღუნებდა და გატყვილი სფალტი ორვე ნაპირისა სამიზნედ იღო. დიოდა მტვეარი და ბლაოდა ხალხი, დაე ვითომ გუფუნებდაო, — გუფუნი ითქვას, რაც უნდა ითქვას, მაინც გამოიჩა იგი ნიშანი ქუქაქუხილისა, დიდი თავსხმის ნიშანი გამოიჩა, მანამდის კიდევ სხვა რაყვე



გამორჩა და უნდა შეგახსენო ერთი მაინცა ეს ის ადგილია, უკეთეს ის ნაწილია იმა საღამოსი, მოსკოვის ელფოსო, ხალხმა რო იგრგვინა და ნაზიკომ აღუთქვა, მე ვაღწევბო. — დიახ, დიახ, ნაზიკომ აღუთქვა, მხლებელნიც იქვე თვითონ შეარჩია, აედევნენ მოხალისე-ნიცა რაღათ ქმუნ და, აი ეს გამოჩრა, აქ ყურადღება ვეღარ მიადევნეს და ამიტომაც ჩაიყლაბა გასროლი პირველი, მსხვერპლი პირველი ცეცხლი პირველი ჩაიყლაბა კუნძულის გუგუნშია, და ეს ისევე რო იხლავნებოდა თუ ვასაძრომს ეძებდა, ცხვირიც ისევე რო გაშეშებულოყო, კიბეზედაც რო გაშეშებულოყვენ ქალადებჩაბლუჭული წაარჩინებულნიცა, ხალხიც თვისას რო ვაჰკიოდა ისევე და ისევე, უცრად აყოჩაუდა კიბეი, აყოჩაუდა და გადაიკაბა, ისევე მიედგა კიბეი იგი იმა კვარცხლბეკსა და ისარივით აიჭრა ნაზიკოი, გაშეშებული ცხვირი იქით მიადგო, მობლუყუნე აქეთა, მკლავი შემართა სისხლიანი და იკივლა:

— გვბოცავენ, ხალხო, აქ მაცდურები გვაბრიყვებენ, იქა გვბოცავენ!

ესლა იკივლა და მოიშლელა ხალხიცა, კუნძულიდან მოიშლელა და მოედო ყაბახსა, იქიდან ალბათ რუსთაველზე აიჭრებოდა, მაგრამ და რაღაო, რაღა დროსაო, იწვიმა ტყვიამა და აღინდა ნაყადღელები სისხლსა... მიხანში იჭდა ყოველი წერტილიო, და მალე აღარც აღარავინ მოსჩანდა აღარცა ყაბახზედა, აღარცა აღმართზედა, აღარცა კუნძულზედა, არა, აღარავინ მოსჩანდა, აღარავინა, მალევე აკრიფეს დაჭრილნიცა, დახოცილნიცა, საამისოდაც მომზადებულოყვენ რაღა თქმა უნდა, — ხალხი ბლაოდა და არ გაეგებოდა თუ რას ემზადებოდნენ თუ ვინ ემზადებოდა, არ გაეგებოდა, არ გაეგებოდა, ძეგლი რო ძეგლია, ისიც უცებ გადმოაზღერეთეს, მოშალეს კვარცხლბეკიცა, ამოადგეს საძირკელიანად, ბუღიანად მოთხარეს, აღმოფხერეს, ამოფხიკეს, ვითომცა ყოფილა, ვითომცა არაო, მიწა მოაშროეს და მოაფრქვიეს დაჭეული

აგური, ვითომცა ყოფიყფიყფენლომც არაო, ანთუ: იყო და ბრტყყყყყყყყყყყა! არ გაიკვირებებ რაღა თქმა უნდა, წუთისოფლის ქარგა ყოფილა ესე, ოლონდ თუ მაინც უნდა გაიკვირდეს, ის გაიკვირეე მხოლოდდამხოლოდა, აგურიც რომ წინასწარ დაეფქვათ თუ დაეფშენათ, ის გაიკვირეე, სხვა არაფერი.

ჰო და ასეო, მთემზადებინათ ყველაფერიო, ჰო დამოთავდა, მოიწმინდა ყველაფერიო თუ რამ უნდა მოიწმინდილიყო, მოიწმინდა იმავ ღამესაო.

ხოლო დილითა...

დილით რაღაო, —

მზე ამოვიდა უსირცხვილოდა.

### XXIII

„უსამართლოი იგი უსამართლოებდინ ჭერეთ, და შეგინებული შეიგინებოდნენ ჭერეთ, და მართალი სიმართლეს იქმოდნენ ჭერეთ, და წმინდაი იგი წმინდა იქმნებოდნენ ჭერეთ“.

ეს ჰო ასეა და ისიც ჰო ითქვა მზე ამოვიდაო, — ამოვიდოდა რაღა თქმა უნდა, აღარც თუ რაიმე მესაქმება ამის შემდგომა, ანთუ მოთავდა ეს ამბავიცა, ყველაფერი მოთავდა გათენებამდღისა, მზის ამოსვლამდღისა, მოთავდა, მოიწმინდა, მზე არ შესწრებია სისხლსა თუ ცეცხლსა, არ შესწრებია, არაფერი უხილავს, ჰოდა ამოვიდა, ჰოდა ბჭყვი-ალებდა, ის იქა, შორსა, ხოლო აქ ხალხი თავისთვის იწვოდა, იწვოდა და აფრქვევდა ცრემლსა შინ შეკეტლი, შინ შებუღებულო, გარეთ სრული სიწყნარე სუფევდა, სიწყნარე შიშისა, მოულოდნელი თავზარისა, სიმშვიდე სუფევდა, სიმშვიდე სრული და სანეტარო ბელისუფილთა, აქაურთაცა, იქაურთაცა, უწინდელთაცა, უახლესთაცა, მომავალთაცა, სუფევდა იგი ყოვლად სასურველი, მარად სასურველი, და მეტიც აღარაფერი მესაქმებაამეთქი, ანთუ მოთავდა ეს ამბავიცამეთქი, ოლონდ ულენტოოდ მაინც არ იქნება, — ლენტოთი დაიწყო, ლენტოთივე უნდა მო-



თავდეს, სადაც დაიწყო, თუნდაც იქვე უნდა მოთავდეს, მით უფრო, ბევრი-თაც რო არ გასცილებია იქაობასა; თუმცა ძნელია ვინმეს გამოჩრევა იმ საშინელი განკითხვიდანა, იმ უთაფამო აღრეულობიდანა, ძნელია და იყოს, რა ვუყოთ მერე, ლენტო მაინც უნდა გამოიჩრეს, უთუოდა, უსათუოდა; უნდა გამოიჩრეს და მაინც დიდადაც ვერ გამოიჩრევა, დაბორილებდა თუ უაზროდ აწყდებოდა აქეთ-იქითა ისიც ისევე, როგორც სხვანი, ხან თუ ვის მისდევდა, ხან თუ ვისა, გაეკიდებოდა დიდ-დიდ გუნდებსა, აცა, თუ სად მივბინ, აცა, თუ რას ჩაიდენენო, მაგრამ ყველა შემოევშვებებოდა, სადაც ჩიხებში ჩაეკარგებოდა და ეს კვლავაც აქეთ შემობრუნდებოდა, კვლავ სხვა გუნდებს აედევნებოდა გაშმაგებული, ენ-ატანილი, აედევნებოდა და შემობრუნდებოდა ისეც და ისეც ბნელი ჩიხებიდანა, შემობრუნდებოდა და ვილაყს მიჰკიოდა, ისეც ვილაყს აედევნებოდა და ისეცა ბრუნავდა დაკარგული თუ თავბრუდახეულო მიჰკიოდა და მოჰკიოდა, ჩადაცა სურდა თუ ვილაყა სურდა, არც რა მოსჩანდა და ხალხიც ებნეოდა, ხალხიც მიუბრბოდა, რას თუ მიუბრბოდა, ამას ვერ გაეგო, რა უნდოდა თუ რა უნდა ექნა, ესეც ვერ გაეგო, და იყო ბევრშია, და იყო მარტო მანამდისაცა, ვიდრე ყველა გაეფანტებოდა, ვიდრე სუბთლად გაიცილებოდა კუნძული იგი ორბელიანთა, ანთუ კუნძული რო აღარც ითქმოდა.

ოღონდ და მაინც ვიდრე სუბთლად გაიცილებოდა, საით თუ როგორ გაიცილებოდა, აღმა თუ დაღმა, ბაზრის ჩიხებითა თუ შუკებითა უძველესი მეთულუბჩებისა, ჭერ მაინც ხიდებზე უფრო გაიქედებოდა დამფრთხალი ხალხი, გაიქედებოდა და კიდევაც გაიქედა, უფრო დამფრთხა და უფროც მიაწყდა ერთიმეორესა. ხიდები ზანზარებდა, ტყვია წიოდა და ავარდნილიყო გნასი თუ ღრილილი გამაყრებები, გაუგონარი, აუტანელი, შემზარავი, ყოვლად შემზარავი, ხიდები ზანზარებდა და მცირე თუ

განსწრებდა, მეტი იქცეოდა მუსკა, იქცეოდა და იქელებოდა, ტყეში იქცეოდოდა, იქელებოდა უმოწყალოდა, თავისას იქმოდა ტყვიაცა ცხადია, წიოდა, ტყაუნებდა, ჩაეკლავდა და გადაივლიდა სეტყვსავითა, ჩაეკლავდა და ჩაეკლებოდა თითქოს ხიდებიცა, ჩაეკლებოდა და უმალვედაც აღივსებოდა თითქოს სეტყვა რო გადაივლიდა, გადაივლიდა და გადმოივლიდა, ჩაიცილებოდა და წამოიშრებოდა, გაიქედებოდა ხიდები ისეცა, ამოიციობოდა და ზანზარებდა. მეტი უაზრობა აღარც ითქმოდა, სიბრიყვე მეტი აღარც ითქმოდა, არც ითქმოდა და გონება არცა მოძრობდა იქა, არა, სულ არა, არც ნატამლადა, შიში ცხოველური თუ მიათრევდა სხეულსა, მიათრევდა თუ დაათრევდა, ოღონდ თუ საითა, — რა იყო და შიშმა?! ცხვირის ფარაც უფრო მეტს მოიზრებდა, გამოსძებნიდა თავ-მოსასვლელსა, გადასარჩენსა, გამოსახსნელსა. და თუ გადარჩენ, — ვინც გადარჩა რალა თქმა უნდა, — დაეხსენ და იმიტომ გადარჩენ, თავისით ვერა, ვერ გააღწევდნენ. ვერ შეედრებოდნენ თვით ცხვირის ფარსა, ვერ შეედრებოდნენ და ტყუილადაც შეადარებენ ხოლმე, ტყუილადა, სულ ტყუილადა. შორით განსჯაც ადვილიაო, ნათქვამიც არის, ოღონდ ეს ისე შორითაც არ გახლავს, არც გულციფია თუ მიუყვრძებელი, როგორც ურჩვეენ თუ როგორიც უნდა იყოს მხატვარიო, არა, არ არის მიუყვრძებელი, ეს მხოლოდ ჭავრია, ეს მხოლოდ კენესაა იმისა, გონება რო ჩაბინდულიყო და არცთუ ვინმე გააკარებდა შუქსა. თუმცა არა, მართებს განსჯა აღმწერსა თუ მხატვარსა, გადმოცემა მართებს, გამოხატვა მართებს ადამიანთა მოქმედებისაო, — მართებს და ემართოს მოქმედებაც ესაა, ეს იყო და ესაა, თუ მოქმედება დაერქმევა რალა თქმა უნდა!

რაც არის არის, ეს იყო და ესაა; და ლენტოც პო იქ გახლდა, იქა, იმ აღრეულობასა თუ უთაფამობაშია, აღბათ ისიც აღრეული მომეტებულადა,

აღბათაცა და ნამდვილადაცა, აღრუ-  
ლი და დაბნეული, დაღვებული, თავ-  
გზადაკარგული, თავდაკარგული, ყველ-  
განაც ჰო იყო და იქაც მოხვდა ორ ზი-  
დთა შუა, ამოიტენა ზიდზედაცა თუ მო-  
ეცო იმა მშკალ ზიდსაცა, მართლაც  
მოეცო საცობივითა, იქითაც გაეარდა,  
მდინარის იქითა, მდინარის ზიდითა ჩა-  
ლა თქმა უნდა, ჯერ იქაც მოეცო და  
იქიდან გაეარდა საცობივითა, გაღმა  
გაეარდა; გაეარდა და არც დაახანა, გა-  
მოიტედა ისევ ზიდზედა, ისევ კუნძულ-  
ზე, ორ ზიდთა შუა ამოჰყო თავი, ამო-  
ჰყო და ჩაჰყო, ტყვიის სეტყვამ რო გა-  
დაიარა, ჩაიქშა ხალხი, ჩაჰყვა ისიცა,  
წამოიშართა და ამოჰყვა ისიცა, ყველა  
ვერ ამოჰყვა რალა თქმა უნდა, ის მა-  
ინც ამოჰყვა, და თითქოს დაემა, დაემა  
'იქვე, ანთუ თავი ვერ დაეღწია, ანთუ  
უნდოდა, რაიმე მოეხზრა, — აბა მამ  
რაო, როდემდის ვრბინა შეშლილივი-  
თა?

მოაზრებით ვერ მოიაზრა, ვერაფე-  
რიც ვერ მოიაზრა.

მოაზრებით ვერ მოიაზრა, ოღონდ ხმა  
მანც გამოარჩია, ნაცნობი ხმაი, —  
ხმაც გამოარჩია და კიდევაც დაინახა...  
და ეს მაშინა, კიდევ ერთხელ რო მო-  
უგერისა ტყვიის სეტყვამ, კიდევაც რო  
ჩაიქშინა ხალხი ზიდებზედაცა, ზიდებ-  
შუაეცა, ხალხი ჩაიქშა და ისიც კიდევ  
რო უნდა დახმობოდა მიწასა, აი მაშინ-  
ნა: მამააა... — მოესმა უმწვეველსადა,  
მოესმა და ველარ დაემხო, შერჩა ფეხ-  
ზედა, შერჩა და თვალეზი მიმოაკეცა,  
რალა თქმა უნდა გამოცებულშა, რალა  
თქმა უნდა შეშლილივითა, შიშდაკარ-  
გულშა რალა თქმა უნდა, რამეთუ ტყვი-  
აზედ დასწვიმდა და ყურადღებშა არც  
მიაქცედა. დიდი შეტქურებიც ზედ და-  
ჰნათოდა, თითქოს დღე არისო, თით-  
ქოს მზე ადგას კუნძულსაო, ზიდებსაცა  
რალა თქმა უნდა, თითქოს ამისთვისაც  
აენათო შეტქურები, ამ დროისთვისა,  
თავდასხმისთვისა, ხალხს რო ეგონა, გა-  
აჩირადნეს ისევ ძეგლიო, ეგონა და  
ბლაოდა, ბლაოდა შეშლილი აღტაცე-  
ბითა, გამარჯვების აღტაცებითა, თუმცა

ეს მორჩა, ეს უკვე მორჩეოქმუნა...  
გა და ელისო ჰყოიდა. ზმგაშიყმუნაშ  
ელისო ვერ იდგა, დგებოდა და ვერა  
დგებოდა, წამებობოდა და წამოიწე-  
და, წამოიწევედა და მიჰყოდა, ისე მწეა-  
ვედა, ინელია, ინელი, გამოსათქმელა-  
და, ოღონდ ესაა, სიმწარე იგი ორმაგი  
გახლდა. — თვითონვე რო უკვე იც  
ლებოდა სისხლსაგანა და მამაც მოუ-  
ჩანდა ტყვიების ქვეშა: ჰო, ჰო ტყვი-  
ების ქვეშა, — გამოსტლიყო მიქელიცა,  
ველარ დაეთმინა და გამოსტლიყო, ვერ  
შეეკავებინა და აჰყოლოდა. აღარ და-  
ენდო მტკივანი ფეხები, გამოსტლიყო,  
ზიდს შემოსდგომოდა, წინ ხელეზი გა-  
მოეწოდა, წამოხრილიყო, თითქოს  
ხალხს უნდა გადაეფაროსო, გადაარჩი-  
ნოსო, გამოიხსნასო, წამოხრილიყო და  
ტორტმანებდა, ტორტმანებდა ვეება  
ტანი, ბობოხა ტანი, ტორტმანებდა  
სუსტ ფეხებზედა ტყვიების ქვეშა. ის  
იქა ტორტმანებდა, ეს მიჰყოდა აქე-  
დანა

— მამააა...

წამოიწევედა და მიჰყოდა, წამებობო-  
და და წამოიწევედა.

ეს იყო და აზრიც იბოვა თუ თვი-  
თონვე აზრმაც მოსძებნა ლენტოი:  
ელისო უნდა გადაერჩინა.

წინ წყალი, უკან მეწყერი, ნათქვა-  
მიც არის და მართალიც იყო, მანც  
უნდა გადაერჩინა.

მეწყერი უფრო მუხთალი ყოფილა,  
ისევ წყალს უნდა მისცემოდა, მტკეარს  
უნდა მისცემოდა.

ოღონდ და მანც მტკეარიცაა და  
მტკეარიცაო... მტკეარი სისხლით შეი-  
ლებოა, გაგახსენდება, ვინ უწყს რამ-  
დენჯერ ჩაუწყერიათ ქართლის ცხოვრე-  
ბაში, ანთუ რამდენჯერ ამოგოკოთხავს  
და ცოტა არ იყოს გაზვიადებულეცა  
გგონებია, გეკამათია, განგარიშია თუ  
რამდენ ლიტრა წყალს გაიტანდა მტკე-  
არი ერთ წუთში და თუ რამდენი სისხ-  
ლი უნდოდა იმის შეღებებასა, განგა-  
რიშია და გომტყეობია, მაშინ თბი-  
ლისში არც ამდენი მცხოვრები იყოო;  
ამას ამოკოთხვა არც უნდოდა, ლენტო-

სა ცხადია, არც გაანგარიშებანი უნდოდა ამაღვარი, იხილა შტეკარი შეღებილი, იხილა თუ მოუტყენა. მოუტყენა თუ ეგონა, ეს სულერთია, როგორც მოუტყენა თუ როგორც ეგონა. ისედაც დაიჭერა, ისედაც დაიხსოვა, ისედაც იმეორებდა და თუ ვინმე გაიკვირებდა, არც არწმუნებდა, არც ედავებოდა, არც არად მიიჩნევდა, ახსოვდა ისევე, რო იხილა მტკვარი შეღებილი, სისხლით შეღებილი. იღებებოდა და შეიღება ერთხელ კიდევ, ლენტომ შიგ გასცურა და დაუჭერებს ქართლის ცხოვრებასაც, საგვარეულო ქრონიკებსაც ხალხურ პოეზიასაც, მეფეთა ლექსებსაც, ქართველ მეფეთა, გასცურა და დაუჭერებს, გასცურა მტკვარი სისხლიანი, გასცურა და ელისო გაიყვანა, პო ელისო, ისიც სისხლისგან რო იწრიტებოდა, ემატებოდა სისხლი სისხლსა და კრიალებდა პატარა ტალღები, მშვიდი ტალღები, მოლივლივნი, კრიალებდა უცხოფერადა, უცნაურადა კრიალებდა შექურათა ქვეშა, მთვარისა ქვეშა. მთვარეც ისე გაბადრულიყო, ვითომდა რაო, საამაყო რამ დაუნახავსო. მთვარე თბილისში მხოლოდ მტკვარზეა გადმოდებოდა, — თუშცა პო, არა, მთაწმინდაზედაც გადმოდებოდა, ოღონდ იმაქამდ მტკვარს გადასდგომოდა, გადაჰფაფროდა სისხლიან მტკვარსა. ესეც ლენტოსვე დაჰხსომებია, მთვარით მიიკვლევდა, შექურთებითაცა და მთვარითაცა, მთვარით მიაბობდა სისხლიან მტკვარსა და მთვარესვე ემალებოდა, მთვარესაც და შექურთებსაცა, ვითთუ მტკვარსაც დაუშენდნენ ტყვიასა და ჩაბრქვედებოდა ამორტირებული თავები თუ ამორტილი, გამოწვდილი ხელები, ჩაბრქვედებოდა და ჩაცვივოდა, ფსკერზე დაცვივოდა ქვებივითა, ქვებზე დაცვივოდა ქვებივითა. ამასაც ეგონა, იქით მივდივარო, ისე ახლოსა წიოდა ტყვიით, ისე ეწვოდა თავი თუ ბეჭები, ისე დასწყვეტოდა მკლავნი, ეგონა, მაგრამ ამოვარდებოდა, ამოიტაცებდა სული შეჭუბებული და ის აბრცა, გადავარ-

ჩინოო. გადასარჩენი არცთუ ვინ იყო, — გაციებულოც ქალისა მტკვარისა უცხო სისხლისაგანა, გაციებულოც, გაყინულოც, ხოლო თუ ისევე წითლად გასდიოდა, წურწურით გასდიოდა, ეს მტკვარი გახლდა, წყალი გახლდა სისხლით შეღებილი. ლენტოს მამინ სისხლი ეგონა. — ნაპარს რო გავიდა რაღა თქმა უნდა. — სისხლი ეგონა ელისოსი და ჩქარობდა გულამოვარდნილი, ჩქარობდა ისე, როგორცთუ შეეძლო. თითქოს მიქელიც ისევე წამოფოფრილიყო, გამოეწვდინა ორივე ხელი და მთელი ქალაქი თუ ვერ დაეფარა, შვილს მაინც იხსნიდა, ოღონდ მიეყვანათ მალე წიყევანათ და ჩქარობდა ლენტოსაც, იმის ხელთი იყო, ჩქარობდა, ისწრაფოდა, აქაცა, აქეთაცა, აქეთ უკვე მოჩვენებისაყენა, იქითაცა, ხილზეცა, იქ ისე ცხადისაყენა, ისე მივიწვარე, საშინელ თქეშშია, ტყვიის თქეშშია. იქ თუ ვით გადარჩა, ეს აღარც ახსოვს, რამ თუ გამოავდო ხიდიდანა, რამა თუ ვინა, რამ დაითრია ქალისაყენა, — არ მოავონდება, ვარაუდებიც არ არის საჭირო, მთვარე ისაა, იქით რო დაუყვია, იქით ატარა დაჭრილი ქალი, იქიდან შევარდა მდინარეშია, სიონის გასწვრივია, სისხლიან მტკვარში იქ განიბანა, განიბანა იახსარივითა, უფნებელ იქნა იახსარივითა, ველარაფერი მიეკარებოდა ამიერიდანა, ველარცა მახვილით, ველარცა ტყვიით, კანს ველარაფერი გაუკაწრუდა; იქიდან გავიდა და გაიყვანა დაჭრილი ქალი, ამას ჭერ ისევე დაჭრილი ეგონა, გაიყვანა და მიქელიც იქ გახლდა, გამოეწვდინა გრძელი მკლავები... ეჩვენებოდა რაღა თქმა უნდა.

მოიწევდა მკლავები მიქელისა, მოეტანებოდა, აი უნდა ჩამოართვას თავისი ძაღლით, ასწევდა ესეცა, მიაწოდებდა მოწიწებითა და ჩაისხიებოდა მკლავნი იგი ჩაისხიებოდა და ეყარა ძირსა, სხმარტალებდა, სხმარტალებდა, მერე გაჭკრებოდა, მერე ისევე ამოიზიდებოდა, ისევე მოიწევდა, მოეტანებოდა, მიაწვდიდა ესეცა და იგივე გამოვარდებოდა... და გაიტანჯა ლენტოი ერთი-



სიტყვითა, მართლა გაიტანა, მაინც მი-  
აღწია, მაინც მივიდა, მაინც მიიყვანა  
დაჭრილი, ანთუ მისვენა ცხედარი  
ელისონი და იქაც ცხედარიდა შეეგება,  
ცხედარი მიქელისა: იქ, ხიდზე მართ-  
ლაც მსსნელად გასულიყო და თავისი  
გატანჯული სულიდა ეხსნა, სისხლის  
გუბე შინ მოეტანა, კარებთან იწვა სის-  
ხლის გუბეში.

და ზანზარებდა სახლი, კედლები  
გრილებდა; გრუხუნებდა, გუგუნებდა,  
ჭერიცა გუგუნებდა, იატაკიცა, გუგუ-  
ნებდა უცნაურადა, შემზარავადა გუ-  
გუნებდა, თითქოს ინგრევას, განა თუ  
ერთი, განა თუ ორი, მთელი უბანიო  
თუ ქალაქიც ინგრევა მთლიანადაო, ან-  
თუ ვინ უწყის დედამიწა განწირულაო,  
თავის ორბიტას თუ ასცდენიაო, ასცდე-  
ნია და მიექანება უსასრულობაში  
უღერძოდა და უღმერთოდაო, — ანთუ  
ლენტოს სხვა რა ეფიქრა თუ შერჩე-  
ნოდა ილაჭი ფიქრისა...

X XIV

„გარე იყვენ დაღლი და მწამლე-  
ლი და მეძვენი და კაცის-მკვლელი და  
კერპთ-მსახურნი და ყოველი მოუთარე  
და მოქმედი ტყუელისაი“.

ალარც შერჩენოდა ილაჭი ფიქრისა,  
მხოლოდ ესაა, დაესვენებინა გაციებუ-  
ლი ქალი და იღვა თვითონაც გაციე-  
ბული, განძარცული სულით-ხორციითა,  
იღვა და აღარა გაეგებოდა, ანთუ სად  
იყო, ანთუ რისა იყო ხმაური იგი, ვინ  
შეჭრილიყვენ თუ რა უნდოდათ, ვინ  
ვისზე მიიწვედა თუ რად მიიწვედნენ,  
რას იტაცებდნენ თუ ვისას იტაცებდ-  
ნენ, არ გაეგებოდა, არ გაეგებოდა ეგე-  
ბა მართლაც დედამიწა მოსწყვეტოდა  
თავის ორბიტასა?... არაო, არა! დედამი-  
წა ისევე ბრუნავდა, ქალაქიც იღვა ქა-  
ლაქის ადგილასა, უბანიც უბანისა, მხო-  
ლოდ მიქელის ბინა ინგრეოდა, მხო-  
ლოდ მიქელი დაცემულიყო და ზედ  
ეფშვებებოდა ჭერი და კედლები. თა-  
ვისთავადაც არ ეფშვებებოდა, — ზედ  
აფშვნიდნენო, უფრო ნათლად ასე გა-

მოდისა ყველა კედელი შემოვლებით,  
ყველგან ჭერი ჩამოეტყუფოფოფოფოფო-  
ჯათ იატაკიცა, შემზაბანჭმცმცმცმცმც  
ნაშიცა, სამზარეულოშიცა, აივანზეცა,  
ოთახებისას ჰო ნულარ იეთხავ, —  
ჭერიდან თოკებით ჩამოკიდებულებენ,  
იატაკში კიბეები ამოეჩრათ, კედლებში  
თავები გამოქედლიყო, გაჯავული თუ  
მოხორტილი, გრძელფაფრიანი თუ ნახე-  
ვრად მოდური, თავები თუ უკაცრული  
პასუხია... გამოქედლიყო ერთისიტყ-  
ვითა, მოიწვედა ერთისიტყვითა, ვინ-  
თუ როგორ გამოაღწევდა, ვინთუ რო-  
გორ გამოეტეოდა: გადმოქეთულიყო კა-  
რადები თუ თაროები, ხელნაწერები  
თუ წიგნები აღუფხულიყო, რუკები  
ფიქქეშამოდებულებო, ანთუ ფრიალე-  
ბდა ნაფხრეწებადა, კედლის რუკები  
რალა თქმა უნდა, ხოლო არჩილისა, ის  
დიდი რუკა, დიდ მაგიდაზე რო გადა-  
ფენილიყო, აღარცთუ მოსჩანდა, გამ-  
ქრალიყო თუ გადაეყვამა ჩამოქეთულ  
ჭერსა, — ვინ უწყის რა იყო, აღარა  
სჩანდა.

და იღვა ლენტოი გაციებული.  
და იღვა ლენტოი აზრწართმეული,  
თითქოს ლანდები შემოსეოდნენ, მაგ-  
რამ არაო, ცხადი გახლდა, სიცხადე  
გახლდა: შემოჭრილიყვენ ყოველმხრი-  
დანა, შემოჭრილიყვენ და მიიწვედნენ  
ერთიმეორეზედა ძალაყინებითა  
წერაქვებითა, ქვებითა, კეტებითა,  
ამოვანგლულიყვენ მტვერსა და ტა-  
ლაშშია, აფურთხებდნენ ტალახსა და  
იწყველებოდნენ, ილანძლებოდნენ, იგი-  
ნებოდნენ უამრავ ენაზედა, უამრავზე-  
და, უთვალავზედა, მიიწვედა ყველა  
ყველაზედა და აგინებდა ყველა ყვე-  
ლასა, ანთუ ერთობლივადაც დატრილ-  
დებოდნენ, დატრილდებოდნენ ისე,  
იმგვარადა, თავსდაესხმოდნენ „აქტივ-  
სა“ და „პერსპექტულ ახალგაზრდასა“,  
ისინიც ერთმანეთს გამოეცლებოდნენ  
და ცალ-ცალკე იხევდნენ უკან-უკან,  
ცალ-ცალკე მიუშვერდნენ თავსა თუ...  
უკაცრული პასუხია... საცემლად მიუ-  
შვერდნენ რალა თქმა უნდა, ურტ-  
ყამდნენ ისინიცა, ურტყამდნენ და ურ-



ტყამდნენ. აგინებდნენ, და აგინებდნენ მკვდარსა თუ ცოცხალსა, ხორცსა თუ სულსა, ყველაფერს აგინებდნენ. იყო კანონი: გარდაცვლილის ბინა მეზობელსაო. იცავდნენ კანონსა. არ გაემტყუნებოდათ. ჰოი რამდენი კანონი იყო, რო აურევდა წუთისოფელსა. ისედაც არეულსა. ისედაც რო უთავჯამოსა!.. იყავო თუ... არის...

და იღგა მტვერი,

და ალუფხულოყო წიგნები ქვალო-რღშია, ხელნაწერებიც ალუფხულოყო, ალუფხულოყო რუკებიცა, ყველაფერი ალუფხულოყო.

და ალუფხულოყო გონებაცა ლენტოსი.

...სხვა რაღა ვითბრა?... ნახიყო დაი-კარგა. გაქტრა გაქტრა. მომკითხავიც რო აღარ გაიხნდა. ლენტომ მოიკითხა, ეს იყო და ესა. იმის თთბში მეზობელი დაჩხვდა. კარები გამოქტრა შუაყედელშია. თი ყველაფერი ისევ ისეა, თვალყური მიჰიარეს, მოვა და ხელუხლებლად ჩავაბარებო. მოვაო, მოესმა ისე იმგვარადა, ლამის რო სწვდა და ლაჭზე ახია ი დედაკაცი, ისე იმგვარადა, ისე მოესმა. თავი შეიკავა რაღა თქმა უნდა, ტუტი ჩაიკვნიტა და ისე შეიკავა თავი. კარგაბანსა გრინობდა სისხლის გემოსა. მერე დაუსივდა ტუტი. დაუსივდა დაუცბრა. ის არა, ის ტუცილი აღარ დაუცბრა და არც ის სურვილი აღარ დაუცბრა: ლაჭზე ახია ი დედაკაცი: მოვაო... ჰმ... რა მწარედ გამოსტქვა, რა მწარედა და დამკინავადა!.. ბეგლარი შეიბყრეს და ნეკნები ჩაუმტვრიეს, თქვი თუ ვინ იყო თქვენი მოთავეო. ვინ ეთქვა, რა ეთქვა, ვერ გაეგო და ნეკნები ჩაუმტვრიეს; ნეკნები ჩაუმტვრიეს და მოაწერინეს ხელი, მიქელი იყოო. გამოუშვეს. და დადიოდა წელში გატეხილი, ლენტოც ვეღარი სცნობდა. კოტე მშრალად გამოძვრა. კურსებს გადაიღებ და ატესტატოც ჭიბეში გედებო, ისევ ის ახსოვდა, ისევ ისევე მოაგონებდა ლენტოსა, მოაგონებდა და აჩქარებდა. დანარჩენისა რაღა მოგახსენო, — ბევრი ჩაება იმ სისხ-

ლსღერაშია, ბევრი ჩააყვია, ბევრი ჩაი-თროია, ყველას თავისი მკვლელობა რაღა თქმა უნდა, ზოგს იმ ლამესვე, ზოგს მერეო. მერე და მერეო, ყველა ცალცალკე ამბავია, ცალკე რომანები გამოიჭრება. ტრაგედიებიც გამოიჭრება, სატირული დრამებიცა, ერთი და თრი არა, ბევრი გამოიჭრება, მე ვერ გაეწვდები რაღა თქმა უნდა, ალბათ ლენტოსაც მივატოვებ, ბევრს გამოვე-კიდე, სადაც შუაგზაზე დამჩჩება ბე-ვრი, მიხედვა უნდა, უნდა მიხედვათ, უნდა მივაშველო ხელი, ლენტოც მენა-ნება... ამჭერად მაინც აქ შეეჭრდები:  
„რომელსა ჰქონან ყურნი, ისმინენ, რას ეტყვის სული ეკლესიათა“.

მზე რო ამობრძანდა, ხელისგულის-ოღენა ქალღღებიც აღმოჩნდა ვეება შენობებზედა, სადარბაზობთანა თუ ვიტრინებთანა, მოსახვევებთანა თუ გა-ჩერებებთანა: საალყო წესები ცხადდე-ბა თბილისში 24 საათიდანო, წუბანდე-ლი ოცდაათიდანა. დიდ გაზეთებშიც იგივე მიებებდათ. წერილი-წერილი, ეივმატა ასოებითა. დიდად ხმაურიანი წერილების ქვეშა, მიებებდათ მაინცა, ისე, ნამუსის მოსაწმენდადა. თორემ სინამდვილეში ყველაფერი მოთავებუ-ლიყო 24 საათისათვის, ყველაფერი და ყოველივეცა, აღმოფხვრილიყო ძეგლი-ცა იგი საძირკვლიანადა, აღმოფხვრი-ლიყო და ამოვსებულოყო ნავავითა, ოღონდ ესაა, სიმართლე თუ გინდა, და-ბეგვილი აგურის მოყრა ვერ მოასწ-რეს, კოტა ის გადასცდა 24 საათსა, სულ კოტა გადასცდა. ვაზვიადებდა აღარ ღირდა. სიხუსტისათვის თუ აღი-ნიშნებოდა. თათბირიც გადასცდა... ჰო, მავიწყდებოდა, ისიც ეწერა გაზეთებ-შია: ხულიგნურმა ჭკუფებმა უწესრი-გობა გამოიწვიეს ქალაქშიო, თბილისის ნაცადი რევოლუციური მუშათა კლასი არ აპყოლიაო... და ისევ იქა ვარ, — თათბირიც გადასცდამეთქი.

ეს არც თუ ისე საჭიროდ მიაჩნდათ, იმიტომაც გადასცდა. — თათბირზე ვა-მბობ, მწერლებთან თათბირზედა; არც საჭიროდ მიაჩნდათ, არც გაითვალის-



წინეს რაღა თქმა უნდა, აბა მამ რაო, რაღა არ მომხდარაიყო, რა რისხვა არ დაეტებათ ხალხის თავზედა, — პოეტები მარად თან ახლდნენ, შემართავდნენ ყელსა და ჭიკჭიკებდნენ ერთადერთ ხმაზედა; აქ უცებ განუდგნენ თუ თითქოს განუდგნენ, ანთუ რა განუდგნენ? მწერალთა კავშირის ეზოში შეგროვდნენ და მღელვარედ იკითხეს, ეს რა მომხდარაო, — მეტი არაფერი, მეტი არაფერი, მაშინვე იხმეს აქაირველთა, ეგრევე მოხვეტეს და მიაბრძანეს სადაც თუ ჯერ არს, — აქაირველთა. თქვენ რაო, მრისხანებდა აქაირველი თუ აქაბრძანებელი, ხავსის ფერი ეღო, მრისხანებდა ხავსის ფერითა, ჩვენს წინაშეა დასახული ახალი ხუთწლედის ამოცანები, ჩვენ ახალი პრობლემების წინაშე ვდგავართ, ხოლო თქვენ რაო, რაა კითხულობთო, ჭორებს როგორთუ აპყობხართო, ჩვენი მძინვარე მტრების ჭორებსაო; როგორთუ გითქვამთ, აუარება ახალგაზრდა გაიწიარაო, მტკვარი სისხლით შეიღებაო, როგორთუ გითქვამთო; როგორთუ გგონებიანთ, თითქოს უსისხლოდ მოგვარდებოდა ყველაფერი, თითქოს დაშლიდა სახანძრო წყალიცა თუ გაჭირდებოდა, ცრემლმდენი გაზიო, როგორთუ გგონებიანთო; არაფერი გინახავთ, არაფერი გაგეგებათ და საკვირველიც არ არისო, ტანკებს უცვივოდნენო, ტანკებს ეღობებოდნენო, სახანძრო მანქანებს თუ გამოვავორებდით, სასაიროდ გაგვიხდიდნენ საქმესაო, ამდენი ბრძოლები მოგვივია, ამ ბრძოლას როგორ წავაგებდითო; თქვენ არ იცით და უხდა იცოდეთო, უნდა იცოდეთ და ხალხს გადასცეთო, არც არავინ მომკვდარა, არც არავინ დაჭრილა, ტყვიით არ დაჭრილა და ტყვიით არ მომკვდარა, არც ტანკებს არავინ გადაუვლია არც არტილერია გამზადებულიყო თბილისის გარშემო და არც ავიაცია გამზადებულიყო არსაითაო, თუ მაინც დაბოცილან, თვითონვე დაბოცილან, თვითონვე გადაუტყვევიან ერთმანეთიო, დამფრთხალან ტყუილადაო და დამფრთხალ გუ-

ნდებს გადაუვლიან ერთმანეთდაო, ასე უნდა იცოდეთ, ასე უნდა იცოდეთ, ასე უნდა იცოდეთ, ასე უნდა მოსდოდ ხალხსაო, აი თქვენი მოვალეობა, აი თქვენი ღირსების საქმეო; ხმა, კრინტი, მეტი არც რა წამოგცდეთო, ჩვენ დიდი გეგმების წინაშე ვდგავართ კვლავაც თქვენი იმედი გვაქვსო; ახლა მიბრძანდითო, მე თქვენ მეტს აღარ დაგაყოვნებთო, საქმე 'არ იცდისო, ღრო არ იცდის, მივექანებიან ალაღაყებული მწვერვალებისაკენაო; მოხარული ვარ, კარგად რო გამოგეთ, გმადლობთ, მიბრძანდითო.

არც ის დაგავიწყდეთ, ჩვენს თვალს რო არაფერი არ გამოეპარებოდა. არ დაგავიწყდეთო. ვიცით, ვინც რო შეთაურებოდა. ვიცით, სადაც რო იყრიდნენ თავსა. ყველაფერი ვიცითო. ვიცით და მოუვლეთო. თქვენ მიბრძანდითო.

მიქელსა გულისხმობდა. რაღა მოევლებოდა მიქელსა...

პო მიბრძანდითო, ორივე სილაც წამოსწია წინა და უცებ აიქნია, უცებვე წამოიჭრნენ მოთათბირენიცა, უკეთუ ვითომ მოთათბირენიცა, უცებვე წამოიჭრნენ ფეხზედა და უცებვე გაცვივდნენ რაღა თქმა უნდა, ოლონდ იქ, კარებთან ვილაც არ წამოდგა, მხოლოდ თითი ასწია:

— ერთი შეკითხვა თუ შეიძლებაო. თქვა ხმადებლა, ლამის ჩურჩულითა, ოლონდ მაინც მკვეთრად გაისმა, ისე მკვეთრად, შეჩერდა ყველაი, ტუჩი შეუთრთოლდა აქამბრძანებელსა, ანთუ უღვაში აუცახცახდა, ცხვირზე მიბმული პატარა უღვაში, მიბმული თუ მიწებებული, აუცახცახდა თუ ჩამოვარდებო სულერთია რაღა თქმა უნდა, ოლონდ რო გაისმა:

— არავითარი შეკითხვები!.. — ეს აღარ არის სულერთი ცხადია.  
 — ერთი მაინცა!.. — იგივე ხმა იყო, ისევე ჩუმი, გერონტის ხმა იყო, გერონტი ქიქოძისა.  
 — არცერთი!.. — სახე ხავსიანი აწე-



წააქაშბრანებელსა და გაცვივდნენ ყველანი, ვინ ვის გაასწრებდა.

წამოდგა ისიცა, რო გაჭრა ყველაი, ლანდივით გაჭრა, მაშინლა წამოდგა, წამოდგა გულმოსული უილაჯობითა, ბერტყუნით წამოდგა:

— შეკითხვაც არაო... შეკითხვა რა-  
ლაა?! შეკითხვაც არაო...

„რომელსა ჰქონან ყურნი, ისმინენ,  
რასა ეტყვის სული ეკლესიათა“.

## X X V

„და უკეთუ ვინ მოაკლოს სიტყუათა  
წიგნისა ამს წინასწარმეტყველებისა-  
თა, მოაკლენ ღმერთმან ნაწილი მისი  
თელისა მისგან ცხოვრებისა და ქალა-  
ქისა მისგან წმიდისა, რომელ წერილ  
არს ამს წიგნსა“.

მბრანებელი იგი მაშინდელი, უკე-  
თუ წარმოგზავნილი იგი მაშინდელი,  
ერთ შეკითხვასაც რო არ ინებებდა,  
ტრახახით მინც ბევრსა ტრახახობდა,  
და იმა ბევრში, იმა მრავალში, ყველა-  
ზედ მეტად ამას იტყოდა: სამოცდაათი  
ერი ცხოვრობს თბილისში ცხოვრობს  
თანხმობითა, ერთსულოვნებითა, ერთი  
აზრითა, ერთი რწმენითა, ესაა ნიმუში  
ჩვენი ეპოქისა, წყობისა ჩვენის დიადი  
ნიმუშიო. ასე ტრახახობდა და უნდა  
დაგეჰნა თავი, აბა მაშ რაო, თუ არ  
დაგრთავდა ნებას შეკითხვისა, ოღონდ  
თუ რაც იყო, იყო, თქმულიყო თუნ-  
დაც სამოცდაათი, არავინ დაჭირილა თუ  
ღაბეგვილა სამოცდაცხრათაგანა, ჭრ-  
თნი დაიჭრნენ თუ დაიხოცნენ, მხო-  
ლოდღა ერთნი, ერთადერთნი, ერთნილა  
მოსაჩანდნენ თბილისის ქუჩებშია, ერ-  
თნილა იყრიდნენ თავსა ორბელაანთ  
კუნძულზე და იმა დღეებში, მარტის  
დღეებში, ერთილა გაიხმოდა ენაი იგი  
ქართული ენაი, ენაი თბილისისა, დედა  
თბილისისა, ერთილა, ერთილა, და, ვინ  
უწყის ამას თუ გულისხმობდა, ამასა,  
ამასა, ამას თუ წინასწარმეტყველებდა  
„ქებაი და დიდებაი ქართულსა ენი-

საი“: „დამარხულ არს სნა... ჩრთული  
დღემდე მეორედ მოსეჭრის... მისა-  
წამებლად, რაითა ყოველმან... მსე-  
რთმან ამხილოს ამითა ენითა“.

ველკეთული, 1973.

## ავტორის მინაწერი

ვილაცამ იყვირა ერთ დილაადრიანდა  
მცხეთაშია: მოდისო, — იყვირა და შე-  
იძრა მცხეთაი, შეიძრა, მიაწყდა არავ-  
ვის პირასა, სვეტიცხოველთანა, მიაწყ-  
ყდა და დალო პირი, გაბოცდა, გაოგნ-  
და, გაქვავდა იქვე, თითქოს რო იმ  
ადგილს ველარც რო მოსწყდებო. ვე-  
ლარცაო, არა და მოდიოდა, მართლა  
მოდიოდა, ის მოდიოდა, ფარაჯიანი,  
მოდიოდა და მოარღვევდა ტალღბსა  
მოაფრიალებდა ფარაჯის კალთებსა,  
მოანაბიჯებდა ძალმოცემული, ჩექმები  
უკვე ავერ მოსულყო, აი და აბა, ამო-  
ვიდოდა, ოღონდ ქუდი ჯერ ისევ იქ  
იყო, საიდანაც რო გადმოსულიყო. ან-  
თუ საიდანაც რო ჩამოსულიყო, —  
ჯვარიდანა რაღა თქმა უნდა, ჯვარი თავს  
ადგა, გადმოსულიყო და მოემართებო-  
და, მიემართებოდა სვეტიცხოველსა,  
და ძაგაფებდა სვეტიცხოველი, მიემარ-  
თებოდ და ამოვიდოდა, აი და აბა,  
ამოვიდოდა, ზედ გადაუვლიდა გაოგნე-  
ბულთა, ისევ ისევე გადაუვლიდა. იქ  
რო მოარწმუნეც რო ყოფილიყო, ვერას  
იტყოდა, კრინტსაც ვერ დასძრავდა,  
ვერა, ვერ დასძრავდა, თუ რა უნდოდა  
საუფლოში ქრისტესი, — ჰო საუფ-  
ლოში ქრისტესი თუ რა უნდოდა ან-  
ტიქრისტესა, კრინტსაც ვერ დასძრავ-  
და, ვერც გაიფრთხილებდა, ჩაუვარდებო-  
და ენაი მუცელშია. ჩაუვარდებოდაო  
და ჩავარდნოდათ გაქვეყნებულიყვენენ.  
გაქვეყნებულიყო ხალხი, წყალი დიო-  
და, დიოდა არავე, დიოდა ისევე. ისევე  
დიოდა, ისევ ისევე მტკვარდისა დიო-  
და, ოღონდ ესაა, რო დაწმენდილიყო:  
მღვრიედ მოდიოდა იმ ბოლო ხანებ-  
შია, მოაგორებდა მღვრიე ტალღბსა,  
ადიდებულოყო, ადიდებულოყო, წვიმ-



და მთებში და აღიდებულოყო, ამღვრე-  
ულოყო, აღუფხულოყო, თითქოს რო  
ტყლაბო დაძრულოყო, იმ ბოლო ხა-  
ნებში, იმ დადანებაზე, რო ბრძანეს ძე-  
გლები დაანგრეთ, ამისი ძეგლები რა-  
ღა თქმა უნდა, ამისი, ამისი, სხვა და-  
ნარჩენი პო ამავე მოსრა, გასწორა,  
განაიდავა, შერე ესეც რო თან ში-  
ყოლეს, იმ ხანებშია რაღა თქმა უნდა:  
ბრძანეს და ასწიეს მცხეთის ძეგლიცა,  
ასწიეს და გადაუძახეს, არაგვის ტალ-  
ღებში გადაუძახეს, მღვრიე ტალღებ-  
ში, ისედაც მღვრიეში, ისედაც აღუფ-  
ხულში, და ისეთ ღამეში, თვალთან  
თითი რო არ მიიტანებოდა, ისეთ ღა-  
მეში, კუნაპეტ ღამეში. ხალხმა რა იცო-  
და, — არაფერი რაღა თქმა უნდა: იდ-  
გა ძეგლი და რო აღარ იდგა, ეს გაიგო  
და ესღა იცოდა. იდგა ძეგლი და რო  
აღარ იდგა, აგერ ეპაა, მოდიოდა აგე-  
რა, მოდიოდა, მოდიოდა, მოდიოდა,  
ამოვიდოდა სვეტიცხოველთანა, და ძაგ-  
ძაგებდა სვეტიცხოველი, აი აპაა, ამო-  
ვიდოდა, ამოვიდოდა, ამოვიდოდა... და  
იდგა ხალხი გაოგნებული. მერე შეირ-

ხა. გამოიქცა. ისევ მიბრუნდა. ისევ გა-  
მოიქცა. გაიფანტა. შეგზრეს და წაიწვე-  
ის მოდიოდა, მოდიოდა, მოდიოდა,  
ზრიალებდა ქვეები. წყალი დიოდა, დი-  
ოდა და დიოდა, როგორც რო დიოდა  
უხსოვარ დროსა, არმაზის გათხრებშიც  
რო არ შემოჩენილა ნაშთი იმისა, ისე  
უხსოვარსა, ისე უშორესსა, უშორეს-  
სა, უშორესსა. დიოდა და აიმღვრეოდა,  
აიმღვრეოდა და დაიწმინდებოდა, დაი-  
წმინდებოდა და აიმღვრეოდა, აიმღვ-  
რეოდა და დაიწმინდებოდა, როგორც  
რო მაშინა, იმა უხსოვარ დროსა. იმ  
ხანად მაინც კიდევ გაავდრდა, მთები  
მოიბურთა კიდევ დიდხანსა, კიდევ აიმ-  
ღვრა არაგვის წყალი, აიმღვრა, გაილა-  
ფა, აილუფხა, აირდაირია, ისევ ტლა-  
პოდ იქცა, თითქმის რო ტლაპოდა და  
დიოდა ტლაპოი, ტლაპოდა დიოდა,  
ძლიესღა დიოდა, ძლიესღა, ძლიესღაო  
და რო დაიწმინდა, დაწკნა, ჩასუფთაე-  
და, ქვიშიანი მოსჩანდა, მხოლოდღა  
ქვიშიანი, ფსკერზე არაგვისა. და დაც-  
ხრა სვეტიცხოველი, დაცხრა, დაწყნარ-  
და თითქოსაო...



## თამაზ ჩხენკელი

• • •

გაღვიძებული უეცრად: „მტკივა!“ —  
ლაშე რომ სანთელს აანთებს კაცი  
და სანთლით ხელში საათთან მივა  
და სიკვდილამდე დაადგენს მანძილს, —  
რას უნდა გრძნობდეს,  
რას უნდა ხმობდეს  
ოთახის ბნელში ასეთი კაცი?!

• • •

დილაადრიან შუაქალაქში  
გამწარებელი ყმუოდა ძაღლი.  
კი არ ყმუოდა, — ტიროდა თითქოს,  
ყვიროდა რაღაც უცნაურ ნაღვლით.  
გამწარებელი ტიროდა, თითქოს  
ვილაცას უნდა ესმინა მალლით,  
მაგრამ ის განზრახ აღარ უსმენდა.

ვითომ ეძინა რაღაცით დაღლილს...  
ხომ ხდება ასე: სულერთია ვინ,  
სულერთია სად,  
ვისია სახლი, —  
დილაადრიან თუ შუალამით  
ვილაც ამოოდ თავს კედელს ახლის.

• • •

გაშლილ სუფრასთან ინახით მსხდარნი  
კამენ და სვამენ იმერ-ამერნი:  
იშვით ლამაზნი ქალნი და რძალნი,  
კაცნი გულადნი, პურის მკამელნი,  
და ისმის ძველი სიმღერა, ტკბილი,  
და დგას სურნელი მაისის ლამის...

მაგრამ ვილაცა ხორცს იგლეჯს კბილით,  
ვილაცას ბანგით ესხმება რეტი,  
კკუაზე შეედეს ვილაცა ლამის,  
ვილაცას კლავენ, ვილაცას ხვრეტენ...  
მრავალგამიერ! — ისმის ამიერ  
იმიერამდე, — მრავალგამიერ!..



მამათა ჩვენთა ჳამეს კაწახი:  
ტუბილი არისო, — შვილთ მოგვაძახეს.

მამათა ჩვენთა ჳამეს კაწახი,  
ფანდურობის წილ დაგვრჩა აწ ახი.

მამათა ჩვენთა ჳამეს კაწახი:  
ჩვენ ყელთ ამოგდის — ისე გავძეხით.

მამათა ჩვენთა ჳამეს კაწახი...  
ახია ჩვენზე თავს რასაც ვახლით!

\*\*\*

რაც ხანი გადის, მით უფრო ძვირად  
ვხედვებით ერთმანეთს, მით უფრო ხშირად  
გვერევა სევდა. რაც ხანი გადის  
მით უფრო მეტი აშლება სუფრა,  
და ჩვენ ვეწევით მოსაწყენ ნადიმს:  
ჳკვიანურს ვროშავთ ან ვსხედვართ უბრად,  
რაც ხანი გადის, მით უფრო, უფრო!

### ერთი დღე

ბებერი კაცი ნასმურევზე მეგობარს ელის.  
გულს არ უხარებს არაფერი,  
არც რამე უნდა:  
მხოლოდ ეს ლუდი ერთი კათხა,  
მეგობრის ზელი,  
მეგობრის ერთი შემოხედვა  
და მერე თუნდა...

მაგრამ ის არ ჩანს („ფუ, რა დღეა“),  
ო, ღმერთმა ნუ ჳნას,  
რომ არ გამოჩნდეს  
 („ასეთ ყოფნას სჯობს თვალთა დათხრა“)...  
დუჳანთან ელის  
 („ჳვეყანაც ხომ გადიჳცა დუჳნად“)  
და უცებ გული  
უცნაურად დაუწყებს ფართხალს —

გამოჩნდა, —  
სახედაღრეჯილი, ჩვეული ბიჯით,  
შეკრული წარბით,  
ათასი წლის ნაცნობი მზერით.  
და აჳა, სუფრას



უზის ორი  
ოცი წლის ბიჭი  
და ირგვლივ მთელი ეს ქვეყანა  
ოსანას მღერის.

## დასასვენებელი სახლის აივნებიდან

ნაადრალი ზღვა.  
ადრიანი, მზიანი დილა.  
ზღვის ვიწრო ზოლი ჰორიზონტზე მკვეთრად ლურჯია,  
უფრო აბლოს მღვრიე მწვანე,  
სანაპიროსთან გამკვირვალე, კენჭები მოჩანს.  
სველ სილაზე თეთრი ქვებივით ყრიან თოლიები,  
ბოლო მოშორებით კაცი და ბავშვი (ალბათ მამაშვილი)  
კენჭებს ისვრიან ზღვაში.  
კაცი წელსზევით შიშველია,  
ხელს რომ მოიქნევს  
მზისგან ნაირნჯისფრად უპრიალეებს ზურგი,  
ბავშვს წითელი აცვია,  
აქეთ-იქით დანტის მოუსვენრად  
და შორიდან უზარმაზარ წითელ პეპელას ჰგავს.  
კენჭებს ისვრიან ზღვაში,  
ერთობიან...  
2500 წლის წინათ ერთი ბნელმეტყველი ამბობდა —  
ადამიანები ზღვის პირას მოთამაშე ბავშვები არიანო,  
და აგე, ისინიც — თ ა მ ა შ ო ბ ე ნ!

## შიჰინეთის ტაძარი

მთელ ამ ბიჭვინთის არემარეში  
ჩემი ერთგული ეს ტაძარია.  
სიტყვის უთქმელად, ფიცის გარეშე  
ვუგებთ ერთმანეთს და გვიხარია.

ბოლო ზღვის პირას მაღლივ შენობებს,  
გაკრიალებულთ დარით მზიანით,

ეს ლაპარაკი ჩვენი „შენობით“  
სწყინთ და რატომღაც აღიზიანებთ.

ცხრაენოვანი ისმის ხმაური  
სანაპიროზე... აქ კი — მწყაზარი  
აღვების ჩრდილში — ნათესაური  
გრძნობით ვსაუბრობთ მე და ტაძარი.

## ქმეზი

გიორგი გუბლიას

ვარ იმ კუთხეში, სადაც ქართული  
ანბანი არის ნაკლებ პატივში...  
დავდივარ ისეთ ფიქრში გართული  
თამარის დროს რომ ერქვა „პატივი“.

თუ მაგონდება თამარის ხიდი  
და საოცარი წიგნი ჰადისის,  
მავანი კაცი — ურგი და ფლიდი —  
ნუ ჩამომართმევს ამას ჰადილში.



იმ კურთხეული აფხაზთა მეფის —  
ჭართველთა მეფის ძე და ბადიში

სტუმრად ვარ მე აქ და ჩემი ძმების  
უცხო ენაზე მესმის პატივად

• • •

არა აქვს ცრემლი, ყბა რომ დაღამოს,  
თუმცა არც ყბა აქვს, თავის ქალაში  
ზის მოწყენილი ჰიპოთალამუს.

მოწყენილია, დაღვრემილია,  
საკუთარ ბედზე აღრენილია,  
მაგრამ არ იცის თავის მალამო...

გადმოუგდია ვეება ლაში,  
ვით უნიათო მეფის ალაში  
და მოწყენა კლავს ჰიპოთალამუსს.

სანამ დრო ახალ ჰანგს არ ჩაბერავს  
იმ უნიათო მეფის სალამურს,  
ფერს არ შეიცვლის ბედი შეფერვა —  
მოწყენა მოკლავს ჰიპოთალამუსს.

• • •

ნავსადგურს გავხარ. სივრცედ რომ იხმე  
ალარ ჩანს იგი თვალსაწიერი.  
მარჩხად ქცეულა მავ წყალთა სიღრმე  
და მოწყენილი გახლავს იერი.

სხვა სივრცეები გამოჩნდა შორით.  
იცვალეს გეზი დიდმა გემებმა,  
და შორეული ზღვების გემებად  
დაგრაჩა შენ მცირე ტალღების შმორით.

### მოყვასთა შორის

მოყვასთა შორის, მოყვასთა შორის  
გული, მყვირალა მაიმუნი, ტოვებს სარბიელს.  
ეს ლაზლანდარა მაიმუნები.  
ავიც და კარგიც თავის ბუნებით,  
გამოაღენჩეს და დაარბიეს.  
— ვინ? მეკითხებით თქვენ — სხვათა შორის.

— ბაბაქუებმა, მახინჯი კულის  
უსახურმა და უხმო მწერებმა!

არც მართალს ამბობს და აღარც ტყუის,  
არც ემტერება, არც ემღერება.  
შმორია იგი,  
ლორია, —  
მძორი —

მოყვასთა შორის, მოყვასთა შორის!

## შავი სიზმარი

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

დაიზრდებიან (ჯერ სადა ხართ!),  
მწვანე მინდორზე  
კალიებივით რომ დახტიან —  
დაიზრდებიან!  
დაუმსხვილდებათ სუსტი მაჯა, ოქროს წიწილებს  
რომ გვანან ახლა,  
არწივებად დაიზრდებიან!  
ჯერ მტევნის ყუნწს რომ ვერ წვდებიან  
დაუგრძელდებათ  
ფაფუკი ხელი,  
ჯერ ამ ხელებს არ ყოფნით ძალა,  
ჩიტის ბუდეებს თუ მოშლიან  
ჯერ ეს ხელები...  
დაუმსხვილდებათ მალე მკლავი,  
დაუმძიმდებათ  
ცულლუტი მზერა,  
მოედებიან დაგეშლინი ალგეთის პირებს  
და მგლის ლეკვებს თავის ბუნაგში,  
თავის ბუნაგში დაალრჩობენ  
ბ ე რ ბ ი კ ა შ ვ ი ლ ნ ი !

\* \* \*

თქვენ დაინთქმებით მგზნებარე ალში,  
არმურში, კვამლში გაგძვრებათ სული,  
მამონა ველარ გიშველით მაშინ,  
თქვენი მზაკვარი, ცრუ უფლისწული.

თავს დაგეჭყევით წყალობის მფენი  
ყველა ბომონი, ყველა კარავი.

უღეთო იქნება სიკვდილი თქვენი,  
დაუნდობელი, ყრუ, შემზარავი.

ქეჭაქუბილში — ცეცხლით, მახვილით  
წამოვა ზღვაზე, მთასა და ბარში  
ის, — ზენაარი ვისი საბელით  
დაიბუგებით მძვინვარე ალში.

\* \* \*

ქვეყანა ბნელი, გადახურული  
უფერო ღრუბლით. ქვეყანა სადაც  
არ შეიარბევა ერთი ბულუღი...  
ქვეყანა შავად ჩამობურთული,  
და დადუმებულ მთათა და ზღვათა  
ჩუმი ქვეყანა და ბნელი, ბნელი,  
რომელიც უთქმელ სასწაულს ელის.



ზღვავე, ძვირფასო ზღვავე,  
სიხარულით ზღავე  
მაგ შემზარავ სივრცეს  
სიღრმესა და ზეგეს.

მე არ მინდა სხვა  
არაფერი სულ,  
ესალბუნე სულს,  
მეგობარო — ზღვავე!

## იქანკლავი

(შოთა ჩანტლაძის ნაამბობი)

ბათუმის ბულვარში, მზის ჩასვლისას, ერთხელ  
შოთამ გაიხსენა: გივი ძნელაძესთან  
იმერეთში ვარ და აღარ მახსოვს რაზე  
დედამისმა თქვაო, — ვარდის ფესვი თურმე  
ქვევრს გახეთქავს ბრჭლალით, მაგარია ისე.  
იქანკლავი ჰქვია ვარდის ფესვსო, — უთქვამს  
შოთასათვის დედას გივი ძნელაძისას...  
გამეზარდა დიდად: სილამაზეს ყოველს  
ნეტავ ვარდის ფესვი — იქანკლავი ჰქონდეს!

## ერთხელ მეგობართა წრეში —

სუფრაზე რამაზ პატარიძემ  
ასეთი რამე განაცხადა:  
მიკვირსო, დიდად მეოცება

ქვეყანა როგორ აირია,  
ბრიყვი ამაყად მიაბიჭებს,  
ჰკვიანი თავჩაქინდრულია.

\*\*\*

დაფარავს სულის მზიან ჰალაყებს  
მღვიმეებიდან ამღგარი ნისლი,  
უცნაურ სიზმრებს გადმოალაგებს  
თავმოთნე, ურჩი და ბნელი სისხლი.

მერე წამოვა გულგრილი წვიმა  
ჩვენთვის უცნობი ფიჭვის მარაგით  
და მიწისქვეშა სულის ქალაქი  
რასაც ფარავდა — გვიამბობს იმას.

\*\*\*

უცნაური ბედი გაქვს... მუნჯი  
ბიწიერების ბნელ ქიშკრებს ვერ გაეშეცი, —  
შენშია თვითონ უხმო, ბნელი, ქიშკრიული.

ვერ გაეჭეცი შენ საკუთარ თავის შერცხვენას, ვერცხვენი  
 თავის შერცხვენამ შენში მყუდროდ მოიკალათბინებინო შენ  
 შენივე საბნით შეიფუთნა, მოიმძინარა  
 თავი... ბედი უცნაური გაქვს.

\* \* \*

მზიან ლაყვარლებს ჩაყვავს ღრუბლით,  
 ღრუბლით დაფარავს სივრცეთა კივილს  
 და მერე წვიმით,  
 წვიმის ძონძებით

შეგემოსავს ყველას და მით  
 დაგვიცხრობს  
 ამაო ფიქრს და მძვინვარე ვნებებს...

\* \* \*

გემშვიდობებები. დროა, ეამია,  
 ვტოვებ ამ კუნძულს, სადაც მკვიდრობენ  
 შენსავით ცრუ და კაციკამია  
 დიაცები და მამაკაცები.  
 მე შენ არაფერს არ დაგიტოვებ.

მხოლოდ ნაპირზე კოცონს დაგანთებ,  
 რომ დაინახო გემის ანძები  
 და ჩემი სახე უღვთოდ ნაცემი,  
 როს საიდუმლო შენი გამანდე...

\* \* \*

არის რამ, რასაც ვერ მოინელებ  
 ვერასდროს, თუნდაც ათას წელიწადს  
 იცოცხლო... ვერსად, თუნდაც  
 ფრინველებს  
 გაჰყვე შორეულ გადაფრენისას.

საწყალ დედისგან ვით ცოცხალმკვდარი  
 შვილი არასდროს დაიმარებება...

რასაც ვერ აღგვი, ვერ დაივიწყებ,  
 როგორც საშომდე მოსულ დაცინვას,  
 რასაც ვერასდროს წაშლის სიფიცხე,  
 ველარც სიყვდილი და თავგანწირვა.

შენია იგი, ვით შენი თვალი,  
 შენია იგი, ვით შენი სმენა,  
 შენი იყო და იქნება, არის,  
 შენი იყო და დარჩება შენად.

რაც მუდამ შენში იქნება მჯდარი  
 და ფესვგადგმული გულის ძარღვებად—

მაგრამ ვერასდროს ვერ მოინელებ,  
 ვერასდროს, თუნდაც ათას წელიწადს  
 იცოცხლო,  
 ვერსად თუნდაც ფრინველებს  
 გაჰყვე შორეულ გადაფრენისას.

## სიბერეა

წყალს რომ გემრიელად ველარ დაღევ. — სიბერეა!  
 წიგნის წაკითხვა რომ აღარ გინდა, — სიბერეა!  
 სხვისა რომ არ გენალღვლება, — სიბერეა!

მეგობართან გულს რომ ვერ გაიხსნი, — სიბერეა!  
 სიბერეა — კარგ ამინდში გავლა რომ არ გინდა!  
 სიბერეა — მეგობართა ნახვა რომ არ გინდა!  
 სიბერეა — არაფერი რომ არ გინდა, გარდა:  
 მყუდრო ბინისა და სადილისა, გარდა:  
 ეგრეთწოდებული იმ შენი საქმისა, გარდა:  
 ხალხის, წითელ კოქს რომ გაგიგორებს, გარდა:  
 შენივ ცხვირპირისა...  
 გადმოავდებს ენას ლაქარდიანს  
 და ადიდებს საკუთარ ოჯახს,  
 საკუთარ ბინას,  
 საკუთარ ცოლს,  
 საკუთარ წიგნებს.

### წითელი ვაშლი

ლამაზი, წითელი ვაშლი მეჭირა ხელში,  
 როცა წინ ჩამიარა ჭიშიანი თევზების რხვეით.  
 მესამე დღეა ვიცნობდი,  
 გამოველაპარაკე და ნელი მუსაიფით  
 გავუყვევით ხეივანს.  
 გამოთხოვებისას ვაშლი ეუბოძე,  
 გმადლობთო, — დიაცურად გამილიმა და უცებ  
 მოულოდნელი სიფიცებით მითხრა —  
 ვაშლს მე უნდა გთავაზობდეთო...

ნაშუალამევს ზღვისპირა ლელიანში ვიწეკით  
 გრილ სილაზე,  
 გამშრალი ტუჩებით უცნაურს და გაუგებარს  
 ვბოდავდით  
 და შვებისაგან აღარ გვახსოვდა არაფერი,  
 ბიბლიური სამოთხის ზღაპარიც კი.  
 თუმცა ბუნდოვნად ვგრძნობდით  
 რალაც უსაშველოს  
 ამ ქვესკნელის ბალში,  
 ამ შავად მოკუფრული ზღვის პირას...

არავის შერჩება აკრძალული ნაყოფის გემო.  
 პესპერიდების ოქროსფერ ვაშლებს ვერავინ  
 შეინარჩუნებს.

ზღაპართა დასასრულის მაცნე —  
 ყველაზე ლამაზი, წითელი ვაშლიც ხომ  
 უფსკრულში ვარდება.



ლალი თოთაძე

### ქუჩილით მიდის

უბერავს იმედს უფსკრულიდან მოსული ქარი,  
მზეს გადააქცევს სურნელოვან ქარვად და ცვილად,  
სად იკარგება ფეხშიშველა დედოფლის კვალი,  
ვარდის ფურცელი რომელ გზაზე ლელავს და ცვივა.  
სად იკარგება იდუმალი კენესა და ლელვა,  
კაცის სმენა და კაცის თვალი რომ ვერ ეღირსა,  
გზა ვარძიამდე! როგორც ერთი ბულბულის სტვენა,  
ქართლის ბაღებში ისევ ისმის შეღამებისას,  
ქარვისფერ მთებში, სადაც ხმები გაისმის წყნარი,  
სად ყვავილები მატთანეს ქართლისას წერენ,  
ნინოს მზერაში მოლივლივე პირქუში მტკვარი  
ვის შეეფეთა იმავ გზაზე დიდი ხნის მერე,  
დიდი ხნის მერე გვეშული მზე, დამცხრალი მთვარე,  
ცა მოწყენილი, იდუმალი, მაგრამ უცვლელი  
და ფეხშიშველა მეფეთ-მეფის ლამაზი კვალი  
აყრია მიწას ისე, როგორც ვარდის ფურცელი.  
ვარდი და ია, დედოფალი ტურფა და ნაზი,  
მაგრამ სხვას ხედავს მაინც მკაცრი საღამოს ბინდი,  
რომ ვარძიამდე, აზიის მტვრით დაფარულ გზაზე,  
მამულის სისხლი ელვარებს და ქუჩილით მიდის.

• • •

ქარს მიაქვს ჩიტი, ჩიტიც ხარობს და სველ ფრთებს კეცავს,  
ქარი ცაა და ქრუანტელის ძველი სახლია,  
წითელ გველებით ძველებურად სავსეა ზეცა,  
იკლანებიან და გრძელ კუდებს მიწას ახლიან.  
სველდება მცხეთა. უთვალავი წელიწადია  
ქარი მორეკავს წვიმის წვეთებს, ვით მწყემსი ფარას,  
აგერ, ბილიკთან, გალუმპული მაყვლის ბარდია,  
იმ მაყვლის მოდგმა, ნინოს ცრემლი რომ შეიფარა.  
ჩამოდის წვიმა ხმაურით და აურზაურით,



როცა მზეს სძინავს და გულუხვად ოქროს არ აბნევს,  
 რა შორეული, ძველისძველი არის მამული,  
 მამული ელვის ბაგეებით მოლაპარაკე.  
 რა უკვდავია დაკარგული ღამის დიდება,  
 რა ჰანგი ესმით ნაზ ყვაეილებს, წითელს თუ ცისფერს,  
 გაუყვები ბილიკს, შიშით ჩიტი წამოფრინდება,  
 გადაეწეე ბარდებს, წინოს სველი თვალები მიცქერს.

\*\*\*

გაპყვევი ამ გზას, მთებია ირგვლივ,  
 კიდევ ლოდები, დიდი და ცხელი,  
 გზას გადაგიჭრის წვრილთვალა ხელიკი,  
 ჩვენი მინდვრების ერთგული მცველი.  
 ერთს გამოგხედავს წუთით ქვებიდან,  
 შეგაერთობს ძველი ნაცნობის მზერით,  
 მას მიწისქვეშა ბილიკებიდან  
 ტანით ამოაქვს წინაპრის მტკვარი.

წყალიც შეგხვდება, შესდექ და შესვი,  
 ხმები ისმინე სიციცხლის ქების,  
 ვერ გალადღები, ტკივილი შენში  
 მარხია, როგორც ანობლის ძვლები.  
 მარჯვნივ ნისლია, მიწას რომ დამზერს,  
 მხოლოდ ცას ხიბლავს და წვიმად არ დის,  
 მარცხნივ მიმავალს შეგხვდება გზაზე  
 გამსკდარ გულივით ჩაჩაჩა ვარდი.

\*\*\*

მშურდა მიჯნურთა ეკვის ყვაილი  
 ვესროლე ტოლ-სწორთ, უფროსთ,  
 უმარწმესთა,  
 მკვდრისაც კი მშურდა სულთან  
 გაყრილის,  
 ვისაც ტრფიალი ლექსებს უწერდა.

შავი სულეთის შეალო კარი,  
 შიშის შუბებით მზერა გაუბეს,  
 მე მშურდა მისი დამდნარი ტანი,  
 მისი შექმული თვალი და უბე.

ვინც ხიდი განვლო ელდის და ბეწვის,  
 რაღაც გვანიშნა ცივი ხელითა,  
 ვინაც უკვდავ მზეს და უკვდავ ზეცას  
 ამოუხველა სული ბნელიდან.

მღვიმეებიდან უსტვენდა ქარი,  
 ათრობდა იმედს არყოფნის ბანგი,  
 რეკავდა მინდვრად კენკემას ზარით  
 მკვდარი ტრფიალის გამჭრალი ბაგე.

ხარბად ვნატრობდი წასულის სევსა,  
 ბრწყინავს მიჯნურის მწუხარ მზერითა,  
 ვინაც უკვდავ მზეს და უკვდავ ზეცას  
 ამოუხველა სული ბნელიდან.

\*\*\*

რა არის გველი თავის სამოსით:  
 ხან ჭრელი ზოლი, ხან ჭრელი მორგვი,  
 შენ კი საკუთარ თავის გამოცვლის  
 სურვილი გიყურ ზმანებებს მოგგვრის.

დღეს, როცა გვიძღვნა წარღვნის ამინდმა  
 მტანჯველი ხმები, წყველის და რისხვის,  
 ვინ იზადება თავის თავიდან  
 და ნილაბივით სახეს ვინ იხსნის.

ვინ იცვლის სამარხს, მკვდარი ჩრდილები  
მეორედ სადღა კვდებიან ნებით,  
როგორც გველის თავს ცოდვილი ტანი,  
ჩვენს თავებს შვეებით ეზრდებათ თმები.

გრძნეული თმები ბრწყინავენ კბილე  
მაშინაც, როცა არყუფუნა-მშრალფუნს  
და სამშობლოსკენ მიმავალ გზებზე  
მხოლოდ ლანდები დადიან ჩვენი.

## ასე უღმერთოდ და მტკიცნულად

ცამ ძნებად შეკრა მთვარის სხივები,  
ძირს დაყარა და ახლა მზე დამხერს  
და ჭავახეთის პატარა ტბები  
წყლის ტაძრებივით დგანან ზეგანზე.  
მოვა იესო, ჭვარს დაბლა დასდებს,  
ტანჯვას, რომელიც ახსოვს და უვლის,  
წყლის ზედაპირზე — ლამაზ ეტრატზე  
გადვილის, როგორც ასომთავრული.  
აჭაურია შენი სიკვდილი,  
მზეც ცდილობს, შენთვის შეუქი  
დაღვაროს,

შენი სიციოცხლის ვეება ჩრდილი  
ტბებს გადაუფრენს ყოველ საღამოს,  
რა უცხო ხმა და უცხო იერი  
აქვს ახლა შენი საღამოს მზილველს,  
ასე უღმერთოდ და მტკიცნულად  
იბერიასი თუ კვდება ვინმე.  
და მოგონებას როცა გადაშლი,  
როცა შორეულ სიზმრებით ტყბები,  
როგორც ღვთისმშობლის კაბის  
კალთაში,  
ჩამავალ მზეში ბრწყინავენ ტბები.

\* \* \*

ავანთე წუთი შეუქის მძებნელი,  
თავისუფლებას არაფრით ვუშლი,  
ღმერთის პატარა მატარებელი  
ჩამოდგა ჩემი სისხლის სადგურში.

ღმერთის რუკაზე ვჩანვარ ეულად  
ათასწლეულთა მწირი სიზმრებით,  
შენ საით, ევა, წვიმის სხეულით,  
რომელ უდაბნოს შეეზიზნები.

და ყველაფერი, რასაც ვუვლიდი,  
გაქრა უკვალოდ, უხმოდ მომცილდა,  
ორთქლდება ზეცა ჩემი სულიდან,  
ორთქლდება მიწა ჩემი ხორციდან.

რომელ ციხე-კოშკს მიელურსმება  
შენი ცოდვილი აწმყო და გუშინ,  
ეს რა ბედკრული თავისუფლება  
ჩამოდგა შენი სისხლის სადგურში.

## თავს შეინახავს

ვინ გვიგონებდა, ან ვის ვუყვარდით,  
ვინ წერდა ჩვენთვის სულ პირველ ასოს,  
მთვარის ტაძართან, წმინდა მუხასთან  
თქმული ლოცვები ჩვენ აღარ გვახსოვს.

შემკობილი მაქვს ვარდებით თავი  
და ბულბულები თავს მეგვლებიან.

ჩამოვა მთიდან წარსულის ნისლი,  
დამიდგამს კართან ცრემლის ბანაკებს,  
მისტერიებში მე ვიცი, ისევ  
მკვდარი სიტყვებით ვილაპარაკებ.

ცისა და წვიმის ძველი სურნელი  
ოდნავლა აკრთობთ ყვავილებს მცინართ  
და ალისფერი საუკუნენი  
ეამიდან ეამად თავიდან მცვიეა.

შორსაა ქრისტე. ცას არყევს ქარი,  
ცაში ქარვა და მზის მტევნებია.

მიბერავს ქარი. მაგრამ არა შლის  
იმედს, მზესავით ურყევად რომ დგას,  
თავს შეინახავს ვარდის ტაძარში  
სიკვდილმისწილი ბულბულის მოდგმა.

## გაზაფხულის გაცდური დღე

მოთხრობა

შუადღის ხანს ამინდი გაცრიატდა. თხემს გადაღმიდან ბუერი გადმოიშალა. მურა, ჩაბინდული ჯანლი თავქაჯნაცემი მობორილობდა. თხემის თავზე ჯერ მალა ავარდებოდა, მერე თითქოს დაგორდაო, ქულა-ქულა დატრიალდებოდა, ირიბად ეშვებოდა ღილოჭრელ გვერდაზე და მოქირსლაედა.

აცივდა. ხეობა ჯანლით გალიცლიცდა, მრუმე ჩამონვა. მზე კინჭუხების თავზე გაიცირიცა, ქვეყანა ჩაყურსდა და დაპატარავდა. სულიერი აღარსად ქაჭანებდა. ყველა მიიშალ-მიიშალა, პატარა, ნაცარა ჩიტებმა უცბად წყალი ჩაიყენეს პირში, აღარც მურთების სტვენა ისმოდა. ყორნებიც სადღაც ქვევით ჩაიკარგნენ. ახლად ამწვანებულ მდელს წელ-წელა თეთრი შეეპარა. ის იყო ტყის პირებიც ჩანისლა — ქარი ამოვარდა. ერთბაშად აღმუვლდა, შლეგანივით ხან აქედან შემოჰკრა, ხან იქიდან, თავბრუდამხვევი ბუქი ააყენა. თანდათან ბრტყელ-ბრტყელი ფანტელები აირია, მერე შეთოშოლი ნერილი ხორხორი წამოაყარა. არემარე გადათურდა და თოვაც შეწყდა. ქარმა უკანასკნელი მგლის-ფერი ქულები ქანჩახებს იქით გადაფანტა, ცას პირი გამოურჩნდა და გაიშუქა.

გაზაფხულმა კუდი მოიქნია, მოულოდნელად ამოვარდნილი ქარი ერთბაშად ჩადგა, ზევით, ფოფებზედა ისმოდა მისი ყრუ კენწევა და გმინვა. ხეობა გაჩახახახდა, მომყუდროდა. მზემ დახედა თუ არა — ფერდობებმა ფერი გადაიწმინდეს. თეთრი საფარი თანდათან გალხვა, ჩაიყურა. ჯერ ფლატეები გამოშავდა, მერე მდელიც ასყვა. ბალახზე ნამი აბზინდა. მხოლოდ აქა-იქ ღელე-ჩრდილებში ჩარჩენილი ნაბუქი და ხეების შესაყართან, ძველის ძველი, ურჩხულივით ჩანოლილი, მიძა ალაბულით მოქურუხებულ ზვავი დარჩა თეთრად გადაქათაუბული.

ზვავის ნამუხარით გამონგრეული გულიდან ნისლმოდებული მდინარე გამოჩქეფდა. ნისლი ყინულის თაღზე ინამებოდა და ხორკლებზე ცრემლებივით ეკიდა. ჯურღმულიდან გამოსხლეტილი წყალი თავყინულიან ლოდებს აწყვებოდა, ღრინაედა, შლეგანივით ასკდებოდა მარჯვენა, მალალ კბოღეს, ცოტაზე ძირძირ ჩქერივით ჩაყვებოდა, მერე გაუხვევდა ოდნავ მარცხნივ, გავიდოდა ვაკობზე, ცოტა გაიშლებოდა, გულს მოიხებოდა, მომდორდებოდა, სამასიოდ ნაბიჯზე აჭაფლებული მილივლივებდა, სერის კუდთან ისევ ვერო სადინარში ჩაჭიდებოდა და ორნოხში გადაქუხდა.

როგორც კი ჩათბა, ჯუჯა არყნარში ნაცარა ჩიტები გამოცოცხლდნენ.

— ბიჭო ჭიჭო, ბიჭო ჭიჭო! — ყველა ბიჭო ჭიჭოს ემახდა, პასუხს კი არაყინ იძლეოდა.

მთა დუმდა. ვერც ჩიტების ტივივი, ვერც ნიავის შურშური, თვით მდინარის შხუილიც ვერ არღვევდა ბუმბერაზი მთების ღვთიურ მდუმარებას, რომ უცბად მარჯვენა ტყიან ფერდაზე, ნაშალ ლარტაფის თავში ლოდი მოწყდა. დაფეთებულმა დედა დათვმა თავი წამოაყვლეყვლავა, თვალები დააჭყიტა, ბოკოლა ყურები დაძაბა და სმენად იქცა. აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, მერე ლარტაფს ჩახედა. ლოდი ფრიალოზე ხტუნვა-ბზრიალით დაქანდა, გზა და გზა ქვა ლორღი დაძრა, აშალა და ბრიალით დააზვავა. ხმაურს არც არაფრის ყურადღება მიუპყრია, არც არაზა დაუფრთხია. საშინო არ იყო. გული რომ დაიშმოშინა, დინჯად მოლრცა კისერი და შეილებს გადახედა.

— მე არა, დედა! — კნატა აიბუნა და ტურები მოპარუნა.

ბუნა გაცქერნილი იდგა, ლოვები შე-



ნოვა ცხვირი წაეგრძელებინა და ქოთაქის მოლოდინში ქვედა ჩაპყრებდა ლარტაფს. დედა არ განწყობილა. ისევე გულდასმით მოათვლიერა გაღმა-გამოდმა ფერდობები, უსმინა, ჰაერი ყნოსა, დაწმუნდა საეჭვო ნამდვილად არაფერი ჩანდა, მაგრამ სიფრთხილისათვის მიანიც უკან გაბრუნდა, წარაფის ენრო ყელი გადაჭრა და ნიფლნარი ფერდოსკენ გაუძღვათ.

ძუს ხანში შესვლა დასტყობოდა. ბალანი გაქუცოდა, ისე აღარ უზნინადა. კარგად დრო გავიდა, რაც ბუნაგიდან გამოვიდა, თუმცა ჩამომდნარ ფერდობზე განგურის ფარტინები აქა-იქ ისევე ეკადა. ზანტად გასაქვე გამოსდევდა ტყე-მეზერს და ყველა ქვას, ხე-ქვეულსა და კუნძს სინჯავდა: ფრთხილად ასწევდა, გადააბრუნებდა, უმზეო, მოტიტყეულ ბულ ალაგს გულდინჯად მოათვლიერებდა, დასუნადა და გრძელი, ვერმოსკვეთილი ბრჭყალებით გადაღადრიდა, როცა მინერებს ან მატლებს იპოვდა — ნდომით ატროკდებოდა, მაგრამ პირში ბრ ჩაუშვებდა, მხოლოდ ფაქიზად აუსვაბდა ენას, დაიკვმოვნებდა და რომ დაწმუნდებოდა ვარგისი იყო — პირის ჩასატყპარუნებლად შეარტებს მიუშვებდა. ბელები, რაკი ერთხელ ნუგბარს იგებენ, დედას აღარ აცდიდნენ ქვა ან ხე წესიერად გადაეპრუნებინა. როგორც კი ჰაერს გაუტარებდა, ეცემოდნენ, ნაპყოფდნენ ცხვირს და ჭიების ნაღარ უმზიოს ლოშინდნენ. დედა ხარობდა, ჭამა აღარ აგონდებოდა, შვილების დაუდებრობა და გიჟმაჟობა უჭყოფნიდა, ავითონ ევლის ბოლოში, ჭიანჭველებით ამირებდა პირის ჩაგემირილებას.

ფერდას მოკობულთან წაქეცულ დიდ ნიფელს მიადგნენ. ძუს ბრახისაგან ბალანი აეშალა; ნაგდებს ქვევიდან ყოველ გახაფხულზე მატლებისა და ჭუპრების საამო სუნის უდის ბოლნი. რამდენჯერ მიადგა, თხარა, ფხაჭნა, ცოტ-ცოტა რაღაცას გამოარჩევდა, მაგრამ ხეს ვერაფერი მოუხერხა; ვერც როდისმე გადააბრუნა, ვერც გააცურა, მწერების ბუდე მინამი აზრეულად ვერ მოიხელთა. აჯაგრულში წიფელს შემოუარა, მსხვილ, მორივიტ ტოტს დახედა, უყურა, ათვლიერა, გაივარაუდა: თუ იმას ღონიერად მოსწევდა — შეიძლებოდა მდლიანი ვარჯი გაეცურებინა. მოხევა ორივე თათი, ჩაისუნთქა და, რაც შეეძლო, დაეძგრა. დაძაბუნებული ტოტი ერთბაშად მოიხსენრა, დათემა თავი ველარ შეიკაპა, გადაიკოტრილდა და ნალენი ზედ გადააკოტდა.

ბელებმა სიხარულით ამოიკოცინენ, მაგრამ დედა რომ გაავდა — გაისუსნენ. ძუ აბდღვირნდა, მივიარა ხეს და ღუნდა დაუნყო, დაფუტუროვებული, ქიხიდან დახრუნდი ტოტები იოლად იფხვნებოდა. მან ერთბაშად მიფურ-

ტყნა-მოფურტყნა, მაგრამ მატლსა და ჭუპრებს ვერსად მიაგნო. განმედიტყნა უსმობრუნდა, ბეჭობზე გადმოიჭრა — ცუცხიპირა ველს გამოიხედა. ეელი, ტყიდან რიყემდე, წელსაც ჭიანჭველების ბუდეებით იყო სავსე, გულზე მოეშვა. იქაურობა დახვეწა, დაათვლიერა, შვილებიც გაირკვა და ველზე გავიდა. მიიარ-მოიარა, შეარჩია უფრო მობრდილი ბურცობი, დაყნოსა, მოუსვა ტორი და მოლუნული, ვეება კლანჭებით ძირიანად გადათხარა. ნაბლისგრად აფთოფთობულნი ტყის ჭიანჭველების გროვა თეთრი კვერთხებით აილუფხა და მადის აღმჭრელი, მძაფრი, შომგაო სუნი რომ ამოვარდა — დათენეტარებით გაირიწდა. ნელა, ფაქიზად აუსვა ენა, მაგრამ ბელებმა არც აქ აცალეს, მისცვივდნენ და მინიანად დაუსყეს ბუსკენა. დედამ ახლა სხვა ბუდე გადათხარა, ნამოუნდა და თათები ზედ დაეხევიწნენ. ის კი დინჯად, და გემოვნებით ლკავდა და პირს იკოკლოხინებდა. როგორც კი მიაციტავებდნენ — ბელები ახლა სხვა ბურცობს გადათხრიდნენ. თუმცა მუცელი ვერ მოიძღეს. ჭამა საღერღელი უფრო აეშაბდა და დედას ჩამოტყპარტულ ძუძუებზე ეცნენ.

— აბა, აბა! — გაუნყრათ დედა. ძუძუებზე, თათები აიფარა და ყალყზე შედგა. პატარებმა წუნუნი ატეხეს, ხტოდნენ, ფეხებზე გაიდებოდნენ, მაგრამ დედამ ზედ არ მიიკარა.

— სსს! ამას იქით თვითონ უნდა იჩინოთ თავი! — დედამ ისე დაუბლატუნა თვლები, ბელები მაშინვე გაინაბნენ. იყოდნენ, თუ გააბრაზებდნენ, კარგი არ დაეყრებოდათ. ისე საბრალოდ გამოიყურებოდნენ, ძუს გული მოენვა. ეს მოცუცქნულები რის მომპოვებლები იყვნენ. რაღაც საძლომი უნდა მოეძია, თორემ თეთრონაც გული უსანსალებოდა. ჩაფიტრდა, იხსენა, იხსენა რისი მიგნება შეიძლებოდა და შვილებს მდინარისკენ გაუძღვა.

ქნაჭა უნადინოდ მოიზღაზნებოდა, მოყანყალებოდა. სახეზე ბაღახის ხმელი კოკორი ნამოედო, ბალანზე მიუკრა და თავი რომ მოარიადა — ღეროიანად აქანავდა. ქნაჭამ თათი გაჰკრა. კოკორი უფრო აქანავდა. გადმობტბ ბუნჩა, ღონიერად ჩასცხო და ღერო ჩამოტუნა.

დედამ მოიხედა, გაჩერდა.

— ეგ აღარ გააკეთოთ! — უთხრა მკაცრად. თუ გზა და გზა ესეთი ნიშნები დატოვეთ, — მტერი კვალში ჩაგიდგებათ, საკბილო კი გაგერიდებათ, გადიკარგება. ისე უნდა იაროთ — ნონკი არ გატეხოთ, არც ნაველი დაემჩნეს, არც ჩუამი გავიდეს! აბა ეს რა საქნელია! — ნელან ჩვენი გადმოვლა მითელში მთამ გაიგო.



— დედი, შენ მოგტრევა ვინმე? — ჰკითხა ბუნჩამ.

— ძუმი ყურები ცქერტა. სადღაც ქვა დატორკიალდა. უსმინა, უსმინა, მაგრამ ხმა აღარ განმეორებულა და ვერ გაიგო საიდან იყო. გაზაფხულობით ყინვისაგან დაშლილმა კლდე-მაც იცის ზოლზე ასეთი ხმა. მაგრამ ეს უფრო ფხვით დატორკიალებას ჰგავდა.

— ჰა, დედი, მოგტრევა ვინმე? — გაიმეორა ბუნჩამ.

— ვინ უნდა მოეროს, ნელან ვერა ნახე ხე როგორ დალენა! — შეედავა ენაქა.

— მომტრევა თუ ვერ მომტრევა, მტერს არა სძინავს. მუდამ ფრთხილად იყავით, რა იცი, ვინ რა მახეს გიგებს.

— ვინ უფრო ვერაგია, ჰა დედი? — არ ეშვებოდნენ ბელები.

— ძუ ყურს აღარ უგდებდა. მას მთელი გულსყური ქვის დატორკიალებსკენ ჰქონდა. პატარები კი ცნობისნადილმა აიტანა. ხან ფეხებზე შეეფოფხნენ, ხან მიერდნენ.

— თქვი, დედი, შენზე ღონიერი არი ვინმე?

— ჩემზე ღონიერი... ჩემზე ღონიერი მამათქვენი.

— მამა? სად არი მამა, რატო ჩვენთან არ მოდის?

— ზევექვეშ არი...

— ზევექვეშ იქ რა უნდა, ჰა, დედი, ზევექვეშ რა უნდა?

— მომეშვით! კაჭკაჭებამდე ნუ გადაიქეცი!

ბელები ერთხანს ჩაფიქრებულები მოდიოდნენ, მამა ნარმოიდგინეს, დედაზე ღონიერი როგორი იქნებოდა.

— მამას, მამას მოერევა ვინმე? — არა ცხრებოდნენ.

— რა ვიცი, მგლის ხროვა მოერევა.

— მგლისა?! მგელი როგორ უნდა მოერიოს! — გაკვირვებულმა გადახედეს ერთიმეორეს.

— ერთი და ორი კი არა, ხროვა... ბევრი როცა დაჯოგდებიან. გუშინ რომ გაიძურნა — მაგან არ შეგაცდინოთ. ვერაგია, მარტო იყო და იმიტომ. ყოველთვის უნდა ეცადოთ ტყესთან ახლოს იყოთ. თუ გაგიჭირდებათ, ხეზე ახვალთ.

— ხროვა სად არის?

— ხროვა ზამთრობით იცის.

— ზამთარში ბუნაგში ვიქნებით. იქ შე-მოგვიცვივიან?

ორნოხებს ზემოთ, რიყის ჩასასუკლთან გაჩერდნენ. ძუმი მდინარეს აღმა-დაღმა მოაველო თვალი, კარგახანს აუურადა და განაგრძო:

— ვერა, იქ ვერ გახვდებიან. ზამთარში ზოგჯერ მზიან ამინდს დაიჭერს, ზოგიერთი მუ-

ცელა ხვადი ბუნაგადან გამოდის, საქმელი-სათვის დანანალებს. აი, მამინსამდე... მინდორზე თუ დაუხევიენენ... ბუნაგში ვინმე...

შეშინებული ბელები დედას ფეხზე მიეკრნენ.

დედა რიყეში ჩავიდა. მდინარისკენ ნელ-ნელა მიდიოდა და თან ჰყევებოდა:

— უკვე მერამდენედ გაფრთხილებთ და დაიმახსოვრეთ. ჩვენი მოდგმის ყველა ბრძენი თაობიდან თაობას გადაცემდა, რომ ყველაზე ვერაგო ადამიანია. ადამიანს თან უყვარხარ, თან სძულხარ, ვერაფერს გაუგებს. მოგეფერება კიდეც, მოგეკომაგება, გაჭირვებაშიც დაგეხმარება, რა თვალზე შემოგხვდაც — საქმელსაც კი მოგანდვის. მეორე ნუთს შეუძლია დაგემხოს, ძალღებაც მოგისიოს, მანე დაგობოს, მოგნამლოს, ბუნაგშიც კი შემოგვიარდეს... — შუატყო პატარები ძალიან შეძრწუნდნენ და ქირქილით დასძინა:

— თან მშობარა, ჩვენს დანახვაზე თავზარდაცემული გარბის.

— გარბის? — ბელები ცოტა მომხიარულდნენ.

— გარბის და როგორ. თმა ყალყზე დაუდგება, ქუდმოგლეჯილი გაენტობა. ზოგს კი შიშისაგან ხმა ჩაუნყდება, დამბლა დაეცემა, გაოგნდება. არ დაივინყოთ, მაგანაც არ გაცდინოთ. იგრძნობთ თუ არა ადამიანის ან ლითონის სუნს, ან ჩხაკუნს თუ გაიგებთ — მამინეც თავს უშველეთ. რამენაირად უნდა გაიპაროთ, გაერიდოთ, თორემ ვერ გადაურჩებით. ამიტომ აქედანვე უნდა მიეჩვიოთ უხმაურო სიარულს, მოსმენას, ყნოსვას, თვალთ უფრო ვერ დაინახავთ, სმენითა და ყნოსვით ყოველთვის უნდა აღმოაჩინოთ თქვენს ახლომახლო ვინ არის — მტერი თუ საკბილო. საკბილოს ისე უნდა დაადგო თავზე, აზრზე არ იყოს. — ძუ წყლის პირას გაჩერდა. მოხედა შეილებს და რიხიანად დასძინა: — მოულოდნელად რომ დაუღრიალებ და დასქტებ შიშისაგან სისხლი უნდა გაეყინოს, ადგილზე გახვედეს. მაშინ ელდასავით დაეცემა და სანამ გონს მოვა, შენი კერძი გახდება.

ბელები ელტარებით გაიზმორნენ და თავმომნონედ დაიხედეს გინჯლიან თათებზე.

— ძუ ნინა ფეხებით წყალში ჩადგა. უსუნსულა, უსუნსულა, ორ-სამჯერ ენა გაჰქრა, ვერ გაიგებდით უბრალოდ პირი გაისველა, თუ გემოს უსინჯავდა. შიგ იფურა, ქვის ძირები ათვადიერა, მერე შეილებს ანიშნა, ჩუმად იყავითო და ფრთხილად წყალში სანახევროდ ჩამალულ, მზეზე თავშემთხარ ლოდზე გადავიდა, ზედ დანვა და გაიჩინდა. ლოდზე აცოცება ბელებმაც დაპირეს, ოღონდ წყალში შესვლა ვერ გახედეს, ასე დიდი და ხმაურიანი წყალი ჯერ არ ენახათ. ნაიგრძელებდნენ კისრებს, ფრთხილად, კანკალ-კანკალით გაი-

ნედიდნენ ცხვირს წყლამდე, დასუნავდნენ, ჩაიხედავდნენ შიგ და, ღმერთო შენ მიშველე, ქვევინად ვილაქ ბელი ამოიჭყიტებოდა. თათს გაინადიდნენ — იქიდანაც ის ვილაცა ტორს გამოაპარებდა.

კნაჭა შეშირდა, უკან გადგა. ბუნჩა გაგულსდა და როგორც კი მოციმციმე თავთხელიდან ვილაც ბუთხუხამ თავი ნაშოყო — ნაუთაქა.

კნაჭამ ღრიალი დაიწყო.

რა დაგემართათო! — გადმოიხედა დედამ.

კნაჭა თვალბებს ისრესდა, ეტყობოდა შხეფები შეესბა.

დედამ ბუნჩას შეუბღვირა:

— დანეტო, კრინტი არ დასძრათ! „ამე იმას ჩავცხე, ამას რა აღრიკლბეს!“ — ვერ გაეგო ბუნჩას.

დაიწუნენ და გაისუნენ. რას აკეთებსო — გამჭირებული მიმჭირებოდნენ დედას. დედასაც თვალქვეშ ჰყავდა. როგორც კი რომელიმე გაიწუნებოდა, შეუბღვერდა და ისინიც მაშინვე გაიკანკებოდნენ.

შემე ძალა მოადგა. რაცღზე თბილი, მომთენთავი ღული ღვლივებდა. ბეღებს ჩაიძინათ. ცხვირები ისე ჩაიფრთეს ბანჯგულიან თათებში — გაგონება ბუქავსო. ბუნჩამ ძილში ჯერ ბუზღური დაიწყო, მერე ბდღვირვით ნამოვარდა, დაავლო ერთ მუშტა ქვას თათი, დაახეტქა, აიჭაცა ისევ და კბენა დაუწყო. რომ ვერაფერი დააკლო, მოისროლა და ბუზღურით დანვა.

— რა დაგემართა? — სკითხა დედამ.

— აი, აქ მატყინა, — ნეყნებზე მიიღო თათი.

„მამილა“, — გაიფიქრა ძუმ.

ბუნჩამ ისევ ჩამალა ცხვირი, მაგრამ ახლა კნაჭამ აღარ მოასვენა. გააპარებდა თათს და ბალნის ბოლოებზე გადაუსვაშიდა. ბუნჩამ ჯერ ზურგი შეათრთოლა, ბუზი ეგონა, ნამუტანი რომ შეაწახა ნაშობტა და დის თათი რომ დაიბახა კნაჭას ყბაში უთაქა. კნაჭა ერთი თალია აღრიკლდა, მაგრამ რაკი ტყუოდა — გარწმდა.

დედას მათთვის აღარ ეცალა, გაფაციცებული ჩაიყურებოდა წყალში. პატარებმა ის იყო ჩათვლიძეს, უცხათ შეზზარავად იქუხა. დაფეთებული ბეღები ტყისკენ გაეკვიდნენ. ძუმ წყალს სათი ამოჰყრა და რაცღზე მტკაველის სიგრძე თევზი გადმოაგდო.

— დაიჭირეთ! — დაიბახა და კმაყოფილმა გამოიხედა, მაგრამ პირკატა ეცა. ყურებ დაღურსული, წელში მოღურსული პატარები ტყენვრილში შეცნავენდნენ. დათვი შეფიქრიანდა — ცუდას არაფერს გადაეყარნენ და ნამოინია. დაფეთებული შეაღების ცქერაზე თან ეღიმებოდა, თან გული ეწურებოდა.

— დაბრუნდით, აქა ვარ! — გასძახა, ბე-

ღები ისე იყვნენ თავზარდაცემული, არაფერი გაუგიათ. მიჩბოდნენ და აღარც კი შეუძინეს სად დაშალულიყვნენ. აქეთ ეცხებ, იქით ეცნენ. გვიან მოვიდნენ გონს და უკან გულზეთქებით მოვიყვდნენ.

— დაიჭირეთ! — დედამ თევზზე მიანიშნა.

ბეღები ახლა იმ თეთრად მშზინავმა სხმარტალამ შეაკბუნა, აიბურტგლნენ, ხან თევზს შეხედავდნენ, ხან დედას.

— აბა, ვინ დაასნრებს! — ნაქუტა დედამ.

ბეღები ახლა კი შეგულიანდნენ. ერთიმეორის ჯიბრით — რომელი დაასნრებდა, ბრჭყალებ გაფარჩხული ეცნენ, მაგრამ თევზი შესხმარტალადა და ორივე ღორვე ნახლავდა. ყურები მაინც არ ჩამოუყრიათ. აუხტნენ, გადაუხტნენ. ბუნჩამ თათი მოუქნია, ააცვინა და ისევ ზღართანი მოადინა. კნაჭა უფრო ცქაფი იყო. მკვირცხლად დაედგრა, ორჯერ მოარტყა თათი, ერთხელ ცხვირც ნაჰყრა. კბილებში კი ვერა და ვერ მოიგდო. ნაშობტა ბუნჩაც, ხან აქედან დააფრიანდა, ხან იქიდან, ერთიმეორეს აწყებოდნენ, თათებს კრავდნენ, გაგორებოდნენ, ნაშობტებოდნენ, აი, მოიგდებდნენ თათებში — გაუხსტებოდნენ, დაიჭერდნენ, ერთიმეორეს გააგდებინებდნენ... თევზმა ისტუნა, ისხმარტალა და წყალში მოადინა ტყაპანი. ბეღები კი ევლარ მიხყვნენ და მშრალზე დარჩნენ. გაფაციცებული უცქერდნენ. თევზი მუცელამობრუნებული ატივტივდა, ცოტახანს თითქოს უსულოდ ეგდო, მაგრამ სანამ ისინი რამეს მოიმოქმედებდნენ, უცხად კუდი მოიქნია და სიღრმეში გაუჩინარდა. განბიღებულმა ბეღებმა დედას შესწყმულტუნეს.

— ეე! — თათი ჩაიქინა ძუმ, ისევ ღოღზე დანვა და გაინახა.

შვილები თვალბედაცემული მისჩერებოდნენ. როდის როდის ჩასცხო დედამ თათი. ბეღები ქვეამ მაინც შეაკრთო, ღამის ისევ მოცოცნენ. დათვმა თევზი ამოიყვანა, ორივე თათით ჩაბლუჯა, არ გასხტებომოდა, კისერი გვერდზე მოღრიცა, თავზე ფუნდ უშრინა და გადმოაგდო. ბეღები მისცივიდნენ, თევზი ისე ელეასავით ევლარ სხმარტალებდა და ბუნჩამ იოლად მოიხელთა. ზუჯ დახტა, თათები შემოსვია, ნიკაპი დაჭირა და ქვიშას მიაკრა. მერე დრუნჩი ნელ-ნელა თათებშა ჩააცურა და დააცხრა.

— დედა, მე მომცეს! — აწუნუნდა კნაჭა.

ბუნჩა გაფრთებული იყო, აღარაფერი ესმოდა, მასში მტაცებულმა გაიღვიძა: თვალები უღლავდა, ბდღვირავდა, ცხვირზე მოტლამუნე თევზის ბოლოს დაკლანჭული თათებით დადრავდა.

— მომცეს, დედა, უთხარი მომცეს! — იპარჭყებოდა კნაჭა.

დედამ აცალა და ცოტა რომ ჩაცხრა ბუნ-



ჩას ანიშნა — მიეცო.

— ვა, სულაც მე არ დავიჭირე — აბუ-ზლუნდა ბუნჩა.

— ეგ პატარაა.

ბუნჩამ თევზი გადაყლაპა. დამშვიდებით გაილოკა ტურქები და არხვინად გაიხედა-გამოიხედა. კნაჭა აღრიალდა.

— ხვადი არა ხარ, განყდა თქვენი სინსილა, — გაბრაზდა დედა. — აქედანვე გეტყობა ლორმუცელობა. მერე კნაჭას დაუყვავა — გაჩურმდი, შენ უფრო დიდი უნდა დაგიჭირო. დიდხანს ჩასცეროდა წყალს, ელოდა, ელოდა, თევზი კი არა და არ გამოჩნდა. მამინ თათი ნელ-ნელა ჩააპარა და ღოდის ძირში ფრთხილად მოაფათურა. არც იქ დახვდა რამე, ხან ერთ ღოდზე გადაოცოდა, ხან მეორეზე, ძირი ყველას მოუსინჯა, მაგრამ თევზს ვერსად მიაგნო. რა გაენჯობოდა, მძიმე-მძიმედ ჩაცურდა და თავთვლში ჩანვა. მოთელილი ზღაღანი ხავსივით აღივლიდა, წყალი ყრუღვივით ცივი იყო. არცეი ნამოუნეცა, სულგაკმენდილი ითმინდა.

ვინ იცის, სუნი იკრეს თუ თბილ „ხავსში“ თავის შეფარება ინდომეს — საიდანღაც ჯერ წერილ-წერილი ლიფსიტები დაჩნდნენ და შორიასლოდან დაიწყეს დახვეწვა, მერე მოზრდილი, თათის სიგრძეც მოქაქანდა. ძუმ უმაღ დაქრა თათი. აიყვანა, უფრო მაგრად უკბინა და კნაჭას გადაუგდო. კნაჭამ პირი დასტაცა და კნასვა დაუნყო. ბუნჩას პირწყალი მოსდოდა. ნართმევა დააპირა დედას ქვეშქვე გახედა. დედა ირიბად იყურებოდა და ვერ გახედა. კნაჭა გულის გამანწორლებლად იღმურძლებოდა.

— არ გინდა ნიუკა, მოგითხარო? — ვეღარ მოითმინა ბუნჩამ.

— მომიღლიდი — შეულრინა კნაჭამ. ძიძგნა თევზი, ძიძგნა და გასეღეპილი ხერხემალი დატოვა. — თუ გინდა ეგა ქამე, — უკან დაინია.

ბუნჩამ ჩონჩხს გადახედა, გული ნაუბედუნავდა, მაგრამ ლორმუცელობას სძლია.

— რაში მჭირდება, — ჩაიბუტბუტა და დედის თათებს მიანერდა.

ამასობაში ერთიმეორეს მოყოლებით მოცურდნენ თევზები. ძუც მარჯვედ იყო. გრო რაკი დანიხა მოსმით დაქრა თათი, წყალი ნაპირზე გადაინჩქრა და ქვიშაში რომ ჩაიფრნა სამი მომცრო და ერთიც მოზრდილი თევზი მშრალზე ასხმარტალდა. ბელები გადაიჩრდნენ. ატეხეს ძიძგლილი, ზავილი, ღრენა, დასდედნენ თევზებს, დაიჭრდნენ ერთიმეორეს პირიდან გლეჯდნენ, თავ-პირს აკანრადნენ, ნუნუნებდნენ. ყველა სასწრაფოდ გადაძგნარეს და ისევ დედას მიანერდნენ. დედაც ჩქარ-ჩქარა ხახუდ დაქარავდა თათს, იქუბებდა, ავირდებოდა ჭავლი და სანამ წყა-

ლი დადონდგოლდებოდა — ჩამოწვივარე წვეთების შხაპუნში ზურგზე, გადახვეწილ თევზები ვერცხლისფრად ანიონბეჭდებენ. ამოჰკრავდა დათვი თათს, რიყზე გამოჰყაროდა და ისევ გაყურდებოდა. ზოგჯერ კი ბელები რომ გაავხდებოდნენ, ნამოინედა, შეიღრენდა და ჩააჩურმებდა.

— შენ სულ ამას უშარჯევბ, — უსაყვედურა კნაჭამ.

— ვინც თათს გამოიღებსო, — თაფლს ის ამოიღებსო, — ძველი სიბრძნე შეახსენა ბუნჩამ.

სიცივისგან რომ გაითომა — ძუ წყლიდან ამოვიდა. უკან ჩამონანური წყლის კვალი გამოვბა. ნელ-ნელა, ხახვავით გავიდა თბილ ღამზე და ტანი დაიბერტყა. ბაღნიდან წუნ-წელებს ათიოდე ლიფსიტა ჩამოჰყვა. ბელები მაშინვე იმასად მისცევიდნენ, დედამ ახლალა ტელონა ორი თუ სამი ლიფსიტა, დანვა ღამზე, გაგორდა, გამოგორდა. ოჰ, ოჰ, თეგვივით არის ეს დალოცვილიო — თან კბილების კანკანით ბუტბუტებდა. დამძლარი ბელებიც ღამზე კოტრიალებდნენ, საიპოვნებისგან კრუტუნებდნენ და ერთმანეთს ეღლაბუცებოდნენ.

ორგლევი სინყანრე იდგა. შუმ თანდათან დააცხუნა. ღრუბლის რამდენიმე სიფრიფანა ფთილამ გადაიარა, ეგ იყო და ეგ.

— ჩადით, იბანავეთ, — უთხრა დედამ შეილებს.

ბელებმა ერთიმეორეს გადახედეს, ნამობტნენ, მაგრამ წყალში შესვლა ვერ გახედეს. მივიდოდნენ წყალთან, ერთმით ჩაყოფდნენ თათს, ამოიკონენებდნენ და უკან გადმოხტებოდნენ, ჩაატყაპუნებდნენ — გადმოხტებოდნენ. ისევ და ისევ.

ცოტა რომ მოთბა ადგა დედა, ორნობის ვინროების ზემოთ, ოციოდე ნაბიჯის მოშორებით ჭავლში ჩადგა — ბელები წყალს არ გაეტაცა და შედით, ნუ გემინიათო, ანიშნა. პატარებმა თანდათან შეხედეს. აიწურავდნენ მსუცელებს, დაიჭრქვლებდნენ თათებს, კანკალკანკალით, თვალბედაჭყეტილები შერხუპავდნენ თავთვლში და უკანვე გამოვარდებოდნენ. შევარდებოდნენ, გაჰკრავდნენ, გამოჰკრავდნენ თათს, ხან თავ-პირზე შეისხამდნენ, ხან ერთიმეორეს განუნავდნენ და გამოცვიოდნენ. დედას შეუღების აწყობაზე, პირს ღლიმ მოსდოდა. მერე ერთხაშად მოიღრუბლა და კნაჭას დააკვირდა. კნაჭა ისევ კოჭლობდა. „გუშინ აღარა სტკიოდა და დღეს რა დაეშრთა, — გაიფიქრა და სინანულით გადააქნია თავი. — რაზე დამლუპავდა, ეს ღანცალა. რამსიბაღლებუ ასულიყო. ტჟუის სახანაელებლად კი კარგია, ხმელ ტოტს აღარ დაეყრდნობა“.

პატარები თავით-ფეხებამდე გაიღუმენენ



ნელ-ნელა მიეჩვივნენ ცივ წყალს და თანდათან ღრმადი შევიდნენ. ბოლოს დედასთან მისვლაც გაბედეს. წყალმა ააქან-დააქანა, თუმცა არ ჩაიძრულან. ფეხქვეშ მინა რომ გამოცალათ — გული შეუქანდათ, თათები უმწეოდ ააფართხალებს. დედა მარჯვად დაუხვდა. ხელში აიყვანა და ნაპირზე გადმოსხა. მაშინ კი გათამამდნენ ფეხმორართულები, აბჯახდებოდნენ ნაპირ-ნაპირ, შეცვივოდნენ ქველში და დინებას გამოჰყვებოდნენ. დაიჭურდა დედა, ჩაიკრავდა გულში გამოიყვანდა თავთხელში, ნაუთათუნებდა უკანალზე და დასვამდა.

„ეხლა აღარა მიშავს რა, — ფიქრობდა ძუ. — უკვე მოჩიტდნენ. ხეზე კარგად ადინან, ნიუკას პოულობენ, აბა, ცურვაც გაბედეს, თაფლის მიკვლევასაც ვასწავლი და რამე რომ დამემართოს, თავს დაიჩვენენ. შემოდგომაც მოვა, ყველაფერი უხვად იქნება და“...

ბევრჯერ გადაეწურა დათვის შეილები გადარჩენის იმედი, ცუდი ზამთარი დაუდგა. თავის მხრივ თადარიგი კარგად დაიჭირა. მიიწურა თუ არა ნაბლობა და პირველი რთილი გააგლო — შევიდა ბუნაგში. ზიბე-ბუნაგი კარგად დაითბუნა, ღრმა, მშრალ ადგილზე ჰქონდა გამოთხრილი, სინესტისა არ ენოიოდა. ყინვები რომ დაიჭირა — შესასველი თითქმის მთლად ამოქოლა, მხოლოდ პატარა ქუჭრუტანა დატოვა საპაეროდ. ყინვა მიანიჭტანდა. რა უნდა ექნა ორი თოთო შეილის დედას. ასაკში შევიდა, შემოდგომა უხვი არ იყო, ქონი წესიერად ვერ მოიკვდა. ერთი შეღვავათ, რა ბუნებამ უბოძა მათ მოდგმას ის იყო, ბელედი ციქქნები დაებადნენ და ცოტა ჰყოფნიდით, თორემ ამოდენა ზამთარში რა რძე დააძლობდათ, ზამთარი კი გაგრძელდა და გაგრძელდა. ყინვები გაზაფხულის დამდეგსაც არ მოტყდა. მოიწმინდებოდა ცა, გაჩახახებოდა გვი და როგორც იტყოდა, ახლა კი გვეშველაო — იმ მომენტშილზე მოუჭერდა ყინვა და ისეთი სუსხი დადგებოდა — ქვას ქვაზე დააფულებდა.

სწორედ დედა დათვის შეუძლია თქვას: შეილები გულზე მახიაო. უსუსურ ღლაპებს სამ თვეზე მეტ ხანს გულში ჩახუტებულებსა ზრდის. ერთთავად გულალმა წესს, გვერდუნდაც არ გადაბრუნდება. ყინვა რომ შეიწუხებდა მოიბღუნებოდა, უკანა ფეხებსაც მკერდზე მიიკრავდა, ოთხივეთი ჩაჟფუნდა, ცხვირს თათებშია ჩაჰყოფდა და თავისი სუნთქვით ათბობდა. თვალაუხეველი მურა ღლაპები ისე უშეყო და უსურუნი იყვნენ — მხოლოდ სიყვარულს შეეძლო მათი გაზრდა. ძუსაც თავდავიწყებით უყვარდა ისინი, იხრუკებოდა. ზოგჯერ ისეთი ფინი მოუვლიდა, ისე ძალუმად ჩაიკრავდა გულში — ღამის თა-

თებში შემოჭყლეტოდა. ნეტარება აღმოედლე რომ იხრდებოდნენ. თუმცა, საუბედუროდ, თანდათან მეტი ქამზ სუკრდებოდათ. მას კი ბუნაგიდან ცხვირი ვერ გამოეყო — სარჩო ეშოვა. გაბდა, ცარიელი ძვლი და ტყავი დარჩა. ბელები გამომშრალ ძუძუებს ღლონიდნენ და რძე რომ არა ჰყოფნიდათ, მათი ტირილ-წუნუნისგან დედას სიცოცხლე უშნარდებოდა. ბუნჩას კიდევ არა უშავდა რა, მოფერიანდა, თანდათან, თეთრი საყვლოც რომ დააჩნდა — მაშინ კი იმედი მიცა. მამალია, მთასავით გაიხრდებოდა. ნაჭა თავიდევე კანტი იყო და მლივი დარჩა. ეს ნამდვილად ხელნაწი გამომცლებია, დიდახანს ვერ იბოგინებსო — გული უკვებოდა.

როგორც იქნა გაზაფხულის სუნი დატრიალდა. დათემა ბუნაგის ქუჭრუტანა თანდათან გააფართოვა. ერთ მზიან ღღეს კი მთლიანად გახსნა, ფრთხილად, ყურისგდებით ჯერ თავი გამოყო, გამოიხედა, იქაურობა დაათვალიერა, პაერი დაუნხა და სახიფათოს რომ ვერაფერს მიაკვლია — გარეთ გამობოზდა. პაერმა რომ დაჰკრა — შეაფრგოლა. ცახცახებდა და ვერ გაგლო ნათბილარს შეამცივნა თუ სიცოცხლის სიხარულმა შეაფრგოლა. ღრმად ჩაისუნთქა, გაიხრგოდა, თათები დაჭიპა და ის იყო მინა გაფხობრა — სიმწრით იღრიალა. ამდენ ხანს წოლისაგან ფეხის გულები ისე გააფუჟებოდა — მიწაზე დადგომა აღარ შეეძლო, წონის ნაშხარუვები თუ მინის ნაფხვენი შიგ ესობოდა. არ შეეპუა, რამდენიმე ნაბიჯი გადაეგა, გაიარა, მაგრამ სიმწრისაგან სიფრთხილევ კი გადაავიწყდა და ბრაზიანად აღრიალდა. დაფთობული ბელები ბუნაგის კუთხეში მიიყუდნენ. დედა კი, ჩხვლეტებით გაავნებული წინ და უკან დადიოდა და რაც შეეძლო ღრიალებდა. ვარჯიშ-ვარჯიშით ორ-სამ დღეში ფეხის გულები გაუშამგრა. გამოიყვანა შეილებიც, ჯერ ახლო-მახლო მიატარ-მოატარა, თავიანთი საბინადრო დაათვალიერებინა, თანდათან შორს გავიდნენ და სარჩოს ძებნას შეუდგნენ...

ბელები ისევ რაღაცაზე ნაკინკლავდნენ. ნაჭამ თათი მარცხენა, მტკივან მხარზე დაიდო და აღრიალდა.

— დედა! სადაც მტკიოდა, სწორედ იქ დამტორა! — თან დედას უყურებდა რას იხამდა.

დედამ სიბრაზისაგან ორივე თათი მაღლა ასასვსავა და ბუნჩას დაემუქრა.

— ეე! — ბუნჩამ ლოყა მიუშვირა. — აი, როგორ დამკანრა.

იი! — თათი ჩაიქნია ძუძუ და მდინარიდან გამოვიდა. — თქვენ არაფრის ღირსები არა ხართ. — ტანი დაიბურტყა, ღამზე გაგორდა-გამოგორდა, თან თავისთვის ბურტყუნებდა: — ესლა უნდოდა რამ მუხლებს, ესლა უნ-



დოდა — ფეხებზე თბილ ლამს იყრიდა, თან სიამით კმინავდა.

— ერთხელაც რა, დედი, ერთხელაც, — ბელებმა ღიჯინი დაუნყეს, მაგრამ დედამ ისე გადახედა, კრინტი ვეღარ დაძრეს.

მზე დაწვერა, შინ ნასტლის დრო მოსულიყო. დათვის ჯერ რიგინად არ გათბობოდა ფეხები, მაგრამ ადგა და რიყეს აუყვა. შვილებიც ფეხდაფეხ მიჰყვნენ. ენაჭა არც ახლა ისვენებდა. ბუნჩა ბეზარს მოიყვანა: ხან ფეხს დაუფებდა, ხან თათს გაჰყარებდა, ენას უყოფდა, ელმანჭებოდა.

— გაჩერდი, თორემ მოგხვდა დინგში — თავის კანტურით დაემუტრა ბუნჩა.

ენაჭა თავისას არ იშლიდა. გამოჰყარავდა ფეხს და ნაქცევდა, დაებლავჭებოდა კუდაზე და გაქცევოდა.

— ჩუ! — დაიძახა დედამ, თავი ასწია და ყურები ცქვიტა. ისევ რაღაც საეჭვო ხმა მოესმა, უსმინა, უსმინა, ვერც ეხლა დაიკვლია საიდან იყო და გაბრაზებულმა შვილებს ნაუბუნა:

— რა დაგემართათ! როცა შინ მიდიხართ, ისე უნდა გაიპართ, თქვენი ასავალ-დასავალი ვერაფერს გაიგოს!

— დაგინახონ, ფეხები არაფერს მოაქამონ, — თავი გამოიღო ბუნჩამ.

დედამ კუშტად გადმოხედა. — ბებიარემის ბებიას უთქვამს: სიფრთხილემ თავი მაჭამა, გაუფრთხილებლობამ ფუტურებს შემაჭამაო.

ნელ-ნელა მიდიოდნენ. დათვის გული რაღაც ცუდს უგრძნობდა და ბრაზობდა, ის იღუშავდა ხმა რომ ვერ ამოიცირო. ყველაფერს გულდასმით ათვალერებდა. პურს ჩქარ-ჩქარა ყნოსავდა, ყურიც მზირედ ჰქონდა, ჩინჩილებთან თავდაც სუნს იყრა. თავი ასწია, ცხვირი აცამცამა, წყლის პირას მივიდა, ქარქარაკებს — წყლისგან მინაშული ტოტის ნამეტრეების გროვა გადაქცეა და თხილი გაშიოდო.

— რა არი, დედი? — მივარდა ენაჭა.

— ენაჭუნაა.

— კიდეც იპოვე, რა, — დაუნყეს ხვეწნა. დედას ჩაეღიმა.

— ესეც აღბათ, ყვავს ჩამოუვარდა, თორემ თხილს აქ რა უნდა. აი, მოვა შემოვგომი, ქვევით ჩავალთ და თავსაყრელად გვექნება.

— შემოვგომი როდის მოვა?

— მალე მოვა. მივალთ ბურქთან, დეარჩხვით და თქრიალით ნამოვა.

— მეც მინდა! — აბუზღუნდა ბუნჩა.

— ეს რა გასაყოფია, — პირში იტაკა ენაჭამი. კბილები მოუჭირა, მაგრამ ჯერ გამავრებული არა ჰქონდა და ვერ გატეხა.

— ერთი თხილის გული ცხრა ძმას გაუყვია.

თქვენ, ორმა ვერ უნდა გაინანილოთ!

— ეც ანდახაა, — სიტყვა კუჭყუყუნივით. დედამ ენაჭას თხილი გაჭყუჭყუნივით უშაზე გაყო და დაურჩა.

ჩიყვ აათავებს. მაღალ კბოფესთან მდინარეს მიადგნენ. დათვმა ფონი მოათვალერა. თავყინულიან ლოდებთან მდინარე უფრო ადიდებული, ამობოქრებული ჩანდა. ორი ბელით გასვლა სახიფათო იყო. ჩამოყვა ნაპირ-ნაპირ, სადაც ცოტა იშლებოდა, იქაც ღრმა ჩანდა, შესვლა ვერ გაბედა. მივიდა კბოდის ფრიალო კიფესთან და ახლა იქაურობა მოათვალერა. აქედან ფლატზე ბილიკი ადიოდა. შვიძლებოდა ასულიყვენენ ზეგანზე, შვიშოველოთ კბოდის ტინიანი თავისთვის, ჩაშვიშულიყვენენ ხევში, გადაელოთ ზევი და გაღმა ფერდაზე, იელიანის ბოლოში, ბებერი ნიფლის ძირში, თავიანთ ბუნაგში მისულიყვენენ.

ძუმ თავი ასწია და გამალებით დაიწყო ყნოსვა. ზეგანი ქურუხს, ამ ბანცალების მამას ჰქონდა თავის ადგილ-მამულად მოსახლერული და მიჯნა აქ სადმე უნდა ყოფილიყო. ბილიკის მარჯვნივ, ნამახულქიშთან კლდეიდან, მართლაც მისი ზინზლის სუნი იყრა. კლდესთან მივიდა და შეამოწმა ახალი მონიშნული იყო თუ არა. კლდეზე აეტოტა, ნაქცი დაათვალერა. ხოჭბობზე ბაღნები ისევ ზედ ეკიდა, ცხიმიც ბზინავდა, ჯერაც არ გადასვლოდა. სუნი მძაფრი უდიოდა... ყველაფრით ეტობოდა ახლად გაქცევიოდა. აიჭიმა, მაგრამ ვეება ქურუხის თავის ნაქციც ცხვირი ვერ მიანდინა. თავის ნანდაურის გოლიათობა სხვა ფროს აამაყებდა, ეხლა კი გუნება ნაუხდა, ოთხზე დაეშემა, სმენად იქცა, შიშამდგარ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. პატარა ბელებით აქ სიარული სახიფათო იყო. ყოშნაობდა, ვეღარ გადაეწყვიტა: ამ ამობოქრებულ მდინარეში შეებედა, თუ ზეგანზე გადაჰარვა ეცადა? თუ ის პირშივი გადაეყრებოდა — შვილებს დაჭამდა. საგონებელში ჩავარდა. მისი გონება გამალებით საზრავდა ყველა შესაძლო ცოდო-მადლს, რომელ გზას რა მარცხი შეიძლებოდა მოჰყოლიდა და უყნაური იყო, ამ განამანიამი სულ სხვა აბზარი ფიქრი აეკვიცა და ვეღარ მოიშორა — ქურუხი დადაბლებულა, სიბერე შეჰპარვიოა.

ბერი ქოჭმანის შემდეგ ისევ თავის ფრთხილ, ციმციმად სიარულს ენდო.

— სსს! — გააფრთხილა შვილები და ბილიკს ფეხაკრებით აუყვნენ. ბელებს გაფრთხილება აღარ სჭირებოდათ. საფრთხემ მათში ჩამომავლობა გააღვიძა. დედის მკერდს ამოფარებულები ისე მიიციქნაფებოდნენ — ნკირი არ გადაუბრუნებიათ. ძუ დრო და დრო გაჩერდებოდა, ბეჯითად მოიკვლევდა იქაუ-

რობას, რომ დარწმუნდებოდა ახლო-მახლო არავინ იყო ცოტაზე გაიჭურნებოდა და ისევ გაჩერდებოდა.

მზე რომ დაენვერა, ამინდი ისევ აირია. ქვედიდან ნაძენძი ღრუბელი დაეშვა. სადღაც შორიდან ქუხილი ისმოდა — აუფარს აპირებდა. უნდა ექპირა, მაგრამ საფრთხე აფიქრებდა, ზეგანის ასახველთან დიდხანს იდგა გაცერენილი და მოთმინებით ზეურავდა მისადევარს. ზურგქარი იყო, სუნი ნესიურად ვერ დაიყარა. ბოლოს გაბედა, გავიდა ზეგანზე, ნაღვარევეს მიადგა და ზარდაცემული აფიქრებდა გახვედა ღელის ყურთან ფუტუროს გირკის გვერდით ქურუხი ელოდებოდათ. ძუს ტოპ აეშალა. უკან გამოქცევა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა — უფრო დაეძვებოდა. შინი არ უნდა შემჩნოდა. ხვადი დაილურსა და ფეხაქრფით ნამოვიდა. ძუ აიჯაგრა.

— არ მოგვეკარო! — ამოიღრინა და უკან უკან დაინია.

ხვადს არაფერი ესმოდა, ბელებზე გაუცვივდა თვალები. საცაა დაეტაკებოდა.

— არ გაბედო! — ძუმ კბილები გააღვიდა და წინ გადაუღობა.

ხვადი მის მძინვარებას აინუნში არ აგდებდა, მივარდა და ის-ის იყო ბუნჩასთეის პირი უნდა დაეცა — ძუ ყელში ეცა, ხვადი ყალყზე შედგა, ყბაში ტორი დაჰკრა, მოიშორა და ისევ ბაღებისკენ გაინია. ოთხზე დაშვება ვერ მოასწრო, ძუ კანჭზე დასწვდა და ოთხივე ეშვი ჩაუყარა.

ხვადმა დაიღრინა, დასცა ქეჩოში პირი, ტანადან მოგლიჯა, დაიქნია და მიწაზე დაანარცხა.

— დედა! — აბლაღდდენ ბელები.

— დამალეთ! — დუძახა დედამ, წამოხტა და გაალმასებული ქურუხს ყბაში ჩააფრინდა. ბელები ფეხებში შეუჭრნენ, წვივებზე აკრუნენ. ხვადმა საზე აარიდა, დაჰკრა თათი, ფეხქვეშ გაიგდო, ზევიდან დაანვა და ბეჭვა დაუნყო. ბუნჩა ლაჯებშუა ჩაიჭყყა.

— მიშველე, დედა! — საცოდავად აღრიცხა.

დედა გაშმაგდა, ფეხები განზე გადაგა, ცხრა ხარის ღონე მოიდგა, აინია და ხვადი გადააყურავა.

— გაიქციეთ! — დაუყვარა ბელებს, თეითონ ისევ ხვადს მივარდა.

დაფუთებული ბელები აქეთ ეცენ, იქით ეცენ, დასამალე ვერსად შონახეს და აწურნუტებულ, გადაღუნულ რცხილაზე აცოცდნენ. ხვადმა ძუ გვერდზე მოისროლა და ბელებს დაეღვირა. დედა ელვასავით ნამოენთო, ორიოდე ნახტომით დაენია და ბარძაყზე დააცხრა. ხვადი შემოტრიალდა, ზეავივით დაანვა და ჩაბუნბა.

სამეყდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დიდხანს

გაგრძელდა. ერთიმეორეს დაუნდობლად ფლეთდნენ, გლეჯდნენ, ტორაფეჭმე მტრუბლებდნენ, ყირაზე გადადოოდნენ, წამოხტებულენ, ყალყზე შედგებოდნენ და ისევ გაალმასებული დაეტაკებოდნენ. ხვადი ღონით სჭარბობდა, დაჰკრავდა ვეება თათს და ჩაფხუვავდა, დასციმდა პირს, მოიქნედა და შეიფრვა ნახეზე მოადენინებდა ზღართან. ძუ მკეიციხლი იყო და შეუპოვარი. ის მარჯვენდ შეურჩედა თხელბალნიას და ღრმად უჭრიდა მოპოკოვებულ კბილებს. ხვადმა ნახივი ვერ დაახვეინა, მაშინ გაცოფებულმა მაჯის სიმსხო შიმული მოგლიჯა და დაჰკრა, მივარდა ახლა გადაღუნულ რცხილას, ჩაველო თათები და გაარხია — ბელები ჩამოეყარა.

— დედა! — კოვდენ ბელები და რაც შეეძლო ტოტებს ებლაუჭებოდნენ.

დედა ნამოვარდა, მხრის თავზე დაეტვრა და გაუნაბობა. ხვადმა სიმწრით იღრიალა, გვერდზე გაუხტა, დაჰკრა ტორი და შუბლი გაუხეთქა. ძუ შეტორტმანდა, თავრეტა დაესხა, მაგრამ დედის თავგანწირვას საზღვარი არა ჰქონდა, უფრო უტეხად შეუტია. ხვადმა ვეღარ გაუძლო, ნახდა და გაიქცა. ძუ დაეღვირა, ზევაშივე აოტა, ახლა შეილგისკენ გამოენთო, მოქანდა რცხილასთან, პატარები შეათვლიერა, მიაყურავდა, იქაურობა მოათვლიერა — საშინო ხომ აღარაფერი იყო, მერე ჩამოსხა. ხან ერთს მივარდებოდა, ხან მეორეს, ლოკავდა, ეფერებოდა. შიშისაგან გაოგნებული პატარები ძლივს დააშოშინა. თეითონ შინც ვერ დაეცრა. ჩქარ-ჩქარა ასწევდა თავს, ტყუურ ხმებს მოუსმენდა. თაეისი ტყვილები აღარ ახსოვდა, ჰიჰარად გაიყრავდა ენას, ჭრილობიდან მომდინარე სისხლს გაილოკავდა და ისევ შვილებს მიუგურგურებდა. როდის-როდის იჯერა გული. მაშინდა გაახსენდა იქაურობას გარიდებოდა, თორღე, ვინ იცის, იმ მუცელქორს რა მოკვრიანებოდა. გამარჯვებამ გააგულოვნა, მაგრამ ზეგანზე გადავლა მაინც ვერ გაბედა. უკან გამობრუნდნენ. უჭმურად ჩამოათავს ფლატე და კბოდეისთან მდინარეს მიადგნენ.

— სიფრთხილე-მეთქი, ხვადეთ, რა დაგვემართა.

— გტყვი, დედა? — კნაჭა აინია და შუბლზე ჭრილობის ლოკვა დაუნყო.

— კარგი, კარგი, მაგის დრო არ არი, მომეკარი. — დედამ მკერდი დაუშვა. კნაჭა გულზე შეახტა. გრძელი კლანჭები ბანჯულში ჩაუყარა და ოთხივე თათით ჩაეკრა. ბუნჩას ქეჩოში ჩაველო პირი, ერთხელ კიდევ ახედა ზეგანს და ნყალში შეტომა. ფრთხილად, ფეხის დასადგმელის გულდაგულ მოსინჯვით მიღონდილებდა. ცოცმა ნყალმა ჭრილობები და ნაბეჭვი აუნვა.

ტყვილებისაგან კრუნჩხვები დაუნყო. არც

იმას შეუბუცია. მდინარე თანდათან ღრმავდებოდა. ორზე ადგა, აიჭიმა, მაგრამ კნაჭას მაინც ზედა ავლებდა. ეტყობოდა აყლაპა კიდეც ახლურუნდა, აფართხალდა, კლანჭები ხორცებში ჩაარჭო, სავაა გაიგუდებოდა. უკან გაბრუნდა. ფონი დაათვალიერა, ყველგან სავლები ჩანდა. ჩქარობდა. ბუნჩა დასვა, ჩამოდიო — უთხრა კნაჭასაც. კნაჭა ანრუყუნდა, უფრო მაგრად ჩაუჭირა კლანჭები. დედას ლოლიობის დრო არ ჰქონდა, მკერდი დასწია, მოსდო თათი და ჩამოაგდო. კნაჭა აღჩიალდა, ისევ მკერდზე მიახტა. დედამ ბრახიანად მოიგლიჯა და უკანალზე წამოაჩტყა. წინწკვლა დავიწყო. მაღლა, მდებარეებზე რიგინად წვიმდა. ჩქარა აქაც დაასხამდა. მდინარე თანდათან უფრო ადიდდებოდა და გასვლა გაჭირდებოდა.

— მეშინია დედა, ამიყვანე, — ფეხებზე ეტოტებოდა კნაჭა.

— აქ არა ვარ, — დაუწყავა დედამ. — ბუნჩას გაიყვან და ეხლავე მოებრუნდები.

— მე გამიყვანე, გეხვეწები, მე გამიყვანე.

— კარგი, რა ბედენაა, — ჩაბურღლუნა ძუმ და ბუნჩას მიეფერა: — დარჩი, შენც ხომ არ გეშინია, კაცი ხარ.

ბუნჩა აიბუნა. ეტყობოდა დარჩენა არც იმას ებიტნებოდა, მაგრამ უარი ვეღარა თქვა. დედამ კნაჭა პირით აიყვანა და მძიმე-მძიმედ შეაბოტა წყალში. მიდიოდა და ცალი თვალი ბუნჩასკენ ჰქონდა. თათს უქნევდა, ამხნევებდა. ბუნჩა ჯერ წყნარად იდგა, დედას მისჩერებოდა. როგორც კი შუა წყალში შევიდა, ერთბაშად მოსწვდა ადგილიდან და თათების ტყაპ-ტყუპით მდინარეში შევარდა. დედა ელდანაცემი შემობრუნდა და სანამ დინება გაიტაცებდა ბუნჩა თათის კერით თავთხელში გაიყვანა.

— თქვენ ჩემი ლაპარაკი არ გესმით! — დასვა კნაჭაც და ორივეს გვარიანად წაუთაქა. ესე არაფერი გამოვიდოდა. კბოდეც ლიბო მოათვალიერა, გამოღრუხტული მონახა, შესვა შიგ ბუნჩა და ზედა მოზრდილი ქვა მიადგა. ბუნჩა ატირდა, მაგრამ ყური აღარ ათხოვა, აიყვანა პირით კნაჭა, თქაფათქუფით გაიყვანა მკერე ნაპირზე, ტყის პირას დასვა და გამობრუნდა. ის იყო შემოტოპა წყალში, კნაჭა ფეხდაფეხ მოჰყვა.

— არ დამტოვო, დედა, მეშინია! — მოსძახილდა უქნიდან.

დედამ დანყარება სცადა. ბუნჩას იქ ხომ არ დაეტოვებო, ეხლავე გამოიყვან და ერთად წავალთო, მაგრამ ვერაფერი შეასმინა.

— არ ნახვიდე, მეშინია! — ის მაინც ერთსა და იმავეს იმეორებდა.

— ოჰ, როგორ მომაბეზრე თავი! — აუნხო დედა, აიყვანა ხელში, ლოდებშორის ჩა-

სვა, გამოსასვლელები ჩაუჭეტა, მაღლიდანაც ვეება სიმი გადააფარა.

— მეშინია დედა! — გულხტვით მკერე-დას დაწოკებული შვილის ძახილი, მაგრამ მაგის დრო აღარ ჰქონდა. ნაპირს აუყვა. გამალბული მიხაჯბაჯებდა, დინებას უნდა ჩაჰყოლოდა, თორემ ძალა აღარა ჰქონდა. კბოდეც რომ გაუპირისპირდა, შეცბა. გამოღრმავებულს ქვა ისე აღარ ედო. ყალყზე შევდა დააკვირდა, არა, არც ქვა იდო თავის ადგილზე და არც ბუნჩა ჩანდა. მიიხედ-მოიხედა, მდინარეს გაადევნა თვალი, ფლატე, ზეგანი მოათვალიერა — ბუნჩა არსად იყო. ერთბაშად აუზავთდა ძაღლონე. აღახ-მალახ გაჩქევთა მდინარე და დაფეთიანებული კბოდეც თან მიქაქასდა. ბუნჩა მომაკვდავი ეგდო ქვის უკან.

ააა! — თავზარი დაეცა დედას. მივარდა, დაველო პირი, წამოაყენა, მაგრამ ფეხზე ვერ დადგა, მთლად მოღვედილიყო, ოდნავლა ფეთქავდა. დედა მაინც ცდილობდა ფეხზე დაეყენებინა. ასწევდა, გამოსწერებდა, დაადგმვივნება ფეხებს, წამოწევდა თავს, დასუნჯება ცხვირზე, ჩაალებდა პირს — თითქოს სული უნდა ჩაბეროსო, რალაცას ჩაღმყოდა, გალოკავდა, გალოკავდა, ისევ რალაცას ჩასძახებდა, მაგრამ ვერაფერს აგონებდა. შეუგდებდა ქვემოდან ცხვირს, წამოსწევდა, რომ ვერას გახდებოდა, რბილად ჩაალებდა ქეროში პირს, მინას ააცილებდა. თათებით გაუსწორებდა ფეხებს, უწყმუტუნებდა, გამაგრდი, წამოაფეთო — ამხნევებდა, ერთი შემოსხედეო — ეხვეწებოდა, მაგრამ ამოად, ბუნჩას სააქაო პირი აღარ ჰქონდა. ეს რომ იგრძნო — თითქოს მეზი დაეცაო — დარტიანდა, გონება აერია. თავი ასწია, მიიხედ-მოიხედა, თითქოს ვილაცის შევლას ელოდა, თითქოს ვილაცას ევედრებოდა — მიშველეთო. თუმცა ვინ იყო შენვე, გულშემატკივარი არასდროს ჰყოლია. ბუნჩამ უკენასკნელად ჩაისუნთქა, გააცახცახა და გათავდა.

— შვილო! — იღრიალა დედამ და თავში ნაიშინა. ხეობას ქუხილივით გადუარა მისმა გონებამ და ისევ მდინარის თანაბარი შუილი და მფუმარება ჩამოდგა. დათვოც ერთბაშად გაჩუმდა. მკვდარს დააქვერდა. ველზე ორი სისხლიანი ნერტილი აჩნდა. ნაკბილარები ჩანდა. დასუნა, გარშემოც უსუნსულა, უსუნსულა, ნაფეხურებიც დაათვალიერა და იცნო: ეს იმ მზაკვარი, ჩიხვი მგლის ვერაკვრა იყო. შლეგანივით გავარდა ფლატისკენ. აქეთ ეცა, იქით ეცა. ჩაჰყვა ტყის პირს. ხან მინას სუნავდა, ხან ბუჩქებს. დრო და დრო ორზე შედგებოდა, მოათვალ-მოათვალურებდა, მიაყურადებდა, ისევ გაიქვერდა, ორნოხამდე ჩავიდა, ყველა სამალი მოიბრინა — ვერსად მიაგნო, ისევ უკან ამო-

ქაქადა. მივარდა ბუნჩასთან, დასუნა და გულშეშარავად ამოიღმუვლა. თათები მკერდზე შემოიხვია, მოიგრიხა, მოიკუშმა — ეტყობოდა შიგნით რაღაც ენოვდა. მისი ბიჭი გათავებული იყო. ეს თავისი უტყუარი ნადირული აღლოთი პირველი დანახვისთანავე კარგად იგრძნო, მაგრამ არ ვიცო თავისი უბედურება არ უნდოდა დაეჯერებინა, თუ მნარე სინამდვილე მის გონებას სწრაფად ვერ ჩასწვდა — გადარეული ისევ ფეხზე წამოფენებას ცდილობდა, ისევ რაღაცას ჩასძახოდა, გადამაბრუნებდა, გადმოაბრუნებდა, ლოკავდა, ეფერებოდა.

ბოლოს და ბოლოს მიხვდა, ეს ყოველივე ამას იყო. შურისძიების სურვილით თვალეზანთებულმა ისევ მოათვალეირა ნაფხურები. დაკვირვებით დაფსონა და დინჯად გაკყვა კვალს. ნავალი არეულ-დარეული იყო. იმ მუხთალს თითოეული საფარის უკან უამრავჯერ გაველ-გამოველო. აღბათ თავისი მზაკერობა თვითონვე სტანჯავდა და შიშისაგან აწრიალებული ვეღარ ისვენებდა, ხან საიდან ეზურა, ხან საიდან. კვალის გატანა თანდათან გაჭირდა. ბოლოს სულ აირია. ძუს მოთმინება აღარ იყო. აიღო თავი და ისევ უგზო-უკვლოდ დაიწყო ტუნძული. ირბინა, იბოდილა და თავგზა რომ ვერ გაიგნო, ბოლოს და ბოლოს გონება მოიკრიბა. ცხადი იყო, რამე უნდოდა უნდა ეხმარა, თორემ ასე თავალებული დევიტო ვერ მოიხელტებდა. მიმალდა გადანეკრება. მგელი რომ ვეღარსად დიანახავდა, მსხვერპლთან მოვიდოდა. ვითომ უბედურებას შეეგუა, წყნარად გავიდა მდინარეში, ენაქას სამალავს შორიხლო აუარა, ხეხევე აუყუა, მალულად გადაიარა ზევი და კბოლის თავზე აიპარა. იცოცა, იცოცა და გადმოსახებთან დაიშალა. დიდხანს ელოდა, სულგამყნადილი ზევრავდა, მაგრამ ის წვეული არსად გამოჩნდა.

ყორნებს უკვე სუნი ეკრათ. მხრების ყანყალით მოფრინდნენ, სამჯერ მოაველეს წრე საზიზღარი ყრანტალით, შორიხლო დასხდნენ, ტლანქად დააბოტებდნენ რიყზე და თანდათან ბუნჩას უახლოვდებოდნენ.

დათვი გაცოცხლებული ნამოვარდა, ყალბზე დადგა, ახლა ასე მითვალ-მოათვალეირა იქაურობა. სამხილი რომ ვერაფერი ნახა, ვეღარ გაისაძღისა, გაშმაგდა, ტვირი აემღერა, ისევ ნაიშინა თავში, დატრიალდა, სასონარკვეთილმა დაიბლაღლა, თავდაყირა გადმოკეშა, რიჯზე დაუნარცხა და აღარ გატოკებულა.

ყორნები მოშორებით გადაფრინდნენ, ქვეყნა დაყურადდა. ზევიდან გამოვარდნილი მდინარე გოგებდა მხოლოდ. ზევის კედლებს ცრემლი სდიოდა. მზე ქანჩახების თავზე პირს მალავდა. მალე მწუხრი ჩამოფდა. ნიავმა მხარი იცვალა, სუსხი აკრიფა და ხეეხეე და

ეშვა. შეცივებული კვირტები მოიბლუნდნენ, აიბუნდნენ, საძილედ მიუჭდნენ — ბინდებოდა. დათვი ისევ მკვდარად ეგდო. მაგრამ არც ამ უნდმა გასჭრა. მგელი არ გამოჩნდა. ვერ მოხვდა.

— დედა! — საიდანღაც შეძრუნებული კანჭას ხმა ჩაესმა. დაფეთებული ნამოვარდა, გაღმა გაიხედა, თოვლიანი მწვერვალების ათინათით აპრიალებულ ტალღის ქორხრზე შექანებულ ლანდს მოკრა თვალი.

— დედა! — კვლავ გაისმა წყალწყალი ხმა. დედა გადარეული დეშვა. ჯერ წყლის პირისპირ მირბოდა, ბელს რომ გაასწრო ერთბაშად შერქვიფა წყალში და გაცეცხლებული ეცა. დასტაცა პირი, პერში აიტაცა, მერე თათები მოხვია, გულში ჩაიკრა და ნაპირზე გამოიყვანა, ლამზე დაანუნა, დაბუხანა, მოასულეირა და რომ დარწმუნდა ცოცხალიყო, აქვიკეთდა.

— რა გემართებათ, შვილო, რა ნერამ აგიტანათ... დაციდდი... იქ არ მოვიდოდი... — ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოთქვამდა, ყელში რაღაც ებჯინებოდა.

— ბუნჩა, ბუნჩა, სად არი დედი? — ამოინრუკუნა კნაჭამაც.

დედა ამოფერი უპასუხა. გულზე აიკრა და კბოლისკენ ნაიყვანა. იქ, მოფარებით, შამბნარში დაიფო ბინა, კვირაზე მეტ ხანს ლდინში დაანყდა თვალები — ეგებ მგელი გამოჩნდესო, მაგრამ ამაოდ. თითქოს მინამ უყო პირი, მისი ჩქამიც არ გასულა. ამასობაში ბუნჩა და მეტლმა ჩანაწდა ბუნჩა. დამდულულმა დედამ შვილის ნეშის მინა მიაყარა, იყვანა კნაჭა, გავიდა მდინარეში და ნაიყდა. ნაიყდა და მთელი ნელი აღარ გამოჩენილა.

წლის თავზე, გაზაფხულის ერთ მაცდურ, გუნებაცვლად დღეს, დედა-შვილი შარშანდელ, იმ საბედისწერო სავალს გამოკვეფნენ. კნაჭას ტანი აყვარა, დამშვივებულყოფ, ფაცახი შემოსული ნაბლით უბზინაყდა. დედა პირიქით, დაპატარავებულიყო, ბალანი უფრო გაქუტყოდა, ქრილობები მკვეთრად დამჩნეოდა მეტადრე შუბლზე — ხვადის დანატრი. წერილიანი ღარტაფის თავში გაჩერდნენ და იმ ფერდას ჩააყოლეს თვალი, ბუნჩას რომ ქვა დაუგორდა.

— გახსენს, როგორი განბილებული დარჩა? — ნაღვლიანად ჩაიღიმა დედამ.

— ჩემი ბრალი იყო, მე ნამოვადე ფეხი.

— ის ვაკაკი იყო, არ გაგვა, შენ კი იმთავითვე მაიბუნი იყავი. — კნაჭასაც სუჯდინანად ჩაიღიმა. სერის ყელზე აღარ გადაუვლიათ. ღარტაფზე დაეშვნენ, მოკლებზე ჩაიფდნენ მდინარესთან და წყლიდან თავამოყოფილ ლოდებთან დიდხანს იდგნენ მდუმარედ.

მერე კნატა თავთხელთან მივიდა და ბალურად ჩააჭყაპუნა თათი.

— განა მართლა თვალბში შემესხა, მაგრამ მინდოდა გაბრანებოდი...

დედას აბუზღუნებული ბუნჩა ედგა თვალნინ და იღიმებოდა.

— რა საზღზღარი ვიყავი, — განაგრძო კნატამ. — არც მხარი უტყენია, მაშინაც მოვიტყუე.

— ვიცი, განა ვერ ვხვდებოდი, მაგრამ ესეთები დედას მაინც გულზე ეჭოდება.

ისევ ნელ-ნელა, ამოპყენენ რიყეს და ის იყო ეპოდესთან მოვიდნენ დე გულამოხვინჩულმა დედამ ქვითინი დაიწყო. — ელდანაცემი შედგნენ: ქიმიწამხული კლდის უკან ხვადი წამოიშართა. კნატა წყალში შევარდა, გაღმა გავიდა და იელიანისკენ გაქანდა.

— აქაც წინ მდებობები, შე. ლეთის წყულლო — კბილები გააუღვა ძუმ. — ჩვენგან რალა გინდა, გლოვასაც აღარ გვანებებ! ხვადმა თავი ჩაღუნა.

— ეგებ გინდა საფლავიდან ამოიღო, შე მუცელქორო! ჩამომხესენ, გამეცალე სანამ ეგ დასაბრმავებელი თვალეები არ ამომითხრია.

ხვადი კრინტს არ სძრავდა, არც განძრეულა. გამტყუნებული იდგა, გამოხედვასაც ვერ ბედავდა.

ძუ ბუნჩას საფლავთან დაემხო, ყრუდ სლუკუნებდა.

ხვადი ისევ პირუჩუმბრა იდგა.

— ხმა ამოიღე! — შეუტია ძუმ.

ხვადმა ეს პატრებად ინიშნა. ნელ-ნელა მიუახლოვდა და პირისპირ დაუნვა.

— არ მომიპარო! — ამოიბედღვინა ძუმ და აქვითქვითდა.

— მაჩვი მეგონა, — ჩაიბურჭუნა ხვადმა ცოტა დააყოვნა და ვედრებულად წაქნა საიდან უნდა მცნობოდა, ახლოს არ მიკარებ.

— არაფერი გაკლია და წამოზრდილებს ქექილს უქრობ, ბუნაგში დამშეულს თოთოები გენდობა?!

ხვადს თავი აღარ უმართლებია. კარგაბანს იყურა.

— იმ დღიდან იქაურობას არ მოვშორებოვარ, — ჩაიფულღუნა მოგვიანებით — სად აღარ ვეძებე. ვერსად მოვიხელთე, ის ჩმეხი, თორემ...

ძუ დადუმდა. ტირილმა ნელ-ნელა დააცხრო, ხვადის ნათქვამიც როგორღაც ეამა, დრო და დრო სლუკუნებდა გულმოფონებული. მერე თანდათან ნაღველი მოანვა, თავისმა მომავლის ამოებამ ჩააფიქრა, მარტოობის, სიბერის მწარე ხვედრმა. „ისიც დღეს თუ ხვალ თავის გზაზე წავა“, — გაიფიქრა კნატაზე და გული დაეწვა.

— კარგი, ნულარ ტირი.

ხვადმა ახლოს მოინია და თათი თათზე დაადო. — მაპატრე, რაც იყო — იყო, თავიდან დავინყო...

— კმ! — ამოიოხრა ძუმ. თათი არ გაუცლია. ეს უკვე შერიგებას ნიშნავდა. ხვადს ეამა, ტანში რალაც თბილმა დაუარა. კმაყოფილი ერთხანს გვერდზე იყურებოდა, მერე ჩუმ-ჩუმად შეავლო თვალე.

ეგებ არც ღირდა, — გაიფიქრა ბოლოს გუნებაში, — რას დამსგავსებია, შუბლზე ნაჭრილობევი ხომ მითლად ასახიჩრებს. რას ველიჯინებოდი, არ ვიცი, — უსაყვედურა თავის თავს. ქვეშ-ქვეშად უცქირა, უცქირა, მერე კისერი ნელ-ნელა უკმაყოფილოდ მიღრიცა და რალაცას გაუშტრა თვალე.

ამირან კალაძე

• • •

ორი წლის ბავშვს  
სრულიად თავისუფლად შეუძლია  
ნეკა თითოთ გასრისოს  
ბუნების თვალშეუდგამი საოცრება —  
უმწეო ქინკლა...  
„უმწეო ქინკლა“, რომელსაც მერე  
მთელი კაცობრიობის  
საუკუნეებში ნაწრთობი ტვინიც  
ვერ გააცოცხლებს  
და მითუმეტეს

ველარ ააწყობს, ვთქვათ, ხელოვნურად!  
რამდენი შეუძენველი საოცრებაა  
ირგვლივ!  
რამდენი სასწაული ზდება ყოველ წამს!  
რამდენ უნებლიე ცოდვას ჩადის  
ადამიანი  
ყოველცისმარე!  
ადამიანი (ბუნების გვირგვინი),  
თვით ქინკლაზე უმწეო და მიუსაფარი...

• • •

თუ ჩემს სიცოცხლეს იქიდან  
ვიანგარიშებ,  
როცა პატარა ბიჭუკელა  
ბებიჩემის შუბლთეთრა ძროხას  
სამარგლავი ყანის კიდეზე  
ვაბალახებდი —  
რა სწრაფად გაფრენილან წლები!  
რა სწრაფად!  
რა სწრაფად!  
თვალის დახამხამებაში...  
მაგრამ იმ ფიქრებს თუ დავმორჩილდი,

დარდსა და წუხილს,  
ათას ვარამს და კაბანწყვეტას  
რომ მაგონებენ —  
რა დრო გასულა!  
რა დრო გასულა!  
რა დრო გასულა ცოდვილ მიწაზე...  
...  
ორი მოგონება,  
ორი დაღონება,  
ორი პარასკევის სანთლები.

• • •

განა თავი იმით უნდა ინუგეშო,  
ერთ დროს ესენიც  
ვერ აირბენენ ამ კიბეზეო...  
არამედ იმით

შენც კისრისტეხით  
რომ დახტოდი ამ კიბეებზე  
დიდი ხნის წინათ.



საიდან,  
 ღმერთო, ნეტავ საიდან,  
 რა უსასრულო გარინდებიდან  
 ამოფრთხილდა ის სასწაული,  
 რაც სიტყვასიტყვით ასე დალაგდა:

„პაველ  
 პავალიმ  
 პაქოლ  
 პაველ!“  
 („ამაოება  
 ამაოთა  
 და ყოველივე  
 ამაო“)

ვინ იცის, იქნებ  
 ფიქრის სათავე  
 სატრფოს საფლავზე ამოსული  
 ეკალბარდი ან  
 ყვითელ ქარვამში გამომწყვდეული  
 ჭიანჭველაც კი ყოფილიყო!  
 მაგრამ თუ იგი  
 შუაგზაზე შეწყვეტილი ფიქრია ოდენ,  
 ვინ იცის კიდევ  
 რა კენწეროებს  
 წამოედება კაცის გონება...

ერთ მიცვალეზულში მეტი საიდუმლოა,  
 ვიდრე მილიარდ ცოცხალში.

გვილიათ გაყინულ ტბაზე?  
 რალაც იმგვარი  
 გრძნობა მეუფლება  
 ყოფნა-არყოფნაზე ფიქრისას...  
 გაყინულ ტალახზე სიარულისას

კიდევ უფრო მოულოდნელი,  
 კიდევ უფრო უცნაური,  
 კიდევ უფრო მოუხელთებელი  
 ფიქრები შემომეფეთებიან ხოლმე.

გინდ კაცისხელა სანთელი აგინთია,  
 გინდ პაწაწინა,  
 ღმერთისათვის ორივე ერთნაირად  
 წმინდაა.

„ასევეა“ ფიზიკოსებისთვისაც —  
 ორივე სანთლიდან დაძრული სხივი  
 წამში 300000 კმ.  
 სიჩქარით ვრცელდება.



## დავით გუგუშვილი

### ვართ მარადი მოგზაურნი

ვართ მარადი მოგზაურნი,  
სიბნელეში თვალს ვაცეცებთ.  
ხან წინაპრის წაშლილ საფლავს,  
ხან საკუთარ ფესვებს ვეძებთ.

ავბოვირდით, ოთხივ მხარის  
ქარით სული ავიწეწეთ,  
ვართ მარადი მოგზაურნი,  
მომავალში თვალს ვაცეცებთ.

### მოგზავლი განიკითხავს

მომავალი განიკითხავს,  
რაც ითქვა და რაც ვერ ითქვა,  
სადაც გულმა ვერ გაბედა,  
ანდა შეგვიშინდა სიტყვა.

რას ვემდურით შთამომავალს,  
რაც დავთესეთ, იმას იმკის.

მზე სხვაგვარად არ ტრიალებს,  
არც სამყარო ფერებს იცვლის,  
ჩვენ კი სახე დაგვიკარგავს,  
შემღვრეულა სისხლით სისხლი.

დარღვეულა ბროლის კოშკი,  
მკვიდრი მისი იქცა ხასად,  
იყიდება,  
იყიდება,  
იყიდება ჩალის ფასად.

ანდა აზრი, რაც ოდესმე  
განდევნილი კართან იდგა,  
ვაგლახ, იმ წლებს, რაც წაიღო  
სმა-ჰამისთვის თადარიგმა.

ანდა ძილმა უშფოთველმა,  
გვაახლოებს რაც რომ სიკვდილს,

### მოკოვება „დავითიანისა“

ბატონიშვილმა მირიან  
განვლო უგრძესი სავალი,  
რუსთა ხელმწიფეს მიართვა  
უსტარი სიტყვამრავალი:

ეგების გროში გვიბოძოთ,  
ეგების შეგვიწყალოთო.

არც არვინ ყური მიუგდო,  
არც არვინ შეიწყენარა,  
მოხუცმა ვინმე მიართვა  
წიგნი, თან ასე ბრძანა:

— შეველა გვკვირდება, თათარმა  
ქართლი გალენა კალოდო.



ეს წიგნი ჩემგან ნაწერი  
 მოცალეობის ეამსაო,  
 წაიღე მამულს მთართვი,  
 მთელ შენს ელჩობად ფასობს!

...სხვა ქვეყნით ქართლის კლდეზე  
 კაცმა გაბედოს მართაძნე  
 მართლაც რა ჩამოიტანეს  
 „დავითიანის“ ბადალი.

### მცხეთასთან

მცხეთასთან არაგვი შეერთვის მტკვარს,  
 მცხეთასთან ბრძოლებია დიდი:  
 არაგვი: აღელდი, აიყალყე,  
 გაგლიჯე, გაარღვიე, მიდი!  
 მტკვარი: ამაოა შენარცხება,  
 მოცდა და მოთმენა გემართებს,  
 ეს სიბრძნე უსწავლია,  
 ეს სიბრძნე უხმარია  
 გარდასულ ომებში ქართველს!

### როდესმე

მიხეილ კელიძეს

აირევა როსმე მწყობრი,  
 დაწყობილი მკაცრი ნებით,  
 წამებული სიტყვის დევნით  
 და აზრების კასტრირებით.

ზოგი შიშით განგებ დაბრმა  
 და დაყრუვდა ზოგი ტაშით,  
 ვერ აღწყვო ვინაც ფეხი,  
 შემოაყვდათ ამდენ წვერთნაში.

აირევა როსმე მწყობრი,  
 დაიწყება დათვლა ლექსის,  
 მაშინ თქვით და მაშინ ნახეთ  
 ვის რა ჰქონდეს უკეთესი.

დრო მოვა და დაგვაეიწყებს,  
 მონურ ტაშს და მონურ ბუქნას,  
 დიდსულოვნად ნებას დაგვრთავს:  
 — პოეტებო, თავისუფლად!

დრო მოვა და განათდება  
 ცა, გვაბურავს რაც რომ ხუფად,  
 თითქოს თავად ღმერთი იტყვის:  
 — პოეტებო, თავისუფლად!

## ნეტავ იმ მხარეს



საქართველოს  
წიგლმწიფთნება

ნეტავ იმ მხარეს,  
სადაც ცაში აჭრილ ტოროლას  
თავს მოთვალთვალე  
ძერას ჩრდილი არ დასტრიალებს.

ნეტავ იმ მხარეს,  
სადაც ველზე მოსულ გვირილას  
როგორც მეწყერი,  
ჩექმის ქუსლი არ გადაუვლის.

ნეტავ იმ მხარეს,  
სადაც კიდევ ანთია ცეცხლი  
და მოგზაურნი ოცნებობენ  
ხვალინდელ გზებზე.

ნეტავ იმ მხარეს,  
სადაც ნგრევის უმძიმეს ქაოსს  
ვიღაც მოლაყბე  
არ ეძახის „წინსვლას“, „შენებას“.

ნეტავ იმ მხარეს,  
სადაც ხალხი ერთხმად იკითხავს:  
— რა ზღედა ჩვენს თავს,  
რა მოგველის, რა გვეშველება?!

## ქ ი გ ო ლ ო

### მოთხრობა

ხმაურზე მეზობელმა ქალმა საჭერტელში გაიხედა. ხშირად აკვირდებოდა თემურ მნათობიშვილის მუხის კარს. პენსიონერი ელენე მურვანიძე დარწმუნებული იყო, რომ მისი მეზობელი, იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვისაც მუხის კარი, თეთრი ვოლგა და ძვირფასი ავეჯი არ უნდა ჰქონოდა. მოხუცებულმა ელენემ თითქმის ყველაფერი იცოდა რაც მათ სადარბაზოში ხდებოდა, მხოლოდ ის ვერ გაეგო, ფული საიდან ჰქონდა მის სიმპატიურ და ახალგაზრდა მეზობელს. პენსიონერი მურვანიძის თვალს არაფერი ეპარებოდა. მშვენივრად იცოდა, რომ თემო სამსახურში თითქმის არ დადიოდა და საღამოობით მასთან შეგობრები იკრიბებოდნენ. ხშირად, ხალათოსხმული, გაუპარსავი თემო ფავის სათხოვნელად შემოდიოდა ელენესთან. ქალიც დედაშვილურად უღიმოდა და ყაფა გამოჰქონდა. მარტო დარჩენილი პენსიონერი კი იმაზე ფიქრობდა, ვინ იყო მათ სადარბაზოში ახლად გადმოსული მეზობელი. ადრეგაჭაღარაუბულ, ტანმალალ გამზადარ ახალგაზრდას დღეები რამდენჯერმე ქვევადან უძახდნენ, სულ სადღაც ეპატიყებოდნენ, მაგრამ სად? უკანასკნელი წლების მანძილზე ელენეს ხშირად თავისი მუდღეუ ანზორ მურვანიძე აგონდებოდა. განსაკუთრებით მაშინ იხმობდა გარდაცვლილ ქმარს, როცა ეჭვები არ ასვენებდა. „სად შოულობს ფულს?“, ეკითხებოდა ნარმოდგენილი მუდღელის აჩრდილს, რაზეც ანზორ მურვანიძე მხრებს აიჩეჩავდა ხოლმე, თუმცაღა სიცოცხლეში ასე არასოდეს იქცეოდა.

იმ საღამოს, როგორც ყოველთვის თემო

მნათობიშვილმა კარი მოიჯახუნა. რამაც ცოტა არ იყოს გააღიზიანა საეარტელში მოკალათებული, სატელევიზიო გალაცემის საყურებლად მომზადებული ელენე. მოსკოვიდან პენსიონერი ქალის საყვარელი გადაცემა, „აბა თქვენ იცით, ქალიშვილებო“ იწყებოდა. ჩართულ ტელევიზორთან დარჩენილს მოულოდნელად გაუღვია თავში, რომ ყველასგან მიტოვებული, აღარავის ესაჭიროებოდა ამ ქვეყნად. „რისთვის ეცხოვრობდი, რას ველოდი, მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილს?“, გაიფიქრა დაბნეულმა ქალმა და ფეხზეც კი წამოდგა, რადგან გადაცემის ცქერის სურვილმა სულ მთლად გადაუარა. მთელი თვის განმავლობაში ელოდა ხოლმე იმ სატელევიზიო კონკურსს. გულსაც უხარებდა და სევდასაც ჰგვრიდა ახალგაზრდა ქალების მოუქნელობა, როცა საქმე კერძების დამზადებას ეხებოდა. კონკურსში მონაწილე გოგონები არა მხოლოდ საოჯახო საგნების სწორედ მოხმარებაში, არამედ ცეკვასა და სიმღერაშიც ეჯიბრებოდნენ ერთიმეორეს. როცა ტელეკრანზე ცეკვას იწყებდნენ ელენეს თვალები ცრემლით ევსებოდა. ახალგაზრდობაში კარგად ცეკვავდა, ტელევიზია კი ჯერ არ არსებობდა იმ დროს. იმ „დალოცვილ დროს“, ასე იგონებდა ხოლმე ნების წლებს ანზორ მურვანიძე. ცოლ-ქმარი არასოდეს დადიოდნენ რესტორნებში, რადგან ანზორი თვლიდა, რომ რესტორანში მხოლოდ კაცები უნდა შეკრებილიყვნენ. ასე რომ ელენეს არც კი უგრძენია იმ „დალოცვილი დროს“ ეშვი, თუ მცა კომკავშირული კრებების შემდეგ ელენე ყველაზე მოხდენილად უვლიდა წრეებს აკორდეონისტი შალკოს გარშემო, იმ დროს პოპულარულ მელოდიებს მთელი ეშვით ასრულებდა. ელენეს ბადალი არ ჰყავდა ცეკვაში და თავისი კოხტა მიხვრა-მოხვრით,

\* ჭიკოლო — ვისაც რესტორნებში მარტობელა და მოხუცი ქალების გასართობად ქირაობენ.

მრავალი ვაჟის ყურადღებას იპყრობდა. იმ აღფრთოვანებულ ვაკეცებს შორის იყო მილეიის მონაგალი პოლკოვნიკი ანზორ მურვანიძე. მეტისმეტად უყვარდათ ანზორი, ეშინოდათ ალბათ მისი. თვითონ კი ჩუმი, მორიდებული სრულებით არ შეეფერებოდა არც თავის პროფესიას და არც გოლიათურ აღნაგობას... ელენეს სადღაც შორიდან ჩაესმოდა აკორდეონისტი შალკოს ხმა, მნათობიშვილის კარის გრუხუნმა კი უმაღლესი მოწვევა მოგონებებს. ისე გაღიზიანდა, რომ ტელევიზორის გამორთვა დააპირა, თუმცა სულ მალე პოპულარული ტელედიტორის სახე გამოჩნდა და მოცეკვავეთა კონკურსში მონაწილეების სილუეტებმა გაიღვეს. ორიოდე წუთი შეცქეროდა ჩართულ ტელეეკრანს, მერე ხმას დაუნია და ანზორის პატარა კაბინეტში გავიდა. იქ, მუხის სერკეტურში, მათი ახალგაზრდობისადრინდელი ფოტოები ინახებოდა. იშვიათად ათვალიერებდა, რადგან სინანულით მეტს არაფერს იწყევდა მასში. ფოტოქაღაღებზე ასახული ჩვეულებრივი, არაფრთი გამოჩენილი წლები მეტისმეტად ჰგავდნენ ერთმეორეს. გარდაცვლილი ქმრის სანერ მაგადასთან მდგომი მისთვის იმ დღემდე უცნობმა შიშმა მოიცვა. მოულოდნელად, თითქოსდა უმიზეზოდ, ღრუბელივით გადაეფარა მარტოობა მის წარსულსა და აწმყოს...

თემომ მანქანა სადარბაზოთან დააყენა და კბე აქომინებულმა აირბინა. ბინის გასაღების ძებნა ერთი ხელით მოუნია, რადგან მეორეში თავმოუხუფავო, პატარა ბოთლი ეჭირა. ძლიერძლივობით გაღებული კარი მთელი ძალით მოიჯახუნა და შვებით ამოისუნთქა, როცა წყალში გახსნილი ოპიუმით სავსე ბოთლი სამზარეულოში, კარადის თავზე შემოადგა. პოჯაკი გაიხადა, სააბაზანოში შევიდა, ცივი წყალი შეისხურა. გონს მოსულმა თაროდან ვერცხლისფერ სტერილიზატორში შენახული შპრიცი ჩამოიღო, ცხელი წყალი მოუშვა და აქანკალებული ხელებით მის გამოერეცხვას შეუდგა. ხელები დიდიდან უცაბეხებდა, წელი სტკიოდა და „ნითელ ხედიან“, ეგონა, ტკივილისგან გონებას დაკარგავდა. როგორც საერთოდ ბოლო დროს, იმ დღესაც თავისი ფულით იყო ნასული წამლის ჩამოსატანად, ამიტომ წესით არავინ არ უნდა დალოდებოდა მისი მანქანის გამოჩენას, მაგრამ იცოდა მაინც მოადგებოდნენ. სად არ დადიან მისნაირები იმ ერთი შეხედვით უწყინარი ყაყაოს წვეთის გამო, წვეთისა, ყოველი ტკივილისა და სევდისგან განკურნავა რომ ძალუძს. გადაწყვიტა, გაიკეთებდა თუ არა, სადმე გაქცეულიყო ოღონდაც პირგამომშრალ მეგობრებთან ათასჯერ გადაღეჭილ თემებზე არ ელაპარაკა. „სულ ერთსა და იგივეზე!“. ფიქრობდა აბანანში მდგომი,

როცა უცერად ხელები აუცხვავებდა და შპრიცი მის თვალში დაიმსხვრეოდა. მდგომი დასცქეროდა დაღვნილ შენსევე შენსევე ფიქრობდა, რომ კერა დღეს ნილოდ მორიდგე აფთიაქები მოშაობდნენ. იქ კი კარგად იცნობდნენ და არავინ მიყიდა „ინსტრუმენტს“ — ესე ეძახდა შპრიცი. სხვა გზა არ ჰქონდა ეინმესთვის უნდა ეთხოვა, მაგრამ უთუოდ ისეთისათვის, ვისაც მასავით არ აფრტოლებდა ოპიუმის გაგონებაზე. ასეთი ნაცნობები კი აღარ ჰყავდა. „მეზობლები“, გაიფიქრა თემომ და პირველ რიგში რატომღაც პენსიონერი მურგანიძის სახე წარმოიადგინა. „აზრზე ვერ მოვა. ამხანაგი გამოხდა ცუდად, ეგ არის!“, ფიქრობდა შინიდან გასვლისას და მუხობელი ქალის კართან მდგომმა შეძლებისდაგვარად შეუმოთხებელი, შემიწებული სახე მიიღო.

— რა მოხდა შვილო? — იკითხა თემოს გამომეტყველებით დახეულმა ქალმა.

— უნდა მიშველოთ, შპრიცი გვექნებათ ქალბატონო. უცებ მეგობარს გული.

ხომ გესმით?

— შემიძინე შვილი, მოვებნოთ, მგონი.

თემომ მოუთმენლობისგან ფრჩხილებს იკუნებდა, მოხუცი ქალი კი ხან ერთ, ხან მეორე უჯრაში იქექებოდა. კაბინეტში კი შევიდნენ, სადაც სერკეტურის შუაგულში, ელენეს გარდაცვლილი მუდღის, მილიციის პოლკოვნიკის ცელოფანის პაკში გახვეული ქუდი იდო. როგორც იქნა, სადღაც ძველმანებში აღმოაჩინა ქალმა ვერცხლისფერი რკინის კოლოფი და ნერვიულობისგან გაფიფრებული თემოს გაუნოდა.

— გმადლობთ, და-ა-აგობრუნებთ, — დაეხენა თემოს და კარს იქით გაუჩინარდა.

გაზეურასთან მდგომი, მდულარე წყალში გამოსახარმად ჩადებული შპრიცის თუხთუხს ჩაშტერებული იმაზე ფიქრობდა, სად ნასულიყო, როცა ნაშალს გაიკეთებდა. სახლში დარჩენა გამორიცხული იყო. იცოდა მოადგებოდნენ, ეზოდან დაუძახებდნენ და თუ მანქანას დაინახავდნენ კარზე ბრაგუნს აუტეხავდნენ. მოუთმენლად ელოდა შპრიცის გაციებას. სულ ცოტაც და სისხლი შუბლში მოაწვებოდა, გული ფეთქვას მოუხშირებდა. წუთუ მათი კიდვე ვიღაცას უნდა დაშალვოდა? მათ, ვისი ნახვაც ბოლო დროს გული ურევდა. ისინი კი ფუტკრებივით ეხვეოდნენ გარს, ძმობას ეფიცებოდნენ. „ველარ დავემალე“, გაუღვდა თავში თემოს, როცა დეზინფექციის მიზნით, ნემსის წვერს, ცეცხლით მოშწეარი ზამბა ფილტრის ნაცვლად ჩამოაცვა. წამლით სავსე ბოთლიდან ხუთი მილიგრამი ამოიღო და სინათლეზე გახებდა მისყვისფრო-ქარვისფერ სითხეს. „ზუსტად ხუთისა!“, ჩაილაპარაკა თავისთვის, სახელით აი-



კაპინა და ვენაში გაიკეთა. ყურში გაჩრილ, სახელდახლოდ მომზადებულ ამერიკულ სიგარეტს მოჰყავდა და სავარძელში ჩასვენებულში, ღრმად ჩაისუნთხა სიგარეტის მძიმე, ხავარცილი კვამლი. ცეცხლნაქადებულვიით მოეჯო მხურვალეობა მის ტანს, ფეხის გულეებს. აუტანელმა ქავილმა საყუთარი ხორცის მოგლეჯა მოანდობა, ის კი უძლიობდა რაც შეეძლო ღრმად ესუნთქა, სანამ გავარვარებული სიამოვნება მოელ მის სხეულს დაიპყრობდა. რამდენიმე წუთი გაუძირველად იჯდა, მერე ფეხზე წამოდგა, სისხლიანი შპრიცი გამორეცხა და ვერცხლისფერ სტერილიზატორში ჩადებული, ოპიუმით ნახევრად საესე ბოთლიან ერთად კარადაში შედგა.

„უკანასკნელია!“, ფიქრობდა მანქანის საჭესთან მჯდომი და საპარიკმახეროში მიქროდა. როცა წამალს იკეთებდა, როგორც წესი, ქათქათა თეთრ ბერანგს იცავდა და ნაცრობ პარიკმახერთან დადიოდა წვერის გასაპარსად. პარიკმახერს თავისი ხშირი კლიენტებისათვის კარგი ფრანგული ოდეკალონი ჰქონდა შემონახული. პარიკმახერები ერთმანეთში პოლიტიკაზე საუბრობდნენ. სახეგაქაფული თემო კი იმაზე ფიქრობდა, რომ მანქანის ეზოში დაყენება გამორიცხული იყო, რადგან დაუპატიკებელი სტუმრები მანქანის დანახვაზე სადარბაზოში ამოცივდებოდნენ. მანქანას სხვაგან დააყენებდა, თინკოსთან წავიდოდა, ღამესაც იქ გაათეჯდა, თუმცა იქ ვერ მიავსებდნენ? ამასობაში პარიკმახერმა ოდეკალონი შეასხურა და თმა დაეარცხა. „საცოლესთან მიდიხარ თემოჩიკ?“, — შეეკითხა ლიმილით, რაზეც თემომ ხმისამოუღებლად თუმნიანი გაუნოდა და მხარზე ზელი მოუთათუნა. საპარიკმახეროდან გასული, ორიოდ წუთი მანქანის საჭეს ჩაშტერებულნი იჯდა.

ვერასოდეს ამატიებს საყუთარ თავს, რომ იქ წავიდა. წლების შემდეგ წამლის მოქმედებას აბრალებდა პენსიონერ ქალთან თავის სულელურ ეიზიტს...

მანქანა რამდენიმე კვარტლის მოშორებით, ერთ-ერთ ეზოში დააყენა. „ჩემი ტელევიზორი გაფუჭდა, ქალბატონო ელენე, და თუნებსა დაშრთავთ თქვენთან შეხვედრად. შპრიცისათვის უღრმესი მადლობა, ძლივს გამოვსტაცეთ კაცი ხელიდან სიყვდილს!“, იმიორებდა გუნებაში თემო იმ სიტყვებს, რაც პენსიონერი ქალიშათვის უნდა ეთქვა. კიბე ჩქარი ნაბიჯით აიარა და მეზობლის კარზე დარტყა.

— კი ბატონო, მაგრამ მე ხომ შავ-თეთრი ტელევიზორი მაქვს, — უთხრა ქალმა კარში მჯდომ, ნარკოტიკისგან მეტისმეტად აღზნებული, ხრინწიანი ხმით მოლაპარაკე თემოს. მის შემყურე ელენე მურყანიძეს იმ წუთას

ისეთი გრძობა დაეუფლა, თითქოს ზეციდან მოვლენილი, უღამაზესი პრინცი შეესწავინა. — შემოდე, ცოტა დაუღალავად ჩემი ჩემი ძველი ტელევიზორი, სკამს შემოგიტან.

— მართალი გითხრათ „ერეზია“ არ მაინტერესებს. მერეა ის გადაცემა, რომელშიც ამერიკელი და ჩვენი ყურწალისტები ხედეხიან. საინტერესო იქნება ალბათ არა?

— ისე მართალი გითხრა შეილო, პოლიტიკაში ახალგაზრდობისას უფრო ვერკვეოდი. ჩამოერჩი. ჩემი მეუღლე რომ ცოცხალი ყოფილიყო ისიც სიამოვნებით შეხედავდა. გვდაფერი აინტერესებდა საბარლო ანზორს ლექსებსაც კი წერდა... დღეს იმ ტელეგადაცემის ყურება დავაპირე, თუ გაგიგიათ, მოსკოვიდან გამოსცემენ ხოლმე—„აბა თქვენ იცით ქალიშვილებო!“

— კონკურსის მაგვარი არა?

— დიახ კონკურსი. სიამოვნებით ვადეენებდი ყოველთვის თვალს, დღეს კი რატომღაც ვერ შევხედე. ალბათ თქვენც გიგრძენიათ იგივე, როცა რაიმე ძალიან გიყვარს, მაგრამ უცებ, გაუგებარი მიზეზის გამო სულ მთლად გიქრება მასთან შეხების სურვილი.

— ნიგნებზე მომსვლია იგივე. თუ არ მომესმა თქვენ ყოფილ მეუღლესზე ამბობდით ლექსებს წერდით?

— იცით რამდენი ლექსი მაქვს შენახული, ზოგი ზეპირადაც მახსოვს. „ბედნიერი ხარ, ღამანი ჯამანი თუ მოვა სტუმრად...“ რაღაც ამდაგვარი კარგი ლექსია. დამიჯერეთ უცნაური კაცი იყო ანზორი. მილიციელის ფორმა ეცვა, ფორტეპიანოს უყრავდა, ლექსებს წერდა, — შეილო, შეილო! — წამოიძახა შემინებული ხმით ქალმა, როცა თემომ მოულოდნელად თავი ჩაქინდრა და ანთებულ სიგარეტის ნაკერჩხალით პერანგი გაიწვია.

— მაპატიეთ ქალბატონო, ჩავთელიმე, ღამის უძინარი, მორიგეობიდან ვარ, ხომ გესმით?

— მორიგეობიდან? სად მეუბოობ?

— სამედიცინო ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული. მართალია გვიან მომივიდა ჩაბარება. ახლა ორდინატურაში ვარ. ღამით მხირად ვმორიგეობ. რას იხამ ასეთია გვლა ექიმის ხედედი. ტკივილი ხომ ბრმავა, ვერ არჩევს დღესა და ღამეს, კეთილსა და ბოროტს, ქრისტიანს და ურწმუნოს! ასე ამბობდა ცხონებული მამაჩემი, ქირურგი მნათობიშვილი. გსმენიათ ალბათ მის შესახებ.

— ეიცო, რაღა თქმა უნდა როდის გადმოივალა საყოფადი?

— ერთი წელიც არ გასულა, ამ ბინაში უკვე მარტო გადმოვივდი. ეს მიმიყო თეთრი ვოლგალა დაამრჩა შენგან სახსოვრად.

„პროფესორ მნათობიშვილის ვაგი ყოფი-

ლაი", — ფიქრობდა ჩათვლებილ ახალგაზრდას ჩამტკრებული ქალი. დანაშაულის გრძობამ შეიპყრო, რადგან ყოველთვის სცდებოდა თემოს უნაობაში, თუმცა ელენეს დროც არ ეყო კარგად გაეცნო მეზობელი, მათ სახლში, მხოლოდ მამამისის, თბილისში სახელგანთქმული ქირურგის გარდაცვალების შემდეგ რომ გადმოვიდა. თემოს ქათქათა საყვლოს ჩამტკრებულს იმ აზრმა გაუღვდა, რომ ანზორის გარდაცვალების შემდეგ იყო არ მისწონებია. იმ დღეს კი თანახმა იყო სიცოცხლის ბოლომდე ეცქირა მთელმხარე მნათობიშვილისათვის, რომელსაც ფრანგული ოფეკალონის მიწვიდველი სურნელი ასდიოდა.

მის გაღვიძებას ელენე ვერ ბედავდა, რადგან ახალგაზრდას სიტყვებით, ტყვიელი, დღესა და ღამეს ვერ არჩევდა. ფეხისწვერებზე შემდგარი ქმრის კაბინეტადან ბალიშის შემოსატანად გავიდა, მაგრამ როცა ოთახში შემობრუნდა, თემო თვალგახელილი იჯდა და სიგარეტს უკიდებდა.

— ნუ ნუხდებით ქალბატონო ელენე სჯობს გადაცემას შევხედავ და მერე სახლში გადავალ დასაძინებლად. ზეცად უამრავი აუადმიყოფი მყავს — ქალი ბალიშით ხელში ოთახის შუაგულში შეჩერდა.

— ჩაის ან ყავას ხომ არ მიირთმევ შეიძლება?

— ყავას, თუ უკვე ძალიან არ შეგანუხებთ. ოთახში მარტო დარჩენილი თემო კედელზე გაკრულ მილიციულის წარტოსურათს აკვირდებოდა და ის დრო წარმოუდგინა, როცა მილიციის პოლკოვნიკი მურვანიძე მისწარიბებს ჯვარს აცვამდა, თუმცა ვის ეცაღა მამინ ნარკომანებისათვის, მამინ ჯვარს ფეხებზე აცვამდნენ. მოხუცი ელენე წარმოიდგინა, რომელიც სამზარეულოში ყავას უხარშავდა. გაუგებარი მიზეზების გამო, მაგრამ რატომღაც სიმპატიით განიხსტვალა იმ საღამოს მოხუცი ქალის მიმართ. „უსეც როდესმე ღამაში იყო?“, გაუღვდა თავში. „ტელევიზორის მიმტრეულ თემოს კვლავ გაახსენდა, რომ ადრე თუ გვიან მინერ მოაკვობდნენ, იპოვიდნენ. კარგად იცნობდა ნარკომანებს. ისინი ტყვიელით ვერ არჩევდნენ დღესა და ღამეს, კეთილსა და ბოროტსა. ამ ფიქრში გართულს ელენემ ყავა შემოუტანა. ტელევიზორზე კი ამერიკელი ტურნალისტის სახე გამოჩნდა, რომლის დანახვასაც, თითქოს ასე მოუთმინლად ელოდა თემო.

— ხმას ავუწევ დანყო არა? — წარმოსთქვა ბალისთანად ელენემ და ყავით სავსე ყინა მავიდაზე დადგა.

— ამბობენ, ატომური აფეთქების შემდეგ აღარაფერი დარჩებია?

— ვირობები და ტარაკანები, — ჩაილაპარაკა თემომ ხმადაბლა და თავისი მეგობ-

რების გამწვანებული, გაფითრებული, დაავადებული სახეები წარმოუფხვრებულნი ეცნებოდან ნერვული ხმების მიტქმის წყნარ ჭობებდნენ? როცა სიგარეტს მოუკიდა ხმები უკეთ გაარჩია. ეზოში, ორი უგონოდ გამოშთვარი კაცი ერთმანეთს ედავებოდა.

— ტარაკანები და ვირობები, რა საშიშვლებათა, — ჩაილაპარაკა აღელვებულმა ელენემ და თემოს შეაკვივრდა, რომელიც იმ წუთას იესო ქრისტეს გამოსახულებას მიახმავდა. მურვანიძეების ოჯახში არასოდეს სწამდათ ლმერთი. ანზორის გარდაცვალების შემდეგ კი, ქსეროქსზე დაბეჭდილი, ქართული სახარება ჩაუვარდა ხელში ელენეს და კითხვის დროს ხშირად წარმოიდგენდა ხოლმე იმ ნაზარეთელის სახეს, რომელიც „მისა“ ანზორი, სულ ტყუილ-უბრალოდ აცვეს ჯვარს.

— თქვენ განათ ლმერთი? — შეეკითხა მოულოდნელად ტელევიზორს ჩამტკრებულ თემოს და ემზაკურად გაიღიმა.

— მნამს.

— ჩემი მეუღლე პარტიული იყო, ლმერთი არ სწამდა, მაგრამ თავის ლექსებში სულ ლმერთს ევედრება და სთხოვს. იცი თუ ამბობა, ბიბლია უდიდესი ლიტერატურააო, ყველაზე ტრაგიკული რომანია, რომელიც ოდესმე შეუქმნია კაცობრიობასო. ამას მხოლოდ მე მიყვებოდა, რადგან სხვასთან ერთი გადმოტრიალებული სიტყვა მოგესხენება რას ნიშნავდა. ასე დარჩა ჩემი ერთადერთი ქალიშვილი მოუნათლავა. ეგ უღმერთო ბავშვი, — ჩაილაპარაკა ელენე სევდიანად და მთავრის ზედაპირს ხელისგული გადაუსვა. — თავი მოგანყინეთ სისულელეებით. თუ გნებავთ ტელევიზორს აუწუნე ხმას. იქნება ყავა მოგართვათ კიდეუ?

ჩართულ ტელევიზორთან მჯდომმა თემომ კვლავ ჩათვლიმა და ანთებული სიგარეტი ხელიდან გაუვარდა. ნახევრადმძინარე წარმოიდგინა, რომ მის ბინაში ხანძარი გაჩენილიყო და თვალები დააჭყიტა. სავარძელზე დაცემულ სიგარეტს დაწმწრის სუნნი დაეყენებინა. ამომწვარ სავარძელს აღარაფერი ეშველებოდა. თემო სააბაზანოში გავიდა და სახე ცივი წყლით დაიზილა.

ქალბატონი ელენე ამ დროს ყავას ხარშავდა და ექიმების რთულ, დამძლეულ პროფესიას ფიქრობდა. საკუთარ თავს უწყრებოდა, რომ ექვის თვლით უყურებდა მეზობელს, რომელიც თურმე ადამიანთა საკეთილდღეოდ შრომობდა, თანაც საოცრად მიწვიდველი ყმანელი იყო. სააბაზანოდან გამოსული თემოს დანახვაზე ელენემ გაუღიმა და მიაძახა — „მიიღე, უცქირე, თორემ მთავარი გამოგჩება“, რაზეც თემომ ღიმილითვე უპასუხა და ანზორ მურვანიძის კაბინეტის გავლით, სადაც სერკეტორზე მილიციულის



კუდი იყო იმ ოთახში გავიდა შავ-თეთრი ტელევიზორი რომ იჯდა. სახლში გადასვლა მოუნდა, მაგრამ მასპინძლისა მოურთხა, რომ მელე ყავის უმზადებდა და რაც მთავარია ის სატელევიზიო გადაცემა, რომელიც თითქმისდა აინტერესებდა, კვლავ გრძელდებოდა... რატომ დაიშალა? სად დაიშალა? სისულელე არ იყო მანქანის სხვა ეზომე დაყენება. კარგი ერთი საღამო დაეძალებოდა, მაგრამ მერე, სულ მალევე ხომ არ იქნებოდა? რაღაც თავში გადაუტრიალდა? მებობელ პენსიონერთან მოვიდა სტუმრად, რომელსაც თითქმის არ იცნობდა „რისთვის მოვედი?“, — ფიქრობდა თავჩაღუნული, როცა ოთახში ყავის ქიქით ხელში ქაღალტონი ელენე შემოვიდა და თემოს მიუჯდა.

— არ დაგინალა, სულ სხვა მეგონე არც კი ვიცი როგორ გაიხარა. ტელევიზორში რომ გამოჰყავთ უმუშევრები, გაიძვერები, იმათ გამსგავსებდი. რატომ გელიშება.

— ისე, რაღაც მომაგონდა.

— ახლა ფიქრობდი რა რთულია-მეთქი გაბიანი. ისე თუ ასე უკვე ერთი წელია გედავ, მაგრამ დღევანდელი დღე რომ არა, ალბათ ყოველთვის ისეთი დღეებობდი, ხომ გესმის? მაინც ამხელა გამოცდილება მაქვს. ქმარიც მეუბნებოდა, ჩემ მაგივრად შენ უნდა გეშეშავა მილიციაში, ისეთი თვალი გაქვსო. ისიც ხომ არ ვიცოდი პროფესორ მნათობიშვილის ვაჟი თუ იყავი, თორემ როგორ ფიქრობდი ასე.

— როგორ, ქაღალტონი ელენე, — შეეკითხა ლიმილით თემო.

— მეგონა შენც იმ გაიძვერათა რიცხვს მიეკუთვნებოდი, ვინც ჩვენ მთავრობას ფულს სტაცებს და პატიოსანი ხალხის შრომის ხარჯზე მდიდრდება.

— ნუთუ ვგეყარ ასეთს?

— „ეოლგა“ რომ გყავს ახალგაზრდას. მე ხომ არ ვიცოდი, ცხოვრებული მამაშენის სახსოვარი რომ ყოფილა. მერე ისიც მანცეფრებდა გვიან რომ დგებოდი, ყავისა და ასპირინის სათხოვნელად შემოდიოდი, ვიფიქრე სვამს-მეთქო. თანაც იმდენს ლაპარაკობენ ამ ნეგატიურ მოვლენებზე ტელევიზორში, ყოველ კუთხეში მუქთახორა და მკვლელი გელანდება. კიდევ შენი უცოლშვილობა მიბიძგება ამ ფიქრისკენ.

— ნუთუ ცოლიანობა განაპირობებს ადამიანის ავ-კარგს?

— ცოლიან გარენრებს რა მოსთელის, მაგრამ შენ ხომ გჭირდება ადამიანი, რომელიც ქორში და ლხინში გვერდით გეყოლება, მხარში ამოგადგება, შეიღს გაგიიწებს, იცი რა არის შეილი? — წარმოსთქვა ელენემ აღელლებით.

თემო თავჩაღუნული უსმენდა ქალს და თავს „ნათობი“, № 9.

ენი პარტიზანების სიტყვები უტრიალებდა. „საცოლესთან მიდიხარ თებ...“ — თქმის ყველაფერი გადაწყვეტილია უმნიშვნელო რულდებოდა თუ არა გადაცემა, სახლში გადავიდოდა, დარჩენილ წამალს საპირფარეოში გადაღვრიდა და ახალ ცხოვრებას დაიწყებდა. თინიოს შეურიგდებოდა. ცოლად შეირთავდა. მას ხომ სიცივემდე უყვარდა ბავშვები, ცერინი განთიადი გაქვლთილი პერი, ყვავილები, ხატვა, პოეზია, ყოველივე ის რასაც ათი წლის განმავლობაში გაურბოდა ყველაფერი მტისმეტად ჩვეულებრივი, არაფრისმთქმელი, ოდესღაც გამოვიგნული ეჩვენებოდა.

მხოლოდ ბავშვობიდან შემორჩენილი ტექტის გრძობა თუ აჩერებდა ქაღალტონ ელენესთან, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ფიქრში ჩაფლული თემო, ტელევიზორნალისტის ყოველ სიტყვას უდავებდა ყურს და ცდილობდა არაფერი გამორჩენოდა. მოხუცი ქალიც თავის ქიქინით ეთანხმებოდა ევრანიდან მოლაპარაკე ჟურნალისტს, თუმცაღა სულ სხვა ფიქრები ხვედა თავსაქ. ელენე მურვანიძე ზედწერი იყო იმ საღამოს. მასთან სტუმრად ის ზღაპრული პრინცი მოსულიყო, რომლის გამოჩენასაც ბავშვობიდან ელოდა. მაშინაც კი წამიდა მისი არსებობისა, როცა ქმართან ერთად ცხოვრობდა. დარწმუნებული იყო რომ ის როდისმე გამოჩნდებოდა და ასეც მოხდა. თემო მის გვერდით იჯდა. მნათობიშვილი სიგარეტზე სიგარეტზე ეწეოდა და მოთმინებადაკარგული გადაცემის დასასრულს ელოდა. პენსიონერი მურვანიძე კი იმას ნატრობდა, ჟურნალისტების დილოგი უსასრულოდ გაგრძელებულიყო. ხმისამოუღებლად ისხდნენ, განსა ეზოდან მანქანის საყვირის ხმა არ გაისმა, რაზეც თემო უტყვ გამოცოცხლდა და ფეხზე წამოიდა. ეზოდან თავისი სახელი მოესმა. იმ წამს იცნო ხმა და სანამ გადაწყვიტავდა როგორ მოქცეულიყო, მისდაუნებელიად ელენეს მიუტრიალდა ისეთი სახით, თითქოს შეელას სთხოვდა. ქალს გაუკვირდა როცა თემოს თვალებში შიში ამოიკითხა.

— ალბათ მეგობრები გესტუმრენი — მიუგო ნაღვლიანად ქალმა, თემო კი ქანდაკებასავით გაქვავებულიყო ფანჯარასთან და იმ წუთის თავისი სახელი სძულდა. ქვეყიდან კი უძახდნენ, უყვიროდნენ: „თემო, თემო!“

იცოდა არ მოახვენებდნენ. დაძალებას აზრი არ ჰქონდა. ღია კარში მდგომი ქალი ხშირ სტუმრობას სთავაზობდა. იმ აურაცხელი თებზე საუბარს პირდებოდა, ორივეს რომ გაუთქარწყლებდნენ ცუდ გუნებას. ელენე კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, როცა თემო კარს იქით გაუჩინარდა.

ხმამალალი სიტყვები ჯერ ეზოდან მოესმა



მოხუცს. ფანჯარას მიახლოებულმა, თავდახრილი თემო დაინახა, რომელსაც ორი უცნობი მამაკაცი უყვიროდა. ერთ-ერთი მათგანი ხელეხაც კი იშვერდა მისკენ. თვალისდახამხამებაში უყენებურო სიტყვებმა და ხმაშაღალმა შეძახილებმა სადარბაზოში გადმოინაცულა. უკვე ეღუნეს კართან გაისმა თემოს მავეფრებელი, გაუგებარი სიტყვები, მერე პენსიონერ ქალს დარტყმის ხმა და კენესა მოესმა. „სცემენი“, გაუღვდა თავში კარში ამოჭრილ საჭერტელს აკრულ მოხუცს და შეშინებული ტელეფონის ყურმილს სწვდა. მილიციის განყოფილების ის ნომერი აკრიფა, რომელიც ყოფილი მეუღლისგან იცოდა. ანზორისა არ იყოს, მილიციელთა ჯგუფი, დაჩეკადი თუ არა ნაშში გაჩნდებოდა. როცა ყურმილი დაკიდა შეშინებული ქალი კვლავ კარს ეცა, რადგან სადარბაზოდან ყვირილი ისმოდა. შიში დაძლია. კარი გააღო თუ არა დაბნეული თემო შეეფთა: „ველაფერი წესრიგშია, ჩემზე ნაწყენები ყოფილან და არ ხომ შედავთ!“, უთხრა ქალს, რომელსაც შიშისგან მუხლები უცახცახებოდა და ვერც კი მოისახრა ეთქვა, რომ უკვე მილიციაში ჰქონდა დაბრუნდა. გონს მოსვლაც ვერ მოასწრო ის უმაღლესი გაუჩინარდა თემო თავის კარს იქით. „აღბათ შერიგდნენ!“, ფიქრობდა სავარძელში ჩასვენებული მოხუცი ქალი. „მილიცია რომ ტყუილ-უბრალოდ გამოვიძახე?, გაიფიტრა ელენემ, მაგრამ გულმა ისე გასჭვალა, რომ ტელეფონამდე ვერ მიადნია.

მილიციის ოპერატიული ჯგუფი თვალისდახამხამებაში გაჩნდა და ორიოდე წუთში უკვე მნათობიშვილის ბინას ჩხრიკავენენ. ოპიუმში იპოვნეს და გაზექურაზე გამოსახარშავად დადგმული ვერცხლისფერი კოლოფი, რომელშიც პოლიკონიკი მურვანიძის ნაქონი შპრიცი იხარშებოდა.

ელენემ გულის წვეთები მიიღო და მხოლოდ კარის ხმაურის გაგონებაზე შესძლო ძლიერძლივობით ფეხზე წამოდგომა. თემოს კარმა ზუსტად ისე დაიგრუნუნა, როგორც მაშინ, როცა ანერვიულებულმა ვერა და ვერ მოიძია ერთი ხელით ბინის გასაღები. ელენე მურვანიძის კარზე ზარი დარტყეს და ვიღაც ლილიპუტური აღნაგობის, ლოყანითელმა მამიჩმა, ოქროს კბილები გააქრატუნა.

— გამაღობთ! — მიუგო ელენეს ქვეყინციული ინტონაციით.

— გამაღობთ? — გაიკვირვა ქალმა.

— გამაღობთ, რომ დროულად გაუწყეთ! — დაბნეული ელენე ხმისამოუღებლად მიშტერებოდა ლოყანითელ მამიჩს.

— თემო! — მიაძახა ქალმა მილიციელს, რომელმაც თავისი კოტიკა ფეხებით კიბე ჩაიბრინა და სადარბაზოში გამოსულ ელენეს მილიციის მანქანის მოტორის ხრინწიანი ხმა ჩაესმა.

რას ნარმოიდგენდა სანოლთან მდგომი ელენე მურვანიძე, რომ ველარასოდეს ნახავდა თემო მნათობიშვილს. ეგონა, ყოველივე ორდღეში გაირკვეოდა, კვლავ შეხვედებოდა ახალგაზრდა მეზობელს, რომელსაც სასამართლომ რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

წელა იხდიდა თავის ძველ, გამოჩენილ საშა მკერავთან შეკერილ კაბას. ღამის პერანგის ამარა, ფანჯარასთან მდგომს, მთვარის შუქი, დანაოჭებულ სახის კანსა და მკლავებზე ეცემოდა. მოციხფრო პერანგში სარკესთან მდგომს ჯერ მეუღლე მოაგონდა, შემდეგ აკორდონისტი შალიკო, რომელიც კომპაქტური კრებების შემდეგ საცეკვაოდ იხმობდა მორცხვად მდგომ ყმანვილებს და ჩითის კაბიან გოგონებს.

სიყვარულზე ფიქრობდა. იმაზე, რომ ერთხელ მაინც შეხვდა ბავშვობაში ნარმოადგენილ უფლისწულს და იმ ერთმა შეხვედრამ უმაღლესად ქალის ნარსულსა და ანწყოს ღრუბელივით გადაფარებული მარტოობა. ბედნიერი იყო, რომ ნარმოადგენილი უფლისწული მის გვერდით აღმოჩნდა და ერთად იქნებოდნენ იმდენ ხანს, სანამ თვითონ ელენე არ მიუწევებოდა. გარდაცვლილ მეუღლეს გვერდით. მომღიმარი სახით აკვირებოდა უკიდველად, ვარსკვლავებით მოჭედდა ცას... ლოგინში ჩანოლილს უმაღლეს ჩაქვინა. ესიზმრა, რომ ჯერ კიდევ პატარა, მოსწავლისფორმიანი გოგონაა, ზოოპარკის ერთ-ერთ აყროლებულ გაღიაში შეუფუტლს სისხლიანი ხორცის ნაჭერი უჭარავს, რომლითაც საყრობილედან გაქცეული ვეფხვების გაღიაში შემოტყუებას ცდილობს.

## იმედგაცრუებული ადამიანის საუბარი თავის სულთან

ძველი ეგვიპტური პაპირუსი „იმედგაცრუებული ადამიანის საუბარი თავის სულთან“, რომელიც ბერლინის მუზეუმში ინახება, ძველი ეგვიპტური ლიტერატურის პირველი გარდასმავალი პერიოდის ენოკლერი ძეგლია. ეგვიპტური ლიტერატურის არც ერთი ნაწარმოები არ ყოფილა, ანუ ცხოველი ინტერესის საგანი და არც ერთ მათგანს არ გამოუწვევია ისეთ შთაუბრალებთან შეცნობითა ახრთა სხვადასხვაობა, როგორც ამ ტექსტს.

პირველი გარდასმავალი პერიოდის და საშუალო სამეფოს ეგვიპტეში ძალიან დიდი ძეგლები ხდებოდა სოციალურ სფეროში, რასაც ამ პერიოდის შრავალი ავტორი სიძველელთ აღწერს თავის ნაწარმოებებში. რადგანაც ახალმა ცვლილებებმა განაპირობა ის არეულობა, რომელმაც მოიყვანა მათი სამშობლო. ამასთან ერთად, ისინი გამოხატავენ დიდ წიხლს და გვიღატაკავენ გარდაცვლილთა კვლავ დაკნინებით, რომელიც მათ ქვეყანაში გამოფხვბულია ქაოსით და არეულობით იგი გამოწვეული. უძველესი სამარხები ინგრეოდა, ხოლო თვით გარდაცვლილთა კვლავ, რომელიც სამარხისოდ იგი დამკვიდრებელი, შეწავდა. ყველაფერმა ამან გამოიწვია გარდაცვლილთა კვლავ ავცილებლობისადმი გარკვეული სკეპტიციზმი. მაგრამ ეს ართლადაც არ ნიშნავდა იმას, რომ ძველი ეგვიპტელები უგულვებელყოფდნენ ამ უარყოფდნენ იმევენებელ ცხოვრებას.

„იმედგაცრუებული ადამიანის საუბარი თავის სულთან“ — ეს არის რწმენადიარგული კაცის ამბავი, რომელიც საიქიოში ეძებს სასუფთველს. მისი სული „ბა“ არ ეთანხმება ადამიანს, დიდი ხნის განმავლობაში ეტრჩება და ცდილობს დაარწმუნოს იგი, რომ ცხოვრება საამერია, ხოლო სიკვდილის შემდეგ მას არაფერი კარგი არ ელის. დიალოგი დასასრულს ადამიანი წარმოთქვამს ოთხ საიქიარს. იგი აღწერს ცხოვრებას სიკვდილს და სიკვდილის სიკეთეს და საბოლოოდ გადაარწმუნებს თავის ოპონენტს.

**მანანა ნოზაძე**

დიდი უბედურება დამატყდა დღეს თავს, რადგან ჩემი სული მეურჩება. ნუ მიდის სული ჩემი, ო, დარჩეს ჩემთან! განსაცდელის ჟამს ცდილობს დამტოვოს.

აი, მიმხედრდება სული ჩემი, რადგან წინ აღვუდგე მას და ვესწრაფი სიკვდილს, ვიდრე იგი მომეახლება. მივილტვი ცეცხლისაკენ, რათა დავიფერფლო. მომიახლოვდეს სული ჩემი, იყოს ჩემს სიახლოვეს, მსგავსად დამტირებლისა.

ო, სული ჩემო! უაზრობაა დაკავება ცხოვრებისაგან დამძიმებულისა. წამიყვანე სიკვდილთან, ვიდრე თავისი დროით მეწვევა იგი. დამიამე დასაველეთი! გადამბრუნებულა ცხოვრება და ზეებოც კი ეცემიან. გადააბიჯე ცოდვას!

განმსაჯოს ტოტმა,<sup>2</sup> ღმერთების დამაბამებელმა, დამიცვას ზენსა და სემს<sup>3</sup> კედრ-  
თლის განმგემ; ისმენს ჩემს ხმობას რა,<sup>4</sup> წმინდა ეტლის მატყვინებელი უფრო  
მიღება შე ისიღა<sup>5</sup> წმინდა დარბაზებში, რადგან განცდები ჩემი მამძიმებენ  
და ღმერთები განმიჭარვებენ ფიქრებს ჩემსას.

აი, რა მიპასუხა ამაზე ჩემმა სულმა: არა ხარ შენ დიდებული; მაშ რად  
ისწრაფი სამარხისაკენ? რად ისწრაფავ სიცოცხლეს შენსას და წუხარ ისე,  
ვით მფლობელი დიდი განძისა?

შე ვუბასუხე: არ წავალ, ვიდრე სული ჩემი დარჩება დედამიწაზე. თუ  
დაჰყვება ჩემი სული ჩემს გონებას და იქნება თანაზიარი ჩემი ნებისა, იქნება  
ის ბედნიერი. ისიც მიიღწევს დასავლეთის სწორედ იმგვარად, ვითარცა სული  
პირამიდების ბინადარისა, ვისი დამარხვის დროსაც მოყვასნი მისნი ახლავან  
მას მოუცილებლად.

მოვიწყობ შესაფერის განსასვენებელს, რომ შურით აღივსოს შენდა-  
მი სული უქონელია. მოვიწყობ შენ თავშესაფარს და არ შეგცივდება შენ. და  
შეშურდება შენი სხვა სულს, რომელსაც ცხელა, რადგან შეგსვამ მე ნაკადის  
წყალს; შეშურდება შენი სხვა სულს, რომელიც მშვიდია.

თუ შენ გადამაფიქრებინებ სიკვდილს, ვერასდროს მოიბოვებ შენ სიმშ-  
ვიდეს ამის გამო დასავლეთში. მოიდრიკე, სულ ჩემო, მშაო ჩემო და იყავ  
მოყვასი ჩემი, მსხვერპლის გამლები, მდგარი ჩემს აკლამასთან ჩემი განსვე-  
ნების დღეს და იყავ ჩემი სამარხის მომზადებელი.

მომპაყრა სულმა ბაგენი თვისნი და მიპასუხა ჩემს ნათქვამზე: „აბა წარ-  
მოიდგინე დაკრძალვა; ეს უბედურებაა, ეს ცრემლია, ხალხის გულის დაწყ-  
ვეტაა; ეს ადამიანის გაძევებაა მისი ფუძიდან, მისი ამაღლებაა და ვერ გამოხ-  
ვალ გარეთ, მზის სახილველად.

გრანიტის ოსტატები, თავიანთი ნატიფი, მშვენიერი ხელოვნებით პირა-  
მიდის დარბაზის აღმმართველები ღმერთებად რომ იქცნენ, მათი სამსხვერპ-  
ლოები ისევე დაცარიელებულია, როგორც ლატაკებისა, რომლებიც დამბაზე  
გარდაიცვალნენ მარტოდმარტო, ახლობლების გარეშე. მზემ და მდინარემ წა-  
იღო მათი ნაშთები. მათ ეხმებიან მხოლოდ ნაპირის თევზები. მომპაყარ  
ყური! უკეთესია დამიჭერო: მზიარულად გაატარე დღე და დაივიწყე დარდი!“

ადამიანი: მივაპყარ ბაგენი ჩემნი ჩემს სულს და მივუგე მის ნათქვამზე:  
შეხედე, ყარს ჩემი სახელი უფრო მეტად, ვიდრე ფრინველის სკინტა  
როდესაც მზე აცხუნებს.

შეხედე, ყარს ჩემი სახელი უფრო მეტად, ვიდრე დაჰერილი თევზი, თევზ-  
ჭერის ქამს, როცა საცხისაგან ვარვარებს ზეცა.

შეხედე, ყარს ჩემი სახელი ფრინველის სუნით უფრო მეტად, ვიდრე გო-  
რაკი იხვევისა.

შეხედე, ყარს ჩემი სხეული უფრო მეტად, ვიდრე სუნი მებადურისა,  
უფრო მეტად, ვიდრე ჰაობის ნაპირები თევზჭერის შემდეგ.

შეხედე, ყარს ჩემი სახელი უფრო მეტად, ვიდრე ნიანგის სუნი, უფრო მე-  
ტად, ვიდრე ნაპირი, ნიანგებით ავსებული.

შეხედე, ყარს ჩემი სახელი უფრო მეტად, ვიდრე ქალი, რომელზედაც  
ტყუილია ნათქვამი მამაკაცის გამო.

2 სობრანისა და განსწავლულობის ღმერთი.

3 მთვარის ღმერთი.

4 მზის ღმერთი.

5 ეგვიპტური პანთეონის ერთ-ერთი მთავარი ქალღმერთი.



შეხედე, ყარს ჩემი სახელი უფრო მეტად, ვიდრე ქალაქი არსანდობა, რომელსაც დიდი ამბოხი განუზრახავს და რომლის ზურგსაც ხედავდნენ ვის ვუთხრა მე დღეს? ღვიძლ ძმათა გულში ბოროტებას დასდევს ამნივე ერთდღიანი მეგობრების სიყვარული კი რად ღირს?!

ვის ვუთხრა მე დღეს? გულები გაბოროტებულან და ყოველი ადამიანი ქონებას სტაცებს საკუთარ ძმასაც.

ვის ვუთხრა მე დღეს? დაიღუპა სათნოება, ძალმომრეობა გაბატონებულა თითოეულ ადამიანში.

ვის ვუთხრა მე დღეს? ადამიანი სანდომიანი სახის პატრონიც — ბოროტია, და დაეწყებას მიცემია ყველგან სიყვითე.

ვის ვუთხრა მე დღეს? როს ყველანი ბოროტებას თესენ ადამიანის გულში თავისი საქციელით და შემდეგ ყველა იცინის მის მიერ ჩადენილ ბოროტებაზე.

ვის ვუთხრა მე დღეს? ადამიანები ძარცვავენ და იტაცებენ თავის მოყვასთა კუთვნილ ქონებას.

ვის ვუთხრა მე დღეს? ვისაც ენდობი, ის ბოროტისმკმნელი აღმოჩნდება და ძმა, ვისთანაც ერთად ცხოვრობ, მტერი გამხდარა.

ვის ვუთხრა მე დღეს? სიკეთეს მალე ივიწყებენ და მოკეთეს სამაგიეროს არავინ უზღავს.

ვის ვუთხრა მე დღეს? ძმები შეუპყრია ბოროტებას და მტრებად თვლიან ერთმანეთს, მიუხედავად მათი გულების მოწმობისა.

ვის ვუთხრა მე დღეს? სახეები დაფარული აქვთ, ადამიანი საკუთარ სახეს ძმებისგან მალავს.

ვის ვუთხრა მე დღეს? გულები გახევებული აქვთ და უგულოა ადამიანი, რომელზედაც დანდობა უნდათ.

ვის ვუთხრა მე დღეს? აღარ არიან მართალნი ქვეყნად და დედამიწა იმათ დარჩათ, ვინც ამ ქვეყნად უსამართლობას სჩადის.

ვის ვუთხრა მე დღეს? აღარსად არის ერთგული კაცი, და უცხოდ იქცა ამ ქვეყნად ყველა, ვისაც აღრე ვიცნობდი.

ვის ვუთხრა მე დღეს? გულსაცვე კაცი აღარ არსებობს. ჰგონია, ახლავს ვიღაცა გვერდით, მოიხედავს და — ხედავს, ეულად დარჩენილა.

ვის ვუთხრა მე დღეს? დარდით ვარ სავსე და მაკლია ერთგული ადამიანი.

ქვეყანა სრულად მოიცივა ცოდვამ და აღარა აქვს მას დასასრული. სიკვდილი დგას დღეს ჩემს წინაშე, ვით გამოჯანმრთელება, ვით სენისაგან თავის დაღწევა.

სიკვდილი დგას დღეს ჩემს წინაშე, ვით სურნელება საკმეველისა, ვით განსვენება ჩარდახის ქვეშ ქარიან დღეში.

სიკვდილი დგას დღეს ჩემს წინაშე, ვით სურნელება ლოტოსისა, ვით ქლომა თრობის ნაპირთან.

სიკვდილი დგას დღეს ჩემს წინაშე, ვით გრიგალის გადავლება, ვით დბრუნება მოლაშქრისა ლაშქრობის შემდეგ საკუთარ სახლში.

სიკვდილი დგას დღეს ჩემს წინაშე, ვით სურვილი საკუთარი სახლის ხილვისა მას შემდეგ, რაც ადამიანმა მრავალი წელი პატიმრობაში გაატარა.

რადგან ის, ვინც იქაა, ცოცხალი ღმერთის მსგავსია, რომელიც ცოდვილთ უმალ განგმირავს მათგან ქმნილი ცოდვებისათვის.

რადგან ის, ვინც იქაა, ეტლში იმყოფება და აქილდოეჭყარჩეულთა იმ-  
კვეყნიური ტაძრით.

ზინჯლირთქან

რადგან ის, ვინც იქაა, ბრძენია და სიტყვითაც კი არ ეურჩება მას რა  
ლოცვის ქამს.

აი რა მითბრა სულმა ჩემმა: უკუაგდე ჩივილი შენი, ძვირფასო ჩემო.  
ძმარ ჩემო. მოვა დრო და შენც დაიფერფლები, გელირსება შენ საიქიო, შე-  
საფერისად შენი სურვილისა.

მოსიურვებ. მოალწევ შენ დასავლეთს და მაშინ შენს სბეულს მიწას მი-  
ბარებენ. მეც მოვალ შენთან, როს განისვენებ და გვექნება ჩვენ საერთო სა-  
სუფეველი.

გადამწერი: მოალწია ამან დასაწყისიდან დასასრულამდე ისევე, როგორც  
იყო ნაპოვნი.

თარგმნა მანანა ნოზაძე

## და იქმნა პრი

რომანი

\*\*\*

მედიდურად დაადგა ღამის მნათობი იალბუხს, ჯერ ზეცას ახედა, შემოწმა თანამგზავრთა ხომლი და მერე ხევს მოაპყრო თვალი...

ერთი სანთელილა ციმციმებდა მიწაზე. ერთი მლოცველის ხმაღა ისმოდა კაცთა სადგომიდან. მლოცველი ქალი იყო, ადგილის დედა იმ ქვეყნისა, რომელიც აი აქ, ამ მთებში მთავრდებოდა და იწყებოდა.

ყური მიუგდო ღვთაებამ ამ ხმას, ეცნო, გაეხარდა, კვლავ რომ ესმოდა იგი... მთის წვერიდან ქვევითაჲს გადმოინაცვლა, სიღრმეში ჩაწოლილ მღრნარეს დახედა, მღვრიე წყალში ძლივს გაარჩია დიდრონი თეთრი ქვები, ფრთხილად გადაეველო ქვებს და ფონი მოძებნა. ამ მთის გადაღმა სოფელში მიმავალ გზას მიჰყვა, ფერდობზე შეფენილ ქოხებში ჩადგმული შედარებით მოზრდილი ქვის სახლი მოძებნა... მის აივანზე ჩაიხედა და ჩიხვის ტყავებზე მძინარე ჰაბუკს მიაპყრო თვალი. საწოლი ვერ იტევდა მზრების სიფართესს, ხის იატაკზე მძიმედ დაშვებულ მკლავზე მკვეთრად იხაზებოდა ძლიერი კუნთები, მოგრძო სახეს სიმტკიცეს მატებდა მკვეთრად გამოკვეთილი ნიკაპი, თმები გვირგვინივით ადგა

სწორ შუბლზე... სწორედ შუბლზე გაწოლილ ნაოქს დააჩერდა ღვთაება.

მხარი იცვალა ფარნავხმა, თვალი გაახილა, გვერდიდან გახედა მნათობს, გაუღიმა და დაემშვიდობა კიდეც... ახლა ძილს გაუღიმა და მიენდო ისევ. ძილმა შორს ანტიოქიაში წაიყვანა, კიპარძებისა და ზეთისხილის ხეივნის ბოლოს ნაცნობ სასახლესთან დასტოვა... მარმარილოს მოედანზე განლაგებული ქანდაკებები დაიძრნენ მისკენ. მიუახლოვდა აქილევსი, უზარმაზარ ქარქაშში ჩაგებულნი ხმალი გადასცა... ხელი მოავლო ვადას, ამოქაჩა, მაგრამ ძვრა ვერ უყო ხმალს... გაეცინა დევგმირს და გაიგონა კენესაც. ახლა იმას მიხედა, რომ ამირანი აკვენესა მისმა უღონობამ.

— ვაი, შენს დედას შეილო, უხმლოდ რა უნდა ქნა, დაიღუპები.— მოესმა დედის ხმა, გული ეტყინა და გააცხარებით ეკვეთა ვადას... მსწრაფლ ამოაძრო და მოიქნია ძლიერად, შუაზე გაკვეთილიყო ამდენ ხანს ქარქაშში ჩაბუღებული, ხმალს ამოყოლილი ქვეწარმავალი...

ხმალი მიადგო და ის ის იყო კიბეებზე ფეხი უნდა შეედგა, ჩამოიშალა მის წინ სასახლე... გამოეგება დედოფალი დანგრეულ კარებში... აღექსანდრეს ქანდაკებასთან მიიყვანა და საწოლზე მიიმატიყა. ხელი შეაბო სპილოსძვლისფერ სხეულს, მკერდზე მი-

იკრა და ის იყო ნეტარების მომნიჭებელ ბაგეს უნდა დაჰკონებოდა, ჩაიხითხითა ქალმა... დედოფალი კი არა, დედათა ქურუმი ჰყავდა მკლავებში მოწყვდებული...

— ქალი სიცოცხლის შემოქმედია, ამიტომაც შეუზღუდველია მისი ძალა ღმერთების მიერ... გახსოვდეს ეს, ფარნავაზ! — გაიგონა კიდევ დედათა ქურუმის ხმა და გაბრაზდა, მაინც წაჰყავდა რადგან ეგონა, დედოფალთან მიძევანს შაოსანიო...

კვლავ დაიშალა სასახლე მის წინ... გაუყვირდა, ერთხელ აშენებული ორჯერ როგორღა დაინგრაო... კვლავ გამოეგება დედოფალი, ამჯერად ოჭროსფერი მოსასხამი ეხვია მხრებზე... ნანგრევებზე გადააბიჯეს ორივემ და, როცა მკლავები შემოეკლო კისერზე, იგრძნო, როგორ ჩამოვდა ჟუჟუნეთი ირგვლივ... დედოფალი სადღაც გაჭრა, გაუჩინარდა, ბნელს შეერია... სარკმელთან მივიდა და შორს მოციმციმე სანთლის აღს მოჰკრა თვალი... — ლამზირაა, — გაიფიქრა, — ლამზირა მინათებს გზას... ახლა ლამზირასკენ გაიწია და კარებს დაუწყო ძებნა... აღარც კარები და აღარც სარკმელი აღმოაჩინდა ამ კუბოსავით სადგომს... იგრძნო, როგორ მოატყუეს, როგორ გამოეცტეს ამ უცხო სახლში. შეეცოდა მასზე მტირალი დედა, დები, ლამზირა... აღონი, არმაზი და უღონოდ დაეშვა იატაკზე... კარგა ხანს იყო ასე, სულშეძრული და შეშინებული... უცებ სინათლის შუქით აივსო ეს ბნელი სამყოფელი და დაინახა სარკმელი რომ ჰქონია ოთახს... მიუხაზოვდა... მზე მეგობარივით უღიმოდა. სარკმლის მეორე მხრიდან ცუცხლოვან ხელებს უწვდიდა საშველად... მიდგა სარკმელთან და გულდაგულ დაენდო ამ ხელებს. მნათობმა ერთხანს ატარა და მერე რბილად დაუშვა მიწაზე. მიმოიხედა. მცხეთის ციხე დაჰყურებდა მზეს და ფარნავაზს. ამ კიბეებზე აირბინა გახარებულმა და, როცა მის ქონგურებზე წამოიმართა, მნათობმა ფარნავაზის ფეხებთან დაიჩოქა, თაყვა-

ნი სცა ჰაბუკს. დაიხარა, გაუღიმა და ცვარი მოსწმინდა მეგობარს... გოგონათური სახიდან... გახედავდა უმუშებლი და მკერდი გაიგრილა ამ ცვარით... მერე ესმოდა, როგორ ეძახდა მნათობი: ჰე, ჰე, ფარნავაზ! და როგორ მიიწევდა მალა და მალა.

— ფარნავაზ, ადექი შეილო, აღონი გელის რა ხანია! — დედა დასდგომოდა და ალერსით უსვამდა ხელს ჰქვიან შუბლზე.

მზის დისკო კამკამებდა მის პირდაპირ და შეთქმულივით უღიმოდა.

სიზმრის დასასრული უამბო დედას. გაიხარა მელადემ, აკი გითხარი, სპარსეთში წასვლა დიდ სიკეთეს მოგიტანს მეთქი, ეს ზმანებაც სწორედ ამის მათყუებელიაო, — აუბსნა.

მცხეთის ციხეს სპარსეთში რა უნდაო, — გაიცინა ფარნავაზმა და როცა დედის შორსუბლულ შუბლს შეავლო თვალი დაამშვიდა, — კარგი, კარგი, როგორც დაგპირდი, სწორედ ისე მოვიქცევი, წამოვალ სპარსეთს, თანაც საქმეც მაქვს ბაბუაჩემთან, იქნებ იარაღის შესაძენი ფული გვიშოვოს და გვაესხოს, მერე კი, როცა იბერიის სრულუფლებიანი მეფე გავხდები, ერთიორად მივაგებ ნასესხებსო.

აღონმა ლეთაებების მსახურთა დაპირება მოახსენა. — ისინი ფულითაც და სურსათითაც დაგვეხმარებიანო, — დაიძვინკა ახალგაზრდა მეფე. — ასე შემოგიტვალეს: ერთი წლის მანძილზე დაგიპურებთ ჭარს, ოღონდ კი აზონის ბილწი ზელი მოგვაშორე და ქართლისიანთა ლეთაებებზე გვალოცვიერო.

გული დილიდანვე სანადიროდ მიუწევდა. იარაღი აისხა, ცხენი გამოიყვანა, არ დაანება სახლის პატრონს მისი შეკახვა, თვითონ დაადგა უნაგირი ზურგზე და ადგილიდან სწრაფად მოსწვრიდა.

ლამზირა იჭდა წყლის პირას... ცხენიდან გადმოხდა და მოუახლოვდა. ფეხზე წამოუდგა ქალი, თაყვანი სცა, თვალი დახარა.

— აქ ვის ელოდები, ლამზირ, ლენეს ბო არა? — ეკვი ჩაუდგა ხმაში.

— მეფის ნებაა, თუ ვის დაელოდება მისი მსახური! — არ აუწყებია თავი ლამზირას.

— ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ამ ხევში შენთვის თვალის შევლებასაც კი ვერაფერს ვაბედავდა. — უფრო მწარედ გამოუვიდა ნათქვამი, ვიდრე სურდა.

— მუდამ სხვას აწონებდი ჩემს თავს, მეფეო!..

— იმას ვაწონებდი, ვინც მოგწონდა ძლიერ. — არმაზი მოაგონდა და წამოწითლდა. — მოსაწონი იყო... ის რომ ამოგერჩია და არა ლენე...

— არმაზი ამქვეყნიური კაცი არ არის... იგი მიყვარს, როგორც ღვთაების შუქი, თავისი სრულყოფილებისა და სიკეთისთვის... მას მუდამ ჩემს მფარველად და ერთადერთ მეგობრად მივიჩნევ...

— ეს არ უშლის ხელს, რომ იგი გყვარებოდა ისე, როგორც კაციც. — მართლაც ძლიერ სურდა ბედნიერი გაეხება არმაზი, სწორედ იმისთვის ჩამოსცილდა ლამზირას მაშინ, რომ არმაზის შეამჩნია მისი სიყვარული... არმაზი კი ყველა სიკეთის ღირსი იყო და არის, ამას ფარნავაზზე უკეთ ვერც ვერაფერს ვგრძნობს ამ ქვეყანაზე, კიდევ მოახერხა ლამზირას გადავიწყება თითქოს... მართლა თუ მოვახერხებო? — შეეკითხა თავის თავს და იბერიის ცასავით უძირო თვლებს დააცქერდა.

— ნეტავ სულ არ გაჩენილიყავ, ქალავ! — გულწრფელად ინატრა — ან არ დამენახებ გუშინდამ სანთლით ხელში ჩემს სარკმელთან მოდარაჯე, ან კი დღეს არ მეხილა შენი სახე...

— ნუ დამაქორწინებ ლენეზე, ფარნავაზ, შემიბრაღე! — შესთხოვა ქალმა.

— დამაწუნი არაფერი აქვს კუხთა ახალგაზრდა ერისმთავარს. — მეფური იერი დაეტყო ხმას.

— კარგი ვაყავია ლენე, ჩემი დასაწყუნი რა სჭირს, მაგრამ... არ მსურს გათხოვება, არც კუხეთის დედოფლობაზე მიმიდის თვალს... აგერ კილიყეს აშე-

ნებულ სამლოცველოში დავედებ ბიწას, ღვთაებას მივუძღვნო მისი სიყვარული, ის მირჩვენია...

— არმაზის სიყვარულისთვის სწირავ თავს. ასე არ არის? — კვლავ გაისრიალა ეკვმა.

— ამას ვერ გაიგებთ ვერც შენ და ვერც არმაზი, — წარმოთქვა ლამზირამ და მიხვდა, რომ სცდებოდა. სწორედ იგარბო კეთილმა არმაზმა, ფარნავაზი რომ უყვარდა ქალს სამქვეყნო სიყვარულით და არა თვითონ, — იმიტომაც გაეცალა აქაურობას და ათი წელი უმისოდ დამაგდო, — გაიფიქრა, — საკუთარი თავი შეენანა და ცრემლით დაენამა ლამზირა თვალი.

ფარნავაზი გრძნობდა, რომ კიდევ ერთი კითხვა და ამ კითხვის პასუხი ყოველგვარ საზღვარს გადააღაბენებდა და შედგა ისე, როგორც სჩვეოდა ზოლმე.

— ამბობენ, ლამზირაო დურძუკთა ბელადის ასული! — ახლა ლამზირამ არ დაინდო ქაბუკი.

— იქნებ ლამზირაა, არ მიხილავს — იბერიის მეფემ კვლავ დაიჭირა თავისი ადგილი ფარნავაზში. — აი, გავიმარჯვებ და მოვაბრძანებ კიდევ დედოფალს... შენ კი ჩემი სასახლე უნდა დაამშვენო, ისევე, როგორც ხევს ამშვენებდი შენი სილამაზით... სასახლის უპირველეს ქალად უნდა იქცე... ამიტომაც...

— ლენეს ცოლი უნდა გავხდე, ასე არ არის, მეფეო? — აუთოთოლდა ბაგე.

— ჩვენი ცხოვრება და ბედი ჩვენ როდი გვეკუთვნის, ლამზირა. ჩემი ნება რომ იყოს, მივატოვებდი ყველაფერს, დაგტაცებდი ხელს და ქვეყნის ბოლოს წაგიყვანდი, იქ გაცხოვრებდი, სადაც მხოლოდ მე ვიქნებოდი შენი ნაცნობი, სხვა არავინ... ვაგლახ, რომ ვერც მე და ვერც შენ იმას ვერ მოვიმოქმედებთ, რაც გესურს... ერთი კი გახსოვდეს მუდამ: მეფე უპირველესი მონაა ამ ქვეყნად, რადგან უფრო მი-



მე ტვირთათ არც არავინ დაბიჯებს მიწაზე.

უცებ გაეცალა ლამზირას. თავისი ტვირთიც დიდიხანა და ქალსაც აჰკიდა სახილველი... უფრო უკეთესს მოელოდა ამ დღისგან. ამხედრდა და ჰენებით განიჭარვა დარდი...

„მართალია აღონი, აღარ არის მინდერის დედოფალი, პაეროვით მსუბუქი და აღამიანათთვის უცხო სახილველი არსება, მაგრამ არის ღვთაებრივი მშვენიერებით აღსავსე ქალი, რომელშიც მიწიერი აჭარბებს კიდევ ზეციურს... მაგრამ ამით უფრო ნაკლებ სასურველი როდია იგი ჩემთვის“...

მზე შუბისტარს გადასულიყო, როცა ცხენიდან გადმოხდა და შეისვენა. დედის გამოტანებული საგზალი გახსნა, წყაროს წყალი დააყოლა საჭმელს. ნაცნობი ქოხი დალანდა ტყის პირას. — სოლომა, ა. სოლომა, — მიდგა ქვის დაბალ ყორესთან. ქოხიდან ახალგაზრდა კაცი გამოვიდა და, როცა ფარნავაზი იცნო, სირბილით მოიჭრა ხის ქიშკართან.

— ბერა... როგორ გამახარე, აღამიანო. ვფიქრობდი, სად დიკარგა, ნუთუ ჩვენს ტყეში ნადირობა არ მოენატრამეთქი. — გადაეხვია მოსულს, მერე ყურადღებით დააკვირდა, — შეფერთხილხარ, ავად ხომ არ ყოფილხარ, აღამიანო?

— ავად არა. სავაჭროდ ვიყავ წასული. მიტომაც დაგიგვიანე ნახვა.

სოლომამ გაიციინა...

— ვინა თქვა მთიელი კაცის ვაჭრობა? ხუმრობ, აღამიანო?

— საქონელი ჩაერეკეთ ბარში და ვივაჭრეთ ცოტა. იარაღი ვიყიდეთ. აბა, რა გექნა. აზონმა ყველა სამჭედლო რომ დაგვიკეტა, არ გახსოვს?

— რა დრო დაგვიდგა, აღამიანო?! სად გაგონილა მთიელი იარაღს ყიდულობდეს, ან სიმწრით გამოზრდილ საქონელს ყიდდეს... ეს იმის ბრალია, ჩემო ბერა, რომ საკუთარი მეფე არა გვყავს ქართლოსიანებს... ჩვენებურ მეფეს ჩვენს სამქედლოებში ნაწრთობი იარაღი კი არ

შეამინებდა, გაახარებდა... შემრდი ქოხში, პური გავტეხოთ, დავსალოცი დავლოციოთ და მვალ ვინადიროთ ჩვენებურად... ასე არ სჯობს, აღამიანო?

ფარნავაზს გაეღიმა.

— ასე სჯობს, აღამიანო! — უბასუხა და ცხენის აღვირი მიაჩეჩა სოლომას. — შენ ეს ოთხფეხი შემინახე ერთ დღეს, მარტო მსურს ტყეში ხეტილი... თუ რამეს წავაწყდი, იმსაც აქ მოვიტან და მერე დავლოციოთ ერთიმეორე...

— რას ამბობ, აღამიანო! ეგრე როგორ გაგიშვებ. ძლივს დამლაპარაკებელი ვიშოვე და ასე იოლად შეგელიო? არც იფიქრო...

— არა, ვერ შემოვალ! — შორს დაიქირა მოსულმა...

— რა გქნა, შეყვარებული ხომ არა ხარ, აღამიანო? — შეშფოთდა სოლომა.

— შეყვარებული ვარ, აბა რა უბედურებაა, მარტო რომ მწადია ტყეში სიარული... — გაიციინა ფარნავაზმა.

— რას ამბობ, აღამიანო! — შეიცხადა მასპინძელმა. — არ უყვარხარ?

არაო, თავი გაუქნია ფარნავაზმა.

— რას ამბობ, აღამიანო? შენისთანა მონადირე და არ უყვარხარ? რად გინდა ეგეთი ქალი... არ გამოგადგება... მოეშვი... მოდი დავსხდეთ, ერთი ამბავი გიამბო ქალაშავაზე, რომელსაც ერთი კარგი მონადირე არ უყვარდა...

— მოკვდა ის მონადირე? — გაიციინა ფარნავაზმა.

— მომკვდარიყო ჯობდა მისთვის. გამოსცადა, აღამიანო, ის მონადირე, იმ ქალმა. ყველა გამოცდა ჩააბარა: ეს ჯიხვიო, ის ირემიო, ეს კიდევ კურდღელიო... ჰო, ჰო კურდღელიო... ჰოდა, ბოლოს მეტი რა გზა ჰქონდა და გაყვა... მერე, ის მოხდა, რომ იმ ქალმა მონადირეს ცალი თვალი მოსთხოვა, თუ გიყვარავარ, მართქეო... ამოიძრო და აჩუქა... მერე ერთი ხელი... მანაც აჩუქა მარცხენა ხელი და დაიღუპა... ის კაცი, აღამიანო... ესე იცის ქალაშავას



სიყვარულმა... შენ ისეთი მონადირე ხარ, კარგი ქალი გვეუთვნის, ისეთი, ვინც გულით დაგელოდება და ვინც ნაწილირებს მოგამზადებს, სიარულით დალილ ფეხებს დაგიბობს და კარგ ბიჭებსაც გაგიჩენს... ეგეთი შენ უარს როგორ გეტყვის, ადამიანო?

— პოდა, გამიშვი ტყეში, გავივლი, დაფიქრდები და გულიდან ამოვიგდები იმ ქალაშავეს. — გაიცინა ფარნავაზმა...  
საოლომა დაფიქრდა.

— ტყე კი გიშველის... ნამდვილად გიშველის... ჩემს თავზე გამოცადე. ცოლი რომ მომიკვდა, მაშინ ტყემ მიშველა... სწორედ ასე იყო... წადი, წადი, ადამიანო. ტყეზე კარგი მეგობარი ვინ შეიძლება იყოს. წადი, წადი! ამ ცხენს ისე დაგიბობუნებ და დაგაბურებ, რომ ვერც იცნო დაბრუნებულმა...

\*\*\*

ტყე მედიდური იყო. მიჩვეული სმენისთვის ამ მედიდურობას ტანძლიერ ხეთა შორის ჩამოწოლილი თითქოსდა უსიციოცხლო სიჩუმე ჰქმნიდა, ხოლო მცოდნისთვის — ამ მოჩვენებით სიჩუმეში შეფარებული სიციოცხლე. ამიტომ თუა, რომ უეცრად ტყისა ეშინია, რადგან მის წიაღში თავს ეულად და განწირულად გრძნობს შიშით შეპყრობილი, ხოლო მოყვარულისთვის ტყე ისეთი მეგობარია, რომელიც სიმზნევეს მატებს, სიკეთით ავსებს და საკუთარ თავში ჩაახედებს, მუხლს, გულსა და თვალს გამოაცდევინებს, ხასიათს უწირთობს.

ლაღად გადაიარა ვრცელი ტყიანი ვაკე და აღმართს შეუყვია. ქვევითყენ გაქცეული კურდღელი მოულოდნელობისაგან შეკრთა, დაიბნა და ყურებდაცკვეტილი მიაჩერდა ერთ წამს... გაულომა — ნუ გეშინია, პატარავ, შენ არას გერჩიო, — უთხრა და თვალი გააყოლა დამფრთხალს, — ჩემი არა და, ახლა რომ მეღა შემოგვხვდება, იმის მორიდება კი ვმართებო. — დაადევნა ფიქრი ნაცარას და ხარიჩემი შენიშნა მარჯვნიდან მომავალი. შედგა. იარაღი გადამოიღო. ხეს ამოეფარა. ირემიც შეჩერდა

და გაიტრუნა. ყური მიუხვდო, თითქოს შეამოწმა: უცხო ხმა შეიძლება იყოს მართლა გაევიგონეო. ფარნავაზმა იარაღი მოსინჯა, სასროლად საფარადან გამოსვლა იყო საჭირო, ხოლო გამოსულს ირემი უფრო ადრე შეამჩნევდა, ვიდრე შეილდის მოზიდვას და გასროლას მოასწრებდა მონადირე, ასეც არ იყოს, წესადაც არ ჰქონდა ტყურის მიპარვით მოკვლა. ნადირთან შეჭიბრი და ორთაშორის გამარჯვება იზიდავდა. სწორედ მისი ეს თვისება გაუყვინდა და მოეწონა ალბათ კიდევაც აზონს. — თუ ჩიხვმა საფრთხე არ იგრანო, ბრძოლაში არ გამოგჩვეია, ქარაფებზე არ გატარა და შენი დაჯაბენა არ მოინდომა, ისე როგორღა უნდა ესროლო. გულდანდობილი ნადირისთვის სროლა მისი მონადირება კი არა, მკვლელობააო, უთხრა, როცა პირველად გაიყოლა სანადიროდ იბერიის მპყრობელმა და როცა აზონის მზღებლებს ეგონათ, არ აბატებეს ამ უცხო ჭაბუკს პონტოელი, ძახილით რომ დააფრთხო კლდეზე გულდინჯად გადმომდგარი ნადირიო. პონტოელმა კი, როცა ჭაბუკის პასუხი მოისმინა, ეს უთხრა ყველას გასაკვირად: ბედნიერი ყოფილა შენი მტერი, რადგან ქურდულად არ ჩასცემ მახვილს, ამის საშუალებაც რომ გქონდესო.

ხარიჩემი ისევ მიდამოს ათვალერებდა, ხოლო ფარნავაზს პონტოელის მოგონებამ გუნება აუშლვრია. — დედაჩემსა და აღონს რომ დავუთმო და ახლა იბერიას გავეცალო, ქუჯის მარტო მოუწევს აზონის მრავალრიცხოვან ჯართან შებმა, რადგან თუთონ პონტოელი ვერ მოისვენებს, სანამ ქუჯი ვერისში ეგულება. არა, ჩემი წისვლა არ ივარგებს...

... რთ დავამშვიდო დედაჩემი? რა მოვიგონო? შესძლებს კი ის ებრაელი დიდვაჭარი უჩემოდ საჭირო იარაღს შეძენას? ან პონტოელისგან განდგომილი ბერძენი ჯარისკაცების მიტოვება განა შეიძლება? წისვლა კი არა, ბრძოლის დაწყება საჭირო. თანაც ძალიან ჩქარა... თუ ეს ირემი ჩემსკენ წამოვი-

და და ცვერდი ისე ამიარა, რომ ვერ შეშინებდა, დავეთანხმებოდი დედას, წავალ მცირე ხნით სპარსეთში... ხოლო თუ ნადირობა შემაჩნია და გაქცევა მოინდომა, გამოვეუდგები. თუ დავეწიე და მარჯვენა მხრიდან მოვახვედრე ისარი, ბრძოლას დათქმულ დროს დავიწყებ... ხოლო თუ ნადირი ცოცხლად ჩავიგდებ ხელში, შვიდი დღის შემდეგ მცხეთაში ვიქნები ჩემი ჭაჩით.

ირემმა თავი სწორედ ფარნავაზისაკენ მოაბრუნა. ერთხანს ხის მსხვილ ტანს მისჩერებოდა, მერე დინჯად მიბრუნდა და ის იყო უნდა დაშვებულყოფიერ ქვევითკენ, რომ ავაზის კვილი შემოესმა... მხარი იცვალა და კიდევ შეეფეთა თვალებით მონადირეს.

უჩვეულო სანახავი იყო კაცისა და ხარირემის ეს ორთაბრძოლა. თუ ირემის ფეხმარდობაზე მისი სიცოცხლის გადაარჩენა იყო დამოკიდებული, ასევე მნიშვნელოვანი იყო ფარნავაზისთვის ნადირის არა მოკვლა, რასაც ბევრჯერ შესძლებდა უკვე, არამედ ცოცხლად ხელში ჩაგდება. მანძილიც მოიტოვეს უკან და დიდი დროც გახარჯეს... ვერ შეამჩნია ფარნავაზმა, რომ ორი საათის წინ დაწყებულმა წვიმამ თანდათან იმატა, ის იგრძნო მხოლოდ, რომ უძიროები მიწაზე ცურდებოდა, სირბილში ხელს უშლიდა. შეჩერდა, რადგან ფეხზე ვახდა გადაწყვიტა და კიდევ დაინახა, რომ საცოდავად დაეშვა სველ მიწაზე ირემი. — მოკვდა, — გაიფიქრა შემფოთებულმა, — სირბილისგან გული გაუსკდა. — მიუბახოვდა, გულზე ყური მიადო. გაუხარდა. ცოცხალი იყო. მიმოიხედა, წვიმისგან თავშესაფარს ეძებდა. პირდაპირ გორაკი შენიშნა და მისკენ წასვლა გადაწყვიტა. დასწვდა ირემს და გაუკვირდა, რომ გაუქირდა მისი ადგილიდან დაძვრა, ის კი დაავიწყდა უცებ, რომ შუადღის მერე გაუჩერებლად მოსდევდა ამ ფეხმარდ ნადირს. ნადირი დაეცა, მან კი ის შესძლო, რომ უამარცხებელი მეტოქე, თუმცე გაქირვებით, მაინც მიიტანა გორაკამდე. წვიმას შალე ქვეაქუხილი

მოჰყვა. და ახლა უკან დაბრუნებას ახრის არ ჰქონდა, რადგან წვილი მძლავრ მივიდოდა სოლომას ქონთან. ღამის გასათევი უნდა ებოვნა. გორაკს დაუყვა და მარცხნიდან შემოუარა. პირველს მერე, უფრო მოზრდილი გორაკი უერთდებოდა. სწორედ ამ შეერთების ადგილზე შეამჩნია გამოქვაბული, რომლის შესასვლელი დიდი ქვით იყო ამოქოლილი. ადგილიც ეცნო თითქოს, ამ მთების იქით მთვარის უძველესი დიდი ტაძარი ეგულებოდა. კარგა ხანს ეწვალა, სანამ ქვეს გადმოაგდებდა, მერე კი ირემის მოსაყვანად გაბრუნდა. ირემი აღარსად იყო. გაიღმა და გამოქვაბულში შევიდა. ტანსაცმელი გაიხანდა, გაწურა, მიაფინა. კაცი და აბედი ამოიღო. იქვე დაყრილ ხის გადამხმარი ტოტებით ცეცხლის დანთება გადაწყვიტა. შალე მოახერხა. ცეცხლის შუქზე გამოქვაბულიც კარგად დაათვალიერა და მოპირდაპირე კედელთან დაგდებული მოზრდილი მორიც შეამჩნია. მორი ცეცხლთან მიავგორა, ერთი ბოლო ცეცხლში ჩააყოფინა, ხოლო მეორეზე თვითონ ჩამოჯდა. ესამოვნა სითბო. მოულოდნელად დამწვარი ტყავის სუნი ავარდა ჰაერში. გაუკვირდა. ცეცხლს ჩახედა და მიხედა, რომ ცეცხლი სწორედ ცხვრის ტყავზე გაეჩაღებინა, რომელიც ქვებით დაეფარა ვიღაცას. ნაკვერჩხალი გვერდით გადაიტანა, ფიჩხი და მორი კვლავ შეუყეთა, რათა ცეცხლი არ გამქრალიყო, თვითონ კი ნაცეცხლარი გადააქვეა და მიხედა, რომ ტყავის ქვემით მიწა საგულდაგულოდ იყო დატეპნილი. ხანჯლის წვერით დაიწყო მიწის ამოთხრა. მიწის გულიდან ოქროთი და ძვირფასი ქვებით საესე რკინის ყუთი ამოათრია, რომლის ფსკერზე ერთიმეორეზე დაწყობილ ტყავებზე ქართლოსიანთა ენაზე ნაწერი სიტყვები — „სიბრძნის წიგნი, ანუ ვარსკვლავთა ენა“ — ამოიკითხა.

სასწაული იწმა და მადლი შესწირა უმაღლეს ღვთაებას ამ სასწაულის მოვლინებისთვის.

სათუთად აიღო და მუხლებზე დაი-

ლაგა ტყავები. ფრთხილად გაშალა, და-  
აკერდა. უცნაური ნიშნები ახლდნენ  
იბერულ ან-ბანს. ზოგან ხარი იყო მი-  
ხატული, ზოგან მზე, ზოგან მთოვარე,  
ზოგან წყალი... ერთხანს უცქირა, ეცა-  
და სათითაოდ გამოერჩია, ხაზებისა და  
ნიშნების საიდუმლო მოძრაობას ჩასწ-  
ვდომოდა.

წამოდგა, მიმოიხედა. გამოქვაბულის  
შემოსასვლელს ირემი მოსდგომოდა.

— შემოდი, — შემოიპატიე მეგობა-  
რივით, — შენი წყალობაა, ჩემი ხალ-  
ხის დაკარგულ საუნჯეს რომ მივაგენი.

ადგილიდან არ იძვროდა ცხოველი.  
თითქოს იდუმალად უღიმოდა. — ეს  
წიგნი იბერიის უკვდავების გვირგვი-  
ნია, მისი მომავლის მანათობელი, მისი  
ხატი და ცოდნის წყარო... მე, ფარნა-  
ვაზს, მარგუნა განგებამ მისი პოვნა...  
ადონს ტიმოზს ქუჯი ვაჩე! ანათა არ-  
მაზს ვიპოვნე დიდი კოლხის ხელტემ-  
ნილე ხატი... ვიპოვნე!... ვიპოვნე!..

გამოქვაბული გუგუნებდა, მთებს გა-  
დასცემდა მის ძახილს. ირემი წყნარად  
მოსცილდა შემოსასვლელს, გაუჩინარ-  
და:

ფარნავაზმა ცეცხლს შეუკეთა, გამ-  
ლილი ტყავების გვერდით მიწაზე ჩა-  
მოჭდა და გაირინდა.

წვიმის ერთგვაროვან შრიალს დალ-  
ლილი სბეული ძილისკენ მიჰყავდა. ცე-  
ცხლის ენები უცნაურ ჩრდილებს აცო-  
ცხლებდნენ გამოქვაბულის კედლებზე.  
ფარნავაზი მისჩერებოდა ჩრდილთა ამ  
რიალს და ცეცხლის ენებთან ათამაშე-  
ბულ ფიქრთა დამორჩილებას ცდილობ-  
და.

— ენა შენი ხალხისა, ქართლოსის  
ენა, სხივანთელია, ამადლებული სიბრ-  
ძნით და სიძველით.

გამოქვაბულის კედლიდან გადმოსუ-  
ლიყო მოხუცი. ზეცისკენ აპრობილ  
ხელებში სიბრძნის წიგნი ეპურა, უცხო  
სხივად განათებული.

— დიდი კოლხი! — გაიფიქრა ფარ-  
ნავაზმა, — დიდი კოლხი!..

— ამ ენაზე ელაპარაკებოდა ჩვენი  
უძველესი წინაპარი ქართლოსი უმაღ-

ლეს ლვათებს. ლვათებზე, ცხენებზე, ცე-  
ვდავია და მარადოულად მსგავსი უკვდავია  
ხალხი ამ ენაზე მოლაპარაკე. შენ კი ამ  
ხალხის წინამძღოლობა გევალება, ფა-  
რნავაზ!

— მაღლს ვწირავ ლვათებებს ჩემი  
გამორჩევითვის! — გუნებაში ვეპა-  
სუხა, ვერ კი უთხრა, ვერ მოაბრუნა  
ენა.

— გახსოვდეს მარად, რომ ის საუნ-  
ჯე, რომლის მფლობელი განგებამ გაგ-  
ხადა, ერთადერთია და აღწეველი. მას  
არ გაუტოლო არა ზრახვა, არა ფიქრი,  
არა პირადი პატივმოყვარეობა. იგი შე-  
ნი ხალხის ძარღვის ფეთქვა, მისი სინ-  
დისი და მომავალია.

მუხლებზე დაეცა მოხუცის წინ.

— ან-ბანში ჩადებულია შენი ხალხის  
სიბრძნე, საუკუნეთა ქარცეცხლში გა-  
მოტანილი. იგი მის მომავალსაც მია-  
ნიშნებს. ყოველი ქართლოსიანი, ყო-  
ველ დროს ამ ენით ილაპარაკებს და  
ილოცებს. იგი იქნება მისი ლვათებრი-  
ვი დროშა, მისი ერთობის საფუძველი.

— ვფიცავ, სიცოცხლე შევწირო იბე-  
რიის ერთიანობას, მის სიმტკიცეს!

ვფიცავ, ჩემს ხალხთან ერთად ვუფ-  
რთხილდებოდე ქართლოსის ენას, ერის  
ლვათებრივ დროშას!..

ახლა მის ჩურჩულს გადასცემდნენ  
მთები ერთმანეთს.

— საუკუნეები გადაიტანენ ჩვენს  
ღვაწლს, ფარნავაზ, სიზმარივით მოვავო-  
ნდებით ჩვენს მერე მოსულ ქართლო-  
სიანებს. ისე შევერწყმებით და გადა-  
ვალთ ჩვენს აღმზრდელ ხალხში, რომ  
იქნებ გაქრეს კიდევ ყოველი ნიშანი  
ჩვენი არსებობისა. მწარე გამაგონია ეს  
კაცისთვის.

— ვფიცავ, სიხარულით შევერწყა  
ჩემს იბერიას, მის სიზმრად ვიქცე...  
— ხოლო სიზმარი გაცხადდება მხო-  
ლოდ ან-ბანით, ჩემი შექმნილი და შენ-  
გან დამკვიდრებული ან-ბანით. იგია  
ჩვენი გადამრჩენელი. ჩვენი არსებობის  
დამამტკიცებელი; ადონი შესძლებს მა-  
სში დამარხული ყოველი საიდუმლოს  
ამოხსნას და გაცოცხლებას, დაუბრუნ-

დება ხალხს ცოდნა და აღორძინდება იბერია სიკეთით. მეტე კვლავ შევხვდებით ჩვენ ერთმანეთს, ფარნავაზ!

— ვფიცავ, ხატს, შენგან ხელთქმნილს, ქართლოსის ან-ბანს დაეუდგა ძეგლი და აღვასრულო ჩემი ვალი, როგორც კაცმა და როგორც მეფემ...

ვფიცავ! ვფიცავ! ვფიცავ!  
მზის სხივი შემოიჭრა ქვაბულში. წვიმას გადაეღო.

\*\*\*

მცხეთიდან მთიულეთში მაცნე გაგზავნეს: აზონი ქუეჩისთან საბრძოლველად გაემურა, მაგრამ არავინ იცის გზაში რას გადაწყვეტსო...

ფარნავაზმა მცხეთას, ზედახენსა და ზადენციხეს ალყა შემოარტყა და თერთონ უფლისციხეში გადავიდა, სურდა უმოკლესი გზით ევლო და აზონისთვის ჩაესწრო ეგრისის საზღვართან, მაგრამ ბრძოლა სწორედ უფლისციხის სამთავროს საზღვართან მოხდა.

სასახლიდან გაქცეულ აზონს პონტოდან გამოგზავნილი ათიათასი მეომარი სწორედ უფლისციხის საზღვარზე, მდინარის ქალაში შემოხვდა. პონტოელი სწორედ ამ ქართან შესახვედრად მოსწრაფოდა და გაიხარა, როცა მისი სიმრავლე და აღქურვილობა იხილა.

აქვე კარავი დასცა და იბერებთან შეხმა გადაწყვიტა:

გამოცდილი თანამებრძოლები იხმო დაუტყბა, დაპირებებით აავსო და ერთგულება გამოსთხოვა. განსაკუთრებულად მოეფერა მის მხარეზე გადმოსულ იბერებს, აღზევებასა და თავისუფლებას დაპირდა. უხვად გასცა ბერძნული თეთრი და კმაყოფილი შევიდა კარავში, რადგან გამარჯვების რწმენა დაიბრუნა. მოენეებს გულგრილად მოუხმინა, არად ჩაავდო მათ მიერ მოტანილი ამბავი: — ფარნავაზი უკვე მოადგა მდინარის ნაპირს, მთელი იბერია მოჰყვება ხმაღალმართული. ეტყობა შენთან ბრძოლის სურვილმა სახლში მოხუცებიც და ქალებიც არ დააყენაო.

ერთი ციბრძანა: ყველა ხიდი დასწ-

ვით, გზები ჩახერგეთო და თავის ბებერი გამზრდელი იხმო. ერქონესუქი

— ახლა ყოველი ღრმე შეწყვეტა გვერდით მოსვლა, სიბერისგან მოკალულ მხრებზე ხელი გადაუსვა, — მაძიებზე მეტი ამაგი გაგიწევია ჩემთვის ყოველი გამარჯვების და ჭირის თანამოზიარე, მასწავლებელი და გზის გამკვალავი იყავი მუდამ. ბევრჯერ გიხსნივარ განსაცდელისგან. თუ დღეს იბერთა მოგონილმა მეფემ დამამარცხა, ამოდ დამშვარავართ ორივენი. შენი ერთგულების და მოხერხების იმედილა დამრჩა მხოლოდ.

გაჩუმდა, კარვის კარებს მიაპყრო მხერა.

— ერთგული ხალხი აღარა მყავს... თითო-ოროლა დამრჩით და იმულებული ვხდები, თქვენც განსაცდელისკენ გიბიძგოთ.

მუხლები დაუკოცა ბებერმა, ძალივით აუწმმეტუნდა ფეხებთან, ერთგულება და სიყვარული შეჰფიცა. შუალაშე გადასული იყო, როცა აზონის მოხუცი გამზრდელი მისი ასაკისთვის შეუფერებელი სიმარდით შეუდგა გორაკს, რომლის მეორე მხარეს იბერთა ლაშქარს ეძინა.

გველივით შესრიალდა ბანაკში, ფარნავაზის კარავს მიადწია, ჩასჭრა კარვის კალთა და ირმის ტყავებზე მიინარე ვაკაცს დაადგა თავზე. ხანჯალი აღმართა და მთელი ძალით დასცა გულში. როცა სისხლი სახეში შეესხა და მსხვერპლმაც ფართხალი შეწყვიტა, თავად ატეხა ყვირილი: — მოდით ნახეთ, აი, ამ ხანჯლით მოვუღე ბოლო თქვენს ფარნავაზს. ყველამ დაჰყარეთ იარაღი, პატიება სთხოვეთ იბერიის ნამდვილ მბრძანებელს, ჩემს გაზრდილს აზონ პონტოელსო.

სამინელი სანახავი იყო ერთიანად სისხლში მოსვრილი, უბამოქცეული, თვალუბამღვრეული და მთელი ტანით თავის მსხვერპლზე გადაფარებული.

ძლივს ააგლიჯეს მოკლულს.

სისხლში ცურავდა ნებვირობისა და

განცხრომის მოყვარული კახთა ახალ-გაზრდა მთავარი, კახაბერი.

მთიელთა წესზე გაზრდილი ფარნავაზი კი იმ ღამესაც თანამებრძოლთა გვერდით იყო, გამორჩეულ პატივს არ მოიგებდა, მათთან ქამდა და ეძინა. ხოლო კარაიში მოდარაჯეთა მეთაური კახაბერი ჰყავდა დატოვებული.

— აზონის გამზრდელმა მოჰკლა, გველივით შემოგვპარვია... — სიტყვა გაუწყდა ლენეს, ფარნავაზის თვალებს რომ შეხედა.

— მოდარაჯეები ბრძოლის წინა ხაზზე გაისტუმრეთ, ვინძლო საკუთარი სიცოცხლით გამოისყიდონ ამღამინდელი დანაშაული, — მიძიმედ წარმოსთქვა მეფემ, — ხოლო კახაბერის მკვლელი შუბზე ააცვიტ და ისე გამოჰკიდეთ გორაკის წვერზე, რომ მისმა გამომგზავნელმა კარგად დაინახოს.

დაიხარა, კახაბრის გაცეხებულ შუბლს ემთხვია და დასტოვა კარაი.

განთიადისას ღვთაებას ლოცვა აღუვლინა, მსხვერპლი მიართვა და როგორც კი მზე ამოიწვერა, ბრძოლის დაწყება ბრძანა.

ნიღვარივით წამოვიდა მთიელთა ლაშქარი. ფესვებიანად ამოთხრილი ხეები მსწრაფლ გაიდო წყალზე ხიდებად. მდინარეს მოაწყდა პირქუშის მიერ შევიწროებული მტერი.

მცირე ზომის ნავეებით, ისრის წვიმების ქვეშ მოადგნენ ნაპირს აზონის მეწინავეები, ცხენოსანი ლაშქარი მოჰყვებოდა წყლის თქარუნით.

მარჯენიდან ბათენა დაიძრა.

— ფარნავაზისკენ მომყვებით, მოუვლათ იბერებს ფარნავაზი!.. — გაჰყვიროდა აზონის სპასალარი, სავანგებო, გაწვრთნილი ჯარით ფარნავაზის ლაშქარისკენ დაძრული.

ხმალამოწედილი დახედა ფარნავაზი, ელვასავით ეკვეთა და მიწაზე გააგორა სპასალარის თავი. მერე ჯარს დაერია. გრიგალის მოვარდნას ჰგავდა მისი ხმლის ტრიალი. ომის ღმერთივით უშიშარი და ძლიერი ჩანდა იბერთა წინამძღოლი.

თეთრონს დეზი ჰკრა. ეჭვიანობა იყოლა მთელი ლაშქარის ცხენებს.

— აზონი გაქცეულა, მეფეო! — ამოუდგა გვერდით ლენე.

აზონი გაქცეულაო... — მოედო ბრძოლის ველს. მსწრაფლ იბრუნა პირი მტერმა.

მიჰყვა ფარნავაზი. ბრძანა, ხელი არ ეხლოთ აზონის დროშისქვეშ მებრძოლ იბერთათვის, გაქცეულებს კუდში რომ მისჩანჩალებდნენ.

ბათენამ მოსწყვიტა ისინი აზონის მთავარ ჯარს.

შერცხვენილ თანამემამულეთა წინაშე აღიმართა მეფე.

— იბერნო! ისინი — გაიშვირა ხელი გზისკენ, — ჩვენი მიწიდან თავიანთ საშობლოში, თავიანთ სახლებში გარბიან, ხოლო, თქვენ, საკუთარ მიწას და საკუთარ სახლს სად გაექცევით. მეფის შეცვლა ძნელი არაა, მხოლოდ მამული და საშობლოა შეუცვლელი, რადგან დედასავით ერთადერთია იგი კაცისთვის. დარჩით თქვენს მიწაზე და ემსახურეთ იბერიას, ერთგულებით გამოისყიდეთ დანაშაული!..

ბინდი ჩამოწვა ხეობაში.

გამარჯვებულმა იბერებმა ცეცხლი გააჩაღეს, მადლი უძღვნეს ღვთაებებს, უხვად მიართვეს შესაწირი.

\* \* \*

მთაზე მშვიდობით გადასვლაც არ დასცალდა აზონს. სწორედ ლიხის სასახლესთან და ახლადამენებულ ციხესთან შეეგება ეგრისის მთავარი ქუჯი. სასახლის მისადგომებთან გამაგრებულმა ბერძნული ჯარის უფროსმა მოახსენა აზონს, რომ ქუჯის ლაშქარმა გზად მიმავალი ჯარი შუაზე გაწყვიტა, იწროებში შეიტყუა და ამიტომაც ბევრი მეომარი მოგვიკლა, ბევრი ტყვედ ჩაიგდო, ბევრიც დაჭრა და უცხენოდ დატოვაო. ხოლო, რაც შეეხება მხედრების უკან მომავალ ფეხოსან ჯარს, სოანებსა და მგონი კოლხებსაც ამოუწყვეტაო. ფეხოსანი არმიის მეთაური დაჭრილი უნახავთ ჩვენს მხედრებს და სულთამ-

ბრძოლს ის უთქვამს მხოლოდ... რომ... რაც იბერთა მეფემ ფარნავაზმა დაგაცლოთ. იმას ქუჩა აგინაზღაურებთ, წასულია პონტოელის...

აზონის მოქნეულმა ხმაღმა სიტყვა პირზე შეაწყვეტინა ბერძენს.

— ასე გავუსწორდები ყველას, ვინც საბოლოო გამარჯვებაზე არ იფიქრებს და თავის ჯართან ერთად არ დაიღუპება. ხოლო ვინც თავს გამოიჩენს და მასახელებს, სიმდიდრით ავაესებ, ქვეყნის გამგებლებად ვაქცევ და ისე ვაცხოვრებ, რომ შთამომავლობაც უზრუნველი ეყოლოს. ხოლო თუ იბერთან ილაჩრებს, გახსოვლეთ, თვითონ არაფერს გააბატებენ ისინი, რადგან თქვენგან ბევრი სიმწარე და დამცირება ახსოვთ. საკუთარი ტყავის გადასარჩენადაც გმართებთ თავის განწირვა.

ერთი კვირის თავზე აზონის ახალი ციხეც დაეცა და შალემსბროლმა ამბავიც მოუტანა, რომ სამეფოს ცენტრში გამაგრებულ მის ციხეებსაც იგივე დღე დაადგა. პირქუშის, ბათენასა და ღერძელთა ლაშქრებმა დალუწეს, მეციხოვნეები ამოხოცეს და სიმაგრეებში იბერთა ჯარი ჩააყენეს.

აზონი თავს დროებით დამარცხებულად სთვლიდა და აბიტომაც გადაარჩენილი ჯარით კლარჯეთისკენ აიღო გეზი. ერთი კვირის მერე კლარჯეთის ციხეში გამაგრდა და ფარნავაზთან შესაბამეულად დიდი მზადება დაიწყო.

\* \* \*

როცა აღონმა გამარჯვებული ფარნავაზი მკერდში ჩაიკრა და საქვეყნოდ თაყვანი სცა, იბერიის მეფემ გამზრდელის სახეზე სევდის ჩრდილი შენიშნა.

დაღლილობა მოიმიზეზა აღონმა. პირველად დაუმალა სიმატლზე თავის გაზრდილს. არ გაუფერმკრთალა გამარჯვების სიხარული.

ქუჩი მოუხვდა და მეფის მაგიერ უბასუბა აღონს: — ბრძნულად გადაწყვიტა იბერიის მეფემ, სწორედ მოულოდნელი, ორმხრივი თავდასხმა იყო გამარჯვების საწინდარი. დათქმულ დრო-

მდე აზონი აშთანის უკუიწვევით ყობდა და სხვა გზით წაგაქრონა. ელინებსაც დაიხმარებდა და თვითონ შემოგვიტევდა. მაშინ უფრო მეტი ჯარიც გაგვიწყდებოდა და ბრძოლაც დიდხანს გაგრძელდებოდა.

— აშთანი უკვე მოაკვლევინა აზონმა. — მიიმედ წარმოთქვა აღონმა. — მითრიდატესგანაც მიიღო ჯარი და ელინთა ახალ ლაშქარსაც ელოდება.

— ანტიოქიის დიდი მეფე სელევკი პირველ გამარჯვებას ულოცავს ფარნავაზს და, აზონის საბოლოო განდევნისთვის, მის ქვეშევრდომ სომხებს უბრძანებს, ფარნავაზის დროშის ქვეშ იმონ პონტოელის წინააღმდეგ.

— კარგი ამბის მთხრობელს, კუხთა ერისმთავარს, ლენეს, უფლებას ვაძლევ მთხოვოს რაც სურს! — გაუღიმა ფარნავაზმა მეგობარს და ძლიერ შეიკავა თავი, რომ ჩვეულებისამებრ არ გადახვეოდა.

ლენემ მიმოიხედა და აღონზე შეაჩერა მზერა. აღონმა რაღაც ანიშნა.

— მეშინია, თავხედობაში არ ჩამომართვას მეფემ ჩემი სურვილი. რადგან აზონთან ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა... ლაშხრას ვთხოვ საცოლედ...

თავი დაუქნია ფარნავაზმა, აღონს შეხვდა და ბრძანა: — ერთად გადავიხდით ჭორწილს მე და ჩემი სპასალარი! სპასალის ირგვლივ — მოედანზე, ეზოში, ციხის ფერდობებზე, ქუჩებში, ყველგან, სადაც კი მოხერხდა, სუფრა გაიშალა. საყოველთაო მზიარულება და ბედნიერება დაეუფლა მცხეთის მიწას.

თავის ნორჩი საცოლუ ანუ სამარას მიერ ცაროსთვის ამენებული შენობისკენ წაიყვანა ფარნავაზმა. ცხენიდან გადამოხდა, პეპელასავით მსუბუქი ქალი ფრთხილად დაუშვა მიწაზე და კარებთან მიდგა. წესი არ იყო მეფეს ფეხი შეედგა დედოფლის მოსართავ პალატში. ორმა ქალწულმა ფართოდ გააღო კარი და ფარნავაზმა მათკენ მომავალი ლაშხრა დაინახა.

იბერიის ცასავით ლურჯი კაბა ეცვა კუხეთის ქალბატონს. ვერცხლის წვრი-

ლი რგოლი იმაგრებდა წელამდე დაცემულ მოუღვარე თმას... სევდა გაწოლილიყო მის მშვენიერ თვალებში.

— ვაიბე, — შეკრთა ანუ უცებ, ფარნავაზისკენ მობრუნდა...

ფარნავაზი ცისფერ ქალს მისჩერებოდა.

ფრთხილად შეეხო ანუ ხელზე, მოხედა ფარნავაზმა.

— რა ლამაზია?! ისეთი ლამაზია, რომ მეშინია!

— კეთილიცაა, ნუ გეშინია! — დაუხუცავა ისე, როგორც ბავშვს დაუხუცავენ ბოლმე.

— თქვენი ღვთაებაა? — კვლავ შეეკრთა ანუ...

— კი ანუ, ჩვენი ღვთაებაა, შინდერის დედოფალს ეძახიან *მარკინესული*. გაეხარდა პატარა დედას *მარკინესული* ვენი დედოფლები ვართო. სიხარულით გაეშურა ლამზირასაკენ, რომელსაც იგი იბერიის ტახტზე ასასველელად უნდა მოერთო.

შეეცოდა ფარნავაზს პატარა დედოფალი და უფრო უმეტეს საეუთარი თავი...

\* \* \*

იმ დღეს მცხეთის ძველთაძველ სასახლეში დაიდგა სამეფო ტახტი ოცდაშვიდი წლის ფარნავაზმა, იბერთა სკუტიერმა მეფემ.

## წიგნი მესამე

### ალმასვლა

ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შერე, ისევე სწრაფად დაიშალა მის მიერ შეკოწიწებული იმპერია, როგორც შეიქმნა.

გამეფებულმა სარდლებმა თავიანთ წილხვედრ სახელმწიფოებს ვერ უწინამძღვრეს და მალე ზოგი შინაომებს შეეწირა, ზოგი დაპყრობილი ხალხების აჯანყებას, ზოგიც ბოლმამ გადაიყოლა, რასაც ძველი მეგობრის, აწ კი მოწინააღმდეგის, დროებითი გაძლიერება იწვევდა.

ბერძენთა ინტერესებიც გაიყო. კვლავ წაეკიდნენ ერთმანეთს პირველობისათვის ლაკედემონია, ათენი და მაკედონია. სამყაროს სხვადასხვა კუთხეში დარჩენილ ბერძენ მებრძოლს მხოლოდ ძველი დიდებალა ასულდგუმლებდა და არც ახალ ადგილზე გრძნობდა თავს მკვიდრად.

დაპყრობილმა ხალხებმაც მალე იგრძნეს, მაკედონელის თანამებრძოლებს, მათ ახლანდელ მეფეებს, დიდი წინამძღოლის ფხა რომ არ გააჩნდათ და მონობიდან თავის დახსნა მოინდომეს.

ასე რომ, ალექსანდრეს სიკვდილიდან

ოთხი ათეული წლის შერეც, ჯერ კიდევ გადასანაწილებელი იყო მიწები და ქვეყნები, ჯერ კიდევ არ დაწყნარებულიყვნენ იმპერიის გაყოფით უკმაყოფილო სარდლები, ჯერ კიდევ ვერ შეგუებოდა სხვაგან დარჩენილი ბერძენი ჯარისკაცი ახალ სამშობლოს, ხოლო დაპყრობილთ ჯერ კიდევ არ დავიწყებოდათ მისი სისასტიკე.

ამიტომაც ომები და აჯანყებები ჯაჭვის თვლებივით გადაება ერთმანეთს. აჯანყებულებმა ბერძენთა მოყვანილი ლმერთები შეიძულეს და თავიანთი შეგინებული ღვთაებები აღადგინეს. ასეთი აჯანყებები და ბრძოლები მოედო ანტიოქიას, წინა აზიას, ეგვიპტეს, თვით საბერძნეთს.

იბერია კი ამ დროს ასწლევლების პრილობებს იშუშებდა და ძლიერდებოდა.

ქართლოსიანთა წინამძღოლი ქვეყნის ერთიანობას მეზობლებთან კეთილი დამოკიდებულებით სჭედდა და მხოლოდ მშვიდობას ესწრაფვოდა.

ქვეყანაც ერთგულად მიჰყვებოდა მეფეს, რადგან იგი განახლების გზაზე



ღვთაებათა მოვლენილ მხსნელად მიაჩნდა.

იბერიის მეფე ფარნავაზმა პირველ სამეფო თათბირზე იბერია ქვეყანაში მცხოვრები ყველა ხალხის სამშობლოდ გამოაცხადა და კეთილი თანაცხოვრებისკენ მოუწოდა მათ. მეზობელი კავკასიანნი, დურძქენი და ალანნი დაიმოყვრა და აზონის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოცდილი თანამებრძოლები აღაზრდა. კუხთა ახალგაზრდა ერისმთავარს, ლენეს, მთავარსარდლობა უბოძა, ეგრისის მთავარს ქვეყნის გაერთიანებაში დაეხმარა, დაახლოებული და ნაამაგარი უფრო დაიახლოვა, შეიტკბო და თავისი უმცროსი და, ანო, ცოლად შერთო.

ქუჩი ექვსი თვე ეომებოდა თავის უკუღმართ დედას, რომელსაც ფარნავაზის პირველი გამარჯვების მერე აზონის იბერიაში დაბრუნების იმედი ჯერ კიდევ არ გადაეწურა, ამიტომ კლარჯეთში მსტოვარს მსტოვარზე აგზავნიდა დახმარების სათხოვნელად, ხოლო, როცა დარწმუნდა, აზონს თავისი თავი გასჭირვებია და ეგრისისთვის არა სცხელაო, მთელი სავგარეულო ქონება გაიტაცა და ერთგულ მსახურებთან ერთად გაიპარა.

ამბობდნენ, თავდაპირველად დიოსკურიამი დასახლდა, მის ჭრელ და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მკვიდრთა შორის ჰპოვა თავშესაფარი, ხოლო მერე ბოსფორში გადავიდა, ზღვის სანაპიროზე სახლი ააგო და დიოსკურიიდან წაყვანილ ახალგაზრდა მთიელს გაჰყვა ცოლად.

ქუჩის არ უძებნია დედა. არც სავგარეულო ქონების დაბრუნება უცდია, რადგან უპირველეს საზრუნავად ქვეყნის ერთიანობის აღდგენა და კოლხი მთავრების მიერ მიტაცებული ეგრისული მიწების დაბრუნება მიაჩნდა. სწორედ ამ საქმეში დაეხმარა მაშინ ფარნავაზი უფროს მეგობარს. იბერიის მეფე ქუჩის ტოლ-სწორად სთვლიდა და ამიტომ იბერიის სახელმწიფოში ეგრისის გაერთიანება არც უცდია, ოღონდ

ძლიერ სურდა ქუჩის გაძლიერება. იცოდა, ეგრისის მეშვეობით პარტოს ზღვაში გასასვლელი ღია ექნებოდა მის ქვეყანას.

ერთი წლის თავზე ეგრისი გაერთიანებული და გავრცობილიც კი იყო:

• კოლხ მთავრებს საერთო ხელმძღვანელი თითქმის აღარ ჰყავდათ. მათი მეფე აკი უკვე მიხრწნილი იყო სიბერისგან და თუ რაიმეზე დარდობდა, ისევ თავის ნახევრადგაბერძნებულ შვილზე, რომელმაც სამშობლო მიატოვა და ცოლთან ერთად ბერძენთა კოლონიაში დაიდო ბინა. ამიტომ მთავართაგან ზოგმა ფულით, ზოგმა შიშით მიწები დააბრუნეს და ქუჩისთან ბრძოლა ვერ გაბედეს. მათ ისიც კარგად იცოდნენ, რომ ეგრისის მთავრის გვერდით ფარნავაზი იდგა.

ხოლო ქუჩი, როცა თავისი სამთავრო მთლიანი იხილა, მცხეთას ეწვია და ეგრისის იბერიის სახელმწიფოსთან შეერთება ითხოვა. ფარნავაზმა ამ სურვილში ქუჩის დიდი კაცობა დაინახა და ეგრისის მთავარი უპირველეს ერისმთავრად აქცია. მეფის აღმზრდელმა და ქვეყნის ბრძენკაცმა აღონმა კი მას ეგრისის ყველა დროის საუკეთესო შვილი უწოდა და მეფეს ურჩია, სამხრეთ-დასავლეთ ქვეყნებთან ურთიერთობა სწორედ მისთვის მიენდო.

პირველად მაშინ გაემგზავრა ეგრისის მთავარი პონტოში, აზონის მამობილ მითრიდატესთან, რათა ფარნავაზის ნება ეუწყებინა მისთვის და ძღვენი მიერთმია. ქვეყანმა და წინდახედულმა მითრიდატემ იბერიის სამეფოს წარგზავნილი ისე მიიღო, თითქოს აზონი მისი ნათესავი კი არა, მტერი იყო, ზოლო თვითონ იგი, აზონს კი არა, ფარნავაზს დახმარებოდეს ბრძოლაში. აზონის მპყრობელობის დროს პონტოსთვის ნაჩუქარი იბერიული მიწები დააბრუნა, ორჯერ მეტი ძღვენი გამოუგზავნა ფარნავაზს, თან შემოუთვალა: თუ იბერიის მეფე ინებებს, ქალიშვილს მივათხოვებო. ქუჩიმ შეაბსენა, უკვე ჰყავს იბერიის დედოფალი, ხოლო მრავალცოლი-

ანობას ჩვენი წესი კრძალავსო. მითრი-  
დატემ გაიცინა და ესა თქვა: — მაგ წე-  
სის გარდა ყველაფერი კარგი გაქვე  
იბერებსო.

იმ პირველი სტუმრობის მერე, ქუჯი  
პონტოს სამეფო კარის ხშირი და სა-  
სურველი სტუმარიც კი გახდა და უომ-  
რად აგვარებდა ამ ორი მეზობლის სა-  
დაო საქმეებს.

ასევე სტუმრობდა ეგრისის მთავარი  
ანტიოქიასაც, რამდენჯერმე იყო პართი-  
სა და ბაქტრიასში, ალექსანდრიასშიც. ამ  
რკინასავით მაგარ კაცს ყველგან მშვი-  
დობა და ურთიერთპატივისცემა მიჰქო-  
ნდა, ხოლო ასურასტანის მეფე, უფრო-  
სი სელევკი, მას თავის მეგობრადაც  
სთვლიდა. ამიტომ თუ აუწყა უმცროსი  
სელევკის განდგომის ამბავი, თუმცა  
დიდ საიდუმლოდ ინახავდა შვილის  
ღალატს და თავის ნამოქმედარსაც. შე-  
სჩივლა: ასურასტანის ქვეყნების მბრძა-  
ნებლებს რომ არ მოეთხოვათ, არც  
ჩაეგდებდი დილეგში შვილს, რადგან  
მის გარდა ახლობელი, არავინ დამრ-  
ჩა ამ ქვეყანაზეო.

მაშინ ურჩია ქუჯამ, — ჩემთან ერ-  
თად გამოისტუმრე ვაფიშვილი იბერი-  
ასში, მალულად წაეყვან, მოვეული და  
შენს მიმართ წყრომასაც დავაფიყებო.  
ისიც უთხრა: უბრალო მგონია ამ საქ-  
მეში უმცროსი სელევკი, რადგან მისე-  
ბრი ვაყვაცი მამის წინააღმდეგ აუციან  
საქმეს არ ჩაიდენდაო. თუმცა კი იმაზე  
მეტე იცოდა უმცროსი სელევკის ღა-  
ლატის შესახებ, ვიდრე თვითონაც სუ-  
რდა. რაკილა შეატყო, რომ მეფეს შვი-  
ლის ქება ესიაშოვნაო, ისიც დაუმატა  
— ასურასტანის მეფეებს საერთოდაც  
არ ეხატება გულზე სელევკიდთა პირ-  
ველობა და ამიტომ ხომ არ ცდილობენ  
ახალგაზრდა, ჰკვიანი და კარგი მზე-  
დართმთავარი თავიდან მოიცილონო.

დიდი სელევკი ამ ნათქვამით სწორედ  
იმას მიხვდა, რისი თქმაც ქუჯის მისთვის  
ვერ ეკადრებინა და ბრძანა:

— ამაოდ ფიქრობს ვინმე, რომ მე,  
ბრძოლებში დაჩეხილი და დაავადებუ-  
ლი სხეული სიმტკიცესა და ძლიერებაში

ხელს მიშლიდეს. ამ ტახტის მბრძანებ-  
ლობას კვლავაც სელევკი უნდა მტკიცე-  
ლებენ, როგორც აქამდეც იყო. მაშინ  
დად მადლობელი ვარ ჩემი მეგობარი  
იბერებისა, რადგან მათ გულწრფელო-  
ბაში ვხედავ სიმართლეს და ქვეშაირტე-  
ბას. იყოს ნება შენი, ისტუმრე ჩემი  
ვაფი რამდენიმე თვით, დაისვენოს, გა-  
ლადდეს, რათა მერე ღირსეულად გააგ-  
რძელოს ჩემი საქმე. ისიც სარწმუნოა,  
რომ ასურასტანის ძლიერების ამბავი  
კარგად იცის იბერიამ და ეცდება, უმ-  
ცროსი სელევკის სტუმრობით ჩვენი მე-  
გობრობა მტრობით არ შეცვალოს.

როცა ქუჯა დატყვევებულს ესტუმრა,  
უმცროსმა სელევკიმ იქედნურად გაი-  
ლიმა და უთხრა: — შენნაირ თანაშემ-  
წეს ვისტრეებდი, რადგან ჰკვიანი ხარ  
და მომავალიც კარგად განგოკერეტიო,  
დრო გამოაჩენს შენი ამ ნაბიჯით ვის  
მეტე სამსახური გაუწიე, მე თუ იბე-  
რიას.

იმ შემოდგომაზე იბერიის მეფე ეგ-  
რისში კარგა ხანს დარჩა, რადგან ოკს-  
თა მეფესთან დამოყვრება ეწადა და  
სწორედ აქ ელოდა მისგან წარმოგზავ-  
ნილებს. საქმე ის იყო, რომ მისმა უფ-  
როსმა დამ, დაქვრივებულმა მადომი,  
მცხეთაში ცხოვრება არ მოისურვა და  
სპარსეთიდან მობრუნებულმა ეგრისში,  
ანოსთან დაიდო ბინა. ფარნავაზს ოკ-  
სთა მეფის ცოლობაზე კი დაეთანხმა,  
მაგრამ სთხოვა: აქედანვე გამატანე ჩემს  
მომავალ ქმარს, მსურს ანომ დამლო-  
ცოს და თავისი სახლის ბედნიერება და-  
მიკვებოსო.

ფარნავაზს ძლიერ გაეხარდა უმცრო-  
სი სელევკის ჩამოსვლა და მადოს ქო-  
რწილის მერე სოანეთში აიგზავრა  
სტუმარი, სანადიროდ და საღალღობოდ.

ხოლო სამი თვის შემდეგ მიიცივალა  
უფროსი სელევკი.

ახალი მეფის კურთხევის ზეიმზე ფა-  
რნავაზი ხუთასიოდე მხლებლითა და  
დიდი ძღვენით ესტუმრა ანტიოქიას, ხო-  
ლო გამეფების მეორე წელს, როცა სე-  
ლევკიმ საკუთარი ღვთაების ხატი აღ-  
მართა, ანტიოქიაში ქუჯი გაგზავნა, რა-

დგან თვითონ იბერიისში გადმოჰრილ ლეკებსა და დიდოელებს ეომებოდა. სწორედ მაშინ ნაბა ქუჩიშ ანტიოქიის უწინდელი დედოფალი, აწ კი დედათა ტაძრის უფროსი ქურუმი და ფარნავაზთან მისი წიგნი წამოიღო. მშვენიერი ქალი თავის ძველ სატარფოს მასთან გატარებულ ბედნიერ დღეებს მოაგონებდა და უთვლიდა: — თუ ფარნავაზი ინებებს, მივატოვებ ასურასტანს და თავისუფალი ქალივით ვიცხოვრებ მცხეთას, რათა იშვიათად მაინც ვნახო ის, ვისი დავიწყებაც გამიჭირდაო. ფარნავაზმა წიგნი წაიკითხა და ქუჩის უთხრა, სხვა დროს ასეთი ტვირთით ნუ დაიძიმებ გზასო.

მას მერე ანტიოქიის სამეფო კარზე ყოფილი დედოფალი არც შეხვედრია ქუჩის. აღბათ გერმა საბოლოოდ თუ დაიმორჩილა დედინაცვალი. სამაგიეროდ, ხშირად ხედავდა წინანდელ უფროს ქურუმს და იმასაც გრძობდა. დიდი გავლენა რომ ჰქონდა ამ ქვეიან სომეხ ქალს ასურასტანის ახლანდელ მეფეზე. ამიტომ გამორჩეული საჩუქარიც მიჰქონდა მისთვის და ფულითაც ანებივრებდა.

ქვეყნის ჩრდილოეთის მეზობლებთან ურთიერთობა იბერიის მთავარსარდალს ჰქონდა მინდობილი, მაგრამ ხშირად ლენეს ფიცხი ხასიათი და პატივმოყვარეობა მეზობელ ხალხებთან მწვავე უთანხმოების მიზეზი ხდებოდა და მეფეც იძულებული იყო თვითონ მოეგვარებინა ეს საქმე.

\*\*\*

კავკასიონი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილს დამცველად ჰყავდა, მის იწროებსა და ხევ-ხუტებში მრავალრიცხოვანი მტრის უცარი შემოსვლა თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ სამაგიეროდ მოხეტიალე ტომებისა და მომთაბარეთა მცირე რაზმებისთვის მოხერხებულ შემოსაპარად ითვლებოდა. ისინი კი თავის ელვისებური თავდასხმებით გვირგვინად აწიოვებდნენ კავკასიონის ახლომხლო მცხოვრებ მოსახლეობას: სახლ-კარს,

ურბედენენ, წლის სარჩოს არაშეუდნენ და, რაც მთავარია, აღამეფებუ-ურბედენენ, უმეტესად კაბუტებდასიყმუნა

იბერიის ქვეყნის მესვეურები მუდამ შეწუხებულნი იყვნენ მეზობლად მცხოვრები თუ მთის გადაღმა ველებზე მოხეტიალე ხალხის ანუ „გადმოსულების“ თავდასხმებისგან.

ოვსთა მეფესთან ფარნავაზის დამოყვარების შემდეგ ხუთი წელი იყო გასული, რომ ერთერთი ასეთი თავდასხმის დროს „გადმოსულებმა“ ქვეყნის თითქმის შუაგულამდე შემოაღწიეს.

როცა შეპყრობილი მომთაბარეები ლენეს მიჰგვარეს, აღმოჩნდა, რომ ათი კაციდან შვიდი ოსი იყო. ისიც გამოიკვია, რომ სწორედ ოსეთის მეფის მიწაზე გადმოველოთ თავდასხმელებს, ოსი მეომრები აეყოლებიათ, მდინარის იწროებში უვლიათ, ბარში ჩამოსულან და მათგანვე ნაყიდი იარაღით დასხმიან თავს გორის ახლომხლო მცხოვრებ თავისუფალ მეთემეებს, რომლებიც უფლისციხის სკოლას, მის ტაძარს და იბერიის მთავარსარდალს მებარკებდნენ.

ფარნავაზი კახეთ-კუხეთში საქმეების მოსაგვარებლად იყო წასული და, როგორც დაბარებული ჰქონდა, კიდევ ათ დღეს აპირებდა იქ დარჩენას. ლენემ სამეფო კარისა და თავისი ჯარი დარაზმა, დურძუკთა მეფესთან მალემსობოლი აფრინა, ხუთი ათასი მეომარი ითხოვა და ოვსთა სამეფოს დასალაშქრავად მზადება ბრძანა, ეგონა, მეფე ასეთ ნაბიჯს მომიწონებსო.

ხოლო, როცა ფარნავაზთან კაცის გაგზავნას აპირებდა, რათა ლაშქრობის დაწყების დასტური ეთხოვა, ოვსთა მეფემ თავის ქვეყანაზე იბერთა ლაშქრობის მზადების ამბავი უკვე შეიტყო, მანაც ასევე სწრაფად იმოქმედა და მცხეთაში კი არა, კახეთ-კუხეთში გაგზავნა მსტოვარი ფარნავაზთან, თან შეუთვალა: — მოყვრად მიღებული მტრად რატომ მეკიდები. თუ ჩემს სამეფოზე გამოლაშქრება გიფიქრია, ის რატომ არ გაგახსენდა, რომ შენი და და მისი ორი

შვილი ჩემს ხელთ არიან. ოგსთა მეფეს მტრისა და მისი ნათესავეების მიმართ ერთი კანონი აქვს — სიკვდილი. ისიც არ დაიფიქრო, რომ ლეკნი, დიდონი და უთვალავი „გადმოსულნი“ ჩემს მხარეზე არიან, თუ დავიძარი, იბერიის მთიელებსაც ადვილად დავამარცხებ, შენ წინააღმდეგ მათაც იარაღს ავადებინებ და ნიაღვარივით წაგლეკავ. მერე შენს მთავარსარდალს პირისპირ შევებმები და კატასავით თვალწინ მივიხრჩობო.

ფარნავაზი უმალ მიხვდა, რაშიც იყო საქმე და ასიოდე ჯარისკაცით გაეშურა ოგსთა მეფისკენ. წინ სიძის გამოგზავნილი მსტოვარი გაუშვა და შეუთვალა შენი შემონათვალით ვერაფერს მიხვდები, ამიტომ თავად მოვდივარ, ვინძლო, ლანძღვის მიზეზი გამაგებინო.

ოგსთა მეფე არ ენდო ფარნავაზს და ლიახვის განტოტებასთან ათასი მეომარით დახვდა. ფარნავაზმა მხლებლები ჩამოიცილა და ჭიქურ მიაგდო ცხენი მამლის ბიბილოსავით გაწითლებულ სიძესთან, რომელიც ლეკთა ბელადის თანხლებით მისკენ გამოეშურა. — თუმც კი, მიჩვენდნენ ასე მცირე რაზმით არ წამოვსულიყავი შენს შესახვედრად, მაგრამ არ გავიგონე. შენი კაცობისა და სიმატლის უფრო მჭერა, ვიდრე შენი მუქარისა. თუ მაინცდამაინც ბრძოლა და თავის გამოჩენა გწადია, შევებათ: მე ასე კაცით, შენ კი ათასით!

ოგსთა მეფე ერთხანს ხმას არ იღებდა, ვერც ფარნავაზს უსწორებდა თვალს და არც ლეკთა ბელადის სახეს უცქერდა, რომელიც, როგორც ჩანდა, ამას ანიშნებდა: რას უდგებარ, ბრძანე და შეიპყრობენ კიდევ იბერიის მეფეს ჩემი მეომრებით.

ფარნავაზმა ერთი კი მოხედა ლეკთა ბელადს და სიძეს უთხრა:

— მაგ შენს მოკავშირეს გააგებინე, რომ ფარნავაზის შეპყრობას იბერია არავის აპატიებს. ხოლო როგორი სამაგიეროს გადახდა იციან იბერებმა, თავის მამას ჰკითხოს, იმას ჯერ კიდევ ეხსომება!

— იბერიის მთავარსარდალი თურმე

ჩემთან ომს აპირებს! — ამოიღუღღულა ფარნავაზის საქციელზე, ნერწყვამდგარმა ოგსთა მეფემ. — *დასტვანქანქანა* წინაშე დანაშაული არ ჩამიდენია, ვიფიქრე, ფარნავაზს ჩემი მოყვრობა მოსწყინდა და მტრობა უსურვებია-მეთქი.

— ცუდად გიფიქრია. ხოლო ის, რომ შენი მიწიდან იბერიაზე თავდამსხმელები გამოატარე და თან შენი მეომრები გამოაყოლე, თუ არ ვცდები, შენგან ჩვენი მეგობრობის უარყოფას უნდა ნიშნავდეს. მაშ რად გაგიკვირდა ჩემი მთავარსარდალის საქციელი?

— იცი შენ, რომ ტომის უბუცესნი მეფის ბრძანებას არ ემორჩილებიან ოგსეთში. სწორედ მათ გადმოუშვიათ „გადმოსულები“ იბერიის მიწაზე და თავიანთი მონებიც გამოუყოლებიათ. მათ შენ ჩვენი ღვთაების მტრად მიაჩნებარ. ამბობენ: მთა მტკიცედ ჩაპკეტა და ოგსთა მფარველი ღვთაება გვირისხდება უმოქმედობისთვისო.

— არც აზონის დროს პარპაშებდით თქვენს ნებაზე, როგორც მახსოვს.

— ისიც მტრად მიაჩნდათ, იმიტომაც დაგვეხმარნენ მის წინააღმდეგ ბრძოლაში.

— ჰოდა, ახლა შენს დასახმარებლად თავად მოვედი, ლენეს მოყვანილი ჯარით დაგალაშქრინებ მთისიკითა კალთებს, დაგიმონებ ხაზარებს და თუ იტყვი, უბუცესთა ბატონობასაც მოვსპობ ოგსთა მიწაზე. — თქვა ფარნავაზმა და ლეკთა ბელადს მოხედა:

— თუ ლეკნი იბერიის მიწაზე ჩამოხდომას არ მოიშლით, სრულად მოვისპობთ ქვეყანაში ჩამოსვლის ნებას, რაიც ასე სასოებით გამომთხოვეთ გასულ გაზაფხულზე. გზას გადაგიკეტავთ და ნაძარცვი საქონლისა და ტყვეთა გაყიდვას ავიკრძალავთ ჩემს ბაზრებზე.

ლეკთა ბელადმა, რომელსაც ჰკუა და გამპრიახობა მეკავშირეზე მეტი ჰქონდა, უკვე ინანა თავისი საქციელი და ფარნავაზის სიტყვების მერე უმალ ცხენიდან ჩამოქვეითდა. თავისი ბედური მიაჩნთა იბერიის მეფეს და უთხრა: — ვხედავ, რომ ჩვენთან შებმას არ აპი-

რებდი. შემაცდინა ოვსთა მეფემ. თავს გიბრი და შეცდომას ამ ცხენით გამოვისყიდო. კარგმა ვაყვაცმა ცხენის ყადრი იცის. შენც არ შეგეშლება ამ საჩუქრის ფასი. — წელში მოიხარა თეორონზე ამართული ფარნავაზის წინ.

— კარგი ცხენია, — თქვა იბერიის მეფემ, — მაგრამ მე უფრო მეტად იმით მასიამოვნე, რომ ჩემს წინაშე ჩამოქვეითდი. ამ საქციელში შენს ჭკუას ვხედავ და მიხარია. მაგრამ მწყენს, რომ ამასვე ვერ ვიტყვი ჩემს სიძეზე.

ტანდაბალი ოვსთა მეფე მძიმედ გაღმოვიდა ცხენიდან და მსახურს უბრძანა ჩემი ბედაურიც მიხვევარე იბერიის მეფესო.

ფარნავაზს გაეცინა. — ნაძალადეგ საჩუქარს არ მიიღებს იბერიის მეფე. ეგ ცხენი თავად დაგვირდება. რათა მეტეთას წამოშვე. მსურს გაიხსენო ჩემი მთავარსარდალს ვაყვაცობა და წარმოსადგეგობა. ახლა კი ბრძანე, რომ ჩემი და და მისი ორი ვაგიც ჩამოაყვანილო იბერიის სატახტოში. მეც მომენტურა მადათ და, ალბათ, ანოსაც, რომელიც ეგრიისის მთავართან ერთად იბერიის სასახლეში იწყობება.

ისევ შეჭდა ოვსთა მეფე ცხენზე და მწარედ ინანა, ლექთა ბელადს რომ არ დაუტერა და არ შეიპურო ფარნავაზი. ამ ბოღმამ უფრო დაახრჩო, როცა დაინახა, რომ იმ ასი კაცის მეტი სხვა ლაშქარი მართლაც არ ახლდა ფარნავაზს.

ხოლო ლექთა ბელადი კმაყოფილი იყო თავისი თავით.

— ლექთა გამგზავრება მიბრძანებია. წლევეანდელ ხარკს ვუნახევრებ მთიელ მეგობრებს! — ბრძანა იბერიის მეფემ. — ხოლო შენს უფროს ვაეს, — მიუბრუნდა იგი ლექთა ბელადს, — რომელიც ახლაც მეტეთაშია და უფლისციხის პატრონს თავისი აზნაურის ქალიშვილს სთხოვს ცოლად. ნებას ვიძლევი იკორწინოს და დაემკვიდროს ჩემს მიწაზე. ვეცდები სამსახური არ დაეტყარგო. თუ თავს გამოიჩენს. ამბობენ, კარგი მელექსე და მწიგნობარია, მამამი-

სივით მუღამ ხმაზე არ უკითხვს/ ხელით.

მარტინესული

ისევ მოიხარა წელში მდგომარეობის ნიშნად, თუმცა კი თავისი უფროსი ვაგის ახირება არასოდეს მოსწონდა.

ოვსთა მეფემ ორმოცდაათი მხედარი იახლან და ფარნავაზს მეტეთაში გაჰყვა.

მეფემ სტუმარი სასახლეში მიიყვანა. მისი ღირსეული გამასპინძლება ბრძანა და თავისი მთავარსარდალი იხმო.

ორ საათამდე დაჰყო ლენემ სამეფო დარბაზში, მაგრამ გარეთ გამოსულს ეგონა, მთელი ცხოვრება იქ გაეატარა. ასე გაეცხარებულ და მკაცრი არასოდეს ენახა ლენეს ფარნავაზი. ისიც კი უთხრა მეფემ, შენს უგონო საქციელს ომი და სისხლისღვრა რომ მოჰყოლოდა, არც შენს დიდ დამსახურებას, არც ჩვენს მეგობრობასა და არც ვაჩენსა და ანათას სიყვარულს მივხედავდი, ისე დაგსჯიდით.

ოვსთა მეფე მთელი წელი იბერიაში ჰყიდა. ამ ხანში ქვეყნის უფროსობა მის მომდევნო ძმას ჩააბარა და უბრძანა: — ტომის უხუცესთა ბატონობა მოსპე და ერთმმართველობა დაამყარე იბერიის მსგავსადო. მანაც თავი გადასდო და, ლენეს დახმარებით, კარგად მოაგვარა ეს არც თუ იოლი საქმე.

ბოლოს, როცა სიძე გაისტუმრა, მის უმცროს ძმასთან კაცი გაგზავნა და შეუთვალა: — რასაც იმსახურებდა ოვსთა მეფე ჩემი ურჩობისათვის, კარგად იცი, რადგან მასზე დაკვირვებული და შორსმჭკრეტელი ხარ. ხოლო მის საქციელზე დაფიქრებას იმიტომაც ვთხოვ, რომ მსურს თვალყური ადევნო, რათა კვლავ არ შეეშალოს, მრუდე ნაბიჯი არ გადადგას და ჩვენი მეგობრობა მტრობით არ შემაცვლევინოსო.

იმ წელს ოვსთა მეფე ნადირობის დროს შემოაკვდა საკეთარი ძმის მსახურს. ძმამ მსახური სიკვდილით დასაჯა და თვითონ ავიდა ტახტზე. ფარნავაზის და პირველ ცოლად დაისვა და იბერთა მეფეს სრული მორჩილება შეჰქიდა.

დრო რომ გავიდა, ფარნავაზმა ლენეს უთხრა: ზოგი კირი მართლაც მარგებელი ყოფილა, შენ რომ მაშინ არ აჩქარებულოყავი და ხმაღზე ხელი არ გაგეკრა, გვეყოლებოდა ახლა ოვსეთში ის ორკოფი და ეკვიანი კაცი და მისგან სიმშვიდეს ვერც ვეღირსებოდითო.

ოლონდ ამ შემთხვევის მერე ჩრდილოელ მეზობლებთან გარიგებისა და მოლაპარაკების საქმე მთლიანად არასოდეს მიუხდვია თავისი მთავარსარდლისა და პირველი ვაზირისათვის.

\* \* \*

კოლხეთის სამეფოს ძველი დიდება რახანია დაკარგული ჰქონდა და ახლა შემცირებული და დასუსტებული თავისი არსებობის უქანასკნელ წლებსღა ითვლიდა. მისი ღრმად მოხუცებული მეფე აკი უკვე ორი ათეული წელია ლოგინად იყო ჩავარდნილი და ქვეყნის მეთაურად აღარ ვარგოდა. ამიტომაც აიშვეს კოლხმა მთავრებმა თავი და ჯერ ერთმანეთი დაქანცეს გამუდმებული ბრძოლებით, მერე კი მიწების ყიდვა-გაყიდვა გააჩაღეს, ხოლო ზოგი მათგანი იმდენად ცუდი მამულიშვილი გამოდგა, რომ საკუთარ წასახლარზე უყოყმანოდ მოიყვანა უცხო ქვეყნის ვაჭარი თუ მეომარი და თვითონ გულარხინად გაითქვიფა ბერძნული კოლონიების ნაირფერ მოსახლეობაში. განსაკუთრებით მცირე არმენიასთან და არიან-პონტოსთან ახლოს მდებარე პატარა პატარა სამთავროებმა და თავისუფალმა მეთემეებმა „იყოჩაღეს“. მათ ეგრისის მორჩილებას ქვეყნის განადგურება ამჯობინეს და, სიმდიდრესა და კეთილდღეობას გამოდევნებულებმა, მამა-პაპის სისხლითა და ოფლით ნაპატიები კოლხური მიწა უცხო თესლის საპატრონოდ დააგდეს.

კოლხეთის ძალით შემოერთება იბერიის მეფეს უკადრისად მიაჩნდა, არც ქუჩის აძღვედა ამის ნებას: სანამ კი ცოცხალია, მისი სამეფოს ხელყოფის უფლება არავისა აქვს, მით უმეტეს

იბერიას, რომელსაც გაქრევიანობის დიდი დახმარება გაუწიეს მისი წინასწარმეტყველებით. პონტოს ზღვისპირეთის ქართლოსიანთა დაძაბუნებასაც ძლიერ სწუხდა და ქუჩის თხოვდა, თავად შეესყიდა მიწები. ამიტომაც ეგრისის მთავარი ხშირად სომხების, ბერძნებისა და არიან-პონტოელთაგან ყიდულობდა კოლხურ მამულებსა და სამოსახლოებს, ხოლო ფასი, რომელსაც იხდიდა, ორჯერ და სამჯერაც მეტი იყო იმაზე, რაც უცხოელებმა გადაუხადეს კოლხ მეპატრონეებს.

ეგრისთან კოლხეთის შეერთება უფრო აღრიანად დაიწყო. ეს მაშინ მოხდა, როცა ქუჩიმ დედამისის მბრძანებლობის დროს დაკარგული ეგრისული მიწები დაიბრუნა. უბრალო მოსახლეობა, მიწათმოქმედნი და მეჭოგენი, ნებაყოფლობით დაპირიჩილდნენ ეგრისის მთავარს, გამუდმებული თავდასხმებით, უცხოთა რიარიათი გაბეზრებულნი, მის სამთავროში გამოიბოდნენ და იქ დამკვიდრებას ცდილობდნენ.

ბოლოს, როცა დიოსკურიის ჩრდილოეთით მცხოვრები მთიელები კავკასიონის კალთებს გადაღმელ უცხო ტომებთან ერთად გადმოვიდნენ, ენგური გადმოლახეს, მთის კალთების მოსახლეობა სრულიად მოსრეს და ახლომახლო ბარელები დაარბიეს, გაძარცვეს და ტყვედ წაასხეს, ქუჩიმ ათიათასი მხედარი შეკრიბა, მომხდურები გარეკა და მდინარის გაყოლებაზე გამაგრებული უბნები შექმნა, სადაც ეგრისელ მემორებთან ერთად მოხალისე კოლხი გარისკაცებიც ჩააყენა.

ეს ამბავი ფარნავაზის მეფობის მეშვიდე წელს მოხდა, შემოდგომაზე, ხოლო იმავე ზამთარს აკის წარმოგზავნილი ეწვია მცხეთას.

„თუმც კი ჩემი სამეფოს დღევანდელი პატრონი, დამცველი და გამგებელი ეგრისის მთავარია, მაინც შენთან მსურს კოლხეთის მომავალზე მოთათბირება. მეფეს მხოლოდ მეფესთან შეშვენის გარიგება, — უთვლიდა აკი ფარნავაზს. — გამიგია, ჩემი სატახტოს

ახლოს ქალაქის აშენება გსურს, ადგილიც გიხილავს და ალბათ გეგმაც დაგისახავს უკვე. მაგრამ არ კი დაგიწყია მშენებლობა. თუმცა დამშლელი არავინ გყავდა და ის მიწები რამდენიმე წელია ქუჩის საკუთრებაა. შენს ამ საქციელში ღირსეული ვაყკაცის ხასიათი დავინახე და ქვეყნის პატრონის შორსმკვრეტელობაც.

ნუ მერიდები და დაიწყე მშენებლობა. მხოლოდ ქვეყნის ორგული გაგვიცხავს იმისთვის, რომ ესწრაფვი ძლიერებას, რომელიც ციხე-სიმაგრეებითა და ვაჭრობით მიიღწევა, რადგან ვაჭრობა სიმდიდრესთან და დიდ ქვეყნიერებასთან დამაკავშირებელი გზაა. ამ გაზაფხულზე კი, გთხოვ, ჩემს სატახტოში მეწვიო.

ამ რამდენიმე დღის წინ, ჩემს კარზე ერთი იბერიელი ახალგაზრდა კაცი სტუმრობდა. იგი თავს შენს ძმადნაფიცად აცხადებდა, ამბობდა, მე და ფარნავაზი ერთი ბრძენკაცის გაზრდილები ვართო. ვიცნობ მე იმ ბრძენკაცს და კიდევ უფრო მეტად ვეცი პატივი, როცა ის ახალგაზრდა გავიციანი. დანარჩენს თავად გაიამბობს ალბათ, როცა გნახავს. ხოლო მე იმას გეტყვი, რომ ბევრ კარგ და საინტერესო ამბავთა შორის მან ისიც მითხრა, რომ ათი გაზაფხულის მერე მზის სავანეს გაუსწორდება იბერია და მისი ხალხი ჰელიოსის მსახურებას დაიწყებს ისე, როგორც კოლხეთი მსახურებდა ღმერთის ხილულ სახეს იმ შორეულ დროსო. იმ კეთილმა კაცმა ეს რომ მათხრა, მივხვდი, თუ რატომ არ წამიყვანა კეთილ სულთა ღვთაებამ ამდენ ხანს თავის საუფლოში. ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი ხალხის ერთიანობა საბოლოოდ მერწმუნა და წინაპრებისთვის კარგი ამბავი წამელო.

მსურს, რომ სიკვდილის წინ მაინც ვიხილო ის ბრძენკაცი, რომელმაც ქართლოსიანთა წინაპრების დიდი სიბრძნე შემოინახა და მისი მადლით აღგზარდა შენ, მეფე ქართლოსიანთა და ის ახალგაზრდა კეთილი კაცი, რომლის სტუმრობამ ჩემი გამწარებული სიცოცხლე

სიხარულით აავსო. სთხოვე აღონს, მონინახულოს და გამახაროს რამდენიმე მე, აშთანის სულიც, რომელიც კეთილ სულთა საუფლოში მელოდებო. ისიც მინდა გითხრა, რომ თუმც კი დღეს უღირსად იქცევა ბევრი არმენიელი კოლხეთში, მაინც, როცა მათზე ფიქრს დაიწყებ, არ დაივიწყო აშთანი, რომელსაც ქართლოსიანთა და არმენთა ძმობა ღვთაებათა ძალზე მეტად სწამდა.

დანარჩენს ვეტყვი და დავუბარებ შენსა და არმაზის გამზრდელს, იბერთა ბრძენკაცს, ფაზისში გაზრდილ აღონს.

მეფე კოლხეთისა, ჰელიოსის მსახური, აჟი!"

ფარნავაზმა აღონი იხმო და კოლხთა მეფის წიგნი გადასცა.

— ვიცი, სკოლის საქმემ გაგიტაცა და მთელ დროს მის შექმნას ანდომებ, მაგრამ საჭიროა და უნდა გაემგზავრო კიდევ კოლხეთს. მახსოვს ფაზისის სკოლის მონახულებაც გსურდა, იქაც წადი, თუ გინდოდეს. ეტლით გაგამგზავრებ, რათა მგზავრობა არ გაგიჭირდეს. უფლისციხელი ბერიც გაიყოლე... აღონს გაეღიმა.

— ისე მიფრთხილდები, თითქოს ჩვილი ვიყო, ან ძლიერ მოხუცებული... მეფე ხარ და ბრძანე, როგორც იტყვი, ისე იქნება!

ფარნავაზმა შუბლი მოისრისა.

— ვფიქრობდი, არმაზს ელოდება-მეთქი და ამიტომაც გამიჭირდა თქმა. — გამოტყდა ბოლოს, — რაც შეეხება ბრძანებას, ხშირად იმაზეც მიფიქრია, ამ ბოლო დროს ძლიერ ბევრს ხომ არ ვბრძანებ სხვის გასაგონად და შესასრულებლად?

აღონი ყურადღებით შეაკვიერდა თავის გაზრდილს.

— არც იმაზე ნაკლების ბრძანება ვარგა, ვიდრე საჭიროა. ხოლო უშეცდომო კაცი არ არსებობს. — უპასუხა. იგი მიხვდა, თუ რას გულისმობდა ფარნავაზი, როცა საკუთარ თავზე ლაპარაკობდა.

— ვბრძანე პართიასთან ლაშქრობა და იმის გარდა, რომ ბაქტრიის მეფეც





გავინაწყენე, ათასი კაცი შევწირე სე-  
ლეკვიანელთა განდიდებას. შემეძლო  
დამეჭირავენებინა კვასიანელნი და ლეკ-  
ნი. ისინი მაინც ჩააბა ომში არშენის  
მეფემ. ხოლო ჩემ ბრძანებას ისიც მო-  
ჰყვა, რომ უცხო სენი წამოიღეს ჩემმა  
მებრძოლებმა ბრძოლის ველიდან და  
ერთი წელია ვერაფერი მოგვიბერებია  
მისთვის. სასახლის მკურნალმა მომახ-  
სენა დღეს, მცხეთაშიც გავრცელებულა  
ავადობა.

— ვიცი — უპასუხა აღონმა. — თა-  
ვად ვნახე სნულნი. ხოლო შენს მკუ-  
რნალს შიში უბრძავეებს თვალს და უბ-  
რალს შეცივდება მძიმე სენისგან ველარ  
განურჩევია. იმათ შორის მხოლოდ ხუ-  
თია სახადით დაავადებული, აქედან  
ოთხი კარგადაა უკვე, ერთი კი ვერ გა-  
დაიტანს, მაგრამ ამაში დამნაშავე მისი  
სიბერეაა. უფლისციხელმა ბერმა და  
კახთა უფროსმა ქურუმმა ამ ავადობის  
წინააღმდეგ უებარი წაშალი დაამზა-  
დეს, ისიც დამტკიცეს, რომ მისი უპი-  
რველესი „მკურნალი სისუფთავეა და  
აკი ბრძანე ახალი აბანოების აგებაც.

— დავსაჩუქრებ უფლისციხელ ბე-  
რსა და კახთა უფროსს ქურუმს. ისედაც  
მსურდა ამ უკანასკნელის ჩემთან გად-  
მოყვანა, ებრძანებ, რომ ასე იყოს! —  
სთქვა ფარნავაზმა და გაიღიმა. — აი,  
ხომ ხედავ, უკვე ორჯერ ებრძანე ამ  
ერთ საათში!

— სხვა რა თქვა კოლხეთის მეფის  
წარმოგზავნილმა? — იკითხა აღონმა,  
როცა შეატყო, რომ ფარნავაზს გუნება  
გამოუყვებოდა.

— უკანასკნელ დღეებს ითვლის მე-  
ფე. ვეპეობ ცოცხალს ჩავუსწროთ.

— კოლხი ქურუმების ნახვასაც  
მთხოვ? — ჰკითხა აღონმა.

— საჭიროდ მიმაჩნია!

— თავადაც უნდა დაესწრო გლოვას!

— ღირსეული პატივით დაიკრძალება  
კოლხთა მეფე. აკის ძეგლსაც აღვმარ-  
თავ მისი სასახლის წინ და კოლხურ  
თეთრსაც მოვაპრევინებ მისივე გამო-  
სახულებით! — უპასუხა ფარნავაზმა.

— როგორც მახსოვს ვაფიქრებდი, სკვან-  
ცოცხალი აკის!

— გაძევებული და პატივყარილი მის  
მიერ, რადგან ბერძენი ქალი შეურთავს  
და სამეფოს ქონება საბერძნეთში გაუ-  
ზიდნია.

— გამიგონია, მითრიდატეს კარზე  
აღწევებულა კოლხთა მეფის უღირსი  
მემკვიდრე. მითრიდატეს ეწყინება ჩე-  
ნი საქციელი! — თქვა აღონმა.

— დროა, პონტოს სამეფომ ქართ-  
ლოსანთა საქმეებში ჩარევისგან თავი  
შეიკავოს. სელევკის მინაწერს გაეუგზა-  
ვნი მითრიდატეს და ძღვენსაც მივართ-  
მევ მეგობრობის ნიშნად, თუ არა და...  
ბრძოლა მოგვიწევს პონტოელთან მე და  
სელევკეს. — წარბი შეიკრა იბერიის  
მეფემ. — კოლხეთი ეგრისს უნდა შეუ-  
ერთდეს და გონიერი პატრონის ხელში  
აღორძინდეს.

— სწორად გიფიქრია. მაინც საჭი-  
როდ მიმაჩნია, ეგრისის მთავარმა თა-  
ვისი ჯარი განაღავოს კოლხეთის საზღ-  
ვართან.

— თვით კოლხი მოსახლეობა სთხოვს  
ქუჩის დახმარებას, ისიც იომებს ჩვენს  
გვერდით, თუ საჭირო გახდა.

— როდის ფიქრობ ჩვენს გამგზავ-  
რებას?

ფარნავაზმა არაფერი უპასუხა.

— დილით მზად ვიქნებით მე და  
უფლისციხელი ბერი! რაც შეეხება არ-  
მაზს, ნუ გეფიქრება. რადგან იცის, რომ  
თავად მივდივარ კოლხეთში, იქ დამე-  
ლოდება! — თქვა აღონმა.

— იბერიის ქურუმთუხუცესს ქურუ-  
მთა ამაღა უნდა ამშვენებდეს, ეგრისი-  
დან აიმგზავრე ღვთისმსახურები!

— ისე იქნება, როგორც მეფეს სურს!  
— კვლავ გაუღიმა თავის გაზრდილს  
აღონმა.

\*\*\*

იმ წელს ძლიერ მკაცრი ზამთარი და-  
იჭირა, დანგრეულ გზებზე მოძრაობა  
შეუფერხდა და ამიტომ დიდხანს მგზავ-  
რობდნენ იბერიის სატახტოდან წამო-  
სულელები. აღონი გზაში გაიცივდა და სამი



დღე აზონის მიერ აშენებულ სააგარაკო სასაბურთოში იწვა სიცხიანი.

შეადღისას თოვლით შებურვილი კოლხეთის სამეფოს დედაქალაქი გამოჩნდა. ფაზისის მარჯვენა ნაპირთან ორმაგ ზღუდეში მოქცეული. შედარებით ახლებური ყაიდის სვეტებიანი მაღალი სასახლის გვერდით ქვით მშრალად ნაგებო. ერთსართულიანი, განიერი, ოთხკუთხა მკვიდრ სვეტებზე დაყრდნობილი სწორსახურავიანი შენობა იდგა, რომლის უკან მდინარის ნაპირამდე ფართე ქვის კიბე ჩადიოდა. სახურავის კუთხეებში დატანებული ღია აივნების იატაკი ამოცვენილიყო, მხოლოდ დაკვირვებული თვალი თუ შეამჩნევდა მის მრავალფეროვნებას და გარდასულ სილამაზეს.

— ძველთა გადმოცემით, სახურავს ირგვლივ ოქროს ბრტყელი სარტყელი ერტყა. წყალსაწრეთი მილებიც ოქროსი ყოფილა. ხოლო სახურავზე აღმართული აიეტის ოქროს ქანდაკი მთელს კოლხეთს გადაჰყურებდა. სასახლის უკანა ბაღი ღმერთების სამყოფელ წალკოტს მიაგავდა თურმე, ხილითა და ფრინველ-ნადირით მდიდარი. სახურავის სიღრმეში მოქცეული საცხოვრისი 360 ოთახს ითვლიდა და ყოველ ოთახს ოქროს კარი ამშვენებდა. იატაკი ძვირფასი თევზებით ყოფილა მოქედილი. მყარ კედლებში მოქცეული სამეფო საბრძანისი მონათა სიმრავლითა და სიჭრელითაც გამოირჩეოდა. იმ შორეულ დროს კოლხთა მეფის სიბრძნე და სიმდიდრე ზღვის გადაღმელი ხალხებისთვისაც ყოფილა ცნობილი... ხოლო მისი ქალიშვილების სილამაზე და გრძნეულება, მთელს დედამიწას მოსდებია. ამიტომ თუ იყო, რომ უმაღლესმა ღვთაებამ აიეტის საგვარეულო სხვა ხალხთა წინაპრებადაც განაწესა. გავიხილო გეტქნება, რომ რომის დამაარსებელი ღვთაებრივი რომულუსის დედა, სწორედ ჰელიოსის ქალიშვილს, აიეტის დას, ყირიკეს ასახელებდნენ. — აღონი დადბანს დანაწევრებით გაჰყურებდა ქართლოსიანთა

უძველესი დიდების მოწმე სასახლეს და წყნარად ლაპარაკობდა. *ერკონესული*

— მაშინდელი კოლხეთის მთავრების მთამდე ვრცელდებოდა და ზღვის მთელ სანაპიროსაც ფლობდა, მის წყალზე და ჩქარ მდინარეებს ფაზისში ოქრო ჩამოჰქონდათ. ამიტომ გადაჯარბებული არ მგონია გადმოცემა აიეტისა და კოლხთა მეფის შთამომავალთა სიმდიდრეზე. — უბასუხა უფლისციხელმა ბერმა. — ქალაქში სიწყნარეა, ეტყობა, ჯერ კიდევ ცოცხალია აიეტის უკანასკნელი შთამომავალი.

\* \* \*

ორსართულიანი სასახლის კარებთან აკის მომვლელი და სასახლის გამგებელი კასანე შემოეგებათ.

— დიდი ხანია იბერიიდან მოვიდის სტუმრებს, ამბობს, სანამ მათთან არ ვისაუბრებ, არ მიიღებს სიკედილის ღვთაება თავის საუფლოშიო. დღეს დილიდან გამოკეთებული ჩანს, ბოლიწოც შეტემა. გონებაც საოცრად დაწმენდალი აქვს. ხუმრობს, ტკბილისტყვაობს, საჩუქრებს არიგებს. ერთი საათის წინ დაითხოვა მნახველები. დასვენება მინდაო. ეს წუთია გაიღვიძა და მითხრა; ჩაეგებე, იბერიელი ბრძენკაცი მეწვია და არ ალოდინონ, ჩემთან მოიყვანეო. ჩამოვედი და კიდევ მოადექით კარებს. — საკვირველია პირდაპირ, — ხელებს შლიდა კასანე. — დავბერდი კაცი და მხოლოდ ახლა ვიწამე ის, რასაც მეუბნებოდნენ: მომაკვდავს მართლაც ღვთაებრივი ხედვა და გრძობა ეუფლება თურმე.

მაღალ, განიერ საწოლზე, მეფურ საგებელში იწვა კოლხთა უკანასკნელი მეფე. ბალიშებზე მიყრდნობილს თეთრი წვერი მკერდამდე ეფინა და სიბერისგან გაყვირებული ხელი უთრთოდა.

აღონი კარებიდანვე წელში მოხრილი შევიდა მეფის პალატში, მიუახლოვდა, მუხლისმოყრა დააპირა სარეცელის წინ. საკვირველ დიდებულებას და



სისპეტაკეს იმკვიდრებდა ირგვლივ თითქმის მიმჭრალი კოლხთა მეფე.

— მეფის წინ მუხლი მისმა ქვეშევრდომმა უნდა მოიყაროს და არა ისეთმა სტუმარმა, რომლის ჩამოსვლას თავად ესწრაფვოდა მეფე! — შეუფერებლად ახალგაზრდული და მკვირცხლი ხმა შერჩენოდა აქის, — სავარძელი მოართვით სტუმარს! — ბრძანა და თვალი მიიპყრო აღონს.

— ზამთარში ძალიან კირს ჩვენს გზებზე მგზავრობა, — თქვა აღონმა და სავარძელში დაეშვა, თითქოს მოიბოდიშა კიდევ დაგვიანებისათვის.

თავი მოაბრუნა აკიმ.

— ამ ბოლო დროს ხშირად მესიზმრებიან მცხეთის დიდი მთავარი სამარა და მისი უბრძნესი ბიძაშვილი, არიან პონტოს ძველ ტაძარში გარდაცვლილი ზიარე. იგი ქართლოსიანთა ისტორიას სწავლობდა და ამტკიცებდა, რომ ამ მიწაზე მცხოვრებნი ყველა ერთი დედმამის შვილები ვართ და ერთ ენაზე ვლაპარაკობდითო.

აღონი შეირბა.

— სწორედ მათ მიიხრეს ამ დღითაც, რომ უკვე ჩამოხვედი კოლხეთში. მადლობელი ვარ მონახულებისთვისაც და იმისთვის, რომ ჩემი უკანასკნელი ვალის აღსრულებაშიც დამეხმარები! — თქვა აკიმ და თვალები დახუჭა.

კარგა ხანს სიჩუმე იდგა სამეფო საწოლში. უფლისციხელი ბერი ყურადღებით აკვირდებოდა აქის სახეს, მოეჩვენა, ამოსუნთქვას სულიც ამოაყოლა მოხუცებულმამო და გაიგონა კიდევ მისი ხმა: — ამ ახალგაზრდა კაცის შესახებ ბევრი გამიგონია, ეგრიხელ მეთემეებსა და უბრალო ხალხს დიდი სამსახური გაუწია თურმე აზონის მპყრობელობის დროს. ვხედავ, არ იფიქრებს ფარნავაზი ქვეყნისთვის გაწეულ სამსახურს და საკადრის პატივს მიაგებს ღირსეულს.

— ათეული წლის მერე, როცა იბერიია აღორძინებული იქნება და ფარნავაზი თავის წელთათვლას შემოიღებს ქვეყანაში, უფლისციხელი ბერი ჩემს

ადგილს დაიკავებს, ქუჩებში უცნაურად გახდება და იბერიელთა უწყვეტად კეთოდ წარმართავს! — უხედავად მამა და წამოწილბულ უფლისციხელ სურს გადახედო.

— კოლხთა და ეგრიხელთა რწმენასაც, — დაუმბატა აკიმ. — დასაინანია, რომ ვერ მოვესწრები იმ დროს. ბედნიერია ეგრიხის მთავარი ქუჩი, რადგან თავიდანვე სწორი გზა აირჩია, როცა თავისი სამთავროს ბედი იბერიის დაუკავშირა. იგი აღრიდანვე მიხვდა, რომ ქართლოსიანთათვის იბერთა წინამძღოლობის დრო დადგა. კარგი იყო თავადაც მწვეოდა.

— იბერიის მეფე და ეგრიხის მთავარი რამდენიმე დღეში ეწვევიან კოლხეთის სამეფო კარს! — თქვა აღონმა.

— გვიან იქნება. ზვალა გვიან იქნება. შიის ჩასვლისას გავემგზავრები სულთა საუფლოში...

კვლავ სიჩუმემ დაისადგურა.

— მიყვარს ბრძნეთან საუბარი, რადგან სამეხლადაც არ იკადრებს იგი ტყუილს. კასანესთან ჩემი დათვლილი საათების შესახებ ვერაფერი მიიტყვამს, რადგან უმალ იმის მტკიცებას იწყებს, რომ კარგად გამოვიყურები, ჩანი გამომრთელდა უკვე და საცაა სირბილსაც დაიწყებ. მაგას რომ უსმინო, ავი უკვდავი გეგონება. ზოლო აკიმ კარგად იცის, როდის დახუჭავს თვალს სამუდამოდ. იგი მხოლოდ მოკვდავია და სხვა არაფერი.

— ვალმოხდილს სინდისი სუფთა და მსუბუქი აქვს, ზოლო სიკვდილის წინ ყველაზე მძიმე ტვირთად სწორედ შერცხვენილი სინდისი აწვება სულს. — თქვა აღონმა. — კოლხთა დღეგრძელი მეფეც ნეტარებით შეაბიჯებს გარდასულებთან შესახვედრ გზაზე.

— მინდა გადასცე იბერიის ახალგაზრდა მეფეს, ფარნავაზს, რომ დიდ პატივს ვცემ მის ვაჟკაცობასა და მეფურ სიბრძნეს. ძლიერ კოტა ხანია, რაც ქვეყანას უძღვება და მისი ნიჭის წყალობა უკვე დააჩნდა იბერიას. მადლობელი ვარ ფარნავაზისა იმის გამოც,

რომ ჩემს სიციხეებში არ მომავლო სამეფო დიდება და არ შეიერთა კოლხეთი, თუმც კი საჭიროდ მიაჩნდა ამის გაკეთება. მინდა იბერებმა იცოდეთ, რომ კოლხთაც გვისწავლია სიკეთის წილ სიკეთის გადახდა. ჩემი სურვილიცაა. ეგრისის მთავარმა და არა ჩემმა უგუნურმა ვაჟმა იმეფოს კოლხეთშიც. ქუჩის კარგად ვიცნობ და მისი პატიოსნებისა მჯერა. ასეც არ იყოს, ეგრისის სამთავროში უკვე ბევრი კოლხური მიწა გაერთიანებული. ისტორიის ჩარხის წიაღში ტრიალის მადლია ეს ამბავი და არა ადამიანებისა, რომლებიც უძღურნი ვართ განგების ნების წინაშე. რაც შეეხება ჩემს უღირს მემკვიდრეს, მას ეს სასახლე და ქალაქის ძველი ნაწილი უბოძეთ. ეყოფა, რადგან შვილი არა ჰყავს, ხოლო მისი ბერძენი გერები იმის სანაცვლოდ, რასაც ჩემგან მიიღებენ სახლიდან არ გამოაფედებენ. ნუ შეგეშინდებათ მისი, მეფობა არასოდეს სურვებია და იოლ ცხოვრებას მიეღებოდა ყმაფეილობიდანვე, ახლა შეიდ ათეულ წელს იქნება უკვე გადაცილებული. ვიცი, რომ ფარნავაზისა და მისი მეგობარი სელევკის გამო მითრიდატე თავს არ ესხმის კოლხეთს. ოღონდ ეშმაკობით ორივე დიდ მეფეს წააცილებს პონტოს მბრძანებელი, მან არა მარტო კოლხთა, არამედ იბერთა ძველი მიწებიც მიითვისა უკვე. მომავალში მისი თავხედობის ალაგმვა საჭირო. ხოლო ახლა არა მგონია, ჩემი შვილისთვის იბერიას და ასურასტანს წაეკიდოს, არც ის მგონია, ჩემი ზარმაცი შვილი ჩაეხას ტახტისთვის ბრძოლაში და მითრიდატეს აჰყვეს.

აქის ხმა აუთრთოლდა და გაღეულ დაწვებზე ცრემლი ჩამოუგორდა. კოლხთა უკანასკნელი მეფე უმალ თავისი სამეფოს საბოლოო დაკემას დასტიროდა. ვიდრე საკუთარ, გაწამებულ სიციხეებს.

— სამეფო ნიშანს და ჩემი სამფლობელო მიწების ნუსხას კასანე გადმოგცემთ, ნაბრძანები მაქვს. ხოლო გვირგვინი და სამეფო სამოსელი თან ჩამა-

ტანეთ. მსურს სამეფო ეტლზე კოლხეთის სამეფო ტახტი ეფუძვას. ზედ დამასვენონ გვირგვინისა და მისი მისტუმრონ ჩემს წინაპრებთან.

— გლოვის დამთავრების მერე, სასახლის წინ შენი ოქროს ქანდაკი აღიმართება. ასე ბრძანებს იბერიის ძლევა-მოსილობე მეფე, ფარნავაზი! — მძიმედ, მაგრამ მტკიცედ თქვა აღონმა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, ოღონდ ახლა ეს ის დიდებული სიჩუმე იყო, რომელსაც სიკვდილი ამკვიდრებს თავის ირგვლივ.

\* \* \*

...ცის საბრძანებელში მზირას ჯაღონური სარკე მოუმარჯვებია და უხარია თოვლის დაბერებულ, შავად დაწინწყულულ სახეს რომ უტკერის. იციანის მზირა. ამაოდ როდი ებრძოდა ამდენი ხანი ზამთარს. სულ მალე ამ სარკეში გაზაფხული დამკვიდრდება თავისი ლამაზი კაბით, მზირას რჩეული და საყვარელი დრო — გაზაფხული.

მთის ფერღობზე შემდგარი მგზავრი დიდხანს გასტკეროდა ბუნების მადლიან სურათს, მერე პირი იბრუნა და მწყემსების სადგომისკენ გაეშურა.

— სტუმარს მიიღებთ, კეთილო ხალხო? — კარი შეაღო და იკითხა.

— სტუმარი ღვთისაა, შემოდი! — თავი არ აუწყევია სადღეებელთან მიმჯდარ მოხუც მთიელს.

— გემრავლოსთ ცხვარ-ჯოგი, ბარაქა მოგეკეთ... — დაილოცა შემოსულმა.

— ეგრემც გისმინოს ლომისამ! — მოხუცმა ფრთხილად გადაიტანა ნაღვეები თიხის ქილაში, გვერდით მიდგა და მერეღა მოხედა შემოსულს.

— აქაური არ უნდა იყო! — დაასკვნა მცირე ხნის შემდეგ.

მგზავრმა არაფერი უპასუხა.

— კარგი კაცი ვინაობას არ მალავს! — ჯიქურ მიაჩრდა თვალეში მოხუცი.

— არც მე ვმალავ. ამ მთის გადაღმელი ვარ!.. მეღეკსე ვაჩესა და მისი

ცოლის გაზრდილი... აღონის შვილობილი.

— ბიკოს! შენ თუ დაგიჭერებ, თვით ფარნავაზ მეფე ყოფილხარ და ეგაი!...

— არა, ფარნავაზი არა ვარ, სხვაც ჰყავდა აღონს შვილობილი, მეფის ვარდა.

— არა, ფარნავაზი არა ვარ. სხვაც რას დათვლი, ბევრი გაზარდეს ვაჩემ და ანათამ, როგორც ამბობენ. მეფის მთელი ოჯახი ბიძიან — ძმებიანად შეუკედლებიათ. თვითონ მელექსეც მეფის ნათესავი ყოფილა, მაგრამ მან მაინც არ მიატოვა ხევი და თავისი ცოლივით ქალაქში არ დაიდო ბინა. ახლა თურმე დიდი სახლიც წამოუჭიმავეს. ა, იმ მთის იქეთა კალთაზე და მთიელ ყმაწვილებს ლექსის თხზვას ასწავლის, თუმცა ე, მაგის სწავლა არ შეიძლება, მაგას მადლი უნდა, თუ მადლცხებული ხარ, გამოთქვამ, თუ არა და... ახლა კიდევ ყველაფრის სწავლება შემოიდეს... ე, რა ენად გავიკრიფე... ვაჩეს ამბავი შენ ხომ უკეთ გეცოდინება. ასე არ არის?

— სწორედ აგრეა, როგორცა თქვი! — დაუდასტურა სტუმარმა და დაბალ სამფეხზე ჩამოჯდა.

— ნეტავ ჩქარა მოვიდოდნენ ბიკები, შენი ნათქვამი გაიგონ და მერე თქვან ჩემზე — ლექსომ აცა-ბაცა ლაპარაკი იცისო. რახან ეგეთი საპატიო სტუმარი მოგვივიდა, ხორც-წვევსაც გავაცხელებ, მთოვარესავით აფუებულ ყველს მოვამგორებ სუფრასთან, პურის სურნელით გადაბრუებულ ლუდს ავაქაფებ და მერე ერთ-ორ სიტყვასაც ვეძუვით ერთმანეთს. მანამდე თაფლი გაღებე, ზედ ვაზის ნაყური დააყოლე, გუნებაზე მოგიყვანს და დალილობას მოგაშორებს.

ციბრუტივით ტრიალებდა ეს დროული კაცი. ისე ირჩებოდა, თითქოს არც ესმოდა მგზავრის სიტყვები: დასარჩენი დრო არა მაქვს, აი, იმ მთაზე გადასასვლელი ბილიკი მიმინიშნე, მადლობას გეტყვი და ამით დავამთავროთ ჩვენი სტუმარ-მასპინძლობაო. როცა ხორცი შემოდგა მოსახარზად, მხოლოდ მაშინ ჩამოჯდა და გასცა პასუხი მგზავრს.

— ძალად კაცის დაქვერე, ცინჯ-კაქვე, მაგრამ რომ გითხარი, ბევრადი ჩრუღუნ და ყველაფერი გაირკვევა-მეთქი, სიმართლე იყო. ლექსო მხოლოდ სიმართლეს ლაპარაკობს. — შეიქო თავი მოხუცმა. — ბიკებმა იციან მთის იქეთ გადასასვლელი გზა... მეც კი ვიცი, მაგრამ დიდი დრო წამივა მის ძებნაში, თანაც სადგომის მიტოვება არ შეიძლება, პოდა, საცაა გამოჩნდებიან და მერე დამიდგეს ბუთულა, რომ იძახის, მეფეს მთაში არ უცხოვრიაო... სად გავიწილა, შვილოსა, ეგეთი ვაქყაცი ბარში გაზრდილიყოს... შენ ხომ იცნობ, ფარნავაზს?

სტუმარმა თავი დაუქნია.

— შენ იქნებ სხვა დროს გაიზარდე ვაჩესთან, მაგრამ ერთხელ მაინც გინახავს ალბათ მეფე! — ეტყობოდა, არ უჭერებდა ფარნავაზის ნაცნობობას სტუმარს დამხვდური.

— ბევრჯერ მინახავს!... — გაიღიმა მგზავრმა.

— ამბობენ, კლდის ლოდს ერთი დარტყმით ამხვრევსო, რომ მოინდომებს, ხეს ძირფესვიანად თხრის მიწიდან ცალი ხელითო... ბუთულა ამბობს, ჩემი თვალით ვნახე, ლომისა და ფარნავაზი რომ საუბრობდნენ აგე, იმ მთის წვერზეო... თურმე მეფე ღვთაებას მთიელთა გამრავლებას და ჩვენი ცხვარძრობის სიმართლეს სთხოვდა... ბუთულა ამბობს: ე, იმ მთაზე რომ არ იყო წამომართულიო, მხრებით ცას სწვდებოდა და მკერდზე მზე და მთვარე ესვენაო... პაი ღედასა, კაცი ვარო მაგან უნდა თქვას, მთელი ხმელეთის გამგებელია კვირია კარვიანივით.

— სწორედ ასეთია მეფე, როგორადაც ბუთულას უნახავს! — დაუდასტურა მგზავრმა მოხუცს.

— ბუთულა არ მოიტყუებს. რაც ნახა, იმას იტყვის. არც დაუმატებს, არც მოაკლებს... ოღონდ არც იცის, იცის, ვერ გადაათქმევინებ, ეგეთია ბუთულა და რა მისი ბრალია.

ამ ლაპარაკში მწყემსების სადგომს ორი ღრმად მოხუცებული მთიელი მი-

უახლოვდა. სწორედ ისინი იყვნენ ბიჭები. რომლებსაც ლექსო ასე სულმწარედ ელოდა.

ძლიერ გაიხარა ლექსომ.

— ხომ გაითხარი, საცაა მოვლენ-მეთქი!...

მოსულუბმა ერთი კი ახედეს ფეხზე წამოძვარა მგზავრს და მერე ერთ-ერთმა იკითხა: — დაბრუნდა ქარბებელა? ლექსომ თავი გაუქნია.

— თვითნათქვამაა თავის მამასავითა, ბევრჯერ ვასწავლე. მზე რო გადადგება, ცხვარი წალმა გადმორეკე. თუ გინდა რო კარგად მოისვენოს და ნადირმა არ დაგიგლიჯოს ლამით-მეთქინა!

— რო არ გვისმენენ?... ბარც ისა და არც შენი ძმისშვილები?! ამ ახალგაზრდებს ვერაფერს შეასმენს კაცი... აბა, როგორ იქნება ერთი ფერდობი ცხვრის აღაზრბელზე რა რება. ერთხელაც გაგვიკარისხალება ლომისა და ნადირსაც მოგვისევს და ელისასაც დაასჯევიანებს მაგათ თავსა.

— ა, ხო გეტუნებოდი, იგეთები არიან, კარგები მეთქი. სუ ვარდყოილი უყვავით ბაგეზე-მეთქი, ხო, გესმის როგორ ილოცებიან?! — მიუბრუნდა ლექსო სტუმარს. სტუმარს გაეციხა და თავისი კითხვა გაიმეორა.

— რას კითხულობს ეს დასარჩენი, ლექსო?! გზა თუ იცითო, ამას კითხულობს, კაცო? აბა, რა უნდა ვიცოდეთ ამ მთის კალთაზე დაბერებულმა ხალხმა?! რაო, ხო არაფერი შეგვიტყვია ისეთი მაგ შენი სტუმრითვინა. — თავთან აიჭნია ხელი ბუთულამ.

— ხო გაითხარი აღამიანო, ბიჭებს ეწყინებათ. ეგრე არ დააჯაბო-მეთქი. შენა კიდევ, აჯაბე... განა დაულოცავად წასვლას აპირებს, — მიუბრუნდა ლექსო ბიჭებს. — არა კაცო, კიდევ დაილოცება და კბევის ამბებსაც გაგვაგებინებს. ნავალი ჩანს. დილით კიდევ ახალგაზრდებიც დაბრუნდებიან და გზამდევ ჩვენ მივაცილებთ სტუმარსა... ასე მოვილაპარაკეთ თქვენ მოსვლამდინა.

... ეგრე გეტყვათ, თქვენ კაი ხალ-

ხო!... — გული დაიარჩენია მგელომ, გადაკრილ მორზე მჭერკმენუსაგან გულდაგულ დააფინა ზღაპრის წიგნი.

ამ სამ მეგობარს, ერთმანეთთან შეზარილ სამ მთიელს, მთელი ცხოვრება ერთი მეორის ქილიკობასა და იმის მცდელობაში გაუტარებიათ, როგორმე ერთმანეთი დაეჯანათ ზღაპრის, ლექსის, სიმღერის თქმაში, ხუმრობაში... თუ წინათ გულწრფელად უქებდნენ ერთმანეთს — დღეს შენ გაიმარჯვე, შენი ლექსი ან ზღაპარი უმჯობესი იყოო, ამ ბოლო დროს სამივე თავის უპირატესობას იჩემებდა და ხშირად საქმე ჩხუბამდე და ერთმანეთის ლანძღვამდეც კი მიდიოდა... მეორე დღეს, წინა ღამის განხეთქილებას იფიქრებდნენ, მაგრამ ჩხუბის მერე მთელი ღამე არ ეძინათ ერთმანეთზე დარდით. „ხო ძლიერ არ ვაწყენინე და გული არ ვატკინეო“... სილამოს კი ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ისე მოაბეზრეს თავი თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს, რომ ახალგაზრდები მინდორში დაძინებას ამჯობინებდნენ, მოხუცების გაუთავებელ ლაპარაკს, ქიშპობასა და მორიგებას.

ჰოდა, რა გასაკვირია, მეოთხე კაცის გამოჩენა დიდი სიხარული რომ იყო ბებერი მეცხვარეებისთვის. ამ ერთ სილამოს მაინც ეყოლებოდათ მიუდგომელი გამკითხავი და მათი ნიჭი ამ ერთხელ მაინც იპოვნინა და ამფასებელს. თუმცა თვითველს თავისთავი წინასწარ მიაჩნდა გამარჯვებულად, მაინც დაპირდნენ მგზავრს, ყველაზე საუკეთესო ჩვენს შორის ოცდაათ ცხვარს მოგართმევს საჩუქრადო. ასე იმიტომ გადაწყვიტეს, რომ გულუბრები იყვნენ და თვითველი საკეთიარი დოვლათის გაცემას ამჯობინებდა და ზარალს ხალისით შეხვდებოდა.

მგზავრი ცოტა ხნის მერე ძლიერ კმაყოფილი იყო, რომ ბედმა ამ კარგ მოხუცებს შეახვედრა და მთელი გულით ჩაება მათ ჰაქქრობაში.

კარგა ხანს იღავეს იმაზე, თუ ვის უნდა დაეწყო თხრობა, ბოლოს მაინც გამკითხველს დაუჭერეს, მაინც მეცხვარის

ქულში სამი ერთნაირი ზომის კენჭი ჩა-  
აგდო და თქვა, ვისაც ნიშნისანი კენჭი  
შეგზვდებათ, ის იქნება დამწყებიო.

ლექსომ ღვთაებას მადლი უძღვნა,  
რომ პირველობა მას არგუნა და კმაყო-  
ფილმა დაიწყო.

პირქუშის ამბავი  
პირქუშო, სიტყვას შეგებდავ,  
კვირიას ნებით ვპლერიო,  
თუ კარგად ვერ ვთქვა, შემინდავ,  
არ გამოხარო მტერიო...  
შენს გზაზე ვდგავართ მთიელნი  
უველი: ვრი და ბერიო,  
სალოცვ ტაძრად ზევი გვყავს,  
შენი კაცობის მჩენიო,  
არ გაურისხდე ლექსოსა,  
არ დაუქარგო ფერიო,  
თორე დამცინებს ბეთელა,  
ჩემზე გონჯერად მთქმელიო.

იმ ბრძოლის მერე პირქუშში ღვთაებამ  
თავისთან წაიყვანა და თავის კარავში  
დაუდგა ტახტი.

ბრძოლის ველი ღვევების სადგომს მი-  
აგავდა. გამოღმა მხარეს მთიელთა ჯა-  
რი იდგა, გაღმა კი, მდინარის პირზე,  
არიან-პონტოელების რჩეული მეომრე-  
ბი შემართულიყვნენ საომრად. ე, მაგ  
ომში ჩვენი სამშობლოსა და ჩვენი მე-  
ფის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო...  
აზონი კლარჯეთში იყო გამაგრებული  
და იქედან წასვლა არ უნდოდა, ის კი  
არა, უკან დაბრუნებასაც ფიქრობდა,  
მცხეთაში.

მთიელთა მხრიდან კარგად მოჩანდა  
მტრის ოქროსფერი მთუარადები და  
რკინის დაწნული ჯავშნები, ცისკენ აწე-  
დილი შუბის წვერები, სიხშირით ფა-  
რავენის ტყეს რო მოგაგონებდა კაცსა.

არიან-პონტოელების ზურგს უკან  
ბერძნების და შავსახიანი მეომრების  
დამხმარე ჯარი განლაგებულია. ბორბ-  
ლებიან კარავებში შემბული მკერდგანი-  
ერი, მალაღფეხებიანი ცხენების ჰიხვინი  
არემარეს აყრუებს...

მტერს კიდევ მთიელებზე გამწყარალი  
ბრძოლის ღვთაება დასტრიალებს და  
საგაყკაცო გუნებაზე აყენებს...

ბრძოლაში წასვლის წინ მთიელებმა  
რჩეული ხარი არ შესწირეს მტერს...  
რიგეს. მორიგეც განაწყენდა და მათ-  
თვის ჭკუის სწავლება გადაწყვიტა...

ორი დღეა ბრძოლის სასწორი დგას  
და არ იძვრის, ვერ იქნა და ვერ გად-  
მოსწონეს თავიანთ მხარეზე მთიელებ-  
მა, ის კი არა, გულიანადაც ვერ იბრ-  
ძოლეს. არა და მესამე დღეს, მათ წინ  
რაცა დგას, განადგურებული უნდა იყოს  
და პირქუშის ლაშქარი გამარჯვებული  
უნდა შეუერთდეს მთავარ ჯარსა, რო-  
მელსაც თავად მეფე ფარნავაზი მეთა-  
ურობს.

ზის პირქუშში თავის ცხენზე და ხმას  
არ იღებს. გააყურებს მინდორს და  
არის. გაუშვებს ერთ რაზმს და ეუბნე-  
ბა: — მდინარის გაღმა გადასული არ  
გნახოთ, წყლის გასწვრივ ჩაიქროლეთ,  
აპყევით და დაპყევით; ოღონდ ისე მა-  
რდად ითამაშეთ ცხენებზე, რომ არც  
ცხენი მოგიკვდეთ და არც თავად გე-  
ნოთ რამეო. ჩავარდებოდნენ მთიელები  
მდინარესთან, წამოვიდოდა ისრების სე-  
ტყვა, გამოეჭანებოდნენ მტრის დიდ-  
რონი ცხენები, ატყდებოდა ერთი ვაი-  
უშველებელი და ჩამქროლავეებზე წა-  
მოსულ მტერს აგერ გვერდიდან დაუ-  
შენდნენ ისრებს ტანჩიას ბიჭები. ეს  
იყო მთელი ბრძოლა. ხშირად მტრის  
ნატყორცნიც ხედებოდა მიზანს და მდი-  
ნარე ერთმანეთში ურევდა მტრისა და  
მოყვრის სისხლს.

ზის პირქუშში თავის ცხენზე და ხმას  
არ იღებს. ოღონდ რო გააღჭრიალებს  
კბილებსა, მეორე მხარეს კლდის პობა  
პკონიათ. დაღამდება და მაინც იქვე დგა-  
მან მთიელები, სადაც დადგნენ. წინ ვერ  
მიდიან. ცეცხლს აანთებენ, მცველებს  
დააყენებენ და იგრე ბრაზობენ, რომ  
ლაშისაა საკეთარი ზორცები დაიჭამონ.  
არადა, ეს სულძალდი მტერიც დგას და  
გულარხეინობს, ვითომც თუ მეტი არ  
შეგეძლოთ, ეგრე შორს ჩვენთან საომ-  
რად რას მოდიოდითო. ისინიც ცეცხლს  
დაანთებენ და მთიელების გულის გასა-  
ხეთქად სიმღერასაც შემოსძახებენ. რა  
ენაღვლებათ, ერთმანეთის ნათესავეები

არ არიან და ახლობლები, მკვდრებზე რომ იტირონ. ჩვენსკენ კიდევ, ერთი დაპტილი რომ ამოიკვენესებს, ათასი გული ითაწყება ტკივილითა.

მეორე ღამეს ბარე ოცდახუთი დაპტილი კვენსოდა და ამდენივე მიწას იყო მიბარებული. ჰოდა, რა გულმა უნდა გაუძლოს, ადგილის ტკეპნაში ამდენი მეომრის სიკვდილი ნახოს და არ გაგიტდეს.

ზის პირქუში თავის ცხენზე დღე და ღამე და იგრე გრიხავს წარბებსა, რომ გლვასავით ათამაშებს შუბლზე. არ იძლევა უფლებას მდინარე გადალახონ მთიელებმა და თუ ვერ მოერევიან, ზედ შეაკვდნენ ფუტკარივით აბუღილებულ მტერსა.

ითმინეს მთიელებმა და ვერ მოითმინეს ბოლოს. მივიდნენ და ეუბნებიან პირქუშსა: თუ ნებას არ მოგვეცემ, ზვალ დილით აღარ მოგისმენთ და რომ დავიძრობით ამ ადგილიდანა, ე მაგ მდინარესაც გადავალთ, ეგრე რომ მისჩერებიხარ და დიდი რამე გგონია, ჩვენ ვაუკაცობას გამოვცდით, ერთ-ორ სულგაძაღლებულს გავიყოლებთ მოუსავლეთში და მერე, თუ მოგვეკლავენ, იმას მაინც არ იფიქრებენ. შავსახიანები, ე, რა ჯაბანი ხალხი ყოფილან მთიელებიო...

მაშინ ამოიღო ხმა და ეგრე დააკვისინა თვალებსა, რომ სულ ნაპერწყლები გასციედა მინდორსა — ერთ-ორი არა ემარაო...

სულ შეიშალნენ მთიელები: ეხლა სუყველა ცოცხალია და ერთი-ორი თითომ რომ გავიყოლოთ, ხომ შევათხელებთ მაინცო. მერე კიდევ, ფარნავაზ მეფე უპატრონოდ ხომ არ დაგვეყრის, მოგვეშველებო...

— ეგრე თუ ფიქრობთ, სულაც არ ვიბრძოლებ თქვენს გვერდით, მთაში დაბრუნდით და თქვენს დედაკაცებს მოუყევით, რა სირცხვილიც ჰამეთო.

— არ გინდა ამის მოთმენა? თვითონ ბრძოლაში არ გიშვებს და ახლა იმას გეუბნება, კაყმაღ არ ვარგიხარო. არა და, პირქუშს ვინ შეკადრებს სიტყვასა.

გაბრაზდნენ და რა გაბრაზდნენ მთი-

ელები. ბოღმისგან ღამის გულზე დაუსკდეთ. ახლა იმას ვეფხინებოდა ვეფხი დილით რომ დავიძრობდი ამ ადგილიდანა, ე, მაგ მდინარესაც შევესვამთ და იქ დამდგარ აზონის ნათესავებსაც ხორცად მივაყოლებთ, ერთი რომ ერთია, იმასაც არ გავუშვებთ ცოცხალსო...

განთადისას მივიდნენ და ეუბნებიან: — ხო ბევრნი არიან, არა? მზის ამოსვლამდე არც ერთი ცოცხალი არ იქნება, რაც იმ მდინარეზე პირთეთრი მეომარიო.

მაშინ გაუცინია პირქუშს და უთქვამს: იმ შავებს, კიდევ, მე მოუფელიო...

ეგ უთქვამს და მზეც ამოსულა თურმე იმ წამში...

შეუხედნია მზისთვის და იგეთ ხმაზე შეუშლერებია მადლი, რომ მტრის ბანაკიც ერთიანად ფეხზე დაუყენებია.

მერე დაუძახნია იმათი მეთაურისთვისა — მოვდივარ, დამხვდითო. წასულა და თავისი ექვსი ვაჟი გაუყოლებია, მერე მთიელთა მთელი ლაშქარი.

რას იფიქრებდა მტერი, რომ ეგეთი მშვიდი და კეთილი „მეზობლობის“ მერე მთიელთა ლაშქარი ეგრე გრიგალივით შევარდებოდა მის გულში და იქ დაატრიალებდა ამბავს.

ყველა კარგი ვაჟკაცი იყო და აბა ბრძოლა ვის შეეშლებოდა. ჰოდა, მზე რომ კარგად გასწორდა საბრძანებელში, რაც კი მტრის მხედარი დაჯირითობდა წინა დღით მინდორზე, თითქმის ყველა დაპტილი ან მკვდარი ევლო.

მინდორს რომ არ გადახედა პირქუშმა, ბრძოლა ახლა იწყებოდა, დაიძახა და შავსახიანებისკენ წავიდა. იმათ თურმე სხვანაირი ბრძოლა უსწავლიათ ბერძნებისგან. თავზე ფარებდაფარებული იგრე მოიწვედნენ წინ, გეგონებოდა გველუშაში მოიზლაზნებოდა. უკან კიდევ ბორბლებზე შემდგარი კარვეები გაუშვებოდათ ერთმანეთზე მიჯრით, იმის ძირში კიდევ ხმალშემართულები მიუმაღავთ...

— მტერს კი არა, ჩვენ არ გვეცნობა, პირქუშიო, — განცვიფრდნენ თურმე მისი შემყურე მთიელები. ისე მიეჭრა



თავზე რკინადაფარებულებს და იგრე დაჰფანტა, ჭორი რო დაჰფანტავს ხოლმე შეთვალერებულ კრუხ-წიწილასა. იარალი არც უხმარია, სულ ერთმანეთში აუზილა ცხენი და კაცი, იმ დიდრონ ცხენებს ცალ ფეხში რო წააელებდა ხელს და მოიქნევდა, ერთი ოცი კაცი იმ ცხენის მსხვერპლი ხდებოდა... მზისგან ბოძებული შეადღე რომ დადგა, ბრძოლა მოგებული იყო და დარჩენილი მტერი თავქუდმოგლეჯილი მირბოდა, მისდევდა პირქუში და ასიოდე მთიელი...

გაქცეულებს პირქუშის შემოძახილი რო არ ესმოდათ, იგრე აჩქარებდნენ ცხენებს, რომ შორიდან გაფრენილ ისრებს ემგვანებოდნენ, მაგრამ პირქუშს ვინ გაქცევია. იმდენი ქნა, მდინარესთან უკან მორეკა გადარჩენილები და იარალი დააყრევინა, მერე დამშვიდდა და შვილები მოიკითხა. — ეგერ არიანო, უნიშნებიათ იმ ადგილისკენ, სადაც უფროსი ვაჟიკა იჯდა. მისულა, ხედავს, ხუთი ვაჟაკი ერთმანეთის გვერდით აწყვია მკვდარი, ყველას მკერდში აქვს მოხვედრილი მტრის ისარი.

უფროსისთვის უთქვამს: — მეფეს აზონის დაჭირავებული ჯარის დამარცხება ახარე და უთხარი, მთიელებმა არ შეჭამეს აზონის ჯავრი-თქო.

უფროსი ვაჟი რო გაისტუმრა, მერე დამარცხებულ მტერს ორმოები ათხრევინა და ყველა მკვდარი, ჩვენიცა და იმათიც, ჩააფლევინა.

ბოლოს თვითონ გათხარა ერთი ძალიან ღრმა ორმო და ეგ თავისი ვაჟაკი შვილები ერთმანეთზე უმცროს-უფროსობით დააწყო და მიწა მიაყარა.

მერე იარალაყრილი და შერცხვენილი მტერი მეფეს გაუგზავნა და გადარჩენილი მთიელებიც მიაყოლა. დააბარა: — სთხოვეთ მეფეს, თუ ბათენას ბრძოლა არ დაუშთაერებია, იმის ლაშქარში ჩავრიცხოთო.

ეგრე გაისტუმრა ყველა და დარჩა ბრძოლის ველზე დაცემულ თანამებრძოლებთან და შვილებთან...

ამბობენ, მკერდში დაჭრილი იბრძო-

და პირველი შეტაკების მერე პირქუში და იმ კრილობამ მოკლეს მკერდში დაჭრილი კაცისგან ბრძოლა.

უფრო სწორია, რასაც მე ვიტყვი. იმ საღამოს თურმე კვირია კარეიანს ვაჟკაცის გმინვა მოესმა, მოუახლოვდა და ხედავს, ზის და ტირის პირქუში დაღუპულ მოძმეებსა და შვილებს. მხარზე დაუდვია ხელი ღვთაებას მისთვის, თავისთან წაუყვანია და უთქვამს; ბევრი გმირული საქმე ჩაიდინე, სანამ მიწაზე იყავი, და კარგადაც უპატრონე მთიელებს, ახლა ჩემთან წამოდი და მათი საქმეები ერთად გავარიგოთო. წაპყლია პირქუში კვირიას, აბა ღვთაებას უარს ხომ არ ეტყოდა... მის მერე ყოველ მზის ამოსვლისას გადმოდგება აი, ყველაზე მაღალ კლდეზე და გვდარაჯობს, ვინმემ არ შეაწუხოს მთიელებიო...

მთიელებიც ვლოცავთ და მადლობით ვიხსენიებთ ჩვენს გმირსა.

— ასე ყოფილა ეს ამბავი! — გაასრულა სათქმელი ლექსომ და მიყუჩდა.

— კი ასე იყო! — დაუდასტურა ბუთულამ და მგელომ.

თითო ჯამი ლუდი შესვეს ბერიკაცებმა და მერე მგელომ დაიწყო თხრობა.

**ამბავი შარანაზის გამარჯვების**

მთელთ უბეში გაზრდილო, ფარნავს  
 შეიღე მზისაო,  
 შენსა გმირობას მამლერავს, დიდ ძალა  
 ლომისისაო,  
 შეხველ მცხეთაში ტახტითა, როგორც  
 ნატეხი კლდისაო,  
 გველეშაპისგან დაიხსენ საფლავი  
 ქართლოსისაო,  
 მესტერიის პანგზე შელეწე ცხენი  
 კლარჯეთისაო,  
 სენს ყოველ სიტყვას, საქმესა, ნათელი  
 ადგას ცისაო,  
 მოთ გაგებს ბებერ მგელიკა, გულ რო  
 გაქ მოყვისისაო,  
 მიტომ ხარ გმირი — ვაჟაკო, მადლი  
 რო გაბლავს მთისაო.



ფარნავაზ მეფე მცხეთაში რო შევიდა, მამა-პაპის სასახლეში ოქროს ტახტი რო დაიდგა და გვერდით ხვთაების რჩეული დედოფალი რო დაისვა, ბრძანა: — ამიერიდან მოძმისგან მოძმის სისხლი დაღვრილი არ ვნახო.

იბერთა მოძულე აზონის მეფობისას საქმე ისე წავიდა, რომ ქართლოსის შვილები ერთიმეორეს დაუებრნენ და ქვეყანაში ძმთა კვლა ისე გაჩაღდა, როგორც ნადირობის დროს მორეკილი წვრილი ნადირის ზოცვა. მაშინდელი ქიშობა და ერთმანეთის მტრობა ხალხმა იოლად ვერ დაივიწყა და მიუხედავად ფარნავაზის ბრძანებისა, თავდასხმა, აწიოკება, ჩასაფრება და სიკვდილიანობა არ მოიშალა... სისხლის აღება არ შეწყვიტა.

მტერი ქვეყნიდან განდევნილად რო დაიგულეს, ახლა ერთმანეთს დაუწყეს ანგარიშის გასწორება. ეს მაშინ, როცა აზონი ჭერ კიდევ ცოცხალი იყო, არტანში იდგა და დიდძალ ლაშქარს აგროვებდა. ფარნავაზის დამარცხება, ტახტიდან ჩამოგდება და მცხეთაში დაბრუნება ეწადა.

ფარნავაზმა, ტახტზე რო დაჯდა, ასურასტანის მეფეს თავისი ამბავი შეატყობინა და იმანაც გაიხარა, ჩვენი მეფე შვილად მიიღო და ოქროს გვირგვინი გამოუგზავნა. თავის ქვეშევრდომ სომხებს უბრძანა, ლეთის ნებით ახალი მბრძანებელი მოგვევლინათ და მას ემსახურეთ...

გულმოწყალე ფარნავაზმა კეთილად მიიღო სომხეთის ქვეყანა და როგორც ქვეშევრდომს, ისე კი არ ექცეოდა, როგორც წინათ ასურასტანის მეფე, არამედ როგორც იბერიელთა თანასწორს. ჰოდა, ბრძანა, თუ იბერიელი თავისიანს მოკლავს, შეპურობილ დამნაშავეს დასჯამდე მოვეუსმენ და ისე გამოვუტან განაჩენს, ხოლო ვინც ჩვენს მეგობარ სომხებს მოუსწრაფავს სიცოცხლეს, განუსჯელად მოვაკვდინებო...

იმ ერთ წელს დიდი საქმე დაატრიალა მეფემ ქვეყანაში, მცხეთა-ქალაქის ციხე-ზღუდვები აღადგინა, გაამაგრა და

საბოლოო ბრძოლისთვის ჯარის გაწვრთნა იწყო. მის ჯარში იბერიელები გვერდით იყვნენ ფარნავაზის მეგობარი ბერძნები, რომლებიც წინა ბრძოლაში მის მხარეზე გადმოვიდნენ, აზონს გაუხუდგნენ, კიდევ ასურასტანიდან ჩამოსული მეომრები და სომეხი ერისმთავრები, თავიანთი ჯარით...

როცა ფარნავაზი აზონთან საბრძოლველად გაეშურა, მცხეთას გასცდა და კლარჯეთისკენ გადახვევას აპირებდა, გზად უფლისციხის ქუროში შემოხვდა. ურემზე თოკით გადაკრული ჭაბუკი მოჰყავდა მეფესთან... ურემს ატირებული მოხუცი მისდევდა, უკან.

თეთრონი შეაჩერა მეფემ. ქურუმმა მოახსენა, ამ თავხედმა სომეხი ქურუმი მოჰკლა, იქვე მიწოდდა ხეზე ჩამომეკიდა შენი ბრძანებისამებრ, მაგრამ მამამისის საცოდაობამ შენთან წამომიყვანაო. მამამისი კი იმტიცება, ის სომეხი აზონის კაცი იყო და იმიტომ არ დაინდო ჩემმა ბიჭმაო...

ფარნავაზმა წარბი შეჰყარა და ქურუმს უთხრა: — ჩემი ბრძანების შეუსრულებლობისთვის შენც დასასჯელი ხარ, არა მარტო ის თავხედიო, — და, ის იყო უნდა დამრულიყო, რომ ფეხებზე მოეხვია თეთრონს მოხუცი მამა და შექალადა მეფეს!

— ორი უფროსი ვაჟი წინა ომში მომიკვდა, შენს გამარჯვებას შეეწირენ აზონთან. ეს ერთილა დამრჩა. ფიცხია, მაგრამ გულმართალი, არ იქნებოდა მართალი კაცი ის სომეხი, თორემ შენს ბრძანებას არ გადავიდოდა საზანოო... ახლა საომრად მიდიხარ და წაიყვანე, ყველაზე რთულ ბრძოლაში ჩააგდე, და ესეც შენს გამარჯვებას შეეწიროს თავის ძმებივით, ეგრე ლაჩრულად ნუ მოაკვდინებო.

არ ჩვეოდა თავისი სიტყვის გატება ფარნავაზს, მაგრამ ბრძოლაში ეჩქარებოდა, თანაც ეშინოდა, ეს ამბავი სომეხმა ერისმთავრებმა არ გაიგონ და არ გამოიორგულდნენო და სანამ უკანა ჯარი მოეწიოდა, ჭაბუკის განთავისუფლება და წაყვანა ინება. ბრძანა — მო-

წინავეთა პირველ რიგში დააყენეთ, ვნახოთ, როგორ გამოისყიდის დანაშაულები.

ქურუმმა და მოხუცმა გულით დალოცეს მეფე და შესაწირიც მიუძღვნეს ომის ღვთაებას, — მისი კეთილად დაბრუნება შესთხოვეს.

მიიყვანა მეფემ ლაშქარი და საომრად განალაგა. მარჯვენა მხარე პირქუშს უბოძა, მარცხენა ბათენას, თვითონ კი აზონის პირისპირ დადგა.

როცა კაცს სიცოცხლის დახსნის უკანასკნელი საშუალება მიეცემა, მაშინ მთელ თავის ღონესა და ნიჭს მოიხმარს ხოლმე ასე ჭნა აზონმა. რაც იბერიის ძარცვაში ოქრო და ვერცხლი დააგროვა, ყველა ამ ბრძოლას შეაღია. თვალუწვდენელი ქვეყნის რომელი კუთხიდან არ მოიყვანა ლაშქარი, და იბერიის ახალგაზრდა მეფის წინააღმდეგ ჩვეულებრივი, ვაჟაკური ბრძოლა კი არ დაიწყო, არამედ რაღაც უცხო მანქანები მოაგორა და ცეცხლი და ქვა დაუშინა იბერთა ჯარს.

მკლავდონიერი და პირისპირ ბრძოლაში უბადლო იბერიელები უსაბულოდ ეცემოდნენ ბრძოლის ველზე და ცოცხალი ვერ აღწევდნენ მანქანებამდე... შიშმა შეიპყრო ბრძოლის ველი... შეფიქრიანდა გამარჯვების თანაზიარი ფარნავაზი.

მანქანიდან გამოტყორცნილი ცეცხლი პირველად იხილა... — მიუღწევია თავის მიზნისთვის აზონსო, — მოახსენა ძველად აზონთან ნამსახურებმა და ახლა ფარნავაზის მეგობარმა ბერძენმა ათასისთავმა. — ამ 25 წლის წინ, სამარას ციხიდან ცეცხლოვანი სითხე რომ გადმოასხეს იბერებმა და მიწა ააბრიალეს, იმ დღიდან ოცნებობდა პონტოელი ისეთ მანქანაზე, რომელიც სითხეს ცეცხლად აბრიალებულს გამოისროდა შორს მანძილზე. მანქანებთან დაქირავებული ბერძნები ეყოლება აზონს, თვითონ კი ციხეში იქნება გამაგრებული პონტოელებთან ერთად, ასე რომ, ჯერ ამ მანქანების მოცილება მოგვიწევს. მერე კი ციხის აღება.

ფიქრობს მეფე, როგორ მოუხვედრეს ციხეს ცეცხლის ალი, არადა მანქანები მემანქანეების მოსპობა არ ხერხდება, უთვალავი ლაშქარი დგას ციხის ირგვლივ, მაგრად იცავს ცეცხლს მტერი.

დილით კვლავ ჩადგნენ იბერები თავგასაწირად, მეფემ უარი თქვა ბრძოლაზე, უბრალოდ ხალხის დაღუპვა არ ინება, ხერხს ეძებს რასმე.

უახლოვდება პირქუშის უფროსი ვაჟი და გამარჯვებას ულოცავს, — მტერი მარჯვნიდან არა გყავსო, — ახარებს. უახლოვდება ბათენას მსტოვარი და გამარჯვებას ულოცავს, — მტერი მარცხნიდან არა გყავსო, — ახარებს.

აზონი კი ცოცხალი და უვნებელი ქაჯთა-ქალაქის ციხეშია გამაგრებული, ხოლო გამარჯვების თანაზიარი ფარნავაზი დგას, გაჟურებს ციხეს და ბრძოლაში ვერ ჩაბმულა.

ხედავს მეფე — საზანო მიჰყავს მეფის სადგომისკენ სპასალარს, ხელთ უცხო საკრავი უჭირავს ახალგაზრდას.

— არ დაიშალა, მეფეო. ღამით შენთან შემოსვლას აპირებდა, შევიპყარით. ახლაც გამოპარვია მცველებს... ნაბრძანები გვაქვს, ჯარისკაცს არ აწყენინოთო და არ დაესაჯე, შენთან მოვიყვანე.

იცნო მისი განთავისუფლებული ქიბუკი მეფემ და წარბი შეჰყარა.

მუხლებზე დაეცა საზანო და ლაპარაკი დაიწყო. თავისი გეგმა მოახსენა მეფეს.

გაგიდნენ ათისთავები, — სად გავიწილა სიმღერა იარაღად იხმაროსო კცემო...

— სიმღერა რომ კარგი იარაღია, ეგ როგორ გამომრჩაო, — გაუღიმიო მეფეს და წარბივ გაუხსნია. — როდის აჯობებს შენი ჩანაფიქრის განხორციელებას.

— შეადლისას, მეფეო. ჭამის მერე სხეული დასვენებას ითხოვს, ხოლო გული საოცნებოდაა განწყობილიო, — უპასუხნია საზანოს.

შეადლისას საზანომ თავისი გულდასტვირი აიკიდა და მარტო წავიდა მტრის სადგომისკენ. შორიდან დაინახეს. მოე-

ნე ეგონათ და დაელოდნენ. შუა ადგილს რომ მიიღწია, მინდორზე ჩამოჭდა და გულდა-სტვირი ჩაახვერა. მაშინ არაფერ არ იცოდა, რა იყო გულდა-სტვირი. რადგან საზანო იგი თვითონ შექმნა, მის მიერვე გამოთქმული ლექსების დასამღერებლად.

დააკენესა და დააკენესა, ისე აატირა საკრავი, რომ თვითონაც იტირა და სიმღერის მოყვარული ბერძნებიც ატირა. მერე დაამღერა, მაგრამ რა დაამღერა... სამშობლოდან წასულ, ომის გზებზე უცხო მეფის სამსახურში უსახელოდ დაღუპულ ვაჟკაცზე, სახლში დარჩენილ ცოლზე, საყვარელ ქალზე... მერე მონად გაყიდულ კაცზე იმღერა... რა ხმა ჰქონდა დალოცვილს... ბერძნულად გალექსილს მღეროდა და იქითა მხარეს ყველას ესმოდა ეს ენა.

უსმენდნენ ქაჯთა-ქალაქის ციხის ირგვლივ განლაგებული მეომრები საზანოს ხმას და ოცნებობდნენ სახლზე, ოჯახზე, სამშობლოზე, შეყვარებულებზე... მოკლედ, როცა საზანო შვილის მომლოდინე დედაზე ამღერდა, ამხელა მინდორზე ჩასაფრებული უთვალავი ვაჟკაცის გული გაღვია, რადგან დედის სიყვარული ყველას ერთნაირი აქვს.

ჰოდა, ამ დროს არა წინიდან, არამედ გვერდიდან მოვარდა მეფის პირადი ლაშქარი, რომელსაც თვით ფარნავაზი მოუძღოდა. ქარიშხალივით შემოიჭრა მტრის ბანაკში და ისე სწრაფად გაჩნდა მანქანებთან, რომ მტერმა გონს მოსვლაც ვერ მოასწრო.

ალბათ თვალზე მომდგარმა ცრემლმა თუ შეუშალა ხელი შემანქანებებს გასროლაში, ხოლო სანამ ცრემლი მოიწმინდეს, მათ ცხვირწინ მოჰქროდა იბერთა დანარჩენი ჯარიც. მაინც გაისროლეს, მაგრამ ახლა აღმოდებული იბერიელი მეომრები პირდაპირ მათზე წამოვიდნენ და იმავე ცეცხლში ამოწვეს მტერი.

მტრის ჯარში ხმა გაეარდა — იბერიელების მხარეს თვით ომის ღმერთი იბრძვისო... ამას ჩვენს მეფეზე ამბობდნენ, თავის თეთრონზე ამხედრებულ

ფარნავაზი მართლაც ზღაპრულ გმირს ჰგავდა...

სალამო ხანს ბრძოლის ბედნიერად დაწყებული იყო.

შეშინგან გამჭრალი აზონი ფარნავაზის ფეხით ეგდო და სიცოცხლის შენარჩუნებას სთხოვდა ჩვენს მეფეს. მეფემ საზანო მოიკითხა. მომავლდავი მოუყვანეს, სისხლისგან იცლებოდა. ეგრიისის მთავარს ესვენა მკლავებზე და მისი საცოდაობით ტიროდა მუხასავით ძლიერი ქუჩი. მიუახლოვდა ფარნავაზი, ხმალი მიაწოდა მომავლდავს. — შეგწევს ძალი აი, ეს კაცი რომ მოკლაო? — ჰკითხა. სახით არ იცნობდა ჰაბუკი თავისი ქვეყნის მტერს.

— ეს არის აზონი, სიცოცხლეს ითხოვს. როგორც შენ გსურს, ისე გადაწყვიტე მისი ბედიო, — უთქვამს ფარნავაზს.

გაუღიმიოა ჰაბუკს. ხმალი აუღია და მთელი ძალით დაურტყამს გულში აზონისთვის. დალოდებია, ხომ მართლა მოკვდაო, მერე დაცემულა იბერიელთა გამარჯვებული მეფის წინ, მადლობა მოუხსენებია, მთხვევია ფეხებზე და გარდაცვლილა.

მცხეთაში მობრუნებულ ფარნავაზს არ დაუვიწყებია საზანო. მამამისი თავის სასახლეში მოუყვანია და სასახლის მუსიკოსების უფროსობა ჩაუბარებია. მოხუცს ბევრი გულდა-სტვირი შეუქმნია, მასზე დამღერება თავისი მოსწავლეებისთვის უსწავლებია...

ასე დაეხმარა გულდა-სტვირი და მასზე მომღერალი საზანო ფარნავაზს.

მოხუცებმა ფარნავაზის სადღეგრძელო შესვეს და საზანოც მოიხსენიეს, ცოტა ხნის მერე ბუთულამ დაიწყო ამბავის თხრობა.

**აგაპი მინდვრის დედოფლისა,  
არმაზისა და ფარნავაზისა**

ლოცვა გვმართებს შორივისა,  
ძლიერ ღმობის ხატისა,  
კვირია კარვინისა,  
ნადირთ ქალბატონ დალისა,  
მინდორთა გამგებელთა,  
ციდან მზირალი მთვარისა.

ცისკრის ვარსკვლავის, მთიების,  
 შხისა, მომტანის ხეალისა.  
 სუვეელას მაღლი ფარვიდეს  
 ხევს, მთების გულში მოქვეულს,  
 ტყეებს ლომ-ვეფხის საბუღარს,  
 წყალს, ჩვენს მიწამდე მოღწეულს,  
 ცაზე მიბჩენილ კლდეებსა,  
 მინდორზე მოსულ იასა,  
 არმაზს, ლაშხირას, ფარნავაზს  
 მათ სიკვამულეს შხიანსა.

მინდვრისა და ყვავილთა მფარველს  
 „მინდორთ ბატონს“ ერთი ასული ჰყავ-  
 და. ქალი ისეთი ლამაზი იყო, რომ კა-  
 ცის თვალს მისი გაძლება არ შეეძლო,  
 ისეთი მსუბუქი და ნაზი, რომ გაშლი-  
 ლი ყვავილის თხელ ფურცელზე პეპე-  
 ლასავით დაჰქროდა.

ზურგზე ოქროს თიმები უფრიალებ-  
 და, თავზე ჰაერისგან ნაქსოვი ჩიქილა  
 ეხურა. დაქროდა ყვავილთა გულებზე  
 და ყვავილთა წვეენსა სვამდა. ერთი ნაბ-  
 ტომით ერთი ისრის ნასროლზე ფრენ-  
 და. მას ლაშხირა ერქვა. მინდორთ ბა-  
 ტონმა თავისი ქალიშვილი ნადირთა  
 მფარველს დალის მიუყვანა და უთხრა:  
 ჩემი ქალის გათხოვების დრო მოვიდა,  
 მაგრამ მისი შესაფერი საქმრო ვერ  
 მომიძებნიაო, თუ სადმე კარგი მონა-  
 დირე გეგულება, მიმასწავლე ჩემს  
 ქალს ვაჩვენებ, გამოვედი და თუ გა-  
 მოცდა დაიჭირა, ლაშხირას მივათხო-  
 ვებო.

დალის ამაზე დაფიქრება არ სჭირ-  
 დებოდა, კარგად იცოდა, თუ ვინ იყო  
 ყველაზე ცნობილი მონადირე ამ მხა-  
 რეში, მაგრამ არ გაუმხილა მინდორთ  
 ბატონს, ვითომც დაფიქრდა და ფარნა-  
 ვაზის მაგიერ არმაზი დაუსახელა. არ-  
 მაზს კი არასოდეს უნადირნია, თავის  
 დღეში არც ერთი სულდგმული არ მო-  
 უკლავს... რა ექნა დალის, როცა სათა-  
 ვისოდ უნდოდა ფარნავაზი.

ცას და დედამიწას, სანამ ერთად იყ-  
 ვნენ, ერთი საყვარელი შვილი ჰყავდათ,  
 რომელიც მათი დაცულების მერე არც  
 ერთს არ ემეტებოდა დასათმობად. ჰო-  
 და, შეთანხმდნენ. იგი ორ სახედ გაე-  
 ყოთ და ორ კაცად მოველინებინათ დე-

დამიწაზე. ერთისთვის კაცური, გამოჩ-  
 ვებები ერგუნებინათ, ხმარს შემოქმედ-  
 თვის ღვთაებრივი სისპეტაკე. ვმასწავ-  
 ლები ერთიმეორეს გვერდით უნდა გაზ-  
 რდილიყვნენ და ერთმანეთი უნდა ჰყვა-  
 რებოდნათ, ერთმანეთს დახმარებოდნენ,  
 რათა ღვთაებრივი სრულყოფილება არ  
 დარღვეულიყო.

ასეც იყო. ერთმანეთზე უფრო საყ-  
 ვარელი და ერთგული არავინ ჰყავდათ  
 ფარნავაზსა და არმაზს. მუდამ ერთად  
 იყვნენ და ბრძენკაცის სახლში იზრდე-  
 ბოდნენ, მთების გულში... სახილველა-  
 დაც მშვენიერები იყვნენ და გულითაც  
 ალალები დადგნენ.

გავიდა ხანი და დავაქაცდნენ ყმა-  
 წვილები. მოუვიდათ კვაბუკებს სიყვა-  
 რულის ასაკი და ორივეს ლაშხირა შე-  
 უყვარდა.

ეს საქმე დალის მოსისხლე მტერმა  
 ტყის ალმა მოაწყო. როცა შეატყო,  
 ნადირთ ქალბატონს ფარნავაზი უყვარ-  
 და, გამოეცხადა კვაბუკს და იმდენი  
 უქო ლაშხირა, რომ ძლიერ შეაყვარა.

არმაზს კი არავის დახმარება არ დას-  
 ქირდა, თავად იზილა და შეიყვარა პა-  
 ტარა ქალი.

ჰოდა, დაეუბრნენ ერთმანეთს კვაბუ-  
 კები ქალის გულისთვის. გაიხარა ალმა,  
 იფიქრა ზეცისა და მიწის ჩანაფიქრს  
 ჩავშლი, ჩემს ძლიერებას იწამებს მთო-  
 ვარე და შემოიყვარებსო. საერთოდ, ალს  
 არავინ უყვარდა, ღამის მნათობის გარ-  
 და.

გაიგო მინდორთ ბატონმა, ორ კვა-  
 ბუკს რომ უყვარდა მისი ასული და  
 ორივეს ერთად მოუწყო გამოცდა.

მიქპრის ლაშხირა ყვავილთა ხალიჩა-  
 ზე, თავზე ცისფერი ჩიქილა უფრია-  
 ლებს, მისდევენ არმაზი და ფარნავა-  
 ზი... დაწინაურდება არმაზი. ესესაა უნ-  
 და მისწვდეს მის წინ მოფრიალე ჩი-  
 ქილას... მოიხედავს, ხედავს — ერთი  
 ნაბიჯით ჩამორჩენია ფარნავაზი... ნაბიჯს  
 შეანელებს, წინ გაუშვებს ფარნავაზს...  
 ახლა ფარნავაზი ეწევა ლაშხირას... მო-  
 იხედავს, ერთი ნაბიჯით ჩამორჩენია არ-  
 მაზი. შეაჩერებს ნაბიჯს, გზას აძლევს

მეგობარს... ახლა არმაზი დაუთმობს პირველობას... ასე ირბინეს, სანამ ლამზირამ ზმელეთი არ გადაიარა და მიწისა და ცის შესაყართან არ შეჩერდა.

ქვეყნიერების მშობელი დედა დახვდა მისულებს, ოქროს ტახტზე მჯდომარე. ერთხანს უცქირა კაბუკებს, მერე ორივე გვერდით მოისვა და უთხრა: ლამზირას ერთი ქმარი ერგება, თქვენ ორივემ ერთად მოირბინეთ, თავად გადაწყვიტეთ, რომელს უნდა გერგოთ ქალიო. ორივემ ერთად უპასუხეს: ქალმა გადაწყვიტოსო. მოიყვანეს ლამზირა, ხან ერთს უყურა, ხან მეორეს და მერე ცრემლები ღვარა. ვერ ამოარჩია.

ქვეყნიერების მშობელმა მაშინ კაბუკებს უთხრა: — ამიერიდან ლამზირა ზეცაში დასახლდება, ხოლო რომელიც შესძლებს დედამიწის დამთმობას, ის გახდეს მისი ქმარიო.

ფარნავაზი დაფიქრდა და თქვა: — თუმც კი ძლიერ მიყვარს ქალი, მაინც ვერ მივატოვებ ქვეყანას, რადგან მეფე ვარ და ქვეყნის პატრონობა მმართველსო.

არმაზი დაფიქრდა და სთქვა: — თუმც კი ძლიერ მიყვარს ლამზირა, ფარნავაზს ვერ მივატოვებ, რადგან იგი მეფეა, ბევრი საზრუნავი აქვს და უჩემოდ გაუჭირდებაო.

ორივემ სთხოვეს დიდ დედას, ჩვეულებრივ ქალად აქციე ლამზირაო. ასეც მოიქცა ქვეყნიერების მშობელი, მაგრამ არც ერთმა არ შეირთო ყვავილთ დედოფალი...

მაინც ვერ დაივიწყა არმაზმა ლამზირას სიყვარული და იბერიიდან გადაიკარგა.

დიდმა დედამ, ქვეყნიერების მშობელმა, არმაზისა და ფარნავაზის სიყვარული გამოსცადა, თორემ მართლა კი არ უტყევია ყვავილთა დედოფალი ჩვეულებრივ ქალად.

ხამდვილი ლამზირა ახლაც ზეცაში ცხოვრობს და თავის შესაფერ საქმროს მოელის.

როცა ფარნავაზი ისე გაძლიერდა, რომ უარმაზოდაც შესძლებდა ქვეყნის

პატრონობას, არმაზს ზეცაში კარგად მდებარე ბლის ნახვა მოესურა და უცხო ქვეყნებში უბარს: — დიდი დედა მიხმობს თავისთან და გამიშვიო. არ ეთმობოდა ფარნავაზს, მაგრამ ღვთაებთა გამჩენის სურვილს როგორ გადაეიდოდა. გაუშვა.

მიდის არმაზი ზეცისკენ და უხარია, რომ თავისი წილი სიცოცხლის ნახევარზე მეტი ფარნავაზს დაუტოვა მიწაზე; ფიქრობს: — დაე, დიდხანს იმეფოს ფარნავაზმა, ქვეყანა გაახაროს, ხოლო როცა ყველა საქმეს მორჩება და ჩემს კვალს გამოჰყვება, მერეც გვეყოფა სამუდამოდ ერთად ყოფნაო.

დიდი ხანია ელის ლამზირა საქმროს, მაგრამ არმაზი რა მეგობარი იქნება, თუ ფარნავაზის არ ყოფნით ისარგებლა და ქალის გული მოიგო?! არც ნახულობს ჭერ-ჭერობით ქალს, მეგობარს ელოდება, რათა პირველი სიტყვა იმას არგუნოს.

ხოლო დიდ დედას კეთილად ელიმება გუნებაში, მასზე უკეთ ვინ უწყის. რომ ლამზირას ქორწილი მაშინ იქნება, როცა ფარნავაზი და არმაზი ისევ ერთდებიან და ერთ ღვთაებად იქცევიან.

ჩემი ფიქრით ეს ღვთაება ქართლოსი უნდა იყოს. ხომ გვაქვს ქართლოსიანებს დაპირება. ერთხელაც იქნება კვლავ მოგვინახულებს ჩვენი პირველი მამა და პატრონიო.

ახლა მეფე ქართლოსის საფლავთან დიდ ტაძარს აშენებს. ამბობენ მცხეთის დიდ მთაზე თავის მეგობრის არმაზის ხატის აღმართვა სურსო. სინამდვილეში კი ეს ხატი ქართლოსისა იქნება, რომელშიც ორივენი იქნებიან გაყოცხლებული: არმაზიც და ფარნავაზიც...

ხოლო ეს ამბავი ჩვენმა მეფემ თავად არ იცის... მხოლოდ იმ ქვეყანაში გაიგებს.

ხანდახან თურმე გამოჩნდება არმაზი იბერიაში, ხან ცეცხლში მდგომი, ხან წყალზე მოსიარულე, ხან მთიდან მთაზე მომფრინავი და რაღაცას გვანიშნებს. მინიშნებას ჩვენი ქადაგები ხსნიან და გვაგებინებენ მერე. როცა ნახავს, არა-

ფერი უკირთ იბერებსო, ისევ ზეცის-  
კენ მიემგზავრება.

რაც მე ვთქვი, ისაა მართალი და არა  
ის, რომ ამბობენ, არმაში ისევ მიწაზეა  
და კაცივით ცხოვრობსო.

კიდევ იმას ვიტყვი, რომ ღვთიური  
ძალები მუდამ მთაში ტრიალებენ.  
ღვთაებებიც აქ იბადებიან, ამ მთებზე  
და მერე ზეცისკენ მიფრინავენ...

ასეა ეს ამბავი, მაგრამ მოდი და  
ბარელები დააჭერე ამ სიმართლეში.

\* \* \*

ბებერ მთბრობელებს დიდი ხანია სძი-  
ნავთ. მხოლოდ მგზავრს არ ეკარება  
თვალზე რული. ზურგით მიპყრდნობია  
გადაჭრილ მორს, დასაჯდომად რომ იყე-  
ნებენ მეცხვარეები, და უხმოდ ტირის.  
ამ კეთილი მოხუცების თავშესაფარში  
მან თავისი ცხოვრების განაჩენი მოის-  
მინა.

მეორე დღით მოხუცმა მწყემსებმა  
სტუმარს ოცდაათი ცხვარი მოურეკეს  
და ჰკითხეს, რომელი მთბრობელის ფა-  
რიდან გამოვაცლოთ ეს ცხვარი, ვის ანი-  
კებ უპირატესობასო.

— ათ ათი ცხვარი გამოჰყავით თი-  
თოეულმა საკუთარი ფარიდან და, მეფე  
რომ ახალ სალოცავს აგებს მცხეთაში  
იმის მემსხვერპლეს მიუყვანეთ, ქართ-  
ლოსის სახელის სადიდებლად შესწი-  
როსო. ხოლო თქვენში საუკეთესო ისაა,  
რომელიც ყველაზე გაბედულად თხავ-  
და და თანაც ყველაზე დიდ სიმართლეს  
ამბობდა თავისდა უნებურად. ამის გა-  
მოცნობა კი, თუ მოკვდავს ძალუქს,  
ისიც დიდი ხნის მერე. მე სამივენი მო-  
მეწონეთ და სამივეს მონათბრობით აღ-  
ტაცებული ვარო...

არ გაიყოლა არც ერთი, დღის შუქ-  
ზე გზაც გამაზსენდა, ვიცი, როგორ უნ-  
და მივავნო ბილიკს. თქვენი შეწუხება  
არ მსურსო.

\* \* \*

ვაჩემ ქაღარა თავზე აკოცა, მიეფე-  
რა. მგზავრობით დაღლილი ფეხები  
თბილი წყლით დაუამა, ხალათი და პე-

რანგი გამოუცვალა, უწნოდ ჩამოზრდი-  
ლი წვერი გაულამაზა. გასაუბრებელი  
თმა დაუეარცხნა, დაღლილობისგან  
სხივგამოცლილი თვალების ირგვლივ  
ნაოკები დაუთვალა.

გული აუტირდა ვაჩემს, ასე უდროოდ  
მოტეხილს და დაბერებულს რომ ხედა-  
ვდა არმაზს. არაფერი უთბრა, მაგრამ  
იმდენი იფუსფუსა მის ირგვლივ, იმდენი  
ეფერა, რომ მოსული მიხვდა მოხუ-  
ცი მელექსის განწყობილებას და თით-  
ქოს დასამშვიდებლად ჩაილაპარაკა: —  
სახადი შემხვდა იბერიისკენ მომავალს.  
უდაბნოში სამი თანამგზავრი შეიწირა  
ავადობამ და მიუსაფრად დამტოვა.  
წმიერ-მწყურვალი ვეგდე თაქარა მზის  
გულზე და რამდენჯერ თვალს გავახელ-  
დი, იმდენჯერ მეგონა უქანასკნელად  
ქედაღ-მეთქი მნათობს. ეტყობა, იბე-  
რიაში დაბრუნება ამჯერადაც მეწერა  
და აი, ახლა შენს თვალწინ ვარო.

— არ იშლი უცხო გზებზე ბეტიალს,  
თუმცა კი უკვე ჰაბუკი არა ხარ და  
თმაც გაგიოთებდა, — უსაყვედურა  
ვაჩემ. — ვიდრე არ მოგაკეთებ, არსად  
გაგიშვებ. მაინც მარტო ვარ და თუ ჰა-  
ბუკები არა, რომლებსაც ლექსის თხზვა-  
სა და სიმღერას ვასწავლი, ლაპარაკიც  
დამაფიქვდებოდა ჩემი ცოლის გადამკი-  
დეს. მარტო თვითონ კი არ წავიდა,  
ყველა შვილი გაკრიფა ბარში. ქალისას  
რას გაიგებ. დაუჩემებია, ჩემი შვილები  
სასახელო კაცები უნდა გახდნენ და რა-  
დგან ახლა ომი არ არის, ამიტომ აღო-  
ნის სკოლაში უნდა ისწავლონ და ქვე-  
ყანას ცოდნით ემსახურონო. თვითონ  
ფარნავაზს არ სცილდება. მეც ბევრ-  
ჯერ მიხმო მეფემ სატახტოში, სასახ-  
ლის მელექსეობა მიბოძა ძველებურად,  
აზნაურად აღმაზევა ეს უგვარო კაცი,  
მაგრამ მაინც ვერ მივატოვე მთა. ერთ-  
მანეთზე გადაბმულად ერთ კვირასაც  
ვერ ვძლებ ქალაქში...

— ლამზირა?

— რაც ლენემ უფლისციხეში სასახ-  
ლე ააშენა, მთაში არ ამოსულა ლამზი-  
რა. მანამდეც იშვიათი სტუმარი იყო ზე-  
ვისა. ვფიქრობ, ძველ მოგონებებს გა-

ურბის ჩემი ქალი... ისე კი, კარგადაა...  
ოთხი ვაჟისა და ერთი ქალიშვილის დე-  
დას როგორც შექვეყნის, ისე. ქალიშ-  
ვილი კი უცნაურა ჰყავს. ზედაზნის  
შთაზე დიდი დედის სალოცავი რომ  
დგას. იქ დაიდო ბინა. ლამზირა წუხს,  
— ძლიერ იშვიათად ჩამოდის სასახ-  
ლეშიო... მხოლოდ იგი ჰგავს თავის დე-  
დას, ოღონდ ქვემო ქართლის დედო-  
ფალს კი არა, არამედ იმ ჩვენს საყვა-  
რელ, მშვენიერ ლამზირას, აი, ამ გო-  
რაკებზე რომ დაჰქროდა ნიავეით.

არმაზმა გაზაფხულის სურნელით გა-  
ვლენილ მთას გახედა და გული დას-  
წყდა. რომ მისი წილი სილამაზე და  
ბედნიერება წარსულს ეკუთვნოდა და  
არა მომავალს.

— ცოლი მაინც შეგერთო. შვილები  
გაგიჩნდებოდა და იქნებ დაგდგომოდა  
გული სამშობლოში. — ფრთხილად შე-  
აპარა ვაჩემ. — ცოდვია კაცი უშვილ-  
ძიროდ.

— ფარნავაზის ნახვა მსურს. — გა-  
დაიტანა ლაპარაკი სხვა საგანზე არმაზ-  
მა.

— ეგრისში გამგზავრებამდე ვნახე  
მეფე. ძლიერ შეშფოთებული იყო შენს  
გამო. სამი წელია არაფერს მატყობი-  
ნებსო... ვილაყებებს ისიც უთქვამთ, რომ  
იბერიისა და სომხეთის საზღვარზე შა-  
ვი ჰირის დროს სამშობლოში ყოფილ-  
ხარ, მაგრამ მცხეთაში არ ამოსულხარ,  
სასიკვდილოდ განწირულებს შველო-  
დი. შენმა ამბავმა მთაშიც ამოაღწია და  
სწორედ მაშინ გაგირისხდნენ ხევისბე-  
რები. ახლა შენც ადასტურებ ავად ვი-  
ყავით. იქნებ აქიმობის დროს შეგეყარა  
ღვთაებისგან ურწმუნოთა დასასჯელად  
მოვლენილი ავადობა?

— ვერ გამიგია, რით გავინაწყვენ  
ღვთისკაცები?!

— იმით, რომ სასიკვდილოებს სიცი-  
ცხლისაყენ აბრუნებდი, ამაზე მეტი ურ-  
ჩობა რა უნდა იყოს? — გაეპასუხა ვა-  
ჩემ.

— ადამიანის ვალია თავისივე მსგავს  
გაკვირვების დროს ხელი გაუმართოს.  
ისიც მართალია, რაც მეფისთვის მოუბ-

სენებიოთ. მართლაც თუკერძეებმეფულე  
სიკვდილს. სახადსაც ვეფხვირთა ვე-  
გორც ხედავ, სულმთლად გამეტებული  
არ ვყოლივარ ღვთაებდას.

— კარგია, რომ ფარნავაზის ნახვა  
მოგიწადინებია! — თქვა ვაჩემ. — წი-  
ნათ ასე მეგონა, უერთმანეთოდ ერთ  
ღღესაც ვერ გასძლებდით. სწორად მი-  
გაჩნია შენგან ამორჩეული ცხოვრების  
წესი?

არმაზმა პასუხი დაავიანა. ვაჩემ მიუ-  
ახლოვდა. ნახა, რომ ეძინა მგზავრობით  
დაქანცულს.

\* \* \*

იმ ღამით თავგევისბერი და ხახმატე-  
ლი ბერიც ესტუმრნენ ვაჩემს. საბატიო  
კაცების მიღება თავის ახალ სახლში  
მოინდომა მასპინძელმა, მაგრამ არ ინე-  
ბეს მოსულებმა ზევით აბრძანება და  
ძველი ქობისკენ იბრუნეს პირი.

ვაჩემ დაწინაურდა. არმაზი გააღვიძა  
და ღვთაების მსახურთა მოსვლა აუწყა.  
გაღვიძებულმა სასწრაფოდ მიაშურა ვი-  
წრო გასასვლელს, რომელიც სამზადს  
საქონლის სადგომთან აერთებდა და  
მჭიდროდ მიიხურა კარი.

შემოვიდნენ სტუმრები, ჩამოსხდნენ,  
თავსაბურავები მოიხსნეს. მასპინძელმა  
კედელზე მიკიდებული სუფრა ჩამოდ-  
გა, ზედ ერთი ხელადა ლუდი, ყველი,  
კარაქი და პური დააწყო და ბოდიში  
მოიხადა, საკადრისად რომ ვერ ხედე-  
ბოდა საბატიო ადამიანებს.

პური გატეხეს. პერი დალოცეს და  
ერთხანს ხევის ამბებით შეიქციეს თავი.  
ვაჩემ საუბარში იშვიათად ებმებოდა,  
იმის გამოცნობას ლამობდა, რამ მოაყე-  
ნა მის კარს ამ შუალამისას ხევის პირ-  
ველი კაცი და ეს. მისთვის უცნობი  
ბერი. მცირე სიჩუმის მერე თავგევის-  
ბერმა ჩაახველა და თქვა:

— ხევისბერებმა გადაწყვიტეს მცხე-  
თაში გაგისტუმრონ.

ვაჩემს პასუხი რომ ვერ მიიღო, გააგ-  
რძელა.

— ალბათ გაინტერესებს, რისთვის

გავალევენ თავზევისბერები მეფის ნახვას?

— რამდენადაც ვიცი, ეგრისის სამთავროშია მეფე, ჯერ არ დაბრუნებულა სატახტოში — უპასუხა ვაჩემ.

— სანამ დაბრუნდება, უსაქმოდ არ დაგტოვებთ. — ჩაიცირა ხახმატელმა ბერმა.

— შენს სიძეს, ლენეს ესტუმრები და იმასაც მოახსენებ ჩვენს დანაბარებს. იმედია, თავად მიგყვება მეფესთან. ასეთია ხევის თავკაცების ნება, — გამოკვეთა ბოლო სიტყვები თავზევისბერმა.

— იცის ყველამ, რომ არასოდეს ვსარგებლობ ფარნავაზთან პირადი ახლობლობით და არც ჩემი სიძის შეწუხება მიყვარს. ხევის თავკაცები უბრალო საქმეზე არ გაიარებოდნენ, როგორც ვგრძნობ, საქმე მთის საერთო სატკივარს ეხება ალბათ.

— არა მართო მთის სატკივარს, საქვეყნო საქმეს, — მტკიცედ წარმოსთქვა ხახმატელმა ბერმა.

— სანამ გადასაცემ სიტყვას დაგაბარებდე მეფესთან, მიპასუხე — იქნებ უკიდ ვის სადიდებლად აშენებს იგი მცხეთის მთაზე, ქართლოსის საფლავის ახლოს, სალოცავს? — იკითხა თავზევისბერმა.

— როგორც გამოგია დიდი დედის ჩაგონებით ირჩება მეფე, როცა მზის ღვთაების სამლოცველოს აგებს მთაშიც ცოტა როდი გვაქვს მზირას ტაძარი... — უპასუხა ვაჩემ.

— იქნებ ისიც იცი, მართალია თუ არა, მეფე პირველობას რომ ანიჭებს იმ ტაძარს და ფიქრობს, ყველა დანარჩენი ღვთაების სალოცავი მას და მის ქერუმს დაუქვედებაროს?

ვაჩემ მხრები აიჩეჩა.

— ღვთაებათა პირველობის გადაწყვეტა როდია ადამიანის საქმე, თუგინდ ისეთი ძლიერისა, როგორიც ფარნავაზია.

— ხევი ოდითგანვე ემორჩილებოდა მხოლოდ ღვთაებათა ნებას, არც ფარნავაზს შეუცვლია დღემდე ეს წესი. ხოლო, თუ მომავალში აპირებს ხევის-

ბერები ბარელ ქერუმს დაეხმებოდნენ, უთხარი, რომ მთისთავად ვინცაა დაეწყეს, მეფის ახლობლებისა და ქვეყნის ერთგული ადამიანების ვალია. იბერიას არ მოაკლოს ხევის სიყვარული და თანადგომა. კარგად უნდა იცოდეს ყველამ, რომ ხევისბერები დიდი ძალაა და მათი გადაკიდება არ ეგების. მეფემ გონივრულად უნდა განსჭვრიტოს საქმე, და მოხუცობით ტენგაწყვალბულ და უცხო წესთა მოყვარულ ადონს არ დაუჯეროს. ისიც შეახსენე ფარნავაზს, რომ მისი მმადშეზრდილი არმაზი ერიდოს კობალას. ძლიერ განაწყენებული ჰყავს არმაზს ღვთაება. იცის ყველამ, ქალის მოძულე რომაა კობალა, ხოლო არმაზი მხოლოდ დიდი დედის, მზისა და მთიების ტაძრებში შედის... როგორც ჩანს, ფარნავაზსაც აცდუნებს მმადშეფიცული და ამიტომაც ბოლო დროს მხოლოდ მზირას ტაძრებს აგებს იბერიაში მეფე. კარგს არ მოიტანს ეს ამბავი ბარში, მაგრამ მთა არც ახლა აპირებს იჭაურ საქმეში ჩაბრუნებას. ხოლო ჩვენი წმინდა ხატების ხელყოფის უფლებას არავის მივცემთ. დიახაც, მუდამ მივაგებდით საყადრის პატივს მზირას და მთიებს, არც ფუძის მფარველი ღვთაების სამსახური დაგვზარებია მთიელ ვაჟკაცებს. მაგრამ მუდამ ვიცოდით, ხევის მფარველ ღვთაებათა შორის ვის ეკუთვნის პირველობა. მორიგეა ჩვენი უპირველესი მფარველი, მორიგე, რომელსაც „კვირია კარვიანი“ მსახურობს. იგი ვაჟკაცია, ისე როგორც ამირანი, როგორც ქართლოსი. მთიელებს არ გვესწავლება, რომ სწორედ სიბნელესთან მებრძოლი და მისი დამმარცხებელი ღამის ღვთაებაა ჩვენი თავყვანისცემის ღირსი და არა მზირა, კეკელეცი, ცხრათვალა მნათობი, რომელიც მთოვარეს კვალზე დადის, რადგან მისი მეწყვილეა. ახლაც ყველაფრის შებრუნება განუზრახავს მეფეს. მივირის, რად უფიქრია ასე მრუდედ დღემდე ბრძანდმოქმედ და მთის ადათებზე გაზრდილ ფარნავაზს?!..

— ხალხში იმასაც ამბობენ, რომ ერთ უხუცეს განდგომილს, რომელიც ჰერე-



თის უწინდელი მთავრის სამფლობელოში მთის წვერზე ცხოვრობს, სიზმრად უნახავს, ერთად მისულან მასთან ფარნავაზი და არმაზი:

— გვიშუამდგომლე უმაღლეს ღვთაებასთან, ისეთი სასწაული მოგვივლინოს, რომლითაც ჩვენს მომავალზე მიგვანიშნებსო. დაპირებია მცოვანი კაცი, უმპველად შეგისრულებთ ამ თხოვნასო, ხოლო როცა ისინი წასასვლელად გაბრუნებულან, დაუნახავს, რომ მასთან სტუმრად ყოფილა არა ორი, არამედ ერთი კაცი, ორი სხეულით. სიზმარშივე მიმხვდარა მოხუცი, რომ მას ჭართლოსი გამოეცხადა ორი სახით, კეთილით და ბოროტით. ვფიქრობ, ბოროტი სახე არმაზს ჰგავდა, ხოლო კეთილი ფარნავაზს. — სული არ მოუთქვამს, ისე ჩაათავა ხახმატელმა ბერმა.

ახლა კი ველარ მოითმინა ვაჩემ და იფეთქა:

— თავხევისბერმა წელან აღონს, ბრძენკაცსა და ქვეყნის მოამაგეს, ტვინგაწყალებული უწოდა, ახლა კი შენ არმაზი ბოროტი ძალის მსახურად წარმოადგინე. გეტყვით ორთავეს, რომ ვინც წმინდა და პატიოსან ადამიანებს ასე მიმოათრევს და უდიერად იხსენიებს, თავადაა ბოროტების მსახური და შესაგინებელი. ვით გაბედვთ ჩემთვის ძვირფასი ადამიანების აუგად ხსენება ჩემს სახლში... ჩემზე უკეთ რომელმა იცით, რომ არმაზი და ფარნავაზი ორი სხვადასხვა, ორი მართალი და სიკეთით სავსე კაცია... თუ ჭართლოსის სახე მართლაც ფარნავაზი და არმაზია, და თუ მართლა ასეთი სიზმარი იხილა იმ განდევნილმა, მაშინ ჩვენი პირველი მამა ორმაგი სიკეთით ყოფილა სავსე.

სტუმრების წასვლის მერე კარგა ხანს ვერ დამშვიდდა ვაჩემ, ხოლო როცა დამშვიდდა, არმაზი გაახსენდა და საქონლის სადგომისკენ წელმოწყვეტილი გაემართა. ახლა იმაზე ფიქრმა დაუღრღნა გული, არმაზი ჩემი სტუმრების ლაპარაკს მოისმენდა და ისედაც ადამიანებზე გულგატეხილი კიდევ უფრო გაგვიუცხოვებდაო. თვითონაც დამნაშავედ

გრძნობდა თავს ამ უიღბლო უცხოეის აზრით, დაუფასებელი უცხოეისაშენი. იცოდა, ახლა ძლიერ გაუჭირდებოდა მისი მართალი შემოხედვისთვის თვალის გასწორება.

კარი შეაღო. მიმოიხედა. თვალი რომ ვერ მოჰკრა, იფიქრა, ალბათ ძინავსო და გასძახა. ბოლოს სანთელი შეიტანა ბაგაში და დარწმუნდა, რომ წასულიყო არმაზი. უფრო ეტყინა გული, უფრო გაბრაზდა თავხევისბერზე.

\* \* \*

ხახმატელი ბერი ძლიერ იყო განაწყენებული შეთქმულებზე, რომლებმაც იგი თავხევისბერთან გამოგზავნეს. გუნებაში ბრიყვსა და მოუქნელს უწოდებდა ხევის თავკაცს, მაგრამ ვერ კი გამოეხატა თავისი განწყობილება სიტყვით. მოთმინებით იტანდა მოხუცის ლაქლაქს და გამჩენს ევედრებოდა, ისე გამაციოლე, არაფერი ვაგნო ამ რეგვენსო.

ნაყაჩაღარსა და პონტოს გზების ცნობილ ავაზაქს, მძარცველსა და ქურდს, კილიკეს ძველ მსახურსა და ახლა მის ერთადერთ პატრონს, დალაის, დიდხანს როდი შეეძლო თავისი რისხვის დამალვა. ძველი დრო რომ იყოს და დიდ საქმეზე არ ჰქონდეს ხელი მოკიდებული, კარგა ხნის წინ გადაუძახებდა არაგვის აღიდებულ ტალღებში თავის თანამგზავრს და მასზე მაინც ამოიყრიდა იმ ბოლმას, რომელიც ვაჩესთან შექამა.

სანამ მელექსესთან მოვიდოდნენ, მანამდეც მიხვდა დალაი, რომ თავხევისბერთან შეეკრა და მთისაქეთა მთიელების აყოლიება ფარნავაზის წინააღმდეგ, ამოოცნებაა და სხვა არაფერი. ეს ბერიკაცი, გულადრენილი კია იბერთა მეფეზე რალაც სალოცავების გამო, მაგრამ იმდენად მშვიშარაა, რომ ვერასოდეს შეეძლება ფარნავაზს.

ვაგლახ, რომ პონტოს მეფემ არ იწამა აზონის შვილის იბერიის ტახტზე დაბრუნების აზრი და არათუ უთანაგრძნო, არამედ სიკვდილს დაჰპირდა ყველას, ვინც ამ საქმეში გაერეოდა. მითრიდატეს მაინც რამ შეაყვარა იბერიის მე-

ფე? განა ფარნავაზი არ იყო, პონტო-ელთა ბატონობა რომ მოსპო ქართლო-სიანთა მიწაზე? ფარნავაზი არ იყო პირველი, მითრიდატეს მიერ მიტაცებულ მიწები პონტოს მეფეს რომ წაართვა და იბერიას შემოუერთა? არც რომ მხდალია ახლანდელი მითრიდატე? ალბათ მართალია პერეთის გადაყენებული ერისთავი, როცა ამბობს, სელევკო, მითრიდატე და ფარნავაზი შეთანხმებულად იყოფენ საბრძანებლებს და ერთმანეთის წყენას ერიდებიან, რადგან ყოველ მათგანს ეშინია — დანარჩენი ორი არ შეიკრას და მასზე არ გამოილაშქროსო. იბერიის მეფე სელევკიანებთან ძველ მეგობრულ ურთიერთობას არ მოშლის, ასე გამოდის, ფარნავაზის გამო დამეგობრდნენ პონტო და ანტიოქია. მითუმეტეს აუცილებელია ფარნავაზის მოკვდინება.

ხევეში ჩემი უშედეგო სტუმრობის მერე, მაინც მიხვდება სარანი, რომ არა იბერებს და მთიულებს, არამედ მხოლოდ სპარს დიდებულებს და ალბანებს უნდა დაეყრდნოს. ალანები და პართიელებიც არ მოერიდებიან იბერიელთა წინააღმდეგ ბრძოლას... წინა აზიის მცირე ქვეყნებსაც არ მოსწონთ ფარნავაზის აგრეგირებად გაძლიერება, თანამონაწილედ მომთაბარე კავკასიანნიც გაგვიხდებიან. მოკლედ, იბერთა წინააღმდეგ ბრძოლაში თანამდგომი არ მოგვაკლდება... ოღონდ... შებმა და ფარნავაზთან პირდაპირი ომი არ გამოდგება, რადგან იბერია ახალი ციხე-სიმაგრეებით გაამაგრა და საზღვარიც ისე ჩაკეტა, რომ ქვეყნის გულისკენ თითო მტკაველით გადაადგილება უამრავი ჩვენი მებრძოლის სიცოცხლეს შეიწირავს. იმასაც ამბობენ მხილველები, რომ იბერთა მეფეს ყველა ბრძოლაში ომის ღმერთი დასტრიალებს თავს და მის გვერდითაც იბრძვის გაპირვების დროსო... ტყუილად კი არ შეარქვეს „გამარჯვების თანაზიარი“, არც ერთი ბრძოლა არ წაუგია, მარტო ანძიადორი და აკილისენა რად ღირს...

უნდა დამიჯეროს სარანმა, თუ გა-

მარჯვება, იბერიის მბრძანებლობა და თავისი შეურაცხყოფის შესწავლის გადახდა უნდა. ხოლო სანამ ბრძოლას დაიწყებდეთ, ფარნავაზი უნდა მოკვდეს. მხოლოდ ფარნავაზის სიკვდილი შეგვაძლებინებს იმას, რაც მიზნად დანახეს შეთქმულებმა. მერე, ბრძოლაც შეიძლება იბერებთან და გამარჯვებაზე ფიქრიც.

თუ არ დამიჯერებს სარანი, ჩამოვცილდები და თავად ჩაუდგები სათავეში აჯანყებას. სახელით კილიკესთვის ვიბრძოლებ, გამართლება რომ მქონდეს მოკავშირეების თვალში, ხოლო მერე იბერიას ისე ვმართავ, როგორც აზონი მართავდა, შიშით და სიძულვილით. კილიკეს ლაშხარას ქალიშვილს შეერთავ, რადგან დედაზე ლამაზი ყოფილა, ხოლო ლენეს თავად კილიკე არ დაზოგავს...

ისე კი, ლენეს მიმართ საყვედური არც მეთქმის, რადგან, სანამ ლაშხარა გაუთხოვარი იყო, მანამ პატარა სალოცავს ვერ მოვაცილე აზონის შვილი, მაინც ჰქონდა იმედი, ქალი ჩემს თავგანწირვას დაინახავს და დამაფასებოს. დიდი შრომა დამჭირდა, სანამ აზონის ქუანაღრძობ მემკვიდრეს გონში ჩავაგდებდი, ერთთავად არმაზი და ლამზირა ეკერა პირზე... მხოლოდ ლამზირასა და ლენეს დაქორწინებამ აუხილა თვალი. მიხვდა, რომ იბერიის დღევანდელმა სპასალარმა სწორედ მაშინ გაიმეტა სასიკვდილოდ და მაშინ მიუყვანა განდობილებს, როცა აზონის შიშით ჩიტი ვერ ფრენდა ერთიდან მეორე ტოტზე. ღვთაების ძალით, კილიკეს ისეთივე ძლიერი სიძულვილი შესძლებია, როგორიც სიყვარული. აგერ უკვე ათზე მეტი წელია ამ საქმეს დავდეგ... მგონი დადგა კიდევ დრო ჩემი ჩანაფიქრის აღსრულებისა. ამ სამი წლის წინ ფარნავაზისგან პერეთის ტახტის გაუქმება ჩვენს საქმეს წამალივით მოეცხო. სარანიც შემოგვიერთდა...

მომავალ დიდებაზე ფიქრმა დალაის გუნება გამოუყეთა და ძლივს შეამჩნია, რომ თავბუვისბერი საკმაოდ დასცილე-

ბოდა. დაელოდა. ახლა აღარ ბრაზობდა ამ უთმო ბერიაცხე. მისი მოკავშირეობაც ჭერჭერობით არ სჭირდებოდა, მაგრამ იმისთვის, რომ გამარჯვების მერე მთა მტრულად არ შეხვედროდა კლიცეს მბრძანებლობას და არ ეფიქრა, რომ ახალი მეფეც ჩვენს დამორჩილებას ეცდებოდა, ახლაც დაიჭირა თადარიგი და თქვა: ხახმატის ჭურუმის ნება რომ არა, არც გადმოვიდოდი და მთის ორ წარჩინებულ კაცს არ გადაგკიდებდით. ახლა რო ვუყვირდები, არც იბერიის აღმატებული მეფის ხსენება მეკადრებოდა და არც მისი ძმადშეზრდილი კაცის აუღი... იმასაც ვფიქრობ, არ უნდა ჩაერიონ მთისიჭითა კავკასიანნი ქართლოსიანთა საქმეში. აქაურებმა უკეთ იცით ერთმანეთის ფასიც და უკეთაც გაერკვევით, ვინ არის თქვენი მტერი და ვინ მოყვარე. იქნებ არმაზი მართლაც არ იმსახურებს კაცისგან ლანძღვას, რადგან, როგორც მსმენია, ქართლოსიანთა უძველესი ღვთაების სახელი ჰქვია მას და ზნითაც ღვთაებრივია.

უცებ მოაგონდა დალასი, სად და ვისგან გაიგონა არმაზის სახელი პირველად. შეშლილი დედაკაცის სახე დაუდგა თვალწინ და ახლაც ისე გააჟრჟოლა, როგორც მაშინ. მერე მის მიერ მოკლული მაშინდელი თანამოაზრე სპარსი გაახსენდა და კვლავ გაუფუჭდა გუნება.

ხოლო, როცა თავხევისბერმა სადაურობა ჰკითხა და უთხრა, — დიდოელი არ უნდა იყო, რადგან თავად იქაური დედა მყავს და, თუმც კი კარგად ლაპარაკობ ამ ენაზე, მაინც ვგრძნობ, რომ ზოგიერთი ბგერის გამოთქმა გიჭირსო, — უპასუხა:

— მეც დედა მყავს დიდოელი, მამით პონტოელი ვარ, მაგრამ არც პონტოში და არც დედის სამშობლოში არ მიცხვრია... ეს ერთი წელია, რაც ასურასტნიდან ჩამოვედი. იქაც ღვთაებათა მსახური ვიყავი და აქაც ხახმატის ბერი გავზნდი და ხახმატელ ჭურუმს ვემსახურებო.

პასუხი მიუგო და სწრაფად გასცილ-

და თავხევისბერს, რადგან იმდენად მოაბეზრა ამ მოხუცებულმა ბერი-ქოლმ ცოტაც და საკუთარ საქციელზე მასუხისმგებელი ვერ იქნებოდა.

\*\*\*

კოლხთა ძველი სატახტოდან ფაზისისაკენ მიმავალ გზაზე, იქ, სადაც უბე-ავსებული, წყალუხვი მდინარე პონტოსკენ უმოკლეს მანძილს ჭრის, ეგრისის მთავართა უძველესი საცხოვრისი და სიმაგრე — ციხე-გოჯი მდებარეობს.

იმ შორეულ დროს, როცა კიმერიელთა შემოსევებმა საფუძვლიანად შეარყიეს კოლხეთის სამეფოს ძლიერება, ეგრისის მთავრებმა პირველად მოიპოვეს დამოუკიდებლობა. შემდგომ, კიროსის მბრძანებლობის ხანაში, როცა კოლხეთი სპარსთა მოხარკედ და ნაწილად იქცა, ეგრისის მთავარმა ერთგულებით და ბრძოლაში თავდადებით სპარსთა დიდი მეფის მეგობრობაც დაიმსახურა. კიროსმა ეგრისი კოლხეთის ქვეშევრდომობიდან გაათავისუფლა და თავის მოხარკე მეფეს უბრძანა, — მიწები და ძალაუფლება ერთმანეთში გაიყავითო. — ეს აზრი მას შემდეგ მეჩვენა უფრო სამართლიანი, — უთვლიდა კიროსი კოლხთა მეფეს, — როცა გავიგე, რომ შენ მისი დეიდაშვილი ყოფილხარო.

სამი წლის მერე თრაკიელთა ბრძოლამ შეიწირა ეგრისის მაშინდელი მთავარი და კვლავ კოლხეთის სამეფო დაეპატრონა მხარეს. ამჯერად მეფემ ეგრისი თავისი უმცროსი ვაჟის სამბრძანებლოდ გამოაცხადა. ხოლო ათი წლის თავზე შვილიც აუჭანყდა მამას, ისარგებლა მისი სიბერით, იმით, რომ კოლხეთს უკვე სპარსთა გარდა, მომთაბარე მთიელებიც არბევდნენ და დამოუკიდებლობა მოიპოვა.

ქუჩის ბაბუამ ზურგი აქცია უცხოელებს, გაიხსენა, რომ ეგრისი ქართლოსიანთა სამოსახლოს ნაწილი იყო და მოკავშირედ მცხეთის მამასახლისი გაიხიდა.

ფეხბედნიერი გამოდგა მისი სტუმრო.

ბა მცხეთაში. იქ თავისი საცოლე, მცხეთის მამისახლისის მამიდაშვილი ცისნამი გაიცნო, შეიყვარა და ცოლად შეირთო. ხოლო ახალ ნათესავს ერთგულება და სამუდამო მეგობრობა შეჰქვია. მას შერე არ უღალატნია ფიცისთვის ეგრისელ მთავრებს. ხოლო იბერებთან კავშირმა მათ სიმტკიცე შეჰმატა და კოლხთა მბრძანებლობისაგან საბოლოოდ გაანთავისუფლა ისინი.

იმ შორეულ დროს ეგრისის მთავართა საბრძანებლოში მცირე მიწები შედიოდა, ხოლო საქონელი მუდამ დიდძალი ჰყავდათ, რადგან პირუტყვის მრავლების სწორუბოვარი ოსტატები იყვნენ ეგრისელები. თავდაპირველად მეზობელ კოლხ მეპატრონეებთან უხდებოდათ ბრძოლა მიწებისა და საძოვრებისთვის. კოლხი მეფეები და მცირე მიწისა და საქონლის მფლობელი მთავრები ვერ უმკლავდებოდნენ გაძლიერებულ და გამდიდრებულ ეგრისის მთავარს და მას ქვეშევრდომობდნენ.

საშინაო ბრძოლებში გამარჯვებებითა და ძლიერ ხელმწიფეთა მეგობრობით გულმომცემულმა ეგრისმა, უკვე წინა ასწლეულში წაართვა კოლხეთს სამფლობლოს მესამედი.

ქუჯის მამამ მეზობლებთან ბრძოლის მეგობრობა ამჯობინა და წინაპართა დაგროვილი სიმდიდრით ქალაქების მშენებლობას შეუდგა, ეგრისი უცხოელ ვაჭართა და მოგზაურთა მისაზიდ მხარედ აქცია. ფაზისში ადგილი იყიდა და სასახლე აიშენა. სურდა შეიღებინათვის ბერძნული ცოდნა და განათლება მიეცა. მაგრამ ვაჭიშვილებში ბედი არ დაჰყვა მთავარს. ექვსი ვაჭიდან მხოლოდ ქუჯი დარჩა ცოცხალი, ხუთი სახადმა დაუხოცა სამ დღეში. მოგვიანებით ერთი ქალიც შეეძინა უკვე სიბერეში შესულს, რომლის უბედურ სიკვდილს, ღვათების წყალობით, ვერ შეეცწრო ეს კეთილი კაცა.

ციხე-გოჯის შენება ქუჯის ბაბუას დაუწყია, მაგრამ, ეგრისული ლაშქრით მუდამ სწვის ქარში მყომარს, არ დასცლია მისი გასრულება. ქუჯის მამამ

მდინარე ფაზისის მარცხენა მხარეს, მაღალ გორაკზე ბერძნულად, ადრინდელ სიმაგრის აღმართვა გადაწყვიტა და მამის დაწყებული საქმე თავისი გეგმის მიხედვით წარმართა. მისი აშენებული ციხე და მთავართა საცხოვრისი აზონის მბრძანებლობის დროს გადასწვეს ქალბატონის სისასტიკით შეწუხებულმა ეგრისელებმა.

ქუჯის ხელახლა მოუხდა მამა-პაპათა ნაფუძვარის გამართვა. თავდაპირველად ძველი, გადამწვარი ციხე შეაკეთა და ახალი სასახლის მშენებლობას შეუდგა. ხოლო სასახლე ისეთი დიდი და ლამაზი ააგო, რომ ფაზისქალაქის უფროსის საცხოვრისს არ ჩამოუვარდებოდა კეთილმოწყობით, აბანობითა და ჭრელი ქვით მოკირწყლული აუზებით.

მას შემდეგ, რაც იბერიის მეფემ ქვეყანა სამთავროებად დაჰყო და მთავრები ქართლოსიანთა რვა მხარის მბრძანებლებად. დაადგინა, სამთავროთა საქმეებში თავისი უშუალო მონაწილეობაც აუცილებლად მიიჩნია. წელიწადში ერთხელ, ზამთრის მიწურულს, ციხე-გოჯის სტუმრობდა ხოლმე. ახლაც ეგრისის მთავარ ქალაქში იყო ფარნავაზი. ერთი კვირის წინ სურდა მცხეთას წაბრძანება, მაგრამ შეუჩინდა ქუჯი, გაზაფხულის დღესასწაულს ციხე-გოჯში დაესწარი, ეგრისელთა ზეიმიც ნახე და აქედანვე გაემგზავრე სოანეთსო. დაეთანხმა ფარნავაზი, უფრო იმის გამო, რომ მოახსენეს, თბილი ზამთრის წყალობით წლეულს ადრიაანად გაიხსნება სოანეთში ამავალი გზო.

სოანეთის მთავრის უკანასკნელი მემკვიდრის გარდაცვალების შერე, ფარნავაზმა ამ მხარის პატრონობა ქუჯის არგუნა. ქუჯი ქვეიანი იყო და იცოდა, რომ მთაში ისე ვერ იბრძანებლებდა, როგორც ბარში. ამიტომ სოანეთის საქმეების გამგებლად თავისი მეგობარი, ეგრისის სამთავროს კარზე აღზრდილი, გააზნაურებული პინა დაადგინა, პინას სოანეები იცნობდნენ და ენდობოდნენ. მან კი ქუჯის დავალებით ასეთი პირობა დადო სოან უხუცესებთან: — მცირე

ხარკისა და საომარი დახმარების სამაგიეროდ, ეგრისის მთავარი მათ ტანსაცმელს, პურსა და იარაღს მოაწოდებდა, აგრეთვე მთისკენ მიმავალ გზას დაიცავდა.

ამ მოლაპარაკების მერე წელიწადში ორჯერ ჩამოჰქონდა პინას მეზვერეთა მიერ შეგროვებული შემოსაწირი ციხე-გოჯში. ჩამოჰყავდა სახორცე და მერძევე პირუტყვი, ცხენი და ნადირი, ჩამოჰქონდა ნანადირევი, თაფლი და, ამ ბოლო დროს, ოქროც.

უკანასკნელ ხანს ფარნავაზი ხშირად აღიოდა სოანეთში. მეფეს იბერიული ფულის მოჭრა სურდა და საჭირო ოქროს მოპოვებას ესწრაფვოდა. იგი პირველი სტუმრობის დღიდანვე შეიყვარეს სოანებმა, დიდი ვაჟკაცობისა და საუკეთესო მონადირეობის გამო. ხოლო, როცა უხუცესებთან შეხვედრა ისე ითხოვა, როგორც აქ მოსულ სტუმარს ეკადრებოდა და კი არ უბრძანა, არამედ დახმარება სთხოვა, სოანებმაც გული გადაუშალეს, ერთგულება შეჰფიცეს და თავიანთ პირველ მეფედ აღიარეს. ხატის ტყის გარდა ყველაფრის ბატონ-პატრონად მიიჩნიეს.

ხატის ტყე კი დიდი ხნიდანვე ეგრისის უფროსი ქურუმის საკუთრება იყო.

— ტყიური ადამიანზე ადრე გრძობს ბუნების გამოღვიძებას. საეკირველად მრავალხმიანი იყო ამ დილით საირმე მთა. — ფანჯარასთან მდგარ ფარნავაზს მიუახლოვდა ნადირობიდან ახლახან მობრუნებული ქუჩი.

— შენი მონდომება რომ ვიცი, მალე დაეკარიელებ სანადირო ადგილებს. რად არ გამაღვიძე?

— რა ვქნა, თუ ფარნავაზის საყვარელი საუბზე მხოლოდ ტყიურის ხორციით მზადდება? ან წინა დღით მოკლულის ხორცს ხომ არ ვაკადრებ ეგრისის ღვთაებრივ სტუმარს? ხოლო იმიტომ არ გაგაღვიძე, რომ მითხრეს, გვიან ღამემდე სანთელი ენთო მეფეს, კითხულობდაო.

— არმაზმა ებრაელთა დიდი წიგნის ჩამდენიმე ფურცელი გადმომიტარგმნა

და იმას ვკითხულობდი, მესმის შე იმ კაცისა, რომელმაც ღმერთის წესდებულს ქვეყნისკენ დაუხრავად ატარა თავისი ხალხი. მერე კი ძილი გამოერთა და როგორ არ მატრიალა ფიქრმა. სოანეთშიც ამიყვანა და შენი უფროსი ქურუმიც შემახვედრა, ლენეზე გაბრაზებული. — თავი მოაბრუნა ფარნავაზმა.

— იბერიის მთავარსარდალი მართლაც არ უყვარს ეგრისის უფროსი ქურუმს! — გაიღიმა ქუჩიმ.

— თუ არ ვცდები, არც იბერიის მეფე ეხატება გულზე!

— არც ეგრისის მთავარი! — დაუდასტურა ქუჩიმ. — თუმცა კი შე მოვიყვანე, აღვაზვე და გავამდიდრე. უღირსი გამოდგა. რა უნდა მექნა, თუ ჩემს მცირერიცხოვან ნათესავებში უფრო ნასწაველი კაცი ვერ შევარჩიე?

— ქურუმებსა და ტაძრებსაც ერთი, საერთო ხელმძღვანელი უნდა დაეუფინოთ. აღონი არ მამღვეს ჭერჭერობით ამის ნებას. დრო მოვა და ეს უნდა დაეკანონოთ. ქვეყნის მმართველობაში დიხაც ხელისშემშლელია უთვალავი ტაძარი და მათი უთვალავი გამგებელი, რომლებიც მრავალ ღვთაებას ემორჩილებიან. იცი რამდენი ღვთაების რამდენი ტაძარია იბერიაში?

ქუჩიმ მხრები აიჩჩია.

— ექვსი ათეული ღვთაების ორასი სალოცავი, რომელთაც ორასი უფროსი ქურუმი განაგებს საკუთარ ნებაზე. — უბასუხა ფარნავაზმა.

— როგორც აღონი ამბობს, სამარას დროს მთვარის საქურუმოები ყოფილან ერთი ქურუმთხუცესისა და ერთი მთავარი ტაძრის ხელქვეითები. ახლა მათაც საკუთარი გამგებლობა აქვთ. ხატის მამულის შემოსავალი დიდია, ასევე მრავალი ათასი მონა ემსახურება ქურუმებს. — თქვა ქუჩიმ. — გამოდის, რომ ახლა ყოველ მონას ორი ბატონი ეყოლება — ერის კაცი და ღვთაების კაცი.

— ვეცდები ასე არ მოხდეს. ყოველ შემთხვევაში სარწმუნოების მსახურთათვისაც ისეთივე წესრიგი უნდა დამყა-

რდეს, როგორც საერისკაცოში.

— და ყველა უნდა დაემორჩილოს მეფეს!

— ასე! — დაუდასტურა ფარნავაზმა. — ხოლო საერისმთავროს უფროს ქურუმებს უნდა განაწესებდეს და ხელმძღვანელობდეს ერისმთავარი!

— იცოცხლე, ეს კარგი იყო! — გაიხარა ქუჩიმი. — ორი წლის წინ სწორედ ჩემი უფროსი ქურუმის გამო გავტეხე სიტყვა და ვერ მივეხმარე ალანებს, თუმცა შენი დასტურიც მქონდა. მაშინ ნადირობის ქალღმერთის შემოსარიგებელი მარხვა მოიგონა და ხალხიც გადაიბირა. ხოლო ძალად ომში წაყვანილი კაცი როგორი მემომარცხა, შენ უკეთ იცი. მერე იყო და ციხე-გოჯის გასრულებაში შემიშალა ხელი. სწორედ მაშინ წამოიწყო ტაძრის დასამთავრებელი სამუშაოები. ამ ბოლო დროს ხალხიც გადაიმტერა. უბრალო რამისთვის ადამიანის ხატზე გადაცემა და წყევლა იწყო. უფლისციხელ ბერს რომ გაიმეტებდეთ ჩემთვის შენ და ადონი, იგი დაამყარებდა წესრიგს ეგრისში, აქაურია და ამიტომ ზედმიწევნით იცნობს ჩვენებურ ადათ-წესებს. — კარგა ხანია სურდა ამის თხოვნა მეფისთვის ეგრისის მთავარს.

— უფლისციხელ ბერს თავის შემცველად ამზადებს ადონი, — თქვა ფარნავაზმა.

\* \* \*

მართლაც უცხო სახილველია მიზიტხუს წინა დღეს ციხე-გოჯი. გაზაფხულის ღორთქო სიმწვანით მოხატული ოდა-სახლები, ეზო-ყურეები, ია-ენძელებით, ატმის ტოტებით მორთული კარ-ფანჯრები და ღობეები... ქუჩებში, შუკებსა და ორღობეებში მინდვრის ყვავილების გვირგვინებით თავდამშვენებული ქალიშვილები და ჭაბუკები. მწვანე ფერის კაბებში გამოწყობილი მანდილოსნები, მწვანე ყაბალახიანი მამაკაცები... მთელი დღის მანძილზე სიმღერა და ცეკვა, ხალისიანი, ეგრისული შაირი...

დიახ, მიზიტხუს დღეს ასაკი დამარცხებულია, ყველა ახალგაზრდას ყველა მომავალზე მზრუნველი... მოხუცი დედაკაციც ისევ დაძებნს ღამით, ტყეში ხუთყურა ყვავილს, როგორც გასათხოვარი ქალიშვილი... მასაც თავისი სათხოვნელი აქვს, მასაც სურს ოცნების ასრულება: ოჯახის სიმრთელე, ავადმყოფის განკურნება, სიმდიდრე. უბრალოდ, სიცოცხლე... და, რადგან არ არსებობს უხვალეო ცოცხალი კაცი, ამიტომაც მიზიტხუ ყველას დღესასწაულია...

დალამებისას ერთბაშად მიყუჩდება ხოლმე ხალხმრავალი საცხოვრისები. ეგრისელები ტყეში ზვალინდელი იმედის საპოვნელად მიდიან... ბედნიერი ქალი იპოვის ხუთყურას, ბედნიერი მამაკაცი შემთხვევით დავარდნილ ფულს ან ცხენის მოსართავის ნაწილს, მოკლედ რკინის ან ბრინჯაოს ჩამონატეხს.

მთელი ღამე ტყეშია ხალხი და მზის პირველ სხივთან ერთად ბრუნდება უკან... ჯერ ტყიდან საზვარაყო ირემზე ამხედრებული მოხუცი გამოჩნდება. მუხის ღორთქო ფოთლების გვირგვინით თავშემკული, რომელსაც დედაკაცებისა და ქალიშვილების გუნდი მოჰყვება სიმღერით, სულ ბოლოს მამაკაცები გამოდიან ტყიდან...

ტყის ბოლოს წინამძღოლი ჩერდება, რათა გაზაფხულის ყვავილობის ღვთაებისთვის შემოსაწირი მიიღოს ეგრისელებისგან. მალე ქვის დიდი სვეტის ირგვლივ, რომელზეც საზვარაყო ირემი უნდა დაიკლას, ყვავილებისა და ხის მწვანე ტოტების ზეინი იგება. ყველა ცდილობს თავისი საჩუქარი რაც შეიძლება ახლოს დადოს საზვარაყო ცხოველთან, რათა ღვთაებამ კეთილი თვალთვლით გადმოხედოს. ამ ქვის სამსხვერპლოს წინ გადაშლილ ველზე შუადღისას მამაკაცების შეჯიბრი დაიწყება, სადაც ეგრისელი ვეჯაკები ჯირითობასა და ცხენოსნობაში გაეჯიბრებიან ერთმანეთს. გამარჯვებულს სამსხვერპლოსთან ყველაზე ახლოს მდებარე ყვავილი ერგება და ულამა-

ხეს ასულთან ცეკვის უფლება ეძლევა...

მერე ორ დღეს ლოცულობს და სულის გაპატიონებაზე ფიქრობს ეგრი-სელი კაცი, რათა მესამე ღამეს სათაყვანებელ საღმთო მუხასთან მივიდეს, თავისი გულისტკივილი გაუზიაროს და უნებლიე თუ ნებითი დანაშაულისთვის ან შეცდომისთვის პატიება სთხოვოს.

მცენარეთა მფარველი ღვთაების სალოცავ ადგილად ხატის ტყე ითვლება, ხოლო ღვთაების ხილულ ხატად — დიდი მუხა. ყველა ეგრისელ მამაკაცს ამ ღამისთვის საგულდაგულოდ გაღესილი აქვს ხანჯალი, რათა ერთი მოქნევით მუხის ქერქში ღრმად ჩაასოს. თუ ამას ვერ მოახერხებს, წლებანდელი წელაწილი კარგს არაფერს უქადის მის ვაჟკაცობას და ღვთაების გულის მოსალბობად მეორე ზეიშამდე სამჯერ უნდა დაკლას თხა დიდი მუხის ძირთან.

ფარნავაზი ყმაწვილურად აიტაცა ზეიშში მონაწილეობის სურვილით. ბედნიერად გამოვეცადო, განუცხადა მისი სიტყვებით გაკვირვებულ ქუჩის ხელები გაასავსავა მეფის დამ, ეგრიისი ქალბატონმა ანომ.

— სად გაგონილა მეფე წერილ ერთან ერთად ზეიმობდეს!

— გეშინია, ქუჩიმ არ გაიმარჯვოს და უღამაზეს ქალიშვილთან არ იცეკვოს? — შეეხუმრა ფარნავაზი. — ნუ გეფიქრება, ისე მოვირთვები, თვით შენც კი ვერ მიცნობ, არათუ ეგრისელებიო. — დაამშვიდა მერე.

— შენ კიდევ პო, შედარებით ახალგაზრდაც ხარ და, თუ მოირთვები იქნებ ვერც გიცნონ, ხოლო ეგრიისის მთავარი ვერსად დაემალება თავისი ხალხის თვალს! — არ თმობდა ანო.

არ დაიშალა მეფემ. უბრალო გლეხური ტანისამოსი მოატანინა, თავზე მწვანე ყაბალახი მოიხვია და მისი საქციელით აღტაცებულ ქუჩის უფროს ვაჟს დუღდეს მიუბრუნდა: — თუ მამაშენს ეშინია ეგრისელებისა, შენ მაინც წამომყევი. ოღონდ ჩემი ვინაობა არ

გაამხილო, თქვი — სოანეთიდან ჩამოსული აზნაურიათქო.

ეგრიისის მთავარი ერთხანს ღიმილით უცქერდა გლეხის სამოსში გამოწყობილ ფარნავაზს, მერე ეზოსმოდღვარი იხმო და თავისთვის მწყემსის ტყაპუკი და თხის ბეწვის ქუდი მოატანინა. ანომ ქმარი და ძმა შეათვალაურა და გამოტყდა:

— მე ისედაც ვაპირებდი წასვლას ჩემს პირისფარეშთან და ანათასთან ერთად.

მცორე ხნის მერე უბრალო მომსახურე ქალივით მორთული შემოვიდა ციხე-გოჯის სასახლის სამეფო დარბაზში სიცილით მიეგებნენ. მოსამსახურე ქალადაც დიდებული სახილველი იქნებოდი, ვერც მაშინ გადაამირჩებოდიო, დაიჩემა ქუჩიმ. მერე სასახლის ბალი უჩუმრად გადაიარეს და მსახურთა გასასვლელი კარით გავიდნენ გზაზე.

\* \* \*

ხატის ტყეში შესული ადამიანი ღვთაებასთან მარტო რჩებოდა, მისი ნებით მოძრაობდა და მისი სურვილისამებრ პოულობდა წლის იმედს...

ფარნავაზი ნელა მიიწევდა და გულდამსით ეძიებდა მიზიტხუს სანიშნოს. ცაცხვის ძირში ბრჭყვივალა საგანი დალანდა, ლორთქო ბალახზე დაგდებული. დაიხარა და აიღო. ივერაული მრგვალი აღმოჩნდა. გაელიმა. მიხვდა, ქუჩიმ რომ დაუგდო სანიშნო. ოქრო ჭიბეში ჩაიღო. არ შეუწყვეტია ბედის ნიშნის ძებნა. ცოტა ხნის მერე მკვრივ საგანს დაადგა ფეხი და ბავშვივით გაიხარა, ბრინჯაოს ქამრის ნატეხი რომ იპოვნა. მიმოიხედა და ქალიშვილი შეამჩნია ბალახზე დახრილი. მოეჩვენა, ტიროდა ქალი. მიუახლოვდა, ზეს ამოეფარა.

— აქა ხარ, ჩემო ლამაზო, ჩემო იმედო!.. — ეფერებოდა და თან ცრემლებს აფრქვევდა მინდვრის პაწაწინა ყვავილს ქალიშვილი. — ვით მოგწყვიტო, ვით მოგაცილო სადგომს. ასე მშვენიერი, ვით მოგაკვდინო... ამაოდ მანიშნებ სიხარულს, შენც კარგად იცი და ღვთაე-





ბამაც, რომ ვერ გაიხარებს იათა. ვერ მისწვდება ცაში ვარსკვლავს... მაინც გმადლობ, რომ დამიამედე, ამიტომ დილამდე გიდარაყებ, რათა სხვამ არ შეაზოს ხელი შენს სუსტ ყლორტს და არ მოგისწრაფოს სიცოცხლე.

ქალიშვილი ზურგით წიფლის ძლიერ ტანს მიეყრდნო. თავსახვევი მოიხსნა და ხეთა ტოტებში ჩამომდგარ მთვარეს მიაპყრო თვალები. ფარნავაზი შეირბა.

— ლამაზია! როგორა ჰგავს ეს ქალი მთელთა მშვენივას! — გაიფიქრა და თვალი ვერ მოსწყვიტა, — თურმე როგორი მარგალიტი ციმციმებს ეგრიისის მიწაზე... უბრალო ქალსა ჰგავს ჩაცმულობით, თემცა ლაპარაკი და ხმა ღვთიური აქვს...

— იათა! — გაისმა ჩუმი დამახილი შორი-ახლოს.

ქალი შეკრთა. თითქოს წამოდგომა დააპირა. მერე, ეტყობა, გადაიფიქრა. კაბუჯის ზმაც იცნო ფარნავაზმა... სულ მკირე ხანში დუღე მიუბახლოვდა ქალიშვილს.

— ძლივს არ გიპოვნე! — უთბრა და გვერდით მიუჯდა. — ვიფიქრე, ვინმემ არ შეაშინოს-მეთქი. დედაჩემი ვერ მივატოვე, მამასთან მივიყვანე თუ არა, შენი ძებნაც დავიწყე.

— ეგრიისის მთავარიცაა გამოსული ტყეში? — იკითხა ქალიშვილმა.

— ისიც და...

— და... — წამოიწია იათა.

— ისიც და ფარნავაზიც! — გამოაცხადა დუღემ.

— კარგად გცოდნია საიდუმლოს შენახვა, — ლიმილით გაიფიქრა ფარნავაზმა.

სიყვარულით შესცქეროდა კაბუჯი იათას.

— ამოდ დავშვრი და ვერაფერი ვიპოვნე! — აუწყა ბოლოს, — არაუშავს, მაინც განვუცხადებ მამას, რომ შენი შეერთვა მსურს.

— შენ თქვი, რომ მეფეც ტყეშიაო? ასე არა სთქვი? ზომ არ მომესმა?

— კი ტყეშია. გლეხის ტანსაცმელშია გამოწყობილი. თვალს ვერ მოაშორებ,

ისე უხდება უბრალო სამოსი, ამბობენ. თავისი მამის ალი-კვალა...  
 კაცი ყოფილა ჩემი ბაბუა? სიეთოდ კარგები ვართ ფარნავაზის ნათესავეები. ზომ მართალია? ეს იმიტომ, რომ ლამაზი ცოლები ჰყავდათ. დიდი დედოფალი ასპანელი იყო, მაგრამ ზომ ზედაც, როგორი შვილი გაუჩინა იბერიას, იმიტომ რომ ლამაზი იყო, ძალიან ლამაზი. ფარნავაზისთანა სხვა მეორე არც მუგულება მთელს ქვეყანაზე — დუღე უცებ გაჩერდა. — არ მისმენ, იათა? — წყენა დაეტყო ხმაში.

— გისმენ! ლამაზი იყო დიდი დედოფალი!

— ჰოდა, როცა მამაჩემს შენს თავს ვაჩვენებ, უარს არ მეტყვი.

— საით წავიდა მეფე? — იკითხა ქალმა.

— თუ ძლიერ გსურს მეფის ხილვა, დაგანახებ დილით! — დაპირდა ვაგი. ფარნავაზი ხეს მიეკრა, უჩუმრად სამალიდან გამოსვლა სურდა და შესაფერ დროს ელოდა.

— დუღემ რომ დამინახოს გამცემს, თავს მოიწონებს ქალიშვილთან. ეტყობა, ძლიერ ვეამაყები ყმაწვილს, — გაიფიქრა და გული სითბოთი აეკსო.

— ბევრჯერაც დამინახავს. ნადირობისას და ცხენზე ამხედრებულად, ყველა მისი ჩამოსვლის დროს... შენ კი, უპირველესად მე უნდა მკითხო, მსურს თუ არა ეგრიისის დედოფლობა, — მიუგო ქალიშვილმა.

— ამაყი ყოფილა, — გაიფიქრა ფარნავაზმა და კვლავ დააკვირდა მთვარის შუქით განათებულ სახეს.

— შევედი. ლამაზიარს არ ჰგვანებია... უფრო მალა აზიდული წარბები და ამაყი სახე აქვს... თვალები? თვალები, ალბათ, ზღვისფერი ექნება, ან ცისფერი, თმაც, ალბათ, ჩალისფერი... ან ოქროსფერი...

— წადი დუღე, მსურს დავისვენო! — წყნარად თქვა ქალმა.

— გინდა, დედაჩემს შენს თავს მოვათხოვინებ სასახლეში. იქ ნაკლები სამუშაო გექნება.



— არ მინდა! სად გაგონილა თავისუფალი მეთევზის შვილი მსახურად დადგეს. არ მსურს სასახლეში ცხოვრება. გაიგე, არ მიყვარს სასახლე...

ქალიშვილი მწარედ ატირდა და სანამ განცვიფრებული ჰბუჟი მის დამშვიდებას ლამობდა, ფარნავაზი უჩუმრად გამოეცალა საფარს და თავქვე დაეგშა.

ტყისპირას ჩამოჯდა მეფე და განთიადს დაელოდა. დიდი დროც არ დარჩენილიყო მზის ამოსვლამდე.

უთვალავი საზრუნავით გადაღლილს დასვენება, განმარტობა ეწადა, მაგრამ ვერ მოიცილა იათას სახე. გულიც უცნაურად უტოკავდა, დავიწყებულ, წარსულს მიბარებულ განცდას უბრუნებდა...

— მზის სინათლეზე უნდა ვნახო იათა. იქნებ არც ისე ლამაზია, როგორც მთავარის შუქზე ჩანდა, — დაასვენა ბოლოს და დამშვიდდა თითქოს.

განთიადისას ეგრისის მთავარმა მოძებნა მეფე. წასვლა ურჩია, — უფროსი ქურუმი უცილობლად გიცნობს და საქვეყნოდ გამოაცხადებს შენს აქ ყოფნასო, — გააფრთხილა.

— მე ვიცი ჩემი საქმისა! — უპასუხა ფარნავაზმა. — ისეთ დროს გამოვეცლები ქურუმს ხელიდან, როცა იფიქრებს, მეფის აქ ყოფნას გავამელაგნებო, მერე კი გამიბედოს და მკითხოს — ვიყავი თუ არა ამ ზეიმზე. შენ კი წადი, ანოს ნუ აწყენინებ!

— ხალხისთვის ღვთაებასავით მაღალი და მიუწვდომელი ხარ, არ ივარგებს თავიანთ გვერდით მოჭირითე და მობურთავი რომ ვნახოს.

— იქნებ მეტადაც შეგუყვარდე, ასეც არ იყოს, ძლიერ მომნატრებია ჩემი ახალგაზრდობა, ჩემი ბერა. მზამზარეული პირველობაც მოსაწყენი ყოფილა, როგორც ვხედავ. მსურს რამდენიმე საათით ჩვეულებრივ კაცად ვიქცე და გამარჯვებისთვის თავი არ დავზოგო, მსურს სხვათა თანასწორად დავიწყო შეჯიბრი.

ოკტა ხნის მერე, როცა დღემ ლეკ

თა ბელადის ნაჩუქარი „ველური“ მოუყვანა, მაღლობა გადაუჭყლეტე უჩვეულებრივად ვერ მიეალტრსა. ფრთხილად, იმ უცნობი ქალიშვილის გამო თუ ეჭვიანობდა მეფე. მხოლოდ ეს უთხრა:

— საიდუმლოს შენახვა მტკიცედ უნდა შეეძლოს ვაჟკაცსო. — და უნაგირზე მოექცა. დღემ მეფის ნათქვამში გაფრთხილებასთან ერთად საყვედურიც იგრძნო და წამოწითლდა. ფარნავაზს გაელიმა, ფრთხილად ამოჰკრა ფეხი ფერდში ცხენს.

\*\*\*

მოედნის ირგვლივ შემოკრებილი ეგრიისელები იმ დღეს უჩვეულო ჯიბითობის მოწმენი გახდნენ. მათმა უბირველესმა მოჭირითემ, ეგრისის მთავრის უფროსმა ვაჟმა დღემ, ვერა და ვერ დაჯაბნა თავისი სოანი სტუმარი. არც ახალგაზრდობამ უშველა და არც სიჩუქემ.

ფარნავაზისთვის ეს ჯირითი უბრალურ შეჯიბრი კი არა, საკუთარ არსებაში ჩაღრმავება, თვითგამოცდა, სამომავლო ძალების მოსინჯვა და თუ გნებავთ, საკუთარ თავთან ბრძოლა იყო. ეტყობა, მაინც არ მოუსვენა გულმა და გამარჯვებაში უკვე დარწმუნებული, მეოთხე წინალობასთან დაელოდა დღედს.

— გაიკერ წინ! — დაუყვირა უკან მომჭროლავს, — მიმალვას ვაპირებ უკვე!

— ეგრისის მთავრებს მოწყალება არ გჩვევია! — მისი საყვარელი დისწული თუ გაუბედავდა ფარნავაზ მეფეს სიტყვის შებრუნებას, — თავად წადი. კიდევ ორი წრე დაგვრჩია, — გვერდში ამოუდგა, — იგივე მანძილზე მოგვყები. ერთი მტკაველიც არ მსურს შეღავათად მივითვალო.

— არც იბერიის მეფეებს უყვართ ჯაბანი და იოლი გამარჯვების მოტრფივლე კაცი.

— წადი ბიძაჩემო, მე ჩემი ახალგაზრდობის იმედი მაქვს! — ოფლი მოიწმინდა დღემ.

— მე კი, ჩემი სიბერისა! — ჩაილა-

პარაკა დუდეს სიტყვებით გულნატკენ-მა და მერე, როგორც მხოლოდ მას შეეძლო, ისეთი თავგანწირვით ეკვთა მიზანს.

ბოლო წრეზე პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს ბიძა-დისწული. ფარნავაზი გამარჯვების შესახვედრად მიჰქროდა, ხოლო დუდე ახლახან იწყებდა ბოლო შემოვლას.

წესი იყო: გამარჯვებულის გამოვლინებისთანავე წყდებოდა შეჯიბრი და, მხედრის ენერჯიის გამოსაცდელად, იქვე იწყებოდა ცეკვა.

ფარნავაზმა ცხენი შეაყენა, მემსხვერპლე ბერიკაცს ყვავილების გვირგვინი ჩამოართვა და მიხვდა, რომ ამ მოედნიდან ასე იოლად ვერ წავიდოდა. ინანა, რატომ არ დაეუჭერე ქუჩის, ან რად არ ჩამოვრჩი დუდეს ცხენთა შეჯიბრშიო, მერე, როცა გუდასტივრის ხმა გაიგონა, ხალხისკენ გაეჰქცა თვალი და ხელები გაშალა უნებლიედ.

— იათა, სად არის იათა... — მოესმა მეფეს და, სანამ რაიმეს მოიფიქრებდა, გაზაფხულივით აფეთქებული იათა შემოაგდეს წრეში.

ქალიშვილი ნელა დაიძრა ფარნავაზისკენ და მის წინ მუხლებზე დაეცა.

— ოი, სასწაულო, ადამიანისშვილო ასე სრულყოფილი? — გაიფიქრა მეფემ და უნებლიედ დაუშვა მკლავები.

— ვით გავბედო შენთან თამაში, დიდო მეფეო? — დაიკვნესა, ამოხედა.

...არც ზღვისფერი... არც ცისფერი... არც ლურჯი... თაფლის ფერი ჩასდგომია

თვალებში. კრიალა. გამკვირვებულ თაფლისფერი. ფარნავაზი დაიხლოვდა — შენს მებტმა არავინ იცის, რომ ფარნავაზი იყო დღეს ამ მოედანზე.

— იმ წამსვე გიყავი, როგორც კი გამოჩნდი... ხალხმა კი ცხენიდან გადმოხდომისას შეგიცნო. არავინ ისე მარდად არ ფრენს გაქანებული ცხენიდან, როგორც ფარნავაზი.

— მაშ რა ვქნა? — ბავშვივით დაიბნა ამხელა ვაჟაკი.

— ნუ გეფიქრება, მეფეო. შენი სიყვარული შეაძლებინებს ვგრისელებს არ გიცნონ და დღევანდელი დღე გაჩუქონ უნდა ვიცევეოთ! — შესცინა.

— ვით გავბედოს დათვმა ჭვირანთან შეწყველება? — შეუბრუნა სიტყვა, გაუღიმა ფარნავაზმა.

თავი დაბარა ქალმა და მიჰყვა სტივრის ხმას.

— თუ შენთვისაც ძვირფასია ფარნავაზი, დაივიწყე მისი მეფობა და გუშინდამ რომ ხუთუფრა იპოვე, იქ დამხვდი...

— ვით გადავალ შენს ნებას, დიდო მეფეო!

— თუ ვერ დაივიწყებ, რომ მეფე ვარ, არც მოხვდები...

თვალით მოსძებნა ბედაური, მისკენ გაექანა და ელვის სისწრაფით დასტოვა კიდევ მინდორი.

მიაგლეგებდა ცხენს და ესმოდა ხალხის ხმა:

— დიდება მეფეს! დიდხანს სიცოცხლე იბერიის ძალას და იმედს!

გურამ გუგუშვიძე

## მონოლოგი დიალოგიდან

ქართველ მწერალთა ერთ ნაწილს მიემართებ შეკითხვებით, ეთხოვეთ, გამოეთქვათ თავიანთი აზრი ლიტერატურისა და კულტურის, აგრეთვე ცხოვრებასთან მათი მიმართების შესახებ. ვფიქრობთ, მწერალთა მიერ გაცემული პასუხები საგულანძმოდ და საინტერესოდ იქნება შეკითხველთა ფართოდ აღდგომისათვის, მათ შორის, იმ ახალგაზრდა ლიტერატორებისა და მწერლებისთვისაც, რომელნიც ეს-ესაა შემოდიან ლიტერატურულ ასპარეზზე...

რადგან ქართველი მწერლებისთვის ჩვენს წიგნს მჭიდროდ დასმული შეკითხვები თვით პასუხებიდანვეა თვალსაჩინო, გადავწყვიტეთ პასუხების გაერთიანება და მათი ცალკეული მონოლოგების ფორმით წარმოვდგინო.

ჩვენი ძურწალის წინა მეშვიდე-მერვე ნომრებში გვსაუბრიათ აკაკი გაწერელია, ჭებელ ქარბახაძე, ამჟამად ვთავაზობთ გურამ გუგუშვიძის „მონოლოგს“.

ჩემი აზრით, მწერლობა ადამიანის ბაქმიანობის, მისი მოღვაწეობის ერთერთი სფეროა. იგი ხელს უწყობს ადამიანის განვითარებას, მას რომ სიკეთე არ მოჰქონდეს, ალბათ, არც იარსებებდა. ნამდვილი მწერლობა — ეს არის კერძობის ძიება და დამკვიდრება, ადამიანის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების წარმოჩენა, გაცოცხლება, გაანალიზება, წვდომა. ამ თვალსაზრისით, მწერლობას დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. ზოგიერთი ლიტერატურული ნაწარმოები გაცილებით უფრო მეტს გვეუბნება გარკვეულ ეპოქასა და დროზე, ვიდრე დოკუმენტური, ისტორიული მასალა. ალბათ, ყველა მწერლის შემოქმედებითი მოღვაწეობის მიზანი არის კეთილსინდისიერად ეხსახურის კერძობის, რადგან კერძობის თვისთავედ მშვენიერებაა.

დღევანდელი ქართველი მწერლობა კრიზისს არ განიცდის, პირიქით, მოსალოდნელია მისი უფრო მეტი გააქტიურება, ყოველშემთხვევაში, მე ასე მესახება ახლამდე, მაგრამ მწერლობის ზემოქმედება ხალხზე, ხალხისა და მწერლობის ურთიერთობა მართლაც ვერ ტოვებს სასურ-

ველ შთაბეჭდილებას. თუმცა, როდის ყოფილა ეს ურთიერთობა იდეალური? მაინც, უნდა გულწრფელად ვთქვათ, რომ მე მეჩვენება, თითქოს ჩვენი ხალხი გახდა ქალზე ინტერტული, უინტერტული, თავის თავში ჩაკეტილი, გულგრილი, უბარი და სუსტი. მე მგონი, დაქანების გზით მივდივართ, ზედოზედ ვთმობთ პოზიციებს თითქმის ყველა სფეროში, ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ხალხებთან ურთიერთობაში ხშირად დამარცხებული გამოვდივართ, ჩვენავე დაუცვრებლობის და დაუფიქრებლობის გამო. შევდომა შევდომა მოსდევს და არ ჩანს საშველი, თითქოს ჩვენვე ვჭრით იმ ტოტს, რომელზედაც ვსხედვართ. სხვათაგან ვერ ამისხნია ამდენი ნეგატიური მოვლენა, რაც ჩვენს სინამდვილეში ხდება, ასეთი ქმედებანი, რომელნიც ჩვენი ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ არიან მიმართულნი და ჩვენს ეროვნულ ღირსებას და თვითშეგნებას დაბლა სიციქენ. ყოველივე ამას, შეიძლება, აქვს თავისი გამოწვევა მიზეზები, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არა აქვს გამართლება. გადახედოთ ჩვენს მუშობელ სომხებსა და აზერბაიჯანელებს, რო-



გორ შედგარად იბრძვიან ისინი თვითდაშვიდ-  
 არებისათვის, თუნდაც ჩვენს ტერიტორიაზე.  
 იქაც იგივე სისტემაა, რაც ჩვენში, მაგრამ, ცხ-  
 ურობა, სხვა ძალებიც მოქმედებენ, ჩვენ კი და-  
 გვილია პირი და როცა მიწას, ისტორიასა და  
 კულტურას გვეცილებიან, ხმას არ ვიდებთ ჩვე-  
 ნი ხანაქებო სოხარშაყისა და უდარდლობის  
 გამო, ან იქნებ იშის გამო, რომ საზოგადო სა-  
 კმბ, თუ მას პირადული ბერი არ მოაქვს, საქ-  
 მედ აღარ მიგვაჩნია? ასეთი განწყობილება,  
 ასეთი დამოკიდებულება საზოგადო საქმისადმი  
 დღევანდელ ვითარებაში სამართის გამოხრდლია  
 ყველა ხალხისათვის. ამიტომ ჩვენი ასეთი წაბ-  
 დენის ახსნა მხოლოდ ობიექტური, გარეგანი  
 პირობებით აღარ მიმჩნია მართებულად, თუშ-  
 ცხ, ცხადია, ობიექტურ პირობებს დიდი დეა-  
 წლი მიუძღვის ასეთი დაკვეთებული სულის-  
 კვეთების წარმოქმნაში. და მაინც, ადამიანს და  
 ერს, რაც უფრო შტი გავიჭრება ადვას, მით  
 უფრო შტი შინაგანი სიტყუიყისა და შუეუპო-  
 რების გამოჩენა მართებს. ჭირსა შიგან გამა-  
 გრება ისე უნდა ვით ქვიტკირსაო. — ეს  
 ქართველებს და არამც და არამც არ უნდა და-  
 ვიციწყოთ! ჩვენ აუცალებლად უნდა მოვხაზოთ  
 გზა, რომელიც არსებულ ვითარებაში შეგვაშ-  
 კიდროვებს და ეროვნული იდეალების სამსა-  
 ზურში ჩაგვყენებს. დღესდღეობით ეს არ  
 არის ადვილი, მაგრამ შესაძლებელია, თუ ერის  
 სულიერი კონცტრაცია მოხდება.

რაც შეეხება დონტროვისკის გამოთქმას „სა-  
 ყაროს სილაშავ იხსნიო“, დღევანდელ ვითა-  
 რებაში ეს ფრანკ ოდენ ეგრეთწოდებულ  
 ფრთისან გამოთქმად აღიქმება ჩემთვისაც.

... ჩემი აზრით, თანამედროვე ქართული ლი-  
 ტერატურა თანამედროვეა. უცხოური ლიტე-  
 რატურით დაინტერესება ცუდი არ არის, პი-  
 რიქით, ძალიან კარგია და მისასაღმებელი,  
 მართო ქართული ლიტერატურით შემოფარგე-  
 ლა უდავოდ შეზღუდვდა ჩვენს გონებრივ  
 თვალსაწიერს. სხვათაირად არც შეიძლება, ლი-  
 ტერატურა ზოგადასაცხოვროო მონაპოვარია და  
 ბუქშეარტი მკითხველი ვალდებული იცნობს.  
 დეს მხოფლოო ლიტერატურის საუკეთესო წი-  
 მიუშებს. მე არც მანტრერებს იმ მკითხველის  
 აზრი, რომელიც მხოლოდ ქართულ ლიტერა-  
 ტურას კითხულობს, მაგრამ არ მანტრერებს  
 არც იმ ქართველი მკითხველის აზრი, რომე-  
 ლიც ქართულ ლიტერატურას არ იცნობს ან  
 წერელებდ იცნობს, გინდაც წეპირად იყოდეს  
 მხოფლოო ლიტერატურის შედეგებში. მხოფლი-  
 ური ლიტერატურის უფრუდებულყოფა, შხვი-  
 ლაფერს რომ თავი დავანებოთ, სამარცხვიოა,  
 ნიშანი რენეგატობის, სწობიშმას და, თუ გწე-  
 ხავთ, პრეტენწიული პროვინციალიწმისა. ქარ-  
 თული ლიტერატურისადმი გაციების, მე პირა-  
 დად, ვერ ვაშწწენე. თუ ქართველი მწერალი

შიაწვდის მკითხველს მაღალშტატრულ ნაწარ-  
 მოებს, სადაც წარმოჩენილი ქვეწიქსე შექმე-  
 რი, ფილოსოფიური, ეროვნტრტწწწწწწწწწწწ  
 არი პირობელები, რომლებიც ჩვენს დღევანდელ  
 მკითხველს აინტერესებს, იგი თავისუფლად შე-  
 ძლებს საუკეთესო უცხოელი მწერლების კონ-  
 კურენციას გაუძლოს. პირიქით, ასეთი კონკუ-  
 რენციის შესაძლებლობა სტიშულის მიმცეში უწ-  
 და იყოს ქართველი მწერლისათვის. ეს უწდა  
 გაითვალისწინოს დღევანდელმა ქართველმა  
 მწერალმა, თუ სურს შეგნებული მკითხველი  
 მუავდეს, იგი უწდა იდგეს იმ დონეზე, რომელ-  
 ზედაც მისი თანამედროვე საუკეთესო უცხოე-  
 ლი მწერლები დგანან. ასეთი მწერლები ჩვენ  
 გყვავს, მაგრამ ბერია არა. ბერია ნიჭიერი  
 მწერალი არც შეიძლება არსებობდეს ერთდ-  
 რაულად ერთ ქვეყანაში. აქვე მინდა დავუ-  
 რთო, რომ თუმცა მწერლის შრომა არასოდეს  
 არ არის ადვილი, ჩვენიში, უახლოეს წარსულ-  
 ში, იგი მტისმეტად გაძნელებული იყო. ჩვენი  
 ლიტერატურა იყო ფრთხილი, მიუმიწიკიბული,  
 უკონფლიქტო, შენობებული და უკონფლიქტო ეს  
 მკითხველის ნდობას უკარგავდა მას. მწერლე-  
 ბის დიდ ნაწილს კარიერისტული მიწნები უფ-  
 რი ამოძრავებდა ლიტერატურაში, ვიდრე შე-  
 მოქმედებთი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ  
 მნიშვნელოვანი ნაწარმოებები არ იწერე-  
 ბოდა. იწერებოდა და წოგჭერ იბეჭდე-  
 ბოდა კიდეც. მაგრამ მშირად არ იბეჭდებოდა,  
 ან ძნელად იბეჭდებოდა, და ასეთ ვითარებაში  
 მწერლებიც თავისდაუნებურად გვერდს უვლი-  
 დნენ საშუე თემებს, რაც ლიტერატურის პრეს-  
 ტიეს დაბლა სცემდა. ვინც გვერდს არ უვლი-  
 და, მას შინ დღოთ თავისი ქწწწწწწწწწწწწწ  
 გვიე მაღლხარბას, ჩემი აზრით, ბაწწწწწწწწწწწწ  
 რომაინ „უაწწწწწწწწწწწწ“ ოცი წელია დაუბეჭდე-  
 დებს. შორს რომ არ წვაიდე, პირადად მე, ერ-  
 თი ჩემი რომაინს „სტუშარის“ დაბეჭდეა შვიდ  
 წილოწადს ვერ მოვაბტრხე. სამა რედაქტორმა  
 დამიბტრუნა იგი და სრული საბით არც არას-  
 დროს დაბეჭდილა ეურწაღში. არადა, დღეწწწწწწწწ  
 დელი თვალსაზრისით არაფერია იმ რომაინაში  
 განსაუკურბების მკრებელური. მე იმ რედაქტო-  
 რებს არ ვსაყვედურობ, უბრალოდ, ბერია რამ,  
 რაც დღეს დაშვებულია, მაშინ საშიში ჩანდა.  
 ამიტომ დღევანდელმა მწერლებმა ეს უწდა გა-  
 ითვალისწინოს და ისარგებლონ აშეამად შექმ-  
 ნილი ვითარებით.

... ლიტერატურის განვითარების პერსპექტი-  
 ვას მე მაინც ოპტიმისტურად ვაფასებ, მაგრამ  
 ვისურვებელი მკითხველის დონეც ამაღლებული-  
 ყოს, ჩვენი მკითხველი უფრო ფართოდ განა-  
 ლებული და დაინტერესებული უოფილიაოს.  
 ამასთან დაკავშირებით, მთელი ჩემი იმედები  
 უკავშირდება მომავალ თაობას, რადგან, რო-  
 გორც ვატყობ, ჩემი თაობის ადამიანების გე-



მოცნება, ინტერესები და მსოფლმხედველობა, სხვადასხვა მიზეზების გამო, აღმოჩნდა მტრის-წყობად შეშინაურა, წვრილმანი, მერკანტილური. ამით იმას კი არ უარეყოფ, რაც ჩემი თაობის ადამიანებმა გააკეთეს, შე ვლამარაგობ ზოგად სულიანკეთებაზე. ის კი, სამწუხაროდ, სწორედ ასეთია და ეს ძალზე მწვავედ იგრძნობა დღეს; ამას განსაყურებთ ახალგაზრდები გრძნობენ. არ შეიძლება საყოფიარი კეთილდღეობის ესოდენ გაფუტოვება, ამაში დამწერელი თაობის კომპლექსი ჩანს. დღევანდელი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილს ეს აღიზიანებს და ისინი ამაში სავსებით სწორი არიან. ჭიანჭის, ჩაყრა-დაბურკის, დროსტარების და ფულის ზონის ეულტი კლავს სულიერი მოთხოვნილებებს და ეს აუცილებლად მიგვიყვანს დაღუპვაზე. ამაზე რიი აზრი არ არსებობს. დღევანდელი საქართველო იმიტომაც არის კრიზისის პირას, რომ, სხვა უამრავ მიზეზთან ერთად, მხოლოდ პატრიარლურ კეთილდღეობაზე ზრუნვა გახდა ჩვენი ცხოვრების წესი. დროა, ეს წესი შევეცვალოთ, თორემ დაიკარგა სინდის-პატიოსნება, ვაჟაკობა და გონიერება და თუ ასე გაგრძელდა, კარგი არაფერი მოგველის. მაგრამ შე იმედი მაქვს, რომ ასე აღარ გაგრძელდება, ასე არ უნდა გაგრძელდეს, ახალმა თაობამ ახალი იდეალები უნდა დაისახოს. დღევანდელი ცოცხლების მონღვებს ადამიანები, არამასურველ ზემოქმედებას მხოლოდ მათს შეუძლია კატასტროფის გამოწვევა, თუ მას ძლიერი შინაგანი წინააღმდეგობა არ ზედება. ჭრჭერობით ამ წინააღმდეგობის ნიშნები სურტია, მაგრამ იგი არის, იგი არსებობს ჩვენი ხალხის ცნობიერებაში, იგი უკვე მოქმედებს ჩვენი ცხოვრების წიაღში. არიან ადამიანები, რომლებშიც ცდილობენ უჩინრად და უშეშოდ ემსახურონ ქართველი ერის სულიერი მთლიანობის აღდგენის უდიდეს საქმეს, ცდილობენ დაუბრუნონ ერს დაკარგული რწმენა, მარადიულ ფაუტელობათა დაფასების უნარი. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ საქართველოს მომავალზე, მის შორეულ მომავალზე და ყოველნაირად იბრძვიან ყოველდღიურად, ამწამიერი ინტერესების წამლცავი და გამანადგურებელი შემოწოლის წინააღმდეგ, იჭნება ეს ცოლლოგიური, ცოწონიყური თუ სულიერი პირობები. ამ ადამიანების დიდ ნაწილს საზოგადოება არ იცნობს და მით უფრო დასფაიებელია მათი ღვაწლი, რომ ისინი არც ღამობენ ვინმეს თავი მოაწონან ან გააცნონ, მათი მონანი უფრო ამაღლებული და წმინდათა წმინდაა...

სასწაულებს არ ველი. ვიცი, რომ იწერება ქვეშარბიად ღირსეული და მნიშვნელოვანი წიგნები. რაც შეეძება აღმატებულებას, უნდა მოგახსენოთ, რომ ლიტერატურა შეეჩიბრა არაა. ის, რაც სხვას აღმატებული მგონია, შეიძლე-

ბა მე სულაც არ მომწონდეს და, პირიქით. ლიტერატურაში ყველას თანხრომნი მქვს, ყველა ნიჭიერი მწერალი უტყობს მსახურებას, ბოლო რომელი თაობის მწერალი დაწერს კარგ წიგნს. ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ოღონდ კარგი წიგნი შეიქმნას.

...მე მგონი, ჩვენში პოეტია ძალიან უყვარია, ის, რაც დასავლეთში ზდება აუცილებელი არ არის ჩვენთანაც ზუსტად ისე ზედობოდა. და არც ზდება. ჩვენ ჩვენი ჭა გვაქვს და ჩვენი განსაკუთრებული მდგომარეობა. დასავლეთისკენ დაიხაც უნდა ვიყუროთ და მათგან ბევრი რამ სახარვეზლო უნდა ვისწავლოთ, თუნდაც შრომის ორგანიზაცია, მაგრამ საყოფიარი პირობები და ადგალმდებარეობა არ უნდა დაგვაკვიწყდეს. ბრმა მიზანვა ყოველთვის სასაცილოა, არადა ჩვენ ეს გვახანაბებებს. ამის გამო ბევრწერ წავიკვებებია ცხვირი და კიდევ ბევრწერ წავიკვებოთ, თუ არ ვისწავლეთ საყოფიარის დაფასება და შეგვეცნება, ის როგორც ამას დიდი ილია გავსწავლის. ილიას მოწინააღმდეგევი, სწორედ უხადრუკი ბრმა მიზანველები გახლდნენ. ეს გუდაუშუტა ადამიანები დასავლეთისა და რუსეთის წამაძვით ჩვენში წერავდნენ. ამკვიდრებდნენ და ემსახურებოდნენ ჩვენთვის უცხო იდეალებს, რომლებიც ჩვენს სინამდვილეს არ წარმოუქმნია. ვინა მეტისმეტად სავალო არ არის, რომ რევოლუციამდე საქართველოში ყველაზე პოპულარული პარტია იყო სოციალ-დემოკრატიული პარტია, მაშინ როდესაც საქართველოს არც პოლიტიკური დაწოუკიდებლობა გაჩნდა, არც განვითარებული მრეწველობა და არც პროლეტარიატი და ასეთ ვითარებაში, ეს ეგროწოდებულ მოღვაწენი ყალბად ვაგებულ ინტერნაციონალიზმის საფარით სახტეგ ბრძოლას უცხადებდნენ ყოველივე ეროვნულს და დაღუპვის პირამდე მიიყვანეს ქვეყანა. ეროვნული ინტერესების უარყოფის ყოველთვის ასეთი შედეგი მოსდევს.

...საბილოს ძველს კოშკშია ქდომას დღეს ვერც მწერალი შეძლებს და ვერც ეტრავინ. დღეს სხვა დროა, სხვა ვითარება მსოფლიოში. რასაკერაფელია, დღევანდელი ქართველი მწერალი, ისევე როგორც ყველა ქართველი მამულიშვილი, აქტიურად უნდა ეტეოდეს თავისი ქვეყნის საზოგადოებრივ საქმეებში. სვენანარად ვერც წარმომიდგენია. მაგრამ ეს იმას არ ნშენავს, რომ ეს ჩარევა მხოლოდ მკითხველებთან შეხვედრით და საწინიო საღამოებში შემოაფარგლოს. პირადად მე ასეთი შეხვედრება ზედმეტად მიმაჩნია, მაგრამ კაცია და გუნებაო, ზოგინთვის შეიძლება ეს საჭიროც არის. მწერალმა უნდა წეროს, უნდა გამოეხმეაუროს ერის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს, ეს არის მისი აქტიურობა.

...რომელი ლიტერატურული ტრადიციის გაგრძელებლად თვლით თავსო, მკითხებით. ამა-



ზე არაპოდეს მიფიქრია, ალბათ, ამ ტრადიციისა, რომელიც ჩემმა წინამორბედმა ქართველმა მწერლებმა დასაბეს...

როცა ახალ ეურნალს ან გაზეთს ვკითხულობ, არ დავკვირვებარ, პირველ რიგში რომელი ენარის ნაწარმოებს ვირჩევ, თუმცა, ავტორის გვარს და სახელს, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს.

...ბანალური, პროვანული ლიტერატურის წრდა, თანაც საკმაოდ დიდი ტირაჟებით, ცხადია, არ არის სასურველი, რადგან იგი რყენს რიგითი მკითხველის გემოვნებს. ზოგჯერ ჩვენს მკითხველს ისეთი ურთიერთ დამეტრალურად საწინააღმდეგო ზარისხის ნაწარმოებები მოსწონს ერთდროულად, რომ გაგაკვირდება. ეს იმის ნიშანია, რომ იგი ვერც ერთის ღირებაში ვერ ერკვევა, ეს კი იწვევს საზოგადოებრივი აზრის დეგლავაციას. რატომ ხდება ასე, ვერ ამხსენია, რადგან ბანალური ლიტერატურა ხშირად ზღაღღაღიფიციურ კვეთებშიც უხვად იბეჭდება, თუნდაც ამერიკაში. მე ვიცი ამგვარი ლიტერატურის რამდენიმე ამერიკულ ნიმუშს, ეს ნაწერები მელოდრამატიზმითა და სენტიმენტალურებით გამოირჩევიან და დღევანდელ დღეს ებნებიან, ჩვენში კი პროვანული ლიტერატურის ავტორები უმთავრესად ისტორიულ თემებს ირჩევენ და გარდა იმისა, რომ რყენიან რიგითი მკითხველის ლიტერატურულ გემოვნებას, ამბიენებენ ჩვენს ისტორიულ წარსულს, მცდარ წარმოდგენას უქმნიან წარსულზე მკითხველს. ისიც მაღალმა, დიდმა ლიტერატურამ უნდა შეარტოს ეს მოძალბა, ალბათ, რდექტორებსაც შეტი სიმყაყრე მართებთ...

უანასკნელ ხანს, ჩვენში ბევრი საინტერესო პუბლიცისტური თუ კრიტიკული წერაღლი დაიბეჭდა. მეტად საკიბოროტო წერაღლი გამოაქვეყნეს რევან ჭაფარიძემ, აკაკი ბაქრაძემ, მანანა გოგიწიშვილმა, ვერან პეტრიაშვილმა, თენგიზ ზუაჩიძემ, და კიდევ ბევრმა, უბრალოდ ბოლოში უნდა მოვიხადო, რომ უველას ვერ ჩამოვთვლი, იმდენად გამოცოცხლდა ჩვენი პუბლიცისტიკა. მხატვრული ლიტერატურაიდან მკითხველს ვურჩევდი წაიკითხოს აღმანახ „განთავისი“ დახედილი შესანიშნავი რომანი „სანიტარული მატარებელი“ ჯანა იოსელიანისა, აგრეთვე ეურნალ „ოქტაბრში“ დახედილი რომანი ვასილ გროსმანისა და „ნოვი მირში“ ვარლამ შალამოვის მოთხრობები. მეტად საინტერესო ნაწარმოებებია. ჩემი აზრით ქართველი მკითხველისათვის მეტად საინტერესო იქნება ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მიერ ზღაღღაურად გამოცემული „შოაზზე“ (4-5, 1988).

რა თქმა უნდა, წინ და მომდევნო თაობების შემოქმედებას ვიცნობ, მაინტერესებს და მხატვებს ცოდნას, გამოცდილებას. როცა ეცნობი სხვა მწერლის, სხვა ადამიანის გამოც...

დიდებას, ეს უკვე გამოდრება, ასე რომ არ იყო, წიგნს არავინ წაიკითხავდეს, უკვე მწერალთაგან დიდი გულისტარდევად [რჩევი] მწერ ვასახლო ნაადრევად დაღუპული ჭეშულ თოფურძემ, რომლის ნაწარმოებებს ტრავიზმა სულისშემძვრელი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე და ვიგრძენი დიდი სიანაული, რომ ამ ახალგაზრდას არ ვიცნობდი. ახლახან, ისევე მისი სიკვდილის შემდეგ, ახლახან ძალზე ნაიტირი ახალგაზრდის თამაზ ბაძალას შემოქმედებას...

უფროსი თაობის მწერლების შემოქმედებას უკეთ ვიცნობ. ეს ბუნებრივი მოვლენაა, თავის დროზე ამას დღევანდელი ახალგაზრდებიც გაეცნობიან. ცნობიერად თუ არაცნობიერად, მწერალი უკველთვის სწავლობს, და სწავლობს უველასაგან და უველასისაგან. მწერლის ტვინი ასეა მომართული. ამიტომ კონკრეტულად იმის თქმა, თუ ვისგან რა ისწავლე, ალბათ, შეუძლებელია.

ჩემი ნაწარმოებების შეფასებას, ძალზე ხშირად ბოლომდე არ ვეთანხმები. მტრისმეტად გაზვიადებული შეფასებებით არ ვარ განებივრებული, უფრო, პირიქით, მაგრამ ამყამად ამას არც ვსაქირობე, რადგან უკვე საკმაოდ ნათელი წარმოდგენა მაქვს იმაზე, რასაც უკველთვის უკველთვის მცნობ, რომ კრიტიკა და ჩვენი მკითხველი საზოგადოება ჩემს შრომას სათანადოდ ვერ აფასებდა, მაგრამ ამ განცდამ ჩემზე დადებითად იმოქმედა, თუნდაც ისტომ, რომ გამოიშუშავდა შეტი მომთხველობა საკუთარი თავისათვისადმი. წერის დროს, კონკრეტული მკითხველი არასოდეს არა მყავს მხედველობაში, არამედ ჩემს მიერ წარმოდგენილი იდეალური მკითხველი, და რადგან ცხოვრებაში, ჩემს ირგვლივ იდეალურ მკითხველს ძალიან ცოტას ვიციან, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქმის ვწერ არა ჩემი თანამედროვეებისათვის, არამედ მომავალი თაობისათვის, რომლის რწმენა უფრო დიდია ჩემში, ვიდრე თანამედროვეებისა. ეს მანიებებს დიდ თავისუფლებას, არა ვარ შეზღუდული საზოგადოებაში ამყამად გაბატონებული რომელიმე წრის ან ჭკუფის მოდური გემოვნებით და არ ვუწევ რა ანგარიშს აწვევარ მოდებს, უფრო უკეთ ვახერხებ თვითგამოხატვას და ვედვლომ იმ თემებს შევეხო, რომლებიც უველასზე უფრო მაინტერესებს, რომლებიც ჩემთვის უველასზე უფრო ირგანულია.

ახალგაზრდობაში განვადიდი „პირუთინელი, ობიექტური, კრიტიკის უქონლობას“ ვიდრე მივხედობოდი, რომ ეს კრიტიკის დაბალი დონით აიხსნება, ახლა კი — არა. მე ის კაცი არა ვარ ვისი ბაზნაც ოქროსავით ჩხრიალებს, საშაგეროდ ის კაცი ვარ, ვინც კარგად იცის რა უნდა და რას აკეთებს. ამიტომ, ობიექტური კრიტიკის უქონლობას ურადლებას არ ვაქცევ ჩემი შემოქმედება უფრო პრინციპულად იქნებოდა შეფასებული თუ არა, აწით არაფერი



მომენტებოდა, რაც ვარ, მაინც ის ვიქნებო-  
დი, არც მეტი, არც ნაკლები. კაცანა შიგან  
რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებოდა. შემოქ-  
მედებით იმსულს მე მაქვს ცხოვრება და  
არა მთავნათა შენიშვნები თუ კომპლიმენტები.  
დადებითი წერილაც ისევე მაღე მავიწყდება,  
არაგორც უარყოფითი. რა თქმა უნდა, რამდენ-  
იმე წნით დადებითი წერილაც და უარყოფით-  
ითაც ვაკვირვულ შემოქმედებას ახდენს ჩემზე.  
დადებითი მამხნივებს, თუ ვხედავ ვაკვას:  
უარყოფითი ზასიათს მოფუჭებს, თუ ვხედავ  
ვერ ვაკვას, მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, ეს  
დადებან არ ვაქმედებ. ცუდილომ და ვახერ-  
ხებ კიდევ ჩვეულ კალაოტში დარწმუნდებო-  
მას და წერილით გამოწვეული ვაწყოობების  
სწრაფად ჩამოშორებას. მწერალი იმაზე უნდა  
ფიქრობდეს, რა დაწეროს და რაგორ, და არა  
იმაზე, მის დაწერილზე რას დაწერენ. როგორც  
გურამ რჩელიშვილი ამბობს, „ვინების სიმძა-  
ფრე შენებაშია და არა აწინებულთი ტაბობა-  
ში“.

დაწმუნებული ვარ, რომ ყველა წერილი  
თუ გამოკვლევა, რომლებიც ჩემზე დაწერილა,  
დადებითაც და უარყოფითიც, არის ავტორის  
გულწრფელი დამოკიდებულების შედეგი. სხვა-  
ნაირად რატომ უნდა იყოს? საბედნიეროდ, მე  
ისეთი თანამდებობა არ მიკავია, რომ მლიქვნე-  
ლი კრიტიკოსების ზროვა მივიწოდო. თუმცა  
ერთხელ მაინც შეშებარა ტვი ავტორის გულ-  
წრფელობაში. ეს იყო ამ რამდენიმე წლის  
წინ „ლიტერატურაშია ვაჭტაში“ დაბეჭდილი  
წერილის გამო. თუმცა, შეიძლება ვუდებოდ-  
რაც შეიძლება რეაქციას, არაგულწრფელობა სა-  
სიამოვნო რეაქციას ვერ გამოიწვევს.

...გრაგლოდ რომაქიძეს აქვს საინტერესო  
გამონათქვამები თავისი თანამედროვეების შე-  
სახებ. ასევე კონსტანტინე ვახსანავიძეას გა-  
ლაკტიონზე, ნიკო ლორთქიფანიძეზე, გიორგი  
შატერვაშვილზე შესანიშნავი გამოკვლევა გურამ  
რჩელიშვილზე, ნუგზარ წერეთელმა მთელი  
წიგნი მიუძღვნა გურამ რჩელიშვილს, ამასწი-  
ნათ, მშვენიერი წერილი გამოქვეყნა თედო  
ბეჟინაშვილმა ჩემი თაობის ერთერთ უნიკურებს  
პოეტზე შოთა ჩანტლაძეზე. რიგვე ჭადარაქმ  
სისტემატურად ეხმინება ჩვენში მიმდინარე  
ლიტერატურულ პროცესებს. უზარალოდ, ახლა  
ყველა წერილი არ მაგონდება, მაგრამ ბევრი  
მაგალითია იმისა, როცა ჩვენი მწერლები ერთ-  
მანეთის შემოქმედებას პატავს სცემენ და ეხ-  
მარტობან. პირადად მეც ბევრჯერ მიგრძენია  
ჩემი კოლეგების სიტყვიერი თუ საქარო მხარ-  
დაჭერა.

მეც ვამიგია, თითქოს ავტორები საიუ-  
ბილით დღეებში თვათონვე უწევდნ ორგანიზა-  
ბას რეცენზიებს, წერალებს საკუთარი შემოქ-  
მედების შესახებ, თუმცა ძნელი დანაქარებულ  
კია. მე პირადად, ასეთ შემთხვევას არ წაეწყ-

დომივარ, ჩემი თვლით ეს არ მიწინააღმდეგ-  
ლოდ სხვათა სიტყვები ვიყენებ. ვიყენებ  
ასეა, თუ ასეთი რამ ხდება. ვიყენებ  
ელემენტარული თავმოყვარეობის უქონლობაში.  
განუზომელი სიბრავითა და პათოლოგიური  
პატავმოყვარეობით. სხვა ამნა არ არსებობს.  
იტყობა, არიან ადამიანები, რომლებიც მხოლოდ  
სახელსა და სახრავზე ფიქრობენ და არავითარ  
საშუალებას არ თაკილობენ თავიანთი წერა-  
მანი მოწინის მისაღწევად. თუ დასკორდათ, ახინა  
სხვის დახეულებასა და გაუბედურებასაც არ  
მოეროდებიან. ამის მაგალითები ახლო წარსუ-  
ლიდან ბევრი ვიცით. სამარცხვინო და სამწუ-  
ხარო არს ესეც...

...რა თქმა უნდა, მშატერული ლიტერატუ-  
რა უნდა ეხმარებოდეს ყველანიარ პროცე-  
სებს, ტენდენციებსა და მოვლენებს, რაც ერის  
ცხოვრებაში ხდება. ლიტერატურის წყარო არის  
ცხოვრება, მისი უსაზღვრო სიღაფე, იფუმა-  
ლება და თვალსაჩინობა, მისი მრავალფერო-  
ვნება და განუზომლობა, მისი სიცხადე და წი-  
ნაღმდეგობა, მისი ტკივალეობა და ბედნიერება...

...ყველა მწერალი თვითონ ირჩევს თემებს  
და პრობლემებს, გამომდინარე თავისი გამოც-  
დილებიდან და შესაძლებლობებიდან. ლიტერა-  
ტურის თემები და პრობლემები უსაზღვროა,  
რადგან ერთსა და იმავე თემებსა და პრობლე-  
მებზე შეიძლება სრულიად სხვადასხვანაირად  
წერა.

...ჩემი თანატოლებიდან, ჩემი თაობადან  
ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია გურამ  
რჩელიშვილი. აგი უკველმზრივ გამოარჩეული  
პიროვნება იყო. ვარდა იმისა, რომ იგი ჩემი  
შეგობარი ვახლდათ, ჩვენ ერთ დროს დავაწ-  
ვეთ ლიტერატურულ ასპარეზზე გამოცვლა და  
ძალიან ბევრი რამ ვგავაყვინებდა. მისი სიუ-  
დილით გამოწვეული სიკარბილე ჩემს სულში  
არასოდეს შეეხებულა. მე ვფიქრობ, გურამმა,  
პირველმა უახლეს ქართულ ლიტერატურაში.  
შემოაყვანა ძლიერი და პარმონიული გმირი.  
მისი ნაწარმოებების გმირები, თუნდაც არაფერს  
აკეთებდენ, უაღრესად მთლიანი, ნათელი პი-  
როვნებები არიან. ეს იმიტომ, რომ მათ უყან  
მეგობარი ავტორი, სწორედ ასეთი პიროვნება.  
როცა ვთა ფშაველა ამბობს, „რამ შემიქმნა  
ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმიდაიო“, ეს  
წუწუნი კი არ არის, არამედ ვუყვაცო კაცი  
მირა გამოთქმული სოფლის სამუდგარი და  
მგარმობიარე მკითხველი ამას მისხვს ვაჭნობს.  
არიან მწერლები, რომლებიც ხატავენ გმირებს,  
რომლებიც მთელი წიგნის მანძილზე მარცხნივ  
და მარცხნივ ზოცადენ ღოშებს და დაოფებს.  
მაგრამ გამოცდილი, ჭკვიანი მკითხველი მაინც  
არ იქრებს ამ „გმირის“ გმირობას, რადგან  
ის უყან ამჩნევს სხვისი პიროვნების ოცნებას  
გმირობაზე. გურამ რჩელიშვილის პერსონაჟე-  
ბი კი ტეშმარობდა ძლიერი სულითა და ძლიერი



ნებისყოფის ადაპტაციები არიან, სხვადასხვაობა არც შეიძლება იყოს, რადგან ასეთი იყო მათი ავტორი, ავტორი კი ავტოლუბლად შედგენდება თავის ნაწერში. უპირატესად ადაპტაციის ვერაბობა ვერ დახატავს პირდაპირ პიროვნებას, სუსტი ძლიერი, მშობარა მამაცს, პირიქით კი შეიძლება. გუჩამ რჩეულიშეიღწე დაუსრულე-ბლად შეიძლება ვილაპარაკო, ჩემი დამოკიდებულება მის შემოქმედებასთან უადრესად ინტიმურია, უპირატესად ახილავსთან, მოვინებასთან, სიბაბუციის ოცნებებთან და იმედებთან დაკავშირებული... ამავე მიზეზებით ჩემთვის ძალზე მახლობელია ვაჟა გვაგაშვილის შემოქმედება. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო, მათ შორის ზოგიერთი ჩვენი რედაქციის გულგრილობა და მტრისმტეი სიხმელადაც იგულისხმება, ამ უადრესად ნიჭიერი მწერლის ნაწერებს ძალზე გვიან ვაეცნო ქართული მკითხველი. ვაჟა გვაგაშვილი, გუჩამ რჩეულიშეიღწე და მე თითქმის ერთ დროს და ერთდროულად დაიწყო წერა. მსგავსი თემები და პრობლემები გვაძლავდა, რასაც ჩვენ მაშინ ვაკეთებდით, თვისობრივად ახალი იყო ქართული ლიტერატურისათვის და ამ მხრივ, ჩვენი თავი გზის გამკვლეველად მიგვანდა. ეს იყო ძალიან საინტერესო ხანა ჩვენი ცხოვრებისა, ბევრ სიახლეს ჩაუვარა იმ პერიოდში საფუძველი, იზგრძობდა წლების მანძილზე დამუყაებული სტერეოტიპები და ამ ნაკრების მონაწილედ საქუთარო თავის შეგრძნება, მიუხედავად უპირატესად გაზრდილი შეცდომებისა, დღესაც სიამოვნებით მავსებს. შემდეგში სიწვენი სხვადასხვა გზით წაუდგით, სხვადასხვაანობად აქწუო ჩვენი ცხოვრება, გუჩამ რჩეულიშეიღწე ესოდენ ტრაგიკულად და ნაადრევად დაიღუპა, მაგრამ ის დრო ჩემთვის მუდამ დაუვიწყარია...

საყველივე ეს არ ნიშნავს, რომ დაიდა არ ვაუახებდო და პატივს არ ვცემდო ჩემს თანამედროვე უვლა ნიჭიერ ქართველ მწერალს. ჩემად სახედნიეროდ, შურის გრძნობით მაინც-და მაინც დამრგუნელი არა ვარ, აღტაცებაში მოყუარარ ვეღა ნიჭიერ ნაწარმოებს და გარკვეული ხნის განმავლობაში ვეძებო ამ ნაწარმოების გულმხურვალე პროპაგანდისტი. მაგრამ აუ ნაწარმოებმა ვერ დაიღუვა სასურველი შთაბეჭდილება. გინდა მას მთელი ქვეყანა ადიდებდეს და ცაში აუყუადეს, მე მას ვერ მივადებ. ეს საუხუბით ბუნებრივია, ჩვენ უვლანი ჩვენი პოზიციიდან ვაუახებთ სინამდვილეს...

ქართველი მწერლის ნებისმიერი ნაწარმოების, კრიტიკული განხილვა ჩვეულებრივ მოვლენად რომ იქცეს ჩემი აზრით, ამისათვის საჭიროა თავისუფლება, უანგარობა ფართო საზოგადოების მადლი კულტურული დონე. უკველივე ამისაგან, დღესდღეობით, ჩვენ ძალიან შორსა ვართ. ამაში ბრალი მიუძღვის იმ სისხტმას, რომელმაც ვცხოვრობთ. თუ ეს ვითა-

რება შეიცვლება, ლიტერატურული კრიტიკური შესაბამისად უნდა შეიფუძვროს...  
— კრიტიკული კუბლიშეიღწე...  
მოქმედებაზე გავლენას ვერ ახდენენ და ვერც მოახდენენ. სხვის აზრს ჩემს შესახებ არ შეუძლია შემცვალოს. მე უკველითვის ისე დაეწერე, როგორც ვარ და როგორც მებერსება. კრიტიკულ კუბლიკაციას შეუძლია ჩემს განწყობაზე მოახდინოს გავლენა, მაგრამ განწყობა, მოგებხენებთ, სწრაფნარმავალია.

საკმაოდ გულგრილად ვრეაგირებ ჩემი მისამართით გამოთქმულ შენიშვნებზე.

როგორ წარმოიშობებოდა იდეალური მოდელი კრიტიკული სტატიის? ამაზე არ მიფიქრია. კრიტიკული სტატიის მიადელზე კრიტიკოსებმა უნდა იფიქროს. ისე კი მგონია, რომ კრიტიკოსი უნდა იყოს უადრესად განათლებული და ერთდობებულყო, კულტურული პიროვნება. თუ კრიტიკოსი ამ მხრივ მწერალს ჩამოუვარდებდა, იგი ვერასდროს ვერ შეძლებს ამ მწერლის ნაწარმოების სათანადო დონეზე განხილვას. როცა მე ვამჩნევ, რომ კრიტიკოსი ჩემზე ნაკლებ განათლებულია და ბევრი რამე რაზეც მე წარმოადგენა მაქვს, მან არ იცის, მისი აზრები ადარ მაინტერესებს. კრიტიკული სტატიის კითხვისას, ჩვენ პირველ რიგში ვეცნობთ თვითონ კრიტიკოსის პიროვნებას, მის მრწამსს, გემოვნებას, კულტურას და ა. შ. დ. მხოლოდ მერე მწერალს, რომელსაც ის იხილავს. მწერალი უნდა გამოჩინდეს იმ კრიტიკოსს ზედვის პირში, რადგან ის, რასაც ვეუახნება კრიტიკოსი მწერალზე, არ შეიძლება ბოლომდე ობიექტური იყოს. ამიტომაც არის, რომ რომელმე მწერალზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, კრიტიკოსი აეღვინა თავის თავს. თუ ის საინტერესო პიროვნებაა, დაინტერესებს მკითხველს, თუ არა — ვერა. ცუდი კრიტიკოსი კარგ მწერალზე ვერაფერს საუფრადებლად ვერ გეტყვის, მაშინ როდესაც ნიჭიერ კრიტიკოსს ცუდი მწერალზე მსჯელობისას შეუძლია ძალზე დაეგვიანტერესოს და მნიშვნელოვანი აზრები მოგვიწოდოს.

სიბრალე გითხრათ, დაუმთავრებელ ნაწარმოებზე ლაპარაკი არ მიმართა მართებულად. ამიტომ მოკლედ გეტყვით, ვერც ახალ ვიწახ.

მეჩვენება, რომ თემები, პრობლემები და სახეები ჩემს ნაწერებში იყვლება, მაგრამ, ეტყობა, ეს მთლად ასე არ არის. ამის შემწინება ხვას უფრო შეუძლია.

მე პირადად, ნორმალური შემოქმედებითი მუშაობისათვის აუცლებელი პირობები არასოდეს მქონია და არც ახლა მაქვს. ზოგჯერ თვითონვე მიუყვარს, როგორ ვახერხებ მუშაობას-მეთქი, მაგრამ კვად თუ კარგად მაინც ვახერხებ. ამავე დროს, ვიცი ისეთებიც, რომლებიც ჩემზე თანაქერ უყუთეს პირობებში





ცხოვრობენ, მაგრამ არც ნაყოფიერებით გამოირჩევიან და არც მათი ნაღვანის დიდი ხარისხით. მე ვფიქრობ, მწერლობა ბედისწერაა. მწერალს წინასწარ უწერია რა უნდა გააკეთოს, რისთვის არის მოვლენილი. ამას იგა აუცილებლად გააკეთებს ყველა პირობებში, ვერც მტტს და ვერც ნაღვლებს.

შემოქმედება ცნობიერი პროცესიც არის და არაცნობიერიც, გააზრებულაც და ინტუიტურიც.

მე დღემდე არ ვიცი, რატომ იწყებს ადამიანი წერას, რატომ უჩნდება ეს სურვილი. მე თვითონ ეს სურვილი ძალიან ადრე გამოჩნდა, მაგრამ რატომ, არ ვიცი. შეიძლება ადამიანს აქვს თანდაუოლილი სურვილი საქუთარა: თავი გამოიჩინოს, თავისი სთქმელი გამოთქვას. ადამიანს აქვს მოსმენის, გაგების სურვილიც. შეიძლება, უძველეს დროში ციცილის პირას ამიტომ ისხდნენ ადამიანები და ერთმანეთს წადირობის ამბებს უყვებოდნენ. შეიძლება, მწერლობა კავშირის საშუალებაყა ადამიანებს შორის. უოველ შემთხვევაში, მწერალს წერა ანიჭებს შვებას, თავისუფლებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს დღეად ძველი და სატანჯველი შრომაა. მწერალს არ შეუძლია გაჩერდეს, უოველგვარი შთაბეჭდილება აიძულებს მას ისევ და ისევ კალამს მოკაღოს ხელი. მწერალი ვერანდროს ვერ იხვედნენ, თუ არ წერს, ფიქრობს იმაზე თუ რა დაწეროს მომავალში. ამიტომ მე არ მესმის იმ მწერლებიბა, რომლებიც ერთ წიგნს დაწერენ და მერე ჩერდებიან. პირდად მე, ასეთი ტიპის ხალხს არ მიაყუთვებები. მწერლის შრომა უადრესად ინტიმურ მიზნებთან არის დაკავშირებული, მაგრამ უნდა თუ არ უნდა, ფიქრობს იმაზე თუ არ ფიქრობს, მწერალი წერს თავისი თვისების, საზოგადოებებისთვის, მთელი კაცობრიობისთვის, ყველა ადამიანისთვის. სწორედ ამიტომ დიდი მწერლის შემოქმედება ეკუთვნის ყველას თანაბრად, რადგან იგი ზოგადად ადამიანის მონაოვარია. ყველა ეროვნული ლიტერატურა არის ერთი, მთლიანი მსოფლიო ლიტერატურის შენაყადი.

...რა არის პოპულარობა? ეს არის, როცა ქუჩაში მოდინარ კაცო და გამველილები გაკვირდებიან, სახებზე გეცნობენ, ან რომელიმე ადგილის იტყვი შენს სახელს და გვარს და ყველამ იცის შენი ვინაობა. მე ასეთი რამ არასოდეს გამომიცდიდა და ამიტომ არც არაფერს შეუცვალა ჩემი ცხოვრება.

...ჩემი ღრმა რწმენით, მწერლის ყველა ნაწარმოები გამოხატავს ერთ მხატვრულ სინამდვილეს, მის შინაგან სამუაროს, ყველა მწერლის შემოქმედება ერთი მთლიანობაა და რომელიმე ნაწილის გამოყოფა არ არის სწორი. მე, მაგალითად, ვერ გეტყობდი „აჩრდილი“ უფრო მნიშვნელოვანია თუ „კაცია-ადამიანი“ ილიას შემოქმედებაში. ასევე

ვარ გეტყობდი „აღუდა ქოილიაური“ უფრო მნიშვნელოვანია თუ „სტუმარ-მეპყმედილი“. ან „გამზრდელი“ თუ „თორნივექ ვრისყოფურქე ქიმიანია, რომ ყველა ჩემი ნაწარმოები გამოხატავს ჩემს სულიერ სამყაროს და უკავშირდება ჩემი ხალხის სინამდვილეს.

...მხატვრული ლიტერატურა უნდა იყოს თავისუფალი, მე საერთოდ არ მესმის, რას ნიშნავს ანგაყირებული მწერალი და ამიტომ არც ჩემი თვის მიმართია ასეთად და არც არასდროს მიმართდა.

„სხა მღადადებლისა“ მთლიანად ბავშვობის მოგონებებსა და შთაბეჭდილებებსზეა აგებული.

კითხვა ძალიან ადრე დავიწყე. შეიძლება პარადოქსად მოგჩვენოთ, მაგრამ უფრო მტტს გეტყვით, კითხვა დავიწყე, როცა ქერ კოდეც წერა-კითხვა არ ვიცოდი. ანტონ ფურცელაძის „დღიე მოურავი“ რომ წაიყითხეს, წერა-კითხვის არაფერი გამოგებოდა, მაგრამ ეს ნაწარმოები დღესაც ზედმიწევნით კარგად მახსოვს. საბედნიეროდ ის წიგნიც შემომჩრა, ქერ კოდეც XIX საუკუნეში გამოცემული. ჩემს მიერ წაკითხული პარველი ნაწარმოებებიდან მაგონდება ვაყას „შვლის ნურკის ნაამბობი“, „ჩჩყავთა ქორალი“, „სათავური“, გოგებაშვილის „იავნანამ რა ქქნა“, აყაყის „ბაში-აჩუი“, ცატერი-ნე გაბაშვილის „მავდანას ლურჯა“, „ღვინია გადაიჩება“, ლომოურის „ქაქანა“, მექტორ მალის „უხაბლყარო“, შემდეგ ამის მოყვა ყველი ბავშვისათვის აუცილებელი და დღემდე პოპულარული „რობინზონ კრუზო“, „გულიოვრის მოგზაურობა“, „ბიარს მიუნაშუნის თვავაბანავალი“, ეოულ ვერნის რომანები, „დავით კოპერფილიძე“ და სხვები. ცხრა-ათი წლიბა ვიქნებოდი, როცა წაყითხე ტარლეს „ნაპოლეონი“ და ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ბავშვობიდან ძალიან ბევრს ვკითხოლობდი და ეს ჩვევა ახლაც შემომჩრა. ახლა მიჭრის ყველა წიგნის ჩაყოფლა, რომლებიც მაშინ წაიყითხავს.

ახლს და უახლესს უკეთ ვიცნობ, თუმცა ძველ ქართულ ლიტერატურაზეც მაქვს, რახაკვირველია, წარმოდგენა.

...მე თბილისში ვარ დაბადებული და გაზრდილი. ამიტომ დედაქალაქის ატმოსფერო და გარემო ჩემთვის ბუნებრივია, მას ბავშვობიდან შერყეული ვარ. რაც შეეხება ლიტერატურულ ატმოსფეროს, სამწუხაროდ, იგი ამჟამად ვერ არი ქანსადი, ერთმანეთის მიმართ საოცრად წყრილმანი ინტერესების გამო, მტრულად განწყობილი დაჭრფებებისა და წრეების წყალობით. ამაში არაფერია მოსაწოლი. მე პირდად უოველთვის განზე ვიდექი უოველგვარი წრეებისა და ჭრფებისაგან და ახლაც განზე ვდგავარ. მე მიგობრული ურთიერთობა მაქვს ბევრ



ჩემს კალენდარსაჲ. დანარჩენი არ მაინტერესებს და არც მცალია ამისთვის.

როგორი ურთიერთობა გაქვთ მეცნიერების, ხელოვნების წარმომადგენლებთან და რას გაძლევს, ის ურთიერთობა, როგორც შემოქმედს. ბევრიანა ნაქვს მეგობრული ურთიერთობა და ეს ურთიერთობა მხოლოდ სიამოვნებას მანიჭებს.

...თავიდან ბოლომდე რომელიმე ჩემს გამოკვლევებულ ნაწარმოებს, ცხადია, ვერ გადავკითხავ. ზოგჯერ შეიძლება რომელიმე ნაწარმოებიდან ცალკეული ადგილი გადავკითხო. ამისთვის უამრავი უბრალო მიზეზი არსებობს. ზოგჯერ, შეიძლება, რაღაც დაგავიწყდეს და გინდა მოიგონო, ან შეიძლება ნაცნობ აზრს შეხვედრე რომელიმე წიგნში და მერე საკუთარში ეძებო მსგავსი და ა. შ.

ახლაჯარდობაში ძალიან მიხაროდა ჩემს ნაწერს რომ ვიხილავდი დახევედილს, თავი ხედნიერი შეგონა. ახლაც მსიამოვნებს, რასაკვირველია, მაგრამ ისე აღარ. ეტყობა, დრო აჩლუნდება გრძელდება. მკითხველის აზრს ვეუბნებოდა მკითხველისგან და თუ ის დედებოდა, ცხადია, ძალზე მსიამოვნებს. მკითხველის აზრს ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამ აზრის მიხედვით მწერალი ვებულობს, მიადწინა თუ არა მიზანს. თუმცა, ზოგჯერ სხვანაირადაც ხდება. ყველა მკითხველის და ყველა კრიტიკოსის აზრი არ არის საინტერესო და ანგარიშგასაწევი. მწერლის ნაწერი, გინდა ის ძალზე დიდი მწერალი იყოს, ყველასთვის ერთნაირად მოსაწონი ვერ იქნება. ამიტომ ერთ-ერთი კაცია უნდა იყოს

მწერლის გვერდით ისეთი, რომლის ვეშოვნებას იგი ენდობს. და თუ ასეთმა მკითხველმა დადებითად შეაფასა მწერლის ნაშრომი, ეს იმას ნიშნავს, რომ მწერალმა მიზანს მიადწინა. რაც შეეხება მკითხველის მონაწილეობას შემოქმედებით პროცესში, ეს ჩემთვის გაუგებარია, რადგან მკითხველმა კი არ უნდა მოახდინოს შეგუება მწერალზე, არამედ მწერალმა მკითხველზე. მე არ მესმის არა მონაწილეობა უნდა მიიღოს მკითხველმა ჩემს მუშაობაში.

ზომ არ უაქრობო, რომ უკვე დაწერეთ ნაწარმოები, რომელსაც ვეღარ აჯობებთ შემოქმედებით თვალსაზრისითო. ასეთი რამ არასოდეს არ მიუაქრია. უფრო პირიქით ვუიქრობო... წიდან მოგახსენეთ, რომ მუშაობისთვის საჭირო ნორმატიული პირობები არასოდეს შეინააშეთი. ამიტომ ვწერ მაშინ, როცა ვებრბებ, ზოგჯერ დილით, ზოგჯერ შუადღეს, ზოგჯერ საღამოს. ვმუშაობ მანამ, სანამ შემიძლია. ზოგჯერ — შეიძლება მოვლი დეე ვიმუშაო, დიდიდან საღამომდე. სისტემატურ მუშაობას, ყოველდღიურ შრომას ვერ ვებრბებ, ამის საშუალება არაჩიოდებს მჭონია და არც ახლა მაქვს, ჩემი ცხოვრება არასოდეს ყოფილა მოწესრიგებული, დაწესარბებული, მშვიდი, მუდამ ათას-

მაი წერილმანი და მსხვილმანი, რასაკვირველია წინაშე ვდგავარ, ეს არ მაინტერესებს. მხოლოდ ლიტერატურაზე ვიფიქრო, ბოლო თუ ლიტერატურაზე არ იფიქრე, ისე ლიტერატურას ვერ შექმნი. ჩვენი, ქართული ცხოვრების წესა ისეთია, ძნელად ადამიანმა გამოიბუნოს თვითდისციპლინა, თავის შრომას ორგანიზაცია გაუწიოს, როგორც ამას ევროპელი მწერლები აკეთებენ. ჩვენი ცხოვრების წესი შეუწყობად ქობურია, პირადად მე ესეც მიშლის ხელს მუშაობაში. ბევრს მგონია, რომ თუ სახლში მიხარ, ესე იგი მოცლილი ხარ, არაფერს აკეთებ. კაცი რომ სამსახურის მერე ტელევიზორს მიუქდება ან დოშინოს, დარწმუნებულია, რომ უფრო მეტი საქმე გააკეთა, ვიდრე შინ გამოკეთებდა მწერალმა. ასეთი დამოკიდებულება მწერალისადმი ჩვენში ქერ კიდევ არსებობს, რადგან ჩვენს საზოგადოებას წარმოდგენა არა აქვს თავისუფალ შრომაზე, ნებაყოფლობით მუშაობაზე; ამიერიც სამსახურში იძულებით მუშაობდა უფრო მნიშვნელოვან და სერიოზულ საქმედ მიანიათ, ვიდრე შინ ნებაყოფლობით. ესეც რომ არ იყოს, ჩემი ზისათით ისეთი კაცი ვარ, რომ არ შემიძლია ყოველდღე პედანტურად ერთი და იგივე საქმე ვაკეთო.

შეუთხებით, ირცხება თუ არა ჩემი პერსონა იმ მწერლების რიცხვში, რომლებიც მე მომწონს. დიახ, ირიცხება. ასე რომ არა, წერას თავს დაავანებუდი, შის ჩემთვის აზრი არ ექნებოდა. მე იმდენი მწერალი და წიგნი მომწონს და მიყვარს, რომ შათი ჩამოთვლა შორს წავიყვანდა. მებეზენება, რომ ის ადამიანები, რომლებიც ერთი რომელიმე მწერლით ან წიგნით არიან შეისმეტად აღფრთოვანებულნი, ძალიან ცოტა კარგ მწერალს იცნობენ და ძალიან ცოტა კარგი წიგნი აქვთ წაკითხული.

მე არ ვეუთხენი იმ მწერალთა რიცხვს, რომლებიც ადვილად წერენ. ზოგჯერ, რასაც ვწერ ერთ იმდენს ვყრი. ჩემს ნაწერს უადრესად მაყარად და კრიტიკულად ვკვიდები, ვინწარფვი მაქსიმალური სინათლისკენ, უბრალოებისკენ, სიუფსტიკენ, მაგრამ რამდენად ვებრბებ ამას, ეს მკითხველმა უნდა განსაჯოს.

კუბლეკაციაზე ცალკეული მონაცემები შეიძლება წავაკითხო ოქახის წევრებს. ისე კი დიდი ხანია არავისთვის არაფერი წამკითხვებია ხელნაწერი. ახლაჯარდობაში ვაკითხებდი მეგობრებს, განსაკუთრებით გურამს რჩეულიშვილს, ზოგჯერ ნოდარ ჩხვიძეს. ორივენი საუკეთესო შემფასებლები იყვნენ და მათ აზრს დიდ ანგარიშს ვუწევდი. ზუსტად ვეტყობდენ ყველაფერს, თანაც საოცარი აღფრთოვანება შეიძლოა შენი წარმატებით. ცხადია, ეს ძალიან მშატება. პირადად მეც, დედანში მაქვს წაკითხული გურამის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები. მაგრამ ის დრო წავიდა...

ახლა ძნელია ვინმე შეაწუხო შენი გამოუქვე-  
ყნებელი ნაწერის კითხვით. ის კი არა, დაბე-  
დილის წასაყიხად არ სცალია ხალხს...

არა მგონია ავტორზე უკეთეს მოდეს  
ნაწარმოები მკითხველს. მაგრამ შეიძლება მკი-  
თხველი რომელიმე ეპიზოდში ან უკმალოში  
უფრო მეტს შეაფასოს, და უფრო მეტ მნიშ-  
ვნელობას ანიჭებდეს, ვიდრე ავტორი. შეიძლე-  
ბა, ზოგი რამ მკითხველს ავტორისგან განსხვავე-  
ბულად ესმოდეს და ეს შეფასება სწორი იყოს.

მე მაშინია, რომ ყველა მწერლის ყველა  
ნაწარმოები ავტობიოგრაფიულია, და ასევე  
ყველა პერსონაჟი, თუნდაც მას სრულიად რე-  
ალურია პროტაგონი მყავდეს.

...რა თქმა უნდა, ყველა მწერალი მხოლოდ  
მისთვის დამახასიათებელ სტილს ფლობს. მე  
პირადად ლაოპრობისა და სოუსტის მომხრე  
ვარ. მომხრე კი არა ვარ, სხვათადად არ შე-  
მიძლია, თუმცა არ ვიცი, რამდენად ვახერხებ  
ამას. მაგრამ ვახერხებ თუ ვერ ვახერხებ, მაქვს  
მხოლოდ ჩემთვის დამახასიათებელი მხატვრულ-  
ლიტერატურული ენა. სხვათადად არც შეიძ-  
ლება იყოს. ვინა ვიღაცას აქვს ნათქვამი, სტი-  
ლი გამოხატავს ადამიანს.

თანამედროვე ქართული ლიტერატურის  
ღირსება ის არის, რომ ჩვენი მწერლები  
ცდილობენ მსოფლიო სტანდარტებს გაუსწორ-  
დნენ, ნაკლი, აღნაო, ის არის, რომ სწორედ  
ამის გამო, ზოგჯერ, ზოგის ნაწარმოებში აშკარ-  
ად შეინიშნება სხვათა მიზნადგეგმვის არასა-  
სიამოვნო ნიშნები და ქართული მწერლის ნა-  
წერში მკრთალდება ქართული სინამდვილე,  
ჩვენი ერის სატივარი, მისი ყველაზე მტკიცე-  
ული პრობლემები, მისი უახლოესი ისტორიის  
ამბები და დღევანდელი მოვლენები ქეროვანი  
სიმამფრით გაუშუქებული რჩება.

ჩემი მომდევნო თაობები გამოხატავენ  
რადიკალს ისეთს, და ისე, რაც და როგორც ჩვენს  
თაობას არ გამოუხატავს. მაგრამ ახლავარდებს  
მეტა სითამამე მართებო, მით უმეტეს, რომ  
მათ ამის საშუალება აქვთ. წერაილმან თემებს  
და წერაილმან განწყობილებებს თანდათან თავი  
უნდა არიდონ, თუმცა პირველ ხანებში ამის  
გარეშე შეუძლებელია. მე მგონია, ნათლად ვერ  
გამოვქვია. ვიმეორებ: კერძო განწყობილებე-  
ზე, ცხადია, უნდა იწერებოდეს, მაგრამ უნდა  
იწერებოდეს მეტა სიმამფრით, განცდით, გუ-  
ლისტიკაცილით, ისე რომ, წაქეთხველი გულგ-  
რილი არ დარჩეს. არც ის იქნება ურიგო, თუ  
ჩვენი ერის ცხოვრების უფრო დიდსა და მნი-  
შვნელოვან პრობლემებს მაკარობენ მწერას და  
საკუთარ თავში იპოვნიან რესურსებს ამის გა-  
მოსახატავად, როგორც ამას აკეთებდა მათ ახა-  
კში ილა ჰეკევაძე, ან თუნდაც სულ ახლახან  
გვრამ ჩრეულიშვილი, რომლისთვისაც ბეჭდე-  
უფრო გამწვანებული იყო, ვიდრე ახლა.

მწერლისათვის დაბრკობლება თუ აუტო-

ლებელი პირობა უოველდღეობა სპოვადობე-  
რიკ-სამსახურებრივი საქმიანობის წესი-  
ბაზე უნდა ვთქვა შემდეგს [შეცდომის] ქროს  
დაბრკობლება, თუმცა იტყვიან, კაცია და გუ-  
ნებაო. ჩემი შემოქმედებითი შრომისათვის მე  
ვისურვებდი სრულ თავისუფლებას.

...ფორმაზე წინასწარ საერთოდ არ ვფიქ-  
რობ, ვფიქრობ შინაარსზე, ფორმა წერის პრო-  
ცესში თანდათან იკეთება.

...ქართული რომანის წარმატება მხოლოდ  
მის მაღალმხატვრულობას შეუძლია განაპირო-  
ბოს. ჩემს ასაკში ძნელია ხელმეორედ აკეთხო  
ერთხელ უკვე წაკითხული წიგნები, მაგრამ მე  
მეგულება რამდენიმე ქართული რომანი, რომე-  
ლითაც ყველა სიამოვნებით მოაწერდა ხელს.  
ესაა, რომ ჩვენი შინაურ მღვდელს შენდობა  
არა აქვს.

...ინტელიგენციას წარმართული როლი  
უნდა ეტოროს ჩვენს საზოგადოებაში, იგი უნდა  
ნერგავდეს ხალხში მაღალ ეროვნულ თვითშე-  
გნებას, ყოველნაირად ხელს უწყობდეს ერის  
განვითარებას, განათლებას, წინსვლას, სწორი  
ეროვნული მსოფლმხედველობის გამომუშავე-  
ბას. მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელი ჩვენი  
ინტელიგენცია ამ მოვალეობას ვერ უძღვება  
ისე, როგორც საჭიროა.

ჩემი აზრით ინტელიგენცია დიდად განსა-  
თლებული, ფართო ინტერესების მქონე მაღალი  
წიგნობის ადამიანი, მტკიცე ეროვნული თვით-  
შეგნებით გამსჭვალული, საკუთარი ერის კუ-  
თილდებობისათვის დაუღალავი მუშაი, სამარ-  
თლიანი, პატიოსანი, უშოშარი და მტკიცე ადა-  
მიანი. ასეთი უნდა იყოს დღევანდელი ქართ-  
ველი ინტელიგენცია, მაგრამ ჩვენდა სამწუხარ-  
ოდ, ასეთი ვერ არის.

მწერლის მოვალეობა ხალხის წინაშე, მე ისე  
შემახს, როგორც ესმოდა ილია ჰეკევაძეს.  
სწორედ ილია ვახლავთ ჩემი იდეალი, ილია,  
აქაო, ვთქა...

...ჩემი აზრით, საქმე ისე მიდის, რომ თა-  
ნამედროვე ურბანიზაცია, თუ რაღაც არ შეი-  
ცვალა, შესაძლოა, ანტაგონისტური ვახდეს არა  
მარტო ზელოვნების, არამედ თვით დედამინაზე  
სიკოცხლის მიმართაც.

ნაწარმოების შექმნისას ზოგი რამ წინასწარ  
მაქვს მოფიქრებული, ზოგი რამ წერის პრო-  
ცესში მომიდის აზრად. ამაშია სწორედ შემოქ-  
მედების სიამოვნება, რომ ბოლომდე არ იცი, რა  
გამოვიღა, რა მოხდება, როგორ განვითარდება  
ნაწარმოები, რას მოიმოქმედებენ გმირები. შე-  
მოქმედებითი პროცესი თვითონ ცხოვრებას  
მგავს, სადაც ყოველგვარი მოვლენა წინასწარ  
გაუთვალისწინებელია. მოულოდნელი, მღელფა-  
რებითა და იდუმალებით აღსავსე...

ფიქრობს ლიტერატურამ უნდა შესძლოს  
მკითხველის აღზრდა. მის მართლაც შეუძლია  
ეს. მაგრამ არ ვარგა, როცა მწერალი აღზრ-



დღის პრეტენზიებით გვევლინება და თავის თავზე და თავის საქმიანობაზე შეტისმეტად გაბერილი წარმოდგენა აქვს.

სეიშველთა შეხედობები მე არასოდეს მჭონია. ჩემი აზრით, იდეალური მყოფელი არის იდეალურად განათლებული და მგრძობიარე ადამიანი, რომელსაც მწერლის ყოველი სიტყვა, ყოველი ნიუანსი ღრმად ესნის.

...საშწუხაროდ, ხშირად ვეღარ ვუბრუნდები ადრე წაითხულ მწერლებს და წიგნებს.

დრო გადის, სულ უფრო ნაკლები დრო რჩება, ამიტომ ვცდილობ ახალბად მწერლებს და ნაწარმოებებს გავცენო. თუშუა ზოგჯერ რომელიმე ჩემთვის საუვარელი მწერალი მომენტარება და გადავხედავ ბოლქვ.

წელან მოგახსენეთ, ჩემთვის ძვირფასი მწერლების და წიგნების რიცხვი ძალიან დიდია-შეთქი, მაგრამ რაკი ისევ მცირებითო, შევეცდები მოკლედ გაიასუხო: ბობლია, ქართული ლიტერატურა უძველესიდან უახლესი, ძველი ბერძნული ლიტერატურა, განსაკუთრებით მოპეროსი და პლატონი, ევროპული ლიტერატურა, ამერიკული პროზა, გამორჩევით XX საუკუნისა, რუსული ლიტერატურა XIX-XX საუკუნეებისა, იაპონური ლიტერატურა, თანამედროვე სამხრეთ-ამერიკული პროზა.

...თუ ჩემს შემოკმედებაში გვხვდება მოტივები, თემები, პრობლემები და ასე შემდეგ, რომლებიც მეორდება სხვადასხვა ნაწარმოებში სხვადასხვა ვარიაციებით, ეს, ალბათ, იმიო უნდა აიხსნას, რომ ყველა ადამიანი სრულიად თვითმყოფი სამყაროა, რომელიც, მართალია, მავს სხვებს, მაგრამ ყველასავე განსხვავდება თავისი წარმოშობით, ბედით, ხასიათით. გეშოვნება, მსოფლმხედველობით და მის საქმიანობაში ყველაფერი ეს ისე აიხსნება, როგორც მხოლოდ ამ კაცისთვის არის ნიშანდობლივი.

...გულწრფელად უნდა ვითხრაო, რომ კრიტიკულ-ლიტმცოდნეობითი ნაწარმოებები უფრო მაშინ მაინტერესებს, როცა მისი ავტორი მწერალია. მაგალითად შემიძლია მოვიუვათ თომას მანის შესანიშნავი ტებები და კრიტიკული წერილები, ან თუნდაც სიმეტრეტ მოემის „შედგების შექამება“. ჩვენში გრაფილ რობაქიძისა და კონსტანტინე გამახურდიას აქვთ საინტერესო ტებები. თანამედროვე მწერლობაში თამაზ კვიციანი დაწერა მეტად საინტერესო ლიტმცოდნეობითი თუ კრიტიკული ნაწარმოებები (არც კი ვიცი ამ ნაწერებს რა ვუწოდო). დიდად საინტერესოა გიორგი შატბერაშვილის გამოყვლებები, თამაზ ჩხეველის ტებები. ვახტანგ ჭავჭავაძის შესანიშნავი გამოყვლება გალაკტიონზე. მოკლედ იმის თქმა მინდა, რომ მწერალს შეუძლია საინტერესო კრიტიკულ-ლიტმცოდნეობითი ნაწარმოების შექმნა,

ეს მისი მხატვრული შემოკმედების გარკვეული ხაა.

სტრუქტურა

რა და როგორი განსხვავებები უნდა იყოს ველ და ბოლო ნაწარმოებს შორის? ისეთი, როგორც შეიძლება იყოს მშ წლის კახუცა და მშ წლის მამაკაცს შორის.

სიუჟეტებს, თქმებს ვიდეტ ცხოვრებიდან ლიტერატურადან და საყუთარი თავიდანაც, მოკლედ საიდანაც კი მოვამხებებ.

...გარდა ქართულისა, ვცდილობ რუსულს და ცოტათი ინგლისურს, უფრო სწორად, ასე თუ ისე ვახებებ ინგლისურად კითხვას. თუმცა დასარაკი მივირს, რადგან სრულებით არა მაქვს პრაქტიკა. უცხო ენის დაუფლებას სჭირდება სისტემატური ურთიერთობა ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხთან, ჩვენ კი ამის საშუალება არა გვაქვს და ამიტომ ეს საქმე ჩვენში კირს. გარდა ამისა, გარკვეული ნიჭიც უნდა უცხო ენის დაუფლებას. მე კი ამ უნარს მოკლებული ვარ. ენების ცოდნა სასურველია არა მარტო მწერლისთვის, არამედ ყველა ადამიანისთვის, ეს აფართოებს თვალსაწიერს, ადამიანს საშუალება ეძლევა უფრო მეტ ლიტერატურას გავცნოს.

ახალგაზრდობაში მინდოდა ჩემი ნაწერებიც ეთარგმნათ, რადგან მეგონა, რომ მხოლოდ ღირსეული ნაწერები ეთარგმნება. მერე მივხვდი, რომ ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს უსმართს და მოხერხებას. სწორედ ამიტომ ბევრი ღირსეული ქართველი მწერლის ღირსეული ნაწარმოები დღემდე უთარგმნელია და, პირიქით, ისეთი ნაწარმოები ეთარგმნება, რომლებსაც საქართველოშიც კი არავეთ კითხულობს ამის გამო თარგმნის სურვილი საქმაოდ გამოიწეულდა და არც თუ დიდ ინიციაცივას ვიჩენ, თუმცა არც არასოდეს არ ვიჩენდი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემი ნაწერების თარგმნის წინააღმდეგე ვარ, პირიქით, ძალიანაც მოხბრე ვარ, საინტერესოა სხვათა აზრი, მაგრამ თარგმანი ვერ გამოდგება იმ კრიტერიუმად, რომელიც ნაწარმოების ჰუმნარტ ღირსებას განსაზღვრავს საყუთარი ტრისთვის. მწერალმა, უპირველეს ყოვლისა, საყუთარი ხალხის აღიარება უნდა მოიპოვოს. შეიძლება ეს აღიარება მას სიცოცხლეში არც ეღიაროს, მაგრამ მას უნდა წამადეს, რომ იდებზე ეღიარება, მხოლოდ ამ განწყობილებით შესძლებს ჰუმნარტად ღირსეული ნაწარმოების შექმნას. მერე თუ გთარგმნიან, არც ეს არის ურთავო. მაგრამ ამას მაინც დაჰმანიც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, აშეჰმად მაინც, რადგან ჩვენს ჰუეანაში ახლა ამ საქმეს ბევრი შემთხვევითობა განსაზღვრავს.

ჩენს ლიტერატურულ ახალგაზრდობას ვამჩნევ ნიჭს, მაგრამ ვერ ვამჩნევ სითამამეს, სიფართოეს, ახალგაზრდობას კი სწორედ სითამამე უხდება. მე მინდა ჩვენი ახალგაზრდა მწერლები პერსონაჟები ძლიერი პიროვნებები

იყვნენ, რომელთაც ძალდით თავის მხრებზე იტვირთონ უველა ის სიმძიმე, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანას აწევს.

უწინაურობასა და უფიცობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, როგორ შეიძლება უწინაურ კაცს მწერლობაზე რაიმე პრეტენზია მქონდეს. მაგრამ არც ის ვარგა, როცა კაცი სხვის წიგნს ან სტატიას წაიკითხავს და შერე ამ წიგნის ან სტატიის თარგზე ქმნის თავის წიგნს თუ სტატიას. სხვისგან ნახსებების შევანიჭურად გადმოტანა და ნაძალადევად დანერგვა იქ, სადაც ამის საფუძველი არ არსებობს, არანაკლებ უსიამოვნო შეთბეპდილებას ტოვებს, ვიდრე უწინაურობა და უფიცობა. არადა, ასეთი რამ ხშირად შეიძინება ჩვენში და სწორედ იმ წრეში, რომელსაც განსაკუთრებული განწყველულობის პრეტენზიები აქვს. გასაგებია, არ უნდაო ჩამორჩნენ აღიარებულ აზრებსა და იდეებს, მაგრამ ჭეშმარიტი სიბილერე ხომ ის არის, რომ საკუთარი აზრი გაგანა და არ გეშინია მისი გამოთქმისა. თუნდაც წინასწარი იცოდე, რომ აგი ეწინააღმდეგება საყოველთაოდ გაფრთხილებულ მოსაზრებას. ამასთან დაკავშირებით უნდა ვთქვა, რომ ამ ბოლო დროს ნაწარმოების შეფასებისას, ჩვენ უშიშარტესობას ვაჩვენებთ, ივანე ჭავჭავაძის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, სამკაულებს და არა აღნაგობას, აუცილებელი კია, რომ პირიქით იყო. ქართველი კაცი, მწერალი იქნება თუ ხელოვანი, მხოლოდ მაშინ არის ნამდვილად საინტერესო, თუ იგი ქართულ ნიდავზე დგას. ზოგიერთი, აქაო და პროვინციელი არ გამოჩნდები, ყოველგვარი უცხოურის მიმართ ავლენს სრულიად უკრიტიკო მოწონებას და ყოველივე დასავლური თანვისი აზრბრუნების კრიტერიუმად გაუხდია. ეს არ არის სწორი, სწორედ ეს არის პროვინციალიზმის უპირველესი ნიშანი. უცხოელებს ჩვენში ჩვენი თვითშეფოტობა მოსწონთ და არა ბრმა მიხამება. ამიტომაც იწვევს აღფრთოვანებას ქართული სიბილერა და ცნება, რუსთაველი და ფიროსმანი, და სხვა და სხვა. ეს უნდა შევავსოთ. ისევე ვიმეორებ, დასავლეთისგან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ და უნდა ვისწავლოთ აუცილებლად, მაგრამ უნდა ვისწავლოთ და გადმოვიღოთ ის, რაც ჩვენითვის საჭირო და სასარგებლოა და არახდროს არ უნდა დაგვაიწიუდეს, რომ ჩვენ ჩვენი ბედი გვაქვს, ჩვენი ტრადიციები, საკუთრების მანიფილზე გამოშეშავებულნი, და ჩვენი ღირსებებზე გავჯანინა, რომელსაც, სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ვაწიავებთ და სხვა მიზეზებთან ერთად, ამას ზოგიერთთა ერთგული ნიბილიზმიც, საკუთარი თავის ვერ შეცნობა, საკუთარი პრობლემების ვერ დანახაც საჭარბოვანად უწევს ხელს. ქართული ნაწარმოები, წიგნი იქნება ის, ნახატო, ქანდაკება, ფაღი

თუ სპექტაკლი, მხოლოდ მაშინ მიეღწევა ზოგადსაყოფირობის მნიშვნელოვნებას, როცა მწერალთა თუ სინამდვილეზე იქნებტ მნიშვნელოვნად აღიდაი ნიჭის შემოქმედის ნიერ..

რა იქნება ასი წლის მერე, მე არ ვიცი, ამაზე არც მინდა ვიფიქრო. აღმაინის უცვლავება, ალბათ, სულის არსებობაზე და მუყარებულნი, თუკი სიკვდილის შემდეგ აღმაინის სული არსებობას განაგრძობს, მწერლის უცვლავება და მუყარებულობა იმ ერის და იმ საზოგადოების არსებობაზე, რომელიც ამ მწერალს აღიარებს. პატარავებს, მის სახელს იმხსოვრებს, მის შემოქმედებას თავის სულიერ თუ ინტელექტუალურ საგანძურში ადგილს მიუჩენს. მაგრამ თუ ერთხელ საოველს ბოლო უნდა მოეღოს?..

...ბიბლია ჩემი უსაყვარლესი წიგნია და იგი უველანიარი კუთხით მაინტერესებს.

ჩემი იდეალია თავისუფალი და განათლებული საქართველო ასევე თავისუფალ და მარშონულ მსოფლიოში.

არ მიყვარს ფუქი ოცნება, რაცა ვის რა ღმერთმა მისცეს, დასჭირდეს და მას უხმობდესო, ეს გენიალური სენტრეციაა რუსთაველისა. რაც შეეხება ჩვენი ლიტერატურული ფურნალების, გამოშეშელობებისა და მწერალთა კავშირის მუშაობის გაუმჯობესებას, ბევრი რამ არის აღბათ გასაკეთებელი, მაგრამ მე არა ვარ დარწმუნებული, რომ თვითონ ამ ორგანიზაციებს ხელეწიფებათ ამის გაკეთება, ზოგა რამ მხოლოდ ფურნალებისა და გამოშეშელობების რედაქციებზე არ არის დამოკიდებული. იტუობა, მწერალთა კავშირსაც უნდა მოეძებნოს გარკვეული და დაზუსტებული ფუნქცია.

ფურნალ „მნათობის“ მიმართ მე განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს. ჩემი ნაწერების აბსოლუტური უმეტესობა აქ დაიბეჭდა. წლების მანძილზე უპირველესად თბილი ურთიერთობა მქონდა მნათობის თანამშრომლებთან, დაუფიქურ ედიმერ უილიანთან, შალვა აღბაზიშვილთან, ნოდარ რუბინთან, რომლებიც აღარ არიან ჩვენს შორის. უამრავი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს ამ ფურნალთან და მიუხედავად ამისა, რომ ვარცხანდი „მნათობში“ აღარ დავბეჭდილვარ, იგი მაინც ისე მიყვარს, როგორც შეიძლება ვიყვარდეს საკუთარი სახლი.

სამწუხაროდ, იმდენი რამ მოიხსოვ, დანებრა და განადგურდა ჩემს თვალწინ, რომ ზოგჯერ მომავალს ეტებს თვალთ ვუყურებ, თითქმის შეჩვენება, რომ აპოკალიფსური პერიოდი დგება. მაგრამ მაინც არ ვყარვავ იმედს, რომ კაცობრიობა მონახავს გზებს იმ ჩინიდან განმოსახლელად, რომელშიც ამჟამად იმყოფება.

ღმერთმა ქნას ასევე მოხდეს!

ესაუბრა კრიტიკოსი ბაბაქი მონღოზვილი.

## საიათნოვას არარსებული მიჯნური...

საიათნოვას სატრფიალო ლექსების ადრენატიკის ნახევარსაუკუნეზე მეტ კვლევას დღემდე არავითარი სერიოზული მეცნიერული შედეგი არ მოჰყოლია. ეს იმიტომ, რომ ძიება თავიდანვე მცდარი გზით წარმართა. ამ მცდარ მონაზრებას სათავე დაუდო ვ. ბრიუსოვმა:

«При дворе грузинского царя и основной роман знаменитого ашуга (იგულისხმება საიათნოვა — ბ. ა.): его любовь к грузинской царевне, которой посвящено большинство его стихотворений».

ვ. ბრიუსოვის ეს შეხედულება აიტაცა სომეხ მკვლევართა უმრავლესობამ და დღემდე გულმოდგინედ იცავს. გამოჩაღლის წარმოადგენს პროფ. ლ. მელქისეთ-ბეგი, რომელმაც ამ აზრს, „სენსაციური თეორია“ უწოდა და არ გაიზარა. მან მონახა ზალბურ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი ვადმოცემა, რომლის მიხედვითაც „საიათნოვას სატრფოს სონა რქმევია“.

მაინც რას ეუბნებიან ვ. ბრიუსოვი როცა ასეთი დასკვნა გააკეთა? საიათნოვას აქვს ერთი სომხური ლექსი „შენ იმ თავითვე ბრძენი იყავი“, რომლის მეორე სტროფი ასე იკითხება:

მძლეო მძლეო ცოლი არ გვაქვს,  
ხარ როსტომის ზალი, მეფე!  
თუ ცოდვა მაქვს, თავი ჩემი,  
შენი კიდე ხმალი, მეფე!  
ღმერთს შეხედ და უცოდველს  
სხვას ცოდვიანს, ნულარ მაღრი!

(თარგმ. გ. შანაზარისა).

ქართული თარგმანი სტროფის შინაარსს თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოსცემს და ამიტომ მოვერიდეთ ბწყარედულ თარგმანს, ვ. ბრიუსოვის კი ეს სტროფი ასე აქვს რუსულად თარგმნილი:

Привет! Ведь ты сильна, как тот Ростом, сын Зала! Дочь царя! Старинный твой

прославлен род, красы зеркало, дочь царя! Коль грешен я пусть меч не ждет меня, ни мало, дочь царя! Но господа побойся ты: напрасно враждовать зачем?!

სტროფისათვის ვ. ბრიუსოვს შენიშვნაც გაუეთქვია:

1) Ростом — сын Зала, — Рустам, герой персидского эпоса. 2) Дочь царя — речь идет о грузинской царевне

საინტერესოა, საიდან გაჩნდა რუსულ თარგმანში „дочь царя“. ამ ფაქტით გაკვირვებული პროფ. ლ. მელქისეთ-ბეგი კითხულობს: „საიდან გამოიგონა ვ. ბრიუსოვმა, რომ ამ ტაქსის უოფილოუს ნაგულისხმევი გრუზინსკია ცარევნი პირდაპირ ვასაკვირია, ხოლო ჩვენთვის სრულიად წათელია, რა გზით შეიძლება ფანტასტიური „თეორია“ საიათნოვას რომანის შესახებ ქართველი მეფის ასულთან“.

საიათნოვას ლექსის („შენ იმთავით ბრძენი იყავი“) მეორე სტროფის ვ. ბრიუსოვისეულ თარგმანს იმთავითვე არ გამოეწვევია დადებითი გამოხმაურება ქართულ მწერლობაში. ამ საქითხთან დაკავშირებით 1918 წელს ი. ვრიშაშვილი წერდა: „საკვირვებელი პოეტი (იგულისხმება ვ. ბრიუსოვი — ბ. ა.) არ ახახუთებს თავის აზრს; ვაი თუ სცდებოდეს, რადგან ასეთი რომანი ჰქონდა მხოლოდ ბესიკს, თითქმის საიათნოვას თანამედროვე მგოსანს, რაიც იტორიულად დამტკიცებულია და თვით პოეტიც მოწმობს თავის ლექსებში. ხოლო თუ მაინცა და მაინც საჭიროა მისი სატრფოს ვაცნობა — გეტყუეთ — საიათნოვასდროინდელ ზღბზიანგან დარჩენილია აშხად, რომ საიათნოვას მყოლია სატრფო ტალითა, სარწმუნოებით კათოლიკე

1 В. Брюсов, Пoesия Армении, 1916, М., с. 61.

2 ლ. მელქისეთ-ბეგი, საიათნოვა, ტფილისი, 1930, გვ. 52.

და ტფილისში სცხოვრობდა თურმე, ნორაშენს უბანში».<sup>3</sup>

ი. გრიშაშვილი ამ გადმოცემის წყაროს არ მიუთითებს, თუმცა მას ეს აღებული აქვს ვ. სკანდაროვას წერტილიდან — „საიათნოვას შესახებ“ ცნობილი თბილისელი საზღვრო მგობანი ვ. სკანდაროვა, რომელმაც ვულფანში შეტანილი ძველი თბილისის ზეპირსიტყვიერებაში შემონახული საიათნოვას ცხოვრების დეტალებიც კი, აღნიშნავს, რომ „საიათნოვას მუცდა ერთი მიწნური, რომელიც ნორაშენს უბანში ცხოვრობდა, იგი უოფილა ფრანგი (კათოლიკე — ბ. ა.) სოლის ქალი და სახელიდ ტაღი... რქმევია, საიათნოვას ეს ქალი ძალიან მუყარბია და მრავალი სიმღერაც მიუძღვნა მას“.

ძველი თბილისის ქალაქური გადმოცემები საიათნოვას სატრფოდ ვინმე სონას ან ტალითას ახსებდებენ და არა სამეფო საგვარეულოს რომელიმე ქალბატონს. მაგრამ ვ. ბრიუსოვის შემდეგ რომელი სომეხი მკვლევარიც შეეცა ამ საკითხს, საბოლოოდ საიათნოვას დიდგვაროვან სატრფოში ეძვლა ანა ბატონიშვილს (თეიმურაზ მეფის ასულს, ერეკლე II-ის უფროს დას) გულისხმობდა. საიათნოვას სატრფოდ რომ ანა ბატონიშვილია მიჩნეული, ამის თავგამოდებულ დამკვიდრებელ გამოდგან პ. სევაკი, ვ. აბრამიანი და სხვანი. რომლებიც ვ. სკანდაროვას მიერ ჩაწერილ გადმოცემას ანგარიშს არ უწყვენ, აქაოდა მას ხალხური თქმულება უდევს საფუძვლად. თუ ასეა, მაშინ ვ. ახვერდიავის მიერ ჩაწერილი თქმულება საიათნოვას მოწამებობივი სიყვდილის შესახებ (1798 წ.) არ უნდა მყოფოთ სერიოზულ საბუთად მისი ლენინდურობის გამო, რადგან ასე საჭირო გახდა საიათნოვას სამეცნურო ლექსების კონკრეტული ადრესატის ცვლივა, მაშ რატომ არ გაგრძელდა ვ. სკანდაროვას მიერ დაწყებული საქმი — საიათნოვას მიწნურის პიროვნების ძიება ძველი თბილისის ფოლკლორში და რაღა მაინცდამაინც ვ. ბრიუსოვის მიერ შეთხზული სენსაციური „თეორიის“ (ლ. შელქინსე-ბეგი) მტკიცებას ცდილობენ ანე დაქინებით. ჩანს, ეს უყანასკნელი აზრი, მათი წარმოდგენით, საიათნოვას პოეტურ დიდებას უფრო მეტ ღირსებას მატებს. ამ დროს კი დიდი აშუღის ნამდვილი მიწნურის სახელი მოვიწყვეს და, თუ არ ცვდებო, სიმებ მკვნიერთაგან დიდმდე ამ მამართლებილც არც არავის უცდია ცვლივა-ძიება. ის კი არა და, ისეთი შიამუჭილიება რჩება თითქოს ტაღითის სახელის ხსენებას ერთგვარი ტაღუ აქვს დადებული სიმბურ საიათნოვამცოდნეობაში.

მაგრამ მიუბრუნდეთ საიათნოვას ლექსს — „შენ იმთავთვე ბრძენი ურცხვენი სკანდაროვას სატრფოს, რომელმაც ახეის მისი მისი მისი შიამუჭილი შესარული საიათნოვას ბიოგრაფიის მეცნიერული კვლევის მკდარი ვწით წარმართვაში, ეს ლექსი საიათნოვას ავტოგრაფიულ-ხელნაწერში არ გვხვდება, მაგრამ მისი სხვადასხვა რედაქცია და ცუდია ლენინგრადში და ვ. ახვერდიანის მიერ შეგროვილ კარიანტებში. ამ სიმღერის ორიგინალის არარსებობა საყურადღებო ფაქტია, მაგრამ ამგვარად უფრო საინტერესოა 1982 წელს ლენინგრადში დასტამებული საიათნოვას პოეზიის რუსული გამოცემის კომენტარი, რომელიც სატრფოს თან ახლავს:

«Дочь царя! Это трижды повторяющееся во второй строфе обращение Брюсов поясняет так: «речь идет о грузинской царевне». А между тем в предосавленном Брюсову подстрочнике, как и в оригинале, значилось «царь» и в соответствии с этим в рукописи первоначального варианта перевода было «царский сын». В окончательном же варианте появилась «дочь царя». Это исправление Брюсов внес, вероятно, по совету специалистов-консультантов, предлагавших, что обращение «царь», как и многократно встречающиеся в других песнях Саят-Нова «султан» и «хди», относится к любимой женщине, именно — к грузинской царевне, сестре царя Ираклия, которой поэт посвятил множество своих стихотворений. Определенным основанием для такого предположения могли служить и примечания первого исследователя, издателя и комментатора Саят-Новы Г. Ахвердяна, который по поводу заключительной строки этого стихотворения писал: «...певец просит свою возлюбленную, чтобы она его не мучила и не давала ему повода удалиться из родной страны, скитаться в горах и ущельях и умереть на чужбине — в Арабистане, Абаше и т. д.» (Гусань, Саят-Нова. Вступительная статья, подготовка текста и примечания Г. Ахвердяна, М., 1852, с. 68, на арм. яз.).

Воспринял эту песню как любовную и Яков Полонский, написавший по ее мотивам стихотворение под названием «Саят-Нова». О том, как в саят-нововведении утвердился иной взгляд на эту песню, о ее истинном характере и адресате см. вступительную статью, с. 17—19. В «Антологии армянской поэзии», изданной в Москве в 1940 г. под редакцией С. С. Арутюняна и В. Я. Кирпотина, в Брюсовском переводе данного стихотворения Саят-Нова обращение «дочь царя» было без каких-либо оговорок заменено обращением «мой царь».

3. ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, ტფილისი, 1918, გვ. 43.

1. ევო. „პოეტი“, 1913, № 15, გვ. 231 (სომხ. ენაზე).



Во всех последующих русских изданиях Свят-Новы брянсовский текст восстанавливался, но тоже без необходимых оговорок<sup>1</sup>.

შეითვლების წინაშე ბოდიშს ვიხდით ახლო ვრცელი ამონაწერის მოტანისათვის, მაგრამ ციტატი მრავალმხრივ არის საინტერესო. მხედრული სტროფის ბრუნვითი რუსული თარგმანის პირველი ვარიანტი «дочь царя» ბოლო ვარიანტი უსაფუძვლოდ შეიცვალა სიტყვით «царский сын», თუ საიდან გაჩნდა «дочь царя» ამის შესახებ შენიშვნაში ვ. ბრიუსოვი არაფერს ამბობს. ვ. ბრიუსოვმა ეს ცვლილება როგორც წინა მოტანილი ციტატიდან დაინახეთ შეიტანა სიმები კონსულტანტი ლიტერატორების კარნახით.

საიათნოვას ლექსების მხედრული რუსული კრებულის შემადგენელი ვ. თათოსიანი ეოველნაირად ცდილობს გამარჯვლოს «дочь царя»-ს არსებობა, მაგრამ ვერ აღწევს იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ ასეთი რამ ამ სტროფში არ დასტურდება და არც შეიძლება ვიკვლის-ხშირ. «дочь царя»-ს ნაცვლად 1940 წელს მოსკოვში გამოცემულ «სიმბერეთე პოეზიის ანთოლოგიაში» (რედაქტორები ს. ართიშინა და ვ. კირპოტინი მართებულადაა აღგენილი «мой царь».

საიათნოვას სიმღერა „შენ იმთავითვე ბრძენი იყავ“ მიძღვნილია მეფისადმი (უნდა ვიკვლი-ლისხმეთ ერეკლე II), რომელსაც აშუღლი ეუბნებოდა და შეწუხლებას თხოვს. სხვათა შორის ლექსი ფრეკლესადმი თხოვნად მიაჩნია პ. სევეაკს, რადგან მის წინააღმდეგ, მართლაც, იგრძნობა მეფისადმი მოწინააღმდეგეობა და დიდი პატივისცემა. მაგრამ, აკვირებულა აზრი თავისას შერება და ვ. ნალბანდიანი 1952 წელს საიათნოვას კრებულის შესავალში წერს:

«Согласно новейшим исследованиям, объектом заветных чувств поэта была реальная личность, принадлежащая царской фамилии: сестра царя Ираклия II, прославленная красавица Анна Батонишвили. Это очень важное открытие, благодаря которому окончательно решена загадка душевных мук Свят-Новы, всей его жизни» (с. 16).

ჩვენ პირადად შორის ვართ იმ აზრისგან თითქოს მეცნიერულად საბოლოოდ იყოს დადგენილი საიათნოვას მიწნების ვინაობა, სტომბა პათივიკულ ვ. ნალბანდიანს თავი შეეკავებინა ამგვარი განცხადებისაკენ, რადგან ეს ძიება დღესაც, სამწუხაროდ, მტკარა გზით გრძელდება. ვნახეთ ვ. ნალბანდიანი რას ან ვის

ემყარება, როცა ასეთი რიხის დასაყრდენად ვაზობს. შესავლის მეორე ანკინი შექმნის:

«Довольно поздно, тщетно и безуспешно путем интересных и скрупулезных расшифровок некоторых песен — криптограмм и строчек отдельных песен, содержащих тайнописи. — исследователям (М. Агаии, М. Асатрия, П. Севак) удалось довольно убедительно и аргументированно раскрыть истинную причину драматических переживаний поэта, раскрыть историю его любви» (с. 16).

ვ. ნალბანდიანის მიერ დასახელებული ავტორებიდან საინტერესოა საიათნოვას მიწნებად ანა ბატონიშვილის მიწნების უკვლავ თუ ვინა მოდებული მათხლის პ. სევეაკს მიერ ვ. წ. „კრიპტოგრამების“ „გაჩნების“ და „ამოცნობის“ რამდენიმე ნიმუში, ამ მხრივ პირველყოფილსა უფრადსაღებად მიგვაჩინა თარგმების საკითხი.

ჩვენ ზუსტად არ ვიკით საიათნოვას დაბადების თარიღი. პ. სევეაკის მიერ დადგენილი 1725 წ. კი მხოლოდ ვარაუდია ვ. კეველიძემ გააკეთა, რომ ანა ბატონიშვილი „დაიბადა არაუგვიანეს მეთვრამეტე საუკუნის მეორე ათეულისა. მართლაც, არაკლი მეფე, ანაზე უმცროსი შეიღი თეიმურაზისა, დაიბადა 1718 წელს, ანა, თუ მეთი არა, ორი წლით ადრე, ესე იგი 1718 წელს ზომ მიწნე დაიბადებოდა? ანე არა ამ იყო უფროსი დაი ერეკლე მეფისა? შეიძლება ვინმემ პათივიკულ ვ. კეველიძის მსჭელობაში ეჭვი შეიტანოს, მაგრამ ერთი კი ფაქტია: ანა ბატონიშვილი უფროსი დაი იყო ერეკლე მეფის და თავის უმცროს ძმანე (1718) გვიან არაფრით დაიბადებოდა.

პ. სევეაკის აზრით კი, საიათნოვა და მისი სატრფო დაბადებულან ერთსა და იმავე წელს, ის წერს: „საიათნოვა ერთ სიმბერეთე ლექსში ამბობს: „მე და ჩემი მიწნური, ერთ წელს გავჩნდით“. ეს სტროქონი ავტობიოგრაფიულია და მიწნუნელივანი კრიპტოგრამა არის...“

როგორც ვხედავთ, პ. სევეაკს ეს სტროქონი შევდომით საიათნოვას ავტობიოგრაფიული მომენტის შეწყველად მიაჩნია და ამ კრიპტოგრამას ასე განმარტავს: საიათნოვას დაბადების თარიღი (1722) ანა ბატონიშვილის დაბადების წელს ემთხვევა (მას ანა ბატონიშვილი 1722 წელს დაბადებულად მიაჩნია), მაშასადამე აღნიშნული სტროქონი რეალურ ფაქტს ასახავს და საიათნოვას მიწნურის ვინაობასაც დადგენილად აცხადებს. პ. სევეაკისული ინტერპრეტაცია არასწორია. აღმოსავლურ პოეზიაში, კერძოდ, აშუ-

<sup>1</sup> Свят-Нова, стихотворения, Л.-д, вступительная статья В. С. Налбандяна, Составление и примечания Г. А. Татосяна, 1982, с. 183—184.

<sup>1</sup> ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1924, ტფილისი, გვ. 276.

<sup>2</sup> პ. სევეაკი, საიათნოვა, 1959, ერევანი, გვ. 62 (სომხ. ენაზე).





დღრში ამგვარი მხატვრული თქმები ჩვეულებრივია და მათში რაიმე კონკრეტულ ავტობიოგრაფიულ მომენტს არაფერს არ ეძებს, რადგან აშუღურთ აღმოსავლური პოეზიის ტრადიციული შექმნილი და შეუმღებელია გარკვეულ ადრესატის არამეტოფიკობა, ზოგჯერ სქესაც კი. საათნოვან სტრუქტურულ პოეტურ სტრიქონის ნამდვილი შინაარსი კი ასეთია. აშუღს ზურს თქვას, რომ მის გაჩენასთან ერთად დაიბადა მისი სიყვარული, ე. ი. ას და მისი სიყვარული ერთად მოცულობენ ამ ქვეყანას, ამიტომ არის, რომ გაჩენის დღიდან პოეტს თავისი ხატოლო (სიყვარული) უყვარს.

3. სტეკას კვლავ მოაქვს საათნოვან ერთ ქართულ ლექსში „შინგებელი“ „კრიპტოგრაფია“, ლექსის სათაურია „გიზდება ზარი“, რომლის ბოლო სტროფი ასე მოაქვს:

„მო, საათნოვა, რა გატორებს  
ვინ მოგცემს შენა?  
ტახტი თოღში ინდის მეფის ანაშენია“.

ამ უყანასკნელი სტრიქონის რამდენიმე მნიშვნელობიდან 3. სტეკაი თავის სასურველ მნიშვნელობას გვთავაზობს. ის უგულებელმყოფს ქართული სიტყვის „შენების“ პირდაპირ მნიშვნელობას („ტახტი თოღში ინდის მეფის ანაშენია — აშენებელია) და მასში დებს მხოლოდ მისთვის მისაღებ აზრს: ანა — შენია, აქაც საქმე გვაქვს ე. წ. „კრიპტოგრაფიის“ გზისა. 3. სტეკას ზემოხსენებულ შეთოდის გამოყენებით მიღებულ ზელოგნურ შედეგთან. მაგრამ ამ სიტყვას თუ კრიპტოგრაფიულ მივიღებთ და მასში ანა ბატონიშვილის სახელს ვივლით. მანს აღარ ატარებს, რადგან აქ შეფარვის გარეშეა უყვე ნოთქაში სახელი ანა (ან აშენია).

3. სტეკას მხედველობიდან გამოჩნა ისიც, რომ ლექსის („გიზდება ზარი“) ერთ რედაქციოში სიტყვა „ანაშენი“ საერთოდ არ არის და მის ადგილას გვგვდება სხვა სიტყვა — „განაშენია“ (ტახტი ტოღების ინდოეთისა, განა შენაა?).<sup>1</sup> რომ იტყვიან კომენტარი ზედმეტია.

მხატვრული თქმის ამგვარი გაგება ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ 3. სტეკაი ამას არ დაგიდევთ, რადგან წინასწარ ამოჩვენებულ აზრს ერთგულად მოჰყვება და ზელოგნურად ცდილობს ანა ბატონიშვილის სახელი ამოკითხოს საათნოვან ნებისმიერ ლექსში.

ყოველგვარი მოლოდინს გადააპარბა საათნოვან ქართული ლექსის („შენთან შიტომ ვლადპარაკომ“) 3. სტეკაის მიერ „შეცენიერულმა“ კრიპტოგრაფიულმა ძიებამ. ლექსში თურმე ანა ბატონიშვილის სახელი მ-ჭერ უყოფილა შეფარვის ნახსენები. თვალსაჩინოებისათვის მოვიტანო მის:

შენთან შიტომ ვლადპარაკომ,  
დღეს ტურთა ტანი ენებქვეშ  
ოკროს აყვანი ვნახე;  
წიგნი დაქვერე შემი გვერდისა,  
რატომ არ მომხდამ ერთსა?  
დიდება და მადლი ღმერთსა,  
მოველ ეს უბანი ვნახე,  
გიხნახ: თუ ხარ ცეცხლი ნაშობ,  
ნუ დამწვავ და ნურც დამაშრობ!  
დილით მზესაეთ კამეაშობ —  
მოგბედე — ბრჭყინვანი ვნახე  
თუ მართალი ხარ ჩემი ტოლი,  
ვითამაშოთ გოლი-გოლი,  
გავშალეთ ვარდის ფილოლი,  
ფერად-ფერად სუსანი ვნახე!  
საათნოვა უმაა შენი,  
სახით ხარ მთეარე-მშენი!  
სახელი მაქვს „ანი“ „თენი“,  
„ვინის“ ბოლოს „ანი ვნახე!“

შეველვარი ასყვინს: „ერთი რამ ფაქტია, „ანი“ აქ მ-ჭერ მეორდება — ტ ა ნ ი, ა ვ ა ნ ი, უ ბ ა ნ ი, ბ რ ჭ ყ ი ნ ვ ა ნ ი, ს უ ს ა ნ ი, ა ნ ი. ეს იგივე „ანი“, რომელიც მ-ჭერ მეორდება სომხურ ლექსში (№ 11) და იგი უმეველად საათნოვან მიწურის სახელია“.<sup>1</sup> როგორც ჩანს, სტეკაის მიზანია, რადგან არ უნდა დაუჭდეს, საათნოვან ლექსებში მოძებნოს ანით დაბოლოებული სიტყვები. როგორც კი ამგვარ სიტყვას იპოვინ, აღმოჩენით ვახარებელი ავტორი მკითხველს აუწყებს — ამა და ამ ლექსში საათნოვან მიწურის სახელი (ანი) ამდენჯერ მეორდება შეფარვით. რაც შეეხება მოტანილ ლექსს („შენთან შიტომ...“) უყანასკნელ სტროფში ქართული ანბანის პირველი ასოს — ანის სახელს, მისი ანა ბატონიშვილის სახელთან დაკავშირების არავითარი სახელი არ ჩანს. ცხადზე უცხადესია, რომ ანი „საათნოვან“ ბოლო ასოა. აქი თვითონ პოეტაც ამბობს: სახელი მაქვს „სანი“, „თენი“, „ვინის“ ბოლოს „ანი“ ვნახე (საათნოვა). ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ლექსში შეფარვით მართლაც ანა ივლითხმება, მაშინ ს. სტეკაის „აღმოჩენას“ კვლავ ეცლებს ნიდაგი, რადგან რაღა კრიპტოგრაფია გამოდის, თუ საათნოვა უყანასკნელ სტროფში ისევე და ისევე პირდაპირ ასახელებს ანა ს?1 ფაქტობრად კი საათნოვან ანა ბატონიშვილის სახელი არც ერთ ლექსში შემთხვევითაც არა აქვს შეტანილი. მას კარგად ჰქონდა შეგნებული თავისი სოციალური მდგომარეობა და იცოდა თავისი ადგილი თბილისის იმდროის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომაც, იგი ყოველგვარი გადატანითი აზრის გარეშე წერს ქართული ანბანის პირველი ასოს

1 საათნოვა, 1963, თბილისი, გვ. 78.

1. 3. სტეკაი, საათნოვა, ერეკანი, 1969, გვ. 41 (სომხ. ენაზე).



სახელს და მასში არავითარ მეორე ფარულ აზრს არ დებს. რაც ასე გულში სურს პ. სევ- ვაძს.

საიათნოვა თავის სოციალურ მდგომარეობას შეგუებულია და ზულაც არ იხწარყვის მაღა- ლი საზოგადოებისაკენ („მე გლები ვარ, თავა- დობა არ მინდა“). ასეთი აღმაინი, თუნდაც საიათნოვასთან ნიჭიერი აშუღო, ვერაფრით ვერ გაბედავდა მისი შწაალბელი მეფის ერეკლეს დისთვის ერთგული შიშველი ხორციელი ლე- კსები მიეძღვნა, თუნდაც შეფარვით. სავსებით არ არის გამორიცხული, რომ აშუღს თავდაფი- წყებით შეუვარებოდა დიდგვაროვანი ღამაში ქალი მაკრამ რადგან ზემოთ მოტანილი უსა- ფუძელო მოსაზრებების გარდა ხელთ არა გვაქვს არავითარი რეალური საბუთი, ამიტომ საიათ- ნოვას ტრადული დემეტრე ორბელიანის მეუ- ლის — ანა ბატონიშვილასადმი დღესდღეობით მხოლოდ უაზრობაა. ლექსის შინაარსიც არ იძ- ლევა ამის საფუძველს. საიათნოვა გატყვევით ეუბნება სატრფოს — დავტკბეთ სიყვარულის ნექტარითო და საწოლისკენ უხშობს...

„ეგ შენი უბის რქანი,  
მარტო ჩვენ ორმა გავიყარე მკნესული  
ინტელიგენცა“

— დიბ. მეტად ღამაში ხარ,  
სილამაზე გაცობა,  
რა წამს მომავლდებო, პარწყალი  
ღამეშრობა,  
საიათნოვა მაგ შენ სურვილს აუყვანია“.

აღარას ვამბობთ საანალოზ ლექსზე („შენ- თან მიტო...“), რომელშიც მიჯნურის სატრ- ფოსს აჩარბოვებს ნაწიარბა, კვლავ სატრფოს ფიციურად დაუფლებს სურვილით ვნებაშ- ლილი მამაკაცის სუნთქვა აორთოდებს ლექსის თითოეულ სტრიქონსაც კი. მისი ღირსიული გმირი თამამად, უოცდევარო მორიდების გარე- შე მიმართავს თავის მიჯნურს, ასეთი დამოკი- დებულება კი სრულიად ბუნებრივია, რადგან, ვიმეორებთ ორივენი ერთი სოციალური — ხე- ლოსანთა ფენის წარმომადგენლები არიან:

თუ მართლა ხარ ჩემი ტოლი,  
ვითამაშოთ გოლი-გოლი,  
გავშალით ვერდის ფოთოლი,  
ფერად-ფერადი სუნანი ვნახე...

ლექსი საიათნოვას საყვარელი ქალის, ვნები- ანმა ტრფობამ დააწერინა და საოცარია, რომე- ზი მკვლევარები რაბოდ ცდილობენ ასე დეფი- ნებით მასში მაინცა და მაინც ანა ბატონიშვი- ლი დაინახონ? ვითარებას არ ცვლის ლექსის ერთი სტრიქონი: „საიათნოვა უმაა შენი“. ზედ- მეტად მოგვანინა აღმოსავლური პოეზიიდან მა- სალის დამენა, სადაც პოეტი თავის სატრფოს უმობს კი არა ძალივით მის კარბთან გდების ნებაართვას სთხოვს.

პ. სევაჯის კიდევ ერთ „აღმონენა“ შეიძ- ლება ჩაითვლოს საიათნოვას ლექსის („სოფე- ღსა და სოფელს შუა...“) ერთ-ერთი სტრიქო- ნის („ჩინ-მაჩინის ზელმწიფის დას ამბობენ, მართალია“) მისებური ინტერპრეტაცია.

მკვლევარის აზრით, „ეს არის თავისებურა კრიტიკურამა ანს შესახებ, ნამდვილად მეფის დის, მაკრამ არა ჩინეთის (ჩინ-მაჩინის), არამედ ქართველი მეფის. თუ ამ სტრიქონთან ერთად გავითვალისწინებთ ლექსში გამობატულ ტრაგიზ- მამდე დასულ მდგომარეობას, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ლექსი დაწერილია აშუღის სასახ- ლიდან განდევნის შემდეგ პერიოდში“.<sup>1</sup> მარ- თლაც, აღნიშნული ლექსი გამსჭვალულია აშუ- ლის მძიმე სულიერი განცდებით და ტრაგიზმით აღსავებ ტყვივლებით: ისიც შესაძლებელია, რომ იგი შექმნილია საიათნოვას სასახლიდან განდე- ვნის შემდეგ, მაკრამ პ. სევაჯის მიერ მოტა-

„ეკითხამოთ გოლი-გოლი“.

აშუღის ასეთი მიმართვა სატრფოსადმი ფსი- ქოლოგიურად გამართლებულია, რადგან ორთ- ვენი, საიათნოვა და მისი ტემზარტი მიჯნური ტალითა ერთ სოციალურ ფენას გუფთვნოდნენ. საიათნოვას მიჯნურის ვინაობა ზომ დიდგვა- ნილად მიანიათ რომე მკვლევარებს, ახლა სა- კვლევ პრობლემად ის გაუბდათ. უთანაბრძ- ნობდა თუ არა ანა ბატონიშვილი საყვარულში საიათნოვას?

«В литературе не раз ставился вопрос о том, удостоился ли Саят-Новая взаимной любви прославленной им красавицы Анны. Окончательный ответ на этот вопрос не дан. Нам представляется, что если даже знатная дама и питала какую-то симпатию по отношению к поэту, чувство его она не разделяла. Вполне вероятно, что основную роль сыграло здесь сословное неравенство»<sup>1</sup>.  
წერს ვ. ნალბანდიანი.

როგორც ვხედავთ, სოციალური მიზეზების გამო საიათნოვას სიყვარული ვ. ნალბანდიანს ცალმხრივ, უასუსტო სიყვარულად მიანია. მა- გრამ, პატრიცებულ მკვლევარს მხედველობიდან რჩება ის ფაქტი, რომ საიათნოვა თავის სამიჯ- ნური ლექსებში ზულაც არ გამოიფურება უსა- სუხო სიყვარულით. დაიწვარ მიჯნურად. პირი- კით, ის აშკარად, ვნებისაგან გათანგული ეუბ- ნება მიჯნურს:

<sup>1</sup> В. Налбандян, Саят-Новая. Стихотво- рения. Т.-I. 1982. с. 16.

1. პ. სევაჯი, საიათნოვა, ერევანი, 1969. (გვ. 63, სომხ. ენაზე).



ნილ სტრაქოში („ჩინ-მაჩინის ხელმწიფის დას ამბობენ, მართალია“), თითქოს შეფარვით ერთ-კლდე მეფის და ანა ბატონიშვილი იგულისხმებოდნენ, სარწმუნო არაა.

საიათნოვას სტრუქტურა ლექსებში ანა ბატონიშვილის სახელი რომ არ არის მოხალოდნილი, ამის დასამტკიცებელი ფაქტები უკვე განვიხილეთ და ამ მკვდარი აზრის სათავეც ვაჩვენეთ. რაც შეეხება სტრაქონს „ჩინ-მაჩინის ხელმწიფის დას ამბობენ, მართალია“, აქაც არავითარი საფუძველი არ გვაქვს, მაინცდამაინც ანა ბატონიშვილი ვიგულისხმობ.

ჰველ ქართულ მწერლობაში „ჩინ-მაჩინეთი“ ხშირად გვხვდება. „ჩინეთი“ — ჩინ-მაჩინი ანუ მთელი ჩინეთი. ეპოპეაღმწერტელის მიხედვით იგი ნიშნავს „ქვეყანასა შინასა აღმოსავლეთით კერძო... ეწოდების ჩინ-მაჩინი“ („ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 157). ჰველად ინდოლოგები მთელს ჩინეთს უწოდებდნენ „მაჩინს“, ხოლო მუსულმანი ობტორაციონები სახტრეთ ჩინეთს და ჩინეთის თურქებსტანს ერთმანეთისაგან ორი სახელთ ასხვავებდნენ: პირველს უწოდებდნენ „მაჩინს, მეორეს ჩინს“. აქედან მთელი ჩინეთის აღსანიშნავად ოხმარებოდა სახელწოდება „ჩინ-მაჩინი“ („ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 171, 181, 208; შანაშე, I, 188, 2) ქართულ წყაროებში ამ გეოგრაფიულ სახელს ზოგჯერ ერთის — ეთ სულქსი: „ჩინეთი და მაჩინეთი“ (შანაშე, I, 34, 8), „ჩინეთ-მაჩინეთი“ (ახდლმეხიანის ნუსხა), ანდა „ჩინ-მაჩინეთი“ (რუსულენიანი, გვ. 147).

ჰველ ქართულ მწერლობაში „ჩინ-მაჩინეთი“ და მისი ხელმწიფე ზღაპრულ ასპექტშიცაა წარმოდგენილი. თვალსაჩინოებისათვის შეიძლება დავიმოწმოთ ამ პერიოდის წერილობით ძეგლებიდან რამდენიმე მათგანი:

„რა არის, ძმოო საყვარელო და დათა ხელმწიფეო, აგეთიც ვინ გამოჩნდა ჩინეთის ქვეყანას, რომ შენ შეიწყინეთ?“ (გვ. 29).

„მეტყვარემ მოახსენა: ჩინეთის ხელმწიფის მეტყვარე ვარო“ („რუსულენიანი“, 1957 წ. გვ. 525).

„სახელად ომიან-გაბუკი შქვიან და ჩინ-მაჩინის ხელმწიფესთან სარა-დეე მოვიდა და მისი ამბავი მან მოახსენა“ (გვ. 108).

— რა ორი თვე გავიდა, ეს ამბავი მოვიდა, რომ იგი ვაგზავნილი კაცო ჩინ-მაჩინს მოვიდა...“ (გვ. 111).

„ეკისარი თავის სახელმწიფოს — ურუმთ ქვეყანას წავიდა, ხაყან-ჩინელი თავის — ჩინ-მაჩინს წავიდა“ გვ. 120 (ოპიანანი, 1987).

მიწნურის ტრფობით დამწვარი ბესიკი იყენებს ამ სახელს და ამბობს:

თუ სამართალი არის სადმე, გეზიანებნის, ეული გამოშვერ, პირი დამწვარი მწიფის, შენგან მოკლული ბევრი წინაშე გამოქვნილებს, შენი ბრალეში ჩინეთმა ჩინს ვაიგზავნებნის, კაი და მომარტი, ჩემზედ ნუ ხარ თვლის, მფხველი!

მღმარის პირით წამეპარე, დამიგე მამე, ასე გვონია, შემარზებოდა ეგ შენი სახე, ანთებულს ცეცხლსა შესაწყვეად ხელი შეგამე, დამწვარი მინენ შემობრალე, ბესიკო ნახე! კაი შენი ბრალე, ჩემო თავო, ღრუბულს შეგვილი!

ჩინ-მაჩინს ბესიკის ლექსში არავითარი სიმბოლური დანიშნულება არ აქვს. სიყვარულით დამწვარი პოეტის მიწნურს ამუხათებს და ეუბნება შენგან ტრფობით გულმოკლული კადე სხვაე მრავალია და ეს შენი „დამაშაულის“ ამბავი ჩინეთს ვაიგზავნებო. ე. ი. ჩინეთშიც შეიტყობნო, ეს ხომ ჩვეულებრივი პოეტური ბერძეა და მასში არავითარი გადატანითი აზრი არ არის ნავულისხმევი (მაშინ ჩინეთის ქვეყანა ხომ მიუწვდომელი და ზღაპრული იყო).

3. სევაყოს „ძიების“ გზის თუ ვაგვეებით (ამ შემთხვევაში მხედველობაში მავსს საიათნოვას ხსენებული ლექსის საანალიზო სტრაქონის „ჩინ-მაჩინის ხელმწიფის დას ამბობენ, მართალია“), მაშინ გამოდის, რომ როცა საიათნოვა თავის მიწნურს მიმართავს: „შენ — ლამაზო, შენ — ბლადლო, მე მონა“, ბლადლოში აღბნთუნდა ვიგულისხმობ — თბილისი, რაც, რახევირველია, დიმილის მომგვტრელია. სინამდვილეში კი ამ პოეტურ სიმბოლიკაში მიწნურის სინამაზე, ზიბლი ზეაღმტაც ეშხიანობითაა წარმოდგენილი. საიათნოვა ჩინურს ჩინებულის, საუცხოვოს მნიშვნელობით ხმარობს ერთ აზერსაჩინურ ლექსში: „მოდი, საიათნოვა, თქვი რამ ჩინური“, ხოლო ქართულ ლექსში („გალობს თუთი, უახლახნი“) საიათნოვა „ჩინ-მაჩინის“ ნორჩის, მშენეირის, ცინცხალი სილამაზის სინონიმად იყენებს: „ახლო ჩინო-მაჩინო, ნეტავი შენსა წეფესა“.

ამრიგად, ჰველ ქართულ მწერლობაში („ჩინ-მაჩინი“ გვხვდება პარდაპირი გეოგრაფიული მნიშვნელობითაც და ზღაპრულად აღქმულ ქვეყნის ვაგებითაც. ასე რომ, ამ სახელს საიათნოვა თავის პოეზიაში როგორც ვნახეთ, სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარობს, (გადატანითი მნიშვნელობითაც). მაგრამ არცერთი პ. სევაყოსეული ინტერპრტაცია არ ემთხვევა და არც ადასტურებს.

აქ საქმე გვაქვს აშუღის პოეტური ფანტაზიით შექმნილ სატრფოს სახის მოკერბოლიზა-

1 ბესიკი, თბხულებანი, თბილისი, 1962, გვ. 43.

ციანთან, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ, კერძოდ, აშუღურ პოეზიაში. ჩვენ შეგნებულად ვიყავებოთ თავს პ. სევაიის დანარჩენ „კრიპტოგრაფული ძიებნის“ მეცნიერული ანალოზისაგან, რადგან ისინიც ჩვენ მიერ განხილული საიათნოვას ე. წ. იდუმალებების“ ანალოგიურია და სერიოზულ მეცნიერულ საბუთიანობასთან არავითარი კავშირი არ აქვს. სამწუხაროდ, სომეხი მეცნიერები პ. სევაიის ამ შეხედულებების პოპულარიზაციას ეწევიან. ვფიქრობ, დროა კრიტიკულად მივუდგეთ პ. სევაიის მეცნიერულ მემკვიდრეობას საიათნოვას კვლევის სფეროში და უველაფერს თავის სახელი დავარკვეთ. არავინ არ უარყოფს პ. სევაიის დამსახურებას საიათნოვას შემოქმედების მეცნიერული კვლევის საქმეში და მისი ღვაწლი აუცხადებლად უნდა აღინიშნოს, მაგრამ უველაფერის ხელაღებით მიაღება, მეცნიერულ შემოქმედებას რეაქტორის შესქენეს, ესეც არ იყოფს, განა არის რაიმე ბელჩასპიდი საბუთი, რითაც შეგვიძლია ვირწმუნოთ, რომ საიათნოვას სატრფიალო ლექსების ადრეინატი ერთი და იგივე ქალია? ამ ფაქტზე მიგვაწინშეებს ზემოთ-მოტანილი ზეპირი ცნობები საიათნოვას მიჯნურის ვინაობის შესახებ. მათი სახელებია: ტალითა, სონა. არ არის გამორიცხული კიდევ აღმოჩნდეს დღემდე გამოუვლინებელ წყაროში საიათნოვას აქამდე უცნობი მიჯნურის სახელი.

საიათნოვას დაბადების 275 წლისთავის საიუბილეო დღეებში სომეხი მწერალი ვ. პეტროსიანი წერდა:

«Кто была его возлюбленной прелестная сестра царя Ираклия, как верить легенде, искроглазая тифлисская девушка — разве это столь важно? Из девушки самой простой — любовь всесильна сотворить царицу, а самая надменная царица может раствориться в звонкую, естественную девушку, если есть чудо — любовь!».

მაგრამ ზომ ფაქტია, რომ საიათნოვასა და ანა ბატონიშვილის მიჯნურობის შესახებ არავითარი თქმულება და ლეგენდა არ არსებობს? რაც შეეხება ლეგენდას ანა ბატონიშვილზე, ანტი არის, მაგრამ ანას მიჯნურად გამოცხადებულია არა საიათნოვა, არამედ ბე ს ი ი. ზეორეც, თუკი ვ. პეტროსიანი გვარწმუნებს, რომ მნიშვნელობა არა აქვს ვინ იყო საიათნოვას სამიჯნურო ლირიკის ადრესატი, მაშინ გაუგებარია, ჩვენს კოლეგა სომეხი მკვლევრები რატომ იმტარებენ თავს და რატომ ცდილობენ, ანუ თავგამოდებით საიათნოვას მიჯნურის ვინაობის გამორკვევას და ამ მიჯნურის შესახებ ანა ბატონიშვილის დანებების, მიჯნურობის თავი დავანებოთ უკანასკნელ ხანებში მარტო პ. სევაიას თავის დიდებულ მონოგრაფიაში („საიათნოვა“) ამ საკითხს თითქმის ორასი გვერდი მიუძღვნა.

შეიძლება დასკვნის სახით ითქვას, რომ ნებისმიერი პოეტური სიმბოლიკა შეიძლება კრიპტოგრაფად მოვთხოლოთ და შემდეგ შევუდგეთ მის „გაშიფრას“ — „ამოცნობას“ თუ მასში წინასწარ აკვიატებულ, ჩვენთვის სასურველ პიროვნების სახელს ვაგულისხმებთ. ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ვარკვეთ ვ. პეტროსიანის მუდარი შეხედულება, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთმა მკვლევარმა ხელი ჩახვიდა ამ უსაფუძვლო აზრს და საიათნოვას ლექსის უველსტრიქონში ცდილობს „აღმოაჩინოს“ იდუმალებერაში შეუფუთული საიათნოვას მითითური მიჯნური ანა ბატონიშვილი.

ანეთი საიათნოვას სამიჯნურო ლექსების ადრესატად ანა ბატონიშვილის მიჩნევის „კრიპტოგრაფული“ ძიების უაღბლო გზა. ამ მეთოდით მიღებული ბელოცნური შედეგები უკვე ვნახეთ, მაგრამ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ეს მკვლარი აზრი გასცდა მეცნიერების ფარგლებს და ასახვებში სომეხ მხატვრულ ლიტერატურაშიც.

თურმე ნუ იტყვიოთ, საიათნოვას მხურვალე სიუვარულს ანეთივე გრძნობით პასუხობდა ანა ბატონიშვილიც, რაც „მხატვრულად“ გადმოგვცა სომეხმა მწერალმა ზ. დარჩინანს თავის ორტომიან რომანში „საიათნოვა“.

მკითხველს თავს არ შევაწყენთ ისტორიული რომანის შემქმნის პრინციპების შესხენებით, ამ უბრალო მიზეზის გამო, რომ სომეხი მწერლის — ზარჩინანდ დარჩინანის ორტომიან რომანში „საიათნოვა“ (რომელიც 1960-1968 წლებში გამოსცა სომეხი ენაზე ერევნის გამომცემლობა „კაიპეტრატა“) მხატვრული ხერხის ვერაფერით კვალს ვერ ნახავთ. რომანში გამოყვანილია რამდენიმე ისტორიული პირი: თეიმურაზ II, ერეკლე II, ანა ბატონიშვილი, საიათნოვა, ი. ემინი და სხვანი. მწერალს თვალის გადაუვლია აგრეთვე თითო-ორიღა წერილობითი წყაროსათვის და საქმეც ამათ მოუთავებია. შემდეგ მკითხველს ხელმოუთქმელად მოუთხოვს XVIII საუკუნის ქართულ-კახეთის სამეფო კარის შესახებ. თუმცა აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიაზეც ასერიანებს თავის გვირს საიათნოვას, მაგრამ ზ. დარჩინანს მაინც XVIII საუკუნის თბილისი და მეფე ერეკლეს სისახლის ცხოვრების აღწერა გაუხდია მიზნად. რომანში ძირითადი საიათნოვასა და ანა ბატონიშვილის „მიჯნურობის“ ისტორიაა, ამ „მიჯნურობის“ ჩასახვისა და განვითარების „მძაფრი პერიპეტეიების ასახვა“ და მისი მხატვრულად გადაქცევის ცდა. ცნობილია, რომ ისტორიულ

<sup>1</sup> Газ. «Коммунист», 1987, 11 декабря. № 277.



ლი რომანის ავტორს უფლებია აქვს არარსებულა გმირის შექმნისა, რომელიც შეიძლება იგივე მეთრე პირს შეაყვაროს ან შეაძულოს. ეს მისი საქმეა. მაგრამ, ზ. დარჩანს ფიქრადე არ მოსვლია. საკუთარი ფანტაზიით შეექმნა საიათნოვას მიყნური. მან ხელი ჩასვლია საიათნოვას „სატრფოდ გამოცხადებულ“ ანა ბატონიშვილს და მანამ არ მოეშვა, სანამ საიათნოვას სუვეარლად არ აქცია იგი. თუშეა აქვე შევნიშნავთ, რომ უჩვეულო ამბის არაფერი არ უნდა იყოს, რადგან აზიისა თუ დასავლეთის ქვეყნების სამეფო კარის ისტორიებიდან არაერთი შემთხვევის მოტანა შეიძლება, როცა დიდგვაროვან ქალს მიყნურად გაუზღვია მსახური თუ შეჭინებე.

როგორც ადრე ვთქვით, მართალია თქმულემა ანა ბატონიშვილის გამიყნურების შესახებ არსებობს, მაგრამ ამ გადმოცემაში მხოლოდ ბესიკის ანასადმი თავდავიწყებულ სიუვარულეზეა ლაპარაკი, რომელიც, რასაკვირველია, საიათნოვას ხსენებაც კი არ არის. სხვა გადმოცემა კი დედებზე ჩვენთვის უცნობია. ამის გამო საინტერესოა როგორ წარმოაჩინა ზემოთ მოტანილი „ახალი თქმულემა“ — ანასა და საიათნოვას სიუვარულეს შესახებ — რომანის ავტორმა თავის ნაწარმოებში „საიათნოვა“. დიდგვანაც ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა ამ ორი გმირის ურთიერთდამოკიდებულება, ამიტომ შეიძველს მოკლედ გავაცნობ ნაწარმოების შინაარსს, რომელიც უშუალოდ ანა ბატონიშვილსა და საიათნოვას „სამიყნური“ თავგადასავალს შეეხება.

ანა ბატონიშვილმა შემთხვევით ეტლით გაიარა იმ უვახანის წინ, საიდანაც ვიღაც აშუღის ხომღერის ზმა ისმოდა. ეს ზმა ისეთი მომგადობებელი იყო, რომ ფრინველები და ცხოველები გატრუნდნენ უხმენდნენ. ანის ეტლის ცხენებიც ერთ ადგილზე გაკავდნენ. ამა რა დაემართებოდათ დაიმაწენეს და მითუმეტეს ნაზ ბატონიშვილს. და აი, ანა წამოიძახებ: „ახი! მსახურ ქალს რატომღაც ჰგონია, რომ მომდერალი ბრმა უნდა იყოს, მაგრამ ანა ირწუნება, რომ იგი ბრმა არ იქნება, ამავე დროს ლამაზი და ახალგაზრდა უნდა იყოს. ბატონიშვილი მეტეტეს უბრძანებს, მომგვაროს მომდერალი, არა, კი არ უბრძანებს, არამედ — „სანდრო! გადაიცი ქალბატონი გობოვსო“... სანდრო მთარახბს ქნევით გაარღვევს უვახანის შესასვლელში მოგროვილ ხომღერით მოწესსულ ზღუბს და მომდერალს ბრძანების ტონით უბრძანებს ქალბატონისკენ, მაგრამ ხდება მკითხველისთვის მოულოდნელი — საიათნოვა ამაუად უარს განაცხადებს მეფის დასთან ზღუბას, — აშუღე! ანა შეუძლია ხომღერა შეწყვიტოს“. ამ მიზეზით. მას ეწყინა მეტეტლის მედიდური ტონი და არ გამოცხადდა ბატონიშვილთან. კარგა ზანს ელოდა ანა საიათნოვას. ბოლოს, როცა მისგან უარი მიიღო,

თვითონ გადაწყვიტა აშუღელთან შეხვედრა. „ქალბატონო! მერცხასო! ეს შეტრეკისქმისქმისა წინ გადაედობა შეტრადე აქ ზეცაქმისქმისქმისა აქ ქურდობი და უხადებია არანა“ — მაგრამ ანა მიიღოდა ანგარიშითუცებლად. არ იცოდა რას აკეთებდა. ის აღარ არსებობდა, იყო მხოლოდ სიმღერა. ისეთი გრძობა აქონდა, თითქოს აქამდე არ იცოდა, რატომ ცხოვრობდა. და ბოლოს იპოვა ვიღაც, რომელსაც შეუძლია საკუთარი თავი შეაცნობინოს, შეიძლება ეს ის ანგულოზია, მას უტრეში რომ ჩასტრეწულია: „გადავრდებ, ანა! გაიღვიძე! ირგვლივ მიმოიხედდე! შეიცან თავი შენი და ქვეყანა...“ და ანა სანამ შეხედება აშუღს, უკვე თავდავიწყებულია მასზე შეუვარებულნი. ჭუჭყიან უვახანაში შეგროვილი ზღუბს შიშით და მოულოდნელობით აქეთ-იქით გაიფრთხა, უვახანის წვერიანი მუხატროვი ანას წინ ფეხებზე დაეხზო და თუყვანი სცა. მაგრამ საიათნოვას მისკენ არც კი მოუხედია, ანა უცდიდა. როგორც იქნა დაამთავრა ხომღერა და აშუღმა თავისი უტრადელების ღირსი გახადა მეფეს და. მის ფეხებთან დადო ქაბანჩა, გასწორდა და მოკრძალებს ნიშნად ზელია ქვარდინად მიიღო გულზე — ახლა თქვენიმონა ვარ, ბატონიშვილი — წუნარად წარმოთქვა მან... — ვინ ზართ თქვენი! „მე ვარ საიათნოვა“. ამაუად ეუბნება აშუღი უკვე სიუვარულას ქსელში გახვეულ ანას. ანას, დიმიტრი ორბელიანის საცოლეს და შემდეგ ცოლს — თავდავიწყებით შეუვარდება საიათნოვა. მისი წყალობის საიათნოვა იქცა მეფის კარის აშუღად. ანა ცუდად არის, საშინელი სენით შეხურბილი, ვერაფერი ვერ გაუგებს მას. იყის მხოლოდ მსახურმა მისი ავადმუყოფობის მიზეზი, მისი რჩევით დედოფალი საიათნოვას იწვევს სასახლეში, მაგრამ საიათნოვა ქერ ფარობს, დედოფლის ბრძანებას არად აგდებს. ბოლოს, როგორც იქნა დათანხმდა. ამ დროს სასახლეში გამართულ მეჭლისზე ანა თავდავიწყებას მიეცა, დიდი უწინი დეონოს სვამდა. სხვებსაც აძალბდა, თავისუფლად იქცეოდა და ბოლოს საიათნოვას დანახვამდე გულწასული დაეცა. უვითა ეთაყვანება საიათნოვას, ერგვეთ გულში იყრავს მას „არუთინ, მშოა ჩემსო“ ეძიბოს, თამარ დედოფალი საიათნოვას სთავაზობს მამულებს, უმცებს, თავადობის ტიტულს. მაგრამ „მე ვალები ვარ, თავადობა არ მინდაო“ — ამბობს საიათნოვა და უვითაფრებრე უარს აცხადებს, მხოლოდ უარს ვერ ამბობს ანას მომადლებულ სიუვარულზე, ქალი სახლში უფარდება მიყნურს. ანგარიშს ადარ უწევს თავის უკოდლებზე მეფურ მდგომარეობას. იგი ერთბელე როცა გაიგებს საიათნოვას ავადმუყოფობას, გასწევს მისკენ სახლში. სწორედ აქ ავტორმა, რომელმაც კიდევ ერთბელე თავისი ფეხით მიიყვანა ანა მიყნურთან, ერთი ზეღლის დაკრებით ისინი ერთ საწრლშიც შექუარა... მაგრამ საიათნოვას მდგომარეობა უფრო რთულ

ლადა. მასზე გავიხსენებ აჩის შეფარებული აგრეთვე თავად მუხრან-ბატონის ღამაში შეუღლებ თინათინი, გაჭის ხანის ღამაში ცოლი, თეიმურაზ მეფის შეუღლებ ანა ხანშიც (რომელიც მწერალმა ეტლით მიხვედრა საიათნოვას სახლში). უთმისოდ ზომ მეფის წვეულებას ფასი არა აქვს. და აი, როცა ეს წვეულებები იმართება, სულ საიათნოვას ძებნაში არიან, რათა ზეენა-მუდარით მიიყვანონ აგი სუფრასთან. ანა კვლავ ქურდულად დიდის დამლაშობით საიათნოვასთან და ვნებანი ჩორჩულეთ ეუბნება „მე შენი ვარ, საიათ, მე შენი... აგრე უყვე წილია მე შენი ვარ“ — გულში ეტუტება მგოსანს. ამ დროს კი თავად მუხრან ბატონის ახალგაზრდა ღამაში ცოლის ძილში წამოახოლებს საიათნოვას სახელი და აირტვა მონასტერი ქმრის ეტეანობით.

საიათნოვა ამ მიქნურ ქალებზე უფრო კვიანია. აგი ცდილობს მათ არ ახუცებს და ცოლად ირთავს თბილისელ სომხის ქალს მარშარას. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდნენ გამიქნურებული თავადის ქალები. ანა ბატონიშვილმა ათასი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ საბოლოოდ ერთ გზას დაგვარდა. მართალია საიათნოვა უყვე ცოლიანია, მაგრამ აგი მაინც ვერ მოსცდილებოდა აშუღს — „მიტომ, რომ ძალია აღარ შეწევდა გამკლავებოდა თავდავიწყებულ სიყვარულს“. ანას და საიათნოვას მაინც უყვართ ერთმანეთი, მათი უთანასწორო სიყვარულის გამო ისინი ბერად აღიკვეცებან (ამ დროს ანა ქვრივდება) და ერთხელ უყვე ბერად შემდგარი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ურალად. ბერი საიათნოვასა და მონაზონ ანას შეხვედრა ახტალის მონასტერშიც გაუთავებელი ცრემლიანი სენტიმენტალური სცენების გულმარწყუბელი აღწერით შთაგრდება.

ასეთია მოკლედ ამ ორი თავდავიწყებული მიქნურის თავგადასავალი. ანას ეს უღაღები გრძობა ავტორმა ისეთ კულმინაციამდე აიყვანა, რომ თითქმის მორალურად დახცა ქართველი დიდგვაროვანი ქალი. გათხოვილი ასევე დიდგვაროვან მშუღლეზე არას დაეძებს, ოღონდ საიათნოვასთან იყო, ზან გული მისდის, ზან ისტერიკებში ვარდება და ზან ავად ზდება, რამის დროსაც მის სახელს აბოღებს, ზანც ქურდულად ესტუმრება ზოღმე საიათნოვას სახლში და ათას სასიყვარულო, ვნებამორთულ სიტყვებით ავებს თავის ატეხილ ენებებს: „მინდოდა მონასტერში ჩაეკეტოდა, შენ დაშვილებინე საიათ, კვიყანა, ცხოვრება. მაგრამ კვლავ შენთან მოვედო... მივიღე საიათ... მე უბრალო მსახური ქალი ვარ, შენ ჩემი თავადი, ჩემი ბატონი და ღმერთი... ანა კვლავ მცა საიათნოვას, გაშმაგებით ჩაიბუტა, მიიზიდა და მითროღვარე ბაგებით დააცხრა საიათნოვას ბაგებებს“. ქალს ისე უყვარს აშუღი, რომ დიდი სურვილიც კი გასჩენია სომხეთის განათავისუფ-

ლებლად ბრძოლაში წაყვებს მას. („გადავიყვამ სამხედრო ფორმას, თავზე დავიტარავ მუხრანად, ჩამოვიკიდებ ხმაღს და შენს მორტუტე ვიქნები. ვინ მოცნობს?“). საიათნოვა ანას უკველივთ ამ მოღვაწეობად გრძობას პასუხობს დიდი თავდაპირით, თავის დაფასებით, რაც უფრო და უფრო ციციხლს ფიღებს ქალის ასედაც სიყვარულით აფრთხილებულ გულს. ანას ყველაფერი ზიზღავს საიათნოვაში, მაგრამ მის თვლებს მაინც ვაჟაკური გაძლება უნდა. რამაწი განსაკუთრებით ხაზგაშლილია საიათნოვას დიდი ციციხლანია და მაგორი ძალის მქონე თვალები. მაგალითად, უვახანაში, საიათნოვას თავხედური უარით, რომ ზღებოდა ანა ბატონიშვილს ეტლში, გაყოფებულმა ანას შეეტლემ სანდრომ მათარახი მოუღირა აშუღს, მაგრამ აქვე გაუშეშდა ხელი, როცა საიათნოვას თვლებს წააყვდა. „ეს არ იყო ადამიანის თვლები, ასეთი თვალში შეიძლება მქონდეს ანგელოზს ან ეშმაკს“ — გვამცნობს ავტორი.

ერთხელ სასახლეში მისული საიათნოვა თავად ამაშიც დადებურება ეწოში. თავადი მას დაიწინეთ ეკითხება: „გამარჯობა, სიმღერის შეფე... ჩვენმა პურ-მარაღმა შენს კუჭს ზომ არ აწუხანა?“ საიათნოვა მწარე ირონიით შეხსენებს მის საპურისობას, რის პასუხადღე ლენია აღმართავს მასზე მათარახს, მაგრამ აქვე მათარახი პერში შეუბდება. რასაკვირველია, შეუმჩნეველი არაფერი დარჩება სამეფო კარზე და აი, როცა ანა გამოუტუდება მამას — შეფე თეიმურაზს — საიათნოვას სიყვარულით ვიწვიო, თეიმურაზმა გულზე ზღებოდა დაიკრიფა და დაშვილდა, კიდეც კარგი ჩემი ცოლი არ უვარობსო აშუღს. ასევე გულგრილად ზედება ამ ამბავს ანას მშუღლე დემეტრე ორბელიანი, როცა საიათნოვას შურისმაძიებელი ამაშიც ეტყვის დემეტრეს ანა საიათნოვას შუვარობსო, დემეტრე ერთი გაფაფხურდება ანას გული წაუდა და ამით მთავრდება შეურაცხყოფილი ოჯახისა და ქმრის რეპუტაცია. შემდეგ კი მოხუცის ძონებში გადაცმული ანა კვლავ ფარულად ზედება მიქნურს. შესანიშნავი დახსიათებაა სამეფო კართან აშუღის ურთიერთობისა. ვფიქრობთ არავითარ კომენტარს არ საჭიროებს ზემოთ მოტანილი ადგილები რომანიდან.

მართალია, აქ რომანის გარჩევა არა გვაქვს მიხნად (ეს სხვა დროს) ჩვენ მხოლოდ ანა ბატონიშვილსა და საიათნოვას ურთიერთობა გვაინტერესებს, მაგრამ გული არ გვითმენს, ერთ მომენტზე არ შევაჩეროთ ჩვენი ურადდება. ავტორი იქამდე მიდის, რომ კარის პოეტს ბრწყინვალე მგოსანს ბესიკ გაბაშვილს საწინადად ამცირებს, რათა ამ დამცირების ფონზე გამოიყვიროს საიათნოვას საოცარი ურთიერთობის მაგორობა. ბესიკს წ. დარჩანი დაციწით გოგორას (ანუ გოგრას) უწოდებს და მის პოეტურ დახსაბურებას საიათნოვას მიაწერს. ძველ

თბილისში ასეთი თქმულება ჩაუწერია ს. ჩი-ტორელიძის: „ბესიკის სიმღერათ აღტაცებულმა უენმა ბრილიანტებით მოჭედული საგვარეულო თარი აქუა ბესიკს“ („ფერია“, 1888 წ. № 58).

ეს გადმოცემა ზ. დარჩიანის საიათნოვას სახარებლოდ გამოუყენებია და ბესიკის ნაცვლად მისთვის მიუწერია — თითქოს ნადირ-შაჰის მიერ ინდოეთის დალაშქრებაში მას თან მხლებია საიათნოვა, რომელითაც მოხიზლულ შაჰს მისთვის ძვირფასი საზანდარი უბოძებია, ასევე, რომაის მიხედვით მეფის ერთ-ერთ მეჭლისზე იოსებ გოგორასა და საიათნოვას პოეტური შეჭობრების საგანი თავად მუხრან-ბატონის ახალგაზრდა მეუღლე თინათინა (ის თინათინა საიათნოვასი უფრებამდე რომაე შეყვარებული). რა თქმა უნდა ამ პაექრობაში სიყვარულს ვაიმარჯვებს და თინათინის გამარჯვების გვირგვინს საიათნოვას მიაკუთვნებს. აქ მწერალს გაახსენდება, რომ ეს მთლად მოწასთან გაახსოვრებს პოეტ გოგორას და საიათნოვაც ამ გვირგვინს კვლავ მოწინებთ თინათინს უბრუნებს. სადავო საკითხის ფრიალ ნეიტრალური გადაწყვეტა, მაგრამ იოსებ გოგორას პოეტურა თავმოყვარეობა მაინც შეურაცხყოფილი რჩება.

რომაის წაყითხვისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება ქართველ მკითხველს, რომ ზ. დარჩიანს, ჩვენს გვერდით მოძვე რესპუბლიკაში მცხოვრებ მწერალს იტონოსადენი ისტორიაზე, არც ქართველების სასიათნო და ტრადიციებზე და რაც შეიძლება, არც ხურს იცოდნენ იმაზე მეტი, რაც ჰგონია, რომ იცის. რომანში მან მიზნად დაისახა საიათნოვას საოცრად ამკობრებული წარმოგება ყოველგვარ ასპექტში და აღწევს კიდევ მიზანს, მაგრამ ეს მხოლოდ მის ჰგონია, რომ მიზანს აღწევს, თორემ ჩვენი აზრით, ამ ყალბი განდიდებით ცნობილ აშუღს უფრო მეტ შეურაცხყოფას აყენებს, რასაც რასაკვირველია, ზ. დარჩიანისაგან საიათნოვა არ უნდა იმსახურებდეს. საიათნოვა გულზედაა, კატავოვარა, თავის თავზე მეტის-მეტად შეუვარებული ნარკისი, რომელიც საცა გამოჩნდება, იქ გულწასული თავადის ქალების გრევა დგებოდა. საიათნოვა, რომელსაც ერთკლე მეფე „ძმოს საიათნოვას“ ეძახის, ხოლო აშუღი „თავადო ირაკლის“, საიათნოვა, რომელსაც დაეწერება უმის მოვალეობა და აქედ დიდ-დიდ თავადებს იხე ექცევა, როგორც უმებს: ალოდიჩებს, ახეწინებს, ანერკოვლებს და ამარცხებს. ამ დროს კი მისი ერთ-ერთი იარაღია ცეცხლისმფრქვეველი შიპონური თავალები, რასაკვირველია, გათვითცნობიერებულ მკითხველს დიმილს მოგვრის ასეთი საიათნოვა. თბილისელი საიათნოვა ქართველთთვის უსუყვარლება აშუღია, მაგრამ რატომ ამტარებს მას ასე ზ. დარჩიანი? საქართველოს წარსულში ჩაუხედავმა მწერალმა საოცრად უღიშ-

დამოდ და უნათოდ წარმოგიდგინა ერთკლე მეფე თემურაზ მეფე, დემეტრე ნუბუქიანი და მთლი სამეფო კარა, გენერალთა კავშირები ლაპარაკი ზემეტია. მწერლის მიერ ერთკლის სასიათნოვა და საიათნოვას საოცრად მდგომარეობის აბსოლუტურად იგნორირების ნიშნულია აშუღის სასახლიდან გაძევების ეპიზოდი. ერთკლეს მკაცრი სასიათი და წინაგობი მომთხოვნელობა ისტორიულად ცნობილია. ამის შესახებ ვაჩხაბნეთი, რას ვგვიამბობს ვაძმოცემა: „1772 წელს დაქვრივდა თემურაზ მეფის ასული, მეფე ერთკლის უფროსი და ანა ბატონიშვილი, რომელიც დამიტრა ობილიანზე იუს გათხოვდა. ახალგაზრდა ქვრივი თავის ძმის ირაკლი მეფის სახლში დაბინავდა. ახე შეგონებად წაქარა მოძღვრის შეუღლებად შერეული. იგი სულ აფილად დაუახლოვდა ბესარიონ გაბაშვილს და მათ შორის გაიბა საიდუმლო გრძობის ქსელი. რამდენიმე ხნის შემდეგ ბატონიშვილამდე მიუღწევია ხმას, ვითომც ბესიკს სხვა ქალი შეშეყვარებოდეს, ეს რომ ანა ბატონიშვილს შეუტყუა, ბესიკი სახლში აღარ მიუღია. უყანასკნელი გრძობით აღსავსე ლექსებში თავს იმართლებს მოციქულებსაც აახლებს ანა ბატონიშვილს, მაგრამ ამოდ, ერთხელ დასმული საიათნის კარი მას აღარ გაუღებს. ამ სამიწნურო ამბავმა ირაკლი მეფემდე მიადგია: განრისხებულმა მეფემ ქვრივი და მონასტერში გაგზავნა, ხოლო ბესიკს სასტიკად აუტრიალა ამირალიან ამ საგანზე ხმის ამოდება: წინააღმდეგ შემთხვევაში შენც მამა-შენივით გაგაძვეებ ქართლიდანაო. მაგრამ სიცოცხემდე მისული ახალგაზრდა შგოსანი არ ცხრებოდა. ამბობენ: ერთხელ ბესიკმა მონასტრისიერ ჩაარა და აივანზე ორი შავი მოსილი (სამოლოზრო ტანსაცმელი) ქალი დაიანახა, რომელთაგან ერთი ანა ბატონიშვილი იყო. ამ შემთხვევის გამო მას გამოუტყვამს ახალი ლექსი „შავნი შავნი“, რომელიც მალე მთელ ქალაქში და მეფემდისაც მიუღწევია. განრისხებულ მეფეს უბრძანებია მსაჯულებისთვის: ჩემი ოჯახის შეურაცხყოფელი სამავალითოდ უნდა დასაჯოს, მეტების ციხიდან გააძაგდეთო, მაგრამ სასახლის ერთ-ერთ ნეგროსაგან ბესიკს მეფის გადაწყვეტილება შეუტყუა და ამერეთში გაქცევით უშველია თავის თავისთვის.“

ამჭერად მნიშვნელობა არა აქვს მართლად მქონდა თუ არა რომანი ბესიკს ანა ბატონიშვილთან. აქ ჩვენთვის საუფრადებოა ერთკლის მიერ საყუთარი ოჯახის წინაგობივი სიმონდის მკაცრი დაცვა და, რაც შეიძლება, ამ თქმულების სხვადასხვა რედაქციაში ხაზია გასმული მეფის სასტიკ ბუნებაზე. აი, რას წერს ვ. დიმიტიევი „ჩვენ ვიცით, რომ ერთკლე მკაცრი წინაგობის ადამიანი იყო და სასტიკ მეთვალყურე-

1 ს. გორგაძე, ბესიკი, გვ. 10-11.





ობის ქვეშ მუდამ მთელი სასახლე, ოქაზთან ერთად სასახლის მსახურთა ზნეობაც, რის შედეგზეა არა ერთი ფაქტი: ცნობილი მაგრამ თავი რომ დავანებოთ მეთის ხასიათს და შეზღუდულობას, თვით მაშინდელი მალაია საზოგადოების ოფიციალური ზნეობისთვისაც ბესიკის ვაბედული გამოქნალების გაქედანება თითქმის მკრებულობას უდრდა. წარმოსადგენია, თუ რა წურბანა უნდა გამოეწვია მეთისა და სასახლის საზოგადოებისა ბატონის რძალ შაიაზე საქაროდ გამოტანისა და წამდრად ბესიკის დიქსებისა.

ერგულე მდგომ თუ თავის ოქაზის შეურაცხყოფად მიიღო ზრწიანადე თავადის და დიდებული ქართული პოეტის ბესიკ ვახაშვილის გამიჭნორება ანასთან და სიკვდილი მიუსაჯა მას, რა დამართა უმა აშუღიან. აღბათ, იოლი წარმოსადგენია რაღას უნაშა ანალოგიური დანაშაულისათვის უვგარო საიათნოვას, მით უმეტეს რომანში უოველგვარი მოტივაციის ვარტეშ ანა საიათნოვას საუვარლად არის გამოვანოლი. ეს ამბავი, ნაწარმოების მიხედვით, ერგულეს რომ გაუვია, თეიმურაზ მეფესავით და დემეტრე ორბელიანივით შეურაცხყოფად არ მიუღია, მაგრამ მაინც გადაუწყვეტია აშუღის სასახლიდან გაქვება, თუმცა ისტორიულად ჭრ კიდევ ვარტეშული არ არის საიათნოვას სასახლიდან დათხოვნის ქვეშარტი მიხედა. ერთი კი ფაქტი ერგულე მეთის ზრწანებით საიათნოვა ბერად აღკვეცეს და მისთვის არ მიუსჯიათ ბესიკით მუტების ციხის კლდედან ვადავდება და უამქველი სიკვდილი.

კიდევ უფრო ზელოვნურია ერგულეს და ბერის საიათნოვას შეხვედრა სომეხი თავადის ოქაზში. ერგულე საიათნოვას სიხოს დაბრუნდეს სასახლეში. მაგრამ საიათნოვა უარს ამბობს. ნუთუ მწერალმა ერთხელ მაინც არ ჩაიხედა საიათნოვას ლექსების კრებულში? რომ ჩაიხედა ნახავდა, რომ აშუღის ლექსების ნახევარზე მეტად მეფე ერგულიაღმი ვერტება, პატების და შეწყალების გონება. ეს ფაქტორი კი მწერალს უამქველად უნდა გაეთვალისწინებინა და იმდევარად უნდა ემოქმედა მის გამოსაც.

უკვლად შეუძლებელია ნორმალურმა ადამიანმა წარმოადგინოს ადა-მამადა-ხანის ქართი გარწმორტებული თბილისი და ის ბრბო, რიონელიც სადაცაა წუთიწუთზე შემოკვედება ქალაქში. არეულობა, პანოცა... და ამ დროს სპარსელ აშუღს მიჩნა აშრაფს და საიათნოვას სიმღერაში ვაუმართავთ შექებრა...

მწერალს საიათნოვას „მოწამობრივი“ სიკვდილი ცნობილი ლეგენდა აქვს გამოყენებული

უოველგვარი მხატვრული გადაწყვეტების გაქვეშე თუმცა, თავისთავად, ეს ლეგენდა მწერალის მხატრი პოეტური შინაარსის და დიდი მხატვრული ღირსების ქონებ. აქვე ვინა ადგანა, ნოთ, რომ საიათნოვას ბიოგრაფიის ლეგენდის წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ მეცნიერულად არის დასაბუთებული, რომ საიათნოვა გარდაიცვალა 1801 წელს ანაკის მონასტერში.

შთავდება რომანი და ისეთი აზრი ვრტება, თითქოს მეფე ერგულეს სასახლის კარის ცხოვრებას საიათნოვა განავებდა და მასზე იყო დამოკიდებული საქართველის ბედი. ასეთი როლი საქართველოს სამეფოს ცხოვრებაში საიათნოვას მისი სოციალურა მდგომარეობის გამო არ შეუძლო შეესრულებინა და ამდენად მწერლის მიერ წარმოდგენილი მეფე ერგულეს სახანდრის მხატვრული სახე, თუ შან შეიძლება მხატვრული ეწოდოს, ზელოვნურად გაწვიადებული და გაბეტილია.

ჩვენ არ დავიწყებთ იმის განხებას, თუ რატომ გამოიქცა მწერალს საიათნოვა პიპრობოლიზებული, მაგრამ ერთს კი ვიტყვი: როცა მწერალი მერზე ერის წარსულის რომელიმე პერიოდის ასახება მოინდომებს, ამ ეპოქის კარგი ცოდნის ვარად, განსაკუთრებული სიფრთხილისა და ზომიერების ზღვარი უნდა მონახოს თავის გამიერების ბორცვისხმის დროს, რათა ნებნით თუ უნებლიეთ არ შეურაცხუოს მომეხალბის ერგულელი თავმოყვარეობა, გულახდილად უნდა ითქვას, რომ წ. დარიაშა თავის რომანში ვერ შეძლო ამ ბეჭევის ზიღვე გაკლა. თავი რომ დავანებოთ უკვლავტრის ისტორიულად ცნობილი ქართველი ქალის ერთვლება და კდემამოსილება, მწერალს არაფრით არ მიიტეება ქეოცვან წამებულის შთამომავალთა ასე დაუმსახურებელი მორალური შეურაცხუოცა. რომანში არამართო ანას და საიათნოვას სამიწურო ურთიერთობა მაშინჯად წარმოდგენილი, არამედ მთელი XVIII საუკუნის საქართველოს სოციალური უოცა და, რაც შთავარია, მეფე ერგულე და მისი სასახლის ცხოვრება, რომანის მხატვრულობაზე ზომ ლაპარაკიც უდემტობ, იმდენად უსუტურია ამ მხრაც ეს ნაწარმოები.

სამწუბაროდ ისიც, რომ წ. დარიაშა, რომანი „საიათნოვა“ 1978 წელს რუსულ ენაზე გამოუცია მოსკოვის გამომცემლობა „სოვეტსკი პოსატელს“ 80000 ტირაჟით (ქართულად არ არის თარგმნილი).

ეს კი ერთი ფაქტორია — რუსულენოვან მკითხველს რა მხატვრული დონის და ფაღსიფიტებული შინაარსის ნაწარმოებებს აწვდთან ქართველი ხალხის ეროვნული ხასიათისა და წარსულის შესახებ, საიათნოვა ძიება-მეგობრობის მომდერალია და მასზე შექმნილი მხატვრული ქმნილება ან სასატიო საქმეს უნდა ემსახურებოდეს.



## მიქერძოების სენი ისევ მძვინვარებს

ვინ უწყის, უკვე რამდენი ხანია იწერება, რომ კავკასიის ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიკოსებმა თავიანთი სამშობლოს წარსულის წარმოჩენა მეზობელი ერების ღირსების შელახვის ხარჯზე არ უნდა სცადონ. უკვლა უნდა დასაჭერდეს იმას, რაც მათთვის ცანგებას უზომეზია. მაგრამ, სამწუხაროდ, ისტორიის მიკერძოებით წერა დღემდე გრძელდება. ამ მხრივ ამჟამად დაახლოებით ისეთივე მდგომარეობაა, როგორც იყო, მაგალითად, ასე წლის წინათ, როცა დაიწერა ილია ქავჭავაძის „ქვათა დაღაღი“. როგორც ცნობილია, დიდი ილია ქადაგებდა, რომ ცალმხრივი, წინასწარ აკვიატებული აზრით შექმნილი საისტორიო ნაშრომები უფრო მეტად საზიანოა კავკასიის ერების ურთიერთობის დიდმნიშვნელოვანი, საშვილიშვილო საქმიანთვის, ვიდრე რაიმე სარგებლობის მომტანი.

თუ რაოდენ მწვავე ხასიათს იღებს, მაგალითად, ჩვენი მეზობელი სომეხი და აზერბაიჯანელი ისტორიკოსების კამათი, ერთხან და იმავე, ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე. მათი აზრები ცა და დედამიწასავით რომ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, ამის თაობაზე ბოლო წანებში საკავშირო პრესაშიც კი იყო საუბარი. ნიშანდობლივია ისიც, რომ სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა „მაცნეს“ 1987 წლის მეშვიდე ნომერში, წოგეირთი აზერბაიჯანელ ისტორიკოსთა მისამართით დაიბეჭდა ბ. არუთიანის წერილი, მეტი რომ არა ვთქვათ, დამაღიქრებელი სათაურით:

«Когда отсутствует научная добросовестность».

1984 წ. ერთგვანო სომხურ ენაზე გამოქვეყნდა „სომეხი ხალხის ისტორიის“ რვატომეულის მეორე ტომი. იგი, ალბათ, მთელ რუსულადაც დაისტამბება. მოუცლელობის გამო მე მხოლოდ მოკვანებით მოგახერხე გაცნობოდი ამ ნაშ-

როს და განსაკუთრებული ყურადღება მიმეყრით, თუ როგორაა ამ წიგნში ასახული საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხები. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ განცვიფრებული დავრჩი — ნოთუ მეცნიერების განვითარების დღევანდელ დონეზე შეიძლება, სხვას რომ თავი დაეანებოთ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მკვლევარმა სრული ნდობა გამოუცხადოს გარკვეული მიზნით შექმნილ ძველსომხურ ლეგენდებს და მათზე დაყრდნობით ესოდენ მნიშვნელოვან გამოცემაში დააყენოს მეზობელი ქვეყნის, საქართველოს წარსული?

მაგრამ ეკონიოთ მოთმინება და მიყვებით თანმიმდევრობით. ხსენებული წიგნის ქვესათაურია — „სომხეთი ადრინდელი ფეოდალიზმის ხანაში“. იგი ვრცელი შოცულობის (დიდი ფორმატის, დაახლ. 700 გვერდი) კოლექტიურ ნაშრომს წარმოადგენს. პასუხისმგებელი რედაქტორები არიან ცნობილი ისტორიკოსები — ს. ერემიანი და ბ. არაქელიანი. წიგნი მოიცავს ხანს III ს-ის დამდეგადან IX ს-ის 80-იან წლებამდე და შედგება შესავლისა და ოთხი ნაწილისაგან. ნაწილი I: „სომხეთი ფეოდალურ ურთიერთობათა ფორმირების ეტაპში (III-IV სს)“; ნაწილი II: „სომეხი ხალხის ბრძოლა სასაზური ირანისა და ბიზანტიის იმპერიის ბატონობის წინააღმდეგ V-VIII საუკუნეებში“; ნაწილი III: „სომხეთი არაბთა სახალიფოს ბატონობის ქვეშ და სომეხი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის VII-IX საუკუნეებში“; ნაწილი IV: „სომხური კულტურა ადრინდელი ფეოდალიზმის ხანაში“. წიგნის ოთხივე ნაწილი, ერთად აღებული, შეიცავს 24 თავს, ბოლო თითოეული თავი ცალკეულ ქვეთავებს. ნაშრომს ერთვის ქრონოლოგიური ცხრილი, წყაროებისა და ლიტერატურის სია, საბიბლიოთეკო, აგრეთვე ექვსი რუკა.

ბუნებრივია, „სომეხი ხალხის ისტორიის“ რვატომეულით, კერძოდ, მისი მეორე ტომით

დაინტერესდებიან ქართველი და აზერბაიჯანელი ისტორიკოსებიც, ვინაიდან ამიერკავკასიის ქვეყნებს წარსული მწოდროდა დაკავშირებული მწვრთნელი ქვეყნების ისტორიასთან. რიგი საკითხების შესწავლა შესაძლებელი ხდება მხოლოდ და მხოლოდ მთელი კავკასიის თავგადასავლის გათვალისწინების საფუძველზე.

ხენებელი წაგის ფურცლებზეც შეიჩინება, რომ სხვა ეპოქების მსგავსად, III-IX საუკუნეებშიც საქართველოს, სომხეთისა და აღვანეთის (კავკასიის ალბანეთის) ისტორიული ბედი ხშირად ერთნაირი იყო. ასე მაგ., არაერთგან გვხვდება დახლოებით ამის მსგავსი გამოწითქვამები: „V-VII საუკუნეებში სახანანთა ირანისა და ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ სომხების, ქართველებისა და აღვანელების მიერ გაჩაღებული სახალხო-განმათავისუფლებელი ომები ამ ეპოქის პროგრესული კლასების ბრძოლის გამოხატულებას წარმოადგენდა“.

ქართველი და სომეხი ხელისუფალნი არაერთხელ მიშველებიან ერთმანეთს როგორც ხერთო მტრის, ასევე გადამითეული მტარვალისაგან ზურგგამარტებული, სამეფო ზღლისუფლები ღირსი, თავიანთი ქვეყნის მოღალატე დიდებულების პარპაშის აღვამვის მიზნითაც. ამათა დაკავშირებით, „სომეხი ზღლის ისტორიის“ II ტომში ნათქვამია: „სამინელი საგარეო საფრთხის კერძადაც იწყება სისხლისმღვრელი შეტაკებები (სომხეთის, ა. ა.) მეფესა და ურჩ ნახარების შორის“. ირანის შამა და შიხა მუშტუკ სომეხმა ნახარებმა დაპირეს სომხეთის მეფის, არშაკ II-ის (385-387/8) შეპყრობა. არშაკმა ქართლის სამეფოს, ბერძნის მაშურა. „ქართველთა ქვეყნიდან არშაკ II დაპრუნდა მამველი ჭარით, რომელსაც შეუერთდა სამეფო კარის ერთგულ სომეხ ნახარა რთა ქარის ნაწილები და მათ შეძლეს აწაყნებული ნახარების დაპარტება“ (გვ. 87). აღსანიშნავია, რომ სათანადო, ზოგადნაცხედული ცნობები მოხმობილია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც.

მეცნიერული სამართლიანობა, კეთილსინდისიერება, პირთუფნელობა მოითხოვს ხაზგასმით ითქვას ისიც, რომ „სომეხი ზღლის ისტორიის“ II ტომის, საზოგადოდ, მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენს. ზენი ღრმა რწმენით, იგი წინადადებულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ სომხეთისა და მთელი ამიერკავკასიის ისტორიის შესწავლის საქმეშიც. რამდენადაც, ვიმეორებთ, ამიერკავკასიის ამა თუ ამ ქვეყნის ისტორიის საფუძვლიანად შესწავლა მწვრთნელი ქვეყნების წარსულის გათვალისწინებლად შეუძლებელია. მაგარა, როგორც უკვე ითქვა, ხენებელ წიგნში საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხების დღევანდელი უმარტებლობა, სპწუხაროდ, მიკროკოზმითაა გაშუქებული. ქვემოთ განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს. აქვე ისიც გვსურს

აღვნიშნოთ, რომ ვაგვიადება, გადაკარგება, საერთოდაც დაშხასათებელია ქვეყნების ურთიერთობის ანუ მაგ., წიგნის „მეცნიერული კავკასიაში ს. ტრემიანი წერს, რომ V-VII საუკუნეებში ქრისტიანული კულტურის ცენტრს მსოფლიოში სომხეთი წარმოადგენდაო (გვ. 18). სხვა ქვეყნებს რომ თავი დაეანებოთ, განა იმ ეპოქაში კულტურა ნაყლებად განვითარებული იყო ქრისტიანულ ბიზანტიაში?

III ს-ის ამიერკავკასიაში სასაწურთ ირანის პოლიტიკასთან დაკავშირებით განსახილველ წიგნში ერთგან ვკითხულობთ: „...ამ ხანებში ადგილი უნდა ჰქონოდა აგრეთვე ქართველთა და აღვანთა სამეფოების დამორჩილებას სასაწურთ ირანისადმი. ქართული საისტორიო ტრადიცია, XI ს-ის ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხრობის მიხედვით, ძირითადად, ემყარება აგათანგელოსის შრომას და ქართველთა სამეფოს სასანიანებისადმი დამორჩილებას უკავშირებს სომხეთა მეფის ზოსროვის მოკვლას (აქ მითითებაა „ქართლის ცხოვრების“ სათანადო ადგილზე, ა. ა.).

შეკვევართ აზრით, ქართველთა სამეფო სასანიანთა ირანს დაეკმობებებარა შამ-შამ წლუბში, როდესაც სომხეთის სპარსულ ნაწილში მეფედ იყო არტავაზდ V“ (გვ. 56).

მოტანილი ამონაწერი ამტკრად ჩვენს უფრადლებას იპყრობს იმ მხრივ, რომ ქართული საისტორიო ტრადიცია და, კერძოდ, ლეონტი მროველი, რომლის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელ მთველ თხზულებას წარმოადგენს, III-IV სს-ის შესაბამე თხრობისას, თურმე ძირითადად სომეხი მეშატაინის, აგათანგელოსის (V ს.) „სომხეთის ისტორიის“ ემყარება. საზოგადოდ, ლეონტი მროველისა (თუ მისი წყაროების) და აგათანგელოსის თხზულებების ერთმანეთთან დამართების საკითხი ძალზე რთულია. ამიტომ, დასაბუთების უოველგვარი ცდის გარეშე, ხენებელი მოსაზრების მოტანა, მით უფრო, შეაზველთა უფრო წრისათვის განკუთვნილ წიგნში, ჩენი აზრით, გაუმართლებელია. ადვილად შესაძლებელია, ამგვარმა ვანცხადებამ ბენი შეუწუოს მკითხველთა გარკვეულ წრეებში მცდარი წარმოდგენის შექმნის ქართული და სომხური კულტურის ურთიერთმიმართების საკითხებზე.

ცნობილია, რომ ლეონტი მროველი სომეხთა ხენებულ მეფეს ზოსროვს კი არა, არამედ კოსაროს უწოდებს. ეს იმავე მიუთითებს, რომ ლეონტი თუ იცნობდა აგათანგელოსის თხზულებას, ეს იქმის მის ბერძნულ ვერსიასე და არა სომხურ ადვანზე.

როგორც აღნიშნვევ, ძველ სომხეთში, არაერთი ქვეყნიანაგან განსხვავებით, ეამთააღწეურლობა ეროვნული მწერლობის მთავარ ენარად იქცა. თუ საქართველოში ღამის ეროვნულ სა-

ხარებად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ მიიჩნევათ, სომხეთში დაახლოებით ამგვარი ზვედრი ძველი სომხური საისტორიო მწერლობის „მამად“ აღიარებული მოცეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიას“ ხედა წილად. საფუძრებელია, რომ ისტორიისადმი დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოში მცხოვრები სომხური მოსახლეობაც, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ფლობდა როგორც ქართულ, ასევე სომხურ ენას. ბუნებრივია, მათ განსაკუთრებულ უურადღებას მიიპყრობდა ის გამომცემები, რომლებშიც საქართველო-სომხეთის ურთიერთობა იყო ასახული.

მეორე მხრივ, ლეონტი მროველის დროს, XI ს.ში, როცა საქართველოს სამეფო კარზე, მიუხედავად უდიდესი დაბრკოლებების არსებობისა, სერიოზულად დაიხდა საკითხი სომხეთის შემოერთებისა, წარსულში ქართველ-სომხეთის ერთობის აღმწერი მატანის შექმნას საგანგებო ურთაღებდა უნდა მიქცეოდა. საქმე ისაა, რომ საქართველოსთან სომხეთის შემოერთების შეურიგებელი მოწინააღმდეგენი იყვნენ არა მარტო გარეუე მტრები, არამედ სომხეთის მიმართ საქართველოს სამეფო კარის სათანადო პოლიტიკა მიუღებელი ყოფილა ქართული ხალხიერად და საერო წრეების ერთი, მნიშვნელოვანი ნაწილისათვისაც.<sup>2</sup>

ლეონტი მროველს წარსულში ქართველ-სომხეთის ერთობის დამაბასტურებელი ქართული მასალები მიანცდაშინც ვერ მოუპოვებია და ამტომაც მას უხვად გამოუყენებია საქართველოში მცხოვრებ სომხურ მოსახლეობაში გავრცელებული სომხური წარმომავლობის თქმულებები, რომელთაგან ზოგიერთი ავთანეგლონის „სომხეთის ისტორიიდანაც“ იღებდა სათავეს.

„სომეხი ხალხის ისტორიის“ II ტომში სხვაგანაცაა საუბარი „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელი პირველი თხზულების რაობის შესახებ: „ქართული საისტორიო ტრადიცია, მიუხედავად დროისა და ფაქტების აღრევისა, მაინც სწორად ასახავს ისტორიულ სინამდვილეს... ქართული ნახევრად ისტორიული, ნახევრად ზღაპრული ცნობებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მართალია გაქვლდა სპარსელ-რომაელთა ომის წლებში (296-297), როდესაც ქართველთა მეფე მონაწილეობდა ამ ბრძოლებში სპარსელთა მხარეზე“ (გვ. 89).

დროისა და ფაქტების აღრევა, სანახევროდ ზღაპრულთა დამახასიათებელია არა მარტო ქართული, არამედ სხვა ერების, სახელდობრ, სომხური საისტორიო ტრადიციისათვისაც. მაგ. რამ, როცა ეს „ნახევრად ისტორიული, ნახევრად ზღაპრული“ მასალები შეტანილია „ქართლის ცხოვრებაში“, რომელიც საქართველოში „წმინდა“, „პატრიოსან“ წიგნად მიიჩნევათ მრავალი საუკუნის განმავლობაში, სომეხ მკითხველთა ფართო წრეზე უფრო ფრთხილად უნდა მივიჩნიოთ ცნობები მეფეთა ხორის ამგვარ ძველზე, კარის მეზობელ ერის მამა-პატრიო, ისტორიული სიმინდრე მით დასაბუთებულია ს. ერეკლიანის, რომელიც წარმოშობით თბილისელი კაცია, კარგად იცის ქართული ენა და შესანიშნავად იცნობს ქართულ სამეცნიერო, ქართველოლოგიურ ლიტერატურას.

როგორც ცნობილია, ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაში მოიპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ საქართველოს გაქრისტიანება, თითქოს, სომხეთის წყალობით მოხდა. „სომეხი ხალხის ისტორიის“ II ტომში ამის საჩვენებლად გროვალ განმანათლებლის „ცხოვრების“ ბერძნული რედაქციაა მოხმობილი. ეს, ალბათ, იმის გამოც კეთდება, რომ შვიდი დამაქრებლობა მიენიჭოს აღნიშნულ დებულებას: „წმ. გრიგორის ცხოვრების ბერძნული რედაქციის თანახმად, გრიგორ განმანათლებელმა მქადაგებლები (ხუცეხი იტენარქოსი, სოფრონოსი, თომა) გაგზავნა აგრეთვე ქართლში, ლაშთა ქვეყანაში და აღვანეთში“ (გვ. 79).

ავთანეგლონის „სომხეთის ისტორია“, უფრო სწორად, მის საფუძველზე შექმნილი „გრიგორის ცხოვრება“ ერთად გავრცელებული ძეგლია შუა საუკუნეებში. დღეისათვის ცნობილია მისი დაახლოებით ოცო რედაქცია სხვადასხვა ენებზე (სომხური, ბერძნული, არაბული, სირიული, ლათინური, ქართული, ეთიოპური, სლავური...). ცხადია, „გრიგორის ცხოვრება“ თავდაპირველად სომხურად დაიწერა და სომხური პირველწყაროსაგან უშუალოდ თუ სხვაენის მეშვეობით მოამდინარეობენ ხსენებული რედაქციები. ზშირად „გრიგორის ცხოვრების“ სხვა ენებზე მთარგმნელებიც სომხები იყვნენ. ასე რომ, ს. ერეკლიანის მიერ მოხმობილი „გრიგორის ცხოვრების“ სათანადო ცნობები ძირითადად მაინც სომხურ ნიადაგზეა აღმოცენებული და არა ბერძნულზე. რაც შეეხება საერთო ბერძნულ მასალებს ქართლის გაქრისტიანების შესახებ, მეცნიერებისათვის მათი ხასიათი კარგადაა ცნობილი: „იმ წყაროთა შორის, რომლებიც ქართლის გაქრისტიანებას აღწერენ, უძველესია ბერძნულ-რომაული. ისინი თითქმის მხოლოდ ნახევარი საუკუნით არან დაყოფილებული თვით ქართლის მოქცევას. მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ სწორედ ამ უძველეს წყაროებში არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ქართლის გაქრისტიანება რითიმე უყოფილყოფს დაკავშირებული სომხეთის გაქრისტიანებასთან.“<sup>3</sup>

„ლაშთა ქვეყანაში“, დასავლეთ საქართველოში IV ს-ის დასაწყისში ქრისტიანობას საქმად შეტაცედ ქონია ფეხი მოყადებული. ამ მხრივ მანადობლივია, რომ ნიკეის I მსოფლიო კრების აქტებში ამ კრების მონაწილეთა

შორის დასახლებულია „პიტონების ეპისკოპოსის ტრაქტოფილი“. ამდენად, ცნობა გრავოლ განმანათლებლის ღვაწლის შესახებ ეგრისის (ლაზიის) გაქრისტიანების საქმეში უსაფუძვლოა. ეგრისის სამეფო იმ ხანებში ბიზანტიის ვასალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა და ქრისტიანული რელიგიის აღიარებაც ამ ქვეყანაში ძირითადად ბერძნების გავლენით ხდებოდა.

გრავოლ განმანათლებელი და მისი შემკვიდრებები ხელდასხმას ბიზანტიაში, სახელდობრ, ქალაქ კესარიის იღებდა. ბიზანტიელებს გრავოლი უყოველით ბიზანტიური ორიენტაციის მოღვაწედ მიაჩნდათ. ასე იყო ეს იმ ხანებშიც, როცა ბიზანტიის ხელისუფლება უყოველი დონით ცდილობდა მონოფიზიტური (გრაგორიანული) სომხური ეკლესიის ქალკედონიანობაზე „ბერძნულ სარწმუნოებაზე“, „მართლმადიდებლურებაზე“ მოქცევას. ამდენად, ბიზანტიელები არაფერი შექონდათ საწინააღმდეგო გრავოლის კულტის გავრცელებას, რადგან მიაჩნდათ, რომ გრავოლის მიერ გაქრისტიანებული ქვეყნების ეკლესიებს ბიზანტიის ეკლესიის უზენაესობა უნდა შეენიჭათ. ამის შედეგად ზოგჯერ ბიზანტიური მწერლობაში არც თუ ისე ძნელი უნდა უყოფილიყო სომხურ ნიადაგზე წარმოქმნილი იმგვარი ცნობების გავრცელება, რომ გრავოლს, თითქოს, მთელი კავკასია გაექრისტიანებინოს. ბიზანტიური დიპლომატია განვითარების მეტად მაღალ საფეხურზე იდგა და მსგავსი სვლებით ბიზანტიელები იმარტო ფიქრობდნენ, რომ სომხებისადმი ამგვარი დამოკიდებულებით, დროულად სხვის ხარჭზე მათთვის რაღაცის „დათმობით“ შეძლებდნენ მათ მიზნობას, მონოფიზიტური (გრაგორიანული) სომხური ეკლესიის „მართალ სარწმუნოებაზე“ მოქცევას.

გარდა აღნიშნულისა, გასათვალისწინებელია სხვა გარემოებაც. ცნობილია, რომ ჭერ კოდუც II ს-ში ქრისტეს დაბადებამდე სომხეთის მეფემ ქართლის (იბერიის) მეფეს გოგარენს (სომხურად გუგარქი) მხარე წაართვა. ამის შედეგად გოგარენისთვის ბრძოლა დიდხანს გრძელდებოდა, იგი ზეილად ზელში გადაიქცა. სომხეთისა და ქართლის გაქრისტიანების ეპოს, IV ს-ის I ნახევარში, ქვემო ქართლის საპატრიარქო იგივე გოგარენე, სომხეთის შემადგენლობაში მოქცეული, თუმცა სულ მაღლეს მხარე დიდი ხნით კვლავ საქართველოს უბრუნდებოდა. გოგარენეში ქრისტიანობა სომხეთიდან გავრცელდა. რეალურად ეს ფაქტი უნდა აღედგინა საფუძვლად სომხურ ცნობებს ქართლის სომხეთის წყალობით გაქრისტიანების შესახებ, რამდენადაც თვით სომეხი მემკვიდრეობიც გოგარენს ქართულ მხარედ მიაჩნდებდნენ და არა სომხურად. ამასთანავე, ძველ სომხურ ხისტიკონო მწერლობაში გოგარენე (გუგარქი) თანდათანობით მთელ აღმოსავლეთ საქართველოსთან გაიგივებს.

როგორც ცნობილია, ქრისტიანობა შვიგობარული რელიგიაა. რაკი ძველ ქრისტიანულ წიგნებში წარმოდგენილი, საქართველში ქრისტიანობის მოსავლეთ საქართველო თითქოს, სომხეთის წყალობით გაქრისტიანებულა, მათ ქართულ დამწერლობის შექმნაც სომეხი სახულიერო მოღვაწის, მერსო-მამუტოციის სახელს დაუყვებოდა. სამწუხაროა, რომ „სომეხი ხალხის ისტორიის“ II ტომში (გვ. 424, 428) სათანადო სომხური ლექსები ქრისტიანობადა გასაღებელი. ამის თაობაზე ჩვენ უკვე გამოვამყენეთ საგანგებო წერილი, სადაც ვრცელად საუბარი, თუ რითაა განპირობებული ძველი სომეხი მემკვიდრეობის ტრადიციურობა და ამიტომ ამჭრად ამ საკითხზე ზიტყვას აღარ ვავაგრძელებთ.

774 წ. სომხეთში ანტიარაბულმა აქანებამ იფიქრა: „აქანებმა დაიწყო შირაკის (არ უნდა აგვერიოს ქართულ შირაკში, ა. ა.) სოფელ კუმარიდან. არტავაზდ შამიკონიანი... თავს დაესხა მთავარ ხარკთმცემს, წაართვა მის შვიტროვილი გადასახადები და უსაფუძვლო ნაზარების ერთ ჭვუღთან ერთად მიაშურა სამცხეს“. არაბთა ქარი გამოიღვა არტავაზდ. „მდებრებმა არტავაზდის რაზმის კვლავ დასავლეთის მიმართულებით დიდხანს იარეს და მი. აღწეს სამცხის ოლქს (ახლანდელი ახალციხის მხარეს). მათ დაიკავეს შიის ვიწროები, გარემოცვეს მემამოხენი, რომელთაც წაართვეს სახელმწიფო გადასახადების ერთი ნაწილი. აქანებულნი ვაყვალნენ სომხეთის ზეგანს, მათ თავი შეუფარეს ეგრისს“ (გვ. 338-339).

როგორც ვხედავთ, „სომეხი ხალხის ისტორიაში“ სამცხე, ახალციხის სანახები სომხეთის ზეგნის ნაწილადაა გამოცხადებული. საქმეში ჩაუბრუნებმა მკითხველმა, ვისთვისაც მინდებოდა ნათელი არ არის სომხეთის ზეგნის ცნება, შეიძლება იფიქროს, რომ სამცხე, ახლანდელი ახალციხე და მისი სანახები, ისტორიულად სომხურ მიწა-წყალს წარმოადგენდა. ცხადია, ეს ასე არ უყოფილა. თავი რომ დავანებოთ სამცხისა და ახალციხის ქართულ სახელწოდებებს, საზოგადოდ, მკვლევართა ზეით არსებულ სათანადო, საკმაოდ მრავალრიცხოვან მასალებს, თვით თანადროული სომეხი მემკვიდრეობიც დეკონდა, რომელიც მოგვითხრობს სომხეთის 774-78 წწ. აქანების შესახებ, სამცხეს ქართულ ოლქად მიიჩნევს.

სომხეთის ზეგნის ცნება შეცნობიერებაში პირველად შემოიტანა გეოლოგმა გ. ახიზმა (1808-1881). მ ვინაიდან ეს ბუნებრივი რეგონი მოიცავს არა მარტო სომხეთის, არამედ ნაწილობრივ საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიასაც. უფრო უპირატესია მას ეწოდოს არა სომხეთის, არამედ აზერბაიჯანის ზეგანი. უყოველ შემთხვევაში, მკითხველთა ფართო წრისათვის განკუთვნილ „სომეხი ხალხის ისტორიაში“

აშა, რომელშიც საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხზედაც ასახული, ერთმანეთში არ უნდა ავტომატ ფიზიკური გეოგრაფიისა და საქართველო-სომხეთის პოლიტიკური ისტორიის ცნებები: ხომ შეიძლება ამგვარმა აღრევამ (თუ გამოხდომამ?) დღეს თუ ხვალ არასასურველი გართულებები გამოიწვიოს ქართველი და სომეხი ერების ურთიერთობაში.

განსახილველ წიგნში საკმაოდ ვრცელადაა საუბარი ბაგრატიონთა საგვარეულოს, კერძოდ, ქართველ ბაგრატიონთა ეროვნული წარმოშობის თაობაზე. მოვიტანო ზოგიერთი ადგილის თარგმანი: სომეხ ბაგრატიონთა „ერთი შტო ქერ კიდვე (VIII ს-ის დანასტრულისაჲვისო, ა. ა.) დარჩენილი იყო მათ უძველეს სამფლობელოში, სერში, აშოტ მსაყერის (სომხეთის მთავრის, ა. ა.) ძმის, შაჲუჲის ვაჟი აშოტი კეი, სარმა თეოფილემ სპერის მთავრად დანიშნა. მანამაჲნე ვარდანის თანახმად, აშოტმა აღადგინა აგრეთვე კამაზი და იქ დაამხინჯა თავისი ოჯახი. უძველესე უფრო სარწმუნოა, ხსენებული ადგილი ვეძიოთ ტაიქში (ტაოში, ა. ა.), რომლის ციხესიმაგრე კალმახში 775 წ. შემდეგ თავი შეიღარეს ბაგრატიონებმა“. სომეხი ბაგრატიონები მთელს ამიერკავკასიას მოედგნენო: „გარდა სომხეთისა, ისინი დამკვიდრდნენ აგრეთვე ქართლში (ვიკქ-ში). 775 წ. ამბების შემდეგ სმბატ ბაგრატიონის ძმამ, ვასაკმა, რომელიც, როგორც ჩანს, მონაწილეობდა არქეშის ბრძოლაში, თავის შვილებთან ერთად, თავი შეაფარა ტაიქსა და „კლარქის“ ცლარქეთის, ა. ა.) მხარეებში“. აქ ტექსტისადმი დართულ შენიშვნაში ნათქვამია: „პითოზ უფინ სმბატ ბოგრატონ ბაგრატონი, 703 წ. აქანუბის ეპის დამკვიდრდა ჩრდილო ტაიქში მდებარე თუხარქის (თუხარისის, ა. ა.) ციხესიმაგრეში“.

შემდეგ საუბარი გრძელდება ისევე ვასაკისა და მისი ოჯახის შესახებ: „ვასაკის ვაჟისა და აშოტ ბრძის შვილიშვილის ადარნასეს კლარქ-ში დამკვიდრების თაობაზე გადასხვაფერებული სახით, გადაკერით აღნიშნულია აგრეთვე ქართულ საისტორიო გადმოცემაში („ქართულ მართანში“) — ადარნასე (აშოტ) ბრძის ძმისწული ადარნასე, რომლის მამა ბაგრატიონი იყო და სომხეთში მთავრობდა, მოვიდა კლარქს, ქართველთა მთავარ არჩილისაგან მიიღო სამფლობელო და იქ დამკვიდრდა (ეს ამბავი უნდა მომხდარიყო 775-786 წლებში). ი. შარკვარტისა და ნ. ადონციის თანახმად, მესტორიე ვარდანიხა და ქართული მატინის (იგულისხმება ქუანწერის თხზულება) ფაქტები ერთხა და იგივე ამბავს ეხებიან. ამასთანავე, ვარდანი ნათლად გვიმოწმებს, რომ აშოტ ბრძის ვაჟის, ვასაკისაგან შემომავლობენ ქართველთა ბაგრატიონი მრედეები. ლაპარაკობს რა აშოტ ბრძის (ეს აშოტი სომეხთა მთავარი იყო 782-748 წლებში) შესახებ, იგი წერს: „მის მყავდა ორი ვაჟი,

სმბატი — სომეხთა მეფეების წინაპარი და ვასაკი — ქართველთა მეფეების წინაპარი. რომლის ვაჟი იყო ადარნასე“.

ქართველ ბაგრატიონთა ეროვნული წარმოშობის კვლავად მეორედან კიდევ უფრო კატეგორიულადაა ნათქვამი: „ქართლში (ვიკქ-ში) მთავრობდა სომეხ ბაგრატიონთა ერთი შტო“ (გვ. 347-349). ასეთივე აზრია გატარებული ე. იუზუმაიანის ხსენებულ, რუსულად დატარებულ წიგნშიც (გვ. 125, 131).

ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმოშობის შესახებ ბევრია დაწერილი და, ბუნებრივია, ჩვენ ამჟერად ვერც სამეცნიერო ლიტერატურის მიმოვიხილავთ და საკიხისაც მთელი სისრულით ვერ განვიხილავთ, რადგან ეურნალისათვის განკუთვნილ ერთ წერილში, რომელშიც სხვა საკითხებზეცაა საუბარი, ამის გაკეთება შეუძლებელია.

როგორც განსახილველი წიგნიდან მოტანილ ერთერთ ამონაწერშიც არის აღნიშნული, ბაგრატიონთა „უძველეს სამფლობელოს“ სერში წარმოადგენდა, ამ საგვარეულოს ერთი შტო სერში VIII ს-შიც კი შეკვიდრობდა. სერის ბაგრატიონთა უძველეს სამკვიდროდ „სახელდებენ მოვსეს ზორენაცი და ფაქტოს ბუზანდიც“.

თუ რადის დამკვიდრდნენ ბაგრატიონები სერში ამ როდის წარმოქმნა ეს საგვარეულო, დაბეჭითებით ამის თქმა ჭირს. ქრისტიან დამადებამდე I ს-ში იხსენიება ვინმე ბაგდატისი ანუ ბაგდატა. როგორც ფიქრობენ, ამ ირანული სახელიდან არის წარმომდგარი სახელი ბაგრატი, ბაგრატი და ბაგრატიონთა გვარიც. მასთანავე, რაკი ეს ბაგდატა თუ ბაგდატი მონათა ბაგრატიონთა გვარის უფძემდებლად, ეს გვარი, თითქმის, ძვ. წ. I ს-ის შემდეგ წარმოქმნილა. მოვსეს ზორენაციის სათანადო ცნობების ანალიზით ირკვევა, რომ თუ უკვე ამ დროს არა, ახ. წ. I საუკუნიდან მაინც ბაგრატიონთა, თუ ამ გვარის წინაპრების სამკვიდრებელს, ძირითადად, სწორედ სერში წარმოადგენდა. ამად დროს, გარკვეული მონაცემების საფუძველზე, გამოთქმულია მოსაზრება ბაგრატიონთა საგვარეულოს ატროპატენურ-მადიფური წარმოშობის შესახებ! და ამდენად სერში, მართალია, მთი უძველესი სამფლობელოა, მაგრამ, შესაძლოა, თავდაპირვანდელი სამკვიდრო-შიც იყოს. აღსანიშნავია, რომ ატროპატენურ-მადიფურ გარემოში სახელი ბაგდატა: თუ მისი მსგავსი სახელები უცხო არ უნდა ყოფილიყო. ასე მაგ., მანას სამეფოს ჩრდილოეთით, ურმიის ტბის აღმოსავლეთით მდებარე უიშდამის ოლქის მმართველ ბაგდატის ქერ კიდვე ძვ. წ. 716 წ. აქტიური მონაწილეობა მიუღია მანას სამეფოს დამარცხებასა და მანას მეფის, აზას მოკვლევაში. სახელ აზას უჯავშორდება, აღბათ, ე. წ. არიან-ქართლის მეფის შვილის სახელი აზო ან აზონ, რომელსაც, ქართული საისტორიო ტრადიციის

მიხედვით, ქართველების უძველესი სამშობლო-დან მოსახლეობა ქართლში წამოიყვანია და ქართლის ახლადშექმნილი სამეფოს პირველი მეფეც გამხდარა.

კიდევ რომ მივიღოთ ბაგრატიდთა წინაპრების ატროპატენურ-მიდიური წარმოშობის მოსაზრება, უაქტია, რომ ისტორიულად ამ სავაზრეულოს სამეფოდებელს საუკუნეების მანძილზე, როგორც ითქვა, სპერტი წარმოადგენდა. სპერიის სახელწოდებას უკავშირდება სატომო სახელი სასპერტი. „სასპერტი“ში შესაძლებელია გამოვყოთ ცნობილი აღმოსავლურ ქართული პრეფიქსი „სა“, რომელიც ქვეყანა-ოლქების სახელწოდებათა წარმოქმნისასაც იხმარება. ამავე დროს, სასპერტი-სპერიის სახელს, შესაძლოა, უკავშირდებოდეს აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სახელწოდება — იბერია და სატომო სახელი — იბერი. ასევე აღსანიშნავია, რომ ლეჩხუმში დადასტურებულია აშკარად ეთნიკური სახელიდან მომდინარე ტოპონიმის, ნასპერის არსებობა. იგი სპერტისა და სასპერტის სახელს უკავშირდება, რაც სხვა მონაცემების გათვალისწინებისა გათვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ ამავარი რამ შემთხვევით მომხდარა. ადნიშნული გარემოებები, აგრეთვე სხვა მასალებიც ადასტურებენ, რომ სპერტი ქართულ მხარეს, ზოლო სასპერტები ქართულ ტომს წარმოადგენდნენ. უოველ შემთხვევაში, სპერტი და სასპერტის ძე. წ. II საუკუნისათვის, სანამ სომეხთა მეფე ამ მხარეს დაიპყრობდა, შვიდროდ იყვნენ დაკავშირებული ქართულ და არა სომეხურ სამუაროსთან. ასევე აღსანიშნავია, რომ პარკოპი კესარიელის დროს (VI ს.) ბაგრატიდთა, იგივე ასპეტისთა გვარის სამეფოდებელ სპერტში, თუ მის ახლო-შალო ერთ-ერთი ქართული ტომის, ჭანთა ნაკადივლც შიშინვევარაერთი მეცხერი უტკობდა კიდევ, რომ ბაგრატიდები წარმოშობით ჭანები იყვნენ.<sup>12</sup> ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ, როგორც ჩანს, ჭანური წარმოშობისაა სომხეთის ცნობილი სავაზრეულოები — მაშიონიანთა და დიმიტრიანები.<sup>14</sup> ეტყობა, ჭანები არა მარტო სავაზრეულოს სხვადასხვა მხარეში გადადიოდნენ და მკვიდრდებოდნენ, არამედ შეზობელ სომხეთშიც. ძველ დროში ჭანთა და სომეხთა შვიდრო ურთიერთობაზე ისიც შეტყველებს, რომ სომხურ ენაში არაერთი სიტყვაა შესული მეგრულ-ჭანური ენიდან.

ქართლის, იბერიის სამეფომ ახ. წ. I-II სს-ში, როგორც ჩანს, შესძლო სომეხი მეფეებთან მიერ ძე. წ. II ს-ში მიტაცებული ტაშისა და სპერტის დაბრუნება, თუმცა შემდგომში სომხეთის მეფეებმა კიდევ ერთხელ დაიპყრეს ეს მხარეები. II საუკუნისათვის სპერტელებსა და სპერტში მცხოვრები ბაგრატიდების გასომხება მოსალოდნელი არაა, სავაზრეოდ, სომხეთში კომპაქტურად მცხოვრები უცხო ტომების გა-

სომხების პარკეცი უძველეს დროს, თუ ადრე შუა საუკუნეებში მხოლოდ ქვეყნის ერთ-ერთ და ძალიან წელი შეიძლება მოქმედებდეს დაკავშირებით ნ. ადონცი ხსენებულ წიგნში აღნიშნავდა: „მდებარებდა რა ხალხთა დიდი მოძრაობის გზაყვარედინზე, იგი (სომხეთი, ა. ა.) იტოვებდა და ისრუტავდა თავის ნიადაგზე ბევრ რასობრივ მიმდინარეობასა და ტომობრივ ნადავებს. ქვეყნის პირობები ხელს არ უწყობდა ასიმილაციას; მაღალი მთაგრებილები, რომლებიც სერადენენ ქვეყანას უოველი მიმართულებით, ქმნიდნენ ხევეულების ქსელს, რომელთაგან თითოეული წარმოადგენდა ტომობრივი თავისებურებების დაცვისათვის უადრესად ხელსაყრელ ჩატელ გარემოს“ (გვ. 98). ეს დებულება განსაკუთრებით შეიძლება მივხედოთ დაფიქსირებულ იქნეს, სანამ სომხური ენა და სხვა გამოკვეთილად ეროვნულ მიმართულებას მიიღებდა და ქვეყნის ცხოვრებაში უნიშვნელოვანესი როლის შესრულებას იტვირთებდა. უფრო ადრინდელ სომხეთში, როგორც წესი, არ არსებობდნენ ისეთი ძალები, არ მოქმედებდნენ სასოვალეობის განვითარების მიგვარი ფაქტორები, რომლებიც სხვადასხვა ტომების გასომხებას, მათი თვითმყოფადობის წაშლას გამოიწვევდნენ. ასე რომ, ქართველი ბაგრატიონების წინაპრებს ერთხანს კიდევ რომ ეცხოვრათ სომეხი მეფეების მიერ საქართველოსაგან მიტაცებულ, სომხეთის სამეფოს ფარგლებში მოქცეულ სპერტში, მათი გასომხების შესაბამისად არაა უსაფუძვლო.

ბაგრატიდთა სავაზრეულოს წარმოშობის საკითხზე მსჯელობისას „სომეხი ხალხის ისტორიის“ II ტომში რატომღაც არავითარი უტრადება არ ექცევა სომეხი მემკვიდრის, სემეოსის ცნობას იმის შესახებ, რომ ბაგრატი, ბაგრატიდთა სავაზრეულოს უფუძმდებელი ფარაზიანი უოფლი. ცოტა ადრე იგივე მატრიანეში ნათქვამია, რომ ბაგრატი ფარნავაზის ძე იყო.<sup>15</sup> ამის საფუძველზე უდავოა ბედა, რომ სემეოსისეული ფარაზიანი იგივე ფარნავაზიანია. ფარნავაზიანთა ქართული დინასტია კი, როგორც ცნობილია, საუკუნეების მანძილზე უფრობდა ქართლში (იბერიაში). აღსანიშნავია, რომ ფარნავაზიანთა (V. 15) ქართლის ფარნავაზიანთა დინასტიას ფარნავაზიანთა სახელწოდებით იხსენებს. ფარნავაზიანი შუალედური ფორმას ჩანს ქართულ ფარნავაზიანსა და სემეოსისეულ ფარაზიანს შორის.

ამრავალ სემეოსის ცნობებიდან გამოდინა, რეობს, რომ ბაგრატიდთა სავაზრეულო ფარნავაზიანთა განაყოფს, ერთ შტოს წარმოადგენს. ცხადია, გადაჭრით ძნელია თქმა, მართლა ასე იყო თუ არა, მაგრამ ეს ცნობები იმის თქმის უფლებას მანიც გვაძლევს, რომ ბაგრატიდები უძველესი დროიდანვე შვიდროდ უოფილან დაკავშირებული ქართულ სამუაროსთან, ისინი ქა-



როდესაც სამეფოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ. მართალია, თვითონ სებეოსი (ანუ ბორნეცი) ბაგრატიდთა საგვარეულოს ქვე სამხუთი წარმომავლობისად მიიჩნევს, მაგრამ ეს იმის შედეგია, რომ ბაგრატიდთა სამკვიდრო სპერა საუკუნეების მანძილზე სამხუთის სახელმწიფოს ფარგლებში იყო მოქცეული. გარდა ამისა, თუ ვაინიარებთ ბაგრატიდთა წინაპრების ატროპატენურ, მიდიურ წარმომავლობას, შესაძლებელია, სპერაში დამკვიდრებამდე მათ ისეთ ოლქებშიც ეცხოვრათ, რომლებიც შემდგომში სამხეთის ნაწილად იქცნენ.

კონსტანტინე პარფიროგენეტის ცნობით, ბაგრატიონები ქართლის (იბერიის) ზღლისუფალნი გამხდრან მისი თხულების (იბერიის მართვის შესახებ) დაწერამდე (დაწერა 952 წ.) 400 თუ 500 წლით ადრე, ე. ი. V ან VI ს-ში.<sup>16</sup> მათი შთამომავალი განაგებდა ქართველთა ქვეყანას კონსტანტინე პარფიროგენეტის დროს. მემკვიდრე იმერატორის იგივე თხულებიდან ჩანს, რომ X ს-ში იბერიელ ბაგრატიონებსა და ბიზანტიის ზღლისუფალთა შორის სასაზღვრო მიწა-წყლის გამო დავა წარმოებდა. ქართველ და ბიზანტიელ ზღლისუფალთა ინტერესები ამ ხანებში ერთმანეთთან შეურთებელი უყოფლა, რამდენადაც ბიზანტიის იმპერიაში აფიქრებდათ „ქართველთა სამეფოს“ გაძლიერება, მისი საზღვრების გაზრდა-გაფართოება. ეთიორებს „ქართველთა სამეფო“ თავიანთ ვასალურ სახელმწიფოდ შიანდათ და მის მხარე პრეტენზიებს ვერ ეკუთვნოდნენ. ამვე დროს, როგორც უკვე ითქვა, ბიზანტიური დიპლომატია განვითარების უაღრესად მაღალ საფეხურზე იდგა და საქართველოსთან შვიდური ურთიერთობის ვითარებაში ბიზანტიელებს ასევე გამორკვეული ექნებოდათ, თუ დაახლოებით რამდენი წლის წინ გახდნენ ქართლის (იბერიის) ზღლისუფალნი ბაგრატიონები. კონსტანტინე პარფიროგენეტი ამასაც იუწყება, რომ იბერებს, კურაპალატის იბერები „თავისი თავის განაღდებულნი“ არიან. აქ პირველ რიგში სწორედ ქართველ ბაგრატიონთა პრეტენზიებზეა ნაგულისხმევი, რაკი მემკვიდრე იმერატორი ერთგვარ ანტიპათიასაც კი აქვდავნებს მათ მიმართ (რაც საქართველო-ბიზანტიის ინტერესთა დაპირისპირებითაა გამოწვეული). წარმოდგენილია პარფიროგენეტის დაეძვლებინა ბაგრატონთა ქართლში გაბეჭდვება.

რაც შეეხება პარფიროგენეტის მიერ აღნიშნულ 400 თუ 500 წელს, ამ მხრივ საუფრადოდებოა, რომ ბაგრატიონთა სახლის შვილი, სულენული ბიზანტიანი V ს-ის II ნახევარში საწყობის ერისთავი, ვახტანგ გორგასლის მოხელე უყოფლა, ხოლო „ქართველი ქრონოლოგიური მითითება ახლთა გუარამ კურაპალატის წიგნისათა“ (ნაწ/46-48/48) და კარგად ეთანხმება სუმიბატ დავითის ძის ცნობას ქართლში

ბაგრატიონთა მოსვლის შესახებ. ესეც კომ, ბაგრატიდთა საგვარეულოს შემადგენელი სამხუთი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი შტოები VIII-IX სს-ში კი არ შექმნილან, არამედ გაცილებით ადრე. საუქრებელია, რომ მათ ახლად მათიანთი სერთო წარმომავლობის შესახებაც და ერთმანეთთან ურთიერთობაც ქონდათ ცალკე შტოებად ჩამოყალიბების შემდეგაც.

ქართველ ბაგრატიონთა წარმოშობის თაობაზე მსჯელობისას XIII ს-ის სომეხი მემკვიდრის, ვარდანის ცნობაზე დამყარება, რა თქმა უნდა, სახეფთაა. საზოგადოდ, ვარდანი საქართველო-სომხეთის ურთიერთობის ტენდენციურად ამსახველი მეთობარეა. იგი გამჭრელებელია ამ სომეხ მემკვიდრეთა საქმისა, რომელთა წარმოდგენით კავკასიაში პირველობა ეცოვნოდათ სომხეთსა და სომხებს და არა საქართველოს. სხვანაირად, თითქოს, ისტორიის კანონზომიერება ირღვევა. რაზან XII ს-სა და XIII ს-ის პირველ მეოთხედში საქართველოს მეთაურობით მიღლი კავკასიის გაერთიანება მოხერხდა, როგორც ჩანს, ვარდანსა და მის თანამოაზრეებს ეს ამბავი ეუცხოვებოთ, არ მოსწონთ და ცდილობენ წარმოაჩინონ სომხეთა წვლილი ამ დიდ საქმეში. პირველ რიგში ვარდანმა ეს იმით „ნათლყო“, რომ ქართველი ბაგრატიონები სომხური წარმოშობისად გამოაცხადა. საკითხისადმი ვარდანის აშკარა დამოკიდებულება მხავსია XIII ს-ის მეორე სომეხი ვარდანეტის პოზიციისა. ამ უკანასკნელის განცხადებით, მესროპ-მამიკოცი თურმე არ დაქყოფილებულა ქართლში ანაზის შექმნით: ქართველებს „მესროპმევე უკრობა ვარძის ჭვარი“. აშკარა ანაკონიზმი არ აწუხებს სომეხ ვარდანეტს.<sup>19</sup> ვარდანისა არ იყოს, ისიც მიზანად ისახავს სომხეთა წვლილის წარმოჩენას საქართველოს ძლიერ სახელმწიფოს შექმნის პროცესში.

რაც შეეხება „სომეხი ზღლის ისტორიის“ II ტომში ქართველ ბაგრატიონთა თითქოს სამხური წარმოშობის საჩვენებლად მოხმობილი „ქართული მატანის“ ანუ ჭუნდურის თხულებების ცნობებს, ეს უკანასკნელი ერთობ ბუნდოვანია, ისინი ვარდანის „ისტორიაში“ დაცული სათანადო მასალებიდანაც განსხვავებულია და არც ქართველ ბაგრატიონთა სამხური წარმოშობის მტკიცების შესაძლებლობას იძლევიან. ამ ეპოქაში, როცა არაბთა სახალიფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის სამკვიდრო-სასიცილებლო ბრძოლა წარმოებდა კავკასიაში პოლიტიკურა გავლენის მოპოვების მიზნითაც, ბაგრატიდთა საგვარეულო (მისი როგორც ქართული, ასევე სომხური შტოებიც) აქტიურად ჩაება ამ შეხლა-შემოხლაში. გარკვეული მიზეზების გამო ქართველი ბაგრატიდები უმეტესად ბიზანტიის ბანაკში აღმოჩნდნენ, ხოლო სომეხი ბაგრატი-

დები — სახლიდოს ბანაკში. ამის კვალობაზე, თუ ვის მხარეს გადაიხრებოდა გამარჯვების სასწაურო, ქართველი და სომეხი მაგრატადებიც თავიანთი საზოგადოებრივი ასპარეზის გაფართოებასაც ცდილობდნენ. რაღაც ამის მსგავსი მოვლენა შეიძლება ასახული იყოს ქუანჭურის მატიანეშიც. როგორც უნდა ითქვას, ლეონტი მარკველი, გარკვეული მიზნით, საქმიანად უხვად იყენებდა სომხურ თქმულებებს, ლეგენდებს, რომლებიც მას საქართველოში მცხოვრები სომხური მოსახლეობისაგან უნდა შეესწავლა შეთვისებული. შესაძლოა, მაგრატაონთა მესახებმაც ქუანჭურის ცნობებსაც ემჩნეოდნენ სომხური თქმულებების ერთგვარი გაყვანა.

„სომეხი ხალხის ისტორიის“ II ტომში სა-

ქართველო-სომხეთის ურთიერთობების შესახებ საკითხი ტენდენციურად განსაზღვრულია. ასე, მაგ., სომხური მწერლობის ძველადანაც მოცხადებული „შუშანიის წამება“<sup>10</sup> ტაქის (ტაოს) ოლქი სომხურადაა მიჩნეული, „შუშანიანებს სომხეთადაა“ სახელდებული<sup>11</sup> და ა. შ. ამგვარად ჩვენ ამ საკითხებს ვეღარ შევხვებით, რადგან თითოეული მათგანი ვრცელი საუბრის გამართვას მოითხოვს, რის შესაძლებლობაც ამ წერილში არ არის.

ჩვენი ღრმა რწმენით, აღნიშნული ნაშრომი (უფრო მეტიც, ქართველი და სომეხი ერების საერთო საქმე) უფროდ მოიკვებდა, მასში საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხები ტენდენციურად რომ არ იყოს განხილული.

განმარტებული ლიტერატურა:

1. სომეხი ხალხის ისტორია, ტ. II, ერევანი, 1984, გვ. 153.
2. ა. აბდლაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, თბ., 1988.
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 76.
4. Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, გვ. 360—61
5. К. Н. Юзбашян, Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX—XI вв., М., 1988, გვ. 103—4.
6. გაბ. „ლტერატურული საქართველო“, 19. 11. 1988 წ.
7. ლეონტი ისტორია, პეტერბურგი, 1887, გვ. 138.
8. ა. ოსკანიანი, სომხეთის ზეგანი, ერევანი, 1976, გვ. 5.
9. ლ. მარტაშვილი, კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია, III, თბ., 1986.
10. ზორენაცი, II, 3, 7, 37, 63; ბუზანდი, V, 44.
11. А. Г. Перихания, Арамейская надпись

12. Зангезура, „ისტორიულ-ფილოლოგიური ტურნალი“, ერევანი, 1965, № 4, გვ. 110.
12. თ. მიქელაძე, ძიებანი... თბ., 1974, გვ. 13.
13. სუმბატ — ღვთისის ძის ქრონიკა, თბ., 1949, გვ. 39-42.
14. მოვსეს ზორენაცი, სომხეთის ისტორია, თბ., 1984, გვ. 165, 272, 278.
15. სებეოსი, ისტორია, ერევანი, 1979, გვ. 51, 54.
16. გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 259-60.
17. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 156, 185, 189.
18. გ. აბრამიშვილი, სტეფანოს მამფალს... თბ., 1977, გვ. 47.
19. ეპისტოლეთა წიგნი, თბ., 1968, გვ. 047.
20. სომეხი ხალხის ისტორია, II, გვ. 198, 464; ნ. ჯანაშია, „შუშანიის წამება“; ს. არველაძე, „მნათობი“, 1987, № 12.
21. სომეხი ხალხის ისტორია, II, გვ. 78, 112, 141, 267 და სხვ., მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები; С. Джанашиа, об одном примере искажения исторической правды, Тб., 1947.



დონალდ რიფილდი

## დენდრონიმები და კავკასიურ ენათა ურთიერთობა

ქართული მკითხველი კარგად იცნობს ინგლისელ ქართველოგს, ლიტერატურათმცოდნესა და მთარგმნელს დონალდ რიფილდს. მას ინგლისსა და საქართველოში გამოქვეყნებული აქვს ვაჟას, ვალაკიონის, ტიციან ტაბიძის ლექსების, ქართული პოეტური ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშების თარგმანები (სულ ალბან მივიღეთ მისეული თარგმანი ილიას პოემისა „მეფე დიმიტრი თავდადებული“), აგრეთვე გამოკვლევები ქართული ფოლკლორის, ლიტერატურისა და ენათმეცნიერების საკითხებზე.

ინგლისელი ქართველოლოგი, ამასთანავე, ბუნებია თავგამოდებული ჯომაგისა. სხვადასხვა დროს უმუშავია ბუნების დაცვის სხვადასხვა კომიტეტში, აქვს პატარა კერძო ზოოპარკი და ბოტანიკური ბაღი (კავკასიური ფლორითრთ) ლონდონის გარეუბანში.

ზე — მცენარეთა სახელები ანუ დენდრონიმები, რომელთაც უძღვნის თავის გამოკვლევას დ. რიფილდი, ის სფეროა, რომელშიც პარმონიელადაა შერწყმული პოეტის, მეცნიერისა და ეკოლოგის ფიქრები, განცდები და მიზნები.

გამოკვლევა დაწერილია ქართულად.

### პირველი ნიშნავის სსრკს

შენ რას მიაჩნდები, ვერხვი ახალი?  
ანა კალანდიაძე

დღევანდელი ენათმეცნიერებისა და კავკასიოლოგიის მიღწევათა მიუხედავად, სამი კითხვა გვრჩება უპასუხოდ:

1. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ კავკასიური ენები — როგორც ერთი განხეთქილი ოჯახი თუ ობოლთა თავშესაფარი ძველი ანატოლიიდან გადახვეწილი ენებისათვის?

2. რას გვიჩვენებს ქართველური და ინდოევროპული ენების სხვადასხვა ლექსიკური თუ მორფოლოგიური დამოხვევა: ნათესაობას, თანაცხოვრებას თუ ადამიანთა აზროვნების ერთიანობას?

3. ბასკურ და ჩრდილოკავკასიურ ან ქართველურ ენათა კავშირს ეჭვის თვალით უნდა შევხედეთ. როგორც ენათმეცნიერის შეურაცხადობის პირველ ნიშანს, თუ როგორც მდიდარ წყაროს ტოპოლოგიისათვის?

პასუხები კი არა, მტკიცება ვჭირდება. არც ჩრდილოკავკასიური, არც ქართველური და არც ბასკური ენებისათვის არ არსებობს საკმაოდ დამარწმუნებელი სახუთები. ენათმეცნიერს სჭირდება არა მარტო სიზუსტე, არამედ სიფრთხილეც და, პირველ ყოვლისა, იგი უნდა შეურიგდეს უარყოფით დასკვნებს დადებით მიპო-



თესაზე. თითოეული უნა ცალ-ცალკე უნდა მოხმას, რათა მოქმედებს ასპარეზი მუტისმეტად არ გაუფართოვდეს.

ინდოევროპული ენების ისტორიის აღდგენისას დენდროლოგია და დენდრონიმები ისე დამუშავეს, როგორც კარგად მოხმული და ნაყოფიერი უნა. ის, რაც ფრიდრიხმა და გამურელიძემ გააკეთეს ინდოევროპულ ენათა ურთიერთობისათვის, როცა შეადარეს ზეების სახელები, უნდა გავაყოთთ კავასიოლოგიისათვისაც ზეების სახეობები ძალიან ჰგავნან ერთმანეთს პარენეზში, კავასიასა და ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე. და მაინც, სამწუხაროდ, მასალის სიტყვიერი რეალიზაციის წესები იმდენად შორდება ერთმანეთს უკველ ენობრივ წყურფში, რომ შთი დენდრონიმების სტრუქტურა აუცილებლად ცალ-ცალკე უნდა დავახასიათოთ. საქმე ისაა, რომ ზოგ ენაში დენდრონიმები პირველადი ჩანს, ზოგში კი — მეორეულია. მაგრამ ვასათყლისწინებელია ის ვასაოცარი ფაქტი, რომ გამოიწვევებს ხანდახან გასულ საუკუნეებში ზეების განაწილება და ამიტომ დენდრონიმების სახეობა უცვლელად დარჩა. ზეის საუკუნეში ადამიანის დამანგრეველმა უფურცლებმა უკვე მოსთა ბევრი სახეობა და მომავალში სათანადო დენდრონიმიც გაქრება. მაგალითად, ჩინეთში 1870 წლისათვის ურბული (*Taxus baccata*) ერთიანად გაჩეხეს; დღეს სიტყვა ხაზას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ინგლისში დაიღუპა უკანასკნელი თელა (*Ulmus procera*): ენის ზვალისდელმა მატარებლებმა არ იციან, რას წარმოადგენს ეს სიტყვა. გენერალ ერთმოლოვის წყალობით დაღესტნის დენდროლოგია განსაკუთრებით ვალარობდა — იმდენად, რომ ზალხურ მესხიერებს წიფლისთვისაც კი არ შემოუწინავეს სიტყვა.

ქართული ენის გამმარტებითი ლექსიკონი და შავაშვილის ბოტანიკური ლექსიკონი დენდრონიმებზე სავაოდ სრულ წარმოდგენას იძლევა. უკველ შემოხვევაში, საქართველოს მდებარეობას აზიისა და ევროპის შეხაურზე, შავსა და კასიას ზღვებს შორის, უნდა გავზარდა არა მარტო ლექსიმების რიცხვი, არამედ თვით სახეობათა რაოდენობაც. უნდა შევიწროოთ, რომ ლექსიმების სიმდიდრის მიუხედავად, მარტივი უბოლოსართო სახელები შედარებით ცოტაა, დაკუნთ, რომ უსუფიქსო დენდრონიმი, როგორც ჩანს, უნათესავდება სხვა, მეზობელი ენის ტერმინს, მაგალითად, მთელ ბერძნულ *ptelea*-ს, მშშ (*Quercus*) რთულურ *māxw*-ს, ბრშ (*Betula*) სხვადასხვა დაღესტნურ დენდრონიმს და, — თუ გვიჩვენია აუხსნელი ეტომოლოგია, — ბასურ *urki*-ს, ბზ (*Buxus*), აღმათ, ბასურა და ბერძნული *expel*-ისა და *puxos*-ის სახეობის წყაროს. უმნიშვნელოვანესი დენდრონიმებისათვის ქართულში დამახასიათებელია ლასიანი ფუძეები. კერძოდ, გვაქვს რსნილ (*ჭარბისმულა*), რთმულა, წაბლი (*Carpinus*, *Alnus*, *Castanea*). ლასიანი დენდრონიმების მეორე წყურს — (ი)ლენის მხარედ გამოარტეს მისი ნაყოფიანობა: წიფლი მთაშილი, კანელი (*Fagus*, *Sorbus terminalis*, *Crataegus*), ანდა ზღმარტილი, ბწული (*Mespilus*, *Sambucus*). ისევე, როგორც მრავალ ენაში (ფრანგულსა და ბასურში), ხის სახელი მეორეულია და ნაყოფის სახელწოდებისგან წარმოიშობა.

ლასიანი ბოლოსართო მოგვეპოვება აგრეთვე ინდოევროპულ, განსაკუთრებით, ლათინურ დენდრონიმებში: მაგალითად, *Betula*, *Populus* (არევი, ალიის ზე) და ეს დამოხვევა უნდა განვიხილოთ, თუ ვალიარებთ დენდრონიმების ნათესაობას სხვადასხვა ენობრივ ოჯახს შორის. უნდა ვთქვათ, რომ in-იანი და ix-იანი დენდრონიმება კიდევ უფრო დამახასიათებელია ლათინურისათვის (*Carpinus*, *Fraxinus*; *Larix*, *Salix* — რუბილა, იფანი; ლარჩიხი, ტარჩიფი). ქართული დენდრონიმების სხვა მარტოა ბოლოსართობია: -ში, -ბნი, -ნი და -ნი. მინიან სახელებს იძლევა ეგრისის ბუჩქნა და ნაყოფიანი ხეები: მონაში, მარწაში, კანაში, ლელაში, შოთხში. მაგრამ ამავე წყურში შედის სულ სხვა სახეობებიც — უმოფრესად ცანაში, მარწაში, ნაბაში და შიბაში (*Tilia*, *Populus tremula*, *Picea*, *Pinus*). -ბნი სუფიქსი ჩვენს ურადღებას მიაპერობს სარბულ ან თურქულ ენას, მაგრამ იშენის, მარწაისა და ლაშენის (*Fraxinus*, *Alnus*, *Pterocarya*) ეტომოლოგია კვლავაც გაურკვეველი რჩება.

იმის სახეობად, რომ ბოლოსართები, როგორცაა .ლი, ქართულ დენდრონიმებს მიძლეობენთან ამსავსებს, გამოდგება სვანური ტერმინები, რომლებიც გვამლეს მარტივ ფუძეებს: მაგალითად, სვანური იცხ შეიძლება წარმოშობილო მსხლის უფიქსო ფორმისგან, ისევე როგორც წიფ და იცხ — წიფლისა და იცხისებან. ნაყოფის მომცემ ზეს აქტიურობა ეტუობა ქართულში.

დენდრონიმები, რომლებსაც აქვს ბოლოსართი -ნი, ამოგაცნობინებს კიდევ სხვა კავარს ინდოევროპულთან. ქართულ ბნი, სნი და ლნი (*Cydonia*, *Juniper*, *Juniper*) ემპარება ლათინურ *Picea*-ს (ნაძე), ბერძნულ *itea*-ს, *ptelea*-ს (მანუელი, თელა) და ჩერქველური დენდრონიმების მთა ბოლოსართის, სვანური დენდრონიმები კი ითბოვს სვეტურად მოკვეპრათ ზედამირულ მსგავსებას. მათ ახასიათებს სულ სხვა ბოლოსართობი ან მარტოევი, უსუფიქსო ფუძეები, და ამიტომ ქართული სუფიქსები არ უნდა უფიქსო არც ქართულური და არც საერთოკავასიური. ბოლოს, უნდა შევიწყოთ, რომ ძალიან ბევრი სამურნალო და სპარტებლო მცენარე ვაჭურვება მ-ფრანთა წყურს: ძარ-ძურები მწიფი, ბნი, ცნი, სპარსნი, საღებავები მთმთბო, მწდ-რო, კანილო. ეს მოვლენა ირმარება ხან-



ტერმონ: ივარაუდება, რომ ბევრი მონაწილე ტერმინი მოგვიანდება ინდოევროპულ თუ საერთო წყაროზე; ზენ ზუსტად ვიცით, რომ ადრინდელმა ბერძნულმა გააღწიეს ქართულს ძალზე მდიდარი ბოტანიკური მასალა შესახებ, და ეს ეხება ისეთ სამეურნელო და კულტურულ მცენარეებს, როგორცაა: ძმდარი, ძმინ-პარკონი, ალვის ხე (aloe); უსპანი, პიტხა (ussopos, minthe — ზეანური მინტი). მეტი-ხადისა და ხაჭაჭველუბო მცენარე შიმშირი განსაკუთრებით საინტერესოა, ვინაიდან მოგვაგონებს არა ბერძნულს ინდოევროპულ სიტყვას (ixos), არამედ არაბულ კლასს (ufar).

თუ გამოვრიცხავთ ყველა დენდრონიმს, რომელიც, ალბათ, ნახსენებია, რაზე უნდა შევაჩეროთ ყურადღება? განვიხილოთ დენდრონიმი ბრძნი, რომელიც, როგორც ჩანს, წარმოადგენდა არა მარტო Betula-ს, არამედ ხის ზოგად სახელწოდებასაც; ქართულს ევროპულ ენებთან აკავშირებს დენდრონიმი რსცხილ (ფრაუნ-რად ძმრცხილ; სულხან-საბას მიხედვით — ძმრცხილ). რუსული грабли, ლათინური carpinus ვეჩენებს თანამოვწების იმავე წყობას; ხაჭურში ისეხა ლათინურიდან karpe, რაც აღსტურებს პალეოდენდროლოგის მონაცემებს, რაკ რცხილა შედარებით გვიანისტორიამდელ პერიოდში გავრცელდა აღმოსავლეთიდან პირენეზისაკენ, — შეხამლოა, ინდოევროპულ ენათა მატარებლებთან ერთად. ამდენად, თავისებური შემთხვევა უნდა ვაქონდეს მცენარის სახელწოდებაში შაპარკი — papaver; რედუბლიკაცია და მ/მ შეფარდება ვანა უმნიშვნელოა?

რედუბლიკაცია კი საერთოდ ახასიათებს ისეთ ქართულ დენდრონიმებს, რომლებსაც შეიძლება მკონდეს დაღესტურაი კავშირები მათ შორის მოვსხენიოთ ზახუნა, ძმძმინი (Crataegus, Paliurus spina-Christi) და ანდიური ზახ (Crataegus), ჩანტრა ძახ (Paliurus). დაღესტურებულა დენდრონიმების ვადმოცავლება დაღესტნიდან საქართველოსკენ: შშხამ (შდრ. რუთულური მახ) უკვე გამოაქვეა ქართველური ფუძე (მეტრული მშმინი); ქართველურ წმშხ (ქართულ წმშხლ) ვერ დავაშორებთ წიფლის სამშხლოს — დაღესტანს; მაგალითად, კარტაბული Tjitjeb (გირჩა) უკავშირდება ქართულ წმშხლოს (წიფლის ნაყოფს).

დაღესტანში, სამწუხაროდ, დენდრონიმები ძალზე შეიცვალა; თვითონ ზინს სახელწოდება უღრის ბრძინს, მაცხვინს, თილრის, რსხილრის ან მინსხვინსა; ძირი "ma-x" აღნიშნავს ხუნძურში „ახუს“, ლეურში „ნაქს“, რუთულურში „შხხა“, ჩანტრაში „ვერხხ“. და თუშცა ხნიერ დაღესტნელებს მესხიერება არ დაუბრბს, უკვე ვეღარ დაიხსნიან წარსულის წყვედიადიდან დაღუპული ზეების სახელწოდებებს.

ნახური ენების მასალა ხაჭაოდ სრულად აქვს შეკრებილი და განხილული აღიროვეს, მაგრამ ეს მასალა გვისძობს ყოველგვარ სტრუქტურულ დენდრონიმებს ჩრდილოეთ კავკასიის დავუკავშიროთ, რასაკვირველია, ვიპოვოთ ნახსენებ დენდრონიმებს: ჩანტრა liega, მუგ (Acer platanoides, Ulmus scabra) იძლევა ქართულ „ლეკის ხეს“, „თელამუშს“ — რა თქმა უნდა, ეს სახეობები ხარობს ჩანტრა-ქართულის ხაზღვარზე. ზოგი დენდრონიმი, განსაკუთრებით, კულტურული, ალბათ, საერთოა; თითქმის მიედ ევროპასა და აზიაში ზღმარტლის სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს ერთი წყაროდან, რომელსაც ლათინური Mespilus, ჩანტრა hãmც ავლენს. თუ ჩანტრა Iaz ქართული შაშხლისა და შაშხლის მონათესავეა, მან უნდა მოგვეცეს ისეთი ფარდობანი, როგორცაა ditt, ball — თითბ, ალშხაბი, ილონდ უფხარი ძველი ნიშუში. კავკასიაში ნახური ენების იმით გამოირჩევა, რომ ძალიან ბევრია ორგონალური ერთმარცვლიანი დენდრონიმები: dagi, dak, dakh, dzex, yez, qaxk, max, ma', muგ, naz, pop, pxa (თელა, ოფი, არუი, ღვია, ნაძვი, ნეკრჩხალი, ვერხვი, შტრუანი, თელამუში, შუხა, წიფელი, რცხილა) — აქ არც აფხაზურ-ჩეჩენურად, არც ქართველურ ენებთან კავშირი არ ჩანს; რაც შეეხება ხაჭურ ენას, ერთადერთი დამოხვევა აღმოჩნდება: ჩანტრა და ხაჭური მსგავს სახელს არქმევენ ნაქს: yez, izei.

ამდენად მაცდუნებულ გავლენას ახდენს ასეთი ვარაუდი დამოუკიდებელ შვედურად, მაშინ გავიგე, როცა პირველად ვნახე ჩანტრა komar-ის ორმაგი განმარტება; თუთა და ლედვი. ასეთი ორმაგი მნიშვნელობა აღმოჩნდება მხოლოდ ბერძნულ sukomoron-ს (ლედი-თუთა), და ამოვად ვფიქრობდი ამ საკითხზე (სამწუხაროდ, ბექდურად), ხანამ არ გავიგე, რომ komar ძალღუფრება, მუხვლისა და კიდევ სხვა კენარის ძირითადი და არა უცხოური სახელწოდება უნდა იყოს. შეგვიძლია მხოლოდ მივიჩნიოთ, რომ კლასის გამოყოფა ჩანტრაში — ტყის ხეებში მ.დ კლასისა და ნაყოფიან ხეებში მ.დ კლასისა — ეხმარება ქართულს, სადაც ნაყოფიან ხეებს ახასიათებს მიმღობის მორფოლოგია და ამიტომ, ასე ვთქვათ, აქტიურებაც.

იმედს გავიცირებებს აფხაზურ-ჩეჩენურულ მასალა. თანამოვწების სიჭრელის გამო თუ მის მიუხედავად, ჩრდილო-დასავლურ კავკასიურ ენათა ძირის სტრუქტურა ისეთი ღარიბია, რომ ომონიმები შრავლადაა, და იშვიათად თუ გვეძლევა საშუალება დენდრონიმის ძირითადი წარ-



მოსობა ვარკეთილ. გულად ეტიმოლოგებს არ აზნებთ არსებულ წახვლა ამ ზღაპრულ ტყეებში. და ამიტომ ბევრი აღდგენილი ხეობით ფორმა ვერ დაკავავენებს კესმარტიო წყაროსკენ მიმავალ გზაზე. ვანა დახაქრებულა, რომ ყაზარდოული *bxyxw* (Tilia — ცაცხვი) ამ უბიხური *bzys* (Salix — წნორი) უნდა მომდინარეობდნენ წყლისა და სინათლის სახელწოდებათაგან? საბოლოოდ, ვაუანალოზებულ ფუძეებს ცრტხის ვხედავთ. მაგალითებად ვამოყფინით ყაზარდოული *ixwey*, *psey*, *k'ey*, *bjei* (Fagus, Abies, Fraxinus, Platanus — წიფელი, სოჭი, იფანი, კადარი). შეიძლება ბოლოსართი *-ey* იმხაზურებდეს ჩვენს ყურადღებას, მაგრამ დიდი ვაბედულება იქნებოდა სხვა ენობრივ ოქსთან მისი კავშირის დამტკიცება.

\* \* \*  
 8

ხეთა რიგს, ხეთა ქარს რკადად ხრის...  
 ვალაქტორი

დენდრონიმები კავკასიური ერთობის ვარაუდს დიდად ვერ აზოღუდება მხარში. მაგრამ იბერიული ჰაიოთეზის დამკველმა ქადოსწერად უნდა განმარტოს ბასკური ენის მონაცემები, თუ არ უნდა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდეს. ანგარიში უნდა ვაფუწვიოთ იმას, რომ: 1. ანდოევროპული ენების მატარებელთა ჩამოსვლიმდე ბასკეთში, ალბათ, ხარობდა მხოლოდ ცივი ხარტვლის ფღირა: წიფლას, რცხილისა და ურთხლის აღწიშვნელი დენდრონიმები იტალიურკელტურ ენებს შემოაქვთ (pagus < Fagus, karpe < Carpinus, hagin < "iwos); 2. ბასკური დენდრონიმები უმეტესად მეორეულია; 3. დანარჩენ ძირითად დენდრონიმებს ჩერქეზობით არავითარი გარეშე. უცხო წარმომავლობა არ უჩანს.

საქმე ისაა, რომ ბასკურ ლექსიკას ათვისებისა და მეტე დამახინჯების ეხოდენ დიდი უნარი არა აქვს. სხვადასხვა რომანული ენის არგუმენტების მიღუდავად, ვერ ვიტყვით, მაგალითად, თუ როგორ უნდა წარმოქმნილიყო *lixar* (იფანი) ლათინური *fraxinus*-იდან: ბასკურ კოლოებს საჭირო მასალა აკლია, ამდენად, ოღონად უნდა წავიდეთ დიქციონერული თვალსაზრისის გარეშე.

ძირი (*zu(r)*) ხე) გვაძლევს ბევრ დენდრონიმს: *zumar*, *zurzuri*, *zume*, *zuhaitz* (თელა, ვერხვი, მანუელი, ხე [ხეობით]); ამდენად ხშირად გვხვდება ფუძე *gar* (< "akerno, ე. ი. ანდოევროპულიდან?); *astigar*, *horrikar*, *garetxu*, *gaukar*, *eikar* (ლეკის ხე, ვერხვი, წყავმაზა [Phillyrea], ძახვეული ნეგარჩხალი). მეორეული დენდრონიმები მომდინარეობს წყაროების სახელწოდებათაგან *-etze*, *-oido* ბოლოსართე-

ბის საშუალებით: ასევეა *marugatze*, *hikoido* — თუთის, ლუღის ხეები. ვინაიდან *hikoido* წინაგანი კავშირის საფუძვლიანი განხილვა აუცილებელია, თუ არ გვიწინა უაზრო დასკვნები მივიღოთ, მაგალითად, *mihura* „ფიორი“ შეიძლება დაფუძვნილია წინარეგებნულ *ufear*-ს ანდა ქართულს, ხანამ არ გადაწყვეტოთ, ამ ეტიმოლოგიაში მონაწილეობას იღებს თუ არა ესპანური *mueardago*, ლათინური *viscum* (v > m ხშირად ხდება ლათინურიდან ბასკურში), ან ბასკური წინა *mihur* (tu) „წაბლის გათლა“.

ბასკურის თანხმონათა სისტემა უაღრესად ვადარობდა და ამავე დროს იმდენად მერყეობს, რომ შედარება კავკასიური ენების თანხმონათა მდიდარ სისტემასთან ხსნის ბევრ შესაძლებლობას, მაგრამ გამოირკვებას ყოველგვარ უწყველობას. *ler* (ფიქვი) და ლათინური *larix* მონათსავეა თუ არა, ან რამდენად ეს დღევანდელმა ენათმეცნიერმა არ იცის, ამ საუკუნის დასაწყისიდან მოკიდებული, არც მასალა და არც მეთოდოლოგია არ ვადახალისებულა. ისევე, როგორც დადესტანში, ჩრდილოეთ აფრიკაზე კლიმატი და ფლორა ვამეჩჩრდა და შესაბამებელი ადარაფორი დაგეჩჩება. ყოველ შემთხვევაში, ისეთი დაახლოება, როგორცაა ბასკური *intsusa*-ისა და ქართული *ბნწწწ*ის შედარება, დიდ ვაბედულებად უნდა ჩავთვალოთ, რაკი ჩერქეზობით არც კავკასიური ენების ნათესაობა და არც პროტობასკურის ფონოლოგია ბოლომდე დამარწმუნებლად არ აღწერილა.

ბასკური მასალა ვკითკვებს სამ შემარტოებულ დენდრონიმს: *urki*, *izei*, *ezpel* (არკი, ნაძვი, ბზა) ჩვეულებრივ, *urki*-ს განმარტავენ, როგორც ვერმანულიდან ნასხმებუ სიტყვას ინდოევროპული „*bHergH*“-იდან. ცხადია, ბასკურში ბ-ის დაკარგვა მოხლოდნულია, მაგრამ ხმოვნის შეცვლა და ცივი ხარტვლის დენდრონიმის შეთვისება მოულოდნელია, თუ მოვიფიქრობთ ბუნების დერძს, მას, ალბათ, მივხმებოდა *urki* (არკი) და ლუწვიორი დენდრონიმი *verh* (არკი): მათს სრულად დაფუძვნილ ძველ და ახალ ინდოევროპეანტებს; ეტიმოლოგია „*bHergH* < „ბრწწწწწწ“ (თუთარი ქერქიდან) დანიგტოდა თუ შევთანხმდებით, რომ ჩაჩუჩი *yez* და ბასკური *izei* (ნაძვი) წმინდა დამოხვევაა, შეგვიძლია მშვიდად დავიძინოთ მაგარამ დერძი *პზა* — *ezpel* — *buxus* — *puxos* მოიხიზვს ამა თუ იმ ნასხმობის თეორიას, თუ ვვინდა შედარებითი დენდრონიმის ტვიდან უწყებლად გამოვიდეთ სინათლეზე. გენტიკურია პასუხი, ალბათ, მიუწვდომელია, დამოღებულ ენის თვითშეგნებისათვის დედინაცვლის ხასიათის ვაცნობა სჭიობა დაკარგული მშობლებებისა.

## დასოფნობაზე ლიტერატურა



საქართველოს  
ბოტანიკური საზოგადოება

1. Friedrich P., Proto-Indo-European Tress, Chicago, 1970;
- Гамкрелиძე Т. В., Иванов В. В., Индо-европейский язык и индоевропейцы. Тбилиси, 1984, 612—664.
2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1—VIII, თბილისი, 1950—1964; 2. მუყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1949.
3. Хайдаков А., Сравнительно-сопоставительный словарь дагестанских языков, Москва, 1975.
4. Алироев И. Ю., Флора Чечено-Ингушетии в Вайнахских языках, Грозный, 1970.
5. Rayfield D., Georgian Dendronyms, Bedi Kartlisa, Paris, 1984, № 41, გვ. 248—252.
6. Шагиров А. К., Этимологический словарь адыгских языков, Москва, 1977.
7. Azpiszu G. L., Maiza J. G., Biologia landare eta animalien izenak, Donostia, 1984.

## „ქართალგურილობა ჭეშმარიტისმეტყვე- ლება არს და არა თუალახმა ვისიმა“

ეს მრავალსმეტყველი დებულება არა მარტო ბრძნული დამოძღვრებაა, არა მარტო პროფესიონალური პრინციპია, არამედ იგი უპირველესად აზროვნების სტილია, მსოფლმხედველობრივი პოზიციია.

ქართული პროზის ისტორია კვლევის დიდ სფეროს წიიცავს. ბელეტრისტული იქნება ის თუ შპეტერშეტყველური, მემოარლური თუ საისტორიო, უველა მათგანი ჩვენი სულიერი კულტურის გამოვლენის სფეროა. ღრმა აზროვნებისა და პრობლემათა მანშტაბურობით, გამოხატვითი ოსტატობითა და ნაირსახოვნებით, ენის სინატიფითა და სახოვნებით ქართული პროზა ღირსეულ ადგილს იმკვიდრებს ცვალიზაციის ისტორიაში, თავის დროზე ანდრეი ბელოვსკის მანშტაბულოდ შენიშნავდა, რომ პროზა პოეტის უველაზე რთული სახეაო, მართლაც, ამ რთული სახეობის ერთერთი შედეგია ეამთაღმწერლის „ასწლოვანი მატიაწე“.

ქართულ მდიდარ საისტორიო მწერლობაში ერთერთი გამოჩნეული თხზულებაა ეამთაღმწერლის სახელით შემონახული მატიაწე, ამ თხზულების დასათაურება ერთგვარ კორექცივს მოითხოვს, რაც კარგად აქვს შენიშნული ამ ჭეშმალის გამომცემელს პროფ. რ. კეკელიძეს (ეამთაღმწერელი, „ასწლოვანი მატიაწე“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლება, შენიშვნები და ბეზსკონი დაურთო რევაზ კეკელიძემ, 1987 წ., გვ. 11).

სამწუხაროდ, ამ თხზულების ავტორის ვინაობა ჭერჭერობით დაუდგენელია და მისი სახელი ზოგადი და უცვლისმომცველი ეპითეტით — „ეამთაღმწერლის“ სახით დამკვიდრდა ჩვენში და ეს, საერთოდ, მემატიაწის აღმნიშვნელი ზოგადი სახელი იმდენად შეეხისბლბორცა კონკრეტულ ძეგლს — „ასწლოვანი მატიაწეს“, რომ შეამონაწელობამ ის საკეთარ სახელად გაიარა

და დღეს „ეამთაღმწერელი“, საერთოდ მემატიაწის კი არ ნიშნავს, არამედ იგი უეავშირდება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში მონალოთა მატიაწის ამსახველ ქრონიკას.

იგი ქართული საისტორიო პროზის განძთა განძია, საერთოდ „ქართლის ცხოვრება“ მეორე ვეფხისტყაოსანია ჩვენი სულიერი შემოქმედების სამეფოში, რადგან იგი ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსანი“ არა მარტო სიტყვააშულო ხელოვნების ნიმუშია, არა მარტო ჩვენი ისტორიის მათწეხები მატიაწეა, არამედ იგი უპირველესად ქართველი კაცის ხასიათის, მისი ბუნების, ფიქრისა და მისწრაფებების, მისი ტავილებისა და სიხარულის, მისი განცდებისა და იმედების მათწეხები დიდი ეპოური ტილოა, სწორედ დიდ ეპოსად აქვს გააზრებული გრიგოლ რომაქიძეს „ქართლის ცხოვრება: „რა არის მათ „ქართლის ცხოვრება“. მე ელაპარაკობ სერიოზულად და ჩემი თქმა არ არის „ფრაზა“. მთელს ქვეყანაზე ძვირად მოიპოვება სადაჩი „ქართლის ცხოვრებისა“. ეს არის არა მარტო „ისტორია“, არამედ ნამდვილი „ეპოსი“ ( დიდი ეპოსი დიდი ხალხის). და იშვიათია ისეთი პოემა (არა მარტო ჩვენში), რომელსაც შეეძლოს დაუპირისპირდეს ამ მხრივ „ქართლის ცხოვრებას“. აქ უოველი სიტყვა თითქოს მითოლოგიური ტავიტის მიერ არის დაწერილი. და თავი და თავი: სიტყვასა და სიტყვას შუა დარჩენილია ფოქმელი, რომელსაც სიტყვა არ სჭირდება და რომელსაც ისუნაქე მხოლოდ. აქ არის „სურნელი“ გაღაბულ ხანების — (ნამდვილი ნიშანი გენიის) როგორც მერძნებს „ოლიადაში“ და როგორც ბაბილონებს „გოლგამეში“ გეკითხები მე თქვენ: ნუთუ „ქართლის ცხოვრების“ ანალები გენიის ცეცხლის ნატხები არ არიან?

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა „ქართლის ცხოვრ-



მა" დიდია როგორც „ეპოსი“, მაგრამ უფრო საოცარია იგი როგორც „სტიქია“.

სწორედ ეპოსის ასპექტში აქვს გააზრებული იყენი მატრიანე თანამედროვე მწერალს ვ. ჭეიძელს.

ადრეულ საუკუნეებში მწიგნობრობა ღვთის-მსახურების დონეზე იყო გააზრებული. მწიგნობრობის მიმართ კი ისეთივე მოყვარულობითა და სასიყვარულო იყვნენ განსჯადული. როგორც წმინდასახსნად. ამ განწყობის იწვევდა არა მარტო ის, რომ მწიგნობრობა მხოლოდ გამოჩენილთა მესვერი იყო და ვეღავს როდეს ზღაღღაღებოდა პაპის ჩაღრმავება, არამედ ამასთანავე მწიგნობრობისა და უფრო მწიგნობრობისადმი ასეთი განწყობა, უპირველეს ყოვლისა, ამით იყო განპირობებული, რომ თვით მწიგნობრობაში იყო ჩაქსოვილი სიმშინდე. სიმატლედ და სულის საღებო. საყოველთაო ტკივილებისა და ასევე საყოველთაო იდეალების გამოკლებას ზედავდა მკითხველი თუ მსმენელი. ახსოვდებოდა გამოჩენილი იყო სიუალებ და თვალმშაყვობის მიზნით მკითხველის შეცდომაში შეყვანის სურვილი. მთავარი და არსებითი იყო სათქმელი და არა მოქმედი, ამიტომაცაა რომ მთელი რიგი მატრიანების ავტორები დღესაც უყვანია ჩვენთვის. უყვანია არა მარტო ეპოსისათვისაგან გამოწვეული მრავალი ზღაღღაღების, განსაკუთრებით თაღურტყვისა და ბოლო გვერდების მოსალოდნელი. არამედ იმიტომ, რომ თვით მშობიანებები ვერ ზედავდნენ თუ არ მიიხრევიდნენ საჭიროდ მკითხველისათვის თავიანთი თავის მოხვევას. პიროვნებისაგან თქმული თითქოს კონტრეტული და რეალური ფუნქცია ჰქონდა, ბოლო ამომიწერებაში იაზრებოდა ზებუნებრივი, ღვთაებრივი შთაგონებით ნათქვამი დიდი ქუშმარტებისა და სწორედ ამ ქუშმარტების ფასეულობა იყო არსებითი. იგი საყოველთაო და აბსოლუტურ მანათიის ღებულობა. აღბნთ ამით ამითაცაა, რომ „ასწლოვანი მატრიანის“ ავტორის სახელი ვერ შემოგვევანება და მას ვიხსენიებთ მხოლოდ ზოგადი, საყოველთაო ზედწოდებით „ეპოსადმწერელი“.

„ასწლოვანი მატრიანე“ „ქართლის ცხოვრების“ უბრალოდ აღესს მონაკვეთია და მოკმეული უმძიმესი ეპოსის ლიტერატურული და ისტორიული აზროვნების მაღალი დონის დადასტურებაა. მართალია, ამ დროს ქვეყანაში, კოლიტიკურ-ეკონომიკური დაცემის შესაბამისად, მწიგნობრობისათვის მძიმე ატმოსფერო შეიქმნა, მაგრამ ვითარებები არის სწორედ ის ნათელი ნიშანსვეტი, რომელიც გვარწმუნებს ქართული ეპოსის შემოქმედებითი პოტენციის დაუწყობებლობაში, რომ თვით უკიდურეს სიღრმეშიც დიდი შემოქმედებითი ენერჯიის დაოკება შეუძლებელია და იქმნება ისეთი ბრწყინვალე ისტორიულ-ლიტერატურული შედეგები, როგორც „ასწლოვანი მატრიანე“. ამჟამად იგა-

მინება, რომ რუსთაველის ეპოსის მკვლელობა დი კულტურა თავის გამოხატულებაში მხოლოდ მატრიანის ზღაღღაღებში შემოიკვეთა. უმთავრესად იგაგონება ისტორიულ- ზღაღღაღებში ზღაღღაღებისა და არსებობის შეგრძელება და გამოკვეთის იშვიათი უნარი მკაცრი ანალიტიკური გონება, განზოგადების იშვიათი ნიჭი და ფაქტის მსოფლიო მანშტაბის განხილვაში გააზრება, საყოველთაო მანკურების მოუთხლებელი მხილება. ღირსების წამოწვევა და ამით ამდის სერსექტების გამოკვეთა, დრანის საოცარი პოეტურობით მოქმედა, უკულოვდეს ეს არა მარტო მწერლის მანშტაბურობის მაწვევებელია. არამედ, ამასთანავე, საისტორიო მწერლობის და, საერთოდ, მკვლევებისა და კოვნიის დიდი და მთავარი ტრადიციის უცალობელი დადასტურებაა. ამ ჰეგლით ვერძობთ, რომ ქერ კიდევ ახლობელი და კოვნიანია რუსთაველი მწიგნობრული ატმოსფეროს მაქსიმე და ამიტომაც სახსენებთ კანონზომიერი და ლოგოკურია აზრისა და სიტყვის კლასიკური პერიოდის ნახვრეებზე აღმოკენებული და გაცოცხლებული ეს დიდი შემოქმედებითი შემკვიდრება.

მოკმეული ეპოსში სხვა რომ არაფერი შექმნილიყო, ამ ჩვენამდე არ მოედნია, მარტო „ასწლოვანი მატრიანის“ არსებობაც საქმარისა ჩვენი მწიგნობრული სიცოცხლისუნარიანობის დასადასტურებლად.

„ასწლოვანი მატრიანე“ შეტყველი დადასტურებაა ქართული ეპოსის შემოქმედებითი უნარის, უნარისა, რომელიც მანშტაბი კი ირწეს თავს, როდესაც მინი გამოკვლევის არაერთი იბიექტური პირობა არ არსებობს. სწორედ ამ დიდი შემოქმედებითი დიანაზონის დადასტურებაა შემდეგი ფაქტიც.

ბოლო ოცი საუკუნის მანძილზე მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში სამი არსებითი ეტაპი გამოიკვეთება: ენა ქარსტიანული მოძღვრების ჩამოყალიბება, რენესანსი და XX სის დიდი სოციალური მოძრაობები. ვახაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიო კულტურის განვითარების ამ ძირითად გზაჯარღდინზე ყველგან ერთ-ერთ თავყადად ქართველი ეპოსი ჩანს, დაწვეებული პეტრო იბერიელიდან (დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი მოაზროვნე) და რუსთაველიდან დამთავრებული ჩვენი საუკუნის სოციალური ძებების ერთ-ერთი ლიდერთი. ეს არ არის არც შემთხვევითი და არც უმნიშვნელო ისტორიული ფაქტი. ამიტომ შეტო მოწიწება და აღიარება მართებს ასეთი მანშტაბის შემოქმედებითი ვაკანებით დაჭილდოებულ ზღაღღაღებში.

საშუალო საუკუნეების აზროვნების სტილის ერთერთი არსებითი და ნიშანდამდელი გამოკვლენა იყო პროვიდენციალიზმი — უცვლელ მოვლენა ახსნილი იყო ღვთაების ნების წინასწარი გადაწყვეტილებით. სამუარო შექმნილია ღვთაე-



ბის მიერ და უოველივე ქმედება როგორც ბუნების მოვლენებში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში განიხილებულია მხოლოდ და მხოლოდ ღვთაების წინაწარა გადაწვეტილებით. მხოლოდ მხედველობრივ საფუძვლებიდან გამომდინარე ეს ზოგადი პრინციპი ავტორს ზელს არ უშლის ისტორიული მოვლენების რეალურად აღქმასა და განალიზებაში. უამთადმწერელი დიდი დიპლომატიის შემტარებელი და მის უცილობელ მრავალ დღისებათა შორის ერთერთია არსებითი ისაა, რომ იგი გვაწვდის რა უადრესად სარწმუნო და დიდ ინფორმაციას, ამავე დროს, იგი უტრადედებას იმსახურებს ავტორს როგორც ხალხური ანალიტიკური სტილის მოაზროვნე, რამელიც უოველ მოვლენას მიწვე-მედგობრივ ასპექტში ააზრებს და ისტორიას ერთ მთლიანობაში წარმოგვიხაზავს. უოველ ფაქტში დრმად ზაწვდომით ამ ფაქტის წარმოშობის მიწვესა და მის არსებით ნიშანთვისებებს აყალიბებს.

„ახწლოვანი შატანას“ კომპოზიციური დერძი მორალური კონცეფცია. ნაწარმოების გამოქოლივ იდეაა წნეობრივი პრინციპების განვითარება და დამკვიდრება. უოველი ისტორიული ფაქტი წნეობრივ პრინციპს გარდატეხილად აღქმული ავტორი წარმოგვიდგება როგორც ერის სულიერი მოძღვარი, რამელიც ისტორიას ააზრებს, როგორც წნეობრივ პოპოციის ანარქულსა და გამოვლენას. მისი მხოლოდმხედველობიდან გამომდინარე, ერის ძალა და სისუსტე წნეობრივი ამადლებიანა და სიმტკიცის შესახებ სად ვლინდება: როდესაც ერი წნეობრივი იდეალებით ცოცხლობს, მაშინ მისი პოლიტიკური, და სავტორდ ფიციური არსებობაც მუდრი და მონოლითერიია, ზოლო, რაც უტორ სცილდება ამ იდეალებს, მით უტორ საგრძობიანა დამკინება და ღვით არსებობაც კატასტროფის წინაშე დგება. უოველ ფაქტში იგი შინაგან მიწვეებს ეტებს და ამ მიწვეების მიგნებისა და განალიზების საფუძვლელ ხსნის მოვლენის განვითარებას. მას იმდენად ფაქტი არ ანტერეუხს, რამდენადაც ფაქტის გამოწვევი და შექმნილი წინა პირიანა, მიწვეთა მიწვეი. ისტორიული ფაქტი მას გაყნობიერებული აქვს როგორც წნეობრივი ნაწილის გარეგანი და შედეგობრივი გამოხატულება.

ერის ტრადიციი მამინ იწყება, როდესაც ის კარგავს საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ იდეალს, როდესაც მას ზელიდან ეცლება ეროვნული მიწანსწრაფვა და კომპაქტურობა, როდესაც უსუსტდება შტრის ცნობისა და სიმულედიის გრძნობა, როდესაც პირიგნება კარგავს ინდივიდუალობასა და მთლიანობას. ერი დაღუპვის პირასაა, როდესაც მისთვის არ არსებობს ანგარიშგანაწევი ავტორიტეტი, მომავლის რწმენა და ადამიანთა ენერჯია კი არ ერთიანდება ერთი მთლიანი ამადლებული მიწვნების-

თვის, არამედ ეს ენერჯია ზურდაფდება წერილმის მიწნაწერ-ობივატელუს ქვეშეშეწვლაქარობის უწრუნელებდაყოფად უწრუნელებქმენადესაც პირად-ოქახური ინტერტეტი არ ექვემდებარება ეროვნულ-სახელმწიფოებრივს და ეს უკანასკნელი კარგავს პირიგნებისათვის აქტუალურ-საარსებო დანიშნულებას.

ეროვნული დაყემის პირველი მიწვეთა პირიგნების ზრწნა, მისი მორალური უსახობა, რის გამოც მასში ქრება პრინციპები და ის ადვილად ემორჩილება უოველივერი ცდუნებას, მას ამოქრავებს ბიწიერი იმპულსები და შატორიალური დოვლათისადმი სწრაფვა იმდენად აჩლუნგებს, რომ სულიერი, კეთილშობილური მოთხოვნილებები თითქმის ეუცხოება, საგანნიეთი იწყებს მასწე ბატონობას და მისი მოქმედების წარმართვას.

სეთ ვითარებაში მუდგი მოქალაქე ადვილად ექვემდებარება სხვა ერის წამლივად ზეგავლენას და ითვისებს მისი ერისათვის უცხო და შეუფერებელ ჩვეებს.

ეროვნულ დაყემის წინ უძვდის პირიგნების დაყემა. სწორედ ეს საშინელი მოვლენა მახვილად აქვს შენიშნული უამთადმწერელს და ანოტომაყია რომ ჩვენში მონოლოთა გაბატონებას ხსნის არა მარტო იმით, რომ ისინი მომწდავრებულნი იყენენ, არამედ, უპირეტელს უოვლისა, ჩვენს მოწვებულობით, მოდუნებითა და უსახუნისშეგებლობით. თამარისაგან დატოვებულნი ძლიერი, შეკრული და ეკონომიყრად ღონიერი ქვეუნის იწყებები გაუფრსავადდენენ. დოვლათი შემდგომი განვითარებისთვის კი არ გამოიყენეს, არამედ ამ დოვლათით ნებიგრობასა და დროსტარებას მიეტენენ. გამკრიახი და მარად შემართული თამარის ძე ლაშა ნებიერი ცხოვრებას და უღარდებულობას მიეტე, „განისტუნება ნადიმობითა და მსწერობა თანა, მთდერა სიბოროტეში. ზოლო მსამან მდერასა და სილოდასა და ნაუროგანებამან სიბილწეს უმეტეს გარდარია, განისორა უპრობა სანატრლიან დედოფლისა და მეფისა წესიანა მსწავლელობა, შეიყარა თანამოსაყენი მსწერობითა და დედოფლწესითა თანადრეგად ესოდენ უსახურობად მიიწია...“ უფწასავატი მეფის შემსურე ერის გირყუნა და გაუწესავატად: „ეგრეთვე იქმნა ნათესავსაცა ამასა შინა ქართველსა, რამეთუ განმტდეს და იშულებდეს. უწესობად მიდრკეს სიძვათა და მოვრადლობათა შინა უფწურწინი კაცნი, მეფის კარსა წედა არა უოვლის დირწნი და აწკარსა ზედა მუოწნი“. სწორედ ამ ნაუროგანებისა და დროსტარების ეიწმა, წინდაუხედაობამ და გაქსლებამ, ერის წნეობრივიან დაყემამ მიიყუნა ქვეუნა კატასტროფამდე, უოველივე ამის გამო დამახუნდა ერი. მისი შემოქმედებითი პოტენციული უწნარობასა და დროსტარებაში გადიოწარდა. ლაშას სიბეცე ისიც იყო, რომ ზრძენი და გამკრიახი სახელმწიფო თავყაწნი მოიძულა





და ფუქსიატინა გაიხადა თანამოწიარედ, ანდა როგორ განებამაზვიდურად და საოცარი გულისტკივილით აღნიშნავს უმთავრესწერელი... „უფუნური კაცნი, მეფისა კარსა ზედა არა უოღნისღირსნი და აწ კარსა ზედა ჰყოფნი“ გახდნენ, ზოლო ღირსეულმა მამულიშვილებმა, გამოცდილებით, ცოდნითა და სიბრძნით დაბუნებულმა, ივრძნეს, რომ მათ მომხმენი ადარ უვდათ და გულისტკივილით განერიდნენ საბუნებრივო კარს. „დადათუ კათალიკოზთა ორთავე და თავადთა ამის სამეფოსთა და უმეტეს იყენე ათაბაგსა უმხმინდა საქმე ესე, არღარ ინებეს მათთანა სამარადისო უყო, არამედ ვანერსონენ თუნ-თსანად იყოფდნენ“. მეფისა და, სერთოდ, ქვეუნი თაყვაცის ერთერთი დამახატურება ისაა, რომ თავის გარშემო საქმიანი და ღირსეული შემოყრბობის და როდესაც ამის უნაბი არ გააჩნია, ასეთი თაყვაცი თავსაც იღუპავს და საქმესაც ღუპავს. ეს კარგად აქვს შენიშნული და გაანალიზებული ჩვენი მემკვიდრენ და ამტკიცებენ, რომ ასე გულისტკივილით გოდებს.

მემკვიდრე ქართველთა ზნედაცემულობასა და გაფუქსიატებაზე გაკვირთა და შემოხვევით კი არ გვაუწყებს, არამედ ეს მომავლინებული სენი იმ დროის ეროვნულ სენად აქვს გააზრებული და სწორედ ერის ასეთი დასწეულება მოაჩინა მას ზღირის გამარჯვების მოთვარ განმაპირობებელ ფაქტორად. ასეთი უპასუხისმგებლო მუცელს გადაყოლილა, ზნეობრივად გამოფიტული ბარბო ფაქტიურად მტრის მეხუთე კოლონად იქცა. რასაც შეხანინავად იყენებს მომხდურნი, ზოლო გარყოფილი და უფლებაუფრილი ღირსეული მამულიშვილები ამ იღუპებთან, ანდა ირრევიბან. ჭარ კიდევ არისტოტელე შენიშნავდა — წარყვნილ სახელმწიფო წუბობის დროს წესიერი ადამიანი ხდება უნაბი მოქალაქე, მაშინ როდესაც წესიერი წუბობის დროს წესიერი ადამიანისა და კარგი მოქალაქის ცნებები თანხვედრია.

სწორედ ამას გოდებს ჩვენი ბრძენი მემკვიდრე: ქვეყანაში ისეთი ატმოსფერო შეიქმნა, რომ ღირსეული დათორგუნენ, ზოლო უღირსნი და მედროვენი, უკველგვარი ამადლებულთხისაგან დაყლილნი, ამოტრეტიდნენ და სწორედ ამათ მოსპობინა მტრმა ერისშვილებიო.

მრავალ მანკიერებათა შორის განსაკუთრებით მომავლინებული იყო „სვაცე, შური, ქეღობა...“, რომელთა გამო ქვეუნი ცენტრიდანული ძალები დაქსაქსა და ურთიერთ მტრობამ და გაუტანლობამ მწვანე გზა გაუხსნა აგრესორებს, „სხვისა სიკეთისა გამო“ შურით შეპარობილებმა გარიყენ და დათრგუნენ ღირსეულები. იმ დროისათვის ეს თითქმის საყოველთაო სენად ქცეული უზედურება დრდინდა ქანსად ეროვნულ სხეულს. უკველგვე ამით შეძრწუნებული მემკვიდრე აფორისტული მოყვითალობითა და

სიღრმით აუღიბებს თავის უკველგულს: „შური, უკველთა ბორტო...“  
 მემკვიდრე მონღოლთა რიცხვმრავლობით განპირობებულ სიღლიტეს არ იაზრებს იმდენად სპიშ და დაუძლეველ ფაქტორად, რამდენდაც თანამემამულეთა ზნეობრივ დაცემასა და შეხანინულობას. იგი გაუძლეველი შეგვახსენებს რომ შური, ამპარტავნობა, ვანკერძობისა და განდიდების ტუნდენცია სახელმწიფო ერთიანობის დაშლის წინაპირობად იქცა. იგი უკველი მოვლენის ღრმა ძირების ძიებაშია და მოუზუნის მიგენითა და გამოკვეთით ხსნის ბორტების გამოვლენის ურლა შემოხვევას. დემეტრე მეფის მიერ რაჭის ერისთავის კახაბერის მიმართ გამოვლენილ ზრუნვისა და მომტეველობის შემდეგ თითქოს გაუგებარიცაა ამ თავყრძა ერისთავის რენეგატული საქციელი. რეალურად, ობიექტურად, თითქოს მისი ვანდგომის არავითარი საფუძველი არ იყო, მაგრამ მემკვიდრე ღრმა ფსიქოანალიზის გზით მიდის დასკვნაზე, რომ კახაბერ რაჭის ერისთავის მოქმედება მისი ბუნებიდან გამოშდინარეობდა, გენეტკურად იყო კოდირებული და ამას მეტად დამარწმუნებლად გვაუწყებს: კახაბერმა „იწყო მათვე მამურ-პაპურთა კულად სვლად, და ვითარ ღობი ისწარფოდა მწერეთა მიმართ, და ვითარ იქედნე გუნლასა დათხვად, გუარისაგან მოაქუნდა ორგულთა“.

როგორც ვხედავთ, მკვიდრეში უკველი ისტორიული ფაქტი, მხოლოდ ფაქტად კი არა ფესირებული, არამედ იქვეა კომენტარებული და სწორედ ამ კომენტარებში ვლინდება ავტორის ზნეობრივი პოზიცია, მისი აზროვნების სიღრმე და ანალიზის სიმახვილე. სერთოდ, ეამთადმწერელის სტილის ნიშანდობლივი მხარეა ისტორიული ფაქტისა და ამ ფაქტის ანალიზის ერთ მთლიანობაში წარმოვლენა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვარკვეული ეთიკურ-მხოლმხმედველობითი კონსტეციის მოაზროვნე მემკვიდრე თავისი ნააზრების ჩამოვლიბებისა და ვანვითარების პროცესში ისტორიულ ფაქტებს იმარჯვებს როგორც არგუმენტებს, საილუსტრაციო მსსაღს. მაგალითად, აღწერს რა თამარის მიერ დატრევეულ ძლიერი სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას და დინეი ეპიკური ცოდნით ვადმოგეტმს, რომ ღლმა გიორგის ეამს „შვიდობა იყო სამეფოსა შინა მისსა“, წარმოვდიდგება, რომ უველადური რიგზეა, მაგრამ იქვე მრავლის მიმნიშვნელად დასძენს: „შექცეულ იყო (გიორგი, რ. ბ.) სმასა და ქმას“. ცხოვრების ასეთ სტილზე აქცენტირებით უკვე ვვაგრძლობინებს და ვვაშნადებს „სმა-ქამით“ — გამოწვეული შედეგის აღსაქმელად. არც ისაა შემოხვევითი, რომ „შვიდობა“ და „სმა-ქამა“ ერთ კონტექსტში აქვს მოქცეული და ქვატქმსში ჩაქოვლი ირონიით მიგვანიშნებს, რომ დედის მიერ ვან-



პირდაპირი მშვიდობა დღი საქმისა და შედეგადი წარმატებისათვის კი არ გამოყენებს, არამედ მხოლოდ „სმა-ჰამისათვის“, ანუ უმეტესად უფროდ. დაწინაურების გოდებს „სმა-ჰამით“ გამოწვეულ შედეგსა და მთავარ სატიკოვარზე. კერძოდ, ქრისტიანული ეთიკური მოძღვრებებიდან გამომდინარე, თანამედროვეებს განუშარტავს თუ რა შედეგი მოჰყვება თვითმიზნად ქცეულ „სმა-ჰამს“, „რომლისათვის დასწერენ მანანს“, „სამნი არიან მიზეზნი ვნებათანი, რომელთაგან იშვებინა ურდენი ბორკანი: გომოპოყუარებანი, ვერცხლისმოყუარებანი და დიდებისმოყუარება. ამათი პირველი არიან სიჭა, მრუბობანი, რისხვა, მწყინარება, ამპარტავნება. ამთი ბორკთაგან გამოვლენ ბორკთ-მოყუარებანი, უწყესოდ ნების მიდევნებანი, რომლის უთუღად არა არს ესთ აღწერად“, არსებითი ნათქვამია, პროფესორიანული სპიროლოგიკული ანალიზია წარმოდგენილი, მაგრამ ფაქტებს აღარ ამრავლებს, რადგანაც არსი ნათელია და დასკვნაც მკვეთრია. ამიტომ უფროობას იმიზეზებს და თბრობას აღარ აქიანურებს. სურათის ნათელსაუფად თბრობის ეს ბერბიკ მრავლისმეტყველია: იმდენი უბედურება ტრაიალდება, რომ „არა არს ესთ აღწერად“ და მთლიანად მკითხველის ფანტაზიას მიაწვდის სურათის წარმოსახვას.

ჩვენზე რისხვად დაშტკადარი უბედურების მიზეზთა მიზეზს ზედავს არა მტრის სიძლიერეში, არამედ საყუთარ მანკიერებაში, ჩვენი ცოდვილობა ის წინამართა, რომელმაც დაგვამბუნა ურდელი უბედურება გააზრებულა როგორც ცოდვის საზღაური: „მოიწია სამართალი სასქელი ცოდვილთა ჩვენთათვის“, ან „დმტრისა ცოდვათა ჩვენთათვის მიეცა ურდელი ქუდუანა“. ამ მოწიციიდან გამომდინარე ღრმად-მორწმუნე შემტაიან, ბუნებრივია, ავითარებს ქრისტიანული მოძღვრების ერთერთ არსებით ეთიკურ პრინციპს — მონანიების იდუას.

მონანიებისა და მორჩილების განცდა ქრისტიანულ მოძღვრებაში გაცნობიერებულია არა როგორც ბიოგრაფიული ცდუნებათი გამოწვეული მიზიდულება და სიკვალური უნიათობა, არამედ, როგორც სულიერი ზედამეფლობა, ზოგადდამიანური სისუბტებისა და ტკივილების დაძლევა: როგორც პირველყოფილის მწარე განცდა არა პიროვნებისა, არამედ ზოგადდამიანისა, სინანულის ესმს საუბარია არა კონკრეტული სუბიექტისა, არამედ ზოგადად, ადამიანის, კაცობრიობის მოწიციიდან. სწორედ ზოგადი, საყოველთაო ასპექტი აქვს მხედველობაში იანე ოქროპირს, როდენაც ამბობს, „უკეთუ განიღვიძოს და განიფრთხოს დაცემულობისაგან თვისანი და აჩუენოს შემდგომად მას მხურვალე სარწმუნოება და სინანული, პოვოს მან განსუენება და ნუგეშინის-ცემა და შენდობა“, მარტივია მონაწილი დაბეჭიოებით

მოძღვრავს: „სინანული მშობელ არს საყუარულითა, რამეთუ რომელსა თანა ვარს სინანული, მის თანა არცა სანუგეშოელი არს. სინაყუარული მიზეზი არს სინანულისა და სარწმუნოებისა და სასილუა“. ხოლო ეფრემ ასურის ურდელიც ცოდვის განმწმენდელად სინანული მიანიან: „ნეტარ არს, რომელმან განაქარტეს ცოდვანი თვისნი სინანულითა, ვიდრე ესთ აქუს-და“.

პატრისტიკაში დამკვიდრებული სინანულის ანოლოგია კოლოსალი ღირებულებით შემკვიდრებულია და მისი სისრულით წარმოდგენა არ არის ჩვენი მიზანი. ამტყარად მხოლოდ ის გვიანდა დავასკვნათ, რომ ქრისტიანული მოძღვრებით მონანიების განცდა ამ უნარის გამოწვევა და განვითარება არის ერთადერთი გზა სულიერი ხსნისა და თვითდახვეწისა, განწმენდისა და ღვთაებისადმი სწრაფვისა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართული კაცის ღრმა აზროვნება, რწმენის სიძლიერე და გულწრფელობა, და, რაც მთავარია, განწმენდისა და სულიერი ამაღლების შინაგანი მოთხოვნობა ისახა მისი შემოქმედების ყველა სურათში — მომთლია აქნება ეს თუ ბიპნოგრაფია, ავიოგრაფია თუ მატინაე. ეს დიდი და საყოველთაო წმიდათაწმიდა ზეადმიანური ანგარბგება ისტორიისა და ღვთაების წინაშე განმაცვიფრებელი სინატიფითა და სიღრმით, სულიერი ენერჯიის სრული დამახეთთა და აზროვნების იშვითი გაქანებით გამოავლიან დავით გურამიშვილმა და ეს არც თუ მოულოდნელი იყო, რადგანაც ამ განცდათა თანაზიარად და მტყურარად მუჯდა ისეთი დიდი წინაპარი, როგორც დავით აღმაშენებელი იყო. თუ დავით აღმაშენებელთან ზოგადკაცობრიულში ჩაქსოვილი ეროვნული პრობლემატკა, გურამიშვილთან, მისგან განსხვავებით, ზოგადკაცობრიულის პარალელურად, აქარად გამოკვეთილად და დვილასაარქმელად, ჩამოყალიბებულია ეროვნული სატიკური და საზრუნელი. მონანიების განცდის ეს ასპექტი — კერძო, კონკრეტული ცოდვების და ეროვნული პრობლემის გააზრებაში აღთქმა მკვეთრად და გამოვლენილი „ასწლოვან მატინაეში“.

ჩვენი ეამთაღმწერელი არა მარტო ქრისტილოგიურად, არამედ პრობლემატკის თვალსაზრისითაც ერთგვარი მაკვირებელია დავით აღმაშენებლისა და დავით გურამიშვილისა. იგი აღმაშენებლისაგან სათავედდებულად დიდი ტრადიციის დისერული შემკვიდრება და ასევე აზიანაკლებად ღირსეული წინაპარია თანამემამულეთა ტკივილების მჭარად განმცდელი დავით გურამიშვილისა. ეს ერთი მილიანი ხაზია ჩვენი აზროვნების ერთი ასპექტის გამოვლენისა: საყუთარი ზნედაცემულობის შეუნიღბავი და გაბედული მხილეთი, ცოდვების აღიარებითა და შეტყობით — თვითდახვეწის, განწმენდისა და

მონაწიბის მოთხოვნილება — აი ეს ერთ-ერთი კარდინალური პრბლება, რომელიც დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული გურამიშვილამდე გასდევს ჩვენს მწერლობას.

დავით აღმაშენებლისა და თამარის გამჭრიახი პოლიტიკისა და ენერგიული მოღვაწეობის შედეგად საქართველომ ძლიერებისა და დიდების ზენიტს მიაღწია. ამით დაშვიდებული თამარის შემყიდარენი მოღუნდნენ, დაკარგეს სიფხიშლე და არც ანტიტრეპებდით და ვერც ერკვეოდნენ თუ რა ძველი ხდებოდა მსოფლიოში; ხერთა-შორისო პოლიტიკური ცხოვრების ორბიტიდან ისე გამოითიშნენ, რომ ისიც კი არ იცოდნენ თუ რა დამანგრეველი ტალღა მოდიოდა აღმოსავლეთიდან. მონღოლთა და ხვარაზმელთა გამოჩენა მოწმენდილ ცაზე ქუხილის გრგავინას დაუბნავს. ქართველები არც ელოდნენ და ამიტომ ვერც გაერკვნენ რა ხდებოდა. ვერც გაერკვნენ იმით, რომ წარმოადგენა არ მკონდათ ვინ მოდიოდა და რა ძალით მოდიოდა.

ჩვენები ისე გაოგდნენ, რომ თითქოს სხვა პლანეტიდან მოვლინებულნი გაჩნდნენ ჩვენს სახლერებთან. იმდენად უცხო სამყაროს ხალხად გაიხიარეს, რომ მათი არამც თუ ენა, არამედ არც ისტორია, არც უოფი, არც მათი მიწანდასახულობა და შენაძლებლობის მასშტაბები იცოდნენ. ასე პირდაღებულნი აღმოჩნდნენ ამ წამლვაკვი უცხო ძაღის წინაშე. მემატიანე ზედმეტად მიიჩნევს საგანგებოდ აღნიშნოს, და ჩამოთვალოს, რომ ქართველებს არავითარი ინფორმაცია არ გააჩნდათ კარზე მომხგარი ურდოების შესახებ; ეთნოგრაფიკული მთელს ჩვენს ბედოვლათობას და უნათობას მისთვის ჩვეული სისრულითა და თეზისური სტილით ერთ ფრაზაში გამოკვეთს: ეს იყო, „უცხოლანა, უცხოლანებ, უცხო ცხოვრებაო“, მართლაც რომ დიდი შემოქმედის მიერ მოქმედული ფრაზაა, რომელიც გვიხილავს რიტმული დინამიით, ალიტერაციული და ახო-ნანსური ელერადობით და, აშკერ დროს, ამ მსუბუქ, პოეტურ ფრაზაში ამომწურავად და უვლდა განწომილების გათვალისწინებით გამოკვეთილია ინფორმაციის უკიდურესი და, შეიძლება ითქვას, სმარტყვიანი სიმწირი.

სწორედ ამ „უცხო ნათესაოა“ დიდი ცეცხლი დაანთეს ჩვენს მიწაზე. ჩვენი მემატიანე მონღოლთა და ხვარაზმელთა მიერ ჩვენი ჭვეუნის აოხრებისა და გადაბუგვის, ქართველთა ამოვლტისა და წამების არა ერთ შემწარავ სურათს გვაწვდის, მიზი მატანე ჩვენი უბედურების ერთი გაბმული გოდებაა. მაგრამ შთაბეჭდილების შექმნის სისრულესათვის ერთი პასუვის გახსენებაც საქმარისია: „შქინვაირედ იწეს მისრვად ვითარ ჩელიცა ძუშეთაგან დედისათა აღიკაციან და წინაშე დედისა ჭვანედ დაანარცხიან, და რომელსამე თუაღნი

წარსუცვდიან, და რომელსა ტანნი, და უხინის დედანი მოიკლვდიან“.



არადა ძალია აღარ ყოფნაღნი სმარტყვიან განდებითა და გადმოცემით და როგორი მამულიშვილური წუხილით და დარდით შემოგვღადადებს: „აქა მეგულებს დადუშებად, რომელსაღმობირსა მოუთხრობ გულისტყვივლთა“.

სწორედ ეს „გულისტყვივლია“ ამ მატანის გაბმული მელოდია. ტრაგიკულ პასუგებს თან გასდევს ავტორის შემწარავი გოდება და ასეთი ლირიკული ამონაცენის კადვე უფრო ამოხრებს შთაბეჭდილებას. თხრობას კადვე უფრო მეტ სიმამრესა და დინამიკურობას ანიჭებს ქართველ ვაჟკაცთა პერსოკული სულისკვეთების ამხაველი ეპიკოდების წარმოჩენა. გატაცებითა და სულის გათანგვით კითხულობ ამ დიდებულ მატანას და ვერც გაერკვეობარ, მართლაც მატანას ეს თუ სმულეო საუკუნეების დიდი ეპოსი, რომელშიაც ერთნაირად გვიხილავს ისტორიულ მოვლენათა ინფორმაციის სიზუსტე და სიუხვე, სანდომიანობა და დამაჩერებლობა, აღწერისა და პრობლემათა დასმის მასშტაბურობა, დეტალების გამოკვეთა და დედობატობა, მოვლენათა ბრძნული ანალიზი და ფსიქოლოგიური პასუგები, საოცარი ნიუანსების შემწინვა და სახიერად წარმოჩენა, ნაკლოვანებათა დაუნდობელი მხილება და ამის ფონზე ღირსებების ამაღლებულიად და მიზამვის მოთხოვნილების გაჩენის სურვილით შთაგონება, ავტორისეული განწყობა და ემოკიურ დეტატირულობა, მოვლენის სახელმწიფო მოღვაწისეული შეფასება და ამ მოვლენათა განვითარების განჭკერების იშვიათი უნარი, თხრობის მომხიველელი დიდოსტატობა და ენის იშვიათი ფერადოვნება, უოველიც ეს არა მარტო მხატვრული პროზის მიწანზე მოგვანიშნებს, არამედ, ამასთანავე, რუსთაველიდან სულხან-სამბახეზე გაწვდილი ქართული სიტყვის გამოვლენის ბუნებრივი ნიდაა.

ეთნოგრაფიკული ობიექტურობითა და მეცნიერული კეთილსინდისიერებით დაჭილდოებული მემატიანე, იგი უოველი ფიქრისა და მოვლენისაღმი გამოხატავს თავის სუბიექტურ დამოკიდებულებას, უოველ მსქელობასა და ანალიზში გამოსვეთის მისი ემოკიური დამოკიდებულება ფაქტისადმი, მაგრამ თვით ფაქტს იგი ობიექტურად წარმოაჩენს, თავისი განწყობისა და შეხედულების მიხედვით არ ცვლის ამ ფაქტს, უოველ მოვლენის მთელი სისრულით წარმოგვიდგენს, მიზი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, ასევე არაა იგი ტენდეციური ისტორიულ პირთა წარმოჩენისას. მას არ უძინელდება ქართველ ისტორიულ გმირთა წარმატებების აღნიშვნისას მათივე უარყოფითი თვისებების აღწერისას, არც მათი დადებითი მხარეების ატაკებული უფურადღებოდ. ის საოცრად მიუერკობელია და ამდენად სახვე-

ბით სანდო შემატანე. თუ კი იუსტიწეს ცხოვრების შემატანე, ცნობილი პროფიცი კესარტე-ლი გარებულე წოწიციის მოხრობელი იყო. სულ სხვაგვარად წარმოგვიდგინდა იუსტიანიწეს ოფიციალურ მატანეში და ამის სრულიად საპირისპიროდ თავისთვის დაწერილ „ხადუშ-ლოთა ასტორიაში“, ანდა ჩვენი ვაშთაღმწერლის თითქმის თანამედროვე გეორგი პლიფონი სამსახურებრთაი მოვალეობით იცავდა მართლ-მადიდებლურ დოგმატიკას, ზოლო დასვენების დროს ამუშავებდა მონასტრთა დაქტებისა და ქრისტიანობის სრული გაუქმების პროექტს, არამც თუ ასეთი გარება, არამედ ჩვენი მემატანესთვის ახსალტურად უცხოა ურთი-ერთგამოჩინებულე ფაქტის ფაქსირება, ანდა მოვლენის მხოლოდ ერთ ასპექტში წარმოჩენა. იგი ყოველ ისტორიულ მოვლენასა და ფაქტს ერთ მთლიანობაში წარმოადგენს, მთელი თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით.

მეტად მნიშვნელოვანია ფაქტია, რომ ვაშთა-ღმწერელი ისტორიული პირის დახატვის იხეთ სურათს მიმართავს, როშელიც მატანეებისათვის იშვიათია, იგი უფრო მშატერული პროზის სტილური მოვლენაა. მხედველობაში გვაქვს პროვინების დინამიკაში, მის განვითარებასა და ცვლადობაში წარმოსახვა.

ერთოდ, ლაშა გიორგი ვაშთაპირველად „იყო ყოველთა მეფეთა უმეტეს უზე და არავისთვის მოშურნე, მლოცველ, მმარტველ, განმკითხველ და მოწყალე, არამედ უკანასკნელ მიდრტეა სი-ბორტოდ თანხიყოლითა უწყისთა კაცთათა“. შემატანე ლაშა გიორგის რთულ ხასიათს წარ-მოგვადგენს, ერთი მხრივ, კეთილი, მებრძოლსა და ღვთისმოსავს, ზოლო, მეორე მხრივ, ფუქსავატური ცხოვრებით მცხოვრებ ამპარტავანს, „თავბღღს“. მაგრამ ხასიათის ამ თითქოს-და ერთმანეთის გამომრიცხველ და ურთიერთ-საპირისპირო თვისებებში ერთი დიდი კანონ-ზომიერება დაჭებია და გამოკეთილი, გი-ორგი აღზრდით, გენტიპურად, შინაგანი ბუნებით იყო თამარის ღირსეული მემკვიდრე — სასწრებოთა და მოწყალეობით აღსავსე, მაგრამ „უწყისთა კაცთა“ — გარემოს ზეგავლენით „მიდრტეა სიბორტოდ“. როგორც ვხედავთ, შემატანე ლაშა გიორგის პორტრეტის წარმო-ჩენისას დიდ პედაგოგიურ შეხედულებებსაც ავითარებს, ერთია საწყისი ბუნება, აღზრდითა და გენტიპური ჰორებით განპირობებული თვისება და არა ნაკლებია ის გარემოება, როშელ-შიც მოექცევა ჭარ კადეც ჩამოუყალიბებელი, დაუდუღებელი კაბუცი. სწორედ ეს გარემოც-ველი ფაქტორი შთანთქავს პირველსაწყისის თვისებებს და საბედისწეროდ გარდაქმნის.

ისტორიული პირის მრავალფეროვანად, მიუ-კერძობელად, გარეგანი თვისებებისა და შინაგანი ბუნების ერთმთლიანობაში წარმოსახვა, ამას-თანავე, ხასიათის ევოლუციობა და მისი წარ-

მმართველი ფაქტორების წარმოქმნის უდუ-ცოსის ნიშანთვისებებით დასტურდება. მათგან, ამტომაც სცადდება ისტორიული პრონი-ცებისა თუ ანაღების საზღვრებს ეს მრავალმ-ხრივ მიწვიდველი და ბევრი ფაქტის აღმე-რული თხზულება. „ასწლოვანი მატანე“ იმითა-ცაა მიწვიდველი, რომ ცალკეულ ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებით უამრავი ეპიზოდი გა-შლილია გარკვეული სიუჟეტური თხრობის სა-ბით. ყოველი მათგანი წარმოადგენს დასრულე-ბულ, კომპოზიციურად შეკრულ თხრობას. რო-მელშიცა ამბავი ვითარდება ლოგიკურ, შინა-განი დინამიკით, ფსიქოლოგიური მოტივობებით და პერსონაჟები ჩამოუყალიბებულ ინდივიდუ-ალურ სახეებად წარმოგვიდგებიან.

წერილის სიმკირის გამო შეუძლებელია უვე-ლა მათგანის მიმოხილვა. მაგრამ საინტერსოდ გავისინოთ რუსუდან დედოფლის ისტორიასთან დაკავშირებული ზოგიერთი პასუხი.

ლაშა გიორგის გარდაცვალების შემდეგ, ლა-შასეც ანდერტის, გამეფდა მისი და რუსუდა-ნი, როშელსაც უნდა აღეზარდა ლაშა გიორგის ძე დავითი (უღუ) და შემდეგ ეს უკანასკნელი გაემჯღებინა.

რუსუდანმა აღიქმა დაარღვია და, თავისი შვილის დავითის ტახტზე დაშკვიდრებისათვის გზის გაკაფვის მიზნით, მისიშვილი დავითი გა-გზავნა თავის გათხოვილ ქალიშვილთან თამარ-თან და ქალიშვილსა და სიძეს შეეეედრა მის-წულით, დავითის მოსპობა.

თამარს და მის მეუღლეს სულტანს შეეცო-დათ დავითი და არ ისმინეს დედისა და სიდე-დლის თხოვნა, რუსუდანმა კვლავ არაერთგზის გაგზავნა წერილი, რითაც ითხოვდა მისიწულით მოსპობას. არც ამან გასჭრა და ბოლოს რუსუ-დანი კვლავ აგზავნის წერილს სიძესთან, სულ-ტანთან, რის გამო შემატანე თავს ვერ იკავებს და ერთგვარი ლირიკული ჩართვით გამოზატავს გაცეებასა და აღშოვითებს: რუსუდანმა — წერს შემატანე — „დაიქვანა სწულიცა და ლშობა ნათესავთა და თვით შვილის სუვარული დედობრტვი“. მაინც რა ნაბიჯი გადადგა რუსუ-დანმა, რა სიბორტემ, არაადამიანურმა ღვარჭ-ლმა დაიბუღა მამიდის გულში, ანდა რა მოა-ღიჭრა ასეთი არაადამიანური, ფანტასტიკური სიბილქე. ერთდღე, იგი წერს სიძეს — სულ-ტანს — უხედინს: „მენება მოკლეა მისიწულითა ჩემისა დავითისი, რომე ცოლსა შენსა და ასულსა ჩემსა მისიწული ჩემი, დავითი, თან ეყოფვის, და ამისათვის არა ნებაეს ასულსა ჩემსა ბორტოტი მისი“ (ტ. ი. ჩემო ქალიშვილი ამიტომ არ გაძლევს თავისი ბიძაშვილის — სა-უვარლოს მოკვლის უფლებას). მართლაც, ზღვარი არა აქვს სიბორტებსა და ზნედაცემუ-ლობას, გავრცა ქალიშვილიც და გაწირა მის-წულიც, რათა ტახტის პრეტენდენტს ჩამოაშო-ლოს თავის ვაჟს. ეს შექსირიული სიუჟეტი სი-



მუხთლითა და ბორცვებით აღემატება უოკელ ისტორიულსა თუ ფანტაზიით შექმნილ სისა-  
 ჯაგლეს. მისი განაღობება და კომენტარება  
 შეუძლებელია, რადგან თვით ფაქტო, თავისი  
 შემარწმუნებელი არსით, აღემატება უოკელგ-  
 ვარ მსჯელობას და ამიტომ აქი აღარც მსჯე-  
 ლობს მემბტიანე. იგი გაგონებულა და ანტი-  
 უკრი ეპოქის ფალოსოფოსებისათვის ნიშანდო-  
 ბლივი სიღინჯითა და სიბრძნით წარმოთქვამს:  
 „შოა, გონება, მხეცთა უმძვინვარესი“. ეს ერ-  
 თი ფალოსოფურ-ეთიკურა ფრაზაც საქმარისია  
 კაცის უყვადებინათვის. მასში ჩაქსოვილია  
 ცხოვრებისეული დიდი დავიკრება, ღრმა აზ-  
 რაონება, უოკლისმომცველი საწინელების კონ-  
 დენსირებულად გააზრება და ეპიკურის სიღინ-  
 ჭე, რომლის ძალითაც არაფერია ამქვეყნად გა-  
 სკვარველი არ არის, ეპითაღმწერელი ერთგ-  
 ვარი კონსშითაც მიგვანიშნებს, რომ არ არსე-  
 ბობს საწინელება, რომელიც ადამიანის ტანში  
 არ დაიბოდებს.

ესი მაგურთი ფრაზა — „შოი, გონება, მხეც-  
 თა უმძვინვარესი“ — საოკრად ემბიანება უველა  
 დროი სიბილწესა და ტირანისა. ეპითაღმწე-  
 რელს ისე შვირად აქვს გამოთქმული ასეთი შე-  
 ვონებები, რომ ამოკურიფით ისინი, მონტენისა  
 და ლაროშფურს მსგავს მაქსიმებს შვილებ-  
 დით. იგი ბიდიშობს კიდევ, რომ შემწარავი აშ-  
 ბით ამბობებს მკითხულის უურადღებას, რომ  
 ააშკარავებს ჩვენს უზნეობას და იერარქიულ  
 ეთიკტასაც არღვევს შეფეთა შვილებით; მაგრამ  
 მას, როგორც მემბტიანესა და მაღალი ზნეობ-  
 რივი პრინციპების მქადაგებულ მიაზრატუნეს,  
 გაყნობიერებული აქვს პასუხისმგებლობა ერისა  
 და ისტორიის წინაშე და იცის, რომ კუშმარ-  
 ტებია შთავარი კრიტიკური შოქალქისა და  
 მემბტიანისათვის. ამ პრინციპულ პოზიციასაც  
 მისთვის ჩვეული სიბრძნითა და მოკვეთილო-  
 ბით აუღიბებს: „ეპითაღმწერლობა კუშმარ-  
 ტისმბტყველება არს და არა თუღაზმა ვისიმე“.   
 ეს ფრაზა საორიენტაციოდ უნდა ჰქონდეს არა  
 მარტო მემბტიანეს, არამედ ყველას, ვინც კა-  
 ლამს იღებს ზედში. მასში არა მარტო პრო-  
 ფესიონალური ეთიკა ჩამოუღიბებელი, არა-  
 მედ, სურთოდ, საუოველთაო ზნეობრივი პო-  
 ზიციკა და საგულისხმობა იხივ, რომ პოზიტი-  
 ურ შეგონებასთან ერთად — „ეპითაღმწერ-  
 ლობა კუშმარტისმბტყველება არს“, ამავე  
 დროს, იგი [რ. ი. ეპითაღმწერლობა] უკომპ-  
 რომისო მიღება და კაცებია უაღბისმთქმელე-  
 ბისა — „არა თუღაზმა ვისიმე“, მარტაც,  
 რომ სხვის თუღის ახვევად არ უნდა მოქმე-  
 დებდეს, შით უფრო, რომ არაჰინ არ ტყუფდე-  
 ბა, ოუშც შეიძლება სულგრძელად დუშმეს,  
 რამეთუ „არა არს საიდუმლო, რამელი არა  
 განცხადდების“.

ეპითაღმწერლის ობიექტურობისა და თვით  
 მტრის ღირსების დანაშვისა და დაფასების კი-

დეუ ერთი დამადასტურებელი ფაქტი — მაღალე-  
 დინის მისეული დახასიათებელი უკუყველელე-  
 დინმა სასტიკად აგვაობრტყველეს მემბტიანესა  
 დაგვატება თავს, მაგრამ პროფუნულად, რი-  
 გორც მებრძოლი და მხედარბოთავარი, გამორ-  
 ჩეული ისტორიული პირი, ვარკვეულ ვარწყო-  
 ბას ქმნიდა და ამას უპირველესად თვით ზენის  
 მემბტიანე გრძნობს. ეტბრედ, ამ დიდი სარდ-  
 ლის ვიდაც გუბაქისაგან მუხანათური მოკლა  
 ბედის დაყინვად მიანია: „ვიწმე შეურაცხი კა-  
 ცისაგან მოკლა კაცი იგი მაღალი და სახელო-  
 ვანი ზელმწიფეო“. და ბედისწერის ასეთი სი-  
 მუხთლის გამო, მისთვის ჩვეული უოკლისმპერ-  
 ტებლობით, ავითარებს ამოების მოტოვს:  
 „ვინა დაუდგარომელ არს მინდობა სიფლისა  
 ამისა ამასა, ვითარ ბრძენი ეკლესიასტე „ამა-  
 რობა ამოვებათა და უოველიეე ამოი არს“. რა  
 პირობითი და წარმავალი აღმონდა ის, რის-  
 თვისაც იბრძოდა და რაც მოიპოვა ქალღელე-  
 ნმა — „ამოი იქმნეს სანი, სიბტიკეუ ქედისა,  
 წყოლობა შინა მქლეობა და გარდარეული სი-  
 ლდრბო“, და ღრმად მორწმუნე მემბტიანე უ-  
 მოსვლას და ამბედლოს ისევ და ისევ სულღერ  
 უყვადებებაში ზედავს. „უოველიეე ამოი არს,  
 გარანასაუკუნო იგი უყვადვი ცხოვრება დაუ-  
 ლეველი“.

საწუთროს წარმავლობის, არარაობის მოტი-  
 ვი, ეკლესიასტეს პრობლემატკა მემბტიანის გა-  
 ნუწყვებელი ფაქტის სფეროა. ცალკეული მე-  
 რიკიული პასუხების შთამბეჭდავად ვაგოსახვის  
 მიუხედავად, მთელ თხზულებას ძირითად შტრი-  
 ზად განსდევს ამოების განცდა და ეს განცდა  
 პოეტურად, ლირიკული ამონაცვენის სახით  
 აქვს მემბტიანეს გაღმოკმეული. ამ დიდ ეპი-  
 კურ ტილოში გაბნეული ელგიური წიაღსე-  
 ლები იშვიათი ინტიმურობისა და მემბტიანის  
 სულიერი ძვრების თანაზიარს გვხვდის, რამელი  
 დიდი ლირიკისი არ გაითავისებდა მემბტიანის  
 ამ სულიერ ამონაცვენს. „მრავალმღელევიარე  
 არს საწუთრ ესე, დაუდგარომელი და წარმა-  
 ვალ, დღენი ჩუენნი სიწმებრ და ანრდიღებრ  
 წარკვლენ“. კითხულობ და ვერ გარკვეულბარ  
 ეს მბტიანის ფრაგმენტია თუ ლირიკული პოე-  
 ზიის შედევრი.

ქართველია ეროვნულ ხასიათში ჩაქსოვილი  
 ვაგვაცობა და სიზამაც თვით მონღოლებისათ-  
 ვისა და არ დაჩენილა შეუბრწველი „ქართვე-  
 ლნი... რომელთა აქუსს სქული ეკითლი, და  
 ტყუილსა ევლტიან, მწამლველი არცა თუ სა-  
 ზელ იღების მათ შორის“. საგულისხმობა რომ  
 მონღოლებმა, რომლებსაც არცთუ საუუენო-  
 ვანი ტრადიცია მქონდათ ჩვენთან ურთიერობ-  
 ბისა, შენიშნეს, რომ ქართველნი გულადნი და  
 ხანდონი არიან: „ტყუილი არ არის მათ შორის  
 და მინდობა იციან (ამიტომ ესენი ვასცემენ გა-  
 ნყარგულებას), თქუენ თანა იყარენით მტრთა



თქუნდა ბრძოლად, ხოლო სპარსნი მოსწყვედენით“.

ამ თვისებების სიდიადე მით უფრო იყვებოდა, როდესაც ისინი ქართველების ეროვნულ ხასიათს აღარებენ სხვათა თვისებებს. კერძოდ სპარსელებს: „არაჲ სპარსნი ცრუ, მოღალატე და ფიცის არაშემწახვეულ და მრავალნი იპყვებოან მწამლოყელნი და მამათაჲვალი ურცხვებნი“. ხოლო ქართველთა ბრძოლის უნარიანობა არაერთგვისი განაცხადებდა თვით მონღოლებს: „განურვეს თათარნი (ე. ი. მონღოლები, რ. ბ.) სიმხნეა ქართველისა“.

ქართველთა ბრძოლისუნარიანობას განაპირობებდა არა მარტო მათი ფიზიკური სიძლიერე და სიმეცირცხლე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სიმტყიცე და გულღვნება; რაინდული თვისება, პირველადი თავმოყვარეობა: „არა არს წესი ჩუენ ქართველთა უყუე, რა ენადათ მტერი ჩუენ კერძო მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვატყით დაღათ იყოს სკუდილი“.

„ასწლოვანი მატანის“ თბრობის შინაგან დინამიკასა და მკვეთრად გამოვლენილ დრამატულ დამახულობას კმნის არა მარტო ისტორიული პერსპექტივის ფართოდ ჩვენება ან საბრძოლო სახალღებისა და ისტორიულ პირთა ტრაგიკული აღსასრულის შენახებ თბრობას, არამედ, ამასთანავე, ხასიათთა კვიდილის, მამარნი ფსიქოლოგიური სიტუაციების გამოკვეთა და იზვიათად ცოცხალი და ექსპრესიული დიალოგები. სასაუბრო, დიალოგიური ფორმით მოვლენათა განვითარების ჩვენება მტკად მაშინდევლასა და ცოცხლად ხდის სურათს. მკითხველი კი არ ისმენს ისტორიულ ამბებს, არამედ იგი უშუალოდ ერთვება სიტუაციაში და აქტიურად ერწყმის ისტორიულ ვარემოს. იგი თითქოს უშუალო მოწმე და თვალუფრის მდევნელია ყოველივე იმისა, რის შესახებაც მოკვითბრობს მემატაანე. რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ ქართველ დღემგატთა და მონღოლთა საუბარო ერთერთი იმ ეპიზოდთაგანია, რომელშიაც სწორედ ეს უშუალობაა გამოვლენილი. ქართველი დიდებულეები მიმართავენ ნიანს: „რუსუდანის შემდეგ არა არს ნათესავი მეფეთა, და ჩუენ ურთიერთის დაუმორჩილებლად ვართ, და არა ეგების თუენი დავემორჩილოთ ვისმე, უყუეთ არა იყოს ნათესავი მეფეთა“. ერთი შემდევით, თითქოს სავებებით ნორმალური პოზიციაა, დიდებულეები ეძებენ სამეფო დინასტიის წარმომადგენელს და ზრუნავენ დავით ღაშას ქეზე, მაგრამ აქ უფრადღებას იპყრობს ჩენი ხასიათის ის საბედისწერა თვისება, რომელშიც ისტორიულად უამრავი ვნება მოგვარება. „ურთიერთდაუმორჩილებლის“ ტინდენცია: ნაცულად იმისა, რომ ავებდობის უამს შედუღაბდენ და დავითის პოვნამდე, ერთ-ერთი მათგანი აირჩიონ თავაყად და დაექვემდებარენ, ისინი მედიდურად აყბადებენ — „არა ეგების თუყსა

დავემორჩილენით ვისმე, უყუეთ. არა იყოს ნათესავი მეფეთა“. კონსოლიდირების ასეთი მოდუნება, დაუთმობებინა ცქსწტტტნი-ულობა საუყუნების მანძილზე გვხვდება. ეს ჩენი იმდენად ნიშანდობლივი და იმდენი ზიანის მომტანი თვისებაა, რომ მემატაანე არაერთგვისი შენიშნავს ამ შინაგანი კიშპის გამოვლენას და საგანგებოდაც ამაზელებს მასზე უფრადღებას. ანეთი ეგოისტური და მოშერნეობით გამოწვეული დამპირებების ნიმუშად შეგვახსენებს სარგის ჭაუელის ეპიზოდს. კერძოდ, ურმა დავითს გვერდში ამოუდგა სარგის ჭაუელი. გამჭირაობითა და მამაცობით იმდენად იჩინა თავი ბრძოლებში, რომ ნოინმა დავითის მხარდაჭერისა და სარგისის დასაჩქრების მიზნით კარნე ქალაქი და მისი მისადგომები მისცა. მოშურნე ქართველმა თავადებმა „უშინაო და მალეშრწმენ“ მეფეს შთაგონეს: „უყუეთ უენი სარგისსა კარნექალაქს მისცემს, მეფობაცა მისცეს“. თავადთაგან ცდუნებული დავით მეფე მიდის ნოინთან და გადაათქმევენებს ბრძანებას. გაკვირვებული ნოინი ეუბნება: „უენმან შენის მოდგმისათვის მისცა, და თუ შენ ვიმძის, აღარა მისცემს“. ამის შემდეგ მომავდინებულ ტეშმარტებას ეუბნება: „თქუნე, ქართველნი, არას კეთილს უყუფთ მხნედ მეტბრძოლთა წყუბოთა შინა“ ეს მხინღებელი ფრაზა განაჩენის ტოლფარდია. არ ვიცი, ნოინისა თუ მემატაანისეულია, მაგრამ ჩენი უყურნებელი და დამდუპავი სენის მოურჩილებელი და ზუსტი ფორმულირება რომაა, ეს კი აშკარაა, ამიტომაცაა, რომ მთელ თხზულებას თანამემშულებლთა გამომავლობელად და გამაფრთხილებლად გასდევს ავტორისეული შეგონება... „ჰოა, შური, ყოველთა ბოროტთა დასახამი“.

როგორც ვთქვით, მატაანეში არა ერთი ფაქტია ისეთი ნოელების სახით წარმოდგენილი, რომელთა გამოჩენაც კი კრის. დიდად შთამბეჭდავია უნალოდ მებრობის გამოფხობილად ცოტნე დაღიანის საყველთაოდ ცნობილი ეპიზოდი.

აქვე უნდა გავიხსენოთ ამავე მატაანეში ასევე დიდი ვაჟაყობისა და რაინდობის დამადასტურებელი დავით ექობის თავგანწირვის ეპიზოდი, რომელიც რატომღაც მივიწყებულა შთამომავლობის მიერ. კერძოდ, ბათუ უენმა დაიბარა ათაბაგი ავაგი, რომელსაც თან გაყვა დავით ექობი. ეს უყანასენელი ეუბნება: მივდივართ უცხო ქვეყანაში, უცხო დამიანებთან, რომელთა არც წნეობა ცოცით და არც ჩენდამი განწყობა. შეობლება შენი მოყვლა უნდათ, ამტკამ მომეცი შენი სამისი, მე ვაქნები უფრისი და შენ, ვითარცა მონა, მომყევი. თუ ქართველი მთავრის სიყველით დახტა აქვს ხათუს გადაწყვეტილი, მე დახტის, შენ, როგორც მონას, არას ვიპაშს, და დაუბრუნდები ქვეყანა



ნასო, დიდი წინააღმდეგობის შემდეგ დათანხმდა ავად, ცხელდნ ბათუს. წინ დავით ერეხი შევადა და მას ავაგი მივუვა. ბათუს პატივით მივადლო ქართულად. მეორე დღეს, რა ნახეს რომ წაწმენდა, არ ემუქრებოდა ავადს, თავის უფლებით პირველი შევიდა ავადი და დავითი მას მივუვა. ბათუ გაოცდა და ერეხნება ავადს. სად გაგონილა, რომ შინა წინ უძღოდადეს პატრონსო, ქართველებმა უველაფერი აუხსნეს ყვენს. ამ უყანასწენებს მებრად მოეწონა ქართველ პატრონ-უმთა ურთიერთობა და ერთგულება, გაცა ბრძანება: „უვეთუ ნათესავი ქართველთა გუგუთოარ არს, ვბრძანებ, რათა უველთა ნათესავთა, რომელნი არიან ნორჩალებასა ქვეშ მოწოდეთა, უმწობეს და უწარჩინებულეს აუყვენს. მისანდოდ აუყვენს“. როგორც ცოტნეს ისე დავით ერეხის ვაჟაცობის ამსახველ ეპიზოდებში შთამაგონებულადა გამოვლენილი ქართველთა ამადლებული, რაინდული სული, მაგრამ არა ნაკლებად შთაბეჭედავითა ამ სულიერი სიმტკიცის დამწახავისა და დამფასებელი მონდოლების კაცურკაცობა, რომელთაც შესწევთ უხარო პატივი მაგონ ღირსეულ მოწინააღმდეგებს.

ეთააღმწერელის სტილის ერთერთი არსებითი ნიშანდობლივი თავისებურება ვლინდება მხრობის საოცრად ემოციურობაში, ავტორი, ერთი მხრივ, უაღრესად მკაცრი, მეცნიერული სანუსტაოთა და ობიექტურობით აღწერს მოვლენებს და, მეორე მხრივ, თვით ისეთი უშუალობითა და განცდითი პოზიციითაა ჩართული ამ მოვლენებში და ისეთი სიმშაფრით აღიქვამს უველუ ფაქტს, რომ ჩვენც გვმუხტავს შესაბამისი განწყობილებით და მოვლენათა თანაზიარს გვხდის.

მტერთა აზრებით დატრიალებული ტრაგიაში თათქოს ვერ თავსდება სიტუაციტ ჩარჩოში, სიტუვა უძღური და მკრთალი ხდება მის გამოსახატავად და ავტორიც ვერ ნახულობს ფაქტის შესატყვის ფრაზას და ამ განცდას ემატება მისი შინაგანი ტკივილები, დიდი სულიერი ტრავმა, რომელიც არ აძლევს მებტყველების საშუალებას და წარმოუდგენელი უშუალობითა და მომწუნსებელი გულწრფელობით შემოგვდადადებს: „ხოლო არა შემწინდობს ტკივილი გულისა მოხუჩნებად, ანდა „აქა მე-ეჭვების დადუმებად, რომელ საღმობიერსა მოუთბობს გულისა ტკივილთა“. უსაზღვროდ მოჭარბებული განცდას ეამს, შართლაც, დუმილი უნდა მიითვალოს უძლიერეს ღუადობად, მწუხარების, საქვეწმეო ტრაგიზმის გამოსახატავად ანტიკურ მჭევრმეტყველთა გუნებათა და ხელმოყნებით მოგვემართავს: „ჰი ხალმოხიერი ღუადი და დიდი ღუადი! ცრფლითა უფიროლითა და უხალითა და ვებებათ საზარელითა ხშითაგან იფეროდა ქალქი უველი“. აქ ღასარაქია მტერთაგან ქალაქის აზრებანზე, მაგრამ

ავტორისეულ გოდებაში განა მარტო სურათი გუნარავს! განა მარტო ზარბაზნის წყვედადის ვხედავთ! უველიერე გუნდობის უმთავრესი განმარტებელი და ერის ტკივილებით გამსჭვალული, ქვეწმის უმედურების დიდი დამტარებელი შემხატინეც ცოცხლობს ჩვენს წინაშე მთელი თავისი დიდი კაცობითა და თანამეამოულთა ქარისუფლობის თავდადებით, საკუთარი ფიქრებისა და განცდების, სულიერი მოძრობის უველგვარი ნიუანსის გამოკვეთას იგი აძწევს უმდიდრესი სიტუაციერი მარაგის წყალობით. უველ ფრაზაში ვხვნილავს და გვოზიდავს ავტორის ღმწმკის სიღვიდრე და სიტუციტ მახვილი გრძობა, ქართული ერის ელასტიუტრობა და გამოსახველობითი ნიარსხეობა მთელი სიდიდით ვლინდება მისეულ ფრაზაში. ეთააღმწერელის წინადადებათა სტრუქტურა და პოეტური სემანტიკა უმდიდრეს მასალად იძლევა სიტუაციერი ხელმოყნების წარმოსახენად და იგი საგანგებო კვლევას საგანი უნდა გახდეს. იგი ერთი, თითქოსდა უმნიშვნელო, ეპითეტისა თუ შედარების მომარტყვებით მთელ სურათს ქმნის. როდესაც ამბობს „აქათ უღუბნიოთა ქითა შინა იყო რა ქუეუანა საქართველთა“ — თითქოს გვიყვარს, „ქიარს“ რადა მქუენტიერადა და გაძლიერება უნდა, მაგრამ მებრად ორიგინალურად და მახვილად მიგნებულა „უღუბნიოთა“ განსაყოფებულ ეფექტს ქმნის, საოცრად ამომებს და ამუჭებს სიტუაციას, უარავი ასოციაციების აღმჭერელ ფიქრებს იწევს. სარგის თმოველთა დახასიათებისას კაცე „სწავლული“, „უღიოსოფოსი“, „ბრძენი“, „რიტორი“, თითქოს სისრულით წარმოგვიდგენს მის ღირსებებს, მაგრამ მუშატიანე ამათ არ კმაყოფილდება, ეს ეპითეტები ზომხმარებულა და არა ერთი სწავლულია მით შეწყული, არადა მას გამოარტევა. საგანგებო თვისების გამოკვეთა უნდა და ახნებს კიდეც ამ სიხალეს. გარდა წემითა დასახელებული ეპითეტებისა, უშატებს, რომ სარგისი იყო „მრავალღონე“. ეს უველისმომცველი და მებრად ორიგინალური ეპითეტი სულ სხვა მასშტაბით წარმოგვიდგენს სარგის. ასევე მახვილად მიგნებული ეპითეტიტე მკვეთრად ვადმოკვეცებს ქართლის მეფის სულის უფოთავს. კერძოდ, როდესაც უსწელო მბრძანებელი მისგან ითხოვს ცოლად მის დას, თამარს, მეწუხებულა და უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი უფოთავს, ბორგავს „ეთთარ ესმა მეფესა, დაუმომდა და დიდსა მჭუნვასა შთავარდა და სულითა მტიყნეულლობითა ეძიებდა ღონესა“. ღრაზის ეს ბოლო მონაკვეთი „სულითა მტიყნეულთა ეძიებდა ღონეს“ მათფრად და შთამბეჭედავად განგვადგენინებს მეფის როგორც უსარგისს, ისე მის სულიერ ტანჯვას. სხვა შემთხვევაში განაწყენებულნი და ღუაწლდაუფლებელი სარგისს ქაველის შესახებ გუეუნება — „სწავიდა



გულმღებულნი“ სარგისი და ხავსებით ნათელი ზღვება ამ უკანასკნელის სულიერა მდგომარეობა, ზოლო სულტანის შესახებ გვაუწყებს იყო იგი „ბილწი და ცუდრჩული“. ავტორისეული ნაწარმოები კომპოზიტი — „ცუდრჩული“ სულტანის შთელ ფსიქიკას ხსნის.

განუწყვეტილმა ავბედობამ და მძიმე ისტორიული სურათების აღწერამ, ერთი მხრივ, თითქოს მოქანცა მემატიაზე ზოლო, მეორე მხრივ, იმის ფიქრიც აწუხებს, რომ ვაითუ შევაშინო და დავაფრთხო, იმედი გადავუწურო და დავთრგუნო თანამემამულენიო და ერთგვარი მობოდიშებით წერს: „არ არს ესეი თქუშად და წერად“-ო.

მონღოლთა ბატონობა ჩვენი ცხოვრების ერთი გაბმული ტანჯვა იყო და, ბუნებრივია, „ანწლოვანი შატიანეც“ მუქი ფერებით დაშომებულ სურათს ქმნის, მაგრამ ერი რომ უიმედობამ და სასოწარკვეთილებამ არ მოიცვას, ესთაალმწერტლს ამ წუდიადში ნათელ სხივად შემოჰყავს გიორგი მეფე და იმედის პერსპექ-

ტივას საზავს ამ გონიერი. გულმღებულნი მამულიშვილის გამეფებთა: მან აღმოტურვებად“ — ამ ერთი ფრაზით ერთგვარად ამშვიდებს თავის მრავალტანჯულ ერს და უძლიერებს მომავლის რწმენას. რწმენას ამისას, რომ იხე, როგორც ყველა მომხდურა, მონღოლთა უწურააკიაც მხოლოდ და მხოლოდ დროებითი, წარშავალი უბედურებაა და საბელშიფოს გონიერი თავკაცი, ღირსეულ თანამოღვაწეთა შემოკრებით, შესძლებს ერი სასიცოცხლო ძალების გამოფხიზლებასა და მოხილიზებას შტერთა ძღვეად და ქვეყნის ასაღორძინებლად. ამ დიდი მასშტაბის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შარავანდედად ეფინება საქართველოს მფარველისა და მხსნელის, ღვთისმშობლისადმი რწმენა და ამიტომაც საოცარი გულწრფელობით და მინდობით ავედრებს თავის ქვეყანას — „მოწალეუბისა კარი გაგვიღე, კურთხეულო ღვთისმშობელო!“





მათა ცინესაჰვილი

## საქართველოსა და ჩიჩნეთ-ინგუშეთის პოლიტიკური ურთიერთობა უძველესი დროიდან მე-10 საუკუნემდე

ჩიჩნები და ინგუშები ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის აბორიგენი მოსახლეობაა და უძველესი დროიდან მოყოლებული მნიშვნელოვან პოლიტიკურ და კულტურულ როლს ასრულებდნენ, როგორც საქართველოს, ასევე ჩრდილო-კავკასიის ხალხთა ისტორიაში. მათი განვითარება მიმდინარეობდა იმავე სოციალ-ეკონომიკური კანონების საფუძველზე, როგორც კავკასიის სხვა ხალხებისა.

დღემდე სათანადოდ არ არის შეზღავდული ჩიჩნებისა და ინგუშების (ვაინაზი, ვაინაზ — ქართულად წინააღმდეგ ჩიჩნ ხალხს, ახე ეძახიან ჩიჩნები და ინგუშები თაყიანთ თაჰს) როლი და ადგილი საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხებთან პოლიტიკურ ურთიერთობაში. წერილობითი ცნობები და ზეპირი წყაროები ძალიან მცირეა, ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური, ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალები ერთგვარ საშუალებას გვაძლევს შეტყობავდეთ შუქი მოგვიწოდოთ საქართველოსა და ვაინაზების შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობის საკითხებს.

სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ ჩიჩნეთ-ინგუშეთისა და საქართველოს შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობის საკითხებზე, მეთავე საუკუნემდე, ვაინაზი ურთიერთობა გავამახვილოთ ვაინაზი ხალხის აღმნიშვნელ ეთნონიმზე, რადგან ამის თაობაზე დღემდე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

ჩვენ ვერ გავიზარებთ ე. კრუმჰოვის აზრს იმის შესახებ, რომ ვაინაზების აღმნიშვნელი ეთნონიმი „დურძუკი“ პირველად მოხსენიება XI საუკუნის ქართულ ქრონიკებში

1. Круинов Е. И. Средневековая Ингушетия. М., 1971 стр. 30.

რადგან, ჭერ ერთი. უველაზე ადრინდელ ცნობებს უძველესი ქართული ისტორიული მტკიცებულებიდან დურძუკების (იხსენიება, როგორც გეოგრაფიული მხარე) შესახებ გვაძლევს „მოქცევა ქართლისა“ს ავტორი, (IX ს.), რომელიც VI ს. 80-40-იან წლებს უნდა ეხებოდეს (ქელიშური ვარიანტი). (2. „მოქცევა ქართლისა“, ექვთიმე თაყაიშვილი გამომცემა описание рукописей, т. II, вып. III, Тф. 1908, стр. 723 — 724). მეორეც, არსებობს ამაზე უფრო ადრინდელი უცხოური წყაროები, სადაც მოხსენიებული არიან დურძუკები: „II-I ათასწლეულში ჩვენს ერამდე, ურარტული ხანის სევენიპირა მანას ვაერთიანებაში არსებობდა კავკასიონის შიგელით „დურძუკთა“ მსგავსი სახელი, აღნიშნავს გ. მელიქიშვილი (3. გ. მელიქიშვილი, საქართველოს კავკასიისა და შავლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1968, გვ. 202).

წყაროების მიხედვით შეფასების საფუძველზე შესაძლებლობა გვაძლევს დურძუკეთი, როგორც გეოგრაფიული მხარე, დავადასტუროთ XI ს. დასასრულისა და IV ს. დასაწყისის „გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების“ არსებულ ვერსიაშიც, რომლის ტექსტიც E. მარის აზრით, IX საუკუნეზე ადრეული არ უნდა იყოს, სადაც აღწერილია, რომ სრულიად სომხეთის კათალიკოსად გახდომის შემდეგ გრიგოლ განმანათლებელმა „წარავლინა მთელს სომხეთში ეპისკოპოსები, საქართველოში, დურძუკეთში და აღანუბთში“ (4. ივ. ჭავჭავიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 188). E. მარის ივ. ჭავჭავიშვილი არ ეთანხმება ამ ტექსტში მოხსენიებული ტერმინის „ДРЗКНТ“-ის გაანალიზებისას, რად-



გან 5. მარი სანყის D ასოს თვლის წინამდებარე სიტყვის ბოლო ასოს შედარ გამოვრებად და მასში ვარაუდობს «Лазикит»-ს (5. Мэрр Н. А. Крещение Армян, Грузин, Абхазов и Аланов святым Григорием, Л., 1905, стр. 159—160).

ივ. ჯავახიშვილი, ნ. ადონცეზე დაყრდნობით, რომელიც ამ ადვალს თარგმნის, „როგორც დურძუთა ქვეყანას — в страну дурзуков; (6. Адонш Н. Армения в эпоху Юстиниана, книга XI, 1908, стр. 528 — იზიარებს ამ ვერსიას, რომ აღნიშნულ დასაბუღებაში იგულისხმება ქართული „დურძუთი“ ან „დურძუთი“, ი. ი. ჩიჩნების ქვეყანა (4, 118).

როგორც ცნობილია, „გროგოლ განმანათლებლის ცხოვრების“ ავტორი ავთა-ანგელოზი V ს.ში ცხოვრობდა, რადგან ნდობას ვუცხადებთ „გროგოლ განმანათლებლის ცხოვრების“ ავტორს, ამიტომ შესაძლებელია დურძუთი მოხსენიებული იყოს III ს. ბოლოსა და IV ს. დასაწყისში.

დურძუთი (როგორც გეოგრაფიული მხარე) ნახსენებია, აგრეთვე, IX საუკუნის არაბულ წყაროშიც, არაბი მწერლის იბნ-ალ-ფაკიბის თხზულებაშიც, სადაც აღწერილია ხოსრო ანუ შირვანის (VI ს.) შერ „დურძუთეში 12 კარისა და ქვის სამხარეების აშენების შესახებ (7. Караулов Н. А. Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане, СМОМПК, т. 31, Тб. 1902, გვ. 15). ნახსენებია, აგრეთვე, IX საუკუნის არაბულ ავტორთანაც, ბელაძორთან, იაკუთი, რომელმაც თავისი „გეოგრაფიული ლექსიკონი“ 1227 წ. დაამთავრა და თავის თხზულებაში იყენებს უფრო ადრეულ არაბულ წყაროთა (IX ს.) ცნობებს, ხოსრო ანუ შირვანის ამბების მოთხრობასთან დაკავშირებით ამერებს ზემოაღნიშნულ ფაქტს, რომ ანუ შირვანმა „დურძუთეში“ ააგო 12 კარი (8. თ. კაპაუშვილი, რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1988, გვ. 82).

ეთნონიმი „დურძუთი“ ზოგერთი მკვლევარის აზრით უმნიშვნელო უნდა იყოს VII ს., „სომხურ გეოგრაფიაშიც. ექვთიმე, ისინი უწოდებდნენ აქცევან აქ მოხსენიებულ ხალხს „დურძუთი“-ს“, რომელიც ფიგურირებს ჯუღაძურებთანა და დიდოელებს შორის (9. Армянская география VII в. по перевод. К. П. Патканова, СПб. М., 1877, გვ. 37).

რ. ვაგლითი იგივეებს სომხურ გეოგრაფიაში მოხსენიებულ „დურძუთი“-ს ქართულ დურძუთეთთან და აღნიშნავს: „...დურძუთის იგივობა დურძუთეთთან არავითარ ეჭვს არ იწვევს“ (10. Глагойты Ю. С. Аланы и вопросы этногенеза Осетии Тб., 1966, გვ. 164—165).

დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში სომხურ გეოგრაფიაში მოხსენიებული ტერმინი

„დურძუთი“-ის ქართულ დურძუთეთთან გულისხმობის მოხსენიება (სტრუქტურულ-მეტაფორულიანადაც). ამის შესახებ ქართულ ენაშიც არაა ხარკად და ა. რომაქიძე შენიშნავდნენ: „...აქ ამ ეთნონიმის ფორმა და აქცევი მხარის ლოკალიზაცია, რომელიც მის ქვეშაა ნაგულისხმევი, არ გვადევნებს საფუძველს ამ უთანასწორობის ანდენტიკაციისთვის „დურძუთეთთან“ (11. Харлаძე Р. Л., Робаქიძე А. И. К вопросу о нахской этнонимке «Кавказский этнографический сборник», вып. II, Тб., 1968, გვ. 24—25).

ამდენად, ჩვენ ვერ ვიზიარებთ იმ რიგი ავტორების შტაკებებს, რომლებსაც მიანიჭათ, რომ ადრეფილოლოგიური ხანაში (რომელიც IV-V სს. იფარგვლება) ვაინახების აღმნიშვნელად დურძუთთან ერთად იხმარებოდა დღიდევი, ქისტა, ნიხი და თავიანთი ამ არგუმენტაციის დასახაზობელად იმეველებდნენ VII ს. „სომხური გეოგრაფიის“ იმ ცნობების ანალოზს, რომლებსაც მოხსენიებულა ნახმარებები, კუსტეტი... ცხოველები და ა. შ.

ჩვენი მზრით დავძენთ, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წერილობით წყაროებში არსებული ცნობების თანახმად, მოცემულ ხანაში ვაინახების აღმნიშვნელად იხმარებოდა მხოლოდ „დურძუთი“. ამიტომ ჩვენ საქართველოსა და ჩიჩნეთ-იგუზეთის პოლიტიკური ურთიერთობის განხილვის დროს ჩვენებისა და იგუზეთის (ვაინახების) აღმნიშვნელად ვხმარობთ ეთნონიმ „დურძუთი“.

როცა ვეგებთ ვაინახების პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიას როგორც საქართველოსთან, ასევე ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებთან, ეს ურთიერთობა საქართველოს ისტორიის უნდა დაეკავშიროთ, რადგან აღნიშნულ ქართული ხალხმწიფობებრიობის ჩამოყალიბების გარიერაზე უნდა ვეკარავდეთ ქართლისა და ვაინახურ ტომებს შორის ურთიერთობა (12. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970, გვ. 429), რომ თვით ვაინახთა პოლიტიკური ისტორია ავ. წ. IV საუკუნის დასასრულიდან უნდა დაეკავშიროს (შესაძლებელია უფრო ადრეც, მაგრამ, წყაროების უქონლობის გამო, ჩეტქრობით, უფრო ადრეული ხანის საკითხებზე ხელი არ მიგვაწევდება, მ. ც.). რადგან ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ქართლის სამეფოს წარმოქმნას გვისახავს ფარანავის დროიდან და აქედან მოყოლებული განსაკუთრებით მრავალდგმა ცნობის საქართველოსა და ვაინახებს შორის პოლიტიკური ურთიერთობისა (13. მ. ციხეაშვილი, ჩიჩნეთ-იგუზეთი V-X სს. „მაცნე“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, № 2, 1987, გვ. 47). ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს XI ს. ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მარკელიის ცნობებს,

რომელიც, საქართველოს ისტორიას, უძველესი პერიოდის შესახებ წერისას, ეკვანს ვარსებენ უნდა ეჭვარებოდეს რადაც ისტორიულ წყაროთა მონაცემებს, სადაც მითითებული უნდა ყოფილიყო ზოგიერთი ფაქტი ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის ამიერკავკასიასთან ურთიერთობის შესახებ.

ლეონტი მროველს ქართლის (საქართველოს) სახელმწიფოს პირველი ნაბიჯები სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე დურძუკებთან კავშირში აქვს წარმოადგინილი; დურძუკი, რომელიც იყო უწარჩინებულესი კავკასიელთა შვილებს შორის, „მოვიდა, დაქდა ნაპარსსა მთისასა შინა და უწოდა სახელი თვისი „დურძუკეთი“ და უზღის ხარკს ხაზარეთს“ (14. ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 12). აქ, რათქმა უნდა, მიუღებელია ლეონტის კონცეფცია კავკასიის უძველეს ისტორიასთან ხაზარების დაკავშირების შესახებ, რადგან ისინი კავკასიის ისტორიაში ახ. წ. VI საუკუნიდან ჩნდებიან. ლეონტის „ხაზარებში“ სამართლიანად იგულისხმებათ „სკვითები“, რომლებიც მაშინ მართლაც ცხოვრობდნენ ჩრდილო კავკასიაში და ურთიერთობა მქონდათ ამიერკავკასიასთან (მე. წ. VIII-VII სს. დაწერებული მანამდე, ვიდრე მათ სარმატები შეეცვლიდნენ (მე. წ. III ს). 15. ქერ ა. კლაპროტმა, შემდეგ სხვა მკვლევარებმა აღნიშნეს, რომ ლეონტი მროველის „ხაზართა“ შემოსევები იგულისხმება სკვითების ცნობილი შემოსევა (გ. მელიქიშვილი, К исто-рии древней Грузии, Тб., 1959, გვ. 35).

„მოქცევაჲ ქართლისაჲში“ აღწერილია, რომ როცა აღდგინდნენ მაკედონელმა ამიერკავკასია დაიპყრო, მცხეთა, როგორც სატახტო ქალაქი, მიუზღობს თავის ერთ-ერთ სარდალს აზოს, არამე ქართლის მეფის ძეს, რომლითაც, შემტანის უზღვევლებით, იხსნება მცხეთის (ქართლის) მეფეთა გრძელი სია, ვიდრე მეფობის მოსპობამდის ქართლში ირანელების მიერ (VI ს.). აზო ძლიერ ავიწროვებს ქართველებს, იგი იმორჩილებს, ქართლთან ერთად, პერტის და ავრცელებს თავის ხელისუფლებას მდ. ბერდუქიდან (დღევანდელი დედეფა), ვიდრე სპერის ზღვაამდე (ტ. ა. შავ ზღვამდე). ასურაბს, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს (ეგრისს, ხარკს აუბებს ისებს, ლეკებს). ადგილობრივი პრივილეგირებული წრეების მეთაური ფარნავაზი ზღუდის აღებს ბრძოლის ინიციატივას და, ჩრდ. კავკასიის მთიელებთან ერთად, ემბრძვის აზოს (12, 488-489).

თუ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ აღწერილი ეს ამბავი სწორია, მაშინ ცხადი ხდება ის ფაქტი, რომ ქართლის პოლიტიკურ მესვეურებს უძველესი დროიდანვე მჭიდრო ურთიერთობა მქონდათ ჩრდ. კავკასიასთან, განსაკუთრებით დურძუკეთთან, რომელიც წარმოადგენდა თავშესაფარს გარეშე მტრების წინააღმდეგ მებრძოლ.

ლთოვას. ქართულ წყაროებსა მათ, ციხეშვილის „მისი“ იმპერიალ დეკლარაციის შესახებ წყაროების შემოხვევაში დახმარებას უნდა ვაძლავდებოდეთ. თეთი ფარნავაზი, მაშის სიყვდილის შემდეგ, დედასთან ერთად, კავკასიონის მთებში იხიზნება და იქიდან ემბრძვის აზოს (18. ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1978, გვ. 56-57). ამ ცნობიდან ცხადი ხდება, რომ კავკასიონის მთებში გახიზნული მომავალი ქართლის მეფე, დედასთან ერთად, თავს აფარებს დურძუკეთში. ეს ჩანს იქიდანაც, რომ მის ცოლად მოჰყავს დურძუკი ქალი. ისებთან ან ლეკებთან მისი დარჩენა შეუძლებელია, რადგან აზო მათ ხარკს ახდევინებს. დურძუკეთი კი აზოს არ დაულაშქრავს. ლეონტი ახსენებს რა კავკასიის ტომებს, არაუერთ ამბობს დურძუკების შესახებ. ფარნავაზმა ჩრდ. კავკასიის მთიელებთან ურთიერთობის განმტკიცებისა და ბერძენებთან დიდი ბრძოლების შედეგად შექმნილი სამეფო ტახტის ზღუდის ჩაგდება და ქართლის განთავისუფლება დაპყრობლებისაგან. იგი „იქმნა მთელ ყოვლსა ქართლსა და ეგრესა ზე-რა“ (14, 24).

ქართლის პირველი მეფე, ჩრდ. კავკასიასთან სამხედრო კავშირის განმტკიცების მიზნით, ენათესავება დურძუკთა ზედაფენის მეთაურს (მეფეს). ამ შემთხვევაში ურთიერთობის განმტკიცების დონისიხედვით გამოიყოფება ქორწინება, რომელიც პოლიტიკური ანგარიშით ხდება. ქორწინება ყველა ეპოქაში ენათესაური ურთიერთობის დასაფარების საშუალება იყო (ეს ენათესაობა ქართლში (საქართველოში) აქვართ დურძუკებთან (ვიანახებთან) ურთიერთობის დასამყარებლად გამოიყენა. ის სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური კავშირის დამყარების ან, თუ ასეთი კავშირი არსებობდა, მისი შემდგომი განმტკიცების საშუალება იყო. ფარნავაზი ითვალისწინებს, რომ მას ქართლში გაბატონებისათვის ჩრდ. კავკასიაში სჭირდება მაგარი ზურგის შექმნა, რომ აქაურ ძალებზე დაურდნობით შექმლოს გარეშე მტრის დამარცხება და მოჰყავს დურძუკთა მეფის ასული: „მოიყვანა ქალი ძურძუკეთი და ქნა საქართველოც ცხრა საერისთავოდ“ (18, 57). აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართლის (საქართველოს) პირველი დედოფალი დურძუკი (ჩერენი-ქისტ) ქალი იყო. ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა სამეფო სამხედრო ადმინისტრაციულ ერთეულებად (საერისთავოებად) რომ დაქუო, მაშინ ქართლის სამეფოში 7 საერისთავო იყო (17. მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V ს-ის მეორე ნახევარში, თბ., 1979, გვ. 57).

ქართლის მეორე მეფე საურმაგი (237-162 ჩვ. წ.-მდე), რომელიც დედით დურძუკი იყო, იძულებული შეიქნა, რაკი შინაურობაში მტკიცე მდგომარეობა არ მქონდა, დურძუკებს დაუარდნობოდა, როცა საურმაგმა გაიგო, რომ ერის-



თავებს მის წინააღმდეგ შეთქმულება მოუწყვი-  
აო. მაშინ მან თავი შეაფარა „კუთუანასა დურ-  
ძუაჲსა დაჲსი მათა მისთა თანა“ (14, 28)  
საურმაგს ქართლის დასურობა ხელახლა მოუ-  
ხდა. მხოლოდ საგარეო ძალის გამოყენებამ  
მისცა მას საშუალება სამეფო ტახტი ხელმე-  
ორედ დაებრუნებინა.

ისმის კითხვა — რას უნდა გამოეწვია ერის-  
თავთა განდგომა საურმაგისაგან? მეფე ცენტ-  
რალური ხელისუფლების წარმომადგენელია,  
ერისთავები კი ცენტრალური ხელისუფლების  
მოწინააღმდეგე ძალებს განსახიერებენ; ეს სა-  
ვსებით ბუნებრივი მოვლენაა — ცენტრალური  
ხელისუფლების განმტკიცებისაკენ მიმართული  
ღონისძიებები უკველთვის აწუხებს იმ ძალებს  
მისი გააფორმებულ წინააღმდეგობას, რომლის-  
თვისაც საწინააღმდეგო ხელისუფლება, რა-  
დგან მისი შექმნა ერისთავების ხელისუფლებ-  
ის შესწავლისა და შეწყვეტა უნდა მოხდეს, მათი  
ინტერესები, მეტი ადგილების ხელში ჩაგდებ-  
ის გამო, ეჭვება ერთმანეთს და ერისთავები  
იარაღს არ ურჩიან. დურძუები, როგორც გარე-  
შე მტრების, ასევე ქართული საზოგადოების  
შიგნით გაბრძოლი კლასობრივი თუ შედეკლას-  
ობრივი ბრძოლის მხრივ მონაწილეები არიან.  
როგორც ცნობილია, მეფის წინააღმდეგ მიმარ-  
თული ერისთავთა ბრძოლა შედეკლასობრივი  
ბრძოლის კონკრეტული გამოვლინებაა, გამარჯ-  
ვების შემთხვევაში მეფე სათანადოდ უხწო-  
რდება მტრებს და მეგობარ-მოკავშირეებს, სა-  
ურმაგს ასე მოიქცა. ლეონტის ცნობით, სა-  
ურმაგს წამოუყვანია თავის ნათესავთა ნახევარ-  
მა ამ გადაწყვეტილი მთიელებისათვის მეფეს  
ზოგისთვის წარჩინებულება უბოძებია, ზოგის-  
თვის საცხოვრებელი ადგილი და დაუსხია  
მთიან ზოლში“ — „დედოუთითჲან ვიდრე ეჭ-  
რისამდე, რომელ არს სუანეთი და ესე დაიპ-  
ურნა მისანდობლად თვისად დედოლინი“ (14, 27).  
ამ გადაწყვეტილი „კავკასიანელინი“ უმრავლესო-  
ბა რომ ვიანახებო იყვნენ, ერთგვარად ადასტუ-  
რებს ვახუშტიც, რომელიც წერს: „ოდეს ვე-  
რღარა იტყუდა მტრძუეთი კაცთა ბ. მეფემან  
საურმაგ ახუარა მუნიდამ და მისცა აქა(?) სა-  
ვანე და დახსნა ხელნი დიდძალინი და ამის გამო  
იწოდა სვანეთი. (საურმაგის დროს გადმო-  
ყვანილი დურძუების განსახლება საქართვე-  
ლოში ფართო ტერიტორიაზე მოხმდარა, ამას  
ერთგვარად ადასტურებს ის ტოპონიმები, რომ-  
ლებიც აქ მრავლად გვხვდება, განსაკუთრებით  
კი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და  
თავიანი ახსნას ნახურში პოულობენ).  
(14, ვახუშტი აღწერა სამეფოსა საქართველო-  
სა, 1841, გვ. 173). თუ ლეონტი მროველის  
ამ ცნობის სისწორეს სხვა წყაროების მონაცემ-  
ებითაც შევამოწმებთ, მაშინ ცხადი ხდება,  
რომ ქართლის სამეფო ჩრდ.-კავკასიასთან მჭი-  
დრო ურთიერთობაში ურფადო და სამხედრო

დახმარებას როგორც საწინააღმდეგე, ასევე  
მტრების წინააღმდეგ იქიდანვე იმეორებოდა.  
მავის მიერ ნათესავების ნახევარული  
ორი მიწეში შეიძლება აიხსნას: პირველი —  
მას სჭირდება ერთგული ქვეყნადგომები სამე-  
ფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის, მეორე  
— დაწვებული ჩანს მისი ინტენსიური ათვის-  
ება; მისი სამეურნეო განვითარებისათვის კი  
საჭირო იყო მთის მეურნეობის მოქცევა საქუ-  
თარ ობობაში. „ეს პარცესი მანგრძლივი იყო  
და, ალბათ, სხვადასხვა გარემოებათა გამო (მა-  
ნაგანის თუ გარეგანის), დროდადრო ფერხდებო-  
და, მაგრამ, რომ არსებითად იგი ამ მიმარ-  
თულებით ვითარდებოდა, ეს კი ცხადი იყო“  
(18, დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტო-  
რიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ.,  
1977, ნაწ. 1, გვ. 224-227).

ვიანახებთ ურთიერთობა ქართლთან საურ-  
მაგის შემდეგ შეცვლილი ჩანს, ლეონტი მოვ-  
ცხოვრობს, რომ ქართლის მესამე მეფის მირ-  
ვანის მეფობის დროს (162-112 წ. წ. აღ-მდე)  
დურძუებმა დაივიწყეს სიუვარული ფარნავა-  
ზისა და საურმაგისა, შემოიპირნენ სამხრეთში,  
შეუერთდნენ კართალში მცხოვრებ ადრე, სა-  
ურმაგის დროს, გადმოსახლებულ დურძუებს  
(„კავკასიანებს“) და დაარბიეს კახეთი და მახ-  
ლეთი (14, 28). თუ ლეონტის ეს ცნობა სწო-  
რია, მაშინ ხაინტყვესა რას უნდა გამოეწვია  
დურძუების გამოლაშქრება ქართლის სამე-  
ფოზე. ეს გამოლაშქრება უნდა გამოეწვია, ერთ-  
თი მხრივ, მთის სივრცოვებს და მატერიალური  
პირობების გაუმჯობესებისაკენ სწრაფვას, (რა-  
დგან მთაში მოსახლეობა განვითარების პატ-  
რიარქალურ საფეხურზე იდგა, რაც გამოწვეუ-  
ლი იყო მთიელების კარჩაკეობილით, მათი  
იზოლაციით და სამეურნეო ურთიერთობათა  
დაბალი დონით. (20, ჩრდილო კავკასიის ხალ-  
ხთა ისტორიის ნარკვევები, თბ., 1949, ნაწ. 1,  
გვ. 27); მეორე მხრივ, შესაძლებელია დაუშუ-  
ავთ, რომ ცენტრალიზებული ქართლი ცდი-  
ლობს ჩრდ. კავკასიის მთიელთა მორჩილებაში  
მოყვანას და მათ დახარკვას, ასეთ შემთხვევაში  
მთიელები მჭირად განდგომილია და აქანებით  
პასუხობდნენ შინაგანი სოციალურ-კულტურუ-  
ლი ინტეგრირების ხელყოფას. ამის არა ერთი  
მაგალითი იცის საქართველოს ისტორიაში.

ლეონტი მროველის თანახმად, მირვან მეფეს  
დურძუების წინააღმდეგ საბრძოლველად მო-  
უწოდება ქართლის ერისთავებისათვის, შემო-  
წოდება ის ერისთავები, რომლებიც საურმა-  
გისაგან განდგომილები იყვნენ და დაულაშქ-  
რავს დურძუეთი. „იქნა მათ შორის ბრძოლა  
მძლიერი“. ბრძოლაში მირვანს ზერხი უბო-  
რია: — უცნაოდ მოუვარა მურძუებს, ზედ  
კარზე შეება, სასტიკად დაამარცხა და უშუაქ-  
ცია. მირვანი, გამოკიდა მათ, შევიდა დურძუ-  
ეთს და ქართლს, მოიხრბა ეს ქვეყნები,





ყო სპირო, რათა ენერგით ხავე ველის ტომების მოზღვავებული ტალღები შეერჩებინათ. ადრეფეოდალური ხანის ქართლი, ჩანს, იმდენად ძლიერი სახელმწიფო იყო, რომ ამ ძმელი ამოცანისათვის თავის ვართმევა შეეძლო. ფრთხილად სერიოზული ძალა, რომელიც ქართლის დამოუკიდებლობას ეშუქებოდა, იყო სასანიდური ირანი. ვახტანგ გორგასლის (409-502 წწ.) მთავარი საზრუნავი ირანთან ბრძოლა იყო. ირანის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სპირო იყო, პირველ რიგში, ძალთა მოყრება და ზურგის გამაგრება, ე. ი. მთიულთა, კერძოდ „ოგსთა და შონთა, დაპირილიება“ (14, 148-151); ვახტანგმაპც აპით დაწყო, რადგან ჩრდილოეთით თავდაპირველი სახლვარი, როგორც ვარაუდობენ, კავკასიონის ქედის მთავარ შტოზე უნდა გასულიყო და ზოგიერთი პროვინცია, რომელიც შუა საუკუნეებში ქართლის სამეფოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა, ამ დროს ფაქტიურად მის გარეთ უნდა ყოფილიყო (დვადლითა, თრუსო, ზევი, პირიქით ზევსურეთით, თუშეთი). მთის ამ პროვინციების შემოზღვიცების პროცესი, უძველესი ხანიდან დაწყებული, V ს.ში დამთავრებულია: „წარვიდა ვახტანგ და დადგა თიანეთს და მუნ მიერთნეს ყოველინი მცენი კავკასიანი ორმოცდაათი ათასი მხედარი“ (14, 151). ეს უკვე მივითხრობენ, რომ V ს-ის მეორე ნახევარში დიდი ხნის პროცესი მთის შემოერთებისა უკვე განხორციელებულია; ვახტანგ გორგასალს დაუმორჩილებია კავკასიის მთიანეთი და ქართლის ვაჯლენა ჩრდ. კავკასიაში დვადლებზე, ოსებზე, დურძლებზე, დიდოეთსა და წუქეთზე ვაჯურცილება (19, 24-25): „დაპირილინა ოგსნი და ყოჩაყნი და შექმნა კარნი ოსეთისანი, რომელთა ჩვენ დარიანისად უწოდეთ და ადაშენნა მას ზედა გოდოლი მალენი და დაადგინნა მცველად მახლობლენი იგი მთიულენი“ (14, 156). თუ „ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილი ამბავი სინამდვილეს შეეფერება, მაშინ ცხადი ზდება, რომ ვახტანგისთვის სპირო ვამბდარა დარიალის კარის ზელმეორედ შექმნა, ან შესაძლებელია მან განაახლა იგი, რადგან გზა მინაშდეც გამაგრებული იყო (24. ს. ჭანაშია, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 251-252) და ადგილობრივ მთიელ ტომებს დაავალა მისი დაცვა. რაც შეეხება ყოჩაყნთა ხუნებას, ეს ანაქრონიზმია, რადგან V ს.ში ყოჩაყნთა ხუნება ჩრდ. კავკასიაში ჭერ არც კი ყოფილა (25. გ. თოგოშვილი, საქართველოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამდეგამდე), თბ., 1958, გვ. 87).

ვახტანგის მიერ კავკასიონის გადასასვლელუბის დეტრას ადასტურებს ისიც, რომ მას მოლაპარაკება გაუმართავს ჰუნებთან და პირობაც მიუღია მათგან, რომ საქიროებისას ჭარს მიაშველებდნენ. ლაზარ ფარაბეი ვამოჯვეყნს,

რომ აქანუბის წინ ვახტანგს ვამოუცხადებია. „მე ბრძოლას არავის დავანებდი“ მისთვის განდმოვიყვან, რომ სპარსეთის ვახტანგს ვაჯურცილება“ (26. ლ. ჭანაშია, ლაზარ ფარაბეის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1982, გვ. 243-244). ვახანგი ელოდა მონთა ჭარს, მაგრამ პირობა რატომღაც არ შეხრულდა (27. საქართველოს ისტორიის წარკვევები, ტ. II, 1978, გვ. 100).

ისმის კითხვა — დაპირების შემთხვევაში, რატომ არ დაეხმარნენ ჰუნები ვახტანგ გორგასალს? დასმულ კითხვასთან დაკავშირებით შესაძლებელია დავუშვათ, რომ, როგორც „შუშა. ნაიის წამებიდანაც“ ჩანს, ირანელებს ვარქსენი — ქართლის პიტიანში ვამოუყენებიათ სალამქროდ განთქმული ჰუნების წინააღმდეგ, რომლებიც იმხანად ჩრდილო კავკასიის ველებზე ბინადრობდნენ და სიცოცხლეს უმარებდნენ ირანელებს. ირან-პარსების ფრონტი დარუხანდის რაიონში გამართულა (24. ტ. I. 1949, გვ. 10). ალბათ, ამხოდეთ ჰუნებს ქართველთა აღნიშნული ლაშქრობა მათ წინააღმდეგ და პირობა ამიტომაც არ შეუხრულებიათ.

V ს-ის. მეორე ნახევარში ამიერკავკასია ორი ძლიერი სახელმწიფოს — ბიზანტიისა და სპარსეთის ინტერესების სფეროში იშუაფება. ბიზანტია — ქართლის, სპარსეთი — ლაზიის დასაპრობად მიისწრაფვის. ამ ნიადაგზე წარმოშობილი შეტოკობა, რომელიც სისხლმღვრელ ბრძოლებში ვადიარდა, საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა. ბიზანტია-სპარსეთის ამ შეტოკობაზე ამიერკავკასიაში და მასთან ბრძოლაში კავკასიის მთიელი ტომები (მათ შორის დურძლებიც, მ. ც.) იქნენ ჩართულნი. რადგან სასანიდების ტერიტორიული ექსპანსიის გეზი უმთავრესად კავკასიისკენ იყო მიმართული. მთელი კავკასიის დაპრობა და აქედან რომელითა საბოლოო გაყვება, სასანიდების სავარყო პოლიტიკის სანუყვარი მიზანი იყო (24. ტ. I, 1949, გვ. 2). ჩრდ. კავკასიელი მთიელების ურთიერთობას ლაზიის სამეფოსთან მიუთითებს ის ფაქტი, რომ რომელითა დამარცხების შემთხვევაში გუზანი აფრენდა ხოლმე შიკრიებს, რათა შეეტყობინებინათ იბერიაში ზვანთა ტომებისათვის, კავკასიის ვადამა მცხოვრებ ბარბაროსებისათვის, უფრო შორს, მთის იქითაც კი (28. ტ. III, 1938, გვ. 147). საქართველოში (კერძოდ ლაზიეთში) მომხდარი ამის შესახებ.

„იშერატორ იუსტინე I (527-565 წ.) მსოფლიო იმპერიის შექმნაზე ოცნებობდა და ამიერკავკასიაში თავისი სახელმწიფოების შემდგომ გაფართოების ცდილობდა (25, 88), ამიტომ ამ ორი სახელმწიფოს ინტერესები ძლიერ შეეჭაბა ერთმანეთს კავკასიაში. 562 წ. ირან-ბიზანტიის შორის დადებული საზავო ზელმეორულების პირველი მუხლი თავისიწინებდა,

რომ სპარსელები ნებას არ აძლევდნენ არც ქუჩებს, არც აღანებს (მთა შორის დურძუყებს, ს.ც. მ. ც.) და არც სხვა ბარბაროსებს ეგრეთ-წოდებული ჩორისა და კასიის კარების შესავალი ვიწროებით გადასულუყვენ რაშაელთა საშლობელოების წინააღმდეგ (28. ტ. III, გვ. 216-217). აქ აღმოსავლეთ კავკასიონის მთავარი გადასასვლელები — დარიალი და დასუბანდი იგულისხმება (19, 189). მაგრამ საუბროვ დამავლეთ საქართველოს ფარგლებში მოქცეულ ზეკარებსაც საამისოდ დიდი მნიშვნელობა მქონდა. „ოქვენ, აღმათ, იყით, ეუნებთან ელტები შაჰს, რომ ლაშთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა“ (28. ტ. II, 81).

V. VI სს. სასანიდები შეუჩერებელსა და მძიმე ბრძოლებს აწარმოებენ კავკასიონის სანაპიროზე და ეძლეობდნენ ჩრდილო კავკასიელი ტომების მუდმივი თავდასხმებისაგან დაიცვან თავი. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციათ კავკასიის სათანადო წყაროებსა და ზღვის კარებისათვის (24. ტ. I, გვ. 3). რადგან გამრავლების შედეგად ეს ტომები ვეღარ ეტოვდნენ თავიანთ სამშობლოში, სპოვრებისა და ალაფის მძიმეული ტალღების სახით ეფუნებოდნენ შეზოგელ ტერიტორიებს, სადაც ზოგჯერ მებრუნების გაცვლასაც ახერხებდნენ, ზოგჯერ კი ძალიან ღრმად იჭრებოდნენ სამხრეთის ქვეყნებში და ყველაგან ცოცხლი და მახვილი მიქონდათ, ხშირად კი სენციალურად, როგორც საუცხოო მეომრებს, იწვევდნენ; ისინი მზად იყვნენ ქირით უოველგვარი სამხედრო დავალება შეესრულებინათ (24. ტ. I, გვ. 184). ამიტომ იყო, რომ ზემოთ აღნიშნული ზავით კარები (იგულისხმება დარიალის კარი, მ. ც.) ორივე სახელმწიფოს სავრთო ზარჩებით დაცვას ითვალისწინებდა. კასიის კარები პ. კესარიელის ცნობით წარმოადგენდა საბაზს ბიზანტიისა და სპარსეთის სამხედრო ოპერაციების განხლებსა, ვინაიდან კავკასიის მთების გადაღმა დაშვიდრებული ტომები ამ კარებით შემოდიოდნენ სპარსეთსა და ბიზანტიელთა მიერ დაკავებულ ადგილებში (28. ტ. II, გვ. 239). რადგან ამ გზას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა მქონდა კავკასიონის სამხრეთით მდებარე ყველა სახელმწიფოსათვის (24. ტ. I, გვ. 184), ამიტომ უნდა უფილიყო ამ კარებით დანტერესებული რომის მთავრობაც, რომელიც წინა აზიის თავის მტკიცე დაშვიდრების საკითხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა (28. ს. ჭანაშია, საქართველოს ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, თბ., 1987, გვ. 50).

ს. ჭანაშიას მოსაზრებით, „იბერიის როლს რომისათვის ზრდიდა ის გარემოება, რომ მის ტერიტორიაზე მდებარეობდა ჩრდილო კავკასიიდან სამხრეთით გადმოსასვლელი ის მნიშვნე-

ლოვანი გზები (დარიალის გზა და სხვ.), რომელთა საშუალებითაც მას უკუნიშნულს უკუნიშნულს ჩრდილოეთ კავკასიის მნიშვნელოვანების (მთა შორის დურძუყების მ. ც.) დაქირავება და თავისი ნება-სურვილის მიხედვით სამხედრო საქართველოსათვის გამოყენება“ (24. ტ. I, გვ. 183-185).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“–ს ავტორი წერს: „ქართლში მეფობის დასრულების შემდეგ (582 წ.) სპარსელები ქართლში ძლიერდებიან, იპყრობენ მერეთს, სომხეთს, კავკასიონის გადასასვლელებს საგანგებოდ ამარტებენ; „აიქნეს ერთი დიდი კარი ოცეთისზე და ორნი, დვალეთს და ერთი პარტუანს დორმოკეთოსა და მთიულნი გამოყრდად დაადგინეს“ (2, 728-729). ამით სპარსელებმა ქართველებს ჩრდ. კავკასიის ველებში მომთაბარე ტომების მხრიდან დახმარება მოუსხებ და თავიანთი სახელმწიფო ჩრდილოეთის მხრივ უზრუნველყვეს (27, 247).

ბ. სკიტსკი წერს, „მე-8 საუკუნეში სპარსელებმა ხელში ჩაიგდეს ამიერკავკასია, გაამარტეს გადასასვლელები მთის ზოგბებში, აღჭურვეს კედლები კარებით, ყერძოდ აისხეს ხეობაში (პარაჩუანე დურძუყეთში), და შექმნეს ადგილობრივი მოსახლეობისაგან ამ კარების დაცვა“ (29. Снитский Б. В. К вопросу о феодальный отношения в истории ингушского народа, Известия, т. I, вып. I, История, Грозный, 1959, გვ. 167).

მთიულთა გომარდად დადგენისათვის, ე. ი. დურძუყებისა და, საერთოდ, კავკასიის მთიულ ტომთა გამოსაყენებლად სავარსებო მოსახლეობისათვის ამ სტრატეგიულ გზაზე, ქირა იყო სპიროვ გარდა ამისა, საკუთარი მეციხოვნე ჭარის გარეშე ირანელები აქ ვერაფერს გააწყობდნენ, რადგან სისტემატურ ხასიათს იღებდა ჩრდილოეთიდან მოწვევებული ბარბაროსების შემოსვლა (28. ტ. III, გვ. 147), ეს კი უზარმაზარ ზარტებს მოითხოვდა ირანის მთავრობისაგან (24. ტ. I, გვ. 5).

შაბურ I დროს, „ზორიასტრის ქაბიზე“ ახლთი წარწერა: „მე ირანის ზღბოა მფლობელი ვფლობ ქვეყნებს: პერსიდას, პართიას..., ასირიას..., არმენიას, იბერიას, მახლონიას, აღბანიას..., ეიდერ ებ(?) მთებამდე და აღანთა კარამდე“. წარწერის ეს ნაწილი განსაკუთრებით საინტერესოა, რადგანაც აქ მთელი ამიერკავკასია, კავკასიის მთებამდე, აღანთა ანუ დარიალის კარამდე და იალბუზამდე, სპარსეთის შაჰინ-შაჰის საშფლობელოში არის შეტანილი“ (60. ნ. ლომოური, ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბ., 1975, გვ. 21).

„მოქცევაჲ ქართლისაჲში“ მოთხრობილი ამბიდან ჩვენთვის საინტერესოა „დორმოკეთის კარი“, რომელიც, აღნიშნულიდან გამოდინარე, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქარ-





თველო-ვიანახების ურთიერთობაში. თუ VI საუკუნემდე ახალი წ. აღ-სა დურძუების დაკავშირება ქართლთან დარიალის გზით ხდებოდა ამიერიდან უკვე ქართლს წყაროებში მოხსენიებულია მეორე გზა, რითაც ხდება ვიანახების დაკავშირება საქართველოსთან. ვახუშტი ამ გზის შესახებ წერს: „ჭარიებს ზეით არის ქისტეთი — ქისტეთს ზეით დურძუეთი და აქედან გზები გადადიან კავკასიელთა ზედა ხევს, ფშავ-ხევსურეთს, დლიდეთს და ჩერქეზთა ში.“ (16, 852). ამ ცნობაში აღნიშნული კარი დორძუებისა, ძველი ქართული ტერიტორიული სახელია, არის კავკასიონის საუღელტეხილო გადასასვლელი, რომელიც კახეთიდან დურძუეთს კვეთანაში მიემართებოდა. „დურძუეთის კარი ფშავ-ხევსურეთიდან ჩაჩხ-ქისტეთში მიმავალ გზას კეტავდა“ (24, ტ. I, გვ. 4-5).

VI საუკუნის 70-იანი წლებიდან ბიზანტიამ მხარს უჭერდა კავკასიის ხელთა ბრძოლას სპარსული დამპყრობლების წინააღმდეგ. ისარგებლა რა სპარსეთში ატეხილი ბრძოლებით, იმპერატორმა მავრიკემ 591 წ. ქართლი თბილისამდე მიიღო, ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველოც ბიზანტიის გავლენაში ექცევა და საქართველოს ჩრდ. კავკასიის მთიელებთან ურთიერთობაც ამიერკავკასიაში ბიზანტიის ინტერესების შესაბამის ხასიათსღებულობს.

VI ს. დასასრულიდან დურძუების ურთიერთობა საქართველოსთან, ვარაუდით ფაქტორების ზეგავლენით, რამდენადაც ზუსტდება.

ჩვენ ვერ ვაიზიარებთ ბ. სკატსის თვალსაზრისს, როცა წერს — „მე-VII ს-ში იწვეუებოდა (დურძუეთზე, მ. ც.) სპარსეთის გავლენა შეიკვალა ფეოდალური საქართველოს გავლენით (29, 168). რადგან ქეროვანა თვალსაზრისითისათვის უკველივე ამის შესახებ უნდა უფილიყო მოცემული სათანადო განმარტება, მეროც, ცნობილია რომ VII ს. დასაწყისიდან ჩრდ. კავკასიის ველებზე დამკვიდრებული ხაზარები ძლიერ ავიწროებდნენ ამ მცხოვრებ მთიელ ტომებს (მათ შორის დურძუელებიც, მ. ც.), უფრო მეტად, ხაზარები ხშირად ახერხებდნენ დარიალის კარით ქართლში შემოჭრას, მათ შემოჭრას თბილისის აღებაც კი მოჰყოლია შედეგად (რაც უნდა მომხდარიყო 627 წ.).“

VII-VIII სს. ჩრდ. კავკასიის მთიელები, მათ შორის დურძუელები, არაბთა მოწოდება განიცდიდნენ. არაბებს ჩრდ. კავკასიაში დამკვიდრებულ ხაზარებთან ბრძოლის პროცესში უხდებოდა შეჭარბება ჩრდ. კავკასიის მთიელებთან, რომლებიც გადმოსასვლელი გზების მიდამოებში ცხოვრობდნენ. არაბები ცდილობდნენ დარიალის კარის ჩაქეტვას, როგორც ამას თავის დროზე სპარსეთს აკეთებდა. აღნიშნული გზის ჩაკეტვით არაბებს სურთ ხაზართა შემოსევების თავიდან აცილება (29, 160). მურვან ურუს შემოსევებისას (786-788 წწ.) საქართველოს წარჩი.

ნებულები კავკასიის მთებში აფარებდნენ თავს. რის გამოც მურვანაც მახვილი სწრაფი წარმართა: „უკველნი შოაჯარნი და ქიტანენნი, ხათხავნი ერისთავთა და წარჩინებულთანი შეიმეორტნენ კავკასიად, და დაიბაღნენ ტუეთა და ღრეთა და მოვლენ უურმან ურველი კავკასია და დაიპურთ კარი დარხილისა და დარუბანდისა და შემუსრნა უკველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი უკველთა ხაზვართა ქართლისათა“ (14, 234). მურვანს, ხალიფა ჰიშამის ბრძანებისამებრ, მთელი თავისი მხედრობით, ქსნით, დარიალის კარი გუღია და ხაზარნი დაუპარცებია. 787-782 წწ. ძლიერპოსილი ლაშქრობა ჰქონია კავკასიასა და იმერკავკასიაში, ისე რომ, დაუმორჩილებია და ვაჟშამადიანებოდა, რასაკვირველია იძულებით, ხაზარნი, აუღია დადესტნის მთელ კვეყანა, ხაშურის სანახები და შაბირნი, ლეკეთი, ტახსარინი და დიოლენი (4, ტ. II, 1868, გვ. 79). ამ დარბევს ვერც დურძუეთი ასდებოდა, რადგან მურვან ურუს დამორჩილებული ჰუავდა მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასია. (23, ტ. II, გვ. 875). არაბებმა დარიალი და აღმოსავლეთ კავკასიონის სხვა კარები და კვეყნებიც დაპირეს და თავისი თავი ჩრდილოეთით უზრუნველევდნენ (4, ტ. II, გვ. 87).

VIII ს. მეორე ნახევარსა და IX ს. დასაწყისში, ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლების ვადიერების შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე წარმოიშვა დიდი ფეოდალური საიფო.სამთავროები: აფხაზეთის, კახეთის, ჰერეთის, ტაო-კლარჯეთის — შემდეგში ქართლის. ამ ფაქტმა დურძუეთი დაუკავშირა ისეთ სამთავროს, რომელთადაც მას საერთო საზღვარი და სამომავლო გამოსაყენებელი გზები აკავშირებდა. ფეოდალურად დაქუცმაცებულ საქართველოში ასეთ პოლიტიკურ ერთეულს დურძუეთისათვის კახეთის სამეფო წარმოადგენდა. ამიერიდან დურძუელების (ვიანახების) ისტორია საქართველოსთან, კახეთის სამეფოსთან ურთიერთობაში ვლინდება: XI საუკუნისათვის, როდესაც „რანთა და კახთა სამეფოს“ ეთნიკურა სტრუქტურა მკაფიოდ გამოიკვეთა, დურძუელები და ლილევები, მის ორგანულ ნაწილს შეადგენდნენ, კერძოდ, ისინი ადმინისტრაციულად კვეტურის ერისთავის გამგებლობაში შედიოდნენ (8, 77). თემურლანგ ბაგრატიონი აღნიშნულს შესახებ წერს: „ხოლო დლიდ-დურძუენი არიან ნაწილსა შინა კახეთისასა, კავკასიის შთაბა შინა მცხოვრებულნი (31, თ. ბაგრატიონი, ისტორია ივერიისა, 1848, გვ. 86).

ამრიგად, უძველესი დროიდან მოყოლებული დურძუელები (ვიანახები) საქართველოსთან მჭიდრო პოლიტიკურ კავშირში იმყოფებოდნენ და ერთიანი ძალით აბრძოდნენ რომელიც, სპარსელები და არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ.





## „სახე დიდი ქართველისა“

რუსეთში შეფრილმა განუერტნებელმა სენმა — ფილტვების ქუქქმა, საშუალება აღუცვითა აღუქსანდრე ხახანაშვილს ღვწისა და სამშობლოს სასიკეთო შრომბა, 1866 წელს გორში დაბადებული იგი სამარაში (ახლა კვიბიშვილი) გარდაიცვალა 46 წლისა. მისმა პატივისმცემლებმა — მხრტველი მასწავლებლის ნაადრევი სიყვლილით დამწებრებელმა მოწაფეებმა, ამხანაგებმა და ნათესაებმა მისი ნეშტი თბილისში ჩამოსაყვენეს და დიდების ეკლესიის ვალაყინში დაკრძალეს. ბევრი სამგლოვიარო სიტყვა ითქვა და დაიწერა ალ. ხახანაშვილზე, მისმა სიყვლილმა და დასაფლავებამ ერთხელ ყოფიერ დაანახა ქართველთა საზოგადოებას მისი შრომის არსი და რაობა.

აყავი წერითელი, რომელიც რაჭაში ტრიუმფული მოგზაურობიდან ახალი დაბრუნებული იყო, სასწრაფოდ თბილისს გამოემგზავრა, რომ, როგორც თვით ამბობდა: „დასაფლავებას დაესწრებოდი და ერთხელ ყოფიერ ჩამეგებდა უკანასკნელად გულში სახე დიდი ქართველისა“. თავის მოკლე სიტყვაში აყავიმ აღნიშნა ალ. ხახანაშვილის დიდი დამსახურება ერისა და სამშობლოს წინაშე: „შეიძლება ზოგმა არც კი იცოდეთ, თუ ვინ იყო პროფესორი ხახანაშვილი. არც იცოდეთ მიტომ, რომ აჭ, ჩვენში, ძვირად უოფილა განსვენებული. იმას ზედმა არგენა ეუცხოეთში ყოფნა, საიდანაც მთელი მისი კუთვარებით შეძლებისადაგვარად ემსახურებოდა სამშობლოს და იმ შორიდან უნათობდა“. მხოცვანმა პოეტმა ალ. ხახანაშვილზე თქვა, რომ მან, განსვენებულმა პროფესორმა თავისი პირადი ცხოვრება შეზღუდა იმ განზრახვით, რომ თავისი ოფლითა და შრომით მონაგარი დაეტოვებია ქართველობისათვის საშეილოშვილოდო. ამ დიდებულმა ქართველის მიმბაძველებს მიმართავდა პოეტი, რომ განსვენებულის სახელი საუკუნოდ სახსენებლად დარჩენილიყო.

თუ რა გაუცეთებია და რამდენი შესაძლებია პროფესორ ალ. ხახანაშვილს, იმის დანახვა მან იქნება შესაძლებელი, როცა მის ნამოქმედარს, ნაწერებს და ნახუტლებს გაითვალისწინებ

ალ. ხახანაშვილის ცხოვრებისა და მოგვარების ამბავებია დოკუმენტების ცნობარო. შედგენილი ვახტანგ გურგენიძე. 1886 წ.

ნებს ადამიანი, როცა გადახედავს მის ნიჭარს და ნაზრეტს, რომელთა შედგეი ქართულად, რუსულად და ვერსოვლ ენებზე დაბეჭდილა და გამოქვეყნებულა მის სიტყვებში.

ალ. ხახანაშვილის შრომის ნაყოფის ჩვენებას ემსახურება საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის მიერ 1986 წელს გამოცემული წიგნი — „ალ. ხახანაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტების ცნობარო“. შედგენილი ვახტანგ გურგენიძის მიერ (რედაქტორი გ. ციციშვილი, რეცენზენტები მ. ქავთარია და ვ. გუგელი).

სამწებაროდ ეს ცნობარო სამსახურებრივი სარგებლობისათვის არის გამოცემული, ერთობ შეზღუდული ტირაჟით (500 ცალი). ამასთანავე, ასევე სამწებაროდ და მკითხველისათვის საეალოდ, იგი ქსეროქსნება დაბეჭდილი, თანაც მეტად ექსპლესმგებლოდ, რადგან ტექსტის არა მხოლოდ ასოები, არამედ სტრიქონებიც ვერ გამოსულა მართებულად და წასაყითხავად ძნელია წიგნაყის მრავალი გვერდი შვეი ლაქებითაა აღბეჭდილი, არა და, მას ცნობარო ეწოდება, რომლის ერთადერთი დანიშნულება ის არის, რომ დაინტერესებულმა უკლებლივ ცნობა ამოილოს წიგნის კაბილონებიდან.

მეგრამ, ფაქტი მომხდარა, ჩვენს წინაშე დიდი მონდომებით შედგენილი ცნობარო დგეს იმ სახით, როგორითაც იგი მიაწოდეს მკითხველსა და მომხმარებელს. ისიც საყითხავია: რატომაც იგი მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისათვის, როცა ალ. ხახანაშვილის ღვაწლის აღრიცხვა მარტო მოსამსახურეთა დასაყმაყოფილებელი კი არა, ქართული კულტურის ისტორიის ვეელა პირისათვის არის მნიშვნელოვანი და საინტერესო. ამიტომ ასეთი მშენიერი ნაშრომი-ცნობარო უნდა სტამბურად დაბეჭდილიყო და სერიოზულ ნაშრომს შესაფერისი სახეე მისიყემოდა.

მიუხედავად ამისა, ცნობარო მონც იძლევა იმის საშუალებას, რომ წამკითხველმა გაითვალისწინოს ალ. ხახანაშვილის დაუღალავი შრომისა და ღვაწლის შედგეი.

ალ. ხახანაშვილი მოსკოვში ლაზარიათ ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს ქართულ სიტყვიერებაში. პარალელურად ქალთა ორ გიმნაზიაში მასწავლებლობდა. ამასთან, ვიდრე

შესაძლებლობა ჰქონდა, აწყობდა ექსპედიციებს სამშობლოში, სწავლობდა ეთნოგრაფიას, ქართულ ხელნაწერებს რუსეთში, ევროპის ქალაქებში, იძიებდა ქართული კულტურის ბუნდებს წინა აზიაში. დაუღალავი იყო იგი მკვლევარი და თავისი სამშობლოს წარსულის აღგზნებული მეცნიერი. მისი მდიდარი ბიბლიოთეკა ლაზარაანთ ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ ერევანში გადავიდა ინსტიტუტის ქონებასთან ერთად.

ნერციან იფიქრებდა, რომ ამ ცნობარს დაბეჭდვამდე ალ. ხახანაშვილის მემკვიდრეობა ხელულებელი ყოფილიყოს. ბევრმა ქართველმა მკვლევარმა შეისწავლა მეცნიერის მემკვიდრეობა, მისი ხელნაწერები, არქივი. ბევრი რამ არის გამოქვეყნებული და გამოშვებებული ამ არქივიდან. მაგრამ როცა ამ ცნობარს მიხედვით მეოთხეული ეცნობა პროფესორის დანატოვარს, როცა ერთად იქნა თავმოყრილი სხვადასხვა საცავებში შენახული და დაცული მემკვიდრეობა მკვლევარი პროფესორისა, ახლა სულ სხვა ღირებულება ეძლევა მის ნამოქმედარს, რამდენი უშროშია და უწერია განსვენებულ მეცნიერს. ვაგდაშ! ბევრი ნაშრომი მას დაწერიული და დაუმთავრებელი დარჩენია!

ვაგდაშ გურგენიძე მცირე წინასიტყვაობაში ცნობარის ხასიათსა და მნიშვნელობაზე ამახვილებს მეოთხეულის ყურადღებას. შემდეგ მეოთხეული ეცნობა ალ. ხახანაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვას (გვ. 6-27), რომელშიც ავტორს მოტანილი აქვს ამონაწერები ამ წერილებიდან, რომელნიც დაუწერიათ დავით ხაბუტაშვილს, ნიკო ცხევიძეს, იაკობ გოგებაშვილს, ლუარსაბ ბოცვაძეს, პორფირ დგუბუაძეს, იროდიონ ევდომვილს, შიქვლ თამარაშვილს, კოტე მარჯანიშვილს, გიორგი სამაგლიშვილს (შემდეგ კათოლიკოს კირიონს), აბტრე ლაისტს, დამიბ ურადროებს, კონანტი კეკელიძეს, ილია შაქვიძეს.

ყველას ჩამოთვლა ძნელია. მეოთხეულმა თვით ცნობარს უნდა მიმართოს და გაეცნოს შეტად მნიშვნელოვან მიწერ-მოწერას, რომლისაგან გამოქვეყნებული ძლიერ მცირე ნაწილია. ეს მიწერ-მოწერა, ე. წ. ეპისტოლური ლიტერატურა, იძენად მნიშვნელოვანი და ძვირფასია, რომ ძნელად თუ შეიძლება შეფასდეს იგი. არა და, რამდენი ამისთანა პირველხარისხოვანი მასალა არის დაცული არა მხოლოდ ალ. ხახანაშვილის არქივში, არამედ, ზევან სიძველდის საცავებში. როგორ შეიძლება საზოგადოებრივი აზროვნება შესწავლილად ჩაითვალოს, როცა ჯერ არ ვიცით სად რა და როგორი ხარისხის მასალები არის თავმოყრილი. ჯერაც არ მოგვეპოვება ქართულ მუზეუმთან ხელნაწერების აღწერილობანი. ჯერ არ ვიცით რა საგანძურია თავმოყრილი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, რადგან არ დამთავრებუ-

ლა 1946 წელს დაწყებული „აღწერა-აღიწერა“ გამოცემა, არ არსებობს გ. კეკელიძის ხელნაწერების ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობანი, არ არსებობს ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, არ არსებობს საქართველოს მუზეუმებში დაცული მანუსკრიპტების აღწერილობანი (იმეათი გამოანაკლისის გარდა), არ ვიცით, სად რა გვაქვს და რა ხასიათისა, ავტრ, XX საუკუნე იწერება და დიდ შესვენოთა მიერ (ივანე ჯავახიშვილის, ევთიმი თაყაიშვილის, ნიკო შარის, მოსე ჯანაშვილის, დავით კარიბაშვილის...) დაწყებული ქართულ ხელნაწერთა შესწავლა სანახევროდაც არ არის დამთავრებული: „როდემდის, როდემდის, საუკველო მიწა-წყალი?!“

წინამდებარე ცნობარში გ. გურგენიძეს შეტანილი აქვს სსსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის ალ. ხახანაშვილის პირადი ფონდის (№ 171) აღწერილობა. ფონდი შემდგარა სახელმწიფო საისტორიო არქივისა და სახალხო განათლების მუზეუმის მასალებისაგან და შეიცავს 116 შესანახ ბრთველს — მეცნიერის შემოქმედებით მასალებს, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და ბიოგრაფიის ამსახველ მასალებს, მასთან მიწერილ წერილებს, გამოსახულებით მასალას, მეცნიერისაგან შეკრებილ ხალხური სიტყვიერების ჩანაწერებს, ათონის ივერთა მონასტრისგული ხელნაწერების პირებს და სხვ.

ცნობარში შეტანილია ცნობები სსსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ მეცნიერის ხელნაწერებზე: ბიოგრაფიული, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და საშაბრებრივი საქმიანობის მარჯვენებზე. აქ არის დიდძალი მიწერ-მოწერა ალ. ხახანაშვილისა ნიკო შართან, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იფიციანთან, პრასკოვია უვარკაიასთან, ბარბარე და სოფიო ამირაჯიბიძეთან. აქვეა წერილები დომინიკო ეკრისთავისა (ჯანდელიძისა), ქეთევან ჯავახიშვილისა, იზაბელა პრინცესაისა, გიორგი თუმანიშვილისა, ივანე ტბორევესკისა, რაფელ ისრაილიშვილისა, ისიდორე კვიციანიძისა, კრიონ ეპისკოპოსისა, ფილიპონ ლაფერაშვილისა, ესევილოდ მილერისა, მორაფილისა, ნიკო კორდინასი, ოლივერ ურადრობისა, დავით დამბაშინისა, ჰუგო შეხარდტისა, მოსე ჯანაშვილისა და სხვათა და სხვათა. აქვეა მასალები თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის, თბილისის საგუნებრივი სათავადაზნაურო დეპუტატთა საყრდებრის, ქართულთა შორის წერა-კითხვის გამოარკველებული საზოგადოების, საქართველოს ეგზარქოსის კანცელარის, ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების, თბილისის სასულიერო სემინარიის, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის ცენტრალური საისტორიო არ-

ქივეზია (ამისათვის ვ. გურგენიძეს უსარგებ-  
ლია შალვა გოზალიშვილის მიერ შედგენილი  
აღწერლობით) ვ. ლუონიძის სახელობის ლიტერ-  
ატურული მუზეუმის, განათლების სამინისტროს  
სახალხო განათლების, გიორის საისტორიო-  
ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები.

მატო ამ დამწებებლებათა ჩამოთვლა, შემ-  
დეგ კი პათო დაუღ მისალათა და საბუთთა  
დასახელებუ გვადლებს წარმოდგენას იმისა, თუ  
რა მნიშვნელობისაა წინამდებარე ცნობარი და  
რა ადგილებელ წყაროს წარმოადგენს იგი ქა-  
რთული საზოგადოებრივი და მეცნიერული აზ-  
რუვნების ისტორიისათვის.

ვ. გურგენიძე არ დაუმოყოფილებულა მხო-  
ლოდ სხვადასხვა ხელნაწერი ფონდებიდან აღ.  
ხაზანაშვილთან დაკავშირებული მასალის ამოყ-  
რფითა და თავმოყრით. ცნობარის 177-246  
გვერდები მას დაეთმია ათონის მთის ქართველ  
ბერ-მონაზონთა წერილების ტექსტისათვის,  
რომელნიც აღ. ხაზანაშვილისათვის გამოუგზავ-  
ნია და შეეხება ათონის ქართველთა მონასტრის  
ისტორიას. ამ მონასტრის მთავარი პირნი თვით  
ვ. გურგენიძეს ჰყავს დახასიათებულნი და ეყ-  
რდნობა მანანა მამხანელის პუბლიკაციას, რომ-  
ელიც შეიცავს ანონიმი ბერძენი ისტორიკოსის  
ნაშრომს „ქართველთა მონასტრის კტიტორთა  
ცხოვრება“ და მოცემულთა წყაროებზე დაყ-  
რდნობილი ცნობები, თავმოყრილი XVII საუ-  
უნის ბოლოსა და მომდევნოს დასაწყისში.

თვით ბერძენისაყ დაფასებულ<sup>1</sup> ჰყავდათ  
ათონის ქართული მონასტრის საფუძველმდებ-  
ლნი და დიდად მნიშვნელოვანი მოღვაწენი იოანე,  
ეკეთიმე და გიორგი.

უკანასკნელი ქართველი ბერ-მონაზონი ტი-  
ხონ ფულავა ათონზე 1956 წელს გარდაიცვალა  
თუმცა მას ის უფლებები აღარ ჰქონდა  
იყარონში, რაც ისტორიულად ეკუთვნოდა.

აღ. ხაზანაშვილისათვის ათონის ივერია მონ-  
ასტერში ჩვენი საუცუნის დასაწყისში მსახურთ  
მკაცროს, იონას, თეოდოსეს, ილიას წერილები  
მოუწერიათ, რომლებშიც ქართველთა შევიწრო-  
ვებასა და გაჭირვებაზე ლაპარაკი. ამასთან,  
აღ. ხაზანაშვილს უგზავნიან ასლებს ქართული  
ხელნაწერებისა. ეს ჩამდენიმე წერილი მშვენი-  
ერი საბუთია იმისა, თუ როგორ ავიწროვებ-  
დნენ ბერძენი ბერები ქართველებს ქართველ-  
ების მიერ დაარსებულ მონასტერში, როგორ  
ცრთობდნენ ბერძენები რუსეთის საეკლესიო  
შთავრობის წინაშე და სხვ. „უნიადგან თქვენს  
შეტი ერთგული და დიდი განათლებული პირი  
თქვენზე უფრო ჩვენ არავინ გვყავს, ვის უნდა  
მივმართოთ, ან ვის უნდა ვსთხოვოთ რჩევა.  
ქართველნი მოღვაწენი სამშობლოსთვის ათონ-  
ზე ოცდათექვსმეტი წელიწადია რაც ტანჯვა-  
ში ვართ. რაც კი რამე გვექონდა, შემოგველია.  
აჲ, ბატონო ილქსანდრე, რას გვიბრძანებთ,  
სიგლახათ დავემორჩილოთ ქართველნი ბე-

რძენებს, თუ კიდე მოველოდეთ რასმე სხვა ნუ-  
გვშინისცემას?! (გვ. 229). ასეთებზეც უნდა  
წავხედოთ, რომლებიც აღ. ხაზანაშვილის  
ივერონიდან.

ვ. გურგენიძე ცდილა, რაც შეიძლება ბევრი  
მასალა შეეტანა ცნობარში ამ დაუღდავი ქა-  
რთული მეცნიერ-მოღვაწის შესახებ. ცნობარ-  
ში შესულია 1891 წელს აღ. ხაზანაშვილისაგან  
ქუთაისში გამოცემული გეგრების სია (70 სა-  
ბუთი), აღ. ხაზანაშვილის წერილები პარიზის  
ნაციონალურ ბიბლიოთეკაში და ბრიტანეთის  
მუზეუმში დაუღ ქართულ ხელნაწერებზე.

ცნობარის ერთის აღ. ხაზანაშვილის ქა-  
რთულად გამოქვეყნებული შრომებისა და წე-  
რილების („საწიწხაროდ არასრული“) ბიბლიოგ-  
რაფია, მოშაღებული რუსულენოვანი ბიბლიო-  
ოთეკის მიერ. რატომ მოხვდა ცალკე ნომრად  
ნიყო ხაზანაშვილის წერილი აღ. ხაზანაშვილის  
ბიბლიოგრაფიაში, ან, საერთოდ, რატომ არის  
მეცნიერის ქართულად დაბეჭდილი ნაშრომების  
ბიბლიოგრაფია არასრული, ამაზე წიგნში გან-  
მარტება არ არის.

ცალკე თავია „აღ. ხაზანაშვილის შრომები  
რუსულ ენაზე“ (გვ. 264-271). მის ცნობილ  
წიგნზე, რომელიც ოთხ ნაწილად დაიბეჭდა  
მოსკოვში და ჰქვია „თხეტი პო ისტორია  
ვრულნისყო სლოვესნოსტი“, ცნობარის იმ ნა-  
წილში წერია: „ნარკვევები ქართული ზეპარ-  
სიტყვიერების ისტორიიდან“-ი (გვ. 266). ბიბ-  
ლიოგრაფიაში, მაგალითად, არ არის მოხსენე-  
ბული 1909 წელს რუსულად დაბეჭდილი წე-  
რილი „ნ. გოგოლის მნიშვნელობა ლიტერატუ-  
რის ისტორიაში“ და სხვანი.

ცნობარში ცალკე გამოყოფილი აღ. ხაზანა-  
შვილის ქართულ პრესაში დაბეჭდილი რეცენ-  
ზიები ლადო აღნაშვილისაგან შეარებულ და  
გამოცემულ ხალხურ ზღაპრებზე, ა. ყაზბეგის  
თხზულებების კრებულზე, ვახტანგ ორბელია-  
ნის ლექსების გამოცემაზე, ნინო ვიფიანისაგან  
თარგმნილ ჟიოვანოლის „საპრატკენე“ და სხვ.  
ინფორმაციები, წერილები და ნარკვევები აღ.  
ხაზანაშვილზე ქართულ პრესაში (აღნიშნულია  
მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი ცნო-  
ბა აღ. ხაზანაშვილის მრავალშრივ მოღვაწეო-  
ბაზე).

ცნობარის 297-9 გვერდებზე ჩამოთვლილია  
წიგნები აღ. ხაზანაშვილის ბიბლიოთეკიდან  
(რომილიც ვრევანშია), სეპარო ბიბლიოთეკას  
რომ გადმოცემის სიძებმა. სიაში მხოლოდ 30  
სახელწოდებაა ჩამოთვლილი. ამათშია დავით  
ჩუბინაშვილისეული გამოცემა „ქართლის ცხო-  
ვრებისა“, მისივე ქართულ-რუსულ-ფრანგული  
ლექსიკონი, ი. გოგებაშვილის „ჩრეული“ და  
„ბუნების კარის“ ორი ცალი (ავტოგრაფებით),  
აღ. ხაზანაშვილის „აბტონეშია სეპაროველო-  
ში“ აკაკი წერეთლის ავტოგრაფით, სილოვან  
ხუნდაძის „საღვთაღვთო ქართული“ (ავტო-



გრადით), ა. ელფთერბის „ვაროზილი“, თოფილე ზუსცივიანის „კონსტანტინე ბატონაშვილი“ (ავტოგრაფით), ანტონ ფერცელაძის ცახელის, ვ. თაყაიშვილის, გრ. ყიფშიძის, შ. ჯანაშვილის, პ. ქარბელაშვილის, ზ. კვიციანიძის, ე. ხრამელაშვილის წიგნები და გიორგი ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“. ცნობარში ბოლოს დაბეჭდილია ალ. ხახანაშვილის პირდი წიგნების სია (წიგნები ინახება ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში).

ცნობარს ერთვის საყუთარ სახელთა საბჭებელი და შემოსაღებელი სახელწოდებათა განმარტება.

მიუხედავად გამოცემის საფუძვლზეც, რაც დასაწყისში აღნიშნა, **ფიგურაქცეფურუ** შეცდომებისა, ალ. ხახანაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი საბუთების ცნობარში დიდი ინტერესით იკითხება, ხოლო როგორც საცნობარო წიგნი აურაცხელ ინფორმაციას იტევს ქართული მწერლობის დაუღალავი, აღბე გარდაცვლილი შენეირის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ცნობარის შემდგენელი და გამოცემელი გულიანი მადლობის ღირსნი არიან.

სოლომონ ხაინიშვილი

## ქარბი ჟიბნი მივიწყებულ თემაზე

ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის საქართველოს ყველაზე ხელსაყრელი მდებარეობა აქვს. მრავალ უნიკალურსაბაზაგან ერთ-ერთი ძირითადია დიდი ზღვაზე გამსავლელი აქედან გამომდინარე, საქართველომ ძველთაგანვე საზღვაო და სახაოსნო სახელმწიფო იყო. მიუხედავად დიდი მნიშვნელობისა ეს საციოხი, წლების მანძილზე, ამოდ ელოდა თავის მკვლევარს. ჩვენს ძირითად მატიაწეში — „ქართლის ცხოვრებაში“ და სხვა ძველ წერილობით წყაროებში, ქართველთა ნაოსნობის შესახებ მეტად ძუნწი ცნობებია გაბნეული. ალბათ ამანაც განაპირობა, რომ ერთგული ნაოსნობის ისტორია, ბოლო ხანებამდე, თეთრ ლაქად რჩებოდა, თუმცა სულხან-საბა ორბელიანის ცნობილ ლექსიკონში მრავალ საგულისხმო, ორიგინალურ ტერმინს ვხვდებით. ამ თვალსაზრისით პირველი ყმირი ზედაბე ქველთეშვილია გატება.

შეცნიერმა ხანგრძლივი დრო შოანდომი აღნიშნული პრობლემის კვლევას და საბოლოოდ მივიღეთ სრულყოფილი მონოგრაფია, ერთ-ერთი ფუძემდებელი გამოკვლევა. წიგნი შთლიანად პანუხოზს დაახებლ მიზანს და საკვლევ საგანზე სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის. ავტორი იძლევა რა საქართველოს შავისა და პიდრონიციის შესახებ საქირო ცნობებს, ასყენის: შავიზღვისპირეთის შესახებ ძველი ისტორიის ვრცელ ანალებში არ არის არც ერთი განმარტავებული ნაშრომი, რომელიც საგანგებოდ ნაოსნობის ისტორიისადმი, ზღვაოსნობისადმი რომ იყოს მიძღვნილი (გვ. 13). არა და აღამიანის ბუნებასთან დამოკიდებულება, სტი-

ქის დამლევა, საერთაშორისო ენეშირებებს განბორციელება, ზღვაოსნობის ვარეშე წარმოდგენილია. ნაოსნობა ზოგადასაკოებრიო პროგრესის ერთ-ერთი საწინდარია და როგორც სარეცენზიო მონოგრაფიით დამტკიცდა, ქართულ ველ ზალხს აქაც თავისი საბატიო წყლილი აქვს შეტანილი. ამრიგად, არსებული ნიბილუზი — თითქმის ქართულელები მეზღვაურები არ იყენენ საფუძველს მოკლებულია.

ჩვენამდე მოღწეულ ძველი აღმოსავლეთის წერილობით ძეგლებში, — აღნიშნავს მკვლევარი, — არ მოიძებნება არცერთი საგანგებო ნაშრომი, სადაც ნაეის რომელიმე ტიპის აღწერილობა, მითუმეტეს, მისი აგების წესები იყოს მოცემული. ამ ხარეზის გამოსწორება ვერც ფინიციელებმა, ბერძენებმა და რომაელებმა შესძლეს, ვითარება არც გვიან ხანაში შეცვლილა. მხოლოდ 1629 წელს ელმში გამოიცა პირველი სახელმძღვანელო გემშენებლობაში, რის შემდეგაც ევროპის ქვეყნების ნაოსნობაზე სკკმაოდ მდიდარი ლიტერატურა გაჩნდა. ამეხად, საზღვაოგარეშე შექმნილ მსხვილ ცენტრებში ძველი ნავთშენებლობის ისტორიის წარმატებით სწავლობენ და მნიშვნელოვანი შედეგები აწვთ მოპოვებულა.

ჩვენთან თ. ბერძანის პირველი წიგნი 1981 წელს „ნაქადულმა“ გამოსცა, სადაც ფეოდალური ხანის ქართული ზღვაოსნობის ისტორია მოკლედ გადმოცემული. ხოლო ნაოსნობა, როგორც ყოფითი მოკლენა, შეუსწავლელი რჩებოდა.

ძველ ბერძენთა და რომაელთა წერილობითი წყაროები კოლბთა ზღვაოსნობისა და სანაოსნო საქმის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს იძლევიან, რასაც საქართველოს ტერიტორიაზე მოკლედ აღიკვლივართ და ეპიგრაფიკული მასალაც ექვრს მხარს. ქართული წერ-

**წერაბ კუთხლთეშვილი. ნაოსნობა საქართველოში. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987. (რედაქტორი აკად. გ. ჩიტიანი, რეცენზენტები: ი. კვიციანი და გ. ვასილაშვილი).**



ლობით ძველები, მდიდარი ეროვნული ტრადიციონალიზმი და უხვი ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს, რომ ჩვენთან ნაციონალიზმში და ნაციონალიზმით ერთ-ერთი უძველესი საფუძვლიანი იყო. ბუნებრივია, ერთი გამოკვლევა ქართული ნაციონალიზმის ისტორიას ვერ ამოწვავს. ავტორის არც აქვს ამის პრეტენზია. მისი მიზანი გაცილებით მოკრძალებულია: საბრძოლველი წიგნის წარმოებით წყაროებზე, არქეოლოგიურ მონაპოვებსა და, განსაკუთრებით, ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, მოცემულია ცლა წარმოჩენილ აქნეს საზღვაო-სამდინარო და სამხედრო-საზღვაო საქმე ძველ საქართველოში (გვ. 18).

„ალმა ნაევი“ შედგენილი სახმარი იყო შიდა წყლებში (ტბა, ქაობი, მდინარე, არხი). კოლხეთის მოსახლეობისათვის ნავი, ბოლო ხანებამდე, მიმოსვლის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად რჩებოდა. მას ქალები და ბავშვებიც ფართოდ იყენებდნენ.

„დაქვილი ნაევი“ — ფიქრებისაგან შედგენილ ნაევის და ხომალდებს ეწოდება. ასეთი ნაევით მდინარეებზე (რიონი, ხობი, მტკვარი, ალაზანი) დაცურავენ. ხოლო ქობოზე ნავი ძირითად სატრანსპორტო საშუალებად დარჩა. ლაზურ ხომალდს შავ ზღვაზე 100 კაცი გადასაყვდა (ჩელები). ავტორი დაწვრილებით აღწერს ლაზურ საზღვაო ნავს — „ფელდას“.

მე-20 საუკუნის დასაწყისამდე რიზეს, ზოფის, ანკლის და ფოთის მცვიდრი ოსტატები აგებდნენ რთული კონსტრუქციის დიდ აფრებიან ხომალდებს — „სანდალს“, რომელსაც 300 კაცზე მეტი გადასაყვდა და 4-5 თმის ფეთი ტვირთი გადაჰქონდა.

ცნობილია აგრეთვე სამხედრო ხომალდები სახმისით (ერნალით) — წამახვილებული წვერით, მოძრაობდნენ ნიჩხებით და აფრებით. უფროსალი ხომალდები საავტო-სატრანსპორტო დანიშნულებით გამოიყენებოდნენ.

მეორე თავი ნათქმუნებლობას ეძღვნება და პირველად განხილულია ნავსაშენი იარაღები. ათასწლეულით მანძილზე ზღვაოსნობისათვის გადაწყვეტილი მნიშვნელობა ჰქონდა ქარის ენერჯია გამოყენებას, რაც იალქნის, აფრების მეშვეობით ხორციელდებოდა. კოლხური სელის აფრები და კანაფის თოკები გამძლეობით და ესთეტიკური თვალსაზრისითაც შეუდარებელი იყვნენ. თვით ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტეს აღიარებით, კოლხებს სელის დამუშავების ოსტატობაში მხოლოდ ეგვიპტელები თუ შეედრებოდნენ.

ლაზური აფრიანი ნავი — ფელდა სიმსუბუქით, სისწრაფით და ყარგი მანევრირებით ხასიათდებოდა. მას მგზავრების გადასაყვინად, ტვირთის გადასატანად, სათევზაოდაც იყენებ-

დნენ. პეტად მიხერხებული მოსახლეობა მეკობრეთათვისაც.

როგორც ვიცით, „სანდალს“ მდინარეებზე და ავტორი დაწვრილებით განიხილავს და გადმოსცემს მისი აგების რთულ, თავისებურ წესებს. ხომალდის აშენებას, როდესაც დაამთავრებდნენ, მსხვერპლს სწირავდნენ და „ნივის ანგელოზს“ უსაფრთხო ცურვას შესთხოვდნენ.

შემდეგ განხილულია ტივის შეკერვისა და მეტივეობის წესები.

მესამე თავში გაშუქებულია ნაციონალური და დანიშნულება ქართველი ხალხის უოფია. გამოწვლილებითა ასახული ხალხური ნავი-გაციური ცოდნა.

მეორე ზომის ნაევის, როცა მათი ხანგრძლივად შენახვა დასპირდებოდათ, წყალში ჩაძირავდნენ: ნავს ფსკერზე საჩქველით დაციბილი საგანგებო ნახურეტი „ედი“ ჰქონდა. საჩქველს მოაშორებდნენ და ნავი მიჩენილ ადგილას ჩაიძირებოდა. წყალში ის სიმუდოდ იყო დაცული მზისა და ქარის მავნე ზემოქმედებისაგან.

საერთოდ ზღვაოსანს უნდა შეეძლოს ამინდის გამოცნობა ხალხურ დაკვირვებითა გათვალისწინებით. ავტორი დაწვრილებით განიხილავს შავ ზღვაზე გაბატონებულ ქარებსა და მუსონებს ძველქართული ხალხური ცოდნის სრულ გამოვლენით, თანამედროვე მეცნიერულ მონაცემებთან შეპირისპირებაში. ირკვევა, რომ ხანგრძლივი ემპირიული გამოცდილება გაცილებით უფრო სანდო და საიმედოა, ვიდრე ზოგიერთი პიპოტეტური გაანგარიშებანი, რის დასადასტურებლად მკვლევარს ბევრი საფულისხმი მაგალითი მოაქვს. მაგამა ხალხის სანდო, უტყუარ ცოდნის უძველესი შემეცნებითი მიგნება-მიღწევა იანირობებდა. ასე მაგალითად, კინტირის ხეობაში, სოფ. ზუცუბანში აღმოჩნდა ძვ. წ. პირველი ათასწლეულით დათარიღებული, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ცის თაღის გამოსახელება ატრალური ნიშნებით, რომელიც გლობუსის პირველსახედ მოჩანიათ. საფუქრებობა მის ძველი კოლხები იყენებდნენ ზღვაზე მოგზაურობის დროს, საორიენტაციო კომპასის (რუკის) მსგავსი დანიშნულების საგნად. შორეული მოგზაურობისათვის (გვ. 144-145). არ არის გამორიცხული, ასეთვე დანიშნულება ჰქონოდა კოლხურ „კობებს“. შესაძლოა სვანეთის ეკლესიებში დაცული წარწერებთან სამწახნავა კობები კობების ერთ-ერთი ნაირსახეობა იყოს.

ვაჭრობის იყვავების ნიშანია უამრავი ადგილობრივი და უცხოური მონეტების აღმოჩენა, არა მარტო კოლხეთის ბარში, არამედ მთიან რეგიონებშიც.

ხეტის გატანასთან დაკავშირებით შრომის ორგანიზაცია, რომელიც ანტიკურ ხანაშიც უნ-

და უოფილოყო ცნობილი, კარგად შემონახა ეთნოგრაფიულმა ყოფამ, სახელდობრ ცხენისწყალის სათავეებში სატივე შორებს სივანები კრიდენ, ლეჩხუმელები აქურაებდნენ, ხლო საკილოში მუვარელები ტიუბად კრადნენ და ფოთში ჩაქონდნენ. უტოტური შონეტები სეანეთში ამ გზითაც აღწევდა.

ქართულ გეშე მოშახტრე პერსონალი ზუთ თანრიგად იუოფოდა — „მუნავეთმოძღვრიდან“ მოკიდებული „მეთვალთვალე“ — „ხომალდის თელამდე“ (გვ. 142-3).

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ ანალიზით ნათელი ზღვება, რომ კოლხთა ხომალდები გაცილებით სწრაფი და შობილურნი იყვნენ, ვიდრე ბერძნებისა. ანტიკური ცნობები ქართველთა ზღვაოსნობის უადრესად დაწინაურებაზე სრულიად კანონზომიერია და ქართული წერილობითი წყაროებით, არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მონაცემებით დასტურდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ეფესისტყაოსანიც“ საკმარისია.

მთხედვად იმისა, რომ შავიზღვისპირეთის საქართველოს მონაკვეთი ნაკლებდამწვერებულა და მდინარეთა შლამით გაჭერებული, რის გამოც ბუნებრივი ნავსაყუდები იშვიათია, ნავსადგურები შინც საკმაოდ ჰქონდათ, განსაკუთრებით გვიანბრინჯაო-ადრერკონის ხანაში, როცა ლითონის გატოველებული ვაჭრობაა გახლებული. ამ დროს და გაცილებით გვიან ხანებშიც ზღვის სანაპირო მჭიდროდა დასახლებული და ქართულ საბარტო ქალაქებს (ტრაპეზუნტი, პოსოსი, ათინა, ფასისი, დიოსკურია-სებასტოპოლისი, პიტუნტი) რომელი ელია და მწერალი ფლავიუს აბიანეც აღწერს. საფიქრებელია, რომ აბიანე მხოლოდ იმ ქალაქებს ასახელებს, სადაც რომელითა გარნიზონი იდგა. სხვა წერილობითი ცნობები და არქეოლოგიური მონაცემები ცხადყოფენ, რომ ანტიკური ხანიდან სანავსადგურო ქალაქები ყოფილან აფსარონი — გონიო, ფიჭვბარი, ურეკი, პანტურია, სავანონი და სხვ. კონტინენტის სიღრმეში მნიშვნელოვანი ნავმისადგომი იყო ორპირი, სადაც ფოთიდან ჩოონის მეშვეობით ხომალდებიც ამოდიოდნენ.

შავიზღვისპირა ნავსადგურები ადრე და გვიან ფეოდალურ ხანაშიც ინარჩუნებდნენ მნიშვნელობას. მჭიდრო საზღვაო კავშირებია ბიზანტიასთან. მეთვე საუკუნეში, როცა ტუმბარაყანი სპაითაქროს მეშვეობით რუსები შვე ზღვაზე გავიდნენ, სავარაუდოა საქართველოსთან შთი საზღვაო კავშირი.

1453 წელს თურქებმა კონსტანტინეპოლი იილეს. საქართველო ავტონტრულ სამყაროს მოწყდა. საზღვაო გზა საბედისწერად ჩაიკეტა. შავიზღვისპირა საბარტო ქალაქები დაქვეითდნენ. ისინი ტყვეთა სყიდვის და შეკობრეთა მსხვერპლი გახდნენ, შავრამ ნავსადგურებად

შინც რჩებოდნენ. მეფის რუსეთის ვანატონების პირველ ხანებში — 1804 წელს მისი შინის შესართავში, ძველი ლიბნის რეგიონში მუიქმა ყულევის ნავსადგური. ფოთიდან ორპირამდე აღდგა ძველი სანაოსნო გზა. რკინაგზის გაყვანის შემდეგ სამდინარო-სანაოსნო ქსელმა მნიშვნელობა დაკარგა, შავრამ საზღვაო ნავსადგურის მნიშვნელობა უფრო გაიზარდა.

მეთევზეობა შავიზღვისპირა მოსახლეობის ერთ-ერთი უმთავრესი საქმიანობა იყო, მეტადე რაზმებისათვის. კარგადაა ნათქვამი — „ლაზების ზალი ზღვაო“.

ანტიკურ ხანაში შვე ზღვაზე გემების გატოველებულმა მოპოვებამ წარმოშვა კონიუქტურა შეკობრეობის აზერიტებისათვის, შირანი სარფის მოპოვება იყო, განსაკუთრებით ტყვეებისა, რომელთაც მონებად ყიდდნენ, ამ დროსასყიდ იღებდნენ. ამ საბოთირო ზელობას დელსასირებელი ელემენტები და ღარიბი. მწირი მიწაწვალზე მოსახლე ტომები მისდევდნენ. ასეთები იყვნენ ჭენიოხები. ზღვაზე ყაჩაღობა ადრეულ და გვიან ფეოდალურ ხანაშიც არ შეწყვეტილა, იგი ყოველთვის ნაოსნობის თანამდევი ნეგატორი მოვლენა იყო. ამ საბოთირო საქმეში ბენიოხებს აფხაზები შეეანაცულენ.

ზღვას რაიმე სიბინძურე არ აკარებდნენ. მეთევზეთა შფარველ ზებერდეს მგვრელები ზღვისწყალარეულ კერებს უტობდნენ, რაც მეთევზეებსა და შთი შფარველ ღვთაებას შორის მტკიცე კავშირის გარანტია იყო.

ზღვა ლაზებში, როგორც ჩინს, ძველი აღმოსავლური ორდლიების შგაგასად, შსაქულის ფუნქციასაც ასრულებდა, რადგან შიშიდ დანაშაულისა და სიბარტლის გარყვევისას, ემპოიტანალს ბნელ ღამეში ნათი გაიყვანდნენ და საკმაოდ შორს წყალში ჩაგდებდნენ. თუ დამაჭილი ნაბირს მშვიდობიანად შადწედა, ბარტულდობდა, ხლო თუ დაბარტობდა, რაც უფრო მეტად იყო მოსალოდნელი, ყველა დარწმუნდებოდა, რომ შს ზღვამ სპარტოლიანად მიუღლი. (გვ. 245-6).

მისტერები და ნაგებით სპორტული შეკობრებანი ეწეობოდა წყალში დამარჩავლთა სტულენის კეთილგანწყობის შირნით. პირველიდან 5 შისამდე ფოთში „მეოსობის“ დღესასწაული იმართებოდა, რომელსაც ბარტობა, გართობათამაშობანი და ზღვაზე ნაგებით შეკობრება ახლდა.

ლაზ-მეგრეტოა რწმენით, მებლეთართა და თევზთა მფარველი უმშვენიერესი ასული — შოლამე კულინი — გრძელი, გამლირი, ოქროსფერი თმებით. ის შართავს წყლის მდინარებას, თვალყურს ადევნებს შვე თევზების გამრავლებას. შსა განსაკუთრებით მოგარბან დამეს უყვარს გამოჩენა, როცა ნაგებით თევზობენ. იმ მებადურს, ვისაც ადრე რაიმე ცოდვა აქვს ჩადენილი (მაგ., ქვირილობის დროს თევ-



ზის ჭერა, ან უზომოდ ზოცვა და ა. შ.). თვე-ზის მფარველი დამწმენკვეს ზადები გააფრეს, წყალში ჩაითრევს და დაახროხს. ამის კოცის-პირული წვიმა და მძინვარე ქარაშობი მოკყევება. ტაროსის სიაცე მინამ გავრძელებს, ვიდრე თევზის მფარველი დამწმენკვეს მერდოდან არ ზოიშორებს და ნაპირზე არ გამოირიყვს. ამიტომაც, რომ ზღვაზე მომხდარ ყოველგვარ უბედურებას, ძველი ნოსნები, „ზღვის წვიას“ დარღვევის გამო განრისხებულ ზღვის ღედას მიაწერენ. დაახლოებით იგივე ფუნქციის მატარებელია ფრინველ მეზღვაურთა მფარველი დ-გონი (დაგ) (დოგ თევზი), რომელიც სულის საბით არის ჩააბლებული ზღვაში და მისი დანება მძინვრთაგან არავის ძალქს. ლიზეში გავრძელებული რწყენის თანახმად, წყლის დე-და (იღვეს დედა) ხშირად იმ ნოსნთა მფარველად გვევლინება, რომლებსაც „ზღვის წვიმ“ ანადროს დატრღვევით და მკაცრად იცავდნენ მას.

საქართველოში უდიდესად გავრცელებული ჩანს „გრიგოლ და ბასილ ზღვის მფარველი“ და „წიწი და ღობის“ ექლერე, სადაც ის (გრიგოლი და ბასილი) მიჩნეულია ზღვისა და მდინარის მცველად, თევზის მწყემსად. (გვ. 247).

გაოდა ზემოთქმულისა, „წყლის დედა“ — „წყლამ დედა“ ანთნაროდაც წარმოიდგინება: იგი ისეთი თეთრია, ანათებს და წყლიდან როდღაც სპოდის, ადამიანს თვალს ჭრის, წყლის სხვა ღებება — მესღვის წყლიდან ამოსვლის ვრეელთვის წვიმა მოკყევება, ამიტომ გვალვანობის ვამს მესღეს წვიმას შესთხოვდნენ.

იბლანის ნოსნობისათვის ქართული მეზღვაურები მრავალ რაციონალურ და ირაციონალურ საშუალებას მიმართავდნენ. გავრცელებული იყო ნარგვარის ფატრებში, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია არწივისა და თევზის თვალა, რომელსაც ხომალდის ცხვირთან ჩასვაკმდნენ. სკონდათ „წინდა ღეზა“ ძლიერ სიხფათო ღელვისათვის შემონახული, როცა დარწმუნდებოდნენ რომ საშუელი არ არის, ღეზას წყალში ჩაეშვებდნენ და ზღვის თეთრ ქალწულს გადარჩენას შესთხოვდნენ. შესაძლოა, მათთვის ძლიერად მიჩნეულ ხმელეთის რომელიმე სალოცავსაც შესწირავდნენ. თუ ეს ასეა, მაშინ ადვილად აიხსნება რაჟამი სოფელ ზოყვას უძველესი ტაძრის ნანგრევებზე მშვენიერად გათლილი ქვის ღეზა რომაა შემონა-

ხული და დღემდე მისი ფუნქცია დარავის გავრცელება.

სტატუსული

თეორიულ ღირებულებებზე მსჯელობისას ძალიან დიდი პრაქტიკული დანიშნულება აქვს შესაძლოა იგი სახელმძღვანელოდაც გამოდგეს დაუმსახურებლად დაეწიყებული ხალხური ნოსნობის აღსადგენად. ჟერ ერთი, ეს საჭიროა არა მარტო ჩვენი ყოფის კოლორიტის, თავისებურებათა შესანარჩუნებლად, არამედ ტრადიციული მეურნეობის კანონზომიერა გენეოთარეზისათვის. ამასთანავე, ზღვის სანაპიროს, მდინარეების, ტბების და წყალსატევების სისუფთავე დიდად არის დამოკიდებული მათი გამოყენების ხარისხზე.

გულწრფელ სინანულს იწვევს ყოველმხრივ სრულყოფილი წიგნის საოცრად მცირე ტირაჟი (1300 ცალი). იგი სტამბიდან გამოსვლისთანავე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

ეფექტობ, მასალის კლასიფიკაციის თვალთხედვით მეორე გამოცემისათვის, გარკვეული ცვლილებები უნდა მოხდეს, სახელდობრ მეტრეობას და მეზორნეობას ცალ-ცალკე თავები ან პირაგრაფები დაეთმოს. ასევე ერთ-ერთი ძირითადი და პრაობლემურია ღებების საკითხი, რომელსაც, ბუნებრივია, სქოლიოში ჩატანიან ვერ გადაწყვეტობ.

მეტი ყურადღება უნდა დამოთობოდა მენავეობის და მევენახეობა-მეღვინეობის ღრმა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კავშირს. ქართული მევენახეობის მეორე ათასწლეულით დათარიღება დაზუსტებას საჭიროებს (გვ. 58). ჟერ კიდევ გადამაწყვეტია რაშელება პირველადი წავი თუ საწნაბელი. ნიშანდობლივია ისიც, რომ სვანეთში გვიან ხანებამდე მიყვალბულის დასყარძალავად, ჩაჭრილა — საწნაბლის მავგარ, ერთხეში გულამოღებულ „ჭერტქელს“ იყენებდნენ.

წავსადგურების ჩამოთვლის დროს არ უნდა გამოგვრჩნოდო შორაპანი, სადაც ცნობილ ციხესთან ახლაც კარგაბაა შენახული უძველესი წავსადგურის ნაშთები.

როგორც იტყვიან — „სამკალი ფრიად არს“. იმდელი კვლევა-ძიება გავრძელებს და ჩვენი წინაპრების ნოსნობაში განსაკუთრებულ დამსახურებას მეტი შექი მოეფინება.

ლიპან ფრინიძე

რედაქციის მასმართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ბილშოფინები: შთ. რედაქტორის — 98-55-11, შთ. რედაქტორის მოადგილის 98-55-15, კ/მგ მღვინის — 95-55-13 და განყოფილებების — 98-55-15; 98-55-17, 98-55-20.

გადაცვა ასაწყობად 04. 06. 88 წ. ზელმოწერილი დასაბეჭდვად 9. 09 88 წ. „საწყობის ზომი 71/4X12, ქალაღის ფორმატი 70X106, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. საადრ.საგამომცემლო თაბაბი 16,58. უე 09434. ტირაჟი 30.000. შეკე. 1964. საჭარბუელის კმ ცკ-ის გამოცემლობის სტამბა.

ფაზი 80 333.

0600660  
76198  
საქართველოს  
საბჭოთავო  
საზოგადოებრივი  
ცენტრის  
გამომცემლობა

«**М Н А Т О Б И**»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ**